

ISSN 0132-6023



詩歌

8

1980



სესია

279

გამომცემის ოცდამეოთხე წელი

8

აგვისტო

1980

თბილისი

სა. კვ ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

- 3. ლეილა გეროშვილი — მოთხრობები
- 11. გურამ კატრიშვილი — ლექსები
- 14. ბათუ დანელია — ციკლიდან — „ქალაქილი“ ლექსები
- 18. ჯამალ ჰირია—მარადი მხედარი. რომანი. დასასრული
- 45. ბაბუკ ბალარჯიშვილი. ლექსები
- 49. რამე ქალანდია — ლექსები
- 53. თენგიზ ჩალაუჩი — გულმომბატოვებში. მოთხრობა
- 57. ნოდარ ჯალაღონია — ლექსები
- 60. მირინ ხარბიანი — მამჩაძის ბახსენება ინგლისის ტაუნხალთან. ნაწევები პოემიდან — „ოქროს ქედლია ანუ სენური აშახი“
- 62. აბაკი ხაჭაძე — ბახსენილი გული
- 63. გურამ ხათიაშვილი — ვალი. პიესა
- 92. ლევან სანიკიძე — შტარბაშო ხმლები. გაგრძელება

ახალი თარგმანები

- 104. ზორის ვიწინები — მოლ.ოდინი ხუთხაბათ დღეს. თარგმნა ციალა ჩხეიძემ

80 — გიორგი ლეონიძე — 80

- 109. შარა ზღაბაძინი — სიბრძნე პოეტური სიმღერებისა

წერილები

- 113. სოსო სიგუა — „ზამბარი“
- 123. ვასილ მუხლიშვილი — ქიკელი — სივთხილი
- 131. ე. ბიუხუშვილი. ზ. სარჯველაძე — „მუხანციის წამების“ ტექსტის ისტორიისათვის
- 135. ნიკოლოზ წამთელი — სინტიკოსო წიგნი სკართლიანოვის მგზნებარე პარალოზებზე
- 139. მზია შეგველია — უცნაური პოემა

პირველი შთაბეჭდილება

- 145. კახი მუხომიშვილი — კითხი მუხომი
- 146. ავთანდილ გურგენიძე — პირველი წიგნის სიხარული
- 147. ჯარჯი უსოველი — ბალაგის წიგნის ბავშვობა
- 148. გიორგი მამუტაძე — შანი უმწმუნებელნი

დიადი მემკვიდრეობა

- 149. ალექსანდრე კუშჩინი — წერილები. თარგმნა რუსუდან ქეზულაძემ

იუმორი

- 159. რევაზ ოსაყანიშვილი — კომპოზიტორი რედაქტორთან

მთავარი რედაქტორი მორის ურსენიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

- ჭაბუა ამირაშვილი,
- გივი გუგუშვილი,
- გურამ გვარდნიშვილი,
- რისვაზ გორდუნიანი,
- გიორგი გუბია,
- ნოდარ დუმბაძე,
- მერაბ ელიოშვილი,
- იოსებ ორბელიანი,
- ელეონორ მენაბდე,
- მთავარი რედაქტორის მოადგილე
- ოტია პაჭორია,
- გურამ ფანჯიკია,
- ნუგზარ შატაია,
- ჯანსუღ ჩარკიანი,
- ვიკი ძნელაძე,
- ნუგზარ წერეთელი,
- თამაზ ნიჟარაძე,
- ტარიელ ჭანტურია,
- რაფი ტვიშვილი.

მოქრობები

გზა ჩემი სახლიდან შენამდე

შენ როცა უჩემობა გტანჯავდა და ყველა გამულელში გამალებით მეძებდი, მაშინ ჩემი საწოლის ქვეშ სოკოებს ვკრეფდი ყოველ დილით. სოკოებსა და ბალახის გაღივებულ ყვითელ ღეროებს. არ გატყუებ, მართლა გეუბნები. შენ არ გატყუებ ხოლმე არასდროს, იმიტომ რომ შენი არ მეშინიან. თურმე შენის გამო იტყუება ადამიანი, წარმოგიდგენია?

სოკოებს ვკრეფდი (თუმცა კი არ ვკრეფდი, ვხედავდი) და თან ვიხსენებდი ვიღაცას, ვინც სადღაც, ოდესღაც ასევე კრეფდა თავის საწოლის ქვეშ სოკოებსა და გაღივებულ ბალახს. თიხით გალესილ ლახტის კედელში ჭუჭრუტანას კიდევ უფრო ვაფართოვებდი, ასე შემქმნო მხოლოდ სამაგიერო გადამეხადა სიღატაკისათვის და კიდევ იმით, რომ არ ვცხოვრობდი იმ სახარულ, უბირ და უნიჭო ქოხში. — ბახვას სახლი მომწონდა ზევით და ოცნებით იქ გადაესახლდი, იქა ვცხოვრობდი. აი, ასე! არაფერს ვეჩაგვრინებოდი, ვიღრე ძალა შემწევდა.

ეგ რა არი! — ბაღის ბოლოში ლეღვი იდგა. ერთადერთი ხე. მწვანე ლეღვი. დილით სამუშაოდ მიმავალი ხალხით გატენილი მანქანა რომ ჩაივლიდა,

მეჩვენებოდა, რომ უყურებდნენ ჩვენს მოქცეულ ქოხს, — მშვირი, გაავებული ღორი დინგით რო უნგრევედა კარს (კარს კი არა, ოთხ ფიცარს) და შიშით მოკუნტული ველოდი, როდის დაგვცემდნენ ყიყინას: ღარიბებოო, ლატაკებოო, უპატრონოებო და შემთხვევით, ღვთის უნებართვოდ გაჩენილო მათხოვრებოო! მერე გადარჩენილი ბაღის ბოლოში მივიძურწებოდი დაღლილი და კმაყოფილი — მათხოვრებოო!

კიდევ კარგი, იყო ის ბაღის ბოლო და კიდევ კარგი, იდგა მწვანე ლეღვი. დამინახავდა ის ლეღვი, ჩამუქდებოდა ტოტები, ნაღვლიანად დაუშვებდა დაბლა, მივიდოდი, სურვილით შემოვებოდი და ვტიროდი. და იცი, რას გეტყვი, არავის დაეუთმობდი იმ ცრემლებს ქვეყანაზე. ხანდახან საღამომდე ლეღვის ტოტზე ვიჯექ; სადღაც სხვა ქვეყანას და სხვა მხარეს შეფარებული და ეგრე ლეღვის ტოტზე ვიწვავდი ჩემი მიწიერი ოცნებებით ავსილი: ღობე ექნება ჩვენ გაშარავებულ ეზო-კარს, ბახვანთ რო აქვთ, ისეთი. ძალღი გვეყოლება, რო, ჯერ იკითხავენ: — ძალღი გიბიათ, ვოგო? ტყვია არ მიეკარება, რალაცა სხვა ჭიშისა იქნება, ვერავენ დასცემს თოფს. ჩავყრით ხეხილს. მოვამრავლებთ იმდენ

ქათამს, როცა მოგვინდება, მაშინ დავკლავთ. დედაჩემი გახალისდება, მხრებში გაიშლება, გალამაზდება. სახლი გვექნება ქვიტკირისა, ლამაზი, მოვლილი: ერთი დიდი ოთახი ფართო აივნითა და ორსაფეხურიანი კიბით. იატაკი გვექნება ისეთი, ბახვანთ რო აქვთ — გაბზინებული, საწოლები ერთნაირი გადასაფარებლებით. იმ დაჭიკვებულ კამოდს გამოვთრევ და სულ ცუდით დავღვწავ, რომ მოშორდეს და აღარ დავინახო. მოვლენ მერე ჩვენი მდიდარი ნათესალები: როგორა ხარ, გოგო, როგორ? შემოვლენ, დააცეცებენ თვალებს. ძალიან კარგათა ვართ-მეთქი, ერთი დავიკოხები. იქნებიან, იქნებიან და, როგორც მოვლენ, ისე წავლენ. წავლენ და წავლენ... დავკეტავ ჩვენი რკინის ორმეტროიან კარს საიმედოდ და ჩვენ ძაღლს მივფეგრებ. დედაჩემი კიდევ მოაჯირზე იქნება გადმომდგარი, გაღიმებული, — ასე ვიცნებობდი იმ ლედვის ტოტზე.

ოო, როგორ მემწარება და მელამაზება ეს ყველაფერი.

მეხუთე კლასში ვიყავ, რო ერთ ბიჭს შევუყვარდი. იდგა და მიყურებდა ახლად მოგებული ზაჭივით უმწეოდ, თბილად. მე სულ დავეძებდი იმ შერას. წავაწყდებოდი სადმე და ვთვრებოდი, ვთვრებოდი, ვივსებოდი, ვქალებოდი იმ შერაში.

სალამობით კინოში დავდიოდი ხოლმე. წინდიათი ფეხი — კალოშებში. ჩამოვლევდი მკერდზე ორი ნომრით დიდი ბიუსხაღტერი, ხელებზე მარწყვის საპნის სუნი. ხელსახოცივით დაკეცილი, გატუციებული ცხვირსახოცი ცალ ხელში, ცალში — გათფლილი აბაზიანი და, ჰაიდა ის ბიჭი თავისი მწველი თვალებით ზურგს უკან მეჯდა. მიყურებდა, მიყურებდა... ყველა კუთხე-კუნჭულით შეიმოსებოდა ის ძველისძველი კლუბი, თითო-თითო აჯური უბრწყინავდა. ეს იყო რაღაც უწმინდესი და ნამდვილი, იშვიათად რომ იბადება ქვეყანაზე და ყოველთვის წყალსა და ღვარს მიაქვს.

ერთხელ, იმ ჩვენი სახლის დერეფანში, ხახვიან ერბო-კვერცხს ვიკეთებდი:

„ღუმელზე შედგმულ ტაფას მსუნაგად დავყურებდი. მერე ორ პატარა ქვას დავავლე ხელი, აქეთ-იქიდან ამოვუღე ტაფის ყურებს, მოვტრიალდი და ის ბიჭი, ღმერთო! ტომარამოკიდებული დგას დერეფანში და მიყურებს. ტაფა კი არ დამივარდა, დაბლა დავახეთქე და სახლში შევევარდი. ფანჯრიდან დავინახე, როგორ გავიდა. გარეთ რომ გამოვვდი, ნახევიარ ტომარა ხორბალი აივნის მობრეცილ სვეტთან იდგა — დედაჩემს გამოეტანებინა.

გამოვიტირე რალაცა (რა, ვერ გეტყვი), რასაც აღარაფერი ეშველებოდა ჩემს წარმოდგენაში. მერე, თუმცა ძალიან ნაზად და ქალურად, მაგრამ მინც მოვაცილე ხახვიან ერბო-კვერცხს გადარჩენილი ზედაპირი და ასევე ნაზად და ქალურად მივირთვი. თან თავს ვიმშვიდებდი, ზურგით ვიდექი და სისხარბეს ვერ შემამჩნევდა-მეთქი. მაგრამ იმ დამეს კინოში აღარ წავსულვარ.

ცამეტი წლისამ მამა მოვიკითხე: პირველად რო დავინახე, ვიფიქრე — ეგ კაცი ხო ვიცი და, ისიც ხო ვიცი, რო მამაჩემია-მეთქი: მერე წაველ ბაღის ბოლოში და მოვიკეცე ჩემს ლედვზე: მაპატიეო, მემუდარებოდა ის კაცი. მაპატიეო, რო უჩემოდ შიშმილობდი, უჩემოდ გციოდა, უჩემოდ გტკიოდაო, მაპატიე ჩემი სისხლი და ჩემი ძვალიო, მე ვტიროდი და მადლობელი ვბყავი არ ვიცი, ვისი ან რისი, რო ასე ტკილად მესუშუბებოდა სული და გარშემო ყველაფერი ჩემი ნებისა ხდებოდა. თან მიყვარდა ის კაცი, ჩემი შერცხვენილი და საწყალი მამა.

პირველად რო ვნახე, შენ თუ გინდა, ვიქნები მამაშენიო. გინდაო? მინდა-მეთქი, — არტისტია ეს მამაძალიო! — ზიზღით ევსებოდა გული ჩემი გამოგონილი ხმის გაგონებაზე. მერე ტყავის საფულე გახსნა და კარტებივით გაშალა სამამანეთიანები. გავიყოთო — გამეხუმრა. არ მინდა-მეთქი, მიცახცახებდა წვეტიანი მუხლისთავები. ცოტა ხო არ არიო. აბა, იცოდე, ვერც ეკონომიურად, და ვერც მორალურად, მე დედაშენის-

ოდენს ვერასოდეს ვერაფერს გაგიკეთებო. — ცოტა არაა, როგორ გეკადრებათ, მაგრამ არ მინდა-მეთქი. უფროსი რო გაძლევს, უნდა გამოართვაო და ის სამშანეთიანები წიგნში ჩააწყო და იმ წიგნიანად მომაწოდა და გამომისტუმრა. ცოტაზე გავიარე, ის ფული დავთვალე (ხო არ გეზიზღებ?) მალაზიაში შევედი და მთელი ფულით რაღაც საშინელი კაბა ვიყიდე.

მეზობლის მარანში, ქვევრის პირას გავწვებოდი ხოლმე და ცარიელ ქვევრში ლექსებს ვკითხულობდი. იმ დღეს, სახლს რო მივეუახლოვდი, ვიგრძენი, რო გაუძლისი უბედურება დამატყდა თავს, გავიქეცი იმ მეზობლის მარანში და ქვევრის პირას გავწეკი (მუცელქვეშ გაზეთში შეხვეული ის კაბა მედო):

იტირე, დედავ,

იტირე, მამავ,

იტირეთ, ჩემო ლამაზო ამხანაგებო...

არც ტირის დედა,

არც ტირის მამა,

არც ტირიან ჩემი ლამაზი ამხანაგები.

ქვევრში წკრიალით ჩადიოდა ცრემლი (ან რაში მედგა ამდენი), ბოლოში ამა-

ოდ მელოდა ჩემი ლეღვი, იმასთან მისასვლელი პირი აღარ მქონდა.

რა გატირებს ესლა? რა გაქვს სატირელი?

სამაგიეროდ, კარგად მახსოვს ჩვენი ბროწეულა ყვავილი. პირუჩუმრა რო გაკიფდებოდა და მე ყოველთვის თვალს ვარიდებდი. აბა, რა უნდა მექნა? ზაფხულობით, რაღაც აუცილებლად მთავრდებოდა და ძირს ჩამოვარდნილი ფოთოლი მძაფრი ენებათა დეღვის გარეშე შეგვიძლევებოდა შემოდგომის სიმყუდროვეში.

შემოდგომობით ნამდვილი სიმშვიდე ჩამოჰქონდათ წვიმებს. ყველანაირ სატიკვარში მალამოსავით ჩამდინარი.

ზამთრობით, თოვლში, აღარ უჩანდა ჭუჭყიანი ყელ-კისერი ჩვენს მობრეკილ ქოსს. თოვლი გემოსავდა დედაბუდიანად.

ასე მგონია, ძალიან მიხდება მე ჩემი დალილი გული, და, ჩუმად ვამაყობ კიდევაც ამით.

აბა, შემომხედე, არ მიხდება? ძვირფასო, ძვირფასო...

ქ მ ა

სულ ორიოდე ჰიქამ გაუთბო გათო-შილი სული გივილოს. გაყუჩდა. სიმარტოვის სიცივე აღარა სწეწს ეგრე რიგად. პირდაპირ, ფანჯრის კუთხეში გულდაგულ უღიმიას, ბედნიერად ცხოვრობს ფანჯრის რაფაზე წითელი ბალბა.

— ჰამე შვილო, დალიე! — აძალებს ელგუჯას დედა. გივილოს მადლიერების გრძნობა ახრჩობს და ნატრობს, ნეტავ ჩემს ანაბარა დარჩეს ეს ხალხიო — „ეს ღონიერი, ჰახჰახა ქალი დედაჩემი იყოს, რა იქნება, — წარბშეუხრელი, იმედიანი, — იყოს, რა იქნება. ბიჭები არ მასვენებენ-მეთქი ვეტყოდი, — გამომიცნობდა ერთ-ორ თონე პურს; მომიხდიდა ქვევრსა, დაიფიცებდა, არა, გივილოს მხემო...

გარეთ გაზაფხულის ჭლექიანი დღე იხრჩევა. ყორეში ჩატეხილი ყვითელი შუშა ოცნებას ჰგავს. მიწა ყორისვენ მიიწევეს და იქ ბინავდება, მკავე ვაშლის ხე გამხმარ ტოტს დარდივით იმშვენებს, ტოტებშუა ჩიტის ბუდე გაჩრილა — ყველა რისკზე დიდი რისკი. ეზოზე ფუჩჩი ყრია. მალ-მალე და მთელი ეზო თვალს გადაავლებს მსუბუქად მდებარეს... გივილო ყველაფერს ხედავს: მორჩა, ფეხებს ველარ მომჭამს ველარავინ, მორჩა! — სიხარულმა უცნაურად მოწიწენა და ბედნიერმა ჩაიღიმა, — მორჩა!

ლელია ზაროზვილი
გომთხრობანი

აპრილის ბოლოს გამოიტანა ბაბომ თუნუქის ღუმელი, აივანზე დადგა და ეხლა იქ ანთებენ. ღუმელს ერთ მხარეს შემთვრალი გვილო უზის, მეორე მხარეს პირდაპირ იატაკზე — თინია, პატარა, ატმისლოყება გოგო. კიბის თავში მურა წვეს თავისთვის. იქვე, აივნის სვეტზე იმედივით ჰკიდია ბაბოს შავი შტაპელის წინსაფარი, — ჩამორღვეული ჯიბით და ლობიოს გულადმა აკრული ფოთლებით.

თინია პურჩაყრილ რძესა ჰამს ცხვირის სრუტუნით, სულ ჯამს ჩაჰკირკიტებს, გვილოსკენ განგებ არ იხედება. მალიმალ იწვეს ყურს უკან ქერა, ფშეკელა თმას და ცხვირს ასრუტუნებს.

გვილო აღერსით შეჰყურებს. ერთი სული აქვს, ხელი დაუსვას იმ ფშეკელა თმაზე, მოეფეროს, მაგრამ ზის და ლაჩრულად, გულისამრევად იღიმება.

„თინა, მე შენი ძმა ვარ და მიყვარხარ! გინდა, ავიცილებ და ისე გატარებ. მერე მაყვლობას მაყვალზე ვივლი. შეინდობას — შეინდზე და რასაც მეტყვი, იმას გიყიდი. — გაიგე, თინი-ბინი, თინი-ბინი“, იმეორებს გულში. თქმით კი ვერაფერს ახერხებს — სად აქვს ამის თავი. სად შეუძლია ამდენი...

თინიამ კარგა ხანს აფხაკუნა კოვზი ცარიელ ჯამში, მერე ჯამი გაუბედავად შეაცურა ღუმელის ქვეშ და ხელები ქვეშ ამოიწყო. ტუჩის კუთხეში ჭიუტი ღიმილი შეუმჩნევლად უკრთოდა.

უცებ დაუსხლტა თავისთავს გვილო.

— შენ თუ გინდა, იყავი, ჩვენთან! — დედაშენი არ დავინახო, — შენ იყავი! თინია იჯდა თავის ხელებზე და სადღაც განზე იყურებოდა, — ოღონდ ღიმილი ეხლა ბეჭედივით აჩნდა ტუჩის კუთხეს.

გვილოს გველივით ეშინოდა ამ ღიმილის.

— არა და, შენც დაიკარგე აქედან! — აღრიალდა უცებ. — აქ რა გინდა, ის თუ კარგი დედაა, როგორც დაგადო, ისე მოვიაროს! — მერე წამოხტა, იქვე მდგომ პატარა სკამს ფეხი ამოჰკრა და კედელს მიანარცხა და თითქოს ეზოს

ჰიშვარი არა ჰქონდეს — ლობეს გადაევილო.

ზარმაცად გამორკვეული იდგა მურა კიბესთან და იბერტყებოდა. თინია გემრიელად ტიროდა. სიამით ელგოდა ცრემლებით გაბერილი გული.

— გოგო, შენ სუ უნდა ტიროდე? — მეზობლის ქალმა „ლიტრიანი“ დადგა აივანზე და ზედ არ შეუხედია, ისე გაბრუნდა.

— შენი საქმე არ არის! ცივანი-მაიმუნი! — იყვირა გოგომ.

— შენ კი არ გეზარდე შენს პატრონს, კარგი არ გასაზრდელი იზრდები, აჰა! — ეზოს კარები გაიხურა მეზობლის ქალმა.

თინია დაბლა ჩავიდა და აივნის ქვეშ შეეჭრა. იქ მურას ეძინა ხოლმე და ძალის სუნი იდგა. „აივნის ქვეშ“ თინიას ადგილი იყო. მიჯდა კედელთან და ამოუშვა — ვაიჰე. დედი, გიკვდები! — ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გაამწვარა. იჯდა, ტიროდა. თვალწინ დედა ედგა. ხედავდა კალთაში ჩამხობილი ხელებით, გრძნობდა ყელთან საცოდავად მთრთოლავ ძარღვს და ენატრებოდა, ენატრებოდა და ებრალებოდა დედა, რომელსაც აღარაფერი ვააჩინდა იმის გარდა, რომ რაღაცნაირად განსხვავებულად ატარებდა ლურჯ შიფონის კაბას და გადასარევედ კითხულობდა ლექსებს (ეხლა ის ლურჯი შიფონის კაბა სადღაც, პატარა სოფელში უმწეოდ ირხეოდა კარადაში).

მერე თინია ოცნებობდა ობოლაშვილების შუშაბანდიან სახლზე, წითლად შეღებილ იატაკზე, მსხმოიარე ღიმილზე, რომლის ბატონ-პატრონი თვითონ იქნებოდა, და გაცეცხულ-გახარებული დედა დაინახავდა, როგორ დაეშვა თინია ორსართულიანი სახლის კიბიდან წითელი, დამაზი კაბის ფრიალით და დედამ დაუძახა „ნამდვილი“ სახელი — თინიკო!

ახლა სალომე ჯავახიშვილი გაახსენდა. ამ დილით გულისფანცქალით რომ მიესალმა და იმან პასუხი არ აღიარა, — რა დავუშვავ ეხლა მე სალომე ჯავახიშვილს. ეთქვა, — გაგიმარჯოს, შვილოო,

— არ ეკადრებოდა? — ნატრობდა „დიდ წყალზე“ მიმავალს ფეხი დაუსხლტეს და მოსტყუდესო, ვნახოთ მერე როგორ ჩამოვიღის თამაშ-თამაშით და არ მეტყვის გავიმარჯოსო...

როდის-როდის გამოძერა თინია თავის სამყუფელიდან. გარეთ ყველაფერი სხვანაირი იყო. მერე სულ მალე დამთავრდა დღე, რომელმაც სამუდამოდ დაბუღა მის მტკივნარ სულში.

მერეც, უკვე რომ დავაქვაცდა გივილო, ამ ამბის განხილვაზე ისეთ სიციხვილსა და უხერხულობას გრძნობდა, თითქოს ვინმესთვის ჩამოსართმევად გაწვდილი მარჯვენა უპასუხოდ დარჩენილეს ჰაერში.

როდის დაახწევ თავს: სახლებს, საკამურებს, მანქანებს, ქუჩებს, პაწაწა ვენებებს, თავის მართლებას, შვილის წვრილ კისერს, ვიდაცის ღიმილს, ვიდაცის ლანძღვას, იქვეების მთისხელა გორგალს? სად, სად იშრიტება შენი კეშმარიტი ნიშატი?

სიხკას თოვლი

— შინ იჯექი ხოლმე გახურებულ ლუმელთან, (ღუმელზე ვაშლის ნაცვქვენიები ეყარა, ნახშირის უთო იდგა და ყურმომტერეული ჩაიდანია), გარეთ თოვდა, ათოვდა ჩვენს ულამაზეს სახლს, ჩვენს ბუბებს, თუთებს, იასამანს. მე ვიჯექი და ვცდილობდი შენს დამახსოვრებას, შენი ხელების დამახსოვრებას, მაგრამ ძნელი იყო, რადგან შენი არსებობით იყო მოცული ყველაფერი და ვერ დაგიმახსოვრე...

ეხლა, რაც შენ უკვე აღარა ხარ და, ბედნიერო, გათოვს, ხელუხლებელი ფიფქი გეფინება, მახსენდება. ძალიან გყვარდა თავი, ოღონდ არ იცოდი, რომ ეს ცუდი იყო და არასოდეს არ ცდილობდი დაგემალა, კიდევ სისუფთავე და წესრიგი გიყვარდა ძალიან, საღამოობით გზის პირას, ხეზე გადმოდებულ კიბეზე იჯექი ხოლმე ყუნწში მოწყვეტილი ვაჭრით ხელში სალამსა და მოკითხვაზე დახარბებულად ყურმიპყრობილი.

გარეთ თოვს... ასე მგონია, წევხარ ეხლა და მადლიერების ცრემლი გასველებს... ციკვა ფანჯარასთან დგას. უყურებს თოვლს და ფიქრობს თავის წილ თოვლზე, რომელიც შორს, შორს დარჩა, — თოვლშივე და ხელუხლებელი: ნისლებსა და გორებს იქით, დიდხნის წინანდელი ზამთარი მოჩანს, — ეზო სავსეა თოვლითა და ხეებით. ეს ხეები სულით ხორცამდე შენ გეკუთვნებოდა: ჩამოუვლი და დალოპრილ, დაშაშრული ტანებით ყველაფერს გათავაზობენ: ეზო-კარს და მარანს, თოვლსა და ზამთარს, მიწის თბილ წიაღს...

ბუბები, ბუბები ხომ გახსოვს? ბზის მოკლე, ღონიერი ფესვების გადარჩენილ სიმშრალეს ისე შეიგულეებ, შეხედვას ვერ გაუბედავ დათოვლილ ბუჩქს, — ასე სიცოცხლე სხვანაირი ხდება და ფიფქით ამოპირული ნაცრისფერი ცაც სხვანაირი.

მერე ძახილი გადაევიღება ყველაფერს. თოვლი დევს, ვითომ არაფერი. შენ დაპირილი შეშა და ნაფოტი მოგაქვს თოვლით გაბრჭყვიალებული პირისახით და მზერა: რა არი ეხლა ეს თოვლი? თოვლივით მშვიდად ეშვება შენშივე (აი, ყველაფერი რაც შენ გაარჩიე და რასაც ეკუთვნის).

ასლა ანზორა შემოდის. კალოშებს კართან იხდის და ხელებს იფშენებს ღუმელთან. ციკვა ფანჯრის რაფაზე ზის წკირივით ფეხებზე ხელემშემოხვეული.

— ციკვა რა სახელია, გო, კატა ხარ? ანზორს ბამბაზიის მოშავო შარვალხალათი აცვია და წკრიალით ჩამოსულ ცინგლს მაჯას აშველებს დროდადრო.

ლელია გაროშვილი
მოთხრობები

— ბალო, თქვენ „ფეჩი“ არ გიღვანო, რაღა აქ აიტუხები ხოლმე? (თითქოს ანზორამ ჩამობარდნა წუხელ და მერე აქ იმიტომ მოვიდა რომ, არასოდეს დაეწყედეს ეს თოვლი) ციცკას ჩუმი სიხალეული უვლის ძარღვებში...

— გარეთ ზამთრის წმინდა სული ტრიალებს, კვირიონები ირევიან და ბაღჩის ბოლოში ერთად იძენებენ ყველა სიზმარი.

ციცკა ეხლა თუ შემობრუნდება და გზას დაადგება, იმ თოვლისაკენ, მივა და მიიტანს თავის ათასჯერ ჩაფრთხებულ სულს, მივა და ჩაიკეცება იმ თოვლში. სინანულისფერი გახდება ყველაფერი. ბინდი შეაცილებს სახლში, რომლის წარწერებით აჭრელებული დარბები საარყე ქვაბს შეუტეთეს დიდი ხანია.

ს ა მ ნ ი

თიხისფერ უბანში ცხოვრობდნენ. თეთრი ქვით ნაშენი სახლები თიხით იყო შელესილი, თიხითვე იყო გადალესილი ბრტყელი სამეზობლო ქვის სკამები, თიხისფრად იყო დამტვერილი ორბეები და თიხისფრად ივლისებოდა ყველაფერი წვიმის დროს.

ერთმანეთს ფეხის ხმაზე სცნობდნენ თიხისფერ უბანში და ერთნაირად ჩეულვებრივ საფიქრალ-სადარდებელით ცხოვრობდნენ.

მხოლოდ სადამოთბობით ეღებოდა ყველაფერს მუქი ფერი, სადამოთბობით ჩივილიდა ნახირი, თბილ ოხშივარს დატოვებდა თიხისფერი უბანი, კიდევ უფრო მჭიდროდ შემოგეჭმებოდა თავის თიხისფერი მკლავებით.

ერთოთახიან დაბალ სახლში ცხოვრობდნენ, შიგნით შესხნილი მოაჯირის სიმაღლე აივნის კარი ყოველთვის ღია იყო და ორივე ფანჯრის მინაც (ორივე ფანჯარა ეზოსკენ უყურებდა) ყოველთვის გადაგლესილი ბავშვის ნათითურებით. ძირკვარდინი ქვაბიდან მკრთალად ანათებდა ბაღბა და აგურის ფილეზე მისი ყვითელი ფოთლები ეყარა.

ოთახში თეთრად შეღებილი კედლები განზე გამდგარიყვნენ და ისე იმზირებოდნენ, თითქოს ბოროტი კაცი ჩაწიკწიკებულ კბილებს აჩენსო. ჭერის ღრიტოში სიმინდის ყვითელი ტარი იყო გამოჩრილი. სიმაღლის მიხედვით ჩაწიკწიკებულ წიგნებთან მიახლოვებასაც ვერ გა-

ბედავდი, — წესრიგს ემსხვერპლა ისინი. თაროს კიდევუ ორ კოჭისძაფზე კბილდაკლებული სავარცხელი იდო. სახელდახელოდ გასწორებულ, ორ ერთმანეთზე მიდგმულ რკინის საწოლის ქვეშ ღამის ქოთანი იდგა და ზედ ოთხად გადაკეცილი გაზეთი ეფარა. კედელს დატანებული განჯინები ოდესღაც ცისფრად ყოფილიყო შეღებილი. განჯინის გამოღებულ კართან ხუთიოდე წლის ვაგო მიმჯდარიყო (სახელად ნანო) და პირდაპირ ქილიდან ჭამდა მურაბას, დანანე კიდევ (სამი წლით უფროსი ვაგო) ტახტზე იწვა მობღუნებული და ეგრე მობღუნებული, შეყვარებულის დაქვრილ მზერაში დალივლივებდა. ზედიზედ იხსენებდა, როგორ გადააწოდა პალტო და შეხებდა. გუშინაც „ფეჩთან“ ადგილი დაუთმო და უთხრა, გაითბე ეგ შენი ბრტყელ-ბრტყელი თითებიო, — მაგრამ დღეს რომ პალტო გადააწოდა, სულ სხვა რამე იყო...

სიმკვეთრითა და სიმძაფრით დამუხტული ვაზაფხულის დღეა. დალინესა და ნანოს დედა სკოლიდან ბრუნდება. ცალ ხელში სანავთე უჭირავს, ცალით რვეულებით სავსე ჩანთა აუხუტებია გულზე, რვეულებიან ხელში დიდი ნაჭრით ფეხებშეკრული იის შემკვარი კონა უჭირავს (მოწაფეების ნაჩუქარი), ნავთს ჭუპუნე ვაჟებს სანავთეში. ქალი ცდილობს განზე დაიჭიროს სანავთე.

მაინც შეეშეფა. მოგიკვდეს პატრონი
შენ, — მოგიკვდეს პატრონი, შენც მა-
ისვენო და შენმა პატრონმაც! — თავი-
სივე სიტყვებზე მწარედ გაეღიმა.

ღედა ეხლა გარეთ, აივანზე ნავთს
ასხამს ნავთქურაში. დალინე და ნინო
ოთახში, ტახტზე სხედან, ერთმანეთის
გვერდით, თავჩაღუნულები. განჯინის
კარიც მიხურულია და ოთახიც მილაგე-
ბულ-მოლაგებული.

ღედამ ნავთქურა შემოიტანა, კედ-
ლის ძირას მიდგმული ქვაბი აიღო, ქვა-
ბში სუპის ნარჩენი იყო. მერე პური გა-
დმოიღო განჯინიდან და ლუკმა-ლუკმა
ჩაამტვრია.

ნანომ და დალინემ თავები კი წამოს-
წიეს, მაგრამ ჩუმად ისხდნენ მაინც.

ღედამ ნავთქურა ჩააქრო. სამი კოვზი
გამოიღო განჯინიდან. სამი დაბალი სკა-
მი შემოუღდა ნავთქურას და პირდაპირ
ქვაბიდან დაიწყეს ჭამს.

დალინეს პირთან მიტანილი ლუკმა ჩა-
უვარდა. ღედამ ხელში ჩაართვა და პი-
რგამოტენილმა — უთხრა: — რატო ამ-
ას არ უვარდება, ეს უფრო დიდი თუ
შენ?

დალინემ კოვზი ქვაბში ჩატოვა და
ატირდა. ღედა ძალიან შეწუხდა. კარგი,
ჭამე ეხლა თუ ღედა გიყვარს! (ნანო
ისე განავრძობს ჭამას, თითქოს არაფე-
რი მომხდარიყო).

დალინე ისევ ტიროდა. — არ მიყ-
ვარს? — იყვირა უცბად რაც ძალი და
ღონე ჰქონდა. — არ მიყვარს! ადვი-
ტახტზე გადაჯდა და დიდი ქალივით
დაიწყო: მოვმკვდარიყავი, რა იქნებოდა
მაშინ, ავად რო ვიყავი, რა მადლი იქ-
ნებოდა, მოვმკვდარიყავი!.. და ტრის.

ქალი ნავთქურასთან ზის. მუხლებშუა
ხელებჩაწყობლი. — დალინ! — უცბად
აიღო თავი ნანომ. — მღვრიე წყალი და-
ლიე და მოკვდები, გაიგე?

ახლა იმას გასცივდა თავში თხლაშა-
ნი და ახლა ის ატირდა. მესამე კოვზიც
დაცურდა ქვაბში. ნანოც ტახტზე აძე-
რა. ქალს ჩუმად ჩამოსდიოდა ცრემლე-
ბი. მერე თვითონაც მივიდა შვილებთან.

ტახტზე კედლის ძირას მიჯდა, პატრონი
გულში ჩაიკრა და ხმამაღლა აქვითინდა.

ორღობეში, დიდი, ორსართულიანი
სახლის ყრუ კედელთან ბავშვები ჩაყუ-
ნცულან და კურდღლებივით ყურდაც-
ქვეტილები უსმენენ დალინეს. დალინე
ყველაზე დიდია. შუაში ჩაყუნტულა, ბა-
მბაზის კაბის ბოლო ტერფებით უჭი-
რავს:

— ჩვენ გამტკიცულ პურსა ვჭამთ
სულ, ისე პურს გემოს ვერ ვატანთ,
თქვენა?

— ჩვენ მარტო სტუმრებს ვაჭმევთ
ხოლმე გამტკიცულ პურს, — პასუხობს
პატარა ბიჭი და თან დაბლა მიწაზე იყუ-
რება. სხვებიც მორცხვად შეჰყურებენ
დალინეს, რომელიც თურმე სულ გამ-
ტკიცულ პურსა ჭამს.

— ეგ კი არა და, იცით, რა? — იწყებს
ახალ ამბავს დალინე, — ზამთრის პირ-
ზე, ვიდრე თოვლი მოვა, უნდა მოიტა-
ნო ბლომად შეშა რო მთელი ზამთარი
თავისუფლად გეყოს. უნდა დაჰკლა ერ-
თი-ორი ღორი და დაამარილო, ი „დიდი
წყლის“ მილიც რამენაირად ეზოში შე-
მოიტანო და ყველაფერს რო მოასწრებ,
სწორედ იმ დამეს მოვიდეს თოვლი, თო-
ვლი რო პა? სუ გადაათეთროს იქაურო-
ბა. კარში აღარ გამოისვლებოდეს. ის
კი არა, საღამოობით ტყიდან შეღიები,
კურდღლები და ციყვები უნდა მოდიო-
დნენ და კარზე გვიკაკუნებდნენ — გა-
გვიღე, გაგვიღე, რა, ცოტას გავთბები-
თო (ბავშვები ცარიელი სულებილა სხე-
დან და ისე ისმენენ) გავუღებ კარს, შე-
მოვიღენ, შემოიტანენ გაყინულ კულებს
გათოშილები, მშვივრები... „დალინეე!“
— ნანოს ხმამ მოაწია. დალინემ ეგრევე
დაყუნცულმა დაიყვირა: — „რაა!“ —
ჩქარა, ჩქარა წერილი მოვიდაა!“

დალინემ მოჰკურცხლა. ორღობე გა-
მოათავა. დაღმართის თავში ნანო დგას.
ყელგამოწვდილი, დასაყირავებლად გა-

ლელია ზაგოზვილი
მოსხრობაბი

შზადებული.. დალინე დაინახა და ხელე-
ბის ქნევას მოჰყვა. ჩქარა, დალინ, — ბა-
ბოს წერილი მოვიდა! — და გაიქცა, და-
ლინე უკან მიჰყვა.

ოთახში მაგიდაზე კიდევმომხეული
კონვერტი დევს. დედას სახე აღანძვია
სიხარულით.

— რაო, დედი? — იკითხა დალინემ.

— დამხვდით კვირას. ხვალე ბაბო
აქ იქნება.

დალინე ატირდა. მისმა გაუხარელმა
ბავშვობამ სიხარულის ყიჟინა არ იცო-
და.

დიდი სამზადისი აქვთ. ალაგებენ. აპ-
რიალებენ ყველაფერს. დედაც და შვი-
ლებიც.

დალინემ საიდანღაც ნიორა ყვავილე-
ბი მოიტანა და კილოიან ქილაში ჩადო.

მერე დედა სადგურში წავიდა. თან
ორი მოსწავლე გაიყოლა და ვირი ბარ-
გის ამოსაზიდად. (სადგური სოფლიდან
ხუთიორე კილომეტრით იყო დაშორე-
ბული).

თვითონ სახლში დახვედრა არ ინდო-
მეს. ახლებში გამოწყობილები მეზობ-
ლებთან გადავიდნენ, რომ გაეგონათ:
„დალინე, ნანოო! — ბაბო ჩამოვიდა,

ჩქარაა!“ გამოცვივნილიყვნენ. ბაბოს
დაენახა, როგორი სირბილი ისწავლეს,
როგორ უხდებოდა ყველაფერი და ჩაპ-
კონებოდნენ. აღარც ქამა აგონდებო-
დათ, აღარც სმა. ნანო რამდენჯერაც
ჩამოვდა, დალინემ წამოავლო, კაბა გა-
გესვრებო. თვითონ ხო სულ ზეზეუ-
ლად ვაატარა ეს დრო.

მოსაღამოვდა. „დალინე, ნანოო!“ —
დედის დაქანცული ხმა საზარელი სიმა-
რთლით იტყობინებოდა, რომ სასიხარუ-
ლო არაფერი იყო. ხელიხელს ჩაჰკიდეს
და ავიდნენ. დედა ტახტზე იწვა გულა-
დმა, ცრემლგამშრალი: დედა მოგიკვ-
დათ, შვილებო, დედა! — არ იყო ავტო-
ბუსი. არ გამოვიდაო. მოდით ჩემთან,
ამოდით!.. — დალინე და ნანო ტახტზე
აძვრნენ. იმ ღამეს ერთად ეძინათ.

დილას სკოლაში მიდიან: დედა, დალი-
ნე და ნანო. დალინეს ჩანთა უჭირავს
და ჩანთისკენ გადახრილი მიდის. ნანოს
დედისთვის ჩაუკიდია ხელი და ცალ მხა-
რეს ჩამოშლილი ნიფხვის ტოტი სასაცი-
ლოდ მოუჩანს. მიდიან დაწმენდილი
აღამიანური სახეები აქვთ, ესლა მათ
ბაბოს ჩამოუსვლელობა ურჩევნიათ. ამ-
ასვე ადასტურებს გაზაფხულის ტკივი-
ლით შეძრული დილა.



გალაღა თავაზიანოვის შესახებ

არა ბატონო!
ეტიკეტზე და ჯენტლმენობაზე
ვინ ამბობს უარს,
მაგრამ ნამეტანს
ნუ ვიზამთ მაინც.
მოგესხენებათ,
საქმეს არ უყვარს
მეტისმეტი რევერანსები.
თორემ ჩვენც ისე არ დაგვემართოს...

.....
მოკლედ, ერთხელ
ერთ თეატრში
საჭირო გახდა,
რომ მიუკიბავ-მოუკიბავად
ვინმეს ერთს მაინც
ეთქვა სიმართლე.
მაგრამ ატყდა მთელი ამბავი:
„ქალიაო.
როგორ ვუთხრათო.
თუკი თვითონ ვერა ხვდებაო.
სირცხვილიაო.
ენწყინებაო.
გვერიდებაო...“
ჰოდა, ვერ უთხრეს.
და ჯიტიტომაც
ყველა დადგმის გადაკეთება მოუხდა
თეატრს:
შეცვალეს ყველა სიუჟეტი,
დეკორაცია,
კოსტუმები,

მიზანსცენები.
და მუსიკაშიც
(თუმც კლასიკოსთა იყო მუსიკა)
შეიტანეს პატარ-პატარა კორექტი-
ვები...

.....
თავაზიანი მაყურებლები
არ იმჩნევდნენ არაფერს სულაც,
ტაშსაც უკრავდნენ
და „ბრავო“-საც გაიძახოდნენ.
მერე ასევე
კარგად გაზრდილი კრიტიკოსები
ორიგინალურს უწოდებდნენ
იმ წარმოდგენებს
და ახალ სტილზეც ლაპარაკობდნენ...
და... ვაი, ამ დღეს!
თვითონ განსაჯეთ,
როგორი იყო სტილი ახალი:
გამოდოდა ჯგუფად მთელი ბაღე-
ტის დასი,
სოლისტებიც, კორდებალეტიც
და ასე, ციმციმ, მაღლა აწეულს
უსაშველოდ გასუქებულს
თავიანთ პრიმა ბალერინას
გამოიყვანდნენ,
წამოაწვედნენ საცოდავს ფრთხილად
და მერე ნაზი მუსიკის ხმაზე
გრაციოზული ბიძგებ-ბიძგებით
დიდი კასრივით დააგორებდნენ...

მოკრივე და იასამანი

გაჭედლიყო
დიდი დარბაზი.
დარბაზის ცენტრში
რინგი იყო განათებული,
ხოლო რინგის ერთ კუთხეში
თვალდახუჭული იჯდა სკამზე
დიდი მოკრივე.
აქეთ-იქით ბაგირებზე ჩამოეწყო

თავისი მძიმე ხელთათმანები,
გონებაში იმეორებდა
ათასწაირ ხერხებს და ფანდებს
და მეტოქეს
ელოდა მშვიდად...

მაგრამ უცებ
რალაც იგრძნო შემაშფოთებ-

და ეს რაღაც
დარბაზში უცებ ჩამოვარდნილი
სინჯუმე იყო.
გაახილა მოკრივემ თვალი...
და წამოხტა გაცოცხლებული:
მოპირდაპირე კუთხეში რინგის
იდგა ლამაზ საოცრებად
აფრქვევდა სურნელს
აყვავებული ისამანი.
მოკრივემ მსაჯს
შეხედა კითხვით.
იმან კი მხრები აიჩინა;
„აბა რა გიყო,
არაფერი მეც არ ვიციო“
და ჩაპბერა თავის სასტვენში;
მოკრივესაც რა დარჩენოდა,
იგი ზომ დღემდე
დაუმარცხებლად იბრძოდა რინგზე
და ძალიან უფრთხილდებოდა
დიდი მოკრივის რეპუტაციას.
მან მყის საბრძოლო მიიღო დგომი
და ხელები დაიკავა, როგორც წესია,
ერთი ცხვირწინ აიფარა,
მეორე კი წინ გაიშვირა
და აყვავებულს
ეკვეთა ბურჯს ისამანისას.
პირველივე ძლიერი დარტყმით
მოტყვა ტოტი რამოდენიმე,
უკან გადმოხტა,
შეითამაშა,
მოამზადა
კიდევ უფრო ძლიერი დარტყმა
და კვლავ ეძგერა...
მაგრამ უცებ დაბარბაცდა...
დაბარბაცდა დიდი მოკრივე
გაჩერდა წამით
და ძირს დაუშვა
თავისი მძიმე ხელთათმანები.
დახუჭა თვალი,
კვლავ გაახილა,
მერე რატომღაც გაუღიმა ისამანს,
მსაჯსაც შეხედა,
ხალხსაც შეხედა გაღიმებულმა...
და მონყვეტით წაიქცა იქვე.
თვალდაჭყეტილი
თავს დაადგა საჩქაროდ მსაჯი
დაიხარა და თვლა დაიწყო:

„ერთი, ორი, სამი და ოთხი...
იჯდა ხალხი სულგანაბული
„ხუთი და ექვსი... შვიდი, რვა და
ცხრა“...

და როდესაც მსაჯმა თქვა, „ათი“
გაოცდა ხალხი:
უცებ მათ თვალწინ
გაქრა მოკრივე
მერე როცა დააკვირდნენ
უფრო გაოცდნენ:
კი არ გაქრა
დიდი მოკრივე,
თურმე იქცა პანია ჩიტად.
ჩიტმა ერთი შეიფრთხილა
აფრინდა მალლა
შეიჭიკჭიკა
და მსაჯს სულმოთლად გაშტერებულს
ჩამოასკუბდა ლამაზად მხარზე.
მსაჯი ერთხანს იდგა უძრავად,
ეშინოდა განძრევის თითქოს,
მერე თვლებში ჩაუდგა სხივი
ეტყობა რომ რაღაც დიდს მიხვდა,
გაიღიმა
და ხმამაღლა, მხიარულად
გამოაცხადა.

„ისამანმა გამიმარჯვაო“.
აიყვანა
და ისამანის აყვავებულ ტოტზე
დასვა
პანია ჩიტი.
და ვიდრე მსაჯი
ისამანის სურნელებით გაბრუნებული
ახალი ჩიტის აღტაცებულ ჭიკჭიკს
უსმენდა
ხალხმა დარბაზი დატოვა ჩუმად.
გამოვიდნენ,
ერთმანეთისთვის არ შეუხედავთ,
წავიდნენ სახლში.
და იმავე ღამით
უკლებლივ ყველა
გაიპარა იმ ქალაქიდან.
სხვაგან დასახლდნენ,
ქალაქისკენ გზები დაკარგეს
და მერე სულაც დაივიწყეს
მოკრივეც და ისამანიც...

აქ უნდა ითქვას,
რომ სამნუხაროდ,
საოცრებები რატომღაც ხშირად
ხდება სწორედ ბრწყინვალე ქალაქში...

მას შემდეგ დიდი გავიდა ხანი.
ყოფილი მსაჯი
ახლა კაცი გულმეცნიერი
უვლის იმ ბუჩქს იასამნისას.
და სულ ყვავის იასამანი.
ჩიტი დაფრინავს, ჭიკჭიკებს ჩიტი,
კაცი ბუჩქს უვლის
ან ზის იქვე, წიგნებს კითხულობს
დიდ წიგნებს ლამაზნახატებიანს.
ცხოვრობენ ასე,
მშვენიერია ცხოვრება მათი.
მაგრამ დროდადრო
შეირხევა იასამანი,
კაციც უცებ თვალს მოსწყვეტს
ფურცელს
ნაღვლიანად ამოიხრებს

და პანია ჩიტის ჭიკჭიკსაც
გაერევა სევდა ფარული...

ალბათ მიმიხვდით
რაც მინდა, ძმებო, შემოგთავაზოთ.
მოდით გადავლოთ ყველა საქმე
ვითომ დიდი,
ვითომ საჩქარო,
ვითომ საჭირო,
მოდით წავიდეთ
და იმ ქალაქს დავუწყოთ ძებნა.
ვეძებოთ დღისით, ვეძებოთ ღამით
წვიმაში, თოვლში, ქარში, გრიგალში
ვეძებოთ ძალა გვეყოფა ვიდრე,
რადგან იქ გველის
ჩვენს ყოველდღიურ პანანინა გამარ-
ჯვებებზე
ღირებული ათასჯერ უფრო:
მშვენიერი დამარცხება
ორთაბრძოლაში აყვავებულ
იასამანთან.



სიკლიდან — «ქალაქელი»

დილა

დილამშვიდობის, ქალაქელებო! რა ისე მიხვალთ, თითქოს ციხიდან გამოიქეციეთ... თქვე კაი ხალხო, სად იხედებით, — რა დაგკარგვიათ ამ ასფალტზე... ამ ქვაფენილზე... თავის აწვეა რად გეზარებათ, ნაცნობს არ უნდა მიესალმოდით?

საიდან, რატომ? — ეს დანისლული სიფათები ვინ მოგაშავათ. ვინ დაგახატათ, ვინ, ლოყებზე მჭკნარი ფოთლები. რა გაგიჭირდათ ისეთი, რა, — სიხარული რამ დაგავინწყათ? შუბლები ისე გაქვთ მოღრუბლული, — ვერ ნაეიკითხვ რა სწერია მე მაგ დაფებზე...

თქვენ რა გგონიათ, რაც თქვენთვის ხმება, ჩემთვის ყვავილობს? მაგრამ დილაა, — გული არ მიზამს, არ ვუთანაგრძნო ქალაქის ჩიტებს, ცის გამორენას რომ ზეიმობენ, სადაც, დღეს მათი ფრთების მარაო გაანიავენს ჩვენთვის ჰაერს, წუხელ ქალაქის სიზმრებით რომ ამტვერებულა...

ან ამ მდინარეს, ქალაქს მკერდზე ნახმლევით რომ ამჩნევია, ჩემი დარდებიც მივუმატო? მას საკუთარიც ყელამდე აქვს. მაგ საცოდავს, დღემდე თავისი ნამდვილი ფერიც ვერ მიუღია... და მეც მის გვერდით მოწყენილმა როგორ ვიარო?..

თქვენ რა გგონიათ, მე წუხელის ტკბილად მეძინა? კარგი სიზმრების ფილმს ვუყურებდი?... მაგრამ დილაა, — გული არ მიზამს ქალაქის ხეებს ნაფუხდინო განწყობილება, ჩვენს კარ-ფანჯრებში კარგი გულით იხედებიან...

თქვენ რა გგონიათ, მე ამ ქალაქში ერთადერთი კაცი ვარ, ვისაც სადარდელი არ გამაჩნია? რა ვქნა, დილაა, — ამ მზეს, რომელსაც ცხრა თვალი აქვს, ჩვენი ჭკვიანი ბავშვების აზრით — განა რამეს გამოაპარებ! ნუ, ნუ შეხედებით ამ მზეს მოწყენით... ის დღეს მეორედ როდი ამოვა!

მზის ხათრი მაინც იქონიეთ, ქალაქელებო ყოველ
განთიადს ჩვენთვის ებრძვის იგი ურჩხულებს და სისხლს
ღვრის ჩვენთვის... და ნუ ხართ ასე, — საღამოისთვის
გადადევით უგუნებობა... ასნიეთ თავი, მზეს გაუღიმეთ,
თვალეებით მზეს და

„დილაგმვიღოჯის“ გამიგეტეთ ერთმანეთისთვის!..

შუადღე

აი, მე ვხედავ, ქალაქის თავზე, როგორ მწვანდება
მკათათვის მზე რომორ მწვანდება. „კაცი კი არა, ეხლა
წყალიც დაისვენებს“ — გამიგონია ამ დროს სოფელში. აქ
არ ამბობენ არც ისე და არც სხვანაირად. ამ ქუჩებს
ვინმემ ზევიდან რომ დაჰხედოს ეხლა, ჭიანჭველები
ვეგონებით, თაფლის ერთ წვეთს შესეულები...

დასიცხული ასფალტი ბოლავს... ისე დადიან
ქალიშვილები, შიშვლდებიანო, იფიქრებს კაცი.

გაკვირვებულნი დაჰყურებენ თავთავიანთ ჩრდილებს
ხეები: „ნუთუ ასე მცირენი ვართ“...

ჩიტებს ჰქონიათ ჭკუა, ჩიტუნებს, — გაკრეფილან
სადღაც ყველანი. ალბათ წყაროსპირს კენჭებზე სხედან,
ან ჩანჩქერის ახლოს დაფრენენ და იგრილებენ მხურვალე
მკერდებს...

ბედნიერია ის გოგონა, ფორტეპიანოს რომ უზის ეხლა.
ვისი თითებიც კლავიშებზე ისე ეცემა, როგორც თოვლიან
ტოტზე ფიფქები. ვისთვისაც აღარც შუადღეა, აღარც
სიცხე,
აღარც სიცივე. ვისთვისაც მხოლოდ ვივალდი და მოცარტია
სუყველაფერი.

აგერ კი, გროვად რომ დამდგარან ქალაქელები, —
(გასტრონომში შესვენებაა) გაოგნებულნი უგაღებენ
ყურს შუადღის ზარებს, ზარებს, მწვანე მზის ენაზე
რომ ლაპარაკობენ...

საღამო

მზე რომ ამოდის, მზე — დაირა, რომ უჭირავს ცალ
ხელში დილას და მეორეთი უკრავს და უკრავს... რომ
ცისქვეშეთმა გამოიღვიძოს, შენ მაშინ ფიქრით დაღლილი
ხარ, ჩემო ქალაქო!

და იღვიძებენ ქალიშვილები... პენუარებით დგანან ფანჯრებთან და მზეს უწევენ „კონკურენციას“... ო, ის ფანჯრები როგორ გვანან მაშინ შუქურებს!... და შენ სიმხნევე გემატება, ჩემო ქალაქო!

მერე საქმე აქვთ დიასახლისებს... მათ, ჭრელ წინსაფრებს უფრიალებს ორმხრივი ქარი. მაგ წინსაფრებში გვანან სწორედ ისინი დროშებს, დაპყრობილ ქვეყნის სევდიან დროშებს... და შენ მათი დათმობის ნიჭი გულს გიკეთებს, ჩემო ქალაქო!

და ერთი ფანჯრის გაღება ხომ ერთი სახლის გაღიმიებაა... მაგრამ შენ, შენ რომ გაგელიმოს, — ყველა სახლი ალებს ფანჯარას.

ასე დღევდება ყოველი დილა და შენ აგრძელებ ფიქრს თეთრ დღეებზე. მე ეს მახარებს და შენს გზებზე ისე დავდივარ, თითქოს მერცხალი ვიყო, მკერდით რომ ეხება მდინარის სარკეს... ისე დავდივარ, — ნაკვალევი ჩემი თოვლზეც არ დაემჩნევა... და ყოველი ხე, სახლი თუ ჩრდილი, კაფე თუ ქალი ისე მიზიდავს, როგორც კომპასის ისრებს სამხრეთი და ჩრდილოეთი... და აღარ ვიცი, აღარ ვიცი, სიხარული როგორ დავხარჯო...

მაგრამ ხომ მოვა ის დღეც, ხომ მოვა, თუ მის მოსვლამდე მე არ ნავედი... ის დღე, როდესაც ვიფიქრებ, რომ მენებება ტერფები გზაზე. ის დღე, კაკუნს რომ გავიგონებ მინის მკერდიდან, როგორც დაბლა სართულიდან იციან ხოლმე ბეტონის ჭერზე, რაც მოკლედ ნიშნავს: „მეზობელო, ჩვენსას ჩამოდი!“ — ის დღეც ხომ მოვა?

სწორედ იმ დღეზე ვფიქრობ ეხლა და ვხედავ, ვხედავ: მზე ისე ჩადის, თითქოს არასდროს არ ამოვა, ჩემო ქალაქო!

ღ ა მ ე

რამ გამაღვიძა, უძლურებამ? უნებისყოფო ხასიათმა? იქნება ძალამ, რაიც ჩემში ვეღარ ეტევა, რა გაძლევს ეხლა ამ ოთახში გათენებამდე. რა უსმენს, რა, უძილობის და მარტოობის ბუკს და ნაღარას. ედგები, შუქს ვანთებ და თვალი მხოლოდ იმ ნივთებს ხვდება, რომლებსაც მინდვრის ყვავილებივით მოუჩანთ შენი ნათითურები და ბალიშის ქვეშ მესმის, როგორ ტირის სიზმარი, დასიზმრება რომ ვეღარ მოასწრო... და კი არ ვიცვამ, — ტანსაცმელში შევრბივარ, როგორც ნაცნობ გვირაბში მატარებელი და გავდივარ ღამის ქალაქში.

მშვენიერია ღამის ქალაქი, როგორც
თვალები შენი ლოდინის... მე ვებრალეა აქურები, ვისაც
კი ამ დროს ამ ქუჩებში არ გაუვლია და საკუთარი
ნაბიჯების დაფდაფებისთვის არ უსმენია... მივალ, —
ჟამიჯამ ღამის პეპლებს შევაშტერდები, რომ ეხვევიან
ქუჩის შუქფარებს და მაგონდება ჩვენი ქორნილი, შენ რომ
გეხვევენ მექორნილე სოფლის ქალები, — აგხედავდნენ და
დაგხედავდნენ, ჩურჩულებდნენ და ჩურჩულებდნენ,
ტუჩებზე ხელებმიფარებულნი.

(მშვენიერია ღამის ქალაქი, როგორც თვალები
შენი ლოდინის).

მივდივარ, — ქალაქს თითქოს ფრთებად უნდა შეესხას
ღამის სიჩუმე. ვფიქრობ, საცაა აფრინდება და გადაუვლის
ვარსკვლავებს თავზე, ვით ყვავილებზე მისეულ ფუტკრებს,
საკვების ძებნით დაღლილი ჩიტი... ვფიქრობ, საცაა ამ
სახლების ოთხივ კედელი ნეილონივით გამჭვირვალდება და
მე ვიხილავ ქალაქელების უნიღბოსა და ნაღდ არსებობას.

(მშვენიერია ღამის ქალაქი, როგორც თვალები
შენი ლოდინის).

მამლის მეორედ დაყვილება თუ იქნება ეხლა სოფელში.
თქვენ ალბათ გძინავთ რძალ-დედამთილს, (შენ ზალაში,
მას — შუშაბანდში) და ჩემზე ხედავთ სიზმარს ორთავე.
შესაძლო არი არც გეძინოთ, — დედას ტკივილი არ აძინებ-
დეს, შენ — კენესა მისი. (მე არ მოგიხბდი ამისთვის ბო-
დიშს). რას იზამ, რას, — რძალი ხარ და უნდა ითმინო.

(მშვენიერია ღამის ქალაქი, როგორც თვალები
შენი ლოდინის).

გზის პირას, მაღალ სახლს ჩავუარე. პირველ სართულზე
შუქი აინთო. ფანჯარას ფარდა აღარა აქვს და ვხედავ,
აკვანს როგორ ურწევს, შენი ხნის ქალი. ბავშვის ტირილიც
მესმის, ღმერთო, რა კარგია, რა საყვარელი...

...დიღამდე ასე ვინეტილებ. დიღით ვაგზალში
წავლასლასდები და პირველსავე მატარებელს გავატან ჩემს
თავს დასავლეთისკენ... და შეიძლება, არც ვიბრუნო
პირი აქეთკენ...

(მშვენიერია ღამის ქალაქი, როგორც თვალები
შენი ლოდინის)...



მკნარობი ახალში

რომანი

ხვედრი

გედამცვიის მანქანამ ვარაზისხევი ბოლომდე ამოათავა, ახლად აგებულ თექვსმეტსართულიანი სახლის შესასვლელთან გაჩერდა. სხლი საქმოსნების აშენებული იყო. საქმოსნები კარგა ხანია ციხეში ამოაყუდეს, ჯუმა ბედიამკი თანამედროვე სამოთახიანი ბინა მიიღო. უკვე გაუნელდა პირველი სიხარული, აღარ ახსოვდა ლხინი, მოლოცვები, თუმცა არ დავიწყებია ნერვების წყვეტა, შიში, ტელეფონის რეკვა, ქრთამები, პროტექტორები და ათასი სხვა გაწამაწია.

ამოიხვნეშა. გრილი ნიავი მოელამუხნა, ყლორტების სურნელება მოიტანა.

წელს სრულიად ჩვეულებრივი გაზაფხული იდგა, თუმცა ყოველი გაზაფხული უჩვეულო ჩანს. დილას მოულოდნელმა კოკისპირულმა წვიმამ წამოუშინა, ქუჩები მღვრიე ნაკადულებით დატბორა. დღისით მზე აკაშკაშდა, ერთ საათში გააშრო პორტეხილი ასფალტი. თბილი და მშვიდი საღამო მოვიდა. ვიცა ც საწუხარი არაფერი ჰქონდა, ასეთ

საღამოს აივანზე უნდა მოკალათებულიყო, მშვიდად ეცქირა ჯილამოვებული დასავლეთისათვის.

ჯუმა ბედიას სად ეცალა ბუნების მეტამორფოზისათვის. მის სულში სიმშვიდე არ სუფევდა.

მანქანებს შორის ნაცნობი „უიგული“ შეამჩნია, უსიამოვნოდ გაჰკენწლა. კოტი, რომლის ასავალ-დასავალი აქობამდე არ იცოდა, ნამეტნავად თავგამოდებული „ოჯახის მეგობარი“ გაუხდა, ბედიებთან აღამებდა და ათენებდა. „ერთხელაც იქნება, კინწისკვრით გავაგდებ!“ — დაიქაღნა.

— თავისუფალი ხარ! — კარი მიუჯახუნა მძღოლს, მისი დამცინავი ღიმილი ნასუსხარივით თან გაიყოლა. მძღოლს იგი არ უყვარდა, უფრო სიღამწვრის სუნის გამო. არც თვითონ ეხატა გულზე, ოღონდ ითმენდა, სხვა მძღოლის შოვნა ჰქირდა.

ლიფტის ღილს თითი დააჭირა. ამაოდ. ლიფტი საღდაც შუა სართულებზე გაჩხერილიყო. გუნებაში შეივინა და კიბეს ფეხით აჰყვა. კაი თოთხმეტი სართული უნდა ეწოწიალა. წინათ ალბათ

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 3, 4, 5, 6, 7.

ასკინკლით აირბენდა. ახლა კი ყოველი
საფეხური არაქათს აცლიდა და ყოველ
ბაქანზე სულის მოსათქმელად ჩერდებო-
და. უჩინარი, უსახო მტრის ლანძღვა არ
მიუტოვებია. სინდისია?.. ამდენ კაცთან
ჩააწყობ საქმეს, ამდენ ნაცნობს გამოი-
ყენებ, არ დაიხვე პირმოთნეობის, შან-
ტაჟის, გამოძალვის წინაშე, ქრთამს მი-
ახარჯავ მთელ შემოსავალს, დაბოლოს
კი ხელში ულიფტო სახლი შეგრჩება.

შინ ქურდულად შევიდა.
მაცაცუნას კისკისი შემოესმა და ჩა-
ნთა მაგიდაზე დაადგო, კართან მიიპარა,
ქუტურტუნაში გაიხედა. ყველაფერი არ
ჩანდა. მხოლოდ მაცაცუნას თითქმის გა-
შიშვლებული ბარძაყები და მამაკაცის
სქელლანჩიანი ცალი ფეხსაცმელი დაი-
ნახა. ამოიოხრა. დიდი ხანია ეჭვებოდა
„ოჯახის მეგობარზე“, მაგრამ იმდენი
საქმე დაუგროვდა, ბოლო ღროს მა-
ცაცუნაზე ხელი მთლად ჩაიქნია.

„მოდი, შევალ და ორივეს მოვკლავ“
— უგერგილოდ გაიფიქრა.

კარს მოშორდა. ფრთხილად აბიჯებ-
და, პარკეტმა მაინც დაიჭრაქუნა. ახალ-
თახალ ბინაში პარკეტი უკვე აცვივდა.
კედლებზე ბათქაში გაიბზარა. ტუალე-
ტიდან წყალი ქვემო სართულზე ჩაღი-
ოდა. ამაზე, კვირაში შვიდი დღეა, თო-
თხმეტყერი ჩხუბობდნენ მეზობლები.
კაპიტალური რემონტი იყო გასაკეთე-
ბელი, ერთი ბინის ფასი მოუნდებოდა.
მისი შემოსავალი კი მაცაცუნას ზიზილ-
ბიპილებს ვერ აუდიოდა. ბოლოს და
ბოლოს რა ისეთი თანამდებობაა ერთი
გაქუცული ჟურნალის რედაქტორობა?
ვინმეს რომ ყურადღება მიექცია მისი
ორგანიზატორული ნიჭისათვის და მინი-
სტრის მოადგილედ მაინც გადაეყვანა...

სულგანაბულმა მეორე ნაბიჯი გადად-
გა. პარკეტმა უხიანდრა, გასცა.

მეზობელ ოთახში გაჩუმდნენ. მერე
ხმადაბლა აჩუჩრჩულდნენ. ჯუმა ბედიას
ესიამოვნა, შევაკრთეო.

— ჯუმა, შენა ხარ? — იკითხა მაცა-
ცუნამ.

პასუხი დაუგვიანა.

— დიახ, მოვედი!.. ვინაა მანდ, მაცაცუნა
თან?
მაცაცუნამ ნაძალადევი ხალისით გა-
მოსძახა:

— იცი, ჩვენთან ბატონი კოტე მობრ-
ძანდა სტუმრად!.. მე მგონი, გაგახარ-
დება!..

— ლამის არის გავგიჟდე, — თავის-
თვის ჩაილაპარაკა ჯუმა ბედიამ. მეულ-
ლისათვის კი არაფერი უპასუხნია.

რალაცამ გაიჩხაკუნა, აჭრაქუნდა, ალ-
ბათ წამოდგნენ.

— იეჭვიანებს? — ხმადაბლა იკით-
ხა ვაქმა.

— ჩერჩეტია, ვერაფერს მიხვდება.

ჯუმა ბედიამ საგარბელი ფანჯარასა-
თან მიაჩოჩა, შიგ ჩაეშვა და ჟურნალის
ახალი ნომერი გადაშალა. სახეზე საქ-
მიანი იერი აისახა, აქიოდა, მომეშვით,
ბატონო, ძალიან დაკავებული ვარო.

— საღამო მშვიდობისა, ბატონო ჯუ-
მა, რომ იცოდეთ, როგორ მომენატ-
რეთ! — მხარზე ფამილარულად დაჰკრა
ხელი კოტემ. თამამად ლაპარაკობდა,
ხმაში დამბუღლობა მაინც ემჩნეოდა.

— მეც! — თავი არ აუწევია ჯუმა ბე-
დიას.

— ჩემს მეუღლეს სამუშაო აქვს, დღე-
დაღამ ასე მუშაობს... წამობრძანდით,
ყავას დაგალევიებთ!. — მაცაცუნა სა-
მზარეულოსკენ გაუძღვა სტუმარს.

— უკაცრავად, ხელი შეგიშალეთ! —
კოტეს ხმაში შეფარული დაცინვა გა-
ისმა.

ჯუმა ბედიამ არაფერი უპასუხა. ჟუ-
რნალის გადაშლილ გვერდს დაჰყურე-
ბდა, ფიქრი კი სხვაგან მიედინებოდა.
სად დაუშვა შეცდომა? ამის გაგებას
ცდილობდა. როდის გაიმარჯვა მასზე მა-
ცაცუნამ, როდის შელახა მისი პატივმო-
ყვარეობა, მამაკაცური ღირსება? პირ-
ველ ღამეს გაუქნია და ლეწა პატარ-
ძალს. ეგონა, მოკლავდა. მართლაც ვი-
ცივით დაექებდა იარაღს. ვერაფერი
მოიხელთა და მაცაცუნა ბეწვზე გადა-

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ურჩა. მეორე დღესვე უნდა გაეგდო სახლიდან, ქვეყანაზე მოეფინა მისი უნამუსობის ამბავი, მოსიერი ბრბოს წინაშე თმით ეთრია... მაგრამ მთელი ღვაწლი ძმას გადაანთხია. ცოლს კი მეტი არაფერი უთხრა. კაი თვე-ნახევარი უბრაოდ იყო, ხმას არ სცემდა... მის სულში რაღაც ჩატყდა...

თავდაპირველად მაცაცუნა მტრდევით წყნარი დადიოდა. ხმამალა ლაპარაკსაც ვერ ბედავდა. დათრგუნული იყო. თანდათან გაუარა შიშმა, რიდმა, პატივისცემამ. მიხვდა, მისი ქმარი არ იყო წინანდელი ჯუმა ბედია. სიღამწვრის ძლიერი სუნიც ძალაუნებურად ზიზღს უღვიძებდა. თავისი დანაშაული არ ახსოვდა, ქმრის დანაშაულს კი ბერავდა. ერთხელაც მოხდა და, ქმარს რქები დაეღვა. ჩუმად ჩაუარა ამ ამბავმა. ასე ჯობნებიათ და თავი აიწყვიტა, სანამ ქმარი სამსახურში წელს იწყებდა, კურობები შინ მოჰყავდა.

ჯუმა ბედიამ პირველად რომ შეასწრო, ხმა გაკმინდა, თუმცა ამღვრეულ სულში. მოღალატისათვის სიკვდილის განაჩენი გამოიტანა. მაცაცუნამ იაზრა, უსიტყვო შეთანხმება დადებულით. ქმარი უფრო შეეზიზღა, ვერ იტანდა. ჯიბე და ბინა რომ არა, დღი ხნის წინათ გაიქცეოდა. შურისძიების ეშმაკ არ იყო ბოლომდე დამცხრალი...

და აჰა, ახლა სამზარეულოში ეკურკურებოდა „ოჯახის მეგობარს“!

ჯუმა ბედია გამოერკვა. ყურნალი მუხლებზე ჩამოუცურდა. თავი აიღო. სამზარეულოდან მაცაცუნას კისკისი და კოტეს თავშეუკავებელი ხარხარი მოისმა. ერთმანეთს თუ ეღლაბუცებოდნენ. მერე დუმილი ჩამოვარდა. ჯუმა ბედიამ თვალნათლივ წარმოიდგინა, როგორ დაჰკონებოდა კოტე მისი ცოლის ბაგეებს და ისე წუწნიდა, თითქოს ოჯახის უფროსი არ იყო ცოცხლებს შორის... სისხლი თავში აუვარდა, წამოიწია, ოთახში მიმოიხედა. რამე მძიმე ნივთს ეძებდა იარაღად, ვერაფერი გაიმეტა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბა-

ტონო ჯუმა! — სახეზე ახლაც სიცილო დასთამაშებდა კოტეს.

სახეგაშუქებული მაცაცუნა მიაცილებდა სტუმარს. მსუბუქი ხალათი ეცვა. „ალბათ შიშველ ტანზე...“ — მღელვარებამ სუნთქვა შეუკრა ჯუმა ბედიას.

— უკვე მიღიხართ? — თავს ძალა დაატანა, ზრდილობის ვალი მოიხადა. — მეჩქარება, საქმე მაქვს!

ჯუმა ბედიამ გამოწვდილი ხელი ვითომ ვერ შენიშნა, ადგილზევე დარჩა. ხელები გულზე დაეკრიფა, ფლგმა დაუფლებოდა.

მაცაცუნამ სტუმარი კარამდე მიაცილა. იქ ცოტა ხანს შეყოვნდნენ. იქნებ კოცნითაც ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

კარმაც გაიჯახუნა და მაცაცუნა თავისი ოთახისაკენ წავიდა.

ჯუმა ბედია მოულოდნელად ადგილს მოსწყდა, კბის ბაქანზე გავარდა. ელვისურსწრაფესად ჩაირბინა რამდენიმე სართული. კოტეს წამოეწია. „ოჯახის მეგობარი“ უზრუნველად უსტვენდა და არ ჩქარობდა საფეხურების ჩათავებას.

— კოტე, საქმე მაქვს შენთან! — შორიდან დაუძახა.

ქაბუკი შედგა. ჯუმა ბედიას სახე არ მოეწონა, თვითონაც ზაფრანისფერი მოედო.

— გისმენთ!

— იცით რა, კოტე... — დამარცვლა ჯუმა ბედიამ და თვალი თვალში გაუყარა.

„ჩერჩეტი!“ — გაიფიქრა კოტემ. უმაღლვე იგრძნო, რომ ტყუოდა. ჯუმა ბედიას ტყვიასავით მძიმე და ცივ მზერას თვალი აარიდა, შიში ყინულის ბორკილებად შემოეჭდო ხელ-ფეხზე. ეს კაცი აშკარად არ წაეჩხუბებოდა, ჩაუსაფრდებოდა და ისე გამოლადრავდა ყელს, ხელიც არ აუკანკალდებოდა. სიამაყემ სძლია და გამომწვევად გაიმეორა:

— გისმენთ, ბატონო ჯუმა!

ჯუმა ბედიას ტუჩზე ოდნავ გაკვესა ცივმა ღიმილმა. მისი მოწინააღმდეგე უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა.

არაფერი უთქვამს, ზურგი შეაქცია და კიბეზე დატოვა.

ოლონდ დიდხანს არ შერჩა გამარჯვების სისხარული.

ზღურბლზე გააფთრებული მაცაცუხა დახვდა.

— ეტაჟე ხომ სტუმარს? არ დამიყენო არც ერთი მეგობარი!.. უფლებაც არა მქვს მეგობრები საკუთარ სახლში მოვიწვიო, არა?! ურჩხული! დეგენერატი!.. თვითონ არაფრის შნო არა გაქვს, არც სხვას აცლი ცხოვრებას!.. უნიჭო!.. მამაკაცი მაინც იყო!..

ჯუმა ბელიამ ხმა გაკმინდა. მხრებში მობუზულმა გვერდი აუქცია ცოლს, კაბინეტში ჩაიკეტა.

მთელი საათი ვერ დამშვიდდა მაცაცუნა. ხმამალლა ლანძღვა-გინება რომ მობუზრდებოდა, მოადგებოდა კარს და უბრაახუნებდა. მერე ეტყობა, დილაღა, ან იქნებ ტიროდა და ამიტომ არაფერი ისმოდა.

ჯუმა ბელია სავარძელში გაიშობა. თვალი ჰერს მიაპყრო. ცოლის ხმა მწერის ზუზუნად ჩაესმოდა. აზრს ვერ ხვდებოდა, ფიქრი ერთ წერტილზე გაეყინა. ან რა მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვებს, ისედაც იცოდა, მიწასთან ასწორებდნენ, ჭუჭყში თხვრიდნენ. საოცარი ისე იყო, რომ არ სწყინდა, არ აღელვებდა, აბუზარ ბუზსავით იშორებდა.

გვიან მიხვდა, რომ სახლში სიჩუმე ჩამოვარდა. ერთხელაც ამოიხვეწა, გული კინაღამ ამოაყოლა. სასტუმრო ოთახში ტელევიზორი ჩართო. კლასიკური მუსიკის კონცერტს გადმოსცემდნენ. სერიოზული მუსიკა ძილს ჰგვირდა. ახლაც გულგარეშე ისმენდა, თვალი ისევ ჰერისათვის მიეპყრო. ერთ ადგილას ნესტიანი ლაქა აჩნდა. ზემოსართულელს წყალი დაექცა ალბათ და უმაღვე გამოჟონა. უნდა ასულიყო და ეჩხუბნა, ჰერს თავზე რად მანგრევეთო. წამოდგომა დაეზარა... დილაღა!

ღიახ! ოჯახური ცხოვრება ვერ აეწყო... ქალები... ქალები... მე მისთვის, ის კი ეშმაკისთვისო...

ჩასთვლიმა. მოეჩვენა, რომ ყველაფე-

რი სიზმარი იყო, უსაშველოდ გატყუებული სიზმარი. გამოიღვიძებდა, ჩამოიფერთხავდა ზმანებებს, ადგებოდა, კიბეზე აირბენდა და მიადგებოდა იმ კარს... მზია... ამ სახელის გახსენებაზე გული ისე ეკუმშებოდა, როგორც მამინ გუჯმახანის საუფლოდან მომზირალს... მზია... ჯუმა ბელიას ისეთივე ახალგაზრდა, სუფთა, წმინდა სული უდგას, ვითარცა აკვნის ჩვილს... მზია!..

გამოფხიზლდა. წმინდა სახელი ყურში რეკდა... ამოიოხრა. ამერიდან ვერაფერს შეეცვლიდა. იმ სახლს კვირაში ერთხელ მაინც ესტუმრებოდა. კიბეზე თავდახრილი აივლიდა, არავისი ნახვა არ სურდა. ნაბინავარში ჩაიკეტებოდა, ავეჯისაგან დაცილდებოდა ოთახში. ზამბარებამოჩაჩულ სავარძელში ჩაჯდებოდა სარკის წინ. მრავალი საათი უჭკვრეტდა გარინდებულ. ათვლიერებდა საგრძნობლად დაბერებულ სახის ნაკეთებს, ახლად გაჩენილ ნაოჭებს, მელოტს, ჭაღარას... მეზობლები ალბათ ჭორაობდნენ მასზე, რალაც ეშმაკურს აკვარახჭინებსო. ზოგი ფიქრობდა, აქ საყვარლებს ხვდებო, რაც ცხადია, მაცაცუნას ყურებს არ ასცდებოდა... ჯუმა ბელიას კი ჭორწილის შემდეგ ქალთა ნაშვირი შესძულებოდა... იჯდა მდუმარად, მოთმინებით უცდიდა ჯადოსნური სარკის გაღვიძებას, რათა უკანვე მოეთხოვა თავისი სიღარიბე და წმინდა სული. თუმცა იცოდა, გვიანი იყო და ამისი იმედი არ უნდა ჰქონოდა...

შემოსასვლელის ზარმა დარეკა.

მცირე ხანს იყოვნა. მაცაცუნა ვერ გამოეტია თავისი ოთახიდან და ჯუმა ბელია გავიდა კარის გასაღებად.

საღებავებით ჭარბად მოთხუზნული, ვითომდა ულტრამოდერნი, ტანსაცმელმორჩაჩული გოგოები იყვნენ.

— ესმა შინაა?

— მობრძანდით!

სასტუმრო ოთახში შეაცილა, თვითონ კი კვლავ კაბინეტში ჩაიკეტა.

მაცაცუნას ხმამ მიახვედრა, რომ სტუმრებს გამოეგება. ატყდა ჟრიაშული, მტლამა-მტლუში, კისკისი. „რა ზეიმა ნეტავი?“ — გულგრილად გაიფიქრა. სავარძელში ისვენებდა და ყურს უგდებდა. მოკითხვები და მოლოცვები კარგა ხანს გაისმოდა, მერე მაგიდებისა და სკამების მიწევ-მოწევა, ჭურჭლის ჩხარუნნი. სამზარეულოში, ეტყობა, საკმაოდ გემრიელი კერძები გაემზადებინათ. ისეთი სუნი დატრიალდა, ჯუმა ბედისა ნერწყვი მოადგა. ახალა გაახსენდა, დილის აქეთ ხემსი არ ჩასვლოდა პირში.

კარი ოდნავ გამოაღო და ხმადაბლა გაძახა:

— ესმა.

მაცაცუნას სახეზე უმაღლვე გაქრა ღიმილი, კოპები კუმტად შეჭკრა.

— ესმა, — ჯუმა ბედის ხმაში ხეეწნა გაერია.

— რა იყო, რა დაგემართა, — ცხარე ჩურჩულით გამოეპასუხა.

— მშოა, მთელი დღე ლუკმა არ მიჰამია...

— უუჰ, — ზიზლით ამოიხვნეშა მაცაცუნამ, — მანდ მოიცადე, აქეთ არ გამოხვიდე, თორემ ააქოთებ მთელ სახლს... მოგიტან რამეს.

ჯუმა ბედია სავარძელს დაუბრუნდა. დიდხანს ელოდა. კუჭის წვა იგრძნო. გული მისდიოდა. სამზარეულოდან კი ისეთი მადისაღმძვრელი სუნი მოდიოდა...

მეორეჯერ გამოაღო კარი, ცოლი ჰირვეულად მოიხმო:

— ესმა!

— უუჰ გააწყალე გული...

გუშინდელი ცივი ბორში და მოხარული კარტოფილი გამოუტანა.

— ხომ ხედავ, სტუმრები მყავს!

— მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ დილიდან...

— ჰო, კარგი, კარგი! — გააწყვეტინა მაცაცუნამ და კარი მიხურა.

ისევ დარეკა ზარმა. ესმას ხმა სამზარეულოდან მოისმოდა, ქმარს ეძახდა, კარი გაუღეო. ვილაც სტუმართაგანმა

გაუღო. ბიჭების როხროხი და მზიარული შეძახილები გოგონების ყვილ-ხვილში დაიფარა.

— კამპანიას გაუმარგოს!.. ჩვენს იუბილარს დიდება!.. ესმას ვენაცვალე, ცამეტი წელი თუ შეგისრულდა?.. ვაჰ, რა გოგოები შეყრილან?!

„ნუთუ დღეს ესმას დაბადების დღეა?“ — გაუკვირდა ჯუმა ბედიას.

ჟრიაშული ცოტათი მიწყნარდა. ტელევიზორის დიქტორის ხმა გაისმა. პროგრამაში იყო „კანონიერების საღარაჯოზე“. ჯუმა ბედიას ისე უყვარდა ეს გადაცემა, ერთსაც არ გამოტოვებდა. ყოველთვის იცოდა, სად ვინ დაიჭირეს ქრთამისათვის, სპეკულაციისათვის, ჭურღობისათვის... „ასეთი კაცი უნდა დახვრიტო!.. წახდა ქვეყანა, რაები არ ხდება!.. ჩვენ, პათიოსან მშრომლებს ლამის სულთ ამოგვხდეს და...“ — მსჯელობდა მეორე დღეს. ახლაც სიამოვნებით გავიდოდა სასტუმრო ოთახში, მაგრამ ცოლის სიტყვები გაახსენდა და თავი შეიკავა.

მაგნიტოფონი ჩართეს, ჯაზები... ტელევიზორის ხმა ხელს გვიშლისო და ვილაცამ გამოთიშა.

საცეკვაო რიტმი აღელვებს სისხლს და აროკდნენ წყვილები... ფეხების ბრაგა-ბრუგი, მეტიჩრული ჰყვილი, ხორხოცი...

მერე სუფრას მიუსხდნენ, პირები ააწყლაბუნეს... დანა-ჩანგლის ჩხაკუნნი, სასმისის წკარუნნი, დაღვრილი სითხის რაკრაკი, გრძელი და უგერგილო სადღეგრძელოები, უკბილო ხუმრობა, სიცინი-ხარხარი, წივილ-კივილი...

ისევ ჯაზი, რიტმი, ფეხების ბრაგა-ბრუგი, ღლაბუცი...

მემთვრალეთა სიტყვის ლოღნა, ჩხუბი, გაწამაწია...

არა, მყუდრო ოჯახურ ბუდეს ვერ ეღიროსა ჯუმა ბედია...

სავარძლის სახელურს დახედა. ჩრჩილს ამოეხრა. მთელი ავეჯი დაფუტუროვდა და ცოტაცოტაობით ნადგურდებოდა.

უძრავობამ დაიღალა. წამოდგა და ბო-
ლთის ცემას მოჰყვა...

ფანჯარასთან შეჩერდა, შუბლი ცივ
მინას მიადო და ბნელში გაიხედა... ნა-
თურები ციმციმებდნენ ქუჩებში, თით-
ქოს მსუბუქ, სიფრფიანა ნისლში მი-
ცურავდნენ.

სახლთან ასფალტი ჯერაც არ იყო და-
გებული და ტაქსი მოხოხავდა ოღროჩო-
ლოზე.

უცბად გაჰბურძგლა ჯუმა ბედიას,
გააქროლა, შესცივდა.

უკან დაიხია...

— ესმა!

ფანჯრის მინას გარედან ვილაცის სახე
მისწებებოდა და საყვედურით აღსავსე
თვლებით შემოსცქეროდა.

თეთრი პერანგი და ჭინსი ეცვა... პე-
რანგზე სისხლის დიდი ლაქა აჩნდა...

— ესმა!

ჯაზის ღრიალში, მთვრალი მოცეკვა-
ვეების როკვაში მისი ხმა არავის გაუგო-
ნია. ჯუმა ბედიამ კარი გააღო, ზღურბ-
ლზე გაეჩხირა, ვერც სტუმრებთან გა-
დიოდა, კაბინეტში დარჩენა კი არ შე-
ეძლო.

იღვა ასე, სანამ გვიან ღამით ზარზე-
იმი დამთავრდებოდა.

დაღლილმა მაცაცუნამ სტუმრები რი-
გრიგობით კარამდე მიაცილა, ზოგი გა-
დაპროშტნა, ზოგს გაეღლაბუცა.

ჯუმა ბედია არავის შეუუმჩნევია.

— უჰ! — მაცაცუნა სავარძელში ჩა-
ვარდა, მკლავები აქეთ-იქით გადაყარა,
ცოტათი თვითონაც დამთვრალიყო.

ჯუმა ბედია მიუჩოჩდა.

— ესმა, მაპატიე, არ ვიცოდი, შენი
დაბადების დღე თუ იყო...

— ეგრე იციან მოსიყვარულე ქმრე-
ბმა, — შეაწყვეტინა მაცაცუნამ, ზან-
ტად წამოდგა, საძინებელი ოთახიდან სა-
ბანი და ბაღში გამოუტანა, დივანზე
დაუგდო.

— ეს ჰურჭელი ახვეტე, სამზარეუ-
ლოში გაიტანე... ეჰ, როგორ დავიღალე!
ზმორებისაგან სახსრებს ტკაცატკუ-
ცი აუტეხა, მთქნარებით წავიდა დასა-
ძინებლად.

ჯუმა ბედიამ საათს დახედა. ღამის
ორი საათი იყო. აუჩქარებლად შეუდგა
მოვალეობის შესრულებას. საჭმლის ნა-
რჩენებს სანაგვეში ყრიდა, გასარეცხი
თევზები სამზარეულოში გაჰქონდა.

მაგნიტოფონი კვლავ ტრიალებდა, ლე-
ნტი ეხვეოდა. ჯაზის მომღერალი ამქვე-
ყნიურ ბედნიერებას ჰპირდებოდა ყვე-
ლას.

ტელეფონმა დარეკა.

— გამარჯობა, ჯუმა!

ხმაზე იცნო. დიდი კაცი რეკავდა მა-
ლიდან. ძილი თუ გაუტყდა ამ შუალა-
მეს.

ჯუმა ბედიამ თავის ხმას მხიარულება
შესძინა.

— გაგიმარჯოთ, ბატონო! ბედნიერი
ვარ, რომ გავახსენდით!

— შენთან სათხოვარი მაქვს, ჩემო
ჯუმა...

— ოღონდ მიბრძანეთ, ბატონო, და...

— ჩემს ძმისწულს რალაც ნარკვევი
დაუწერია, ნიჭიერი ახალგაზრდაა, ხე-
ლის შეწყობა უნდა...

— კი ბატონო, მაგაზე ადვილი რა
არის!

— რალაც მუსიკის ხმა მესმის თქვენ-
სას, მხიარულად ცხოვრობ, ჩემო ჯუმა!

— ცოტა წავიხემსეთ მე და ჩემმა სა-
ყვარელმა მეუღლემ, — ჯუმა ბედიამ
ჩაიხითხითა, ხმაში სრული ოპტიმიზმი
ჩაიქსოვა, საკმაოდ ფამილარულად ჩას-
ძახა, — ჩემი მთავარი დევიზი, ბატო-
ნო, ასეთია: ვაშა, ცხოვრება გრძელდე-
ბა!

— ვაშა, ცხოვრება გრძელდება! —
გაიმეორა დიდმა კაცმა.

— ვაშა და ვაშა, ჩემო ბატონო!..

ტელეფონის ყურმილი დადეს.

ჯუმა ბედიამ მოიწყინა. სიხარულის
ნატამალი არ შერჩა, ან რას უნდა გაე-
ხარებინა.

ცოლის წინსაფარი გაიკეთა და ჰურ-
ჭლის რეცხვას შეუდგა...

ჯამალ შირია
მარადი მხედარი

კოლეგიის სსდომაზე თვლება მოეძა-
ლა. არც თუ უინტერესო საკითხები
განიხილებოდა, მაგრამ პირადად ჯუმა
ბედიას არ ეხებოდა. ამიტომ ფეხებზე
ეკიდა ასე გადაწყდებოდა თუ ისე, ვასუ-
სული იქნა თავისთვის. თუ რამეს შე-
ეკითხებოდნენ, რალაცას მოაქიამებდა,
ოლონდ უცოდინარის შთაბეჭდილება არ
მოეხდინა. ამისათვის ადვილი გამოსავა-
ლი იპოვა. რა აზრისაც იყო უმეტესობა,
ან მასზე დიდი თანამდებობისა და ავ-
ტორიტეტის კაცი, მუდამ იმ აზრისა იყო
თვითონაც... მუდამ ასე იყო და მით უმ-
ეტეს დღეს, როცა განცილიმა შიშმა გა-
დალა და არაფრის ხალსი არა პქო-
ნდა.

სამინისტროდან გამოსულს კართან
ლიტმუშაჟი კვინტილიანე დახვდა. კავ-
შირში წასვლა არ ღირსო და პირდა-
პირ რესტორნისაკენ გაუტეის. ჯუმა ბე-
დია წინათ არ სვამდა, მთვრალი კაცი
საერთოდ ევაჯრებოდა. ბოლო დროს კი
ღვინოს მიეძალა. ამ სუფრაზე არავინ
იყო ისეთი, ვისი რიდი და პატივისცე-
მა სავალდებულო იქნებოდა. ამიტომაც,
რაც ენაზე მოადგებოდა, იმას რომავდა,
არავის სიტყვას არ აცლიდა, ვინც რა-
ტომლაც არ მოეწონებოდა, უკბილოდ
ამასხარავებდა. სხვები ერთ ჭიქას თუ
დალევენდნენ, ეს ორს სვამდა და მალე თა-
ვში აუვარდა. ხრინწიანი ხმით სიმლე-
რა წამოიწყო. საკუთარი ხმა არ მოს-
წონდა, ჯავრს კი სხვებზე იყრიდა. იმ-
დენად მთვრალი კი არ იყო, რამდენად
თვითონ ეჩვენებოდა. თუ მოისურვებ-
და, შეეძლო კრავივით წყნარად მჭდარი-
ყო და პირფერული სადღეგრძელოები
ესმინა, ოლონდ დღეს ამ გუნებისა არ
იყო.

მოგვიანებით ერთი დაუბეჭდავი მწე-
რალი მოვიდა, სხვა რესტორანში გადა-
იპატიეა. იქაც ბლომად დალიეს. ჯუმა
ბედიას ახლა კი მოერია ღვინო, თუმცა
ჯერ კიდევ იცოდა, რასაც აკეთებდა.
მანც თავისას არ იშლიდა. ვილაცას გა-
უჯავრდა, მაგიდიდან ჭიქები გადმოხვე-
ტა. თვალი დახუჭეს, ვითომ არაფერიაო.

მხოლოდ ოფიციალტი აქიქუნდა. რო-
გორ მიბედავო და ჯუმა ბედიამ საცივი-
ანი ლანგარი თავზე გადაამხო. ატყდა
გაწევ-გამოწევა. ჯუმა ბედიამ იმუქრებო-
და, ოფიციალტი კი მილიციას უხმობდა.
ჯუმა ბედიამ პირადობის მოწმობა და-
აძრო და რესტორნის დირექტორს თვა-
ლწინ დაუტრიალა. ყველაფერი მშვი-
დად დამთავრდა. განაწყენებული ოფი-
ციალტი სადღაც გააქრეს. ჯუმა ბედიამ
და მისმა თანამეინახეებმა, ჩვენ გავიმა-
რჯვეთო, და ისეთი დღე დაათენეს, და-
ნარჩენმა სტუმრებმა, აქ კაი დღე არ
დაგვადგებაო, და დროზე უშველეს
თავს.

შუალამე გასული იყო, როცა უგრძ-
ნობლად მთვრალი მანქანაში ჩასვეს და
შინ აიყვანეს...

გამოეღვიდა. ქუჩაში სიწყნარე სუფე-
ვდა. კუთხეში მაგიდის ნათურა ენთო.
ლამე იყო, ოლონდ არ იცოდა, რა დრო
იქნებოდა. არ ახსოვდა საათი სად და-
დო. თავი უსკდებოდა. თითქოს ჯალთი
ადგა და მარწუხს უშერდა. კუჭიც დამ-
თიმებოდა, ქვიშით დატენილს უგავდა,
გულისრევა ყელზე მოსდგომოდა. არა-
ქათგამოცლილს განძრევაც არ შეეძლო,
არც ასე წოლა უნდოდა. პირში შხამი-
ანი ნალექი დაუგროვდა, ენას ძლივს ან-
ძრევდა.

— „ბორჯომი“, ღეთის გულისათვის,
ერთი ჭიქა „ბორჯომი“, — ამოილულ-
ლულა. მოპასუხე არავინ ჩანდა, — ესმა,
ესმა!.. — შეეცადა ცოლისათვის მოეხ-
მო.

ოთახში სიღამწვრის თავბრუდამხვევი
სუნი დაგუბდა. არადა, სარკმლის გამ-
ლები არავინ იყო, საოცნებო, სანატრე-
ლი გრილი ჰაერი არსაიდან არ შემო-
დიოდა.

ჯუმა ბედიამ აკვნესდა, აჩიფნიფდა, სი-
სულელებს ჩმახავდა. ბედს ემდუროდა,
წუწუნებდა. ასე რამ გამასულელაო, ამ-
დენი ღვინო რა ეშმაკმა დამალევიანო...
ვინ ეხვეწებოდა, ვინ აძალებდა, ვინ გა-

უბედავდა დაძალებას?.. „ბრიყვი ვარ, სულელი!“ — თავს ილანძღავდა. ოღონდ ახლა გადარჩენილიყო და ამიერიდან ღვინოს არასოდეს გაეკარებოდა.

მიწებებული წამწამები ძლივს გახსნა, იქნებ ჩემი ხმა მაცაცუნამ გაიგონა და შემიბრალო. მართლაც იგრძნო კიდეც, ოთახში მის გარდა, სხვა ვილაცაც იყო. თვალებიდან ნაპერწკლები სცივოდა, ფერადი ლაქები უტრიალებდა, ნისლში შებურულ საგნებს ვერ არჩევდა. თავს ძალას ვერ ატანდა. დაიძაბებოდა და სისხლი მოაწვევებოდა საფეთქლებზე, ჩაქუჩივით ურახუნებდა კეფაზე.

როგორღაც შეაჩვია სინათლეს თვალი. ბუნდოვნად მოტორტმანე საგნები თანდათან დაიწმინდა, თავ-თავის ადგილზე დალაგდა. ნისლიდან უცბად თვალნათლივ გამოიკვეთა „ის“.

კუთხეში იღვა. ისევ ის ჯინსი ეცვა, ისევ ის თეთრი პერანგი. ზუსტად იქ, სადაც გული უნდა ყოფილიყო, წითელი ლაქა აჩნდა. თვალები დაეხუჭა. ლაწვწვეთი ცრემლი ეკიდა. ხელები მკერდზე ისეთნაირად დაეწყო, ვერ გაეგო ჯუმა ბედიას, თხოვნას გამოხატავდა, თუ საყვედურს.

პირდაღებული შეჰყურებდა მოჩვენებას, წამში დაავიწყდა გულისრევა, თავის ტკივილი.

პანიკურმა შიშმა მოიცვა მთელი მისი არსება, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. ოღონდ რომ შეტორტმანებულიყო, ნაბიჯი რომ გადმოედგა უჩვეულო სტუმარს, ჯუმა ბედია ალბათ ჰკუაზე შეიშლებოდა, მაგრამ მოჩვენება ადგილიდან არ იძვროდა.

აცხცახებული, ღონედაცილი ჯუმა ბედია ლოგინიდან ფრთხილად გადმოეშვა. იატაკს ხელებით მისწვდა და ისე ჩამოხონდა. თვალს არ ამორებდა კუთხეში გახევებულს, თან ოთხზე შემდგარი კარისაკენ მიიპარებოდა. შიშისაგან რეტი დაესხა და ოფლად გაიღვა-რა.

კარი შუბლით გააღო, სწრაფად შევარდა მაცაცუნას ოთახში, კარი ქუსლით მიკეტა და უკანალით შეაკავა. თავს

ნაც გრძნობდა, ვილაცა ევაჯგურებოდა მეორე მხრიდან.

ხმაურზე მაცაცუნას გამოეღვიძა, საწოლზე წამოჯდა, მაგიდის ნათურა აანთო.

— რა მოხდა?

ჯუმა ბედია უსიტყვოდ ზმუოდა. კარს უკანალით ამაგრებდა. ძლივს მოისახრა, საკეტი გადაებრუნებინა.

იატაკიდან არც წამომდგარა, ისევე ოთხზე შემდგარი მიფრთხნდა მაცაცუნას საწოლთან, ცდილობდა აეხსნა შიშის მიზეზი, პირიდან კი ზმუილი და ქაფი გადმოსდიოდა.

მაცაცუნა დაფრთხა, გაიწია.

— გააფრინე? მომწყედი თავიდან!

ჯუმა ბედიას მისი ხმა არც გაუგონია. ლოგინზე აკოცდა, ნაკეში ძალღვივით მოიკუნტა ცოლის ფერხითი.

— ფუი, ააქოთა აქაურობა, — ჩაიბუზღუნა მაცაცუნამ, საბანი თავზე წამოიხურა.

იმ დამეს არც ერთს არ უძინია.

დილას, ირიყრაჟა თუ არა, ჯუმა ბედია სახლში ვერ გაჩერდა. ქუჩაში უფრო მშვიდად გრძნობდა თავს.

„ავადაა“, — გაიფიქრა მაცაცუნამ. წამიერ შეებრალა კიდეც, ოღონდ იმდენად ეზიზღებოდა, მისი დამშვიდება არც უცდია.

ჯუმა ბედიამ კი მანამ იხეტიალა, სანამ ხალხი ქუჩებში გამოეფინებოდა და სამსახურში შეძლებდა მისვლას...

●
უნივერსიტეტის ეზოში იშვიათი გასეირნების დროს სევდა მოეძალებოდა ხოლმე. ზოგჯერ მთელი საღამოს ისე გავიღოდა, ერთ ნაცნობსაც ვერ გადაეყრებოდა. მისი თანაკურსელები დაიფანტნენ. მომდევნო თაობების სტუდენტებიდან არავის დამეგობრებია, საგამარჯობოდ იცნობდა თითო-ოროლას, ისინიც კაჰუჰუას ნაამხანაგარნი იყვნენ.

ერთ დღეს წრის სხდომაზე მობრძან-

და. ეზოში ბესო ბანძელაძეს შეეფთა. ჯუმა ბედიამ პირი დააღო, მაგრამ „გამარჯობა“ ზედ შეეყინა. ბესო ბანძელაძემ უსალმოდ ჩაუარა. ეწყინა ჯუმა ბედიას, თვალში ხომ არ ვეპატარავებიო.

— ველარ მიცანით, ბატონო ბესო?! — მიიძახა.

— ა, ჯუმა ბატონო, — ჩვეული კილოთი შეეპასუხა ბესო ბანძელაძე, ხელი კი არ გამოუწვდენია, — მეგონა, ავად გახდებოდით. აფერუმ თქვენს ჯანმრთელობას, მაგარი ნერვები გქონიათ, ღმერთმანი...

— რაზე მეუბნებით მაგას? — სახტად დარჩენილ ჯუმა ბედიას სახე ყავისფერი გაუხდა.

— ისევ იმაზე! მე მუდამ ვფიქრობდი, რომ მთავარი ნიჭიერებაა. კარგად განახეთ, ჯუმა ბატონო, გულს ნუ გაიტეხთ, დრომ მოიტანა და... მარცხი ვის არ მოსვლია...

თავი დაუქნია და გზა განაგრძო. ჯუმა ბედიამ მისი სიტყვებისა ვერა გაიგო რა, ნაწყენი კი დარჩა. „ალბათ იყნოსა, რომ ვიღაცა მიწას მითხრის...“ — გუნება გაუფუჭდა.

ვესტიბიულში, როგორც ყოველთვის, უამრავი ხალხი ირეოდა. ჯუმა ბედია ვერაგის ცნობდა. სამაგიეროდ აქეთ იცინეს, ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან მოესმა ჩურჩულით ნათქვამი თავისი სახელი.

— ეგაა ჯუმა ბედია... უყურე, მაინც გამოჩნდა... საწყალი, როგორ განიცდის.

უსიამოვნო ხითხითი ერთვოდა ამ სიტყვებს. ჯუმა ბედიას არ უკვირდა ეგზომი პოპულარობა, ოღონდ შეუტრაცხმყოფელი ხითხითის მიზეზს ვერა და ვერ მიმხვდარიყო. იქნებ ვინმე ნაცნობმა მიხიმაღრა და ჩემზე ბილწი ანეკდოტი გაავრცელო. ყველა ნიჭიერი კაცის ხვედრი ესაა და ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა. ჯუმა ბედიამ იხანა, ნაცნობები უნდა გამეფრთხილებინა, ჩემზე თუ უცნესურო ანეკდოტს მოიგონებთ, იმ დღესვე თავს ჰოვიკლავო. მაშინ ვერავინ გაბედავდა ქილიკს.

კიბე აათავა. ჯანო ჩიკინტილაძე და-

ლანდა შორიდან. კრიტიკოსმა, რტი უკვე ვახმაურებული კრიტიკოსი გახლდათ, რადგან მოხერხებულ დროს მოხერხებულ სტატიას ბეჭდავდა, რის გამოც აღზევებულნი კიდევ უფრო აღზევდებოდნენ, დამარცხებულნი კი მთლად მიწასთან სწორდებოდნენ, ჰოდა, კრიტიკოსმა ჯუმა ბედიას თვალი აარიდა.

ჯუმა ბედიამ პიჯაკის კალთით დაიჭირა.

— რა იყო, ჯანო, ველარ ცნობ მეგობრებს?

ჯანო ჩიკინტილაძე წამით აირია, სახეზე ღიმილისმაგვარი რაღაც აისახა.

— რავე გეკადრებათ, ბატონო, თქვენ როგორ არ გიცნობთ, ჩაფიქრებული მოვდიოდი და...

„ეს მაინც რამ შეცვალა“, — შეწუხდა ჯუმა ბედია.

— შენ, გეტყობა, კვლავ ნაწყენი ხარ ჩემზე. ეგრე არ შეიძლება, ჯანო გენაცვალე... — რამდენიმე კვირის წინ მცირედ წაყინვლავდნენ. ჩიკინტილაძეს რა სისულეც არ მოეროშა, „პეგასში“ ყველაფერს უბეჭდავდნენ, ჰონორარსაც უმაღლესს გამოუწერდნენ ხოლმე. მერე ვიღაც დიდ კაცზე განწყენებულმა პასკვილი დაწერა. ჯუმა ბედია დაფრთხა, ავტორის მოეფერა, აქეთო-იქითო, აწოწიალა. ამასობაში დიდი კაციც გააფრთხილა. იმან თავს მოუარა და ჩიკინტილაძეს თხზულება არ დაბეჭდილა. ჯუმა ბედიას ის ამბავი უკვე დაავიწყდა, ჯანო ჩიკინტილაძეს კი მისი ჯინი სჭირდა.

— რავე გეკადრება, ჩვენ ერთმანეთისა არაფერი გვწყენს ხოლმე, — ჯანოს სახეზე ცბიერმა ღიმილმა გაიელვა, — ჩვენ ხომ ლიტერატორები ვართ და ლიტერატურის მაღალი პრინციპებით ვხელმძღვანელობთ...

ჯუმა ბედიას რაღაც ენიშნა, გულმა რეჩხი უყო. მეტი არაფერი უთქვამს და სხდომათა დარბაზისაკენ გაეშურა. რაღაცა ხდებოდა მის თავს, ვერ მიმხვდარიყო რა და ეს აზრი გულს უწიწკნიდა.

ცოტა შეაგვიანდა. დარბაზი ხალხით

იყო სავსე. ჯუმა ბედია მრავალი მოათვალიერა, თავისუფალ ადგილს ეძებდა. განგებ აკეთებდა ასე, თორემ, იცოდა, როგორც ყოველთვის, ახლაც პრეზიდენტში მიიწვევდნენ. მართლაც, ბატონმა პროკოფი ნადირაძემ თვალი მოჰკრა და პრეზიდენტში მოიხმო. ჯუმა ბედია თავმდაბლად იუარა, ასეთი პატივის ღირსი არა ვარო, დარბაზში ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის დავცდებით. ბატონმა პროკოფისგან დაიქინა. მათმა უხმო საუბარმა დარბაზის ყურადღება მიიპყრო და ყველამ დაინახა კართან მდგომი ჯუმა ბედია.

ატყდა ფაციფუცი, აპრიალდა სავარძლები, აჩურჩულდნენ, ახითხითდნენ, ააშრიალეს ქალაღლები... დიახაც, პოპულარული პიროვნება იყო და ჯუმა ბედია მორცხვად დახარა თავი, პრეზიდენტში ავიდა, სავარძელში მოკალათდა, სანამ დარბაზში სიჩუმე არ ჩამოვარდა, თავი არ აუწევია, საკუთარ ფრჩხილებს დასჩერებოდა.

მერე მალულად მიიხედ-მოიხედა. ორატორს ყურს არავინ უგდებდა. დიდი და პატარა ჯუმა ბედიას მისჩერებოდა. ესიამოვნა, გუნება გამოუტყვოდა, გაიბღინა კიდეც. მაუღდა დაფარებულ მაგიდაზე იდაყვებით დიდკაცურად გადაყრდნო და ორატორს დაუგდო ყური.

ჟერ კიდევ პატარა, მაგრამ ლიტმცოდნეობის ურთულესი ტერმინებით დამუხტული ბიჭი ცდილობდა რაღაც „იხში“ მიესადაგებინა თანაკურსელის ნაცოდვილარისათვის. დიდახანს იწვალა, შეუძლებელი ვერ მოახერხა და გაჯავრებულმა უცბად დამთავრა:

— ბევრი ცნობილი ავტორისას ხომ სჯობია? ბერწი მაინც არ არის! რა ვუყოთ, რომ თანამდებობა არა აქვს, ასეთები იბეჭდება?

დარბაზში აქა-იქ გაიციენს. ჯუმა ბედიას ორატორის სითამამე მოეწონა, გასამხნებლად თავი დაუქნია, თანაც ხალისიანად გაუღიმა.

— ფარისეველი, ვითომდა არა სწყენია, — წაიჩურჩულა ვიღაცამ დარბაზ-

ში. ჯუმა ბედია ყური მოჰკრა ნათქვამს. პრეზიდენტში მოათვალიერა, ვერ მიხვდა ვინ იყო „ფარისეველი“.

ბატონ პროკოფის სახეზე აღმურმა დაჰკრა, მოიღუშა, ეტყობა, ეწყინა.

— ასეთი თავდაუქერელი ახალგაზრდობა გვეყავს, — წასჩურჩულა ჯუმა ბედიას. „აჰა, შენ მოგცხეს?“ — გუნებაში გაეცინა „პეგასის“ რედაქტორს, მთლად გახალისდა, თვითონაც ჩაიხითხითა.

მეორე მხრით მჯდომი დოცენტი პაპუა ჩირგაშვილი ღირსეულ მდუმარებას ინარჩუნებდა. ერთი ორჯერ კი შეავლო მეზობელს ტრაგიკულად სევდიანი მზერა, რის შინაარსსაც ჯუმა ბედია ვეღარ ჩასწვდა. მაშინ პაპუა ჩირგაშვილმა იდაყვი გაჰკრა და ალერსიანად უთხრა:

— მაგრად იყავი, მეზობელო, მტერმა არ დაგჯანონს.

ჯუმა ბედია გაუღიმა, უზრუნველად უპასუხა:

— მაგრად ვარ, პაპუა ბატონო, ლეთისით, ჟერჯერობით არა გვიშავს რა...

წინა რიგში ნაცნობი იჯდა. ჯუმა ბედიას მზერა რომ დაიჭირა, გაზეთი, რომელსაც აქამდე კითხულობდა, სხვას გადასცა და მხრები აიჩიჩა.

ახალა შენიშნა ჯუმა ბედია, დარბაზში ბევრს ჰქონდა ასეთი გაზეთი, ფაციფუციებით კითხულობდნენ. რაღაც საინტერესო ამბავი, თვითონაც მოუნდა წაკითხვა. ახლოს არავის ჰქონდა, თანაც პრეზიდენტში უხერხული იყო გაზეთის გადაშლა და თავი შეიკავა.

მორიგი ორატორი უღიმამოდ მიედმოედებოდა და ჯუმა ბედია მოიწყინა. გაახსენდა სტუდენტობა, პირველი ნაბიჯები. უსიამოვნო მოგონებად შერჩა მოთხრობების გარჩევა, ამ დარბაზში რომ მოეწყო. თუმცა აქვს და ცამდე აიყვანეს, მაგრამ ის ორი სიტყვა — „მეფე შიშველია“, — სამუდამოდ და-

ჯამალ ჰირია
მარადი მხამარი

ანდა დაღვივით ამოშანთული, ვერ ამოიძირკვა მესხიერებიდან... მართალი იყო „ის“ მაშინ თუ არა?... ტატო!.. ამ სახელის ვახსენებზე გააჟრჟოლა. ამდენ ხალხშიც არ აძლევდა მოსვენებას, დევნიდა. ახლაც გაიფიქრა და უმაღლვე თვალწინ წარმოუდგა. დარბაზის შორეულ კუთხეში, იქ, სადაც მაშინ იდგა. ისევ გამოჩნდა იგი. ჯუმა ბედიამ აშკარად დაინახა მეგრებზე ხელგაფარებული, თვალგაბრუნებული ტატო; მისი გულიდან თეთრ პერანგზე სისხლი მოწანწკარებდა წვეთ-წვეთობით.

წამიერ დაავიწყდა სად იმყოფებოდა. უნდოდა მუხლებზე დაცემულიყო, შეჰვედრებოდა: რატომ მდევნი?! თავი დამანებე! ნუთუ არ კმარა?! ხუთჯერ სიკვდილი სჯობია! არაქათი გამომეღია, არ ვიცი, სად გაგექცე!..

„ის“ კი თვალდახუჭული, მიტკალივით გაფითრებული მდუმარედ მიყრდნობოდა კედელს.

გონს მოვიდა. შუბლზე ოფლის წინწკლები შეიწმინდა. პროკოფი ნადირაძეს ცხვირი ხელით ეჭირა. მიხვდა, სუნმა იმატა და პრეზიდენტში მსხდომნი შეაწუხა.

— ერთი წუთით გავალ, მოსაწვევად,
— წასჩურჩულა ჯუმა ბედიამ.

— კი ბატონო, როგორც გენებოთ,
— შვებით ამოისუნთქა ბატონმა პროფესორმა.

მხრებში მობუზული გაძვრა სკამებს უკან, კარისკენ გაემართა. იცოდა, თვალ-ყურს რომ ადევნებდნენ. ნაბიჯი ერეოდა ამიტომ. ჩუმი ქირქილი, ლიზღური ჩურჩული მოსდევდა კვალდაკვალ. ვერ გაეგო, რას ერჩოდნენ, აქებდნენ თუ მიწასთან ასწორებდნენ. ეკვისაგან შეწუხებული კართან შეყოვნდა. ხელში პაპიროსს ნერვიულად ჰმუჭუნოდა და ეს ყველამ შეამჩნია. მხოლოდ წამით მოიხედა. მრავალთა სახე ერთ სახედ შეერთდა თითქოს, წარიშალა განსხვავება. ახლა მას ზოგადი ახალგაზრდა შეჰყურებდა ზიზღნარევი, ავღებული თვალებით. ეს სოსო წინამასწარამცილის სახე იყო. წრის ახალი ხელმძღვა-

ნელი მორიგ ორატორს იხმობდა ტრიბუნისაკენ, ცალი თვალთ ჯუმა ბედიასაკენ იყურებოდა და ორატორის გვარი დავიწყებოდა. ეს იყო სახე სტუდენტი ჩაფიკაძისა. ამასწინობაზე რედაქციაში გამოეცხადა, მან კი კაბინეტის ზღურბლს არ გადმოატარა. ეს იყო სახე რომანისა. იგი ჯუმა ბედიას კაბინეტში აღამ-ათენებდა, მტირალა ხმით შესთხოვდა თავისი შვიდი რომანიდან თუნდაც ერთი იდიოტური ნაწყვეტის დაბეჭდვას... მაგრამ ჯუმა ბედია თავს იტყუებდა. უკვე დერეფანში მიხვდა, რომ ყოველი ეს სახე თვითონ მოიგონა სინდისის დასამშვიდებლად. ნამდვილად კი იმ წამს მან დაინახა სახე ტატოსი, ის სახე, როდესაც ტატო ხმადაბლა წარმოთქვამდა ორად ორ სიტყვას: „მეფე შიშველია“.

ჯუმა ბედიამ თითქმის სირბილით ჩაათავა კიბე, მზით გასხივოსნებულ ეზოში გავარდა და აქ ცოტათი დამშვიდდა. მართლაც ისეთი ნათელი დღე იდგა, სიცოცხლე ღირდა.

ივანე ჯავახიშვილის ძეგლთან ჩამოჯდა სკამზე. ფიქრს უნდა მისცემოდა და ამ დროს ლიტმუშაკი კვინტილიანე წამოადგა თავზე. აქოშინებული მოვარდა საიდანღაც. ბევრი ერბინა ალბათ, ხელში გაზეთს მოაფრიალებდა. სახე შეშინებული და გადაფითრებული ჰქონდა.

— ბატონო ჯუმა!

— რა მოხდა, რამ გადაგრიო? — უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა ჯუმა ბედიამ.

— თქვენ არ წავიკითხავთ?

— დღეს გაზეთებისათვის ვერ მოვიცალე...

— აქ თქვენზე წერია... — ენის ბორძიკი აუტყუდა ლიტმუშაკს.

ჯუმა ბედიამ გაზეთი გადაშალა. სარდაფში დაბეჭდილი ვრცელი წერილი წითელი ფანქრით საგანგებოდ შემოეხაზათ. ჯერ ხელმოწერა წაიკითხა — „ჯეიმს ჯალიაშვილი“, მერე სათაური — „ბერწი ლიტერატურული“.

— მერე რა შუაში ვარ? — ხმა ჩაუვარდა.

— თქვენზეა, — ცნობისმოყვარე თვალები აუციმციმდა ლიტმუშაკს.

— ჰო, კარგი, წავიკითხავ, — ამრე-
წით უთხრა ჯუმა ბედიამ. მისი კილო
არ მოეწონა. გაზეთი დემონსტრაციულ-
ლად ჯიბეში ჩაიკუჭა, ძალიან კი არ მა-
ინტერესებსო, — მაინც ვინაა ეს ჯეიმს
ჯალიაშვილი? — ვერ მოითმინა, ვი-
თომდა გულგრილად შეეკითხა.

— ვერ ხვდებით? — აჩურჩულდა
ლიტმუშაკი კვინტილიანე, — ვინა და...
მე გამოვარკვიე, ის ჩვენი, უჰ მაგისი,
ჯანოია ჩიკინტილაძეა...

ჯუმა ბედიას ეცეცხლა. ფერი ეცვა-
ლა, გული ჩაუვარდა. თავი მაინც შეი-
მაგრა, არფერი შემამჩნიონო.

— ჰო, კარგი, კარგი... — მიატო-
ვა ლიტმუშაკი კვინტილიანე. ბაღს
დაუყვა. ერთი სული ჰქონდა, რო-
დის ამოიღებდა გაზეთს, როდის გა-
დამლიდა. ეზოში ხალხი ირეოდა და
ცნობისმოყვარე თვალებს გაეცკა. აუჩ-
ქარებლად ჩაისეირნა მეტეოსადგურამ-
დე, გზა ვანაგრაძო. ფიჭვნარის ბოლოს,
შემადლებულზე განმარტოვდა. ეს ად-
გილი ზევიდან გადაჰყურებს გმირთა
მოედანს, ზოოპარკს. ჯუმა ბედიას სა-
კუთარი სულსწრაფობა არ მოეწონა,
დამშვიდებას შეეცადა. რომელიღაც ნა-
ღირმა იქუხა, ფრინველი გაეპასუსა
ჩხავილით. ორი აქლემი დამდგარიყო
მზენე, ზარმაცად იცოხნებოდნენ. მოე-
დანზე კი მანქანების ნაკადები კარუსე-
ლივით ტრიალებდნენ.

„ცირკია ეს ცხოვრება“, — გაიფიქრა
ჯუმა ბედიამ, ჰკუაში დაუჯდა ეს არც-
თუ ორიგინალური აზრი.

გაზეთი ისე გადშალა, რა სიფრთხი-
ლითაც უვნებელყოფენ მიწაში ნაპოვნ
ხელყუმბარას.

ფელეტონი მას ეხებოდა. ნელა კი-
თხულობდა. რამდენ ფრაზასაც წაიკით-
ხავდა, იმდენჯერ ელეთმეღეთი მოსდი-
ოდა. ერთი ორჯერ კინალამ გულმა და-
აღალატა. მარტომდამრტო იყო, ჰიქა
წყალსაც არავინ მიაწოდებდა და თავი
შეიმაგრა... მერე გაზეთი დაჰმუქნა და
გადაადგო. ფიქრის თავი არ ჰქონდა. მი-
წასთან იყო გასწორებული მთელი მისი
მეცნიერული, ლიტერატურული თუ სა-

ზოგადოებრივი საქმიანობა. ბედიაშვილი
სტატია რიცხვნიშნობაზე იუმორისტულ
ჟურნალში უნდა დაებეჭდათო, — წე-
რდა კრიტიკოსი, — მოთხრობები ვრა-
ფომანის ნაბოღვარიანო. ამაზე უკეთე-
სად ახლა საშუალო დონის მეოთხე-
კლასელი აზროვნებსო. ვინ გადაწყვი-
ტაო ამ იდიოტობის დაბეჭდვა. მწერა-
ლი, თუ ის მწერალია, ალბათ მთელ
საზოგადოებას დაგვცინის და შეურა-
ცხყოფას გვაყენებსო ამით. რაც ბედი-
ა რედაქტორი გახდა, ფურნალი ქარვის-
ლას დაემსგავსა, სადაც ყველა ჩარჩსა
და ვაჰარს, მაწანწალასა და მეძავს და-
უღვია ბინაო და ა. შ.

ეს იყო დასასრულის დასაწყისი. ამას
კარგად მიხვდა ჯუმა ბედი. ზურგი
შეაქტია გუჯმახანმა და მტერმა უმაღ-
წამოჰყო თავი...

ქუჩაში წამით რძისფერ „ქიგულს“
ჰკიდა თვალი. საქესთან თითქოს კოტე
იჯდა, უკანა სავარძელზე კი — მაცა-
ცუნა. იქნებ მას ადევნებდნენ თვალს.
ალბათ მეჩვენებო, გადაწყვიტა. ჯუმა
ბედიას ცხოვრებაში რაღაც მნიშვნე-
ლვანი ცვლილებები უნდა მომხდარიყო.
წვრილმანი კინკლაობა ცოლთან, ან სხვა
ვინმესთან, ახალს არაფერს მოიტანდა.
შიში, სიბრაზე, შურისგების სურვილი,
ავადმყოფური აგზნებადობა, ნერვული
ალტკინება ერთ წამს და ღრმა ღეპრე-
სია, უძლურება — მეორე წამს, ჭანცსა
წყვეტდა. ჯუმა ბედიას თვალწინ ხან
ჯოჯობეთის კარიბჭე იხსნებოდა, ხან კი
იმედის ბრწყინვალე ვარსკვლავი აციმ-
ციმდებოდა. ერთ შავბნელ დღეს იგი
მოსწყდა მყარ ნიადაგს და კარიერის
წვრილ თოვზე გასული ცდილობდა წო-
ნასწორობის შენარჩუნებას.

ტაქსით გავიდა მტკვარგაღმა. მუდამ
ძველ ბინას აკითხავდა, როცა უჭირდა.
თვითონაც არ იცოდა, რატომ იქნებ
იმიტომ, რომ ამ სახლში ცხოვრობდა
და კვდებოდა მზია, იქნებ იმიტომ, რომ
ეწადა ერთხელაც შეხვედროდა გუჯმა-

ხანს, რომელსაც ძალუძს აღაზრდოს და ცემული, ხოლო აღზრევებული ღიმონივით გამოწუროს და განზე მოისროლოს. იქნებ აქ გაურბოდა მაცაცუნას მტარვალ დესპოტიზმს, ან იქნებ მიცვალებულის ლანდს, რომელიც დღემეი ათჯერ გამოეცხადებოდა და აუტანელ ტყვილებს განაცდევინებდა.

ტაქსის შოფერს ფული გაუწოდა და მაშინ კვლავ დაინახა რძისფერი „უიგული“. მხრები აიჩეჩა, ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი მანქანა დადის თბილისში.

მეზობელთაგან არავის შეუმჩნევია, მშვიდად გაუსხლტა არამკითხეთა ცნობისმოყვარე მზერას. დიდი სიფრთხილით გააღო კარი. სანამ შევიდოდა, კარგა ხანს იჭყიტებოდა შიგ. საეჭვო ვერაფერი შეინშნა. ჩაიკეტა და შვებით ამოისუნთქა. აქ შეიძლებოდა მშვიდად ყოფილიყო, აქ არავინ მოაკითხავდა.

მცირე ხანს მაინც შეყოვნდა კართან. ზურგით მიეყრდნო. უმნიშვნელო რამეებზე ფიქრობდა, რათა მნიშვნელოვანს გაქცეოდა. რაც აქედან გადავედი, ოთახს ცოცხი და ტილო არ გაჰკარებიაო. იატაკზე რამისიქე მტკერი ზიმზიმებო. შპალერი ჩამოიხა და ბაღლინჯოებით დაბინძურებული კედლები გამოაჩინაო. სარკმელი, კუთხე-კუნჭული ობობას ქსელით მოუბლანდიაო...

ხავერდის შავი ფარდა გადასწია, უკან დაიხია და სავარძელში მოკალათდა. მთლიანად ხედავდა თავის გამოსახულებას. ასე იჯდა ხოლმე საათობით, ელოდა ჯადოსნური სარკის გაცოცხლებას. მაგრამ როგორც სხვა მილიონი მსგავსი სარკე, ესეც იმას უჩვენებდა, რაც მასში ირეკლებოდა. ჯუმა ბედია იმედს არ კარგავდა, უსიტყვოდ, ფიქრში იხმობდა გუჯმახანს. თანდათან იძირებოდა ამ უღიმღამო, მონოტონურ აზრში, რომელიც რეფრენივით დაუსრულებლად მეორდებოდა, თანდათან წყდებოდა ქვეყნიერებას, ეშვებოდა სულ მღუმარებაში, თუმცა ოთახი საესე იყო ქუჩიდან შემოღწეული ბგერებით.

დღენიადაგ მოგუჯუნებდნენ მანქანე-

ბი. ტროლეიბუსი გაქანდებოდა მუხუჭის ნით, ზუსტად ერთსა და იმავე ადგილას გაკვესდა ბუგელი, ნაპერწკლებს გადმოყრიდა, მავთულებს გლუჯდა. ზოგჯერ ვიდაც თავხენდი მოტოციკლს გამოაჭენებდა. მისი „ტრაზ-ტრაზ-ტრაზი...“ კედლებს აზანზარებდა. უფრო იშვიათად რეაქტიული თვითმფრინავი გადაუვლიდა ქალაქს და მაშინ ისეთი გრიალი ისმოდა, როგორც წარდენის დროსაა შესაძლებელი.

სარკმლის ქვეშ, ტროტუარზე უწყვეტად მიმოდინდნენ გამკლენი. უამრავი ნაირფერი ფეხსაცმელი სხვადასხვა ბეგრას გადმოსცემდა; სკიდან აყრილი ფუტკრის ბზუილსა ჰგავდა უხილავ კაცთა დაუსრულებელი რატრატი.

წკარუნობდა ბოთლები რძის გამყიდველთან... სადღაც ვაკიოდა სირენა... მილიციელმა ჩააბერა სასტენს... ბამ-ბამ-ბამ—ფრთხილად, მორიდებულად ჩამოჰკარავდნენ ზარს ეკლესიაში... ტრამვაი მირაზარხებდა ორიოდ კვარტალის მიღმა... ტრანზისტორიდან ნაზად ჟღერდა ვიოლინო...

ნუთუ არაფერი შეიცვალა იმ პირველი დღიდან, როცა ამ ოთახში შემოდგა ფეხი?

ჯუმა ბედია მღუმარების სამეფოში იჯდა. მის სმენამდე ვერ აღწევდა ვერც ეს და ვერც ათასი სხვა ბეგრა, რომელიც ავსებს ქალაქის ჰაერს. იჯდა სარკის წინ, საკუთარ სულში აფათურებდა ხეულს, რათა გაერკვია, სად რა იღო; ბნელში ძნელი იყო ყოველივეს გარკვევა.

ხოლო სარკე, როგორც ფაბრიკული სტანდარტით გამოშვებულ ნივთს შეეფერება, უჩვენებდა იმას, რაც მასში ირეკლებოდა, არ ცდილობდა ფილოსოფიასა და მაგიაში გარკვევას. ჩვეულებრივი მკვდარი საგანი იყო. ჯუმა ბედიას არ სურდა ამის დაჯერება, ჯიუტად მოკუნტულიყო ძველ სავარძელში.

მერე უცბად ამოძრავდა აზრი, დაფაცურდა. მთელი სიმძაფრით იგრძნო ჯუმა ბედიამ მდგომარეობის ტრაგიაში. თავს ვეღარ ცნობდა სარკეში. „ძალიან შევიცვალე ბოლო დროს“, — ამას უტ-

რიალებდა ინტენსიური დინება ფიქრისა. რალაცნაირად გაძვალტყავებული და მოთავებული ჩანდა. მომავალი არ არსებობდა მისთვის. არ უნდოდა ეს დაეჭვებინა, ვერ მიიღებდა ასეთ განაჩენს და წინააღმდეგობას უწევდა. ჯერ რა ხნისა ვარო, მომავალზე ფიქრს რად ავიკრძალავო. მართლაც არ იყო დიდი ხნისა. ოღონდ სული დაუბერდა რალაც ერთ წელწადში და ამას არაფერი შევლოდა... ასე რომ გაიფიქრებდა, უცბად მოეჩვენებოდა, რომ სარკე დასცინოდა. მასში არეკლილ არსებას ბეზრდებოდა ჯუმა ბედიას განცდათა ნატურალურად აღბეჭდვა, უადგილო ადგილას იწყებდა ღმეჭას. ცოცხალ ბედიას სახე ჩამოსტიროდა, სარკეზე აღბეჭდილი კი მხიარულად ხითხითებდა. გრძნობდა ჭაბუკი, რომ ორად იხლიჩებოდა და ეს ორი ნაწილი არაფრით ჰგავდა ერთი მეორეს.

მოულოდნელად ჩამოხვდებოდა. ქუჩაში აინთო ნეონის ნათურები. სიფრიფანა შექქა სარკმელში შემოაღწია, სარკეს ზედ მიეფინა. გაქრა, ბინდში დაიკარგა ჯუმა ბედიას ვამოსახულება. დაფრთხა ჭაბუკი, კარს მივარდა. დაავიწყდა, რომ თვითონვე ჩაქეტა გასაღებით და ცახცახმა აიტანა. სანამ გაახსენდა, გასაღები იპოვა და კარი გააღო, თავისი დაემართა.

დერეფანში სული მოითქვა, დამშვიდდა. შინ უნდა წასულიყო, მაცაცუნასთან. ცოლის გახსენება სრულებითაც არ გახარებდა. მესხიერებაში თავისთავად მზია ამოტივიტოვდა.

იმის მაგივრად, რომ ეზოში ჩასულიყო, აღმა აპყვა კიბეს, მესამე სართული-საკენ. ზარის დარეკვა რატომღაც ვერ გაბედა, ფრთხილად დააკაკუნა.

ამირანმა გაუღო.

— დიდი ბოდიში, ძია ამირან, აქეთ გამოვიარე და თავი ვალდებულად ჩავთვალე... — მილუული ხმით ამბობდა.

— მობრძანდით, ბატონო, საბოდიშო რაა, — მისმა უმწეობამ და საცილობამ ამირანი გააკვირვა და განაიარაღა.

— არ მინდა შეგაწუხოთ, მე ერთი წუთით...

— რა შეწუხებაა...

ჯუმა ბედიამ უკვე ინანა მოსვლა, ფეხი აითრია.

— მზია როგორღა? — ჩურჩულით ჰკითხა.

— შენი მტერი იყო ეგრე, — ნაღვლიანად თქვა ამირანმა. ძალიან მოტეხილი ჩანდა, თმა გაჭადარავებოდა, სახე წვრილ ნაოჭებს დაექსელა.

— მინდოდა შორიდან მაინც შემეხედოდა, — ჯუმა ბედიამ წამოწითლდა, ხმაში ხვეწნის კილო გაურია.

ამირანმა გამომცდელად შეხედა. თქმით არაფერი უთქვამს, თავი დაუქნია. ჯუმა ბედიამ კარი ოდნავ შეაღო და შეიჭყიტა.

ყველაფერი ისე იყო, როგორც მაშინ, გუჯამასთან სტუმრობისას. ოღონდ მზით არ იყო გასხივოსნებული ქალწულის ოთახი, ნათურის მჭრქალი, მოცი-სფრო შუქი ეფინებოდა რბილად. მზიას მილუული სახე კი ბინდში იკარგებოდა და ჭაბუკმა არც იცოდა, მართლა ხედავდა მას თუ არა.

რალაც მოაწვა, ყელში მოებჯინა. თავის შეკავება სცადა და ვერ შეძლო. ცრემლი თავისთავად წამოუვიდა. არ დამინახოსო და ამირანს სახე მოარიდა. „მე დაეღუპე იგი, მე დავღუპე ჩემი ბედნიერება!“ — საზარი იყო ამის გაფიქრება.

— მზია, — წაიჩურჩულა. უკვე აშკარად ტიროდა და ამ ტირილმა ამირანი გადაავიწყა.

პასუხად თითქოს ნელი სიოს რხევა მოისმა.

ჯუმა ბედიამ ოთახში შევიდა, საწოლთან მუხლებზე დაეშვა.

— მზია, მამატიე, ყველაფერი მამატიე!

ავადმყოფს ძალა არ ეყო პასუხის გასაცემად.

ამირანმა ჭაბუკი წამოაყენა.

ჯუმა ბედიამ ჩურჩულით მოუბოდიშა და გამოემშვიდობა...

ორი თვე მინც იყო, რაც მაცაცუნა ზეგრავედა ჯუმა ბედიას ყოველ ნაბიჯს. გათხოვების პირველი დღიდანვე მტერივით ექცეოდა მეუღლეს. ატყობდა, რომ არც ჯუმა ბედიას ეხატა გულზე. იმ დღის ჩსუბის შემდეგ არც ეკარებოდა. თავიდან მაცაცუნას ეს ახარებდა, არაფრად ებიტნავებოდა ქმრის ნაძალადევი არსიყობა. მერე და მერე მისი უყურადღებობა შეურაცხყოფად მიიღო. ზიზღზე უფრო მძაფრი ზიზღით უპასუხა, სიძულვილზე — უფრო ძლიერი სიძულვილით. „ყველაფრის ღირსია, — ფიქრობდა მაცაცუნა, — ჩანჩურა და სუნიანი...“ სუნზე რა ითქმის და, ჯუმა ბედიას ჩანჩურა სულაც არ იყო. იქნებ მლაღატობსო, ყოყმანით დაასკვნა მაცაცუნამ. ამ ფიქრმა გააწამა. არაფერი იყო გასაკვირი, ასეთი ქმრის პატრონს რომ საყვარელი გაეჩინა, მაგრამ დაუშვებელი იყო, ასეთი ქალის ქმარს სხვა ქალბთან ეკურტურა.

ასე იყო თუ ისე, კუდად გამოება ჯუმა ბედიას, ყოველ მის ნაბიჯს ამოწმებდა. საეჭვო ვერაფერი შეამჩნია, გარდა იმისა, რომ საკმაოდ ხშირად თავის ძველ ბინაში საათობით ჩაიკეტებოდა და იქიდან ისე გათავებული და დაღლილი გამოდიოდა, კაცი კაცად არ ვარგოდა. დღითი დღე იცვლებოდა ჯუმა ბედიას. ლოყები ჩაუცივდა, ყვრიმალეები ამოეჩარა. თმა სულ გასძვრა, თითქმის გამელოტდა. რაც შერჩა, იმაშიც ბლომად ერია ჭალარა. მის მოძრაობაში სულ არ იყო წინანდელი სისხარტე, მოდუნდა როგორც, მხრებში მოიხარა. ტანზე შარვალი არ უჩერდებოდა. პიჯაკი საფრთხობელასავით ეკიდა.

იმ დღესაც კვალდაკვალ აედევნა ქმარს. კოტეს მანქანიდან უთვალთვალეებდა. ჯუმა ბედიას ოთახში ჩაიკეტა. მაცაცუნა კარს ფრთხილად აეკრა, ყური ზედ მიადო. ჩქამი არ ისმოდა. მხოლოდ ერთხელ დაიჭრაჭუნა სავარძელმა, ალბათ ჩაჯდა. მეტი სხვა ბგერა იქიდან არ გამოსულა. დიდხანს უცადა რა მოხდებოდა, არაფერი მომხდარა. მანქანაში

დაბრუნდა. კოტემ თავისთან წაიყვანა. ცოლ-შვილი აგარაკზე გაეშვა. თითო ჭიქა კონიაკი დალიეს, იკონცავეს, ილალობეს, დრო გაატარეს. კოტემ ფოტოსურათი უჩვენა, ტყუპისცალი გოგო-ბიჭისა; ესენია ჩემი ანგელოზებიო. მაცაცუნას გუნება წაუხდა, აჩემა, მინდა ვნახო, ის ჩერჩეტი, თავის ოთახში ზის თუ არაო. გაემგზავრნენ და მაცაცუნამ ზუსტად მაშინ მიუსწრო, როცა ჯუმა ბედიას ოთახიდან გამოდიოდა.

დერეფანში სუსტი ნათურა ბეჭეტავდა. მაცაცუნა ვერ ხედავდა ქმრის სახის გამომეტყველებას. მინც მიხვდა, რომ ჯუმა ბედიას დაღლილი და შეშინებული იყო. მაცაცუნა არ შეუმჩნევია, ისე ავიდა ზევით და იქ ხუთიოდე წუთს დარჩა. თუმცა მაცაცუნას საუკუნედ მოეჩვენა ეს ხუთი წუთი. „ახლა ხომ მიგიხვდი, რა ვეებატონი, ყოფილხარ?“ — ქარდილით გაიფიქრა.

როგორც კი ჯუმა ბედიას წავიდა, მაცაცუნა ზევით ავარდა და ამირანს მიუხტა.

— გრცხვენოდეთ! — წამოიძახა. იქვე, ზღურბლზე შემთხვევით დადგმულ სკამზე ჩამოჯდა და ცრემლი გადმოჰყარა.

ამირანმა ხელები უმწეოდ გაასავსავა; ვერაფერი გაეგო.

— მე გიჩვილებთ, ქვეყანაზე კაცს არ დაეტოვებ, ვისთანაც ჩივილი შეიძლება...

— კი მარა, რა დავაშავე ასეთი? — გამოერკვა ბოლოს შეურაცხყოფილი ამირანი.

— ვითომ არ იცით, არა? — გაკაბსდა მაცაცუნა, — ოჯახს მინგრევთ, თავს მჭრით და არაფერი იცით?

— ჩუმად, გეთაყვა, მეზობლები გაიგონებენ, — თავგზა აებნა ამირანს, უხერხულობისაგან არ იცოდა რა ელონა.

— გაიგონონ მერე, რა მაქვს სასირცხვილო, თქვენ უნდა გრცხვენოდეთ!.. ტყუილად გაქვთ იმედი, ჩემი ქმარი ასე მყავს გამოჰკრილი, — მუშტი მოკლმა, — თქვენი ხეიბარი გოგო ვერასოდეს ეღირსება...



ამირანი უცებ მიხვდა, რის თქმას ეპირებოდა მაცაცუნა, რისხვა შემოენთო.

— გაეთრიეთ! — წაიჩურჩულა.
 — რაო? ეს უნდა მაკადროთ, არა?!
 — გაეთრიეთ!

მაცაცუნა დემონსტრაციულად წამოდგა, კარი გაიჯახუნა, კიბეზე სულ ბრაგაბრუგით ჩადიოდა, თან გზა-გზა ილანძღებოდა.

შინსაკენ გამოეშურა...

ჯუმა ბედია დაასწრო. ცოლის ნახვა მაინცადამაინც არ ახარებდა, მაგრამ ცარიელი ბინა სევდას ჰგვრიდა. არ იცოდა, რა ეკეთებინა, გული რისთვის გადაეყოლებინა. გრძნობდა, რომ ავად ხდებოდა. მხოლოდ საქმე თუ უწყამლებდა, ხელი კი არაფერზე მიუღიოდა. რამდენჯერმე სცადა მაგიდას მიჯდომოდა. სუფთა ქალაღის მიმართ აღერგია გაუჩნდა. ბოლოს თავს გამოუტყდა, მართლაც ლიტერატურული ბერწი ვყოფილვარ, არაფერი ფსეულის დაბადება არ ძალმიძსო.

ფანჯარასთან მიდგა მთელი ხევი ჩანდა ბარნოვის ქუჩის ხილამდე. მტვერში გახვეულ მანქანებს შორის რძისფერი „უივული“ იცნო. არ ესიაშოვნა. აქეთკენ მოემართებოდა „ოჯახის მეგობარი“. „მოვკლავ!“ — გულგრილად გადაწყვიტა. იარაღის ძებნასაც შეუდგა. ვერაფერი იპოვა. ოჯახში ლურსმნის ჩასაქედი ჩაქუჩის მეტი არაფერი მოეძებნებოდა. „როგორც კი შემოვა, ჩაქუჩით დავარეტიანებ, — ოცნებებში ჩაიძირა, — მერე ვურტყამ და ვურტყამ, სანამ ტვინს არ დავანთხევიანებ...“ ამკარად ტყბებოდა ამ აზრით. მეორეჯერაც წარმოიდგინა კოტეს დასჯის სცენა. იმდენად შემადრწუნებელი სურათი იხილა, ხელ-ფეხი აუცახცახდა, კინაღამ იატაკზე ჩაჯდა.

ჩაქუჩი მაგიდაზე დატოვა და ისევ გაიხედა. მანქანიდან მაცაცუნა გადმოხეტა. ჯუმა ბედია ფანჯრის რაფას საგანგებოდ გადაეყენო, რათა განშორების სცენა ენახა. მაცაცუნას ალბათ ეჩქარებოდა, კარი მიუჯახუნა და შემოსასვლელში გაუჩინარდა.

ჯუმა ბედია შუა ოთახში გაჩერდებოდა ფიქრში მაცაცუნას კლავდა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ესწავლებინა ჰკუცოლისათვის. „ლაყე ვგონივარ, — ბოზოქრობდა გუნებაში, — შემოვა თუ არა, ვეცემი და თმებით დავითრევე, მუხლებზე დავიჩეჩქვავ მაგის ცხვირ-პირს, დანას მოვიტან სამზარეულოდან და ღორივით გამოვჭრი ყელს...“ აზრის თვალთ ხედავდა, თუ როგორ შევიდა მაცაცუნა ლიფტში. ლიფტს დააჭირა თითი, ლიფტი დაიძრა და აჰა, სართული სართულს მოჰყვა... მოაღწია... მართლაც გაიჯახუნა ლიფტის რკინის კარმა. მაცაცუნას „პლატფორმები“ ბაქანზე სწრაფად ბაკიბუკობდნენ. ჯუმა ბედია ადგილიდან არ დაძრულა. მოქურუშებული იდგა. ციებიანივით ადგენდა ნაირ-ნაირ გეგმებს, ერთს უარყოფდა, მეორეს იკონებდა... თავდაპირველად ისეთი რამ უნდა ეთქვა, მიწასთან რომ გაესწორებინა, ხელზე დაესვია, მოეტეხა...

გაიჩხაკუნა საკეტმა და...

— აქა ხარ ხომ?! მტარვალო, არამზადავ, მოღალატევე, ოჯახის გამყიდველო! — იკივლა და იკივლა მაცაცუნამ, მომართული ფრჩხილებით ლოყებში ჩააფრინდა.

ჯუმა ბედია დაიბნა, უკან დაიხია.

— მომეშვი, შექალო, რამ გაგავიყა? — გეგონა, ვერაფერს გავიგებდი, ხომ?! აგრემც კუბოში ჩაწოლილი მენახე!.. შე უტვინო, შე ბენტერა, ოხერო!. — წავიდა და წავიდა, წავიდა და წავიდა... განციფრებული ჯუმა ბედია ცდილობდა სიტყვა ჩაერთო, ხმა ჩაეწყვეტინებინა თავგასული ცოლისათვის, როგორმე შიშის ზარი დაეცა, მაგრამ მაცაცუნა გიჟივით მოიწევედა და ჯუმა ბედია თავდაცვას უნდებოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ იხევედა, ლულულელებდა, „მოიცა, შე ქალო, მომეშვი, სიტყვა მათქმევინე“. მაცაცუნა კი არ ეშვებოდა, მაინცდამაინც თვალების ამოწიწკენას ეპირებოდა.

ასეთი გაწამაწიით მიადწიეს კაბინეტ-

ჯემალ შირია
 მარადი მხმადრი

ის კარს და ჭუმა ბედიამ თავს უშველა, კარი შიგნიდან ჩაქეტა. მაცაცუნა იატაკის საწმენდი ჯოხით ურახუნებდა, თან უსაზიზღრესი სიტყვებით ამკობდა.

ნერვებმოშლილი, ულონო ჭუმა ბედია დივანზე დაეცა, თავზე ბალიში წამოიმიხო და გამოითიშა, მოსცილდა ამქვეყნიურ სინამდვილეს...

არც გაუგია როდის დამშვიდდა მაცაცუნა. გაუხდელად ჩასძინებოდა თურმე. უჩვეულო მდუმარებამ გამოაღვიძა. ქალაქი დაწყნარებულიყო, თუმცა შესაძლებელია თეთონ დაყრუვდა და იმიტომ არ ესმოდა რამე. მერმე სასტუმროს დიდი საათის ტიკტიკი გაიგონა აშკარად. ჩვეულებრივ დროს, მის სმენამდე არც აღწევდა იგი. ახლა კი საყოველთაო მდუმარებაში ისე ხმოანებდა, თითქოს ჩაქუჩით ალუმინის თევფზე ურახუნებდნენ.

საშიშროება ძილშივე იგრძნო. გული გაეწურა. დამფრთხალმა უცბად წამოსწია თავი. „ის“ იქ იყო!..

კუთხეში მაგდაზე ნათურა ენთო. ოთახში ყოველი წვრილმანი თვალნათლივ ჩანდა. „ის“ კედელთან იდგა, ჩვეულ ადგილზე თვალები დაეხუჭა, ხელები მკერდზე დაეწყო. ნიკაპზე კურცხალი ეკიდა, ერთადერთი, მოციაგე. თეთრ პერანგზე სისხლის წვეთები ნელ-ნელა იღვენთებოდა.

თავზარდაცემულმა ჭუმა ბედიამ თვალი მოიფშვნიტა, მეჩვენებო. გული ისე უცემდა, ამოვარდნას ლამობდა.

„ღმერთო, დილამდე გამაძლებინე!“ — ეს ფიქრილა ჩაეჭედა ტენისში, მეტს ვერაფერს ახერხებდა.

მოხდა ის, რისიც ასე ისტერიულად ეშინოდა.

„ის“ წამოვიდა.

ნაბიჯს არც ადგამდა. თავისთავად ლევდა სივრცეს. ფეხსაცმელების ლანჩები უხმოდ მოსრიალებდა კრიალა პარკეტზე.

ჭუმა ბედიას პირკატა ეცა თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. „ის“ ისეთივე იყო, როგორიც კუბოში დაამახსოვრდა.

საბანი თავზე წამოიფარა და გაყუჩდა.

და. იგრძნო, რალაც მძიმე და ვეებოდა ზევიდან.

იკვლა ჭუმა ბედიამ, ლოგინიდან წამოიჭრა და კარში გავარდა. რამდენიმე სართული ელვის უსწრაფესად ჩაირბინა. ბნელი ღამისაც ეშინოდა და ღია ლიფტს რომ წააწყდა, შიგ ჩაიკეტა. ვილაცა დაეჯაგურა ლიფტის კარს. სამარისებურმა სიცივემ შემოატანა. ჭუმა ბედიამ ლილაკს თითი დააჭირა, მეთექვსმეტე სართულზე აიჭრა. ლიფტი გაჩერდა თუ არა, ავტომატურ კარს გაღება არ აცალა, პირველი სართულის ლილაკს დააჭირა, მერმე კვლავ მეთექვსმეტეზე აიჭრა. გარიყრეამდე ასე დააქროლებდა აღმა-დაღმა, გაურბოდა სიკვდილის მდუმარე სიცივეს.

დილაადრიან ცოცხალი ადამიანების ხმა გაიგონა კიბეზე. ლიფტის კარზე აბრახუნებდნენ, ისევ გაიჭედა ალბათ ეს ოხერიო, იკუთხებოდნენ.

ჭუმა ბედიამ შინ დაბრუნება ვერ გაბედა. ქუჩაში ჯერ კიდევ ცოტა ხალხი იყო. ავტობუსის გაჩერებამდე სირბილით ჩავიდა. პირველსავე ავტობუსს შეახტა, სულ ერთი იყო, საითაც წავიდოდა. დიღომში ამოჰყო თავი. ახლა სჭუა ავტობუსზე ავიდა და იმან კოლმეურნეობის მოედანზე მოიყვანა. მერე რკინიგზის სადგურზე გაემგზავრა, იქიდან ექსპრესს აეროპორტამდე გაჰყვა. ამასობაში ქალაქი დღის ჩვეულებრივ რიტმში ჩაღდა და შიში გაუხედა.

„შეგებულება უნდა ავიღო, ერთი-ორი თვით წავალ აქედან“, — უკვე სამსახურის კიბეზე გადაწყვიტა.

„პეგასის“ რედაქციაში მარტო ლიტმუშაკი კვინტილიანე დახვდა. ცარიელი ოთახები არ მოეწონა. არც ლიტმუშაკი მოეწონა, სახეზე დამცინავი ღიმილი შეამჩნია და თვალი აარიდა. „ალბათ ხვდება, მიწას რომ მითხრიან!“ — ზიზღით გაიფიქრა.

— დღეს სამინისტროში კოლეგიაა, — ორაზროვნად თქვა კვინტილიანემ.

— მერე შენ რა ვიხარია? — უკმეხად შეეპასუხა ჭუმა ბედია.

— მე არაფერი.. — წამით აირია,

სწრაფადღე მოითოჯ თავი, — ვილაც მამუნმა დარეკა ისევ. იმუქრებოდა, წყალს შევიყენებთო. როცა მიხვდა, თქვენ არ ბრძანდებოდით, მალე ვიქნები თქვენი შეფიო..

— იცი რას გეტყვი? — ჯუმა ბედიამ საყელოში სტაცა ხელი, მოიზიდა და სახეში შეაოროტკლა, — აქედან თუ წავედი, ერთადერთი დარდი გამყვება...

— თქვენი წასვლა ვინა თქვა, ბოდლოვეჩი.. — ხმა აუკანკალდა ლიტმუშაკს. თავს დამცირებულად გრძნობდა, რადგან ჯუმა ბედიას ძალიან უხერხულად ეკირა.

— ერთადერთი დარდი გამყვება მეთქი, — კბილები გააღჭრიალა ჯუმა ბედიამ, — ის, რომ შენ არ გაგსრისე პირველსავე დღეს!.. შენ ჭია ხარ, ქვემძრომი! იცოდე, ჩემი შემცველი მანც მოგივდებს ქუსლებქვეშ...

ლიტმუშაკმა კვინტილიანემ ნერწყვი გადაყლაპა, თვალები ააპარპალა: ჯუმა ბედიამ ხელი უშვა. ნერვები არ უვარგოდა, თავის მარცხს სხვას ტყუილად აბრალებდა.

კაბინეტში რიდი თეიხვდა. საშიში არაფერი იყო. კარი მიხურა და უმაღვე იგრძნო სიკვდილის ცივი შეხება.. თვალნათლივ ხედავდა თუ როგორ იკვეთებოდა არარობიდან „ის“... სავარძლის უკან იდგა და ელოდა თუ როდის ჩაგდებოდა ჯუმა ბედია სავარძელში, რათა ცივი ხვევით მიალერსებოდა

ჯუმა ბედიამ ჩიქურ დაიხია..
ეს იყო მისი უკანასკნელი მოსვლა.
კვარის თავზე „პეკასის“ სავარძელში სხვა რედაქტორი იჯდა.



ერთი თვის ძიების შემდეგ საქმე არქივს ჩაბარდა იყო კაცი და გჳრა. შემთხვევას გამოცდილი იურისტი იძიებდა, მაგრამ ხელშესახები სამხილი ვერაფერი იპოვა და მარტოლმარტო ეპქვებით ფონს ვერ გავიდოდა. მოწმეების ჩვენებაში არაფერი იყო ისეთი, რასაც კაცი ჩაეძიებოდა. გადაწყდა, ბოლო დროს

სულით ავადმყოფობა დასჩემდა და იმან დაღუპაო..

გამომძიებელთან საუბარში მაცაცუნა ცრემლებს ღვრიდა და ცხარობდა:

— თქვენ ვალდებული ხართ, ვალდებული!.. ყველაფერს ნათელი უნდა მოეთინოს!.. სიცოცხლე არ მინდა უმისოდ!.. თქვენ თუ იცით, ჩვენ რომ სიყვარულით დავკორწინდით?.. ჩემი ჯუმა, ჩემი გენიოსი, ისეთი კეთილი იყო, ისეთი ჭკვიანი, სუფთა, პეწიანი, სულ ქათქათა პერანგებს ვაცმევდი.. მერე როგორ ვუყვარდი? „ჩემო ერთადერთო“ — მეტყუოდა.. რა ნიჭიერი იყო...

— რატომ იყო, ქალბატონო ესმა, იქნებ ცოცხალია თქვენი მეუღლე?

— ნუ მამშვიდებთ, არაფერი მკერა.. კოტესაც ჯავრისაგან ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა.

— დიახ, მე ოჯახის მეგობარი ვიყავ. ეს ალბათ უკვე მოგხსენებათ, როგორ ვაფასებდი, ძმასაკით მიყვარდა. აქეთაც „ძმასო“ მეძახდა, სხვანაირი მომართვა არც მახსოვს. რა წამსაც დავკირდებოდი, მეტყუოდა, კოტე, შენი მანქანით აქა და აქ უნდა წამიყვანო. შუალამიც რომ ყოფილიყო, უარს როგორ ვაფუბედავდი.. რა კაცი იყო, რა კაცი!.. კეთილშობილი, დიდბუნებოვანი, ნამდვილი ვაყკაცი, ზოგიერთივით გულმხდალი კი არ იყო, მოკლედ, ძალიან მაფასებდა..

ლიტმუშაკი კვინტილიანე თითო დაკითხვაზე თითო დუქინ ცხვირსახოცს ასველებდა.

— ჩემი შეფი, ჩემი პატრონი, ამიერიდან რა მეშველება? ის მაფასებდა, თუ მაფასებდა, მეუბნებოდა, პასუხისმგებელი მდივანი პენსიაზე რომ გავა, მის ადგილზე შენ უნდა დავნიშნო, რადგან შენისთანა ვულისხმიერი, ბეჯითი კაცი რედაქციაში არავინ მეგულუბაო. სულ ერთად ვიყავით, დღისით და ღამით, იმოდენა კაცი იყო და ერთხელაც არ უგრძნობებია თავისი დიდკაცობა. თავმ-

ჯამალ ძირია
მარაღი მხმღარი

დაბალი იყო უადრესად, მეც იმას მეუბნებოდა, შენ, ძმაო, ნამეტანი თავმდაბალი ხარ, თორემ ბევრს აჯობებო...

ასე და ამგვარად, გამომძიებელი სამსამდე კაცს ესაუბრა: ზოგი ჯუმა ბედიას მეგობრად ითვლებოდა, ზოგი ამხანაგად, ნათესავად, თანამშრომლად, უბრალო ნაცნობად. ყოველი მათგანი ზოგადი მსჯელობითა კმაყოფილდებოდა, რომ ელშიც ერთი ლიტმოტივი აუცილებლად ქდერდა: „აფსუს, რა კარგი კაცი იყო ჯუმა ბედია, მეც დაბეჭითებით მეუბნებოდა, კარგი კაცი ხარო!“

ამბავი კი ამნაირად წარიმართა:

ჯუმა ბედია თავისი კაბინეტიდან რომ გამოვარდა, ჰკუთამყოფელ კაცს სულ არა ჰგავდა. ერთი კი იყო, ვამოცდილი კაცი მის დამფრთხალ თვალებში გადაწყვეტილებასაც წაიკითხავდა. ლიტმუშაკი კვინტილიანე, თუმცა ნაწყენი იყო, კიბემდე გამოედევნა. ჯუმა ბედიას მისკენ არც მოუხედავს, ლიფტი არ გახსენებია. ეს მაღალი კიბე სულ კისრისტიხით ჩალოა. ლიტმუშაკმა კვინტილიანემ თავი გააქნია, კიბის ქვედა საფეხურზე ჩამოჯდა, ახალი რედაქტორის გამოჩენას უნდა დალოდებოდა.

ჯუმა ბედია კი მიიჩქაროდა ხალხით გადატირთულ ტროტუარზე. თვალებში ვერ იხედებოდა, ხან ერთ გამვლელს გაჰკრავდა გვერდს, ხან მეორეს, ან პირდაპირ შეეტაკებოდა ვიღაცას. სხვები გზას უთმობდნენ გამალეებით მიმავალს. თვითონ ბოდიში არც კი გახსენებია, არც სცალოდა ამისთვის. ფეხდაფეხ ლანძღვის კორიანტელი მისდევდა, ის კი მხოლოდ საკუთარ გულისხმას უგდებდა ყურს... მისი სული ვაორებულიყო და ჯუმა ბედია მისწრაფვოდა ჯუმა ბედიასაკენ...

შესანიშნავი დღე იდგა. გაზაფხული გაბატონებულიყო სრულიად. ცაზე მზე კაშკაშებდა, არც ცივი, არც ცხელი, ყოველ კუთხე-კუნჭულს ასხივოსნებდა ცინცხალი ფერებით. გრილი ნიავი ირხეოდა ტოტებში. ხასხასა მწვანე, ნედლი ფოთლებით შემკული ყოველი ხე სასაჩუქრო თაიგულსა ჰგავდა. ქუჩებში

გამოყრილი ხალხიც, თითქოს ^{ახლავე} გაიღვიძაო, თვალის ჰყეცითა ^{დასრულდა} ნაირი ნეტარი ზმორებით დასეირნობდა. სიყვარულის პირველი, უცოდველი ძაფებით იხლართებოდა ცისქვეშეთი. არ არსებობდა ბოროტება, ნათელი ეფინა ყოველ გულს. მთაწმინდა გადმოსცქეროდა ქალაქს როგორც ახლადგალვიძებული კეთილი დრაკონი. ძლიერესამჩნევი სურნელი ყვავილებისა დაფოფინებდა უბნებში. წყნეთელი ბიჭები მანდგრის ყვავილებს ყიდდნენ, თან მილიციას არიდებდნენ თავს, მაგრამ ასეთ დღეს მილიციაც თვალს ხუჭავდა...

სად მიიჩქაროდა ამ დროს ჯუმა ბედია? ვის თხოვდა შველას? ღმერთიც და ეშმაკიც თავის სულში უნდა ეძებნა, მაგრამ იქ უკუნი ღამე ჩამოწოლილიყო, ჯოჯოხეთის მხრჩილავი კვამლი უწამლავდა გონს...

გვიურ ფიქრებში ჩაძირულს, არც შემჩნევია, რომ კვალდაკვალ, მთელ გზაზე, აუჩქარებლად მიჰყვებოდა „ოჯახის მეგობრის“ რძისფერი „ეიგული“, რომელშიც გაწიწმბებული მაცაცუნა იჯდა.

— ხომ გეუბნებოდი, კოტე, უყურე, ნორმალურსა ჰგავს?

— შენ რა გაღელვებს, გენაცვალე, იყოს როგორიც არის. დიდად არ გაწუხებს, არაფერსა ვთხოვს. მე რომ მკითხო, რქიანებში იდეალური ქმარია.

— სულ მეზუმრები, მე კი ჩემი გაჩენის დღეს ვიწყევლე, ვეგთი ჩერჩეტი რომ შემახვედრა ბედმა...

კოტემ ვაიკინა ხშირად მოესმინა მსგავსი წუწუნი. წინასწარ იცოდა, რასაც ქალი იტყოდა.

— შე კაი ქალო, ბედს თუ ვინმე ემდურის, შენ რა გაქვს დასამდური?.. ბინა, ფული, ქმარი, სახელი, მეტი რა გინდა?.. ზედ კიდევ ჩემისთანა საყვარელი!.. გეფიცები, ქვეყანა შემოგნატრის, შენ კი უკმაყოფილო ხარ...

— მე მკითხე, ხუმრობის გუნებაზე თუ ვარ, — უფრო გაწიწმბდა მაცაცუნა, — დარწმუნებული ვარ, იმ ხეიბარმა რაღაც ჯადო დააღვივინა, იმაზე გიჟდება...

— კაი ახლა, სისულელეს ნუ ლაპარაკობ, სულთმობრძავი მაინც შეიბრალებ.

— სულთმობრძავი?.. ეგ რომ სიკვდილს აპირებდეს, აქამდე უნდა გაეფრთხო სული. აფერისტობს, მე თუ მკითხავ...

— ოპ, ქალები, ქალები...

— დავიფიცე, — ფიცხად შეაწყვეტივნა მაცაცუნამ, — ის თუ მაგ გოგოსთან შევიცა, გავეყრები!

— სისულელესაც ჩაიდენ, — მოიღუშა კოტე, — თუმცა, როგორც გენებოს, ისე მოიქეცი. ჩემდათავად უკვე გითხარი, შვილები მყავს და ცოლი რომც მძულდეს, ოჯახს ვერ დავანგრევ-მეთქი. გულწრფელად გითხრა, სულაც არ მძულს ჩემი ცოლი!

— ის მათხოვი! — ღვარძლიანად შეეპასუხა მაცაცუნა და ასლუკუნდა.

— მათხოვია თუ არა, ჩემია და რქებს არ მადგამს! — უმაღვე სამაგიერო გადაუხადა კოტემ, — კაი ახლა, ამაზე ნუ ვიჩხუბებთ!

ჩხუბის დრო მართლაც არ იყო და მაცაცუნამ თვალები შეიმშრალა.

— უყურე! ხომ გეუბნებოდი, იქითკენ გაუხვია...

აქლოშინებულმა ჯუმა ბედიამ ერთიორჯერ გაუხვია და თავის ძველ ქუჩაზე გავიდა.

ეხოში რომ შედიოდა, ზაზუნას მეუღლე და პატარა ბიჭი შეეჩხენენ, მისალმნენ.

ჯუმა ბედიას ისინი არ შეუღმჩნევია. მაცაცუნამ დაიცადა, სანამ მეზობლები წავიდოდნენ და მანქანიდან გადმოვიდა.

— შენ აქ დამელოდე, მალე მოვბრუნდები!

— დამიჯერე, ესმა, ჩხუბი და დავიღარაბა სიკეთეს არ მოგიტანს, — დაჟვავება სცადა კოტემ.

— ჩემი ამბისა მე ვიცი!

ჯუმა ბედია გიყის ვახელებით აიჭრა რკინის კიბეზე. აივანი ცარიელი დახვდა. ვინმეც რომ ყოფილიყო, მაინც ვერ შეამჩნევდა.

ხელები უკანკალებდა და გასაღები ძლივს მოარგო კლიტეს, გადაატრიალა.

თან ეჩვენებოდა, თითქოს ფხაკუნის და ხითხითი მოისმოდა შიგნიდან. შიში და სიხარული ერთად მოაწყდა.

კარი გაღო და ზღურბლზე წამით გაიყინა.

ოთახში სიციარიელე სუფევდა. იატაკზე წინანდებურად ზიმაზიმებდა მტვერი და ზედ ჯუმა ბედიას ნაკვალევის გარდა, სხვა კვალი არ აჩნდა.

შეუოყმანდა. უკვე არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

მაშტერდა სარკეზე ჩამოფარებულ ხავერდის ფარდას. ოდნავადაც არ ირხეოდა.

— გუჯმახანი! — სასოწარკვეთით წამოიძახა, — რად დამლუპე, გუჯმახანი!

ფარდის კალთა გადაიწია, წოწოლა თავი გამოჩნდა წამიერ. წითური წვერები აშლოდა. ელამი თვალეები მოექუტა. გულიანად ჩაიხითხითა და მიიმალა.

— გუჯმახანი, პასუხი გამეც! — ფარდას მიეჭრა ჯუმა ბედია, გადასწია.

სარკემ მისი გამოსახულება აირეკლა. ვერ იცნო ოლონდ, გუჯმახანს დამსგავსებოდა თვითონაც.

საიდანაც, შორეული სიღრმიდან კი უწყვეტი, აგდებული, შეურაცხყოფელი ხითხითი აღწევდა.

— გუჯმახანი, შურს ვიძიებ!.. — ულონოდ იძახდა გამწარებული ჯუმა ბედია. პასუხად ხარბარი გაისმა, დამცინავი, გამანადგურებელი, თავხედური.

თავი ჯიუტად დახარა ჯუმა ბედიამ, ავადმყოფური ისტერიკით ატაცებულმა ნაბიჯი წარსდგა.

სარკე ცომივით რბილად დახვდა და ჯუმა ბედია შიგ შევიდა.

იმავე წამს ზღურბლზე მაცაცუნა წამოიმართა.

შორიდან ესმოდა ჯუმა ბედიას ძახილი. ოთახში რომ ვერავინ იპოვა, დაიბნა. მერმე ფარდის საეჭვო რხევა შეამჩინა და გაბოროტებული მივარდა.

— აქ შემალეები, არა, შე დეგენერატო?

ჯუმა ბედიას
მარადი მხედარი



გამოსწია ხავერდის შავი ფარდა და მასთან ერთად სარკვეც გადმოიყოლა.

ტრახ!

გულშემშარავად იკვილა ვილაცამ. იატაკზე, სარკის ნამსხვრევებში სისხლი გამოკრთა.

გაოგნდა მაცაცუნა, დამუნჯდა.

კოტემ შემოიხედა. არ მოეწონა ნამსხვრევებს შორის დაღვრილი სისხლი და ქალს ხელი სტაცა, ძალით გაიტაცა ოთახიდან.

კარი ჩაკეტა, გასაღები კი გადავლო. ისინი არავის შეუქმნევია...

მეშვენიერება ზედიანს ომი

ნაშუადღევს კოჯრიდან მომავალი მანქანის მძღოლმა გამოაღვიძა. მზეჭაბუკ ბედიას გზის პირას თივაზე ჩასძინებოდა. წელში ძლივს გაიმართა. მთელი ტანი დაბეჯილი ჰქონდა. ვერა და ვერ გაიხსენა, აქ როგორ მოხვდა. ხმაღს დახედა. ხმლის ვადა თითქოს ხელზე მისწებებოდა. თანდათან მეხსიერება ამუშავდა, ამოტივტივდნენ უცნაური, არამქვეყნიური სახელები: ჯავერნაუტი, გუჯმახანი, ჯგრაგ... ეს იყო საიდუმლო და ამას ვერავის უამბობდა.

მძღოლი ცნობისმოყვარე აღმოჩნდა. კითხვებს აყრიდა, აინტერესებდა, აქ საიდან ვაჩნდა, ან ეს სამუხეუმო ხმალი სად იპოვეო.

მზეჭაბუკ ბედია ხმას არ იღებდა, თავისთვის ფიქრობდა. დამეუღლი თავგადასავლები აღიდგინა ნაბიჯ-ნაბიჯ, წუთით წუთამდე... ხელთ ეყურა ძლიერი იარაღი და არ უნდა დაეყოვნებინა დიდი ომი...

ლენინის მოედანზე მძღოლს დაემშვიდობა. მოუბოდიშა, ჯიბეში კაპიკიც არ მიჰყავისო. მძღოლმა გაუცინა, შე კი კაცო, ფულზე ხომ არ არის საქმეო. მზეჭაბუკ ბედიამაც გაუღიმა და ასე მეგობრულად დაშორდნენ.

წუხელ თბილისში ეწვიმა. ქალაქი ახლადგანბანილ ჩვილს ჰგავდა. რუსთაველის პროსპექტს მიჰყვებოდა აუჩქარებლად. გამვლელთ ანგარიშმიუცემლად

ულიმოდა. პასუხად ხან კეთილგონიერად იჭერდა, ხან გაოცებულ მხერამს მცინავს, ხან ზიზღნარევს, ბოროტსაც კი, მაგრამ უმთავრესად მაინც ხალისიანად ულიმოდნენ და გუნებაში ყველას სამაგიეროს მიუზღავდა.

გვიან მიხვდა, შიშველი ხმალი ვადამეტებულ ცნობისმოყვარეობას იწვევდა და პერანგის კალთა გადააფარა...

ვარაზისხევით გმირთა მოედანზე დაემგა.

საათზე მეტი იხეტიალა და ქუჩასა და სახლს მიაგნო.

მოუთმენლად დააჭირა ღილაკს თითი.

— ნელა, კაცო, ნუ აგვიკელით! — ბუზღუნით გამოიხედა ამირანმა.

— ველარ მიცანი, ამირან ბიძია?

ამირანი შეცბა. ეტყობა იცნო, ოღონდ ზღურბლიდან ფეხი არ მოუცვლია.

— ეჰ, კარგად გიცნობთ ბედიებს, მაგრამ სახეირო ვერაფერი ვნახე ამაში.

— ამირან ბიძია, რაღაც არ მახსოვს, რაზე დამეშავებინოს.

— ჰმ, — ამირანმა არ იცოდა ამაზე რა ეპასუხა, შეეყოყმანდა, — ჰო, შემოდი, ხმადაბლა ილაპარაკე, ავადმყოფი გეყავს.

მზეჭაბუკ ბედიამ გვერდი აუქცია. აქამდე არასოდეს ყოფილა ამ ბინაში, მაგრამ გუმანით მიხვდა, სადაც იქნებოდა მზიას ოთახი. ნებართვისათვის არ მოუცდია, ისე შევიდა.

ავადმყოფის ცვილისფერი სახე ძლივს აჩნდა ბალიშზე, მძიმე ფარდებში მზევერ აღწევდა და მრუშე, სიფრიფანა მუქი კიდევ უფრო უფერულსა და მიღეულს ხდიდა გოგონას.

— გამარჯობა, მზია!

თვალი გაახილა მზიამ, სუსტად გაუღიმა.

— გამარჯობა, ტატო, — ნიავეით შეეპასუხა.

მზეჭაბუკ ბედია დაიბნა, ენა შეებოროკა.

— ბნელში წოლა რას გარგებს, გოგო, — შეეცადა მხიარულად ეთქვა. ფარდას მივარდა, გადასწია.

სინათლე ნიაღვარივით მოსკდა, პი-

რთამდე აავსო ოთახი, მზის სხივები დაეფინა პარკეტს, ათინათები აციმციმდნენ ჭერსა და კედლებზე.

— გარეთ ისეთი ამინდია...

ფანჯარა გამოაღო, გრილი ჰაერი შემოუშვა.

— გამარჯობა, ტატო, — ძლივს გასაგონად გაიმეორა მზიამ.

— მხნედ იყავი, მზია, მალე განიდევნება მტერი ბოროტი... გზა დამილოცე.

— დამილოცინხარ, ტატო... — ბაგეებზე წაიკითხა მზეჭაბუკ ბედიაშ, გავგონებით კი არა გაუგონია რა...

ამირანმა შემოიხედა და გაოცდა. მზით საგსე ოთახში სტუმარი ვერ იპოვა...

„დამილოცინხარ, ტატო...“ — ფიქრში მრავალგზის გაიმეორა მზიამ. გრძობდა, გობზარულ გულს ეს სიტყვები მალამოდ ედებოდა, უმართლდებოდა...

მზიას მესხიერება თეთრ ქალაქს და მსგავსებოდა, რომელსაც აქამდე ორად ორი სიტყვა ეწერა: „ტატო წავიდა!“ მზიამ არ იცოდა, რატომ წავიდა ტატო, სად წავიდა, რად მიატოვა. ისეთი რა უნდა დაეშავებინა გოგონას, ასე სასტიკად რომ დასაჯეს.

იმ დღიდან ფიქრი ჩაიხშო, აზრი გადაიკეტა. იგი უღრტივნიველად, წინააღმდეგობის გაუწევლად თანდათან ქრებოდა, მორჩილად მიჰყვებოდა შავი ზმანების იმ ტკბილ შარას, რომლის ბოლოს მარადისობასთან სრული შერწყმა მოელოდა.

დღე ჰვავდა ღამეს, ღამე დღეს... იდამიანთა ყოფის ყოველდღიური წვრილმანები მის სმენამდე ვერ დადიოდა. ხანდახან ბინდბუნდში ოდნავ გამოირჩეოდა ამირანი ან ბუბას სახეები. ისინი რაღაცას ჩასჩინებდნენ, მაგრამ მზიას მესხიერებაში კვიტიკირის ზღუდედ წამომართულიყო ეს სიტყვები: „ტატო წავიდა!“ სხვა სიტყვები კი მისთვის არ არსებობდა. ცხოვრება იყო უსასრულოდ გაქიმული წამი, რადგან სრულ სი-

ეთერთში შეუძლებელია რამის გარეშევა...

მერე უცბად შემოვიდა ტატო. ფარდა გადასწია, მზის სხივებით აავსო ოთახი. ფანჯრიდან გრილი ნიავი შემოიჭრა. „გამარჯობა, მზია, — ჩასჩურჩულა, — დიდხანს გალოდინე ძვირფასო და მანატიე... აჰა, მოვედი შენთან და ამიერიდან არასოდეს მივატოვებ“. „დამილოცინხარ, ტატო!“ — პასუხი შეაგება მზიამ. პირველად ამ უსასრულო წამის მანძილზე მოინგრა მესხიერების ზღუდე და იქ შეიჭრა მაცოცხლებელი აზრი — „დამილოცინხარ, ტატო!“ სიტყვები ჰვავდა ღამისეულ უღრანში გზაბნეულ ციციანთელას, რომელიც ხან ერთ კუთხეს მიანათებს, ხან მეორეს. მესხიერებაში ათასი წვრილმანი აფუთფუთდა. ძნელი იყო მთავარისა და ძირითადის გამოყოფა და მზიას დაეადებოდა გონება გადაიღოდა, მოითენთა, ბურუსში ჩაეფლო... შეწყდა სუსტი აზრის მდინარება, სიზმრის გაფაჩუნებაც არ არღვევდა მზიას არყოფნას...

ვინ იცის, რამდენ ხანს გრძელდებოდა ის შეგრძნება, როცა სული ტოვებს სხეულს და სადღაც ბნელ სივრცეში მიფარფატებს. თითქოს სამუდამოდ გაჩერდა ღრო, მზიას მეობა არასში გაითქვიფა...

უცბად მკვეთრი ჩახჩახა სინათლე მოეფინა სახეზე. თვალი დააჭყიტა განცვიფრებულმა, თითქოს ბნელი ოკეანის სიღრმიდან ამოტივტივდა თეთრი ქაფი. „სად ვარ?“ — თავს შეეკითხა. კარგად ცნობდა ამ ოთახს, თუმცა რაღაც ცვლილება მაინც მომხდარიყო. წამლების სუნმა დააქვეა, მაგრამ ისეთი გრძობა და უფლებოდა, თითქოს წუხელ ჩაეძინა და ამ დილას ჯანსაღი ძილის შემდეგ გამოეღვიძა. გონება ჰქონდა ნათელი და დაწმენდილი.

„დღეს ტატოს უნდა შევხვდე!“ — გაიფიქრა. ერთხანს იწვა. რეპროდუქტორიდან შტრაუსის ვალსები მოისმოდა. აღმათ კვლავ ის დღე გათენდა, როცა

ჯემალ შირია
მარაღი მხაძარი

„ვენის ტყის ვალსის“ მელოდიაზე პერანგის ამარა ამ ოთახში ცეკვავდა.

წამოიწია. სხეული მსუბუქად დამოძრწინდა. სულის სიღრმეში ბედნიერი სიცილი იბადებოდა და მუსიკის ხმას აჰყვებოდა. ოთახში დატრიალდა.

სარკის წინ მოწყვეტით გაჩერდა. ჩვეულებრივ, ცისკროვანი ღიმილი შემოეგება.

„დღეს ტატოს უნდა შეეხვედე!“ — კვლავ გაიფიქრა, მაგრამ ეს დილა მაინც არ ჰგავდა მზის სხივებით გამსჭვალულ იმ დილას და მეხსიერებას ძალა დაატანდა.

„ტატო არ არის!“ — პედანტი მასწავლებლის ხმით ჩაუკაკუნა ვილაკამ.

სახეზე ღიმილი წარეშალა, მაგრამ ჯიუტად თავი გააქნია, არ დაიჯერა.

კარგა ხნის უხმარი კაბები გამოიღო კარადიდან. ერთი შეარჩია, კობლებიანი, ტატოს რომ უყვარდა. ქუთუთოებზე ოდნავ წაისვა ლურჯი საღებავი, რაც ძალიან უხდებოდა.

სამზარეულოს რომ გაუარა, „დილა მშვიდობისა, მამიკო!“ — წაუმღერა. ამირანი და ბუბა საუზმობდნენ. ორივენი ფეხზე წამოცვიდნენ, უხომო განცვიფრებისაგან ხმის ამოღება ვერ მოასწერეს, მზია კი ფეხსაცმლის ბაკიბუკით კიბეზე ჩარბოდა.

სანამ ქუჩაში გავიდოდა, მეზობელთა გაცემულ მზერას ღიმილს აგებებდა. ვერც ხედებოდა, რა აოცებდათ. მისი გონება მხოლოდ ტატოთი იყო დაკავებული.

სასაფლაოზე ტაქსით წავიდა.

ორმოცის შემდეგ იქ არ ყოფილა. მაგრამ ახლა ეჩვენებოდა, რომ ყოველდღე აკითხავდა თავის რჩეულს.

უშეცდომოდ მიაგნო მარმარილოსა და ბრინჯაოს შორის ჩაკარგულ უბრალო საფლავს.

ვილაკას ზედ მინდვრის თეთრი გვირილები გაეხარებინა.

„გამარჯობა, ტატო!“ — წაიჩურჩულა მზიამ და ფხვიერ მიწას მოეფერა...

მზეჭაბუკ ბედიას ხმალი თავზევით აღეშრათა და მტრის დასათრგუნავად მისწრაფოდა. ხმალი გრძნეული ახათებდა, ვითარცა შუქურვარსკვლავი, ცინცხალი ნაპერწკლები ცვიოდა. მის დიად სიკაშკაშეში ვარსკვლავი ქრებოდა.

განიწმინდა მზეჭაბუკ ბედია, მის სულში მგზნებარე ცეცხლი ენთო. მკლავში უკვე ძალას გრძნობდა. ბედნიერი იყო, რამეთუ რჩეულთა ხვედრი ერგო წილად.

უშფოთველი ქალაქები და სოფლები დაილია პირმიწაზე, გორაკებისა და სერების ბნელი გრავნილები გამოიკვეთა...

ქროდა ძლიერი ზურგის ქარი, ცდილობდა განეძარცვა ზეცად აჭრილი ყრმა, იტაცებდა ნაპერწკლებს, ციცინათელეზივით მიმოაფენდა ღამისეულ ქვეყნიერებაზე.

და სადაც დაეცემოდა ნაპერწკალი იგი, მუნ აღმოცენდებოდა სიკეთის ლურჯი ყვავილი...

მზეჭაბუკ ბედია მისწრაფოდა უჩინარი მტრისაკენ. აღუშფოთველ ძილს მიცემული სამყაროს მკვიდრნი ვერარას გაიგებდნენ მისი გამარჯვებისა და დამარცხების შესახებ, გარნა ჭეშმარიტი სიკეთეა, როცა გმირობის წილ ჯილდოს არღარას გამოეღო.

აღმოსავლეთის მათა შორეულ მწვერვლებზე თეთრმა ზოლმა გაიბრინა, შავ წახნაგებად გამოჰყვეთა ქედთა გრავნილები. უჩუმრად, თავმდაბალი სიმორცხვით მოვიდა ლბილი ნათელი. თითქოს პროექტორებმა მოანათესო, ამოეფინა საიდანღაც სხივნი სამყაროს დიადი მეუფისა, თვალსაწიერზე ოქროს ჯაჭვებით დაკიდებული ღრუბლის სპეტაკი ქულა უშაში განყვეთა... მზე ჩქარობდა, რათა ერთადერთი მოწმე ყოფილიყო მზეჭაბუკ ბედიას ომისა...

აპარე, განიხვნა კარიბჭენი სასახლისა და დიადი მზე გარდამოვიდა ცასა შინა... სხივნი განერთხო ვრცეულ ველებსა და ტრამალებზე, მიმოიჭვრიტა ყოველი ნაოჭი კიდით კიდე გარდაშლილი მიწისა,

მბრწყინავი ოქროს ისრებით გამსჭვალა უკიდევანო ეთერი. ხმალი გრძნეული აბრიალდა უფრო, ისხლიტა სხივი მზისა და მირიადი ათინათი მიმოაბნია...

ქარი ჩაღვა, გაყუჩდა. წყნარი ნიავილა უბერავდა ხანდახან, ელამუნებოდა ახალგაღვიძებულ მიწისპირს. გაიშალნენ ხენი და ყვავილნი, ტოროლა აიჭრა ცის კაბადონზე და ყოველმან მტილმან მიჰმართა თავის სამუშაოს.

ანუხიუხდა წყარონი ანკარანი და ზეფორმა წამოიღო დედა ბუნების ტკბილი მუსიკა. მზით გასხივოსნებული მზექაბუკ ბედია მიჰქროდა ვრცელ ეთერში და ლურჯი ქავლი ირხეოდა მის კვალზე...

იქ კი, თვალგადანუწვდენ უდაბნოებში, სადაც მზის ხვატით გადამწვარ ქვიშის დიუნებზე თვალი ათასში ერთხელ შეისვენებს სიცოცხლედალეულ ჩამომხმარ ეკლიან ბუჩქზე, სადაც ათასში ერთხელ თუ გაცოცდება აქამდე მზეზე განაბული უნასი, ანდა ქვიშაში იმალება გოჯისტოლა მორიელი, სადაც ათასში ერთხელ თუ დაჰქროლებს ცხელი ნიაკი, ზე აიტაცებს წვრილი ქვიშის ღრუბლებს, სადაც სიცოცხლის სიხარული განდევნილია, ქარავანთა ნაკვალევზე თეთრი ჩონჩხები ჰყრია, იქ მიწა იძრა...

ჯერ სუსტი, ყრუ გუგუნი ისმოდა ერთხანს, მერმე გაძლიერდა ხმა, ზეცა გამოეპასუხა ბუბუნით, შეირყა სამყაროს გუმბათი... აქლემის ლეშიდან აფრინდა ყორანი, ყრანტალით შეუწყრა ბედისწერას. მორიელი სწრაფად ჩიომარზა ქვიშაში. უნასმა წვეთი შხამი დაანთხია, მშფოთვარედ დაიგორგლა: დიუნებიდან ჩუმი შრიალით ფენა-ფენა ჩამოეშვა წვრილი ქვიშა...

მერმე გაძლიერდა გუგუნი, მოახლოვდა. აზანზარდა ყოველი. იქუხა ზეცამ, თითქოს უზარმაზარი გველეშაბი დასჭიდებოდა კოსმოსში მოხეტიალე დეამიწას და ინგეროდა ქვეყნიერება. გასკდა, ბზარით დაიტოტა უდაბნო, ჩაიფშენენ ქვიშის დიუნები შავ უფსკრულში.

ჰორიზონტზე ავირდა მტვრის კორონა-ტელი. მაღლა, მაღლა აიწია, ბოლქვი ბოლქვზე აიზიდა, მთელი ცისკიდური დაიპყრო. მოდიოდა შავი გრიგალი, ნთქავდა ყოველივე ნათელს.

მზე შეჩერდა ცარგვალზე. მტვრის პირბადე გადაეფარა წამით, გამოიყუცა. უმაღვე წარიტაცეს, ვითარცა ყმაწვილი მზეთუნახავი, რომელსაც თავზე ჩადრი მოარგეს და ბნელ ჰარამხანაში შთააგდეს.

მიწისპირი დაიპყრო ზვავივით წამოსულმა ქვიშის გრიგალმა, ბოროტი ურჩხულივით გადაეფოფრა...

მტვრის ღრუბლებში გაიეღვეს ბუმბერაზმა ცხენებმა. უზარმაზარ ფლოქგებქვეშ დგრილებდა მიწა, ავი ჰიხვიანი აწყდებოდა ცის კაბადონს, აწეწილი ქარიშხლები თავგზააბნეულად მიიჩქაროდნენ ქვეყნიერების ყოველი მხრისაკენ...

ოქროს ეტლი მოჰქროდა უდაბნოში. ოქროთი მოსალტულ ბორბლებქვეშ იმლებოდა დიუნები, იფშენოდა სალი კლდე, ნაპერწკლებად ცვიოდა კაყი...

ჯაგერნაუტი წამოიმართა ეტლზე, თავზე მზის ბრდღვიალა გვირგვინი ედგა. საცრისოდენა თვლებიდან ორი დიდი ვარსკვლავი ანათებდა ბოროტად.

მოდიოდა ჯაგერნაუტი და შეუბრალებლად სპობდა ყოველივეს...

გაზაფხულის ხასხასა მდელი ლივლივებდა ველებსა და გორაკებზე. ლურჯი ტბები მიმოზნეულიყო აქა-იქ. ყოველ ტბაში თითო მზე ჩაყარდნილიყო, ბარჩხალებდა თვალისმომჭრელად. აღმოსავლეთის ყავისფერი კლდეები ურჩხულის ყბებს დაემსავსა. დასავლეთის მწვანე ფიჭვნარით მოსილი მთათა გრავნილი სპეტაკი თოვლით შებურვილ მწვერვალებში გადადიოდა.

ყოველივე ამას ზევიდან ბროლის ხუფივით ეხურა ულურჯისი ცა.

ჯეგალ ქირია
მარადი მხილარი

მზექაბუკ ბედია ცხსთავზე ეკიდა და უთვალთვალებდა წყება-წყება გორაკებოთ მოფენილ სივრცეს, სადაც მტვრის გიგანტური გრიგალი წამომდგარიყო პირისაგან მიწისა, მძლვარედ ემტკრებოდა ამ ხასხასა, ბუკოლიური მშვენიერებით მოხატულ ქვეყანას.

მოახლოებული სტიქია ახანზარებდა მიწასა და ზეცას. გრილით მოჰქროდა ჯაგერნაუტის სისხლიანი ეტლი, ყოველივეს ასწორებდა და ანადგურებდა.

აბოკალისტურ გუგუნს ერთვოდა ცხენთა ჭიხვინი, შვ ღრუბლებში სხლტებოდა ოქროს ციმციმი...

მზექაბუკ ბედია ელვასავით დაეშვა ძირს, რათა პირისპირ შეჰკვეთოდა მომხდურს.

და მან იხილა საოცარი სურათი...

მტვრს მოეფინა თვალსაწიერი. მოიწვოდნენ სპილოებსა და აქლემების ქარავნები, ცხენოსანი ჯუჯები, ქვეითი ქაჯები. მზეზე ბრწყინავდა უთვალავი შუბი და ხმალი. მიწა ვერ უძლებდა ურცხვი ლაშქრის სიმძიმეს, კალისავით შემოსეოდნენ ზურმუხტისფერ ველებს. სადაც გაივლიდნენ, ყველგან ქვიშა და ღორღი რჩებოდა, გადაგვილი, უსიცოცხლო, განადგურებული. გაიჭროლებდა ჯაგერნაუტის ეტლის ბორბლები და ქვა-ღორღიც მტვრად ინთქმებოდა... მტვრით იყო ყოველივე და მტვრად იქცეოდა... სიცოცხლეს დასდგომოდა განსაცდელი...

მზექაბუკ ბედიამ ხმლის ვადა ჩაბღუჯა, მეცაურ რაზმს დააცხრა თავგანწირვით. ვაკვესა ხმალი გრძნეულმა, ელვა მოსწყდა მის პირს, ცეცხლის ნაპერწკლები დაჰყარა...

თვალს არ დაუჯერა ქველმა ყრამამ. იქ, სადაც მეწინავე მხედრობა იდგა, თიხის ბორცვების რიგი დაეწყო...

შეუტრია ახლა სპილოებსა და აქლემებზე ამიდრებულ ლაშქარს. გაიწვდინა ხმალი გრძნეული და თიხის ბორცვების წყება გაჩნდა უმაღლ...

ასე დაჰქროდა ველზე, ლაშქრის აღვილას კი ურცხვი ბორცვი და გორაკი ნიმოიფანტა...

მალა აფრინდა ყრმა, შავი მტვრის გრიგალში გაეხვია...

ღმუონა გრიგალი, სახეზე აყრიდა მტვერსა და ნაცარს, უსიცოცხლო უდაბნოებიდან წარტაცებულს. ზანზარებდა ცა და მიწა. მეხი სკდებოდა, ხმაჩახლენილი, ბორბტი, გაავებული...

არა ღრკებოდა ყრმა ბედია, ხმალი გრძნეული წინ გაეწვდინა, არღვევდა მოძალებულ გრიგალს.

ბოლოს გამოკრთა ჯაგერნაუტის ცას შემწვდარი კოლოსი. ბუმბერაზის უსიცოცხლო თავი პირდაპირ შეჰყურებდა მზექაბუკ ბედიას... იქ, სადაც თვალეხი ევლებოდა, გაგარვარებული რკინა დუღდა. იქ, სადაც პირი უნდა ყოფილიყო, შავი კვამლი ხრჩოლავდა. წამით შეკრთა ყრმა ბედია. უმაღვე განდევნა კრთომა, ორივე ხელი ჩასკიდა ხმლის ვადას, მიეჭრა უსიცოცხლო გიგანტს.

„ჯაგერნაუტი!“ — შეუძახა ბრძოლის უნით აღგზნებულმა.

ექომ მრავალგზის გაიმეორა მისი ძახილი:

„ჯაგერნაუტი... ნაუტი... ნაუტი!“

კოლოსი არ პასუხობდა. მკვდარ სახეზე ერთი კუნთიც არ შერხეულა.

ხმლის წვერი მიაწვდინა მზექაბუკ ბედიამ, დაღი დაამჩნია სახეზე. შენეღდა ცეცხლი თვალეხში, შხამიანი კვამლი აღარ ხრჩოლავდა პირიდან.

„თიხა ყოფილა!“ — გაოცდა ყრმა ბედია. გათამამებული მიაფრინდა თვალის უბეს...

თვალის მაგიერ ფართოდ ამოჭრილი ზვრელიდა დახვდა. შიგ შეიხედა. უზარმაზარი ბომონი შიგნიდან ღრუ აღმოჩნდა.

„ჰეი!“ — ჩასძახა მზექაბუკ ბედიამ.

„ჰეი, ჰეი, ჰეი!“ — ექო გამოეპასუხა კოლოსის სტომაქიდან.

მგლის საზარი ყმულიც დაერთო ექოს თან.

კვლავ ხმალი მომართა მზექაბუკ ბედიამ, უყოყმანოდ შეფრინდა თვალის ჭრილში. ტაძრის ვრცელ გუმბათს ჰგავდა ჯაგერნაუტის თავი.

„ჰეი, ვინა ხარ მანდ?“

ქვევით დიდი ქურა დაინახა. იქვე მგელი ჩაცუტულიყო და ყმუოდა. წოწოლა კაცი ცდილობდა ცეცხლის ანთებას, უბერავდა და უბერავდა, ქურა კი სუსტად ხრჩოლავდა, ცეცხლი გაჰპარვოდა.

„დამიდექ, ვინცა ხარ!“ — დააცხრა ზევიდან მზეჭაბუკ ბედია.

წოწოლამ ქურას თავი მიანება, მგელს ზურგზე მოახტა, გაანგრია კოლოსის კედელი და მინდორზე გააქროლა.

კვალზე სწრაფად მიედევნა მზეჭაბუკ ბედია. დგრიალი გააღინა კოლოსმა და იმ ადგილას თიხის მთა წამოიმართა.

ყრმა ბედიას უკან არც მიუხედა.

ძალას მოუხმო. მიეწია მგელზე ამხედრებულს, გადააწვდინა ხმალი გრძნეული, მოუქნია.

იფრთხილა უცებ წოწოლამ, ორბად იქცა. მოქნეულმა ხმალმა ორად გაჰკვეთა მგელი.

ორბს გამოენთო მზეჭაბუკ ბედია.

ყოდა გაქცეული ორბი, ეწაღა თავის დაღწევა.

„დამიდექ!“ — იძახდა მზეჭაბუკ ბედია.

შემობრუნდა ორბი იგი, პირისპირ შემოეჩეხა. მძლავრი ფრთები აუბათქუნა სახეზე, ჭანგი გაჰკრა, მკლავზე სისხლი ადინა.

ყანყრატოში ეცა მზეჭაბუკ ბედია. მარჯვენათი კი ხმალი მოუქნია, ფრთები მოასხიბა.

ყაშყაში აღმოხდა ფრინველს, შავი სისხლი წარმოსდინდა ჭრილობიდან. ჭაობის ბინძური სუნი სდიოდა სისხლს. შხამიანი წვეთები ესხურებოდა მინდორს და სადაც დაეცემოდა, იქ მხრჩოლავი ცეცხლი ჯოჯოხეთისა ნთქავდა ყოველივე ცოცხალს.

ერთხელაც გაიბრძოლა ორბმა, ერთხელაც გაჰკრა ჭანგი, ჭრილობით დაუსერა სხეული.

ღონე დაეღია ყრმას. ველარ ერეოდა მტერს, ხმალს ვერ იქნევდა მძლავრად... დაუსხლტა ფრთამოსხევილი ორბი, ქვასავით წავიდა ძირს...

მისდია მზეჭაბუკ ბედიამ...

ზედ მიწის პირას მიუსწრო...

ამოტრიალდა ორბი და უნასი გასროლდა, შხამიანი თავი ააყელყელავა, ორკაბა ენა გამოავლო.

არ დაერიდა მზეჭაბუკ ბედია, მიეწია ღორღებში გაქცეულს, მიაწვდინა ხმლის წვერი, წელი მოსწყვიტა...

უნასის თავი არ შეჩერებულა მაინც, ხვრელი იბოვა და გაქრა, მიწამ პირი უყო...

ამბობენ, კუდწაჭრილი უნასიდან გველემში წამოიზრდებოთ...

გარნა ხმალი გრძნეული კვლავაც მტკიცე ხელს ჰპოვებს, კვლავაც აღმოხდების, ვითარცა შუქურვარსკვლავი...



დაქანცულობისაგან ფეხზე ძლივს იდგა.

ხმალს დახედა. შავი სისხლი ეცხო. მიწას დააქირა. ხმალი ხრჭილით ვადამდე ჩაიყვანა. უკან ველარ ამოზიდა. ხმალმა ფესვი მოიღო, მიწაში ჩაიჭედა.

დიდხანს ეჯაჯგურა მზეჭაბუკ ბედია, ძვრა ვერ უყო.

ღონე მთლად დაეღია. შუბლზე ოფლის წინწყლები დაასხდა. დასერილი სხეული უხურდა, ჭრილობებში შეჭრილი შხამი ეშმაკეულისა სისხლს უწამლავდა.

„წყალი!“

წვეთი წყალი არსად მოიძიებოდა გუჯმახანის გადაჯვრილ უდაბნოეთში.

ზე წამოიწია მზეჭაბუკ ბედია. უკანასკნელ ძალას მოუხმო, სულის სიმხნევე არ დათმო და ცის ტიტნობს მიაშურა.

მალლა და მალლა მიიწვდოდა, დროზე უნდა მიედწია მწვანე სანახებისათვის, რათა სამშობლოს წიაღიდან ამოსული ნაკადულით ჭრილობები მოეხანა.

ტროპოსფეროს ზღვარზე წამოეწია ცივი გრიგალი, კისკასით შემოეხვია ყრმას, გულში ჩაიკრა.

წინ, ცის კიდევ ამოიზიდა მარადი კა-

ჯემალ შირი
მარადი მხმლარი

გკასიონი, თოვლიანი ზღუდე შემოავლო
პორიზონტს.

ზღვასა და ზღვას შორის გადაშლილი-
ყო მზეჭაბუკ ბედიას მიწა და იქ მის-
წრაფოდა.

დასავლეთით ღრუბელთა ქარავანი
გამოჩნდა, თანდათან მოედო სივრცეს,
მთლიანად მოიცვა ზურმუხტისფერი
ლიხთიმერი, ლიხზეც გადმობობდა,
გზა გადაუჭრა მზეჭაბუკ ბედიას.

„წყალი!“ — სიცხიანი ტუჩებით ჩუ-
რჩულებდა ყრმა ბედია. ცივი გრიგალ-
ის ფრთებს მინდობოდა. მზერაში ბინ-
დი ედგა, თვალთაგან წარეტაცა ზღვისა
და ცის სილურჯე. ღრუბელთა თეთრი
ველისაკენ მიიჩქაროდა. უნდა გახვეულ-
იყო წყლის ქაფში, რადგან ახურებულ
ტენის ეზმანებოდა უზარმაზარი, მჩქე-
ფარე, გამჟვირვალე ზღვა, წყურვილს
რომ მოუკლავდა.

ფერხთით ამოიგორგლა ღრუბლის

აფუებული ქულა. გრილი...
დინა ცეცხლოვანი ელვა, დაიკლანა სი-
ვრცეში, დაფლითა, დაფხრიწა, არივ-
დარია თეთრი ქარავანი.

შეერთა მზეჭაბუკ ბედია, გამოერკვა.
ორივე მხრიდან ჩაშავებული, ქურღში
ღრუბელი უახლოვდებოდა, ქვევით,
მწვანე ჭრილში კი მთაწმინდის მწვანე
კალთები შეიცნო.

თითქოს წამოიძარბა მშობელი მიწა,
ზე ამოიზიდა, შემოეგება ცით მოვლე-
ნილ შვილს.

გაიწია მზეჭაბუკ ბედიამაც, ერთხელ-
აც გაიბრძოლა, რათა დასხლტომოდა
გრიგალის ხვევას.

კოლოსალურმა გუგუნმა სმენა დაუხ-
მო. გაიელვა ჯოჯოხეთურმა ცეცხლმა
და ყველაფერი გაქრა...

მზეჭაბუკ ბედიას თეთრი ფერფლი
მოეფინა მიწას საქართველოსას...



ბაბუს ბალაჯიშვილი

ჩვენი მინდორი

შეხე რასა ჰგავს: მოსდებია მყრალა ბალახი —
ჩვენი მინდორი სხვებს რა მწარედ დავინწყებიათ.
ნელი პარტახი, ჯიუტი და ნელი პარტახი
რა სავალალოდ დაჰბედებია.

გახსოვს? — მინდორზე იყო, როცა მზე მართლა იყო —
ცხელი თვალებით, წამნამებით, წამებით, წამით...
გვერდით უვლიდა ვერცხლისფერად ელვარე რიყე,
იდუმალეზა ელვარებდა მთვარიან ღამით...
უფრო შორს, უფრო იდუმალი სივრცე მოჩანდა.
და გულმაც იქით გაგვინია ბედის მინდობით...
ჩვენი მინდორი დაკარგულა ჭამის უღრანში,
ჩვენი მინდორი...

პირიქით

არვინ დაგაცლის რომ შენს ნებაზე
განვლო, რაც გერგო ბედად ბილიკი:
— თქვენ მარტოობა განუხებთ
აღბათ...
— არა, პირიქით.
მიდიხარ, გზაზე გადაგეყრება
ვინმე ბრიყვი ან ვინმე ცინიკი:
— ამოივება გაფიქრებთ აღბათ...
— არა, პირიქით.
გინდა თუ არა შენთან არიან,
თითქო გერგოო ბედში წილისყრით:
— ხომ არ შეგვესვა ერთად რაიმე?
— არა, პირიქით.
შორს კუნძულების გაგანიება
და აღმართულა პალმა — ფინიკი:

— თქვენ ეგზოტიკა ხომ არ
გიტაცებთ?
— არა, პირიქით.
და თუ შეგემთხვა მარცხი რაიმე,
მყის მზად არიან მწარე ქილიკით:
— თქვენ ასე გქონდათ ჩაფიქრებული
— არა, პირიქით.
და უფსკრულთანაც გიდგანან
გვერდით,
ჩაგწურჩულებენ ყურში ტკბილი
სმით:
— არ გაგინყრეთო, ბატონო,
ღმერთი...
— არა, პირიქით...

აკვიატავული გელოდია

დაღწენ თეთრი დღეები
გალატიონი

თეთრი დღეების რბიან მაყრები —
თეთრ ლაბირინთში ბანრად გავებით,
სადღაც გადაღმა დარჩნენ სახლები
გახუნებული სახურავებით.

სადღაც გადაღმა დარჩნენ გედები
და ცრემლიანი დარჩათ თვალები —
გამოღმა მხარის მოიმედენი
დამშრალ რიყებზე დავეყარენით.

და თეთრი რიყის გლუვი ლოდები,
მოყვალო ხეივლით დაჟანგულია.

ჰაერი იყოს ცოტაოდენი,
სხვა არაფერი გვინდა სრულიად.

ჟღალ ლოდებზე კი დაჯდა პეპელა,
ტყვიისფერი და ცივი პეპელა,
დუმილი შეკრთა და მოეფერა —
დუმილის ნიშნად იჯდა პეპელა...

თეთრი დღეების რბიან მაყრები,
თეთრ ლაბირინთში ბანრად გავებით,
სადღაც გადაღმა დარჩნენ სახლები
გახუნებული სახურავებით.

თეთრი მზე ანუ ჟანტი ამინდი

მზეს ეფარება თეთრი ღრუბელი,
ვით მეგობარი მეგობარს ომში.
ლიბრიანია ისე მნათობი,
თითქოს-და რძეში ჩავარდა კომში.

გარინდება ნესტიან ბაღში
და არაფერი აღარ ჩანს მკვეთრად
და საჩჩეღლზე დაძენილ ჯანღში
მამადავითი ტივტივებს თეთრად.

დადუმებულან ერთად ჩიტები
და უჭივილოთ ხენი კვდებიან
და გამჭვირვალე მარგალიტები
ჟანგიან მავთულს დაჰკვიდებიან.

ჟანტიმა ამინდი დაისვა ხასად
და თავად დაჯდა ამინდად ჟანტი
და გაჟიებულ მზერის მირაჟად
მოულოდნელი მოცურავს ლანდი...

უცნაურია ლანდი უცები:
ფიალას უწვდის ზეცას ირისი
და დაღრეცილი, ვინრო ქუჩებით
მტკვარს უერთდება სველი თბილისი.

თეთრი მზე დადგა ქალაქის თავზე —
ღრუბელს ჩაეხვა ბედის მინდობით...
და მთანმინდაზე საფლავთა ხავსი
გაჟღენთილია უამინდობით.

გლახები

ცეცხლმოდებული საბურავი უგდიათ წინ და
წრედ მოსდგომიან კოცონს გლახები.
ღურჯი კვირტები — ვარსკვლავები — ცვივიან ციდან
და ალი ღამეს ღანვზე ეხება.
ძუნწია სიტყვა: ცეცხლის მზერანი მოუნუსხია —
სოფლის ამბავი ასეა თქმული.
გლახებს ბეჭებზე ფარაჯები წამოუსხიათ
და დგას დამწვარი რეზინის სუნი.

დიდხანსა დგანან. მანქანების ფარების შუქზე
შავი გზისპირი წამით ნათდება.

ფარაჯებს არა: თითქოს ღამეს უდგანან ზურგით —
არა და, ბნელი ჩამოვარდება...

სოფლური იდილია

პატარა გორაკი.

გორაკზე ბილიკი — ბილიკზე ურიკა.

ურიკის უკან ნელა მიჩაქჩაკებს პატარა ჩოკინა.

კოფოზე ბიჭია და მიაჭრიალებს ურიკას ვირუკა —

მზემ ბოლო სხივები ჩამოარიგა და გარეკა პირუკუ.

და ნელა ჩაშავდა მდინარის ნაპირებს გაკრული ქალაკი —

მზემ განსასვენებლად გორაკის გადაღმა იპოვა ალაგი.

როგორც ცხვარს მარილი, მინამ მწუხრს სხეული რომ

გაალოკინა,

წამოეწია და ფერდზე აეტმასნა ვირუკას ჩოკინა.

სოფელი არ ჩანდა. სოფელი ბინდბუნდში გადაკარგულიყო,

ბიჭი კი კოფოზე ჩუმად ღიღინებდა: სადა ხარ, სულიკო...

გამოჩნდა თუ არა შორით მოციმციმე სინათლე სახლის,

მაშინლა გადაჰკრა ბიჭმა ვირუკას იფანის სახრე

და როს ორღობეში კვალში ჩაუდგათ ძაღლების ყეფა,

დამფრთხალ სახედარს ბიჭმა რიხით დასჭეკა: — ნება!...

ნაბდის ქუდის ქვეშ დინჯად მოიქეკა ვერანა კეფა

და ხვალის ამინდის გამოცნობის იმედით მალლა აიხედა:

ცა მონმენდილიყო და მთვარე ვარსკვლავებს აჰკვროდა

ზედა.

ზოოლოგიური მუზეუმი

ზოოლოგიურ მუზეუმში დრო

და სადღაც ისმის ბზუილი ბუზის.

მთების არწივის თვალები შუშის

დასპირტულ ასპიტს უმზერს

ზოოლოგიურ მუზეუმში დადის დუმილი —

მოპრიალებულ იატაკზე კვდომის ფერს სტოვებს

და როგორც ფუფხი — შეხმობია მსხვერპლის სურვილი

ლომის ფიტულის მტვრიან ნესტოებს.

და ყოველივე: ბედი, რანგი, ჯიში, ტიტული

არის ფუყე და გამოფიტული

და ბზუის ბუზი-მზე მონატვრია.

დაუბერტყია აქ სიკვდილს კალთა

და თვლემს დარაჯი დარბაზის კართან

და თითქოს ისიც მუზეუმის ექსპონატია.

ზაფხული ზღვაზე

დნება მედუზა. ჩახლეჩილი ხავილი ზანგის.
ტორტმანა ბანგი. სველი ბაყვები...

— იცოდე ფრთხილად... ეგ ყმანვილი შეგაცდენს კარგო.
— თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ცოლად გავყვები.

ცოტა-და ზღვაც კი დაინწყებს დუღილს.

— დაგპარგავს უმალ, ვიდრე გიპოვის.

— დე ასე იყოს... და ვნებების იისფერ კუმირს
ღვარად სდიოდა ქაფი სიფონის.

— თქვენ წაგიკითხავთ ბლუზ სანდრარის თეთრი ლექსები?

— არა. მე ისევ მირჩევნია ვიქტორ ჰიუგო...

მსუქანი ქალი შეეკითხა მელოტ მამაკაცს

და მამაკაცმაც ასე მიუგო.

მზეა და ყავა, ცხელი ქვიშა, გრილი ზღვაური,
მარილის სუნი, მარილის გემო.

— ნეტავ ვინ იყო, ან სადაური?

— აბა, რა მახსოვს ძვირფასო ჩემო...



მინის ყივილი

ჩემი სარკმლიდან ისევ მოჩანს მოპირდაპირე
 სახლის ფასადი, — ბერძენთა წიგნი
 „მითოლოგია“ ვერ იქნა და ვერ წავიკითხე
 ბოლომდე, ახლაც თაროზე მიცდის.

ამ ნისლიან წელს რა სიზმარი გააფერადებს?
 არ მაქვს იმედი არავითარი.
 ტელევიზორში მერამდენედ გიქებენ ჰავას:
 „საქართველოში — ამინდი წყნარი..“

მე კი მეგონა ქარიშხლები მომანიჭებდნენ
 უსასრულობის მღვრიე წამებას...
 აი, დუმილი — სომნაბულის ყვირელი ბგერა
 თვალბში წივის, ვით შეღამება.

ვერ გაგექეცი, სულის მადლო — სინათლის წამო.
 უცხო ქალაქში შიშველი ლანდი —
 ჩემი სიცოცხლე — სევდის სევდა დაეხეტება,
 და სხვა ბრუნდება გემი „დალანდით“.

ხოლო სურვილი — ფიქრიანი ბედურის მზერა
 ზღვისკენ მიცურავს, — მზე ებინდება...
 და ჩემს სტრიქონებს — სიგარეტებს ცივ ჩრდილოეთში
 ასველებს წვიმა, არ ეკიდება.

კვლავ ირონია — აკრძალული ხილის ნაყოფი
 მოპირდაპირე სახლის სარკმლიდან
 აირეკლება თვალთა წიაღ, ამაცხაცხახებს:
 ეს დღეც უშენოდ გაქრა, წარვიდა...

დაკარგული მისამართი

ბუხართან ვზივარ. ვკითხულობ ტაუტჩრევს.
 დღე გადის. ფიქრი სარკმელს ეხლება:
 იქნებ ეს ღამე მაინც გადურჩეს
 უსასრულობის მღვრიე შეხებას?..

დუმს როიალი. დუმს იდუმალი
 ფრინველის ლანდი — საბედისწერო...
 მხოლოდ შენ გქვია იმედის მკრთალი
 გამოსხივება — სექტემბრის წერო.

არის გაფრენა და დაღლილობა...
 არის დაცემა, განმეორება...
 არსებობს ტყვია, ლურჯი ქრილობა,
 არის ტკივილი... კიდევ?.. ცხოვრება!..

სივრცეში გიცდის ხიდივით
 ძე შეცდომილის კეფა.
 გული ნუ დაგებინდება
 თუ გზაზე ჯერაც ყეფენ
 ძაღლები. მათი საქმეა,
 ველარ წაართმევს ღმერთიც...
 ოდეს ყოველი გაქრება,
 აღიმართები მკვდრეთით.

ღამეული სიგარეტები

გამოესალმე გარდაცვლილი სიზმრის დიდებას —
 გაცვივა ფიფქი...
 აღარ არსებობს გადაქცევა ღამაზ მითებად —
 მარადი ფიქრის.

ჰოი, ღამეო, უსინათლოვ! უღამაზესი —
 წრიალებს წამი...
 და თვალთა შენთა სიღრმეებში: ბედის ალერსი —
 განკითხვის ჟამი.

დაფნის შრიალი — სევდის სუნთქვა მარადიული —
 ცივი თითებით —
 მოგყვება სუროდ, ვით თარიღი ისტორიული
 და გაფითრებით.

აღარაფერი არ დარჩება სიმშვიდის გარდა,
 და კიდევ, — წამი:
 მეგობრის ლექსით დაფხრეწილი ღუმილის ფარდა —
 განკითხვის ჟამი.

ინტელექტუალური ბარათი

ძველი რიგა. გაცვეთილი ქვაფენილი. ბაროკო.
 კრამიტები — სევდა წიგნის გარეყდა —
 გარდასული საუკუნის... გაგახსენდი? დარეკე!
 გინახულვებთ მე და ჩემი კარეტა.

ძველი რიგა. პეტრე დიდის მამალი და გუმბათი.
 ბახის ფუგა... მერე უცებ: რა გქვიათ?

გარდასული... გაგახსენდი? გადაიღე სურათი;
პროვინცია, ძველი მისამართია...

ძველი რიგა. ჩაკის ქუჩა. დაუგავა ბებერი.
ისტორია — ლურჯი კარიატიდა.
გარდასული... დაგავიწყდა ჩემი თხოვნა; სეტერი.
ლეკვი, ძალი არ მინდა.

ძველი რიგა, საღამოა... ლუდის ბარი. სიახლე?
გოგო, სენტიმენტები...
გარდასული. დაგავიწყდა? ნაიკითხე ხელახლა
ვ. გოეთეს „ვერტერი“.

ძველი რიგა. გაცვეთილი ქვაფენილი. ბაროკო.
გაგახსენდი?
დარეკე...

ს ა რ კ მ ლ ი ღ ა ნ

...свеча горела на столе

Борис Пастернак.

მაგიდაზე სანთელი ენთო,
სხელში — ჟამი.
არსებობდა, არც არსებობდა
დუმილის წამი.

იყო სიშორე სევდიანი, —
წუხილის სიმი.
სახე გაბზარა მოგონებამ,
თვალე — წვიმამ.

ჰოი. დღეების ანარეკლო, —
პეპელას სულო,

თუ მიუტევეთ დაღწილ ფრთებს
ცას უსასრულოს
ამ თეთრ ღამეებს, გახიზნულებს
იმ ქვეყანაში?
ალარაფერი, არაფერი არ იკარგება,
აფრები ქარში
ისევ მიჰქრიან, შრიალებენ,
ბრიზიც იქნება.
გარდაცვლილ დღეებს შეიფარებს
ბინდის ყვავილი.
შენ — ჩაფიქრება.

რ ი თ ვ ი ა ნ ი ლ ე ჰ ს ი ს კ ვ ი რ ა უ ლ ი

ქალიშვილის ხაპირით, —
ზღვა.
ალარ ჩანდა ნაპირი, —
სხვა.

2

ჟამი გატრიალებდა, —
ბორბლად.

ხმა — სხივი წკრიალებდა, —
ობლად.

3

სიზმარეთის ქვეყანა —
მქუხარი.

დრო — დედინაცვლის „ნანა“ —
მწუხარე.

4

სურვილის ფიჭვი — ტოტი, —
მწვანე აფრა.

ხომალდის წვეტი — გროტი —
დაიხაფრა.

5

შუბლი მელოტი იყო, —
ფართო გეგონა.

გული ორად გაგიყო, —
ლაზმა გოგონამ.

6

ენგური კვლავ დიოდა, —
სულივით ფერადი...
და რატომღაც გტკიოდა, —
„მტვერი ჩვენს ერამდე...“

7

კვირა გიმთავრდებოდა, —
უდიდესი სიკეთით;
ალარავინ კვდებოდა —
ცოცხლდებოდნენ მითები.

მზის დასასრული

სალამო იწყება უვერტიურით —
ბგერა წკრიალებს,
ნელა ეშვება ლანდი ღვთიური
და სტკივა თვალებს.

სივრცე დაღლილა მეწამული ცით,
ლამის ნალეკოს
ნაპირი სევდამ, რამე მაინც თქვით
და ფიქრის ექოს —

შორეულ დღეთა უამინდო ტვირთს
ნაიღებს ტალღა,
აატივტივებს სიცოცხლეს და დარჩება მითი,
შემდეგ ხმამაღლა

ვიცი, ვერც იტყვით, მაგრამ მაინც ხომ უნდა ნახოთ;
კირჩხიბი კვდება,
ჯერჯერობით გთხოვთ, რომ დასაველის კარი გააღოთ —
შეხეთ, რა ხდება!



გულ შემატკივრები

ძალი იმ დროს შემოვიდა ოთახში, როდესაც კაცებს ბოლმა ყელში უთუხთუხებდათ, კარის სახელურს იღაცვით დააწვა და ისე შემოაღო.

— დედა ცუდადაა, — აულეღვებლად თქვა და მზერა ფარდებს ზევით გაექცა, — ძლივსა ითქვამს სულს, — დაუმატა მშვიდად, იმდენად მშვიდად, რომ კაცს გულზე შემოენთო, ერთიანად დაიძაგრა, სიამოვნებით გააწნავდა სილას, უფლება რომ ჰქონოდა. ცოტა ხნით მაინც იყუჩა, კვლავინდებურად გასცქეროდა ფერად ეკრანს, შემდეგ ხენეშით წამოიშართა და შიშველი ფეხისგულით ფლოსტები მოიძია, ერთს სავარძლის ქვეშ წააწყდა, მეორეც იქვე უნდა ყოფილიყო. ცივი და გალაქული ბარკეტი გააზიზებულ ტერფს მქისედ ეწებებოდა, თითქოს უზარმაზარ ლოკოკინას აბიჯებდა ზურგზე.

— რა დაემართა? — ხრინწვარეული ხმით იკითხა და ჩაახველა, ჯერ სუსტად, შემდეგ ძლიერად და ძალდატანებით, როგორც ბარიტონმა სცენაზე გასვლის წინ. ქალი კართან იდგა და ცომიან ხელებს წინსაფარზე იწმენდდა, ხრახნივით ატრიალებდა თითებს, მონაცვლეობით და საგულდაგულოდ.

— სპაზმები აქვს, — ფარული გაღიზიანებით განუმარტა, — იგუდება. თქმისთანავე ფრჩხილებზე დიხებდა, საღებავი სანახევროდ გადასცლოდა, ჩაქუჩ-

დაცემულივით უჩანდა. უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი და გაბრუნდა. „ვიტომ პირველად ვესმის...“ გაიფიქრა, ვიდრე მეორე ოთახში გავიდოდა.

ბიჭმა გარკვევით გაიგონა დედის ნათქვამი. „სპაზმები“ და „იგუდება“ ბლავგი ლურსმანივით ჩაეჭვდა სმენაში, მაგრამ გაიტრუნა, ნირშეუცვლელი და წელგამართული დარჩა სავარძელში, რატომღაც კისრის მოტრიალების სურვილი გაუჩნდა, თითქოს ვინმე ექაჩებოდა და ძალას ატანდა.

ჰამბურგელებმა მეორე ვოლი გაიტანეს, ერთი შეხედვით შემთხვევითობა უფრო ეთქმოდა, სტადიონზე გაოგნებულთა სიჩუმე ჩამოღდა, კომენტატორს ხმა დაეკარგა, მერე აქა-იქ კანტიკუნტად, ზრდილობის გამო დაუკრეს ტაში, ვიღაც უცოდინარმა გაბმულად დაუსტივინა, უსიერ ტყეში გზააბნეულის ძახილს ჰგავდა ეს ბგერა, საოცრად ცივი იყო და ერთ ტონზე გაყინული.

— წასულია ჩვენების საქმე, — შვილის გასაგონად ჩაიდუღუნა კაცმა და გადაფურთხების იმიტაცია გააკეთა, შემდეგ გვერდულად გახედა, — ახლაც იბაჭიბუქე, — უთხრა, — ამას ვიზამთ, იმას ვიზამთ! — ღვარძლიანად გამოაჯავრა და სიმწარენარევმა ღმილიმა მარცხენა ლოყა დაუნაოჭა. ბიჭი გაბაწრულივით დაიძაბა, გაუსაძლისი გაავება მოერია, ერთი სული ჰქონდა, ტელევიზო-



რისათვის წიხლი ჩაეზილა, უფრო მამი-
სათვის, „მთელ ჯავრს ჩემზე იყრის, —
კუნთებდაკიმული ფიქრობდა, — დრო-
ზე მაინც გაეთრეოდეს!“.

კაცი ფლოსტების ფრატუნით გამარ-
თა კარისკენ, ტაიმი მთავრდებოდა, გზა-
დაგზა პიყამის ღილებს იკრავდა, მუცე-
ლზე მესამე ღილილო არ ნებდებოდა,
ოჩანი ხარვიით ქედმოღრეცილი მიდიო-
და და ეკრანს თვალს ვერ ამორებდა, ნა-
ძალადეგად გაეცალა იქაურობას.



ნახევრად ჩაბნელებული ოთახის შუ-
აგულში საწოლზე აკოკოლავებულ ბა-
ლიშებზე, თეთრთმაგაშლილი დედაბე-
რი იყო მისვენებული, სანახევროდ თი-
თქმის წამომჯდარიყო და მშრალ მორზე
მონაცვლეობით გასმული ბირდაბირი-
ვით ხრიალებდა.

თვალეები მიბლეტელი ჰქონდა, ყოველ
ჩასუნთქვაზე ყელის ძარღვები ებერე-
ბოდა, ებურცებოდა, ლოყებიც ნაპირ-
ზე ამოგდებული თევზის ლაყუჩებივით
უთრთოდა და უცახცახებდა.

მარცხენა თვალში გადმოსაგორებლად
მომწიფებული კურცხალი ედგა, თვა-
ლის უბეები დაბერვოდა, ჩაშაგებოდა
და დაბავივით ჰქონდა გადმოკიდებული
წამოჭარხლებულ ლაწკებზე.

„მართლაც ვერ ყოფილა კარგად, —
შესვლისთანავე გაიფიქრა კაცმა, სა-
წოლს მიუახლოვდა და სასთუმალთან
დაუდგა, — ეცოცხლა ცოტა ხანს კი-
დეც, ვის რას უშაგებდა?!“.

ქალი მეორე მხრიდან ამოსდგომოდა,
საწოლის თავფიცარს ჩამოყრდნობილი
საბნის კიდეზე დაღვენილ ყავისფერ
ლაქას მზერაგაშტერებული დასცქერო-
და.

— სასწრაფო ხომ არ გამოგვეძახა? —
მოულოდნელად ჰკითხა ქმარს და პა-
სუხს აღარც დალოდებია, ისე გაეშურა
ოთახის კუთხეში ნატვრის ხესავით
მბზინავ ტელეფონისაკენ.

ოჯახის ეს უკანასკნელი და საამაყო
შენაძენი „ძვირფასზე ძვირფასი“, ჩვე-

ულებრივ სადგომზე, ან მაგიდაზე იჯდო-
ბოდა, შაშხანგადაკიდებული ჯანსიკაცი-
ვით ამაყად იდგა ფეხზე.

— იქნებ არ არის საჭირო? — გაუბე-
დავად და ორჭოფულად დაეკითხა კაცი.
ექიმებისა ბავშვობიდანვე ეწინოდა, ფა-
რულად სძულდა კიდეც.

ქალმა მისი ნათქვამი ვითომც ვერ გა-
იგო, მელოდიურად ახმიანებული ყურ-
მილი მკერდზე მიიბჯინა, თითქოს ყური
ძუძუზე ჰბმოდა და თავმოღრეცილმა
ზურგსუკან მდგომ სარკეში დაიწყო
ცქერა, ციფრების აკრეფა არც განუზ-
რახავს.

კაცმა კბილები გაახრჭიალა, საკმაოდ
ჩუმად.

„ნაკახბარი, — გუნებაში დაიყვირა“. —
ტირაციდან გასული ნაკახბარი... აქეთ
დღეაჩემი სულს დაფავს, ეს კი ჩანდ-
რეული უკანალის ცქერით ერთობა“.

— არ პასუხობს, — დედამთილის გა-
საგონად თქვა ქალმა, კისერი შეატრია-
ლა და ახლა მეორე მხრიდან გაჰხედა
ორეულს — დაკავებულია. — დამარცვ-
ლით განუმარტა, ყურმილი გულისპირ-
ზე ჩამოისრიალა, საკიდზე დადო და გა-
მობრუნდა.

საწოლს რომ შემოუარა, ავადმყოფს
დახედა. „ამას სააქაო აღარაფერი ეტყო-
ბა, — საბოლოო განაჩენივით დაუსვა
დიაგნოზი, — დღესვე უნდა მოენახო
ზინა და ოთახები დავალაგებინო... მერე
გავევიტირებდა“.

დედაბერმა ილაჯწართმეულივით ამო-
იკვნესა, თვალეები ძალდატანებით გაა-
ხილა და თავზემდგომს ახედა, ცრემლი
გაიჟონა და უბის სიგრძეზე განაწილდა,
როგორც ლარნაკში პირთამდე ჩამდგარი
წყალი.

— ძალიან მიჭირს, შვილო, — სტვე-
ნანარევი ხიხინით შესჩივლა, — დიდი
დღე აღარ მიწერია!

საბანქვეშიდან თრთოლვით ამოაცო-
ცა ხელები და მკერდზე გადაჯვარიდინე-
ბულად დაიწყო, თითქოს წინდაწინვე გა-
ემზადა. ოდესღაც სავსე მაჯები აქერც-
ვლოდა და ჩაქქნობოდა, ბაწარწუჭერილ
ძებებს მიუგავდა, ფრჩხილებიც ჩალუ-



რჯებოდა, მაგრამ კვლავინდებურად უხე-
ში და ნაჯაფარი პქონდა.

— ნუ გეშინია, — დააიშინა კაცმა, —
ცოტაც გაუძელი, ექიმებს დაგახვევ.

მწოლიარემ უნდოდ ამოხედა, ახლად
ყელგამოღადრული ცხოველივით, სასო-
წარკვეთით აღვსილ თვალებში, რაღაც
იმედისმაგვარი მაინც გაუქრთა.

— ველარ მიშველიან, — შეურვებე-
ლი ხმით შეესიტყვა, — ბიჰს მაინც და-
მიძახეთ.

რძალი იმწამსვე გასცილდა, საქმიანი
ნაბიჯით გასწია გასასვლელისკენ, ქმარს
რომ გაუთანასწორდა, მკლავზე წაეტა-
ნა და წამიერად მოუჭირა ხელი, „მაგ-
რად იყავიო“, აგრძნობინა, მაგრამ იმას
მაინც ძველებურად წამოუარა სიბრა-
ზემ, „ნაკახპარი... ქვეყნის ნათრევი ნა-
კახპარი, — გაიმეორა ერთხელ აკვირე-
ბული, — ნეტავი დედაშენი იდოს ახლა
აქ გაშოტილი, მაშინ ვნახავდი შენს
ქოთქოს“, — გულით ინატრა.

დედაბერმა ხელი შემართა და გაასაე-
სავა. ყურადღებას ითხოვდა.

— გიორგის გვერდით არ მიწდა, —
გაჩიუტებით თქვა. — სიცოცხლე მქო-
ნდა მისგან გამწარებული... იქითა კუ-
თხეში ჩამფალით, კიპარისთან... — სუ-
ლი მოითქვა და შემდგომ დაუმატა: —
გამხმართან.

თქმისთანავე თვალები თავისთავად მი-
ელულა, მარცხენა უბის კიდეში კურ-
ცხალი ჩაუდგა.

„რატომ გამხმართან, — თავისთვის
გაიოცა კაცმა. — როდის გახმა?“.

ოთახში ბიჭი შემოვიდა, ზანტად შე-
მოიზღაზნა, ლამაზი პირისახე ჰქონდა,
ქალწულებით წითელი და ხორციანი
ტუჩები, საულგაშეზე ღინღლი შეპარ-
ვოდა, ტანით მამასავით დონდლო იყო,
საღვე ზეზინს იცოხნიდა.

„ბაიყუში, — ახლა იმაზე გადაინაც-
ლა კაცმა, — ფეხზე ჰკიდია ყველაფე-
რი, არაფერსაც არ დარდობს, მოჩვენე-
ბით თითლიბაზობს“.

ბიჭი ბებიას მიუახლოვდა, მხარზე გა-
უბედავად შეახო ხელი — მოკრძალები-
თაც და შიშითაც. რაღაცის იმედი შემო-

იყოლა თან, ცოტა ხნის შემდეგ უკვე
ფერი შეიძლებოდა შეცვლილიყო.

— ჩვენებმაც გაიტანეს, — ჩურჩულ-
ით უთხრა მამას. — ბოლო წუთზე შე-
აგდეს.

— მართლა?! — შეფუცუნდა კაცი,
ნერვულად მოიფშვინა ხელები, გაქცა-
ვა დააპირა, მაგრამ მიხვდა, რომ უდ-
როო იყო, ადგოლზე ბოლოს ცემას მო-
ჰყვა, საწოლიდან კარამდის და უკან.

„ეინ?“ — მიმოიკით დაეკითხა შვილს,
როგორც კი იმისი მხერა დაიჭირა.

ბიჭმა ყველა თითი გაფარჩხა.

დედაბერი შვილიშვილის მკლავს წაე-
ტანა, თოკით მიიზიდა და როდესაც
დაიყოლა, მკერდში ჩაიკრა, მთელი ძა-
ლით იხუტებდა, როგორც ბავშვი ახ-
ლად ნაჩუქარ მტრედს.

— ჩემი კეთილი, მფარველი ანგელო-
ზი, — თავისთვის ჩაიღულღულა, მერე
პაერი ხიხინით ჩაისუნთქა და კიდევ და-
აპირა რაღაცის თქმა, მაგრამ ბგერა ყე-
ლში ისე აუშინდა, როგორც წყალგა-
დასხმული სუსტი ნაკვერჩხალი, თვალის
პირის ცრემლი მიძიმედ გადმოცდა, წა-
მიერად ქვედა წამწამს დაეკიდა, აცახ-
ცახდა, თითქოს ენანებოდა ჩვეული ბუ-
დის მიტოვება, შემდეგ მოწყდა და აფო-
რაჯებულ ლაწვზე მიძიმედ დასრიალდა.

— ბედნიერი მიმყოფე, ღმერთო! —
აღმოთქვა ღონემიხდილმა.

კაცმა ველარ გაუძლო, მოთმინების
ფილა აევსო, იმასაც ჰქონდა რაღაცის
იმედი, დროც დგებოდა, დატუქსულ ფი-
ნასავით გაიძურწა ოთახიდან, დასაწყის-
ში ფეხაკრფით, შემდეგ ზღურბლს
რომ გადაცდა, უფრო და უფრო მოუმა-
ტა ნაბიჯს, ორმოცდახუთ წუთში მართ-
ლაც ბევრი რამ იყო მოსალოდნელი.

ბიჭმა ბებიის გახეშეშებულ ნებები-
დან ფრთხილად დაიძვრინა ხელები, რო-
გორც მძინარეს ისე გამოაცალა, წამით-
ლა დახედა და ინსტინქტურად ისიც შე-
ნიშნა, ერთ კურცხალს მეორეც მიმატე-
ბოდა და ახლა ორივენი ოღნაშოსფ-

თენგიზ ჩალაუბრი
გულშემატკივრები

რად ჩატეტკილი ზედა ტუჩის კუთხეში
მიტყუებულნიყვნენ.

— ღმერთო... ღმერთო... — კვლავ და-
იჩურჩულა დედაბერმა. — კურთხეული
გზით მიტარე!

მთქმელის გარდა, ლოცვა არავის გა-
უგონია.

●
ბიჭი რომ ოთახში შებრუნდა, კაცმა
მაშინვე ჰკითხა:

— დედაშენმა თუ დარეკა?

— სად? — ავადებულად მოუნაცვლა
ბიჭმა, — ვისთან უნდა დაერეკა?!

— მამაჩემის მამასთან, — დაიღრინა
დივანზე გადაწოლილმა, — სასწრაფო-
ში.

„ნეტავი ერთი საქმე გამოგლევი!“ —
გავუღიღინებთ გაიფიქრა ბიჭმა და სავა-
რძელში ჩაჯდა, თქმით აღარაფერი და-
სცდენია, პასუხის ღირსადაც არ ჩათვა-
ლა, აღარც კაცი ჩასციებია, ეკრანს შე-
სტკეპროდა ლეკვებმისეულ ძუქანასავით
თავწამოწეული.

ქალმა თითქოს ჯიბრზე, ზუსტად და-
წყების წინ შემოულოთ კარი. წინსაფა-
რი მოხსნილი ჰქონდა.

— რას შვრებით? — იკითხა.

— ვაგებთ — კბილებში გამოსცრა კა-
ცმა, ისეთი გააგებით, რომ შეგინებასა-
ვით გამოუვიდა.

— ჰო, — დაუდასტურა ბიჭმა, მეტის
თქმის სურვილი არც იმას გასჩენია.

ქალმა ხელეგზე დაიხედა, ისევ უსია-
ბოდ გაჰკენწლა რალაცამ, „ჩავალ ფრჩ-

ხილებს მაინც მოვიწესრიგებ“, — უც-
ებ გადაწყვიტა.

— სასწრაფოს დაურეკე? — ბოლოს-
და დაინტერესდა კაცი.

— ჯერ არა, — უბასუხა მეუღლემ
და ირონიულად გაჰხედა. — „აქ რას
მოათრევდი, გაიფიქრა, ვერ დატოვე
სადაც ეგდო“.

ჰამბურგელებმა მესამე გოლი გაიტა-
ნეს, მეცხრე წუთი იწურებოდა, მოუ-
ლოდნელი სრულებითაც არ ყოფილა,
ნამდვილად ცერის დაპირქვევებას ჰგა-
ვდა, ყველანი წელში იყვნენ გატეხილე-
ბი, ნაცემი ყვინჩილებივით დაფეთებუ-
ლები გარბი-გამორბოდნენ.

მამა-შვილს კრინტიც არ დასცდენია,
აღარც კომენტარი გაუკეთებიათ, პან-
ლურამოკრულებივით ეყარნენ და ისე
უაზროდ შესტკეპროდნენ ეკრანს, რო-
გორც ბუხარში გაღვივებულ კუნძს.

კაცმა იღლიებში ოფლის ჟონვა იგრ-
ძნო და მთელ სხეულში სიძაბუნე ჩაუ-
დგა.

— დამთავრებულია ყველაფერი, —
კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა, —
ამათ იმედზე ჩემი მტერი იქნა.

— აბა, — მოკლედ დაუდასტურა
შვილმა. — წასულია ჩვენი საქმე...

ორთავემ ერთდროულად ამოიოხრა,
ჰერჩამომხობილებივით უბედურები იყ-
ვნენ, იქნებ მეტადაც.

იქითა ოთახში ყველაფერს შეგუებუ-
ლმა დედაბერმა თვალი გაახილა, ჰერს
აჰხედა და ერთხელაც ამოიკვნესა:

— ბედნიერები მიმყოფე, ღმერთო!



ისევ ისმის: „...დრონი, დრონი“ ..
და დროც მისხალ, მისხალ წონის.
დრო, პოეტებს ხმას უსინჯავს
ხალხით — თავის კამერტონით.

ლომკაცი

ე. ამაშუკელს
ვ. დავითაიას

გაცოცხლებული ქვაც კი
ჩვენი მიწის და ტომის,
მატიანეა მკაცრი,
სისხლის, ცრემლის და ომის.

მავსებს ათასი განცდით
გორის ცისესთან მდგომი. —
გალომებული კაცი,
განკაცებული ლომი!

ო, არ მინდა ცრემლით ფიცი,
სევდიანი თქმა და განცდა,
ორპირობა რაა ვიცი.
მიმიყვანე მართალ კაცთან.

მე სიბნელე რაა ვიცი.
შენ მზე უნდა შემაწიო.
მიმაჩვიო უნდა სიცილს,
ღიმილს უნდა შემაჩვიო.

სული რომ არ დამიბერდეს
სიყვარულის მასვი მაღლი.

სიხარული დამიბედე
თორემ ვიცი რაა დარდი.

სიბოროტე ბევრჯერ შემხვდა.
შენ სიკეთეს შემახედე.
რაა ვიცი მტერთან შეყრა,
მეგობრები შემახვედრე.

რა მომელის ვიცი ისიც,
შენ აქ მემწე და მახარე.
მე სიკვდილი რაა ვიცი,
შენ სიცოცხლე შემაყვარე!

იცის წლებმა და წარსულმა
ყოვლის მომსწრემ,
ყოვლის მცოდნემ.
გოლგოთაზე სხვაც ასულა,
მაგრამ მაინც სხვაა ცოტნე.

ძეგლებია ჩვენი მთები,
ჩვენი ზღვები ცრემლის ზღვაა,
თუმც არ გვაკლდა ქვეყნად მტრები,
თემურ ლენგი მაინც სხვაა.

ანისი და არსიანი
არის ჩვენი მტრების სუსხვა.
თუმც აქვეა ბასიანიც
ის დიდგორი არის სულ სხვა.

დიდების და ბრძოლის გარდა
ბუნვის ხიდზეც კი გვივლია.
ტკივილია ხომ მარაბდაც
კრწანისი სხვა ტკივილია.

იყო წვიმა სისხლის ფერი,
საქართველო ჰგავდა მორევს.
მამულს ბევრი ჰყავდა ბერი,
მაგრამ სხვაა ის თევდორე.

მორეული, ხან მომრევი
მტერი გვყავდა ასჯერ ასი.
ყველა მტერი არის მტერი,
მაგრამ სხვაა შაჰ-აბასი.

სამშობლოს მტრებს ბრძოლით,
დავით,
შეენირა სხვა ათასიც.
თუმც სხვა თავიც არის თავი
სხვაა თავი პაატასი.

ჯვალეუბა

თუმცა დღეები რიგში დგებიან
თავდება ლურჯი მიწის ზღაპარი.
ფიქრები ისევ ჩემი დებია,
ოცნება ჩემი თავშესაფარი.

ეს არის, რაც კი გადარჩენია,
კაცის სიმუხთლეს, თუ სიბოროტეს.
სიმარტოვე და ჩემი ცრემლია,
ვინც მიერთგულებს ახლა ბოლომდე.

ალბათ საბრალო და სანყალია
და სასაცილო არის ასევე —

ვისთვისაც ცრემლი მხოლოდ წყა-
ლია.

რომელიც ზოგჯერ ლოყას ასველებს.

ცრემლები მინას არ ეცემიან,
მხოლოდ გულია ცრემლის საუფლო.
ცრემლები განა მარტო ცრემლია,
როცა პოეტის სულთან საუბრობს.

მოდის წამებით ღამე ნათევი,
ფიქრი ციური და მიწიერიც.
ამ სიცოცხლეზე უფრო ნათელი
და ამ სიკვდილზე უფრო ძლიერი.

და ვგრძნობ ნელ-ნელა, როგორ
წვრილდება
ბენვის ხიდი და ზედის სამანიც.
იმასაც ვხედავ, როგორ ვცილდები:
სხეულს — საკუთარ სულის სამარეს.

მე კარგად ვიცი სად მიმელიან
ეს გაორება თუ გათავდება.
ო, ეს გაქცევა უფრო ძნელია
ვიდრე სიკვდილი, ან დაბადება...

აღვარდება ფერთა გამებში
ფერი უფრო და უჩვეულო.
იმ უსასრულო და თეთრ ღამეში
ვრჩები უსახო და უსხეულო.

სამყაროს ხმად და ფერად ქცულმა
რალაც ვისურვო, რალაც ვინდომო...
შემეცოდება სული ეული,
უსამშობლო და უთვისტომო.

მერე განგებამ თუკი ინება
ეს სასწაული ისევ ვიხილო,
მე ამოვყვები მინას იებად,
ანდა პირიმზედ, ანდა ღიღილოდ.

კვლავ დავბრუნდები ამ სიმწვანეში
ცისარტყელად თუ ჩიტის გალობად.
ანდა, მთვარიან და თეთრ ღამეში
ციცინათელას შუქად გამოვალ...



მამაჩემის გასვენება ენგურის კაზხალთან...

(ნაწილი პოემიდან — „მაროს შედილა ანუ სვანური აზვანი“)

ნიჟარბივით ზღვაში ჩაძირულო სამონაგრო ბილიკებო!

გახსოვთ წემთა წინაპართა რიჰა! — გამთენიის სიმღერა. წერობივით ჩამწკრივებულნი და ჩუმად მოდილინენი ანდვზე რომ მიუყუებოდნენ უჩინარ წავარნებს ბარისაკენ...

მათ ფეხქვეშ იზიღებოდა კოლხეთის ქაობები, ზღვისპირეთის ნესტიანი მიწები. სულაც არ ეთაკილებოდათ და ერცხვინებოდათ დღიური მუშის უმწეო და არასახარბიელო მდგომარეობა. არ მუქთახორობდნენ, არ ქურდობდნენ, კაცურად შრომობდნენ, წეღებზე ფეხს იდგამდნენ, მზეზე ნათელი და რვაღზე გამძღისი სიმართლის შუქი მეგზურობდათ. ვითარც ენგურის სრბოლვას, მათ სწრაფვასაც ვერავინ შეაჩერებდა...

როგორც კი უველიერის მზე იძაღებდა, თოვლი შელხვებოდა, საღამოობით უპაქი გარახილდებოდა, იმ წამიდან მოუოლებული მთებში ზვავთა თარეში დაიწყებოდა. „ლომის ხეობის“ ქანჩახები მხრებს შეიბერტუავდნენ და როდის-როდის ქარაფებზე ბედისწერასავით დაკიდული ბილიკებიც დაჩნდებოდა.

ისინიც აიკრავდნენ გულა-ნაბადს და შინისაკენ გამოსწვდნენ. ფრინველთა ქარავნებით გაზაფხულის მაცნებად მოველინებოდნენ მათა ქვეყანას. ნაირნაირი საქონლით დატვირთულებს, ოფლში გახვითქულებს ერთი ხალხთა სიხარული მოჰქონდათ, მაგრამ... რაოდენ გრძელი, უსასრულო და მწვალებლური იყო ეს მოლოდინის უამი ქალაქისათვის...

გადმოვდგებოდით ხვსიან უორეებზე სოფლის ბიჭები, კისერწავარძელებულნი და თვალმოწყურულნი გავცქეროდით შორეთს — ბარიდან მომავალ კაცს პირველი ვინ დანახავსო.

ცხოვლად შემოინახა მესხიერებაჲ მამინდელი მღვღარებანი და განცდები.

ხალთიანი კაცი, ვინაც არ უნდა იყოს იგი, დღესაც მამაჩემად მომეზმანება ხოლმე...

შენ მუხლმორთხმული ჩამოჯდებოდი
რიყის ლოდებთან...

და ოფლისაგან შებოლილი
მარილის გულა,
უმწარე ტვირთი
ძილშიაც არ მოგასვენებდა
და იფიქრებდი უპატრონოდ
დაგდებულ სახლზე.

განქარდებოდნენ ცთუნებანი
თეთრსხივოსანნი,
წრფელი ფიქრები
ქორის დარად
ცად მორიალუ,
გზა შინისაკენ —
ერთადერთი მიზანი მხოლოდ!
პაპაშენმაც ხომ ასე იარა
და სხვამ არავინ გაგიზიარა
უმძიმე ხვედრი
ბოლოს და ბოლოს...

— ეჰე, შენც ერთი,
ლაჩრულად ნუ მოჰყვევი გლოვას,
რიჰა! — თენდება
და სამგზავროდ
ადგომის დროს..

... ვინრო ბილიკი,
მღვრიე ტალღები,
ქაფი და ქაფი,
გამწყდარა ძაფი იმედისა,
რწმენაც გამქრალა —
სად არის ღმერთი,
ბედნიერი წუთების დათვლა!..
... ისევ ბილიკი,
მღვრიე ტალღები,
ქაფი და ქაფი,
მეხთა ტყესანი
და მაცდური გაელვარება,
ყველა ოცნება შეენირა
ბედის ღვართქაფებს,

ყველა იმედი დაეტანა
გალვართქაფებას...

შინ რა ჟამია,
რა დაგხედებს,
ვინ უწყის, ვინა,
ნუ აბორგდები, ლაკირივით
დამწვარო სულო!
იქნებ ზევეებმა დაგინგრიეს
სადგომი — ბინა
და უმცრუანიც შიგ მოჰყვნენ
სულაც...
წინაპარივით იყურე, სულო!
პაპაშენმაც აქ ხევ-ხევ იარა
და სხვამ არავინ გაგიზიარა
უმძიმე ხვედრი
ბოლოს და ბოლოს!
— ეჰე, შენც ერთი,
დიაცივით მოჰყევი გლოვას,
რიჰა! — თენდება,
და სამგზავროდ
ადგომის დროა!..

... თავში მწკრივდება წინაპართა
რიგი უგრძესი,
შორეულ გზებზე სამონაგროდ
მიბლატუნობენ,
უკან ურჩებათ სევდიანი
თვალეები სველი...
სოფლის ყორეზე გადმომდგარან
ყინჩად ბავშვები,
კონკისძველანი ასხიათ და
ნაბდის ქუდეუქვეშ

ღვივიან ღველფში გახვეული
ნაკვერჩსლებივით.



... ნუ აბორგდები,
ლაკირივით დამწვარო სულო,
სხვა ხვედრზე ფიქრი
არ გმართებს სულაც! —
გაშმაგებული შეუტევდი
ვინ რო ბილიკებს
ფეხქვეშ წვებოდნენ ყორნისფერი
გზა — წავარნები,
თითქოს ვაჟკაცი კი არა და —
მთა აეკიდათ...

შენ მუხლმორთხმული ჩამოჯდებოდი
რიყის ლოდებთან
და ოფლისაგან შებოლილი
მარილის გუდა,
უმწარე ტვირთი
ძილშიაც არ მოგასვენებდა
და იფიქრებდი
უპატრონოდ
დაგდებულ სახლზე...

— ეჰე, შენც ერთი,
ლაჩრულად ნუ მოჰყევი
გლოვას,
რიჰა! — თენდება
და სამგზავროდ
ადგომის დროა!..

მე მაპატიე, დარდის კაცო, იცვალ-
ნენ დრონი, ნაბილიკრებზე რკინის
რაშებს დააჭენებენ...



განხილული გული

გაბნეული ვართ ყოველგან
სხვადასხვა უცხო მხარესა,
ვერ ვხედავთ იერუსალიმს,
იმის მზეს, მისსა მთვარესა,
ველარც ვსჭერეთ სოლომონისა,
დიდ ტაძარს მოელვარესა,
რჯული გვედება მალამოდ
გულდამწვარ, სისხლმდულარესა;
უცხო ვართ ყველა ხალხებთან,
ცრემლს ვაქცევთ მულამ მწარესა,
შეგვედრე: ტანჯვა გვაქმარონ,
მეტი არ შეგვიძლიაო,
ახა, ნარინჯო, ნარინჯო,
შე ბროწეულო, იაი!

ასე გოდებს ებრაელი კაცი აკაცი წერეთლის
ლექსში. და თუ მას სადმე მუყუდრო თავშესაფარი
უპოვნია, ეს ალბათ საქართველოში იყო.

არაფერ უწყის, როდის გაჩნდა ჩვენში ებრა-
ული მოსახლეობა. ნიკო მარი ფიქრობდა, რომ
სიტყვა „ჟრია“ (რომელსაც ახლა დამამცირებე-
ლი ელფერით აღიქვამთ) ნიშნავდა ქალღვეულ-
თა უბრდან მოსულ კაცს ანუ ურულს. „ქართ-
ლის ცხოვრება“ კი გვიამბობს — „მაშინ ნახუ-
ქოდონოსორ მეფემან წარმოსტეუენა იერუსალე-
ში, და მუნით ოტებულნი ჟრიანი მოვიდეს
ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლი-
სისავან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არა-
გუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი“.

თუ ასეა, მაშინ ებრაელობა უხსოვარი დროი-
დან სახლობს საქართველოში.

თითქოს უცნაურია, მაგრამ ჩვენ ქრისტეს
კვართითაც ვართ დამოხილებული.

მატიანე გვიყვება ვითარ წაიგია მცხეთელი
ებრაელი ელიოზ იერუსალიმს. წილად ხვდა კვარ-
თით იგი უფლისა და წამოიღო მცხეთას. ქალა-
ქად მოსულს წინ მიეგება ელიოზს დაი მისი,
გამოართვა კვართი და გულში ჩაიკრა სიტყვებით
— ქრისტეს სიკვდილისათვის, და დედისათვის,
და ძმისათვის, რომელ ეზიარა სისხლსა უფლი-
სასა. რა წარმოთქვა ეს, ვანეტყვა სული ქალმა.
შეშინებულა ხალხიც და მეფე ადერკიც. ხელმ-
წიფეს არ უნებებია მიცალებულის ხელიდან გა-
მოეცლიათ კვართი. ასე დაუქარხავთ, უფლის
კვართთან ერთად, ელიოზ მცხეთელის დაი.

მერე საფლავზე უღამაზესი ღიბანის ნაძვი
ამოსულა.

გამოხდა ხანი. საქართველოში წმიდა ნინო
ჩამობრძანდა და ქართველი ხალხი ქრისტიანო-
ბად მოიქცა. მეფე მირიანს უკითხავს წმ. ნინოს-
თვის, სად აევაოთო უფლის ტაძარი. აურჩევიათ
სწორად ის ადგილი, სადაც ღიბანის ნაძვი ხა-
რობდა. მოუყვეთიათ ხე. სვეტად განუმჯადებო-
ათ, ხოლო მის ძირზე სამირკველი დაუდგამთ.
მაგრამ აქ უცნაური რამ მომხდარა: ვერც ხე-

ლით, ვერც მანქანებით ნაძვის სვეტს ძვრა ვერ
უყვეს. შეწუხდნენ ფრიად ერი და მეფე. არ
იცოდნენ, რა ექნათ. მთელი ღამე ლოცვად დად-
გა წმ ნინო და სტელიტინი დანი მისნი. დილით,
გამთენიისას, როცა ქალებს მიერტულათ, ხელაპ-
ურობილ ნინოს მიუახლოვდა კაბუეი ერთი, ნათ-
ელი მოსილი. სამი სიტყვა უთხრა ნინოს და
ქალი პირქვე დაეცა. მაშინ კაბუემა მოჰკიდა
სვეტს ხელი და ცისკენ წაიღო. ერთ-ერთი სუ-
ლიერი დათავანი, სიდონია მიუღია ნინოსთან და
ჰკითხა, რა მოხდაო. ნინომ სილონიას თავი და-
ახრევიანა და ასე ჩუმად მდგარან ქალები ერთ-
ხანს. მერე თავნი აუწევიათ და უხილავთ —
ცეცხლის სახედ ჩამოდიოდა სვეტი. იგი დაედგა
ძირს, რომლისგანაც მოჰკრილი იყო.

ამის მოწმე გამხდარან რიყრაუხე წამომდგარი
მეფე და მთელი ერი.

ამ ადგილას ააგეს სვეტიცხოვლის ტაძარი.
და ახლა საუკუნეების მანძილზე სისხლით
ნაქსოვი სიყვარულის ძაფები წყდება და ებრა-
ელობა დედსამშობლოში ბრუნდება. ვერ გა-
ამტყუნებ. ყველას აქვს ბინა: მელაის — სორო,
ჩიტს — ბუღე, მხოლოდ ებრაელს არა აქვს ში-
ნა. მას მხოლოდ საფლავი უკ — მოთქვამდა ის-
რაელის ძე ბაირონის ლექსში „სტიროდეთ“,
რომელიც ილიამ თარგმნა ქართულად. ახლა აქვს
ებრაელ კაცს სამშობლო და ვით თქმის საყ-
ველური, თუ იგი დედის წიაღში ბრუნდება, რა-
რიგ მტკიცეუელიც უნდა იყოს ეს დაბრუნება.

ებრაელთა აზრმა კაცობრიობის კულტურულ
სავანძურში ბევრი საუნჯე შეიტანა, მაგრამ ებ-
რაელთა საქციელმა უკვდავი გაკვეთილიც ჩაგვი-
ტარა და თვალნათლივ დაგვიმტკიცა, რომ ეროვ-
ნული გრძნობა უკვდავიც და არ არსებობს ძალა,
რომელსაც მისი ამოძირკვა შეეძლოს.

ამ უკვდავი გრძნობის სახელით ბრუნდებიან
ისინი სამშობლოში. დედისაკენ მიიქცნენ, მაგ-
რამ არც დედიბილი ავიწყდებოთ. ისრაელში
გამოღის ქართული გაზეთი, იბეჭდება ქართუ-
ლი წიგნი, თელავიევის უნივერსიტეტში არის
ქართული ენის კათედრა.

და როცა მზე ხმელთაშუა ზღვის ტალღებში
ჩახვევება, ეზოს ჭიქართან მომდგარ ქართველ
ებრაელს დახენდება თავის ბანძა და ონი, თავი-
სი საჩხერე, ცხინვალი და გორი, თავისი თბი-
ლისი. ეს გახსენება საესეა ნოსტალგიით დედო-
ბილის მიმართ.

ამ ნოსტალგიას ეძღვნება გურამ ბათიაშვილის
პიესა „ვლი“. მე არ შეუდგებმი ლაპარაკს გ.
ბათიაშვილის პიესის ავტორზე, ახლა ეს საქი-
როდ არ მიმაჩნია. ამ პიესაში არის გახლჩილი
გულის ეცენსა და ეს გახლავთ მთავარი.

ბაბაქი ბაბრაძე

ვ ა ლ ი

პიესა — ელემბია

2 მოკმედიბად

ბატონო ვასო, ჩემო ბოზი!

რომ არა თქვენი წაქეზება, გამხნეება და სიყვარულიანი დამოკიდებულება ამ თემისა და ხალხისადმი, იქნებ ქალაქზე არც გადასულიყო უველაფერი ის, რაც ერთსა და იმავე დროს სულის ტყივილადაც კცეულა და ხალხთა სიყვარულის ძლიერების დასტურადაც. ამიტომ თქვენ გიძღვნით ამ პიესას.*

ავტორი

შენგან ვანდგომა

ო, ჭვარცმულო,

მე რად დამბრალდა,

ძლეულთ ნუგეშო,

დაერდომილთა თავშესაფარო...

ირაკლი აბაშიძე

„ხმა ჯვრის მონასტრის გალავანთან“

მოკმედი პირნი

დათიკო მებრალიშვილი

ლია

ნაზი

დანელი

ილია

გაგო

ქუკუ

ჯოტო

იოსებო

პროკოფი

მისაქო

გამოცემელი

რაჰველი ეზრაელი

იმერელი ეზრაელი

პართლელი ეზრაელი

ნოღარი

გამცილებლები, მოზაიმა ხალხი

— სამოციოდ წლის.

— მისი მეუღლე.

— ამათი ქალიშვილი — ოციოდ წლისა.

დათიკოს ნათესავები, მეგობრები

* იგულისხმება პროფესორი ვასილ კიკნაძე და ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი გივი ქავთარაძე.



ის ამბავი საქართველოს ერთ ჩვეულებრივ დაბა-სოფელში იწყება, აქ ცხოვრობდნენ ეს ადამიანები, აქ გაჩნდა მტანჭველი ფიქრი ორ სამშობლოზე — შორეულზეც და ახლობელზეც, აქედანვე დაიწყო ეს ურბული გზაც.

მაგრამ ჭერჭერობით დათიკო მებრელიშვილი სამებრელიშვილი. ახლა იგი თავის ელში ფიქრშირეული ჩამომჭდარა ჭოკოლო. კარგა ხანია ახე ზის — ფრთებშეჭერილი და არეული. მერე თითქოს საკუთარ თავს გაეპასუხაო, ხმადაზღა თქვა:

დათიკო — რავა აიყარა ქვეყანა... რას ხედავს ამას ჩემი თვალები... რა უნდა ჰქნას ადამიანმა, რა გზას დაადგეს... (მერე ისევ ფიქრს მიეცა და რომ ვერაფერი გადაწყვიტა, წამოადგა) წავიდე მე...

ლიბა — სად მიდიხარ, დათიკო?

დათიკო — რა ვქნა, წავალ, საქმეს მივხედავ.

ლიბა — არ დაგელია შენ ეგ საქმე!

დათიკო — აბა, სახლში ვიჭდე?

ლიბა — რა გადაწყვიტოთ, რა გზას დავადგეთ. დაგვაუხეი საშველი!

დათიკო — არაფერი მაქვს გადასაწყვეტი მე... რა გინდა, რას ჩამცივიხარ!

ლიბა — რა მინდა და, წავიდე, დათიკო, დროზე მივხედოთ ჩვენს ცხოვრებას! პირველად გაიგონე?

დათიკო — სად წავიდე, ქალო, სად?

ლიბა — კი იცი შენ, სადაც გეუბნები, რას ელოდები, რა გინდა აქ, კომუნისტები უშენოდ ვერ გააძლებენ?

დათიკო — ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ კომუნისტებს.

ლიბა — კომუნისტებს მშვილობა მისცეთ ღმერთმა, ჩვენ დროზე მივხედოთ ჩვენს ცხოვრებას, დათიკო! გავუდგეთ გზას. აღარავინ რჩება სოფელში, ყველა აიშალა, შენ რა ვიტრინის კუკლა ხარ ამისთანა!

დათიკო — სოფელი არ გაწყდება, ვიღაცა მაინც დარჩება.

ლიბა — ვიღაცა კი დარჩება, არც კირილე მამალა წავა იერუსალიმში და არც რაჟდენ ჩაჩიბაია.

დათიკო — არც სხვა წავა!

ლიბა — ვინ, ვინ დარჩება?

დათიკო — რას შემოიპინდი, ქალო. ვინც დარჩება, ის დარჩება!

ლიბა — შენ ჩემი სიკვდილი გინდა. შეხედე გაბოს რას შვრება, დროზე უნდა მიხედო ჩემს ცხოვრებასო.

დათიკო — ვინა?

ლიბა — ვინა და გაბო! დროზე უნდა მიხედო ჩემ საქმესაო და მიდი.

დათიკო — მაგას ვერ დავიჭერებს!

ლიბა — შენ რავა დავიჭერებს, რა!

დათიკო — გაბო არ იზამდა მაგას, არ გადაწყვეტდა!

ლიბა — შენ გიყურებს, მეტი საქმე არა აქვს.

დათიკო — გაბო სხვანაირი კაცია.

ლიბა — თუ არ გჭერა, ეგერ გაბო და აგერ შენი მიდი და გადასახე.

დათიკო — გადავძახო?

ლიბა — ხო, მიდი, რას მომჩერებხარ.

დათიკო — მივალ... (გადის გაოგნებული) გაბომაც გადაწყვიტა? აბა, გლახათ უოფილა საქმე... (გასძახის) ეე, გაბო... გაბო!

ლიბა — მიდი, მიდი, იქნება დაგვადგეს საშველი. იქნება მოხვიდე კუკუაზე!

გაბოს ხმა — დათიკო, დათიკო!

ლიბა — ე, აქეთ ნოგადგა გაბო, მიდი და ელაპარაკე! (გადის).

დათიკო — ელოში შემოდი, გაბო!

გაბო — (შემოდის) სადა ხარ, კაცო, მთელი სოფელი გადავატრიალე შენს ძებნაში.

დათიკო — აგერ ვარ, სახლში, რა მოხდა ამისთანა?

გაბო — რავა რა მოხდა, შე კაცო, სად დავიკარგე, იმ მიცვალეულს დამარცხა არ უნდა?

დათიკო — საცოდავი! კიი კაცი იყო, აცხონოს ღმერთმა!

გაბო — აცხონოს, მარა... თუ არ დავმარცხეთ, რაფერ ცხონდება!

დათიკო — ვინ თქვა არ დავმარცხოთ, უნდა დავმარცხოთ, აბა!

გაბო — მერე რაფერ დავმარცხოთ, არ ატყვი?

დათიკო — რაფერც ადრე დაგვიმარხია, ახლაც ისე დავმარხოთ.

გაბო — აღარ ვამოდის ისე, ბიკო, უფურცბ რა დღეში ჩავვარდნილვართ?

დათიკო — რა იყო, ამისთანა რა მოხდა?

გაბო — რავა რა იყო, შე კაცო, მიცვალეზულს დაბანვა ხომ უნდა, საფლავის გათხრა ხომ უნდა, ყველაფერი ჩვენს წესზე ხომ უნდა გაკეთდეს.

დათიკო — ჩვენს წესზე უნდა გაკეთდეს, აბა!

გაბო — ხო და რაფერც მერე! აღარავინ დარჩენილა სოფელში, რომ ჩვენს წესზე გააპატრონოს მიცვალეზული.

დათიკო — როგორ კაცო, ღუტუ... (სიტყვა პირზე შეაშრა).

გაბო — ეე ღუტუ რა ხანია წავიდა...

დათიკო — იაკობშაც იცოდა ხოლმე მიცვალეზულის გაბანვა..

გაბო — ზარე ორი კვირაა წავიდა.

დათიკო — იოსებს რომ შევებვეწოთ?

გაბო — იოსებმა ფარა იშოვნა და ახლა მაგ საქმეს ხელს აღარ ჰკიდებს, შეეშვა.

დათიკო — რავა სჯობია აბა ჩვენს საქმეს?

გაბო — არ ვიცი, არ ვიცი, რა გვეშველება. საფლავი ვის გავათხრევიწოთ?

დათიკო — (ფიქრიახლად) აღარავინ შემოგვრჩენია და ესაა, ასე აურა იქნება? ეს არი

მადლი?

გაბო — ისევ მე და შენ უნდა გავთხაროთ საფლავი.

დათიკო — რაფიელს მე რავა გავუთხარო საფლავი, ბიკო!

გაბო — აბა, რას იზამ, სხვა გზა რომ არა გაქვს.

დათიკო — კაი, ბატონო, გავთხაროთ და ეს არი...

გაბო — ტანც ჩვენ უნდა დავბანოთ მიცვალეზულს, წვერიც უნდა მოვპარსოთ...

დათიკო — ვინ — ჩენე?

გაბო — მე და შენ.

დათიკო — გადაირიე?

გაბო — რა იყო?

დათიკო — ნე მიცვალეზულს ტანი დავბანო? მე მიცვალეზული გავპარსო?

გაბო — ჰო, ჩენე რაფიელი, ბიკო, რა მოგივიდა!

დათიკო — ჩენე რაფიელი კია, მარა, მიცვალეზულია, გაბო!

გაბო — სხვა გზა რომ არა გვაქვს!

დათიკო — ეს რაფერც მითხარი, გაბო! ვერა, მიცვალეზულს მე ვერ მივეკარებო.

გაბო — აბა რა ვქნათ, მირჩიე.

დათიკო — ვერა, გაბო. მე მიცვალეზულს ხელს ვერ მოვკიდებ. ასე მგონია, იქვე დავ

ღვე სულს.

გაბო — მიცვალეზული დაუმარხავი დავტოვოთ?

დათიკო — მიხაკოს რომ შევებვეწოლით?!

გაბო — მიხაკოც მაღე გვეულოება დასამარხავი, უკანასკნელ დღეშია საწყალი.

დათიკო — სხვამ რომ დაბანოს, რა იქნება?

გაბო — ვინ სხვამ?

დათიკო — მეზობლებს რომ ჩავუვარდეთ ფეხებში?!

გაბო — რას ლაპარაკობ, დათიკო, თუ იცი! წესი წესია, ამდენი საუკუნეა ამ წესს იცაზ ჩენე ხალხი და ახლა რატომ გადავუხვიოთ? ჩენე შკადარი ჩვენ უნდა გავასვენოთ.

დათიკო — რა ვქნათ აბა, მე არ შემიძლია და... (პაუზა) ბესოსთან რომ მივდილი?

გაბო — ბესო?

დათიკო — ჰო, ბესო, რა იყო?

გაბო — იზამს კი?

დათიკო — შევებვეწოთ.

გაბო — შენც გამომყუები?

დათიკო — კი, ბატონო!

გაბო — აბა, გადმოგაჰებ ახლავე და წავიდეთ (მიდის).

დათიკო — მოიცა, გაბო!

გაბო — რა იყო?

დათიკო — რაღაცა მინდა გითხრა, გაბო.

გაბო — (დუმილის შემდეგ) აღარ იტყვი რა გინდა?

დათიკო — ერთი ამბავი გავიგე და მართალია?

გაბო — კი, დათიკო, მართალია...

დათიკო — რატომ, ბიჭო, რატომ ქენი ეს საქმე.

ზაზო — რა ვქნა, დათიკო, კირის დღესავით მიმამს, მარა...

დათიკო — თუ გიჰმის, რამ გადავაწუვედინა.

ზაზო — ქორწილს და ლხინს აღარ ვრივი, ბიჭო, მარა რომ მოვეკვდები, ვიღაცამ ხომ უნდა დამმარხოს, ვიღაცამ ხომ უნდა მიტეროს.

დათიკო — დამმარხავა უოველთვის მოიძებნება.

ზაზო — არა, დათიკო, ამ წუთისოფელს ამდენს რომ ვეჭიდები, ის მაინც უნდა ვიცოდე, რომ საკვდილის მერე ხალხს მიტერებს.

დათიკო — შენც რომ მიდიხარ, მე ვიღამ დამმარხოს, ბიჭო!

ზაზო — შენც უნდა წამოხვიდე, არ გინდა, მაგრამ უნდა წამოხვიდე!

დათიკო — ნუ იზამ, ვაბო, ამ საქმეს, ძმა ხარ ჩემი და გეხვეწები.

ზაზო — რა ვქნა, ბიჭო, ყველა აიყარა და...

დათიკო — ასე არ დაიძლება ქვეყანა, შერტრდი, გაზო!

ზაზო — დათიკო, ხადაც არ უნდა წავიდეთ, აქაურობაზე უკეთ რომ არსად არ ვიქნებით, ვიცი მე ეს, ვიცი, რომ ვერც ერთ ხალხში ვერ ვიცხოვრებთ ასე აღამაინურად. მარა, ყველა რომ აიშალა, რომ არავინ გატერდა...

დათიკო — მე ვარ აკურ, მე გავჩერდა, გაზო!

ზაზო — შენც წამოხვალ, დათიკო, წამოხვალ იმიტომ, რომ... ვიღაცამ ხომ უნდა გვიტეროს, ქალიშვილები ხომ უნდა დავთხოვოთ, რძლები ხომ უნდა მოვუყვანოთ, ჩვენს რჭულზე ხომ უნდა დავიმარხოთ, დათიკო! ყველაფერზე რაღა აიღებ ხელს, შე ურჭულო კარგად დაიქრდი. (გაღის).

გაოგნებული დათიკო ადგილიდან ვერ დაძრულა, თითქოს ერთიანად შეიკვალა, უცებ დაბერდა კაცი. შემოდის ნაზი.

ნაზი — მამა! (დათიკო ვერც აშინებს) მამა, არ გესმის?

(დათიკომ თავი ასწია, თითქოს ვერ იცნო შელი) რა მოგივიდა მამაჩემო, რაფერ მიყურებ.

დათიკო — (დონეწართმული). ხად მიდიხარ, შვილო?

ნაზი — ვულს არ გადავიტრიალდა! ციალსთან შევდივარ და მალე მოვალ.

დათიკო — ვინაა ციალა, შვილო?

ნაზი — რა მოგივიდა, მამა, ციალა ვინაა, რაღა არ იცი!

დათიკო — ხო, ლო, წადი! მოიცა, რა გინდა ციალსთან?

ნაზი — ხვალ საღამოს მიდიან და...

დათიკო — წავიდეს მერე, შენ რა გენადვლება, მოიცა! ხად მიდის ციალა?

ნაზი — ხომ კარგად ხარ, მამაჩემო, რა მოგივიდა?

დათიკო — კარგად ვარ, კი. ხად მიდის ციალა?

ნაზი — იქ მიდიან, მამა, არ იცი?

დათიკო — ხად იქ, ხმა ამოიდეს!

ნაზი — იერუსალიმში-თქვა!

დათიკო — (ყვირდით) რა გაუვირებს მერე! წავიდეს, წავიდეს ეს შენი ციალა, ყველა წავიდეს, გაზოც მიდის ციალაც მიდის — სიძებში მიჰყავთ, რძლები მიჰყავთ, სუსუველა მიდის, ეფროც მიდისო. აიშალეთ და წადით, წადით, ბატონო! მე ვის შევარჩერდე აქ, რას გაუვარჩერდე, ეს არის საქმე? ეს არის ძმის სუსუვარული? თუ ნათესავი და მოუყვარე არ შემერჩა... წადით, ბატონო, ყველანი წადით, წადით...

ლიბა — (შემოდის). რა გაუვირებს?

დათიკო — რაღა რა გაუვირებს, შე ქალო! გაბო მიდისო, ციალა მიდისო, ეფროც მიდისო ურჩე. მე რა ვქნა, მე?

პაპუხ ხმა — დათიკო, დათიკო — მაქი! სო რექ ბოში!

დათიკო — ნამუ რეჟა?

პაპუ — (შემოდის) ირიფერი ჭგირობუა!

დათიკო — ჭგირობუა, პაქუ! მინილი უდეს!

პაპუ — წერილიე, წერილი!

დათიკო — სოურემე, პაქუ!

პაპუ — იერუსალიმშიე!

დათიკო — მუ მოკონია, მუს ჭარუნა?

პაპუ — მუ მიჩქუ მა, მიხაკოშ წერილიე, გიწომილი.

ლიბა — უდეს მინილი, პაქუ (წერილი ბელიდან წამკლიჯა).

პაპუ — ამ, მოჩქარუ, ვა შემიღებუ, ნანგარიე თქვენი ოტკა, ძამი ნანგარი, მომიპრით ხე.

აბა, მომიპარით და მიდავრთი მა... (დათიკომ ხელი მოუწერა, პაჭუ გადის) ჭვირობუა... მი-
დავრთი მა...

დათიკომ — (ნაწის). მივდივართო, აბა!
ლიბა — გამომართვი ეს წერილი და გამაგებინე, რას მწერს ძმა.

დათიკომ — აბა, შენ წაიკითხე, გოგო.
ნაწი — (წერილს ხსნიხ, იწყებს კითხვას). ჩემო საყვარელო სიძევ, დის შვილებო და
დალო...

ლიბა — კინ იცის, როგორ ვენატრები...
ნაწი — ვიღებ კალამს და გითვლით მონატრებულ საღამს ჩვენი განთავისუფლებული და
გაბედნიერებული იერუსალიმიდან. რა უნდა მენატრა ცხოვრებაში. რომ ასე დავეჭოდოვები-
ნე ღმერთს, ამაზე შეტი რა უნდა მღირსებოდა. ავტე ბარე ექვსი თვეა იერუსალიმში ვართ,
ბედნიერად და მშვიდობიანად. ყველაფერი კარგად მოგვარდა. ვისაც უფლოცია ამ წვლიწადს,
ჩემთვის უფლოცნია. აქ რომ ჩამოვედით, უცებ გამაქანეს. აბა, სად დასახლდები, მინაკო, რა
გინდა, რისი მსურველი ხარო. საიფაში დავსახლდი, მართს ზღვის პაერი უბლება, სამ ოთახიანი
ბინა მომცეს.

ლიბა — ჩემი ხელით უნდა მოგვლა, დათიკომ, რატომ მხლი სულს!
დათიკომ — სახლი იმაზე უკეთესი მაქვს მე და მაცალე ახლა, მოვისმინო!
ლიბა — რაღა დროს მაცალე, დათიკომ, გაკეთდა ქვეყანა, შენ წავსადგისი ხელიდან ვერ
გაგაგდებინე.

დათიკომ — ლია! (ნაწის). წაიკითხე. შეილო.
ნაწი — (კითხულობს). მერე მითხრეს მუშაობას სად ისურვებთ, რა ხელობის კაცი
ბრძანდებითო, მე ვუთხარი, საპოლნიკი ვიყავი და ვარ-მეთქი. ჩემს ხელობაზე დამხვეს. პატარა
სახელისნო ვავსენი და ემუშაობ. მანდ რომ კიი ექიმი კაცი იშოვნის, იმდენს მეც გამოვდი-
ვარ.

დათიკომ — რაო, შეილო, რაო?
ნაწი — მანდ რომ კიი ექიმი კაცი იშოვნის, იმდენს მეც გამოვდივარო.

ლიბა — ეს კაცი თავს მომაკვლევინებს!
დათიკომ — მაცალე, ქალო! მერე, შეილო, მერე?
ნაწი — (კითხულობს). ახლა, ჩემო საყვარელო სიძე, დათიკომ! შენ რა მოგივიადა, რამ
დაგაურა და დავაბრმავა ასე, ქვეყანამ ჭკუა ისწავლა და შენ რაღას აპირებ. შენი ღმერთი არ
გინდა რომ იპოვნო? შენს ღოცა-მარხვას არ ვინდა მიხედო? რას აპირებ თუ იცი? სანამდე
გინდა ასე იარო. ცოტა ტვინი გაანძირე და წესიერად გამოიხედე თვალბში, ხალხის სასა-
ცილოდ ნუ გაინდ თავს. რომ ჩამოდიან, მეუბნებიან, დათიკომ იძახის, ჩემს მიწას მე ვერ
შოგშორდებიო...

ლიბა — მიწა დაგაყარე, დათიკომ, მიწა!
დათიკომ — რა გინდა, ქალო, შენ?

ლიბა — კი იცი, რაც მინდა. იცოდე — დღეიდან შენ ჩემი ქმარი არა ხარ, ჩავკიდებ ხელს
ჩემს შვილებს და მივდივარ! მორჩა, ჩემი ძმა მე არ მილალატებს, არა, არ მილალატებს!

ნოღარის ხმა — დათიკომ ბიძა, დათიკომ ბიძა!
დათიკომ — რომელი ხარ!

ნოღარი — (შემოდიხ). მე ვარ, დათიკომ ბიძა!
დათიკომ — მოდი, შვალო!

ნოღარი — ბაბამ შემოგითვალათ, ერთი დიდი უსუთი გექნებათ და მათხოვეთო.
დათიკომ — დიდი უსუთა რად ვინლათ, შეილო?

ნოღარი — ბარჯე ვალაგებო. თქვენ მაინც არხად მიდიხართ და მაჩუქეთ, იმას რომ შეე-
ხდება, თქვენ მოზაგონდებითო.

დათიკომ — რაო, რაო?
ნოღარი — თქვენ მაინც არხად არ მიდიხართო და...

დათიკომ — მაინც არხად არ მიდიხართო, ხომ?
ნოღარი — ხო... ჩვენ მივდივართ, დროზე მივხედავთ ჩვენ საქმესო.

დათიკომ — დროზეო, აბა, მა?
ნოღარი — ზო დროზეო...

დათიკომ — (ცხარედ). ვერაფერს გათხოვებთ, მე თვითონ მპარდება, მივდივარ, მივდივარ,
ბატონო! აქეთ მაჩუქეთ თუ რამე გაქვთ, ამომხადეთ სული! გაეშაღე, ლია! გაეშაღე შეილო!
წავიდეთ, წავიდეთ და ესაა (უცებ დაცხრა). წავიდეთ, მარა, ამ შენს მეგობლებს რას ეუბნები,
ამ შენს არემარეს რას უშვრები! ეს სახლ-კარი არ გინანება? ასე რამ გაგიკვავათ გული, თქვე
უღმერთობო... რამ ვადგობრუნათ ჭკუა... რა ხდება, რა?

ლინა — ე, შეილო, ნაში დავტრიალდეთ, ახლა გვინდა უოჩალობა დახსნელება. როცა შუქი კვლავ აინთება, ავანსცენახუ პროკოფი გამორბის, პროკოფის გატანჯული, გაწამებული დათიკო მოსდევს.

პროკოფი — დამანებე, დათიკო, თავი, რა გინდა ჩემგან!

დათიკო — რატომ ნაწამებ, ასე, ღმერთი არა გწამს? მომეცი ის რაღაც საოხრე დახსნათებაა, ერთი კვირაა დაგდევ, პროკოფი!

პროკოფი — ჩემი დახსნათების ვარუშეც მონახავ გზას!

დათიკო — ბიკო, წესი უოფილა ასეთი, პასპორტს არ მომეცემენ, თუ დახსნათება არ მივიტანე. ვის რაში აინტერესებს გლახა კაცი ვიუავი, თუ კარგი, მაგრამ წესი წესია და ნუ შემიშლი ხელს.

პროკოფი — ვერ მოგცემ-მეთქი, ვითხარი ერთხელ.

დათიკო — სხვებს რომ მიეცო, შე რა დახალი ღონე მნახე?

პროკოფი — შენ არ შემეტები, დათიკო!

დათიკო — სხვებიც არ უნდა გაგმეტებნა და მეც მოსვენებული ვიქნებოდი და შენც!

პროკოფი — ვინ მოგახვეწა, ვინ დაგაუენა კანტორაშიც ვემაღებოდი და სახლშიც, მარა...

დათიკო — კარგი ახლა. პროკოფი, აწი აღარა აქვს აზრი და გამიშვი!

პროკოფი — ხანშობლოს მოღალატეს დახსნათებას ვერ მივცემ შე, ვთქვი და გავათავი!

დათიკო — რაო, რა თქვი?

პროკოფი — ვერ მივცემ შე დახსნათებას სამშობლოს მოღალატეს.

დათიკო გახვედა, ერთიანად დაძაბა, მერე თითქოს მუხლებში სასუსტე იგრძნო, პროკოფის მკლავში ჩასჭიდა ხელი და ნელ-ნელა მიწაზე დაეშვა.

რა მოგდის, დათიკო, რა არი, შე კაცო!

დათიკო — არაფერი, არაფერი...

პროკოფი — წუალი მოგირბენინო?

დათიკო — არა, არ მინდა, რა უღნერთო უოფილხარ, პროკოფი... რა უღმერთო... შე ვარ მოღალატე? შე სამშობლოს მოღალატე ვარ? ჩემი ჭრილობები დაგვაწუდა, პროკოფი?

პროკოფი — კარგი დათიკო, ასეთი რა მოგივიდა.

დათიკო — რა უღმერთო უოფილხარ, რატომ მომკალი ასე?

პროკოფი — კაცის ფერი არ გადევს... (ვიღაცა დაიხანხა, ვასძახის) ძუკუ! ო, ძუკუ! ერთი ჭიქა წუალი გამოყოლე აქეთ

დათიკო — ვინ ძუკუა?

პროკოფი — ჩვენი ძუკუ, ახლაია! რა იყო, შე კაცო... წამომვლა სიტყვა, არ უნდა მეთქვა, მარა...

დათიკო — (წამოხტა). წავედი, აბა მე...

ძუკუს ხმა — რა ამბავია მანდ?

დათიკო — არ მინდა წუალი, გავიქეცი ახლა მე.

პროკოფი — (გასძახის). არაფერია, არაფერია (დათიკოს). დაქეცი, დაგიწერ იმ საოხრე დახსნათებას. (ჩანთიდან ქაღალდი ამოიღო, დახსწერად გაემზადა).

დათიკო — ახლა ვერ გავჩერდები, ერთ საათში მოვანახვ სადმე.

პროკოფი — ახლავე მოგცემ და ესა...

დათიკო — არა, უნდა გავიქეცე... შეჩქარება...

პროკოფი — რა ფერზე ხარ, შენი ნართო გაშვება არ შეიძლება, ჩამოქეცი ცოტა ხანს.

დათიკო — ვერ გავჩერდები, პროკოფო, არ შემიძლია.

პროკოფი — რა ცუცხლი შეგვეთო ასეთი?

დათიკო — ძუკუ მოდის აგერ... წავედი და ერთ საათში მოგაკითხავ.

პროკოფი — მოვიდეს მერე ძუკუ...

დათიკო — შენ რა იცი, ძუკუ რა არის ჩემთვის, წავედი (აჩქარებული ვადის. შემოდის ძუკუ).

ძუკუ — დათიკო არ იყო ეს?

პროკოფი — იყო კი... არ გაჩერდა... რავა აირია ამ ხალხმა გზა-კვალი.

ძუკუ — სად წაიდა თუ იცი?

პროკოფი — რა ვიცი, სად წავიდა...

ძუკუ — ასე შემადება სამი დღეა... ვერსად დავიპირე, სახლშიც არ გამოჩინდა.

პროკოფი — შენ რომ დაგინახა, იმიტომ გაიქცა.

ძუკუ — მივხვდი. კარგადაც მოიქცა. რავა აირიეს გზა-კვალი, რა ქნეს, რა ქნეს... წავედა

(გადის). სად დავიჭერ ახლა მავას მე... თუმცა, კიდეც დავიჭირო, რა აზრი აქვს. კაცს კაცს გააღებურდნება, მერე მორჩა. დაბნელება.

დაბნელება. შუქი სცენაზე.

რკინიგზის სადგური. ბაქნის ერთ კუთხეში ჩემოდნებზე დათიკო და ლია სხედან.

დათიკო — ნაზი!

ნაზი — (შემოდის). რა იყო, მამა.

დათიკო — რონელი საათია?

ნაზი — ექვსის ოცი წუთი.

დათიკო — მერე სად არის ის გადასაშენებული მატარებელი.

ნაზი — ჭერ ადრეა, მამაჩემო, თხუთმეტი წუთი აკლია.

დათიკო — (წამოდგა, ბოლთას სცემს). თხუთმეტი წუთი თხუთმეტი წუთი მამს ცოტა ზგონია! თხუთმეტი წუთი ნახევარი საათის ნახევარია, დავით მეფემ ერთ წუთში გაათავა გო-ლიათი, ეს კიდეც იძახის, თხუთმეტი წუთიო! ლია!

ლია — რა იყო, დათიკო, რა ძაღლივით იღრინები.

დათიკო — ერთ რამეს გეტყვი და დაიმახსოვრე, სამშაბათია დღეს, ექვსის ოცი წუთიაო, ეს გოგო ამბობს...

ლია — მერე?

დათიკო — ჰოდა, ამ დღეს, ამ დროს გეუბნები. როგორც კი მატარებელი ამ სადგურს გაშორდება, ჩვენი სიცოცხლეც მთავრდება.

ლია — აჰა, უყურე ახლა ამას!

დათიკო — მიუღრე, ჰო, მიუღრე... მთავრდება ჩვენი სიცოცხლე.

ლია — პირიქით, დათიკო! ჩვენი სიცოცხლე დაიწება იმ დღეს, რა დღესაც იქ ჩავალთ.

დათიკო — აგერ შენ და აგერ მე!

ლია — რატომ გგონია მასე, დათიკო!

დათიკო — ღმერთმა ქნას, მე ვაჯობებ.

ლია — ასე, შე კაცო, იმედის გადაწურვა იქნება?

დათიკო — ნაზი! (შემოდის ნაზი) სად დარბიხარ გოგო შენ, თუ იცა...

ნაზი — აგერ ვარ, მამა!

დათიკო — რა ვინდა მაქანა...

ლია — ე კაცო, დაცალე ბაღანას, ეგება მაგეც ვიღაცას უყურებს.

დათიკო — ვინ უნდა უყურებდეს, დედაკაცო! თენჯო სადაა?

ნაზი — ეგერაა რესტორანში, ბიჭები აცილებენ...

დათიკო — (გამოცოცხლდა). ბიჭები აცილებენ?

ნაზი — ჰო, ამხანაგები მოვიდნენ და რესტორანში შეიყვანეს.

დათიკო — ვინ არაან, მითხარი ერთი...

ნაზი — ბუთხუში ქარცხია, დემური ეჭიბია, გური გუგუნავა, ჯამუ გრიგოლია, კაკო მაქაცარია და რა ვიცი, ბევრია ძალიან...

დათიკო — კიდეც ვინ არი?..

ნაზი — ნოღარია კიდეც...

დათიკო — ჩვენი ნოღარი?

ნაზი — ჩვენი ნოღარი, ჰო...

დათიკო — ნოღარი რა ვამცოდნებელია! ნოღარი ზომ მოდის, კარგი წალი... ამხანაგებმა ვაცოდეს... ენაცვალოს მამა, ყველას უყვარდა. ყველა პატივს სცემდა. (უცებ ვიღაცას მო-კრა თვალი, ერთიანად დაიძაბა) ნაზი! ნაზი! ნაზი-თქვა!

ნაზი — რა იყო, მამა...

დათიკო — არ მოდის ის მატარებელი?

ნაზი — შემოვა სადაცა...

დათიკო — რა ექნა ახლა მე, ლია, უხედე, ჩვენი მეზობლები მოდან, ჩვენ ვვაცილებენ... მაინც არ მოუთმინათ გულმა... მე წავედი, იქით ვავიდა-თქვა, თუ მიკითხონ, უთხარი საქნე ქონდა და ვავიდა თქვა... (მიდის, მაგრამ იმ მხარესაც ვიღაცა დაინახა). ძუკუც მოდის, ლია, ძუკუც! სად წავედი ახლა მე... ლია, ხმა ამოიღე...

ლია — კარგი, შე კაცო, ბაღანასავით ნუ იქცევი, რა მოვივიდა...

სცენის ერთი მხრიდან შემოდინ დათიკოს მეზობლები: თითქოს პანაშვილზე მოვიდნენო, წელი წაბოჯით შემოვიდნენ და უხმოდ ჩამწყრიდნენ, სწორედ ისე, როგორც ძვირფასი, მაგრამ უკვე დაკარგული აღამაინის წინ დგებიან აღამაინები. ხმას არავინ იღებს. მეორე მხრიდან შემოდის ძუკუ. ისიც შედგა და დუმს. შუაში მოქცეულ დათიკოს გამოსავალი ვერ უპოვნია, საწყალბოლად დგას, ამ სღრათის შემეყურე ლიაც კი წამოღდა ფეხზე.



- დინტორის ხმა.** მატარებელი ნომერი თოთხმეტი — თბილისი-მოსკოვი რამდენხანს შემდეგ ჩამოდგება პირველ ლიანდაგზე. ვიმეორებ: მატარებელი ნომერი თოთხმეტი თბილისი-მოსკოვი რამდენხანს შემდეგ ჩამოდგება პირველ ლიანდაგზე.
- ეს ხმაც ნაღვლიანად გაისმა. კვლავ პაუზა. მოისმის „სისატურას“ შორეული მელოდი.
- ძშპშ** — შენ ძმა ხარ, ჩემი, დათი!
- დათიკო** — მაგიტომაც გემადებოდი, ძუკუ!
- ძშპშ** — მძას არ უნდა დამადგოდი... მშურად ვილაპარაკებდი...
- დათიკო** — ვეღარ ვილაპარაკებდი მშურად, ძუკუ...
- ძშპშ** — რატომ, დათი!
- დათიკო** — ერთმანეთს ვშორდებით, ძუკუ!
- ძშპშ** — მე დედაშენის ძუძუ მიწოვია, დათი... ჩვენ უვრელთვის ძებნი ვიქნებით ერთმანეთის...
- დათიკო** — ძალიან ვშორდებით ერთმანეთს, ძუკუ, ძალიან...
- ძშპშ** — ჩვენ მაინც ძმები ვიქნებით... ხადაც არ უნდა წახვიდე. ერთმანეთს ვერ დავშორდებით.
- დათიკო** — თუ ჩვენ მშობას არ დავკარგავთ. ქვეყნები კარგად იქნებიან ერთიმეორეში...
- ძშპშ** — მშვიდობა იქნება ქვეყანაზე, დათი...
- ჯორჯი** — (ღვინით ხავსე პატარა კასრს აწვდის). ჩემი ალადსტურია, დათიკო, წაიდე, შენ გიყვარდა ეს ღვინო.
- დათიკო** — მიყვარდა და ახლაც მიყვარს, უკვე გამომიტირე, ბიჭო?
- ბბბბ** — ეს ჩემი გამოხდელი არაუაა, დათიკო. წაიდე იქ, გადარეც ხალხს, ჩაჩა-თქვა უთხარი და მიხვდებიან, რაც არი.
- პროკოფი** — თუ რაზე გაგიჭირდეს, გაგვაგებინე, ბიჭო, რუსული ხომ იცი, თავი არ დააჩაგრინო!
- დათიკო** — დაჩაგრად ისიც შეყოფა, თქვენთან რომ არ ვიქნები.
- პროკოფი** — შენ მაგრად დაუხვდი, ჩვენი მეგრულიც არ დაივიწყო.
- დათიკო** — რა დამავიწყებს...
- პროკოფი** — იქ სულ მეგრულად ელაპარაკეთ ერთმანეთს...
- ნემოდან** ნიღარი, ბუთხუბი, დემური, გური, კოტე.
- კოტე** — თენგო სადაა? პითაგორა სად გაგვეპარა.
- ნოდარი** — ეგერ დგას კუთხეში და ტირის.
- კოტე** — თუ დათვრა, ალბათ.
- ნოდარი** — დათვრა კი არა, ქვეყანას რომ შორდება, ის ატირებს.
- კოტე** — მოდა, მაგან დაათრო ასე მწარედ.
- დემური** — ვეღაზე ადრე ამოხსნიდა ხოლმე მათემატიკის ამოცანას, საკონტროლო წერდას ჩვენი სული და გული იყო.
- კოტე** — პითაგორაც მაგიტომ შეარქვეს ბიჭებმა.
- გური** — აბა, ბოშები კუჩხი ბედინერი დივეჯაო! აბა, ზე! (წამოიწყეს კუჩხი ბედინერი).
- კოტე** — ჩემი უფროსი ძმა ნოდარი, რომ ომში დაიკარგა, მამაშენმა ჩვენი სიყვარულით დაგარქვა ნოდარი. ეს არ დაივიწყო, ბიჭო.
- ნოდარი** — რა დამავიწყებს, კოტე!
- კოტე** — შენი შერცხვენა, ჩვენი შერცხვენაა, შენი კაიაცობა, ჩვენი კაიაცობაა. არც ეს დაგავიწყდეს.
- ნოდარი** — თქვენც თუ დამავიწყებთ...
- კოტე** — თუ გაგიჭირდეს, ნუ დაფრთხები, აგერ ვართ ჩვენ, შენთან ვიქნებით, იცოდე.
- ნოდარი** — ჩემთან ვეღარ იქნებით, კოტე...
- კოტე** — მუდამ ერთად ვიქნებით, ერთმანეთს ვერ გავექცევით.
- ნოდარი** — ნუ დამავიწყებთ, ბიჭებო, ბუხუტი მასწავლებელს უთხარით ძალიან უნდოდა შენთან დამშვიდობება, მარა ვერ მოხერხდა-თქვა.
- კოტე** — ვიტყვი, ვიტყვი, წადი ახლა, მატარებელი შემოდის.
- ნოდარი** — კოწია ჩაინდრავას უთხარი, მამასავით უყვარდი-თქვა.
- გური** — იმასაც უყვარდი, ნოდარი.
- ნოდარი** — როგორ გაკოცოთ, როგორ დაგემშვიდობოთ.
- დემური** — აწი ვეღარასოდეს განახვ, ნოდარი. (ბიჭები ერთმანეთს ეხვევიან).
- დათიკო** — ძუკუ...
- ძშპშ** — მითხარი, დათიკო, რაც გინდა, ყველაფერი მითხარი.

დათიკო — შენ დედაჩემის ძუძუ გიწოვია.

ძუძუ — ღმერთმა აცხონოს მისი სული...

დათიკო — ქვეყანას რომ რამე მოუვიდეს, ძუძუ...

ძუძუ — ქვეყანას არაფერი მოუვა, დათი!

დათიკო — ქვეყანა რომ აირღაიროს, კაცს კაცისა არ ესმოდეს და ისევ ის უბედურება დატროადღეს.

ძუძუ — არ დატროადღება ის უბედურება, დათი!

დათიკო — ქვეყანას, რომ ისევ დაეცეს მები, ძუძუ, შენ აქეთ იყო და მე-იქით, მესვრა?

ძუძუ — შენ თუ მესვრი, დათი!..

დათიკო — ჩემმა თენგამ შენს ზურვიკოს უნდა ესროლოს?

ძუძუ — არ ესვრის, დათი... არ ესვრის...

დათიკო — (გული ამოუტყდა, მივარდა, ეხვევა, კოცნის) ძუძუ, ჩემო ძუძუ. დედაჩემია საფლავს დახედე ხოლმე, ძუძუ, მამაჩემის საფლავსაც ნუ მიატოვებ, მიხედე ხოლმე ძუძუ, შენ გიტოვებ იმ საფლავებს, ბიჭო, შენი საფლავებიცაა, ბიჭო, შენი მიცვალებულებიც არიან ისინი (მატარებლის საყვირის ხმა). მოვიდა ბიჭო, დრო მოვიდა, ჩემი დრო მგვიდა; უველას გშორდებით (უცებ თავი დააღწია ძუძუს და გავარდა, ძუძუ ლიასთან მიდის, ეხვევა, მეზობლებიც ეხვევიან, ემშვიდობებიან, მატარებელი ჩამოდგა, შემოვარდა დათიკო, გაზეთმა გახვეული რაღაცა უჭირავს). ძუძუ, ეს ჩვენი მიწაა, ჩვენი სოფლის მიწა, გამოზადებამ! ააქუ მომცეტი ვა გაზეთი აქეთ, ამა, ძუძუ, ნახევარი შენ გქონდეს, ნახევარი — მე. ერთი ძუძუ გვიწოვია, მიწაც ერთი დაგვეყაროს... ამა, ძუძუ...

ლიბ — დაგვიანდა, დათიკო! მატარებელი მიდის!

დათიკო — მოვდივარ, მოვდივარ... გამომართვი ეს მიწა... არ დაგიცვიყდეს, ფრთხილად მოჰკიდე სელი... დღეიდან ოქროდ მიდიხს ეს მიწა, ბიჭო, მივდივარ, მეზობლებო! თქვენ იცით, არ დამივიწყეთ, მეზობლებო, გლახა არავისთვის გამიკეთებია.

ხან ვის ეხვევა, ხან ვის. უცებ ყველას გაშორდა, განცალკევდა, დაიხარა და მიწას აკოცა. მერე წამოდგა და თითქოს ერთიანად დიაცალაო, დაიხარა, ნელ-ნელა უკან მიდის. მატარებელი უშენია დაიძრა. ახლა შორიდან ისმის დათიკოს ხმა.

არ დამივიწყეთ, მეზობლებო! (მატარებლის შეკვივლები...) მშვიდობით, ჩემო საქართ...

მატარებლის ხმაურმა შთანთქა დათიკო მეგრელიშვილის ხმა. გულის გამაწვრილებლად ჰკეის მატარებელი. მისი ბორბლების ხმა ბაქანზე დარჩენილი ყოველი ქალისა თუ კაცის გულში გაივლის. ამიტომ დგანან ასე გაოგნებულნი და გახვეებულნი. ყოველ მათგანს დააქლდა რაღაც, ყოველმა მათგანმა იგრძნო სიყარვილე მის ირგვლივ.

ნელ-ნელა იხურება ფარდა.

მომხედება მემორა

ჭერ კიდევ გაუხსნელი ფარდის წინ, ავანსცენაზე ნახი ზის.

ნაზი — გუშინ შესრულდა ერთი წელი მას შემდეგ, რაც ხაიფაში ჩამოვედით. მეცხრე საბითუმზე ვცხოვრობთ, კარგა მოზრდილ ოთახებში. სამშაბათს მანანას და ამირანის ქორწილი იყო, გაბო ბიძია ისე გამოთვრა, ისე გამოთვრა, რომ ერთ ჰოლანდიელ კაცს სულ მეგრულად ელაპარაკებოდა. ის კაცი დაბნეული ხელებს შლიდა და ბოიშობდა, მამაკითხე ბატონო, ამდენი უცხო ენა არ ვცი და მომეკალითო.

თენგო ჯარშია, ალბათ, მეც მალე წამოვივანენ. მამამ მუშაობა დაიწყო, მაგრამ მაინც მოწყენილია, სამეგრელოს ფართო ეზოებს ნაჩვევი კაცი, გამოკეტილ ოთახებში დაბორიადობს. დედაც მოწყენილია, ალბათ, იმიტომ რომ ვეღარავის ქრხუბება, თვითონ კი იძახის ჰერმა თუ დამცადაო.

გუშინ გამოვიწყრეთ გაზეთი „სამშობლო“ (გადის).

ის ნება ფარდა.

დათიკო მეგრელიშვილი ფანჯარასთან დგას და „სისატურას“ ლილინებს. ასე იყო გუშინ, გუშინწინ, დგას ფანჯარასთან და ლილინებს. დღეები ძალიან დაემსგავსენ დღეებს, საღამოებს — საღამოებს. დათიკოსა და ლიას საუბრებიც ძალიან დაემსგავსენ ერთმანეთს.

ახლა დათიკოს „სისატურა“ სამხედრო მარშის ხმამ დაფარა — ქუჩაში მწყობრი ნაბიჯით ჩაიბრეს ჯარისკაცებმა. ჯარისკაცების ფეხის ხმას მანქანების გუგუნი მოჰყვება. როგორც ჩანს, სიმხედრო ტექნიკა გადააქვთ.

დათიკო — რა ცეცხლში ჩავაგდე შეილი!

ლია — კიდევ დაიწყე? რა უჭირს ბიჭს?

დათიკო — ერთი შეხედე, რა ამბავია და, მიხვდები, რაც უჭირს. შეხედე, რა იარაღი მიაქვთ, რა ცეცხლი და ნავთი!

ლია — აბა, რა გინდა, კაცო, შენ იმათ შევუშვიროთ თავი და ვუთხრათ, გვირტყი რამდენიც გინდაო?

დათიკო — რადიოსავით ლაპარაკობ...

ლია — ქვეუცის გასაქირს რომ ვხედავ, რადიოც ვარ და უფრო მეტიც.

დათიკო — ქალიშვილები მაინც რამ გადარის! შეხედე, ერთი, ისე გახარებული მიაბიჭებენ, გეგონება, მხარზე თოფი კი არა, როტშილდის ნაჩუქარი მშითვეი გაუღვიათო.

ლია — შენი მიწა უნდა დაცვა, აბა, რისი მაქნისი ხარ, ადამიანო!

დახლოებით ასეთი საუბარი ჰქონდათ ყოველდღე დათიკოს და ლიას, მაგრამ ერთ მშვენიერ საღამოს დათიკოს სახლის კარს ვიღაც მიაღდა და ზარი დარეკა.

ზარის ხმა.

ლია — ნაზი არ არის, თორემ შემოვიდოდა.

დათიკო — სტუმარია ვიღაცა, მიდი, გაუღიე!

ლია — მივდივარ, ბატონო, მივდივარ! (გაღის).

დათიკო — (შემოსასვლელში ვიღაცა შემოვიდა). ვინ მოვიდა?

ლია — გამოცედე, სტუმარია!

დათიკო — თუ კარამდე მოვიდა, აქაც შემოაღწევს. მობრძანდით!

დანიელი — (შემოდის). მოვბრძანდე, თორემ „ოქალდეშით“ არ გამიმასპინძლდე!

დათიკო — დანიელ!

დანიელი — მე ვარ.

დათიკო — ხაიდან ხადაო! რაფერ მოგვაგენი!

დანიელი — (მკვახედ). დაჭეი, დათიკო!

დათიკო — რა იყო, შე კაცო, რა ამბავია! რამდენი ხანია არ მინახხარ, გამარჯობა მითხარი ჭერ!

დანიელი — ვინ ვარ მე თქვენში?

დათიკო — ვინცა ხარ, ხარ!

დანიელი — მითხარით — რა ვარ მე თქვენში?

ლია — რა მოგდის, დანიელ, რა იყო!

დათიკო — ჩემი სისხლი და ხორცი ხარ, მეგობარი, ახლობელი!

დანიელი — მერე?

დათიკო — რა მერე!

დანიელი — რამდენი ხანია ჩამოხვედით — წელიწადი ხომ ხდება?

დათიკო — თორმეტი თვე შესრულდა გუშინ.

დანიელი — ერთხელ მაინც არ გაგახსენდი, შე სულწაწყმედილო? ერთხელ მაინც არ იქვი — მოდი, წავიდეთ, ვნახოთ, დანიელი რა დღეშია, რავარი კმაყოფილია ცხოვრების, რას შერბობა-თქვა?

დათიკო — კარგი ახლა. დანიელ, დაანებე საყვედურებს თავი, მე ჩემი ღარდი მწვავს, შენ ცეცხლზე ნავთს ნუ დაახამ.

დანიელი — არა, ერთი ეს მითხარი, გლახა საქმე თუ გასსოვს ჩემგან?

დათიკო — ტუთილს ვერ ვიტყვი — არაფერი!

დანიელი — მერე?

დათიკო — რა მერე?

დანიელი — ჩემს წერილებს ხომ დებულობდი?

ლია — დანიელ, ყველას თავისი ჰკუა აქვს და გვაქმარე ჩვენი!

დათიკო — მაცალე ქალო, ახლა მაინც მაცალე კაცთან ლაპარაკი! სთქვი, დანიელ, სთქვი! დამალული ჭირი კაცს მოკლავს.

დანიელი — ხომ დებულობდით იმ ჩემს წერილებს?

დათიკო — ვღებულობდით, რავა არ ვღებულობდით, შე კაცო, მარა...

დანიელი — ხომ გწერდი, ბიჭო, არ წაწყდე. ფეხი არ გადმოღდა, კაცი რომ მაქანა ცხოვრებას მოიღვეს, აქაურობას ძნელად ეჩვევა-თქვა. გწერდი, თუ არა?

დათიკო — კი მწერდი, დანიელ!

დანიელი — ხომ გწერდი, ჩვენი იერუსალიმი ჩვენი ბანძა და ჩვენი თბილისი, ჩვენი სენაკი და ჩვენი ქუთაისი არი თქვა, გწერდი თუ არა, მითხარი!

ლია — გადამირებს ამ ისედაც ჰკუადაკარგულ კაცს.

დანიელი — შენც მიასხუხე, ლია ზომ გწერდით, გწერდით თუ არა...

ლიზა — კი გვწერდი, მერე რა გინდა ახლა!

დანიელი — მერე მე თქვენ კომუნისტებს გამოგზავნილი აგენტი ხომ არ გეგონეთ, აქანა.

ლიზა — ღმერთს როგორ შევცოდო და... ცოტა...

დანიელი — რა ცოტა, ქალო, აგენტი გეგონეთ?

ლიზა — კარგი ახლა, დანიელ, შენც ნუ აყვები ნერვებს.

დანიელი — ვიცო, იმ გაზეთების არ გჯერათ, მარა ჩემი, თქვენი დანიელის რაღა არ დაიჭრეთ!

დათიკო — ვინ დაგაყენა, ვინ მოგასვენა ველარ გავუძელი ამ ქალის კვენა-ოხვრას.

ლიზა — ისევ დაიწყე?

დანიელი — გავიგე, თურმე ბიჭი წაუყვანიათ ჭარში.

დათიკო — მაგან მომიხელა, დანიელ, თორემ, სხვა რა მიჭირს.

ლიზა — ნუ გააწყალე გული სამ თვეში სახელოვანი კაცი დაბრუნდება!

დანიელი — გოგო? გოგო, რაღა გყავთ, რას აკეთებს, ხად არი.

დათიკო — გული მაქვს გადატრიალებული. რა ხანია არ ჩანს.

დანიელი — რა მოხდა მერე, შეივლიდა ხადმე.

დათიკო — შეიაროს, ბიჭო, თორემ, ტოლ-მეგობრებით არ იყოს სავსე. მუნჯივით არი ბაღანა, ჩვენ თუ დაგველაპარაკება, აგერ ციალას და ნოდარის. ეს არის და ეს.

დანიელი — რამდენი ხანი დაგვიანდა?

დათიკო — ბარე ორი საათი.

დანიელი — კი ერთი, ფარსავი არ შეგონა? ან შეხვდებოდა ვინმე ან...

დათიკო — ან... რა?

დანიელი — რა ვიცო, მე, კინოში თუ შევიდა!

დათიკო — კინოში, ხომ? მე შენ გიტყვი „ქეთო და კოტე“ არ გადიოდეს ან „ჭარის-კაცის მამა“, რას გაიგებს, ბიჭო, ამით კინოს წაწი?

ლიზა — არც მანება საქმე, ახალგაზრდაა, გაიგებს კიდევ და ისწავლის კიდევ.

დათიკო — კი, ბატონო! ერთხელ წავედი ამით კინოში და ავქოთი კაცი, ამდენი შიშველი ქალი და კაცი ქობულეთის წღვავზე არ მინახავს, რაღა ამოტრიალებულა ქვეყნიერება, რას არ შვრებიან ეს ქალები, რას არ აკეთებენ!

ლიზა — შენ რაღა ხარ, დანიელ, ჩხუბით რომ მოხვედი და ყვირილით, შენ რას შვრები?

დანიელი — ვერ უყურებ რას ვშვრები?

დათიკო — აკეთებ რამეს?

დანიელი — კი ბატონო, მოანგარიშე ვარ ფაბრიკაში.

ლიზა — აბა, რაიკომის მდივანი არც იქ მყავდი! რაღა გინდა, ვერ გავიგე, შენს ღმერთს ემსახურები, ხახლი გაქვს და კარი.

დანიელი — ჩემი ღმერთის სამსახურისთვის არც იქ დავუტერივართ მე! (დათიკოს) ფოტა სალაპარაკო მაქვს შენთან, დათიკო!

დათიკო — რა იყო, დანიელ!

დანიელი — უნდა მოგელაპარაკო...

დათიკო — თქვი, შე კაცო!

დანიელი — ლია გავიდეხ იმ ოთახში.

დათიკო — გადი, ლია!

ლიზა — ამისთანა საიდუმლო რა გავიჩნდათ...

დანიელი — სიტყვა მაქვს კაცთან...

ლიზა — ისეთი რა ზიტყვაა, მე რომ არ გამეგონება!

დათიკო — ჩვენი ხნის ხალხი გოგოებს არ ილაპარაკებს, ლია! ეტყობა, საქმეა კაცი როსული. გვაცალე ერთი წუთით! შემოგვიტანე რამე, ის ღვინო დავალევივით დანიელს, გემო არ დაგიწყდეს.

ლიზა — კი ბატონო, ახლავე შემოვიტან ყველაფერს... (გადის).

დანიელი — ჩვენ კაცები ვართ და ქალების საქმე არ არის, რაც ახლა უნდა გითხრა.

დათიკო — მითხარი, აბა, გისმენ. (დანიელი დუმს) გისმენ, შე კაცო, ამოშაქრე, რა გინდა.

დანიელი — მაცალე, დათიკო, არც კი ვიცო, რაფერ დავიწყო.

დათიკო — დანიელ, ჩემი ბიჭის ხომ არაფერი გავიგია?.. უბედურება ხომ არაფერია ჩემს თავს!

დანიელი — კარგი ახლა, დათიკო, სულ ნუ დამაბნევ... შენი ბიჭი რა შუაშია, აქ...

დათიკო — თქვი, რა გინდა, ნუ ამოშხადე ხული.

შემოდის ლია, მოაქვს ტაბლა, რომელზეც სანოვავე ალაგია. ლიამ ტაბლა დათიკოსა და დანიელს შუა ჩადგა და გავიდა.

დანიელი — (ხმადაბლა). საქართველო არ მოგენატრა, დათიკო?

დათიკო — რა სთქვი?

დანიელი — საქართველო თუ მოგენატრა-მეთქი?

დათიკო — ვერ გავიგე, კაცო. რას მელაპარაკები.

დანიელი — ამისთანა გაუგებარს რას გეკითხები... საქართველო თუ მოგენატრა-თქვა.

შემოდის ლია, ტაბლაზე ღვინის ღოქს დგამს, გადის.

დათიკო — (ლიას გასვლას ელოდება, თვალი გააუოლა, ნომ არ გვიხმენსო). აბა, რა ლაპარაკია ახლა ეს, დანიელ!

დანიელი — მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, გააგო!

დათიკო — (ურუდ, ხმადაბლა). დანიელ, თუ კაცი ხარ, დავანებოთ თავი ამაზე ლაპარაკს.

დანიელი — ასეთი რა გითხარი, დათიკო...

დათიკო — კარგი ახლა, არ გინდა, დაანებე თავი, შექამე რამე... (დოქი აიღო, კიეებს ავსებს).

დანიელი — მოწისმინე, შე კაცო.

დათიკო — შექამე რამე, დანიელ, ეს ჩვენ გაგვიმარჯოს.

დანიელი — გაგვიმარჯოს...

დათიკო — რამდენი დღეა ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს, იმდენი წელიწადი არაფერი გვეტყინოს ჩვენ და ჩვენს ოჯახებს.

დანიელი — ამინ! (სვამენ) უშ, რა ღვინოა!

დათიკო — დააყოლე, ბიჭო, რამე...

დანიელი — ახალი ნახადილევი ვარ.

დათიკო — მოდი, ერთიც დავლიოთ და ორი იქნება... (კიეები შეავსო) ეს ლიას გაუმარჯოს, ჩემს ცოლს... (ლიას გასძახის). შენ გაგიმარჯოს ლია, სიტკომ მოგვეცეს ღმერთმა და მშვიდობა!

დანიელი — (გასძახის). გაგიმარჯოს ლია, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! არც ესმის ჩვენი (სვამს).

დათიკო — ა, ისე რაფარი ღვინოა!..

დანიელი — ნამდვილი „ოჯალეშია“. ვისი ყურძნისაა?

დათიკო — კაი, ახლა, რად გინდა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ-თქვა, ხომ გითხარი.

დანიელი — კი, ბატონო, მარა შენ თუ ასე შეიცვალდი გუნებას, როგორ ვიფიქრებდი.

დათიკო — მცალე, დანიელ, (კიეებს ავსებს). მოდი, ეს ჩვენს შეილებს გაუმარჯოთ... სიკეთე მისცეთ ღმერთმა... თენჯოს მშვიდობით დაბრუნების იყოს... ახალ ქვეყანაში არიან და ახალ-ახალი ბუნდირება არ მოკლებოდეთ. შენს ბუთხუს და თამაზის გაუმარჯოთ!

დანიელი — გაუმარჯოთ, ყველას გაუმარჯოს... (სვამენ).

დათიკო — რას შვრება, აბერებ ბუთხუს. ხომ? მოიყვანე რძალი, რას უყურებ...

დანიელი — აბა, შენ არაფერი არ გცოდნია ამ ქვეყნის.

დათიკო — რა უნდა ვიცოდეთ?

დანიელი — ბუთხუს რა ხანია ცოლი ყავს.

დათიკო — როდის, კაცო?

დანიელი — ჩამოვიდა თუ არა, შეირთო...

დათიკო — ვინ, ვინ შეირთო, შე უნამუსო!

დანიელი — არ იცნობ შენ!

დათიკო — ჩემი უცნობი ვინ უნდა იყოს ჩვენს ხალხში.

დანიელი — არა, ისინი ბელგიიდან არიან ჩამოსული.

დათიკო — ხაიდანაო?

დანიელი — ბელგიიდან ჩამოვიდნენ...

დათიკო — აჰ, ეს რა მითხარი! რატო, კაცო, ჩვენიანები გაწყდნენ?

დანიელი — რაღა, ისინაც ჩვენიანები არ არიან? იმათ იქ მოუწია ცხოვრება, ჩვენ — საქართველოში... რა მოხდა...

დათიკო — მაგას ნუ იტყვი, ჩვენი მაინც სხვა არი, დანიელ, არ მოგსვლია კარგი ნაფიქრი...

დანიელი — ბიჭო ყავს იმისთანა რომ...

დათიკო — ბიჭი? აბა, ამას კი ეკუთვნის ერთი დიდი ჭიქა... (შევსებს) გაგიზარდობა...

დანიელი — მაღლობელი ვარ, დათიკო. (სვამენ) არა, მაინც რა ღვინოა, ა... ან აქამდე რაფერ. შეინახე! გაფიცებ შვილებს, მითხარი ვისი ვენახისაა.

დათიკო — კი იცნობ შენ...

დანიელი — მითხარი, აბა!

დათიკო — დუღუ ჭიქას ვენახისაა.

დანიელი — დუღუ ჭიქა... დუღუ ჭიქა რომელია?

დათიკო — ცალთვალა რომ იყო, რავა არ გახსოვს, შე კაცო!

დანიელი — მასე გეთქვა, მაგას დუღუ ჭიქას კი არა, დუღუ ბრუციანს ეძახდა ქვეყანა.

დათიკო — ჰო, დუღუ ბრუციანი.

დანიელი — კაი მშვადობიანი კაცი იყო, გლახას არ გიზამდა.

დათიკო — აბ, მაგას არც იფიქრებდა! მოდი, ცალთვალა დუღუს გაუმარჯოს, ამ ვენახის მოწყვეს, კარგი ოჯახის პატრონი კაცია, წესიერი, პატროსანი.

დანიელი — გაუმარჯოს. (სვამენ) შენ ეს მითხარი — ლავრენტის ხომ არაფერი იცი?

დათიკო — რომელ ლავრენტზე მეუბნები?

დანიელი — ლავრენტი ლაპარატუვაზე, რავა ვერ მახვდი!

დათიკო — ლავრენტი? ჰო, საწყალი ლავრენტი...

დანიელი — რა იყო, ხომ არი ცოცხალი...

დათიკო — თვითონ კია, მარა რად გინდა მაგის ყოფნა—ცოლი დამარბა ამ ცოტა ხნის წინათ.

დანიელი — არ გადაშრიო! თათული!

დათიკო — კაი ქალი იყო. ხაცოლავი ჩვენმა ხალხმა ბარე ათას შვილასი მანათი შეუგროვა...

დანიელი — ეს რა მითხარი!... ემ.. ნეტავი არ გამეგო...

დათიკო — კი, აბა, ასე იყო...

დანიელი — მოდი, ღმერთმა აცხონოს თათული! (სვამენ) გახსოვს, ჩემი გოგოს ქორწილში რაფერ მესმარებოდა?

დათიკო — მახსოვს, რავა არ მახსოვს. კაი ხალხი იყო, ძალიან კაი ხალხი.

დანიელი — მოდი ახლა. დათიკო, ერთ სადღეგრძელოს გეტყვი მე შენ...

დათიკო — სოჭვი, დანეელ, სოჭვი!

დანიელი — ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი ბიჭები საქვიფოდ რომ ჩაქდებოდნენ და საქართველოს სადღეგრძელოს დაღვედნენ, გულში მეცინებოდა სიმთვარელი რამდენს არუტუნებენ-თქვა. ხომ იყო ასე?

დათიკო — რა ვიცი, ასე იყო ალბათ...

დანიელი — მე ახლა ვაუვუგე იმ ბიჭებს, მოდი, საქართველოს გაუმარჯოს!

დათიკო, დათიკო, ღმერთმა ნუ მოგვცლას ისე, რომ...

დათიკო — კარგი, დანიელ... კარგი, ბიჭო... მაკმატე ჩემი...

დანიელი — ერთი დღით, ორი საათით მაინც ვაგვარონია...

დათიკო — ხომ ხედავ, დანიელ, ჩვენზე უბედური ხალხი ღმერთს არ გაუჩენია ამ ციხე-ქაღვთოში... იქ ვიყავით და მამა-პაპის საფლავები გვერახდნენ. აქა ვართ და იქაურობა არ გვაძლევს მოსვენებას, რა ბედის ხალხი ვყოფილვართ, ბიჭო, რა ბედის! ამაზე დიდი უბედურება გაგიგია სადმე? მითხარი, გაგიგია? შუაზე ვართ გახლებილდები... ორი დედის შვილებივითა ვართ, ბიჭო და შეიძლება კაცს ორი დედა ყავდეს? დალიე, თუ ღმერთი გწამს, ნურაფერს იტყვი, ახე დალიე, თორემ აღარ შემიძლია...

დათიკო — ღმერთმა გაუმარჯოს, ხელი მოუშაროთ...

ფიქრებში ჩაიძირნენ დათიკო და დანიელი.

სვამენ, ხანგრძლივი, ხანგრძლივი დღემილი.

დანიელი — (ხმადაბლა). იმ კვირაში ამირანი და ნოდარი მოვიდნენ ჩემს ბიჭთან. გაშალეს სულრა და დაიწყეს სმა, მერამ რად გინდა, დამეწვა გული იმათ შემყურეს. ვეღარ გავუძელი, იმათაც კული ამოუჭდათ, ჩემი მოერიდათ და თავი შეიკავეს, თორემ ცრემლად გასყდებოდნენ. მეც ვინაზე არ გავედი, წახდებთან-თქვა. იქ რომ საქართველოს სადღეგრძელოს სვამდნენ, სულ მეცინებოდა, მარა, აქ? უნდა გენახა რა ხაცოლდობა იყო...

დათიკო — კარგი ახლა, დანიელ... ღმერთმა ხელი მოუშაროთ ღმერთმა გაუმარჯოთ...

დანიელი — (ხმადაბლა წამოიწყა). სისხ... სისხა სისხატურა, ამუევი, დათიკო, ვა გუტუა, ვა დომპილა...

დათიკო — კარგი დანიელ, რა გინდა, რას შემოიჩინდი ამ საღამოს!
დანიელი — რა მოგივიდა, შე კაცო?
დათიკო — რაღა რა მომივიდა, მეც ადამიანი ვარ, გული მაქვს და ნერვები, ნუ ვილაპარაკებთ მაგაზე-თქვა, რომ შეგებხეწი, ის კი არა ვარ მე...
დანიელი — გადამრევს ეს კაცი!...
დათიკო — ნუ გადარევი, დანიელ! რაფერ ვერ ხვდები, რაც მჭირს... კი მინდა ახლა, ძალიან მინდა იმ ჩვენს სოფელში გავიარ-გამოვიარო აქეთ ამას გადავხაზო, იქით იმას, მარა... სად არი... ვინ მოგაშავებს. მერე რა იქნება ახლა ჩვენი სოფელი?! თოვლი კი ხნის გამდნარია, თუ იყო სულ... დათბა სოფელში... ხეებმა წითელი თუმბიანისტოლა ფოთლები გამოიხსეს, ემატება და ემატება ხიმწვანე სოფელს... ქუჩა-სუკებში სიწყნარია, ან ეპრაქის გაღმასხებებს მაროს, ან შენი ესთერი გადავა ეჭაბებთან, თორემ ვილა არი, ვილა დარჩა სოფელში, ვაიხიკა ხალხი, მერე მიხვალ ხალხში. გადმოიღებს ცოლი ცხელ ქაღს, ჩართავ ტელევიზორს და ი გადაპარანუი ქალი რასაც გელაპარაკება, ყველაფერი გესმის, გესმის, ბიჭო! იცი და იმითმ გესმის... ხან გწყენია, ხან გიხარია, მარა სო გესმის? ვინ ვაივებს ამ ტკივილს, დანიელ, ვინ?! რატომ ვართ ასე უბედური ხალხი, რა დავუშავეთ ღმერთს ამისთანა...
დანიელი — (თვლებში ცრემლი-მდგარი). კარგი, ახლა, შე კაცო... რა მოგივიდა...
დათიკო — რაღა რა მომივიდა! ნუ გინდა, ნუ ილაპარაკებ-თქვა, ათასჯერ შეგებხეწი... შენ მანაც არ დაიშალე... ტკივა, ჩემო დანიელ, მტკივა, თორემ...
დანიელი — მაგ ტკივილის წამალი მოგიტანე, თუ მომისმენ ერთი წუთი.
დათიკო — რახან დაიწყო, აწი გაჩერებას აზრი არა აქვს... რა წამალია.
დანიელი — ასე... მომიხმინე... რა წამალი და... (არ იცის როგორ დაიწერს.) ჰო ...
დათიკო — ე კაცო, ამოდერდე...
დანიელი — ისე მაინც ბედნიერი ხალხი ვყოფილვართ, რომ იცოდენ...
დათიკო — რით დანიელ?..
დანიელი — იერუსალიმში, ძველ ქალაქში თუ იყავი...
დათიკო — კი ბატონო, ვიყავი.
დანიელი — არა, მახე არა... შენ ეს არ გიცოდინება.
დათიკო — ბიჭო, ციხეს რომ ალყას შემოართყავენ, თან შიშის ზარი სცემთ არ გავვიგონ თ ალყაო, რაღა ისე მივლი წინ და უკან.
დანიელი — ერთი სიტყვით, ამისთანა ამბავია — იერუსალიმში ქართველების ყოველთვის დიდი პატივისცემა მქონიათ.
დათიკო — მაგ კი გამოვიჩინა...
დანიელი — დიდი პატივისცემა... ნერე ამდგარს თურმე ი მამაცხოვრებული შეილება და მოზრდილი მონასტერი აუშენებიათ...
დათიკო — სადა კაცო!
დანიელი — იერუსალიმში! დიდი წირვა-ლოცვა მქონიათ აქანა.. კაი ბლომად ქართველობაც ნაცხოვრება თურმე!
დათიკო — კი მარა, ქართველობამ აქ მონასტერი რატომ ააშენა? დანიელ, გამაგებინე, ასე შორს რამ წამოიყვანათ...
დანიელი — ქრისტე იერუსალიმში არის დასაფლავებული და ქვეყანა აქანა აშენებდა! ქართველობა რატომ უნდა გამოკლებოდა ამ საქმეს ვითომ... ძალია არ ქონდათ, სახელი თუ პატივისცემა?
დათიკო — მერე, დანიელ, მერე?
დანიელ — მერე რა, იყო მონასტერი, ჩამოდიოდნენ ქართველები, ზოგი სამუდამოდ აქ რჩებოდა და ხულისაც აქ აბარებდა...
დათიკო — ღმერთის სახელი იყურითხე, ესე იგი მამინაც იცოდნენ რა მიწა იყო აქ და ქართველებიც კი ჩამოდიოდნენ!
დანიელი — მერე რამდენი! ორი და ათი კი არა, არც ასი და ორასი! ამხელა მონასტერს ხალხი ხომ უნდოდა... ჰოდა ერთ დღეს... დღის დალოცვილი დღე იყო ის დღე, დათიკო! იცოდენ, ღმერთი ურევია მაგ საქმეში, თორემ ისე ეს საქმე არ მოხდებოდა!.. ერთ დალოცვილ დღეს რუსთაველიც ჩამობრძანდა იერუსალიმში.
დათიკო — რუსთაველიო, სიქვი?
დანიელი — რუსთაველი, აბა! რუსთაველი ჩამობრძანდა იერუსალიმში...
დათიკო — დანიელ, ასე მგონია კიანჭველებმა დამიარეს, ბიჭო, ტანზე. რუსთაველს იერუსალიმში რა უნდოდა!
დანიელი — მონასტერში ჩამოვიდა... ხომ გავიგონია, იქანა სიყვარულში არ გაუმართლა თურმე ღმერთმა, მიატოვა ყველაფერი და მონასტერში შევიდა, ამ ქვეყნის აღარაფერი მწამსო.



დათიკო — სად არი ახლა ის მონასტერი, დანიელ!

დანიელი — გუშინდელი აშენებული კი არ არი, რომ დანგრეულიყო, მარა რათ გინდობდა მერე მამუდიანები და აღარც ქართველობა დარჩა და აღარც არავინ!

დათიკო — მონასტერი?

დანიელი — მონასტერი ახლა ბერძნების ხელშია. რუსთაველის საფლავიც ბერძნების ხელშია.

დათიკო — რაფა, რუსთაველი აქ არის დასაფლავებული?

დანიელი — აბა!

დათიკო — კიი ერთი, ნუ შემახსრებთ!

დანიელი — დათიკო, არც ახლა გჭერა ჩემი?

დათიკო — მერე? მერე რუსთაველის საფლავი ბერძნების ხელში რატომ უნდა იყოს კაცო, მაგენი რადერ უპატრონებენ მაგ საფლავს!

დანიელი — შენი აზრით, ვინ უნდა უპატრონოს, დათიკო მაგ საფლავს, მაგ მონასტერს...

დათიკო — ქართველობამ, კაცო, მაგას რად უნდა ღაპარაკი!

დანიელი — ქართველობა შორს არი...

დათიკო — ჩვენ ხომ ვართ ავტო, დანოღო, მივხედოთ საქმეს.

დანიელი — არ შვრებიან მისი პატრონებო... ახლოს არ გვიკარებენ ხომ იცი, ფულზე რაფერაა ქვეყანა გაწუწებული.

დათიკო — რას მიქვია არ გვიკარებენ... ეგენი ვინ არიან... ქართული მონასტერი და ქართული საფლავი მაგათ რატომ უნდა ჰქონდეთ?

დანიელი — ახლოს არ გვიკარებენ.

დათიკო — რატომ, რა უნდათ?!

დანიელი — ფული!

დათიკო — ფული?

დანიელი — ფული.

დათიკო — (ჩაფიქრდა). ფული... თო... უნდა დავტრიალდეთ.

დანიელი — დიდ ფულს თხოულობენ...

დათიკო — დიდ ფულს?

დანიელი — უნდა გადავიხადოთ, მერე ქართველ ხალხს გავაგებინოთ ეს ანბავი...

დათიკო — სიცოცხლე რომ დაგვიჭდეს, ეგ საფლავი უნდა გამოვიხსნათ, დათიკო!

დანიელი — საფლავიც საქართველოსი იქნება და მონასტერიც.

დათიკო — დიდი მონასტერა?

დანიელი — გვარაანა.

დათიკო — აბა, პატარა საქართველო გვიკონია, ბიჭო, აქანა! დავტრიალდეთ, ხალხში გავიდეთ... ხალხი არ გვეტყვის უარს.

დანიელი — ტრიალებს ხალხი უკვე. ბარე სამი კვირაა, ეს საქმე დარწყო... მე შენთან გამომგზავნეს... ქვეყანა პატიოსან კაცად გიცნობს, ჩვენი კუთხის ხალხში შენ უნდა გახვიდე.

დათიკო — ღმერთო, ეს რა სიკეთე გიქნია ჩვენთვის!... პატარა საქართველო აქაც გვიქნება. მოდი, ჩემო დანიელ, ამ საქმეს ვაუმარჯოს... იმ ხალხს ვაუმარჯოს, ვინც ჩვენ ეს სიყვარული გამოგვაყოლა და აქაც მოხვედნებას არ გვაძლევს.

სვამენ, კარზე ზარი დარეკეს.

დანიელი — ვიღაცა მოვიდა.

დათიკო — ჩემი გოგო იქნება, ალბათ, ეს რა მითხარი, დანიელ! გვიკონია აბა, აქ პატარა საქართველო და ეს არის.

ლიზა ხმა — სტუმარია, დათიკო, გამოსხდე!

დათიკო — ვინ სტუმარია?

ლიზა — გამოდი და ნახავ!

შემოდის სახეგაბრწყინებული იოსები.

იოსები — მშვიდობა ამ სახლს...

დათიკო — მშვიდობა ნუ მოვიშალოს ღმერთმა, იოსებ, ჩამოსვდი?

იოსები — ჩამოვდი კი...

დათიკო — (ჭერ კიდევ გაოგნებული, თითქმის ატროფირებულია დანიელის მოტანილი ამბით). შეილებით, შევილიშვილებით, სიძით.

იოსები — კი, ყველა ჩამოვყავანე...

დათიკო — ღმერთმა ხელი მოვიმართოთ, ჩემო იოსებ!... როდის ჩამოსვდი?

იოსები — გუშინ საღამოს...

დათიკო — ხომ კარგად შეგვხვდნენ? ბინის რა ვითბრეს?
იოსებნი — ხალვა მიშვებდნენ შორს, მარა, უარი ვუთხარი, ხაივამი მინდა-თქვა... ზღვის
ქალაქა... მომწონს აქაურობა...

დათიკო — ზღვის ქალაქი, თორემ სოხუმიდან და ბათუმიდან ჩამოსული გემები არ
სახ...
იოსებნი — სოხუმიდან და ბათუმიდან ჩამოსული გემები რად მინდა, დათიკო?

დათიკო — მოგინდება, ჩემო იოსებ, დღეს არ გინდა, მარა დღევნა დრო და მოგან-
დება. ?
იოსებნი — შენ რაღაც ვადაბრუნებულად მგლპარაკები, რა იყო. შე კაცო უცხო ხომ
არა ვარ. აშდენი ხანია არ მინახიხართ... საიდან ხად ჩამოვედი და...

დათიკო — ეს არაფერი, ჩემო იოსებ, იქ რა ამბავია, რაფა ხალხი.
იოსებნი — რა უჭირს ხალხს, ცხოვრობს, არი...

დათიკო — მეზობლები რას შერებთან?
იოსებნი — არიან, ცხოვრობენ, ხან ასე, ხან ისე... ზოო იცი, რაც არი წუთისოფელი.

დათიკო — დავაფიწედი ხომ უველას?
იოსებნი — რას ამბობ... შენ რომ წამოხვედი, ერთი კვირა კრივა ვერ გახსნეს... არ მო-
მეშვა ძუკუ!

დათიკო — (გამოცოცხლდა). ვინ ძუკუა?
იოსებნი — ჩვენი ძუკუ, შე კაცო, ახ:ლათა.

დათიკო — რა იყო, რა მინდაო...
იოსებნი — ძალიან დამაფიწეა ჩემმა დათიკოშო.

დათიკო — ემ. დავაფიწე, კი...
იოსებნი — (გადის და უმაღ შემოდის, თან მოაქვს ღვინის პატარა კასრი). მომკლა კაცო,
არ გინდოდა საქართველოდან ამის თრევა?

დათიკო — ეს რა არი, იოსებ...
იოსებნი — იხე შემომხვეყნა ნურსად ნუ დამიტოვებ, ეს ჩემი „ოქალაქი“ დათიკოს ჩა-
უტანო, ვედარ ვუთხარი უარი, თორემ ამხელა გზაზე ამის ტარება... ავსტრია მე არ დამეღე-
ბია და რა ვიცი კიდევ რა ოხრობა!

დათიკო — ძუკუმ გამომიგზავნა, აბა?
იოსებნი — ძუკუმ, მო... იმ წლის ნოსავალი დათიკოს არ გაუსინჯია და ყველში არ გა-
დამდისო... ცოტა გაილახებოდა გზაზე, მარა არაფერი უჭირს. დაიწმინდება... ისეც გამომატანა.

დათიკო — ეს რა არი?
იოსებნი — ჩვენებური სულგუნი და ღერღლი.

დათიკო — ლია, გესმისა?!

მეტი ვერაფერი თქვა დათიკო მეგრელიშვილმა, სიტყვა ყელში გაეჩხირა. დგანან ახლა ერთი-
მეორის წინ ეს ადამიანები — გახევებულნი, გარინდებულნი და ყველა (ცხადია, იოსების გარდა.
ჩერებობით იოსებისთვის გაუგებარია ის, რაც ახლა დათიკოს, დანიელის, ლიას სულში ტრია-
ლებს) გაურკვეველ გრძობას მოუტაცეს. შორეულ ქარს მეგრული მელოდია მოაქვს. ეს მელოდია
დათიკოს სულის სიმღერაა, მისი მიბრუნება მშობლიურ სამყაროსთან. სიმღერა თანდათან საჩი-
ო ხდება და შექიწ ნელ-ნელა ქრება. როცა შუქი კვლავ აინთება, დათიკო მეგრელიშვილს
იერუსალიმის ჭვრის მონასტერთან ვხედავთ. მოსჩანს ჭვრის მონასტრის სილუეტო.

დათიკო — რამ მომიყვანა მე, ებრაელი, დათიკო მეგრელიშვილი შენთან. ქრისტიანულ
მონასტერთან? მე არც ჭვარი მწამს თქვენი და არც რკული. რკულიც ჩემი მკვს და მცნე-
ბაც... ნურც აწი მომიშალოს ღმერთმა, მაგრამ კადევ ერთი რკული ყოფილა ქვეყანაზე — სიყ-
ვარულის რკული. ეს სიყვარული შენმა ხალხმაც იცის და ჩემმაც...

მოვედი, მაგრამ ეზომში არ შემივალ, მანამ, ხანამ ტუყვობიდან არ დავიხსნით, მანამ, ხა-
ნამ შენ არ გახდები ჩვენი, არ გახდები ქართველობის, ჩვენი სოფელივით ყეთილო და ღამა-
ზო, შენა! ეს რა კარგი აუშენებიახართ იმ ცხოვრებულებს, იმთო...

ასე შორს რამ წამოგიყვანა, შე დილო ადამიანო... ეს დღევ იცოდნი?! იცოდი, რომ არც
აქ დამარტებოდი? შენმა ხალხმა ვაგვერთიანოს კიდევ უფრო, შენმა სულმა შეგვეგრტოს,
თორემ ვერ ხმდებს გული... წამოვედიო, პურიც გვაქვს და ჭერც გვხურავს, მაგრამ მინც
ცარიელი გვკონია თავი... მინც გვიჭირს... და აი, შენ გამოგვიჩნდი. შენ მიეცი შვეების სიხა-
რული ჩვენს ხულს... (ერთხანს დუმილით შეტკეპრის მონასტრის, მერე თითქოს ხაკუთარ თავს
არწმუნებს) კი. შვეების სიხარული (ახლა რაღაც დაუინებობი, ჭიუტად მიატკეპრდა ჭვრის მონას-
ტრის) ჩვენ ჭიუტი და ამტანი ხალხი ვართ... იმიტომ ვართ ებრაელობა, რომ ამტანი ვართ, თო-
რემ აღარ ვიქნებოდით... ამან გავვაძლებინა ხუთი ათას შვიდასორმოცი წელი. ცოტა ხანსაც
მოვიბრუნენ და მოვალთ, მოგვეხვეით მაშინ, როცა შენ გახდები ჩვენი, გახდები შენი ხალხის



მივდივარ მე... ჩემს ღმერთს უნდა შევთხოვო, რომ მოგვცეს ძალა და უნარი, შენგანვე
 ყველგან შენს ღმერთს კეთილი თვლით გადმოგვხედოს. სხვადასხვაა ჩვენი ღმერთი, მაგრამ
 როცა ქვეყნის საქმეს ვაკეთებთ, ყველას ერთი ღმერთი გვყავს, ერთია ღმერთი სიკეთისა და
 იმან მოგვცეს ძალა ძლევისა და ნიჭი დაუმარცხებლობისა.

დაბნელება.

როცა შუქი აინთება, დათიკო მებრელიშვილი იერუსალიმის ქუჩაში მოაბიჯებს. ფართო და
 ენერგიული ნაბიჯზე ეტყობა, რომ გულს სიბრაზე შემოსწოლია.

ილინა — (მოსდევს). დათიკო! (დათიკომ არც მოხედა). დათიკო! ერთი წუთით მომიცა-
 დე, შე კაცო! რაღაცას გეტყვი, დათიკო!

დათიკო — (არც მოხედავს). მოვთავებ შენთან ლაპარაკი მე!..

ილინა — ორი სიტყვა უნდა გითხრა, დათიკო!

დათიკო — არაფერი გვაქვს ჩვენ ხალაპარაკო, ილია.

ილინა — კაცო, იქნება რას გეუბნები!

დათიკო — (მოუტრიალდა). რა უნდა მითხრა მე შენ! შენგან სიკეთე არ იქნება, ილია!
 (გზა განაგრძო).

ილინა — კაცო, შენ ამ ამბავს კიდეც არ ეშვები? ე კომუნისტობა თუ ვინდოდა, იქ არ
 იყავი? აქ რა მოგარბენინებდა!

დათიკო — (მოუტრიალდა). რაო, რა მითხარი, ილია?

ილინა — თუ ასე გული გტკივა კომუნისტებზე, ჩახუტებოდი, ვინ დაგიშალა?

დათიკო — (ერთხანს თვალბეჭდში ჩასცქერის, ხმადაბლა). ილია, იცი, რას გეტყვი? კომუ-
 ნისტი არასოდეს ყოფილვარ მე, მარა კაიკაცობა და კომუნისტობა ისე გავს ერთიმეორეს,
 რომ შენ ერთმანეთისაგან ვერ გავირჩევია და რა ვქნა ახლა მე... (გზა განაგრძო, მოტრიალდა);
 კიდეც იცი რას ჯეტყვი? თუმცა, რა უნდა გითხრა... (მიდის).

ილინა — აბა, არ იშლი შენსას, ხომ?

დათიკო — რას ვაღამეკიდე! არ გინდა ხომ? ნუ გინდა! ეს საქმე სურვილითაა — ვისაც
 გულით უნდა, ის უნდა გამოვიდეს!

ილინა — დათიკო, უარს იმითმე კი არ გეუბნები, ფული რომ მენანება... უაზრობაა
 ეს ამბავი... ჩვენ არავინ გვეკითხება — ქართველობა თვითონ მოუვლის თავის თავს, არ ჭირდებ-
 ბა შენა სიბრბილი!

დათიკო — ილია, ჭკვიანი კაცი მეგონე მე შენ, ღმერთმანი, ჭკვიანი კაცი მეგონე. იმ საფ-
 ლავოს გამოხსნა ჩვენ გეჭირდება, ჩვენ დაგვამშვენებს, ქართველობას არაფერი არ აკლია და თუ
 შენ ამ საქმეს გამოაკლდები, არავინ მოიკლავს თავს...!

ილინა — ჩვენი მაღლიერი მაინც არავინ იქნება! ასეთია ჩვენი ბედი! რომ გადავყვეთ,
 ერთ კეთილ სიტყვას არავინ იტყვის...!

დათიკო — რაღაცამ გაგაბოროტა შენ... რაღაცა ბოღმა გაქვს გულში... ასე არ იქნება
 ცხოვრება!

ილინა — რავა არ გავბოროტდებოდი, დაგავიწყდა რამდენი ხანა მახეხინეს ციხე? რისთვის,
 რატომ, რა დავაშვე. რას ვაკლებდი, ბიჭო, მე საბჭოთა ხელისუფლებას, რომ გამაქანეს და ხუთ-
 მეტი წლით მიტყუცეს თავი!

დათიკო — ქვეყანას გატყავებოდა მოუწოდებ და გეგონა შეგარჩინდნენ? ან არადა, ის ციხე
 ნარტო შენთვის იყო? მარტო შენ შეგაგდეს შიგ და ქართველიც, რუსიც, სომეხიც გარეთ და-
 ტოვებს?

ილინა — იცი რას გეტყვი, დათიკო?

დათიკო — მითხარი, ამჟამად რა გაქვს გულში.

ილინა — მე მაგ საქმეს ახლან არ გავეკარები, არასოდეს არ გავეკარები... არც შენ გირ-
 ჩევ. და საერთოდ სიმაართლე თუ გინდა, აგერ გეტყვი — თქვენ წამოხვედით, მაგრამ მაინც
 იქნა ხართ, იმიტომ დარბიხართ ასე გამწარებული ამ საქმეზე. გულიდან ვერ ამოგიგდიათ ღა-
 ჭრობა.

დათიკო — მერე რით არი ეგ ამბავი ცუდი...!

ილინა — ცუდია აბა, რა!.. თუ აქ ხარ, აქ იყავი... თუ არა და იქ ყოფილიყავი, აქ რას
 მორბოდი, რა გინდოდა!

აჩქარებული ნაბიჯით გადის.

დათიკო — (ხანგრძლივი დროის შემდეგ). იქით რატომ იყურებო, რა საქმე გაქვსო, რა
 დაგარჩენიაო... რატომ, ჩემო ილია... კაცი რომ თავის ძირს არ ივიწყებდეს, ცოდვას? როდის აქეთ
 გახდა გლახა საქმე კაცი რომ თავის ფესვებს არ ამშობდეს... ჩემი ფესვებია, იქ, ილია, ჩემი ფეს-
 ვები და ნუ დამიშლი ხანდახან წყაფს თუ მივასხამ, გავუფრთხილდები, არ გავახშობ...!

დაბნელება.



მორეულმა ქარმა კვლავ მოიტანა მეგრული მელოდია — დათვიკოს სულის სიმღერა, მიუბრუნდა მშობლიურ სამყაროს დათვიკოს მელოდია მიწყდა, სცენაც განათდა და დაიწყო კოს ებრაელთა სალოცავში ვხედავთ, საკურთხეველთან გამოსულს.

დათვიკო — ჩამათო, პატიოსანო და კეთილო! რა მალაპარაკებს მე? მე იგივე მალაპარაკებს, რაც ჩვენს ცოლებსა და შვილებს აცრემლებს. ჩემი სიტყვები ცრემლებია ჩემი მე მალაპარაკებს სიყვარული და პატივისცემა. დღეს ჩვენი სიყვარული იმით აღარ სჭირდება, არც პატივისცემა სჭირდება ჩვენი, ხომ ზედავით, რა დიდი ფესვები ჰქონია ჩვენს ძმობას. რა ვუთხარა იმ კაცს, ვინც მაგათთან იცხოვრა, მაგათ გვერდით იარა წუთისოვლის წაღმა-უკულმა გზებზე და მაგათ ალალ გულს არ დაუშოყვრდა, საფიცრად არ გაიხადა. ასეთი კაცა კაცად არ ვარგა, ასეთი ხალხი ხალხად არ ვარგა. ჩამათო! არც მომავალი აქვს მაგ ხალხს და წარსული ხომ არ ექნება და არა! ამიტომ გვახსოვდეს, ხალხნო, უბრალო შეწირულებას არ ვთხოვთ დღეს ჩვენ ნროშანდნის! დიდი საქმეს მოვყიდეთ ხელი, დიდი საქმე ი დიდი ფულის გარეშე არ კეთდება, თქვენ მაინც უნდა იცოდეთ ეს... (პაუზა, შედარებით ხმადაბლა) ასიც უნდა იცოდეთ, რომ ეს შეწირულება იმით არაფერში არ სჭირდება, ეს ჩვენი საქმეა... ჩვენი კაცობის საქმე... (პაუზა) მოხსენ შთამომავლობას ღმერთი არასოდეს გასწირავს... ჩვენთვის დამარხა ღმერთმა რუსთაველი აქ, ჩვენ უნდა ვუპატრონოთ ამ საფლავს, იქ კიდევ იხინი აპატიონებენ ჩვენი მამა-პაპის საფლავებს.

ილია — მე თქვენი ვერაფერი გამოვიცა, რა გინდათ, რას მიეღ-მოეღებოთ.

ხმა — გვაცადე, ერთი წუთით, თუ კაცი ხარ!

ილია — რა გვაცადე, გვაცადეს გაიძახით, როგორც იქნა, წამოხვედით და კიდევ იქით გიპირავთ თვალი?

ხმა — რა უნდა, რას შემოგიჩინდა!

— დაინებე თავი, მაგ მაინც ვერ გაიგებს ჩვენს გულსიტკივლებს.

დათვიკო — ილია, ხალხის ტკივილი და ძახილია ეს და, თუ ღმერთი გწამს, ნუ გვიშლი ხელს. თუ არ გინდა, კაკის ნუ ამოიღებ ჩიბიდან, ძალას არავის ვატანო. იმას ვამბობდი, ხალხნო, აქ ჩვენ უნდა მოვუაროთ იმით საფლავებს-თქვა. რამდენი საუკუნე ვიყავით იქ, ერთი ვიყავით ქირსა და ლხინში, ახლა? წამოვედით და ეგ არის? წამოვედით და ყველაფერი მორჩა? ღმერთმა გზაც გაგვარჩინა და ვალის გადახდის საშუალებაც მოგვცა. ვალის გადახდა კი ვალის ამღებს ამშვენებს, აპატონსნებს, თქვენ ხომ იცით, რუსთაველზე დიდი კაცი ქართველობას არ ჰყოლია. ქართველობის ყველაზე დიდი კაციუ აგერ, აქ და... თქვენ იცით — ვისაც რამდენის საშუალება ჰქონდეს, იმდენი შეაწიოს ჩვენს საქმეს, ერთი ღირით დაწყებული ათი ათასით დაშთავრებული. კიდევ გიტყვით — ეს საქმე სურველითაა, ვისაც არ უნდა, ერთი შურიც არ ამოიღოს ჩიბიდან. დანიელი, სად ხარ?

დანიელი — აქ ვარ.

დათვიკო — მოდი და მოახსენე ჩამათს საქმის მიმდინარეობა.

დანიელი — (საკუთხვეულზე აღის). ჩამათო, პატიოსანო და კეთილო! საბჭომ დამავალა გაგაცნოთ თუ როგორ მიმდინარეობს მონასტრის გამოსახსნელი სახსრების შეგროვება. ეს საქმე ყველაზე ადრე დამთავრა ცნინვალის ებრაელობამ!

შეძახილები — კარგია, ყოჩაღ!

დანიელი — კულაშის ებრაელობამ არ შეირცხვინა თავი, ძალიან მოინდომა ეს ამბავი! — ყოველთვის მასე იცოდნენ!

— ილია, გესნის?

დანიელი — სურამელებმა კულაშელებს რაფერ ჩამოვრჩეთო და მეორე დღესვე შე-მოიტანეს ფული.

შეძახილები — გაუმარჯოს, ყოჩაღ!

— სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო...

— სურამელები ჭიკრები არიან!

დანიელი — თბილისის ებრაელობამ...

შეძახილები — სიჩუმე ხალხნო, მოვისმინოთ...

— მაინც რამდენი შეაგროვეს, რაფერ გაიკრეს გიბზე ხელი.

დანიელი — ჩამათო, არა აქვს მნიშვნელობა იმას, ვინ რამდენი ფული გამოიტანა, მთავარია, ის, რომ გულთი მოინდომეს, ეს საქმე უბრალოდ არ მიაგდეს. ჩამათო, უნდა ვითხარათ რომ თბილისმა აქაც იხახელა თავი, არავინ ელოდა, იმდენი ფული მოაგროვეს...

შეძახილები — თბილისო, ჩემო თბილისოო...

— იცის თბილისმა!

— შნო და ლაშათი ყველაფერში აქვს.

დანიელი — ქუთაისის ებრაელობამ...

შემახილები — ჩუმად!

— გავაგონეთ!
— სს!

დანიელი — ქუთაისის ებრაელობამ დაიძაბა, ხალხის და გამჩენის ხმა ერთიად და... ნუ-ტავი ქუთაისის ბაღის კიდესაც გავაკეთებდე აქანაო!

— რა ქნეს, პირი ხომ არ შეირცხვინეს!

დანიელი — შეირცხვინეს კი არა, თბილისელებს წამოეწივნენ კინაღამ.

— აბა, რავა გინდა?

— ყოჩაღ!

— ქუთაისი მაინც ქუთაისია!

— აბა, შენ გეგონა, შენი წამოსვლით დაინგრეოდა ქუთაისი?

— ისე რავა ხარ ილია, თუ იცი!

— კაპიკი კაპიკს დაედება და ფული იქნება!

დანიელი — ზოგიერთებმა მოინდომეს რომ ამ საქმეს შეწეოდნენ, მაგრამ თავისი ვინაობა არ გააშხილეს, ხელმოუწერლად გამოგზავნეს ფული. საბჭომ ბევრი ინსტელა — მიედლო ეს ფული თუ არა, ბოლოს გადაწყვიტა ჩაერთო ფონდში. თუ იმით თავისი ვინაობის გამხელის სურვილი არა აქვთ, ნურც ჩვენ დავატანთ ძალას.

შემახილები — აქაურები იქნებიან ალბათ, ადგილობრივი ხალხი!

— რა იცი შენ!

— აბა, ჩვენებური რატომ დამალავდა თავის თავს, არ იცი ჩვენი ხალხის ამბავი? პირი-კით იზამდა — შემხედვე, რა ბიჭი ვარ, რამდენს ვეძებო.

დანიელი — ვინც არ უნდა იყოს, კეთილი საქმისთვის გაისარჩენ და ჩვენ მაღლობელი ვართ.

შემახილები — კარგია.

— გაუმარჩოთ!

დანიელი — თქვენთვის ალბათ, ცნობილია, რომ ისრაელის ქართული ხალხური სიმღერისა და ტყვის ანსამბლი ახლა ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობს. ანსამბლმა მოიარა შტატები, მექსიკა, პერუ, ახლა ისინი არგენტინაში არიან. წერილი მოვიდა არგენტინიდან. ანსამბლმა გადაწყვიტა ყოველ ქვეყანაში თითო კონცერტი გამართოს ამ საქმის სასარგებლოდ.

შემახილები — კარგია!

დანიელი — ჯამათო, პატოხანო და კეთილო! ეს ამბავი რომ წამოვიწყეთ, წერილები გავუგზავნეთ იმ ებრაელობასაც, რომელიც საქართველოდან წამოვიდა, მაგრამ ისრაელში აღარ დასახლდა, ჩვენ მაინც ჩვენი ვქენით, მაინც გავაგებინეთ ეს ამბავი, რომ მერე საწყენად არ დარჩენილად, რატომ არაფერი გვაცნობეთო. არც ისინი გამოაკლდნენ ჩვენს საქმეს, გადმოგვიგზავნეს ოცი ათასი დოლარი, თანხა არც ისე ბევრია, მაგრამ ხომ იცით, ხალხიც ცოტა გაფანტული.

ილია — თქვენ გადაგრიათ ღმერთმა! დაფიქრდით ცოტა!

ხმები — ვხეტავე ახლა ამას ერთს და გავათავებ!

— რა მჭირს, ბიჭო, დასაფიქრებელი, რისი მუშინია ვითომ? ოხბუნიეს არ დამადგეს თავზე!

— შეეშვი, მაგას თავისი ბოღმა აღრჩობს.

დათიკო — ჯამათო, პატოხანო და კეთილო! ფულის შეგროვება კიდევ გრძელდება. იმედი გვაქვს, არ შევრცხვებით და რაზან ამხელა საქმე წამოვიწყეთ, ბოლომდე გვალოთ.

დარბაზში შემოდის და დათიკო მეგრულიშვილისაკენ დაქერებულ, საქმიანი ნაბიჯებით გემართება სათვალისანი კაცო.

სათვალისანი კაცი — თქვენს შორის უფროსი ვინ არის?

დათიკო — აქ ყველანი ერთი ვართ, დიდ-პატარობა არა გვაქვს, ბატონო.

სათვალისანი კაცი — მონასტრის საქმეს ვინ ხელმძღვანელობს?

დათიკო — აქ მე ვარ ბატონო, სხვაგან — სხვები...

სათვალისანი კაცი — აქ რა ხალხია შეკრებილი?

დათიკო — საშეგრელოს ებრაელობაა შეტი წილი, ბატონო... იქით კიდევ...

სათვალისანი კაცი — მაგდენი აღარ მინატრებებს, ჩემთვის ყველა ერთია. (ამახობაში საფულე გახსნა და დათიკოს რაღაც ქაღალდი გაუწოდა) იხებეთ.

დათიკო — რა არის ეს, ბატონო!

სათვალისანი კაცი — ქვითარი ათი ათას დოლარზე.

დათიკო — თქვენ ვინ ბრძანდებით?

სათვალისანი — მე გამოვეცი წიგნი იმ კაცისა, რომლის საუღავის გამოხსნაც თქვენს გინდათ.

ღარბაზში სამარისებური ღუმილი ჩამოვარდა. დათიკომ ვერაფერი გაიგო და მისჩერება გამოემტკიცა.

ძველ ებრაულ ენაზე შე გამოვეცი „ვეფხისტყაოსანი“. სამჭერ გამოვეცი ეგ წიგნი და ნახევარი მილიონი მოგება მომცა!

დათიკო — ნახევარი მილიონი?!

განმოსცამელი — დაახ, ნახევარი მილიონი, აი, ამ თანხას ავტორის წილად ჩამოვდივარ. დათიკომ ქალაქი გამოართვა, ერთხანს გულსსუური აქტერდებოდა.

დათიკო — ათი ათასი დოლარი, დიდი ფულია შე და ჩემმა ღმერთმა.

ერთი კაცისაგან კიდევ უფრო შეტი...

განმოსცამელი — კარვად ბრძანდებოდეთ. (გატრიალდა, მიდის).

დათიკო — (ერთხანს ჩაფიქრებული დგას, მერე გამოემტკიცებს დაიდევნება). ერთი წუთით, ბატონო, ერთი წუთით!

განმოსცამელი — (შეჩერდა). გისმენთ (დათიკო ღუშს, ვერაფრით ვერ მოუფიქრებია როგორ თქვას სათქმელი). გისმენთ, მეგობარო.

დათიკო — დიდი მადლობელი ვართ, დიდი მადლობელი! (ქვითარი გაუწოდა).

განმოსცამელი — რა მოხდა?

დათიკო — დიდი მადლობელი ვართ, არც კი ვიცი რაფერ გადაგიხადეთ მადლობა მაგ ხელა პატივისცემისათვის.

განმოსცამელი — ქვითარს რატომ მიბრუნებთ?

დათიკო — ნუ გეწყინებათ, ეს ჩვენი საქმეა... მხოლოდ ჩვენი გასაკეთებელი საქმე...

განმოსცამელი — კი, მაგრამ მეც მინდა ჩემი...

დათიკო — (აწყვეტიანებს). ეგ საქმე თუ გაკეთდება, ჩვენ უნდა გავაკეთოთ... იმიტომ რომ ჩვენი საფლავია ეგ. მხოლოდ ჩვენი...

განმოსცამელი — პოეტის საფლავია, პოეტი კი ყველასია.

დათიკო — არა, ბატონო, ეგ ჩვენთვის მარტო პოეტი არ არის. მაგ საფლავს ჩვენ უნდა მოვუვროთ, მხოლოდ ჩვენ...

განმოსცამელი — თქვენი ვერაფერი გავიგე.

დათიკო — ქართველი კაცის საფლავია ეგ და იმ საფლავს ჩვენ, ქართველებმა... ქართველმა ებრაელებმა უნდა მოუვაროს... იმ ხალხს იმდენი ამაგი კი აქვს ჩვენზე, რომ ერთ საფლავს მოვუვროთ.

განმოსცამელი — ეგ ერთი საფლავი ათახებისას დაიწონის.

დათიკო — კიდევ უკეთესი... ვითომ სამი მაგდენი მოგვეცეთ, უფრო შეტიც.

ხანგრძლივი პაუზა. გამოემტკიცებოდა ახლა ხალხს მოავლო თვალი. იმათ მზერაშიც დათიკოს ძალი აბოიკეთხა.

განმოსცამელი — (ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით). მე ხომ ვითხარით: ეს იმის ფულია, იმის წიგნის...

დათიკო — დიდი მადლობა, დიდი მადლობა, ბატონო! ჩვენი მოსავლელი საფლავია ეგ, მხოლოდ ჩვენი გასაკეთებელია ეგ საქმე...

განმოსცამელი ახლა დათიკოს ჩააჩერდა თვალბეჭით. მერე დამშვიდობების ნიშნად ალერსიანად მოუსვა მხრებზე ხელი, გატრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა გასასვლელისაკენ. კართან ნაბიჯი შეანელა. მიბრუნდა.

განმოსცამელი — თქვენ კარგ საქმეს აკეთებთ... კარგი ადამიანები ყოფილხართ, მაგრამ შე ახლა იმ ხალხს, იმ ქვეყანას უფრო ვნებდავ, ვინც თქვენ ამ საქმეს გაკეთებინებთ. ყოველ ქვეყანაში მოხვედრილი ებრაელებმა თვინავსნას, განთავისუფლებას ცდილობდა, თქვენ კი არაფრით არ შეგვხართ იმ ხალხს, რომელმაც თავი დაიხსნა — თურმე იქიდან რომ მოდიხართ, სტიქიით, ცრემლები გდით...

დათიკო — მერე რაფერ, ბატონო, მერე რაფერ, რომ იცოდეთ...

განმოსცამელი — კი, მაგრამ რატომ, რანაირად, ამისხენით.

დათიკო — (ხანგრძლივი ღუმილის შემდეგ). აბა რა ვიცი, ბატონო, რაფერ ვითხარათ. დიდი ამბავია ეს...

განმოსცამელი — მე ძალიან მაინტერესებს, გულწრფელად მაინტერესებს გავიგო.

დათიკო — რაფერ ვითხარათ... ამდენი საუკუნე იქ ვიყავით, ერთად ვცხოვრობდით. პირიც ერთი გვქონდა, ღვინიც... და ჩვენი მაინც არ დავიკარგავთ, არც არავის დაუძალბებია... არც მეფეები გვეჩივოდნენ და არც ხალხი... ამ დროში კიდევ უკეთესად იყო...

განმოსცამელი — იქნებ არავითარ ძალას არ წარმოადგენდით და ამიტომ... არაფრად გავ-

დებდნენ?

დათიკო — ებრაელობა ძალა არასოდეს არ იყო, ბატონო! არასოდეს არ უპირისპირდებოდა ხალხს — სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, მხოლოდ მშვიდობას თესავდნენ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, რას უშურებოდნენ — არაფერი დაკლებია ებრაელ კაცს ამ ციკვეშეთში — არც დამცირება, არც ციცილზე დაწვა და არც ხეზე ჩამოკიდება. შირთა თმენის ნიჭიც კი არ მოსწონდათ ჩვენი. ასე დაგვაჩა ჩვენმა ღმერთმა ჩვენი ცოდვებისათვის, ამიტომ დაგვჩაგვრია ღმერთმა ჩვენი დიდი სახლი — იერუსალიმი. იქ კიდევ სხვანაირად ვიყავით... მე რომ აგერ ისევ, ებრაელ კაცად დავბრუნდი, აქ, ამ მიწაზე ეს არაფერს არ ვეუბნებო?

ბანომცემელი — ასე სხვა ქვეყნიბიდანაც ჩამოვიდნენ, იქაც შეინარჩუნეს თავისი რჯული და წესი.

დათიკო — ჭერ ერთი, ჩვენსავით არავის არ შეუნარჩუნებია, ბატონო, და მეორეც ისინი ჩამოვიდნენ და თავისუფლება იგრძნეს, ჩვენ ჩამოვდით და შაინც... რა ვიცი, რა ჰქვია ამას...

ბანომცემელი — ამ ამბავს გაზეთში დასწერთ?

დათიკო — რატონ არ დავწერ, ბატონო.

ბანომცემელი — შეგიძლიათ ხვალ ჩემთან მოხედდეთ?

დათიკო — კი, ბატონო.

ბანომცემელი — აი, ეს გამოშართვით (სავიზიტო ბარათი გაუწოდა). ამ მისამართზე მომხანავთ.

გამომცემელი უცებ გატრიალდა და სწრაფი ნაბიჯით გადის. ყველა ფიქრში ჩაიძირა...
მისხპო — სიტყვა მაქვს სათქმელი მე.

დათიკო — (რომელიც საკურთხევლს უბრუნდებოდა). მობრძანდი, მიხაკო ბრძანე.

მისხპო — (საკურთხეველზე აღის). — თქვენ კარგად იცით, რას გვასწავლის ჩვენი დიდი წიგნი — ბევრის მოლაპარაკე ბევრ შეცდომას დაუშვებსო. ამიტომ მე მოკლედ ვეტყვიო. გამობრძანდა აქ დანიელი და მოგვახსენა, ვინ რამდენი შეაწია ამ საქმეს — ეს ჭარელიო, ეს ცხინვალიო, ეს კულაშიო. კეთილი და პატიოსანი, ბატონო, მაგრამ სოხუბი სადღაა! თქვენ რაღაც გეშლებათ, მაშის სული ნუ წამიწყდება. იქაც დიდი ებრაელობა ვიყავით, ბატონო! ბევრი დარჩა, მაგრამ წამოსულიც ბევრია, დიდი ძმურად ცვსოვრობდით. უბოდიშოდ სიტყვას არ ვადრებდით ერთიმეორეს. რაშია საქმე, არაფრათ მიგანხივართ, თუ რა იყო ამისთანა!

დანიელი — რა არის, მიხაკო, აქ გასაბრაზებელი, სოხუმის ებრაელობის საქმე იაკობს და შალიკოს ჰქონდა მინდობილი, ისინი გერმანიაში წავიდნენ, ჩამოვდნენ, შე კაცო და მიხედანენ ყველაფერს.

მისხპო — თუ მასეა, კი ბატონო, თორემ მე რაღაც სხვა ამბავი შეგონა, არაფრად ჩავვაგლეწო-თქვა, ვიფიქრე. (საკურთხევლიდან ჩამოდის).

დათიკო — (საკურთხეველზე აღის). შეუუდგეთ, ჭამააო, ვინ რას გაიღებს ამ ჩვენი დიდი საქმისათვის

სქვალასხვა კუთხიდან, კულისებიდან, იქნებ დარბაზიდანაც კი მოისმის შეძახილები:

— ოცდაათი!

დათიკო — შეგაძლებინოს ღმერთმა!

— ხუთასი!

დათიკო — შეგაძლებინოს ღმერთმა!

— ათასი!

დათიკო — შეგაძლებინოს ღმერთმა.

— თვრამეტი!

დათიკო — შეგაძლებინოს ღმერთმა!

სმ — მაგ საქმისთვის ათას შემომაქვს, მაგრამ თუ ერთი საათი ბულღარზე გამარონიებ — ათი ათასი!

დათიკო — (ვერ გავივ) რა?

სმ — მაგ საქმისთვის ათას ლირას ვწირავ, მაგრამ ერთი საათი ქუთაისში გამარონიე და... ოცი ათასი. ბატონო!

დათიკო — (მცირე პაუზის შემდეგ) ეგაც გაღირსოს ღმერთმა!

შეძახნილი — ორი ათასი!

დათიკო — შეგაძლებინოს ღმერთმა!

შეძახნილი — ორმოცდაათი!

დათიკო — შეგაძლებინოს ღმერთმა!

ილიბ — მიხაკო, ერთი წუთი აქტო მოიწი თუ კაცი ხარ.

ავანსცენაზე გამოჰყავს, დარბაზში შეუქი ქრება.

მისხპო — რა გინდა, ილია!

ილიბ — რა იყო მიზაკო, რა ამბავში ხართ თქვენ თუ იცით?

მინსკომ — რა მოხდა, შე კაცო!

ილიბ — მაგას მე უნდა გეკითხოვოდეთ, ეგება გამაგებინოთ, ყველა ერთად რამ გადაგართით. თუ ასე გულხის ფიცარზე გეხატათ კომუნისტები, ყოფილიყავით იქანა, ვინ გამოგყარათ, ვინ გატანდათ ძალახა?

მიხაკო დუშა.

მითხარო, ვინ გატანდათ ძალახა? გამაგებინე! იქნება შე ვარ შტერი და ვერ ვხვდები ვერაფერს.

მიხაკო დუშა.

შენ გელაპარაკები, მიხაკო გამეცო პასუხი, იქნება მართლა ვარ შტერი.

მინსკომ — არა, ილია, შტერი რატომ ხარ.

ილიბ — აბა, ასე ვიყავით და ისე ვიყავით იქანაო, რომ იძახით, იმ ხალხმა ასე შეგვიანხა და ამისთანა პატივი გცვაო, ჭკუა ხომ არ დაგიკარგიათ სადმე! რაფა, ჩვენ უქმად ვიქეით? ჩვენ ბულვარში დავხვდითნობდით? — ქვეყნის გასაჭირი გვიქირადა და ხიხარული გვალხენდა, თავები რომ არ წავგაპურებ, ამაზე ვიუვიროთ რა მადლობელი ვართ თქვენითა? რატომ უნდა წაიქრათ თავები, რისთვის! რას განრუმებულხარ, აზოილე ხმა.

მინსკომ — არაფერს არ გეტყვი, ილია, მე შენ, არაფერს!

ილიბ — რატომ არ მეტყვი, შე კაცო! თუ ვცდები, მასწავლე, ამიხსენი, რომ გადაგრიათ ასე, არ უთქვამთ შენთვის, კაი ბიჭი ხარ, მარა ურია ხარო? არ უთქვამთ? ამოილე ხმა!

მიხაკო იცინის.

გაღამირებს ეს კაცი, რა გეცინებ! ნუ შენთვისე გულზე. მაგენი არ იყენენ მამაშენი რომ გააკულაკებ და მერღვე დახვდითნობდით კიდევ? ხომ იყო ასე, ამოილე ხმა, მიპასუხე.

მინსკომ — კაი, რახან ასე გულით გინდა, გეტყვი ილია და ნუ გეწყინება.

ილიბ — მითხარო, მითხარო და არ მეწყინება!

მინსკომ — იქნება მართლა იყო რამე, ხალხში კი არა, დღემამიშვილში ითქმის ზოგჯერ სიტყვა, მარა... ეს არ არის მთავარი.

ილიბ — აბა, რა არის მთავარი!

მინსკომ — მთავარი ის არის, რახაც შე შენ ვერ გაგაგებინებ, ილია. სიტყვით ვერც შე აგისინი და ვერც შენ მიხვდები. (მიდის).

ილიბ — (დადგენება) მოიცა, მოიცა, მიხაკო! რა არის ამისთანა გაუგებარი, ღონღონის ბირჟას გავუგე და შენ ნოქვამს რაფა ვერ გავიგებ... ისე მაინც მითხარი, უბრალო სიტყვით.

მინსკომ — ცრემლი, ხეყვარულის ცრემლია, ილია ეს, და შენ მაგ ცრემლი არახოლდეს გადმოგვარდება, ხომ გაიგე, რა მოხდა იმ კვირაში, ხომ გაიგე რა ამბავი დატრიალდა!

ილიბ — რა მოხდა ამისთანა!

მინსკომ — რაფა არ იცი! ვილცას იქიდან წამოსვლის წინ მთელი საქართველო მოუვლია. კინოზე გადაუღია ხენაკი, ქუთაისი, ბანძა, ზუგდიდი, სოხუმი, ბათუმი, ხურამი, ყველაფერი. ყველაფერი გადაუღია... მანადვითიც, მტკვარიც, ტეხურაც, ბორჯომიც! მერე აქ ჩამოსულნი ის კინო თურმე ტელევიზორში გაუშვა და... ხომ იცი, რაც მოხდა, მე რას მალაპარაკებ.

ილიბ — არ ვიყავი აქ და არ ვიცი, მითხარო!

მინსკომ — ის კინო რომ ტელევიზორში აჩვენეს, იმ დამეს საწრაფო დახმარების მანქანებმა ხული ვერ მოითქვეს მთელ სახელმწიფოში, აბდავლდა, გადატრიალდა, ბიჭო, ხალხი! უცებ გაივსო საავადმყოფოებო, (სიბრანეს ვეღარ იოკებს). და რა გინდა კაცო, შენ, ქონდეს აქანა ამ ხალხს თავისი პატარა საქართველო! რას დასწავი თავზე, თუ არ გსიამოვნებს, ვინ გეხვებება, მშვიდობიანად გაცილდი აქაურობას, გაცილდი, ილია, მანამ, სანამ გლახა არაფერი უქნათ შენთვის. (გადის) თორემ ხო რვი ხალხის ამბავი...

ილიბ — (ერთხანს უხსოვ დგას, ფიქრობს). არა ჰქმნა თავისა შენისაგან კერპი... იტყვის ჩენდი დიდი წიგნი... არა ჰქმნა თავისა შენისაგან კერპი... რამ გადაგრია იქით ეს ხალხი და აქეთ მე... ასე რატომ იკლავს თავს ამ საქმისათვის... არა ჰქმნა თავისა შენისაგან კერპი! ასე რატომ ვიძახი უარს? ესეც ხომ საკერპეა... სიერკაფა, როცა არ გინდა სხვისი გაიგონო... იქნება, მართალია ეს ხალხი, იქნებ შე გადამიბრუნდა ჭკუა? ღმერთო, შენ ჩამაგონე სწორი არი, შენ გადამაღმევიენე სწორი ნაბიჯი (გადის).

სცენაზე კვლავ ინთება შუქი. კვლავ ებრაელთა სალოცავის დარბაზი ერთი საათის შემდეგ.

დათიკომ — დიდი ფული დაგვიგროვდა. შე მგონი, ამდენი არ გვიპირდება.

ღანიალდი — დაგვიპირდება.

დათიკომ — ამ ფულით ბერძენებსაც გავისტუმრებთ და დაგვიჩება კიდევ.

- დანიელი — პირიქით, იქნება არც გვეყოს, დათიკო.
 დათიკო — გამაგბინე, რაში გვირდება!
 დანიელი — საბჭომ გადაწყვიტა ძველი აავოს მონასტრის ეზოში.
 დათიკო — რა?
 დანიელი — საბჭომ მონასტრის ეზოში ძეგლის ლადმა გადაწყვიტა.
 დათიკო — რა შეგლი, კაცო!
 დანიელი — რა ძეგლი და, ჩვეულებრივი ძეგლი.
 დათიკო — ამისხენი, ვის ძეგლზე ლაპარაკობ!
 დანიელი — რუსთაველის ძეგლზე.
 დათიკო — (გაოგნებული) რა?!
 დანიელი — რუსთაველის ძეგლი-მეთქი ხომ გითხარი!
 დათიკო — ხად, კაცო. იერუსალიმში რუსთაველის ძეგლს რა უნდა?
 დანიელი — რატომ რა უნდა! უველა დიდი კაცის საფლავზე მისი ძეგლი დგას და, რუს-
 თაველი ნაკლებია, თუ? ა, იქნება, ნაკლებია, დათიკო!
 დათიკო — (ერობანს გაოგნებული მისჩერებია ერთ წერტილს, მერე თითქმის ჩურჩუ-
 ლით) დმერთო... არ იქნება იმათი გადაშენება, არ იქნება, ეს რა უქნიათ ჩვენთვის... გარჩიენო,
 ძუკუ, გარჩიენო! (დანიელს). მერე ფული გვეყოფა, დანიელ?
 დანიელი — ხაქვია, ვნახოთ, რას მოგვემს სოხუში.
 დათიკო — ზეზელზე რომ დგას, იმიხანა ძეგლს დავდგამთ?
 დანიელი — კიდევ უკეთესს.
 დათიკო — კაი ერთი, იმაზე უკეთესს საიდან!
 დანიელი — ნახავ აგერ, ჩემო დათიკო.
 შეგოდის ნალელიანი, მოთენთილი ნოდარი.
 ნოღარი — ანგარიშობთ?
 დანიელი — ვანგარიშობთ კი...
 ნოღარი — დაანებეთ თავი!
 დანიელი — რა მოხდა?
 ნოღარი — ისეთი არაფერი, მაგრამ დაანებეთ თავი!
 დათიკო — როგორ, არაფერი, კაცის ხახე არ გადევს...
 ნოღარი — დავიდუბეთ.
 დათიკო — რა?!
 ნოღარი — დავიდუბეთ.
 დანიელი — ნუ დავგვოცე, გვითხარი პირდაპირ, რა ამბავია!
 ნოღარი — პირი გვიშალეს.
 დათიკო — რას ჰქვია პირი გვიშალეს?!
 ნოღარი — მაგ ფასში მონასტერს კი არა, მონასტრის ეზოს არ მოგცემთო.
 დათიკო — ხომ არ გადაირიე!
 დანიელი — ეს არა, ისინი გადარეულან!
 დათიკო — მიხვდნენ რისთვისაც გვინდა ეს მონასტერი და წიხლს გვაქერენ.
 ნოღარი — როდის იყო ებრაელები მონასტრებს ყიდულობდითო! დიდი საქმის გაკეთება
 ი.უ გინდათ, ჭიბეზეც კარგად უნდა გაიკრათ ხელიო.
 მიმე დემილი. სამივე გარინდებული მისჩერებია ერთ წერტილს.
 დანიელი — მაინც რამდენი გვინდაო?
 ნოღარი — სამი მაგდენიო.
 დათიკო — ხამი მაგდენიო?
 ნოღარი — კი, ხამი მაგდენიო.
 დემილი.
 დათიკო — ჩვენ მაგ ფასს რაფერ შევწვდებით, დანიელ?
 დანიელი — ვერაფრით ვერ შევწვდებით.
 ნოღარი — ასეა და...
 დემილი.
 დათიკო — აბა, რა გვეშველება?
 ნოღარი — არ ვიცი, არაფერი არ ვიცი.
 დანიელი — აღარაფერი აღარ გვეშველება, აღარაფერი!
 დათიკო — ყველაფერი გათავდა?
 ნოღარი — ამირანი, ესაჯი და სოსო წავიდნენ მოსალაპარაკებლად.

დათიკო — არაფერი გაუვთაო! მაგათთან ვაპრობას ქვის კოდვა ჭობილი.

დანიელი — წახლა ჩვენი საქმე!

დუმილი. სასოწარკვეთილი დათიკო ფიქრს მიეცა. მოისმის „სისატურას“ მელოდია. გასა-
პირწი ჩავარდნილ დათიკოს ახლობელი, მშობლიური ხმები ჩაესმის, მერე დათიკოს უნებურად
წამოსცდა ერთი ფრაზა.

დათიკო — მე ვკვირვით, ძუკუ, ქემმეხვარი, ძუკუ! (და ისევ გაიჩინდა, ისევ ფიქრში ჩა-
იძირა).

დარბაზის შემოსასვლელს ღია მოადგა. ღიას მიხაკო მოსდევს.

მიხაკო — ხად მიღხარ, ღია!

ღია — შენ თუ არ გაიგე, ვერ მოისვენებ?

მიხაკო — წადი, ღია, არ იქნება, აქ ქალების შემოსვლა.

ღია — გამიშვი, მიხაკო!

მიხაკო — ნუ გაურევი კაცების საქმეში, წადი, ოჯახს მიხედ.

ღია — ჩემს ოჯახს არაფერი სჭირს მისახედი!

მიხაკო — შენი ღაპარაკის ხახიათზე არავინაა ახლა აქ.

ღია — ხაცეკვოდ არც მე მოვსულვარ.

მიხაკო — ჰოდა, წადი, გვაცალე!

ღია — ხაცეკვოდ არ მოვსულვარ-მეთქი, ხომ გითხარი!

მიხაკო — კაცები რომ საღაპარაკოდ ჩაქდებიან, ქალებმა ოჯახს უნდა მისედონ.

ღია — ქვეყნის სატკივარი როდის აქეთ აღარ არის ქალების საფიქრალი, მიხაკო?

მიხაკო — კარგი ღია, არ იქნება ახლა აქ შემოსვლა თქვა, ხომ გითხარი.

ღია — დათიკო! თუ ასე დიდი კაცი გახდებოდი რომ შენს კარებთან ყარაულებს და-
აყენებდნენ, რაღას იკლავდი თავს, აქამდე წამოსულიყავი ისრავლში!

დათიკო — (თავი ასწია, თითქმის უღაროდ შესცქერის ღიას). რა იყო ღია, რა გინდა!

ღია — როდის გახდა შენი მოინალე მიხაკო, შემომიშვას!

დათიკო — შემოუშვი მიხაკო, თორემ ხომ იცი მაგის ამბავი, არ მოგვასვენებს.

მიხაკო — (ღიას გზა დაუთმო). ქალებმა რომ წაღმა-უკულმა სირბილი დაიწყეს, მაშინ
წახდა ქვეყნის საქმე.

დათიკო — რა იყო, ღია!

ღია — არაფერი.

მიხაკო — მერედა, შე ქალო, არაფრისთვის მოარბოდი ასე?

ღია — გავიგე, ყველაფერი გავიგე!

დათიკო — რა გაიგე ამისთანა!

ღია — პირი გვიშალესო, გავიგე.

დათიკო — ჰოო...

ღია — მერე? რას შობით ახლა. (დათიკომ მხრები აიჩნა, რა ვიცი რას ვშვრებოთო)

ცხონებულმა მამაშენმა რომ ეს საყურეები მომიტანა, ახალი დანიშნული ვიყავი, ჩვადმეტ
წელი არც შემსრულებოდა, ქორწილში თუ ნიშნობაში წახვლა იმითომ მიხაროდა, საყურე-
ებს გავიკეთებ-მეთქი. დამე არ მეძინა სიხარულით. მამაჩემი ერთი საწყალი კაცი იყო და დე-
დაჩემმა ისე დალია სულა, ამისთანა რამე სხვის ყურებზე თუ დაუნახია, მე კი... მე ჩემი, სა-
კუთარი საყურეები მქონდა და დედაჩემი ჩემი საყურეებით ამყობდა.

მერე თენავო რომ გავვიჩნდა, იმ ცხონებულმა მამაშენმა, ეს ბეჭედი მომართვა კიდევ შე-
მორჩენოდა ძველი დროიდან, პირველი შვილიშვილი ბიჭი მარუქეო და სიხარულით ფეხზე აღარ
იდგა კაცი, ვიწრო მქონდა ეს ბეჭედი, მიჭერდა, სულს მხდიდა, მაგრამ მაინც არ ვიხსნიდი...
არ ვეშვებოდი. კარგა ხნისაა ეს საყურეები, ბეჭედოც კი ძველია... კი მიხედვით თქვენ ძველი
ოქრო რაც არი... აქ დიდი ფასი აქვს ამას (საყურეებიც მოიხსნა ბეჭედო).

მიხაკო — ღია!

დანიელი — რას შვრები, ღია, შენ თუ ვესმის!

ღია — რა ვქნათ, აბა!

მიხაკო — არ იქნება, ღია ასე... ეს ერთი რამ შემოგჩნათ ოჯახში და...

დანიელი — შვილებს რას ეუბნები, შვილიშვილები შენც გავიჩნდება, ესენი იმთ ეკუთ-
ენის, იმათა ყველაფერი...

ღია — ჭერ ცოცხალი ვარ, დანიელი და ყველაფერი მე მეყუთვნის... ჩემს ქონებას რასაც
მინდა, იმას ვუწამ...

დათიკო — დაანებეთ თავი... სწორს შობა ღია.

ღია — აბა, რა გგონა. დათიკო, შენ, აქ იმითომ კი არ მოვრბოდი, იქაურობა რომ

მძულდა... მანდოდა ჩემი შვილები ახალ ქვეყანას ამოდგომოდნენ მხარში... წავედი ახლანდელ ქვეყანაში...
სხვა ქალებს ჩამოვუარო (გადის).

ენერგიული ნაბიჯებით, ხმაურით შემოდინ ქართული, იმერელი და რაჭველი ებრაელები.

რბზველი — ქვე რა უქნიათ, კაცო!

ძარბაველი — მაგათა შახახახობა ხომ არა ზგონიათ, აქა!

იმერელი — რაცხა უნდა მევიფიქროთ, თვარა, დევიფუპეთ და ესაა, მოგვეჭრა თავი, ხალხი დაგვიინებს!

რბზველი — გიფიფეთ, რა უქნიათ?

იმერელი — (რაჭველს), შენ თუ გიფიფეთ, ამით რა მოუვიფიფიდათ?

ძარბაველი — ჩავუხტეთ, ერთი მაგათა, ჩავუხტეთ!

იმერელი — უნდა მევიფიქროთ რაცხა, თვარა, ძალიან წახთა ჩვენი საქმე.

ძარბაველი — რა მოვუქრება უნდა, მივარდეთ და ხარბი გადავამტვრიოთ თავზე.

იმერელი — ხალ არი მერე ეს ხარბი! რკინაა ყველგან და ბეტონი.

რბზველი — ერთი ონში მომცა მაგათი თავი!

იმერელი — შენც ნახე ადგილი — ონში მაგათ რა უნდაა!

ძარბაველი — არა, უნდა ჩავუხტეთ!

დათიკო — რა ყოფილა გაქირვება, როგორ უცებ შეიყარა ყველა!

რბზველი — აბა, რაჯა გინდა, ქვე შენი ჭირიშე, ასე ვართ ჩვენ გაზრდილი.

იმერელი — მეწობელს რომ უჭირს, შენ ნუცევი მიინც უნდა გტკიოდესო, არ გაგაგონიათ?

რბზველი — ასე ვიფიფეთ? რას აჭირებთ?

ნოდარი — რა გჯახს დავადგეთ, დათიკო ბიძია!

დათიკო დუმს.

იმერელი — მაგდენ ფულს წელში რომ გავწყდეთ, მიინც ვერ ვიშოვიოთ.

ძარბაველი — ახლა არ მაინდომეს გამდიდრება! ჩავუხტეთ და ჩავუხტეთო არ გაგაგონიათ?

იმერელი — კარგი კაცო, შენ აქ ის ხომ არ გგონია!

დათიკო — (უცებ წამოხტა, ჭიბეში რადაცას დაქებებს, ვერ პოულობს). მგონი, დავკარგე.

გი. დავკარგე, კი!

დანიელი — რა?

ნოდარი — რა დავკარგეთ, დათიკო ბიძია?

დათიკო — დავიფუპე!

რბზველი — რა მოხდა, ხომ მშვიდობაა!

იმერელი — დაიწყო, დაიწყო!

დათიკო — დავიფუპე, კი!

იმერელი — მორჩა! გლახათაა ჩვენი საქმე! (რაჭველს) დაიწყო!

რბზველი — რა დაიწყო, გამაგებინეთ, თქვე კაი დედამიწვილები!

დათიკო — (ჭიბეები მოიქექა). არ ჩანს... ერთადერთი გჯახ... ერთადერთი გჯახ დავკარგე!

იმერელი — გჯახ მაგ ჭიბეებში გქონდა?

დათიკო — გჯახ და რა გჯახ!.. რაფერ მივაგნებ ახლა მე იმას!

იმერელი — აჰ!

რბზველი — ე კაცო, არ ხართ ადამიანიშვილები? რა მოხდა, გამაგებინეთ.

დათიკო — აგერ არ მქონია?! (გამომცემლის სავიზიტო ბარათს ეძებდა) გული

არ გადამიტრიალდა? წავიდეთ!

დანიელი — ხალ?

ძარბაველი — ესეც მე ვარ?! ხომ გეუბნებოდით, წავიდეთ თქვა!

დათიკო — წავიდეთ. ეგენი ეშმაკობით უნდა მოატყუო.

იმერელი — აჰ, რაფერ იქნება! ეშმაკობა არ იქნება!

დათიკო — (სავიზიტო ბარათი გაუწოდა). წამიციოთხე ერთი რა სწერია ამაზე.

ნოდარი — გერწონ ბენ აბრაამ, განთავისუფლების ქუჩა, 75.

დათიკო — ე, მაქანა წავიდეთ. თუ ვინმე გვიშველის — კაცური კაცი ჩანდა.

ნოდარი — ფულს გამოართმევ? რაში გვეყოფა!

დათიკო — არა, კკუთ მოვატყუებ ბერძენებს: ნოდარი, შენ წადი და ხაბქოს წევრებს უთხარი, ბერძენებს უარი შეუთვალონ, აღარ გვინდა მონახტერი თქვა, მორიგებულ ფანშილ რომ მოგვცეთ, მიინც აღარ გვინდა, გუნება გადაგვისხვაფერდა, ქართველების მონახტრის ყიდვა და რუსთაველის ძეგლის დადგმა რა ჩვენი საქმეა-თქო.

ნიმრელი — რას შვრები, დათიკო, გვლუპე?

ნოდარი — კი, მარა...

დათიკო — (ნოდარის). გავარდი შენ და რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე. (ნიმრელს). შენ კიდევ ნუ ფეოიანობ, თუ კაცი ხარ!

რამდელი — ე, კაცო, გამაგებინეთ რა ხდება — დაიწყო თუ გათავდა?

ნოდარი — დათიკო ბიჭია, აჩქარებით არაფერი გავაფშუოთ.

დათიკო — (ნოდარის). მიდი, ბიჭო შენ! ერთ ხაათში მეც მაქანა გაეჩნდება, წავიდეთ, დანაეღ! ასე შეუთვალონ ბერძნებს ეს... ახლავე, ამ წუთში შეუთვალონ... წავიდეთ, აბა, დანებლება, მუსიკა, რომელიც ახლა ჟღერს, ძალიან პავეს „ხორუმს“, ან სულაც „ხორუმია“. ერთად გადიან იმერელი, ქართლელი, რაჭველი, მეგრელი ებრაელები.

აგანსცენის ერთ კუთხეში მგვიდა და სავარძელი დგას. სავარძელში ჩაფიქრებული გამოშვებული გარინდებული. გამოშვებულს მაგიდაზე ერთი პატარა თოჯინა უდგას. თოჯინა ლილაკზე ოთხის დაქვრით უმალ ამოძრავდება ხოლმე და ბზრიალებს. გამოშვებულს დუმილი და უძრავობა გარდა ხანს გრძელდება, მერე თოჯინას გადასწვდება, ღილაკს თითს დააჭერს და თოჯინის, ხმადაბლა ჩაილაპარაკებს.

გამომცემელი — შენ რას მირჩევ, პანჩო, იქნებ, მართლა რაიმე სიფათს გადაეყაროს კაცი?

პანჩო ბზრალებს, გამოშვებული ფიქრობს. როგორც ჩანს, პანჩოსთან გასაუბრება მასა ფიქრის ერთი შემადგენელი ნაწილია. ახლა იგი თოჯინას შესცქერის და ესაუბრება კიდევ, მაგრამ მისი გულსისყური სულ სხვაგანაა. მერე სელექტორს გადასწვდა, ჩართო, მაგრამ ჩაფიქრებული ხმის არ იღებს. ამიტომ მდივანი ქალი აქეთ გამოეპასუხა.

ხმა სელექტორში — ვისმენთ.

გამომცემელი — (ხმადაბლა), ვიცო...

ხანგრძლივი დუმილი. მერე როგორც ჩანს, რაღაც გადაწყვიტა.

ბერძნული ეკლესიის გამგებელი ნიკოს პოლიხრონიადისია ხომ?

ხმა სელექტორში — დიახ, მოგიბნებოთ? (დუმილი). მასთან დაპარაკი გსურთ?

დუმილი.

გამომცემელი — (გადაიფიქრა). არა! არა! (სელექტორი გამორთო. დუმილი). შენ მაინც რას მირჩევ, პანჩო, დავლაპარაკო? დავაძალო? მერე რომ უსიამოვნებას გადავეყარო?

ხმა სელექტორში — მიხისტრი რეკავს.

გამომცემელი — მიხისტრი? შემეერთო.

ხმა სელექტორში — ჩვენ აქ ქართველ ებრაელთა აქციის თაობაზე ვსაუბრობთ, იმედი მაქვს, უკვე იცით ეს ამბავი.

გამომცემელი — (მოწინებით, პატივისცემით). დიახ, ყველაფერი ვიცი.

ხმა სელექტორში — როგორ აფხებთ ამ ფაქტს?

გამომცემელი — მოგახსენებთ, ასე თუ ისე შევიწყველე ქართული მწერლობა და...

ხმა სელექტორში — სწორედ ამიტომ გვანტერტებს თქვენი აზრი.

გამომცემელი — და ეს აქცია ქართული ხასიათის გამოვლინებად მიიჩნევა, მხოლოდ ქართული ხასიათის გამოვლინებად. ქართველები ძნელად სტოვენ სამშობლოს, ან თითქმის არ სტოვენ. ესენი წამოვადნენ, მაგრამ მაინც იქ არიან.

ხმა სელექტორში — ვერ გავიგე.

გამომცემელი — (მცირე პაუზის შემდეგ). ქართველი ებრაელები საქართველოდან წამოვიდნენ, მაგრამ მაინც იქ არიან.

ხმა სელექტორში — ცოტა უცნაურია.

გამომცემელი — მართალს ბრძანებთ, ჩვენს დროში ასეთი რამ უცნაურია.

ხმა სელექტორში — კიდევ ერთი რამ უნდა გკითხოთ — ეს აქცია საბჭოთა იდეოლოგიის გამარჯვებას ხომ არ ნიშნავს?

გამომცემელი — (კითხვა გაიგო, მაგრამ მოსაფიქრებლად დრო რომ მოიკავს). უკაცრავად, ვერ გავიგე.

ხმა სელექტორში — ეს აქცია კონუნისტურია აღზრდის, პატრიოტიზმის გამოვლინებად ხომ არ მიიჩნევა?

გამომცემელი — (ფიქრობს, თოჯინას გადახედა, დაატრიალა, ხმადაბლა) ხომ გეკითხებოდი, პანჩო, რაიმე სიფათს არ გადავეყარო-მეთქი.

ხმა სელექტორში — ხმაშალა ილაპარაკეთ, არ შესმის!

გამომცემელი — (თოჯინას ზეღი დაადო, გაჩერა). უსათუოდ, ბატონო ბენ ცვი, უსათუოდ.

დუმილი.

ნმა სელექტორში — დარწმუნებული ხართ?

ბამომცემელი — დიახ. მე არ შემიძლია სახამოვნო ტყუილი გითხრათ (პაუზა) მიუხედავად ამისა...

(ბამომცემელი უოყმანობს, დაამთავროს თუ არა სათქმელი).

ნმა სელექტორში — მე გელოდებით.

ბამომცემელი — (გადაწუვებით). მიუხედავად ამისა, ამ აქციას მაინც უნდა დაუუქიროს

ნხარი. ხალხს საუკუნოღირივი ვალის გადახდის სურვილი ამოძრავებს, თუ გულახდილი ვიქნებით, ეს ჩვენა ვალიცაა, რადგან ჩვენი ძმები იუვენენ იქ (სათქვა და გაიჩინდა, რადგან იცის... პასუხზე, რომელსაც ახლა მიიღებს, ბევრი რამ არის დამოკიდებული).

ნმა სელექტორში — თუ თქვენც ასე ფიქრობთ, დაეხმარეთ მაგ ხალხს კარგად დამთავრონ ეს აქცია. თუ რაიმე გართულებს, მაცნობეთ. ნახვამდის.

ბამომცემელი — ნახვამდის. (ურთმელი დასდო და თოჯინას გაუღიმა, თვალში ჩაუტრა, ახლა მე და შენ შეგვიძლია თავისუფლად ვიმოქმედოთ, ჩემო პანჩო. (სელექტორი ჩართო). ახლავე მომიძებნეთ პოლიხრონიადისი (პანჩოს). ბერძნები კარგი ხალხია, ვგონებ, უარს არ გვმტყნაინ, პანჩო, ხომ მართალი ვარ?

ნმა სელექტორში — ბატონი ნიკოს პოლიხრონიადისი მოენახეთ!

ბამომცემელი — მალაპარაკეთ.

ნმა სელექტორში — გისმენთ, როგორ ბრძანდებით?

ბამომცემელი — (ახლა იგი შეუვალი ხნით ლაპარაკობს). გმადლობთ, ასეთი საქმე გვაქვს თქვენთან, — თურმე შესაძლებლად მიგაჩინათ გაიუიღოს ჭვრის მონასტერი.

ნმა სელექტორში — როგორ გითხრათ... იყო ასეთი აწრი.

ბამომცემელი — ახლა? (თოჯინას.) გესმის? ახლა აღარ უნდა, შენ ხომ ვერ მტყვი რატომ?

ნმა სელექტორში — ახლა, მგონი...

ბამომცემელი — თქვენ იცით, რომ ჩვენ დანატრესებული ვართ ქართული სამყაროთი. ამის გამო ჩვენმა ღირამმა გადაწუვითა შეისყიდოს ეს მონასტერი, ხვალ დილით ჩემს კაცს გამოვწვანო. კარგად ბრძანდებოდეთ.

ნმა სელექტორში — (ნირწამხდარი). კარგად ბრძანდებოდეთ.

ბამომცემელი — (ერთ ხანს დინჯილით შესცქერის თოჯინას). შენ რას იტყვი პანჩო, ხომ არ უნდა მიგვიცა ჩვენი ძმების მოტყუების უფლება? (სელექტორი ჩართო) ახლავე მოსძებნეთ დავით მეგრელიშვილი და აცნობეთ: ძალიან ძალე მონასტერა ჩვენი იქნება. მერე კი — მაგათი (სელექტორი გამორთო). მაშ, ასე პანჩო, მოტყუების უფლება ნამდვილად არ უნდა მიგვიცვა.

შუქი სცენაზე. ჭვრის მონასტრის ეზო. ახლა უფრო ახლოს ვხედავთ მონასტრის ხავსმოდებული კედლებს. სცენაზე ჭერჭერობით სიცარილეა, მაგრამ მოისმის აყრიაშულებული, გამარჯვებული ხალხის ხმა, სიხარულმორთული ხალხი მონასტრისაკენ მოისწრაფის და აი, ისე შემოიბრინეს ეზოში, როგორც მტრისაგან განთავისუფლებულ მშობლიურ ქალაქში, მშობლიურ სახლში შეირბნეს ხალხი.

ამ ეპიზოდში ზოგი ცეკვავს, ზოგი მღერის, ზოგი უბრალოდ კუთხეში მიმდგარი იტრმლება. ზოგიც გაოგნებული დააბიჯებს ეზოში. მათ ამ მონასტრის დაბრუნება. მონასტერში შემოსვლა საქართველოსთან მიბრუნებად, პატარა ქართულ მიწაზე მისვლად მიაჩნიათ. ხალხი, რომელიც ამ საზღვიმო წუთებს მოუყვანია აქ, გუშინ, გუშინსწინ ჩამოსვლა საქართველოდან. ამიტომ ისინიც ისევე ზეიმობენ, როგორც საქართველოს სოფელ-ქალაქებში უნახავთ, გაზრდილან. აგერ ახლაც სადღაც საქვილო წრე შეკრეს, სადღაც საცეკვაო წამოიწყეს, იქით კიდევ სიმღერა ისმის...

პირველი კუთხე:

- შევიდეთ, შიგნით შევიდეთ, ხალხნო!
- რა გინდა, ათახი ზატი იქნება!
- იყო მერე ზატი, კა არ მიკბენს!
- შევიდეთ, რაღას ვუყურებთ.
- ვნახოთ, რა არის შიგნით!

მეორე კუთხე:

- რავა შეიცვალა ქვეყანა! როდის იყო ებრაელები მონასტერში შესვლას ხარობდნენ.
- კარგი, ახლა, წუ დაიწყე!
- მაგდენს ვერ ხედები?

- ყველაფერს ვხვდები, მაგრამ მონასტერი მაინც მონასტერია!
- ეს ჩვენთვის მონასტერი კი არა, საქართველოა!

მისამდე კუთხე. ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულში:

- მართალია, შიგნით რუსთაველის სურათი არისო?
- მართალია, აბა!
- ნამდვილი სურათია?
- ტყუილი სურათი ხად გინახავს...
- როინდელი დახატულია თუ კაცი ხარ!
- რა ვიცი მე!

გეოთხე კუთხე:

- რაღას ვუყურებთ, შევიდეთ!
- შევიდეთ, რუსთაველის სურათი ვნახოთ (ხალხი მონასტრისაკენ დაიძრა).
- ნოღარი — (დათიკოს) არ იქნება ახლა ამდენი ხალხის შესვლა იქ...
- დათიკო — რატომ, შეილო...
- ნოღარი — ახლა, ესენი ხიხარულს ისე აუტაცუნია...
- დათიკო — აქვთ გახახარი და გაიხარონ!
- ნოღარი — ხიხარულმა ზოგჯერ ზიანიც იცის... რაიმე არ წახანდინონ მონასტერში.
- დათიკო — რა უნდა წახანდინონ, შეილო! შევლენ, გაიხარებენ და გამოვლენ.
- ნოღარი — ხაშიშია, დათიკო, ბიძია, არ შეიძლება ამდენი ხალხის ერთად შესვლა!
- დათიკო — აბა, რა ვქნათ?
- ნოღარი — უნდა ვუთხრათ, არ შეგვიდე თქვა.
- დათიკო — ხალხი ისე ელოდა ამ დღეს, მაგის მიქმელს ჩაქოლავენ, შეილო!
- ნოღარი — ესე იგი მონასტრის ვაწნოთ? რაც ურჩულოებმა დააკლეს, ჩვენ დაფუძვალეთ?
- დათიკო — ძნელია ამის დაშლა ახლა, არ გავანაწყუნოთ ხალხი, ხომ ნახე, როგორ

ამოვიდგნენ მხარში...

- ნოღარი — თქვენ თუ არ ეტყვი, დათიკო, ბიძია, მე ვეტყვი.
- დათიკო — მოიცა, მოიცა! (ყოყმანობს)
- ნოღარი — ვინ იცის, რა განძია შიგ! ვინ იცის, ქართული ისტორიის რა ხანთელი ანთია იმ ძველ წიგნებში!
- დათიკო — მართალი ხარ შენ...
- ნოღარი — ვინ იცის, რამდენი გიბგირი და ოხერი შეერია ამ ხალხს... რამე არ გვიმტრონ...
- დათიკო — (უცებ რაღაც მოიხაზრა, ქვაზე შეხტა). ჯამათო, პატიოსანო და კეთილო! დღეს ჩვენ ბედნიერი აღამიანები ვართ, გავაკეთეთ, რაც გულთი გვინდოდა! გავიმარჯვეთ, ხალხნო! ჩვენი გამარჯვება ნიშანია იმისა, რომ დიდი ფესვები გვაქვს, კარგი ფესვები გვაქვს და ამან გავამარჯვებინა! მოგილოცავთ ამ გამარჯვებას, (ხალხმა პასუხის ნიშნად იხუვლა). ახლა ყველას შეუძლია ამაყად გიხსენოს იქ დატოვებული სოფელი, გიხსენოს ქალაქი, მეგობრები, რომლებსაც ვახსოვართ. ჩვენ რომ იქ არაკაცებად გავეზარდენით, დღეს ამ საქმეს ვერ ვიწამდით!

- გაუმარჯოს!
- იქაური მოგვდგამს...
- იმითვის გავაკეთეთ!
- აბა, ერთი დაუკარი!
- მოიცა, რა დროს დაკვრია!
- რა დროს მოცდაა, უნდა ვიმხიარულოთ!

დათიკო — სმენა იყოს და გაგონება, ხალხო კეთილო და პატიოსანო! (ხმაურს მიწვდობდა). ჩვენ ახლავე, აქვე უნდა დავიფიცოთ, რომ არც ერთი ჩვენგანი ფეხს არ შეადგამს მონასტერში მანამ...

- რაო, რახ ამბობ!
- რატომ, კაცი!
- ამისთვის გვიხაროდა?!
- რას გვეთამაშებით?!
- დავათვალიერებთ და გამოვალთ.
- რუსთაველის სურათს ვნახავთ!



დატიკო — სმენა იყოს და გავგონება, ჯამათო ჩვენ ეს მონასტერი ქართველ ხალხს სათვის დავიბრუნეთ, ეს საქმე იმ ქვეყნის სიუყვარულით გავაკეთეთ. რაფა ფიქრობთ ახლანაკვეთს ვის ეკუთვნის ეს მონასტერი? ვისია?

- რა ხაკითხავია!
- საქართველოს!
- ქართველ ხალხს!

დატიკო — თუ ასეა, რა უფლება გვაქვს სხვის სახლში შევიდეთ, მანამ სანამ პატრონი არ მოსულა! დავიცადოთ ჭერ, ხომ ხედავთ, რა ხნის შენობაა, ჩვენი დაპატრონების მერე რომ ეს კერი ჩამოიწვრეს, ხომ საქვეყნოდ მოგვეჭრა თავი.. ცოტა გავამაგროთ, მერე ქართველ ხალხს ვაცნობოთ და ეს მონასტერი ადგრ არ არის! სად წავივია! შუაღარი, ღმერთი შეგვეწია და დაგვინარჩუნა საქართველოს პატარა მიწა-წყალი აქ, ხომ მართალი ვარ, ჯამათო!

- მართალი ხარ!
- სწორია!
- რა სულსწრაფობაა!
- ქართველები ჩამოკლდნ და ერთად შევიდეთ!
- აუ, რას შევუბერავთ!

- ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, დათიკოს თითქმის ყველამ აქცია ზურგი...
- სს.
- ჩუმად.
- გაჩერდით!
- შეხედეთ!

და სამარისებური ღუმელი ჩამოვარდა უმალ. მონუსხული ხალხი კულისებისაკენ იცქირებოდა. კულისებიდან ნოდარის, ნაზის, დანიელს რუსთაველის უზარმაზარი პორტრეტი შემოაჭვთ, პორტრეტი ნელ-ნელა მიიწეეს იმ ადგილისაკენ, სადაც რუსთაველის ძეგლი უნდა აღიმართოს. ვიღაცამ ძლიერად, სევდის დამტვევი ქართული სიმღერა წამოიწყო. შთაგონებული ხალხი ნელ-ნელა აპყვა.

დატიკო — არც ახლა დაიჭრებ, დანიელ, ჩვენზე უბედური ხალხი ამ ცისქვეშეთში რომ არ გაჩენილა? — იქ ვიყავით და ეს მიწა გვეძახდა, აქა ვართ და ხედავ, სიმღერით როგორ ეტირით? სულ ასე იყო ჩვენი ცხოვრება, სულ ცრემლით ვმღეროდით, მაგრამ ახლა რომ სხვა სატიკივარიც გავკვიჩინა ღმერთმა? — მეორე დედის დაკარგვის სატიკივარი? ამას რაღა ვუქნათ, დანიელ, ეს ტკავილი როგორ დავიამოთ? გესმის, როგორ ტირის ეს ხალხი? ყური მიუგდე დანიელ, ამ ხალხს ცრემლიან სიმღერას, ყური მიუგდე...

სიმღერა ძლიერდება, ნელ-ნელა ეშვება ფარდა.





პეტრეს მოსვლა

ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი
სწუროდა, ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის
ნახვა სუროდა.

დავით ბარამიშვილი

ვახტანგი ბაქარს უბრძანებდა და შვილიც ას-
რულუბდა მამის ბრძანებას. ამდენად, ვახ-
ტანგს შეეძლო თავისი თავი ისევ ქართლის
მეფედ „ეგრძნო“, მაგრამ ყველაფერი მა-
ინც თავის მოტყუება იყო. არც ვახტანგი
იყო „ნამდვილი მეფე“ და არც ბაქარი. ნამ-
დვილი გამგებელი და მეფე თურქთა ხარდა-
ლი გახლდათ, — მორჩა და გათავდა.

ისევ რუსეთის იმპერატორის იმედი ჰქონ-
და ვახტანგს.

მართალია, შარშან გაუცუდა იმედი პეტ-
რემ...

წილსაც გაუცუდა...

მაგრამ მესამედაც სომ აღარ გაუცუდებეს!
ზოლოს და ზოლოს ყოველთვის სომ არ
გაუცუდდება იმედი აღამიანს!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1,
2, 3, 4, 5.

აი, 1724 წლის გაზაფხულიც დადგება, პე-
ტრე პირველი ჭარით ჩამოვა, თურქებს ვახ-
ტანგს, საქართველოს გაათავისუფლებს და
საქართველოს მეფობას მიართმევს „მის
ძმას“ — ვახტანგ მეექვსეს!

და აჰა, დადგა 1724 წლის გაზაფხულიც!
დადგა, მაგრამ არ გაწერდა და წავიდა!
მეტრე დადგა გაზაფხულიც... ივნისიც წავიდა,
ივლისიც მილიოდა და ვახტანგ მეფემ შეი-
ტყო ამბავი — ხახვებით მოულოდნელი, გო-
ნების შემარყველი და ძვალოდაამამხვრევე-
ლი:

1724 წლის 12 ივლისს სტამბოლში ხელი
მოუწერიათ რუსეთ-თურქეთის შეთანხმებასა
და შერიგებაზე!

და ამა ხელშეკრულების ძალით, აღმოსავ-
ლეთ ამიერკავკასია, — უწინარეს ყოვლისა,
ქართლი, — პეტრე პირველს თურქეთის საკუთ-
რებად უცვნიან!



ლიან, ღიან, ასე ყოფილია პეტრე პირველის თავისი „სამშო და სანათე-სავო საქართველო“ თურქეთის დღემდე გა-უწირავს, მორჩა და ვათავდა!

აი, ასე გაუთავდა ვახტანგ მეფეს მოლო-დინი „მესიას მოსვლინა“.

ამნაირად ჩათავდა საქართველოსთვის „მო-სვლა პეტრესი“!

უკვე ისმოდა საქართველოში მწარე სიცი-ლით: „პეტრეს მოსვლაზედ პავლეს ტყუილი გა-ძვრისო“.

ახლა როგორ მოიქცეს მეფე ვახტანგ მე-ექვსე, უველაზე გონიერი და „შორსმჭვრე-ტული“ კაცი მთელს მაშინდელ კავკასიაში (თუ უფრო შორს არა)?

როგორღა დაიბრუნოს ტახტი და გვირგვი-ნი, რომელიც მის სათაყვანო კერას თურქმე თურქეთის საკუთრებად გამოუცხადებია?

აღბათ, თვითონ თურქებთან უნდა გაარჩოს რაიმე, ხოლო ეს „რაიმე“ გულისხმობს ამა-ეი ქაღის დადრეკას უპულველ ველურთა წი-ნაში, გულისხმობს საქვემოცად დამცირებას და დამთხოვრებას...

თორმეტივე ჯარი დატვირთა ვახტანგ მეფემ ოქრო-ვერცხლით.

თორმეტივე გაატანა ბაქარს და იესეს იბ-რაჰიმ ფაშასთან და ქართლის ტახტის დაბრუ-ნება შესთხოვა.

თორმეტივე დიდის სიამოვნებით მიართვა იბრაჰიმ ფაშამ, მაგრამ ქართლის საქმეთა „სამლოოდ გადასაწყვეტად“ პირადად ვახ-ტანგის გამოცხადება მოითხოვა.

ვახტანგმა თურქთა ბანჯაში თავისი ფეხით მისვლა ვერ გაბედა და ისევ ცხინვალში და-რჩა თავზარდაცემული და თავგზაბნეული.

„ამა ამბავსა შიგან“ ხონთქარმა იბრაჰიმ ფაშა გაიწვია საქართველოდან. ისიც წავიდა და გზაზე მოულოდნელად მოკვდა.

ხონთქარმა სერასქერად დიარბექირის გამგე-ბელი რაჯა ფაშა დანიშნა.

ბაქარმა იბრაჰიმ ფაშას წასვლით დრო დაიცა და თურქებს აუჭანუდა. „ახსენა ღმერ-თი და მოიხსრო ქართველნი, შეჭდა ცხენსა“ და ჩავიდა სამშვილდებს. აქ თავი მოუყარა ქვემო ქართლის ჯარს, მისდგა და სადაც კი ტფილისის გარეთ თურქებს წაეწია, უველა ამოსწყვიტა უწყალოდ.

სამშვილდიდან მუხრანს გაქუსლა, რადგან მუხრანს ღუეები დასცემოდნენ თავს. გაქუს-ლა, მაგრამ ველარ მიუსწრო, — გაქსწროთ ავაზაკებს ნაძარცვით და ნატყვენავით.

მცხეთას მობრუნდა და იქ კონსტანტინე კახთა მეფე შემოეგება ბაქარს.

ამჯერად სამოყვროდ შეეგებნენ ერთმა-ნეთს, „და მჰუვს აღქმა ერთობა სიყვარუ-ლისა“.

ქართლისა და კახეთის შესვეურთა ეს ნა-გვიანევი „ერთობა-სიყვარული“ მანად ისა-ხადდა ოსმალებს წინააღმდეგ ქართველთა გამათავისუფლებელ ბრძოლას.

ძალზე ხასიაზონო ვასლდათ ისიც, რომ მცხეთაში ბაქარსა და კონსტანტინეს ეწვია სომეხი მედიკი — ესაი უზბაშა, უარაბა-ლის კათალიკოსის, ნერსისის ძმა.

განზრახული უოფალა თურქთა წინააღმდეგ ქართველ-სომეხთა გაერთიანებული გამათა-ვისუფლებელი ომი.

მაგრამ მინც არ მოხერხდა დიდი „საქრის-ტიანო განაზრახის“ ფართოდ, „დიდი მოცუ-ლობით“ წარმართვა. მოკავშირენი მოქმედებ-დნენ მინც „უკავშიროდ“, დაქსაქსულად და დაფანტულად.

მცხეთიდან ცხინვალს მივიდა ბაქარი. დახსდნენ სათათბიროდ — ვახტანგი, მისი ძმები და შვილები.

მაშინვე დასაკლისეს ერთი — იესე.

მალე შეიტყვეს: იესე ტფილისის მისულიყო, თურქულ მამადიანად მონათლულიყო და სა-ხელიც თურქული დაერქვა—მუსტაფა. ეს მი-სი მეოთხე ნათლობა გახლდათ: ქრისტიანობა, შიიტური მუსლიმანობა, ისევ ქრისტიანობა და ახლა სუნიტური მუსლიმანობა!

აი კაცი, რომელიც უოცდღთვის, „უშ-ეცდობოდ“, „დრო და უამის შესა-ფერად“ იცვლის სახელს; რჯულს, სულს, კანს და აღბათ თვალის ფერსაც კი!

მოვიდა სერასქერი რაჯა ფაშა ტფილისს, მოიწონა იესე-მუსტაფა და ვახტანგის ნაცვ-ლად ის გამოაცხადა ქართლის „მეფედ“.

სავსებით წარტყვეთა სასო ვახტანგს.

„ვამ ჩვენ უბედურთა საქართველო ბაბრის (ერანის) ქანგის ნაცვლად ფოცხვერის (ოსმა-ლეთი) ქანგს ჩავარდნაი“ — ეს სწორედ ვახ-ტანგის „პოეტური“ შექმნილი გახლავთ.

სრული სასოწარკვეთა!

მაგრამ სასოწარკვეთა აღარ აცალეს. რაჯა ფაშამ იესე-მუსტაფა და ახალციხის გამგებე-ლი ისაყ ფაშა წარგზავნა თურქთა ჯარებით ცხინვალს, ვახტანგ მეფეს შესაპყრობად.

ვახტანგმა, „ძითა და ძმითა და მრავლის და-რბაისლითა“, ძლივს გადაასწრო რაჯას.

უჟან მობრუნებულ ისაყ ფაშას შეატყობინეს,

ღმებან სანამიქში
შამარძამონ ზნელბი



რომ თრიალეთში ბაქარის მეომრებს სუთანის ოსმალთა მეომარი გაუფლტვიათო.

ისაუ ფაშა და იესე-მუხტაფა გორისკენ დაიძრნენ. „მოარბიეს გარემონი, დაიპყრეს გორი. უკუტყვევლთა შთავლეს ხაამილანსორო, მუხტანნი და შოვიდნენ ტფილხის“.

მალე ამის შემდგომ ოსმალებმა, ისევ იესე რენეგატის წინამძღოლობით, დალაშქრეს, ააოხრეს და ააწიოყეს ცხინვალში.

პეტრისთან წახვლა

„ექიმმა, რომელიც გულდასმით უკვირდებოდა თავის მეგობარს, მალე ამოსხნა მისი ეგზომი ახირებული სიჭიჭის მიხეზი და მიხვდა, თუ რატომ გასრულდა სეირნობა, თითქოს და ზუსტად მიგნებონის გავლენით, მხოლოდ ერთი და იგივე მიმართულებით: კ ა პ ი ტ ა ნ ი პ ა ტ რ ა ს ი გ ე ზ გ ა ნ უ ზ რ ე ლ ა დ მ ი ი ლ ტ ვ ო დ ა მ მ ო ლ ო დ ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ა კ ე ნ“.

შიულ მერნი

და, ბოლოს და ბოლოს, მოხდა ისე, რომ დრო-ჟამის უველაზე დიდი ქართველი სახელმწიფო კაცისათვის საქართველოში დასადგომი ადგილიც აღარ მოიძებნა...

ვახტანგ მეფემ წერილები აფრინა მოსკოვში, დარეკან არჩილის ასულთან, თავის ძმისწულთან, „მოსკოველი ქართველებს დედანსთან“. წერილი გაუგზავნა აგრეთვე ასტრახანის გუბერნატორს. იხვეწებოდა, როგორმე პეტრე იმპერატორთან მიშუამდგომლეთ და საქართველოდან გამოეყვანეთო. „თუ მაგათის (პეტრეს) დიდებულობის შარავანდედი ან აქ გვარგებს, ან მანდ გავიყვანს — კარგი. თუ არა და ჩვენი ქვეყანაც და ჩვენიც, საქველი არ არის, საურაჭლოდ ვახდებო“, — წერდა იგი დარეკანს.

მალე მოვიდა სასურველი პასუხი რუსეთიდან: „ჟამთა ამით მოვიდნენ წარმოკლებულნი რუსეთიდან ნაზარაშვილი დავით და ფრან. ვისტან და მოართვეს მეფესა წარსკლა რუსეთს“.

და 1724 წლის ივლისში ვახტანგ მეფე რაჭვიდან აიყარა და რუსეთისაკენ წარემართა.

მიდიოდა და მიჰყებოდა სახლელი მისი: მუფლუ-დედოფალი რუსულად, შვიდეტი — ბაქარ, ვახუშტი და გიორგი, ძმები — ხვიმონ, ქონსტანტინე და ადარნახე, დაი — ხვარაშანი, ძმისწულები — დავით ქაიხოსროს ძე და ანა ქაიხოსროს ასული.

მიდიოდა და მიჰყავდა ამაღა — ათას ოთხასი უხაინოები მამულიშვილი „ქართველნი ყოველის სახლიდან და კახილა მრავალნი“, მიჰყავდა ყველა — „უმეტეს დედა-წულითორთ“.

მიდიოდა და მიჰყავდა „მამა საქართველონი“ — სულხან-საბა ორბელიანი.

მიდიოდა და მიჰყავდა ყველა სარდალი:

მეწინავე — მამუკა ორბელიანი, მემარჯვენე ვახტანგ ამილახორი, მემარცხენე — სხრანბატონი.

მიდიოდა და მიჰყავდა უმადლები საერო და სასულიერო მოხელენი და მოწესენი — ეპისკოპოსნი, სასლთუსუტენნი, მანდატურნი კსნვანი და სხვანი, უწარჩინებულები გვარიშვილნი — აბაზაშენი, ბარათაშვილნი, ერისთავნი, ზედგინიძენი, თუმანიშვილნი, მაჩაბელინი, რატიშვილნი, ფაღლინიშვილნი, ციციშვილნი...

ყოველ ბატონიშვილს თავისი „მცირე ამალა“ მიჰყავდა. მარტო ვახუშტი ბატონიშვილს — მეუღლის, ორი ვაჟისა და ორი ასულის გარდა — მისდევდა ერთი გამძლეო, ცამეტი მოახლე, ოცდახუთი მახურთი, ოთხი თავადი ექვს-ჩვესი ყმით და ცხრაშეტი აზნაური ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი ყმით...

მამ, ასე: საქართველოს უკვემოესი დაცემის ჟამს, საქართველოს უპირველეს საქეთმპყრობელს საქართველოდან მიჰყავს საქართველოს 1400 უსემოესი მამულიშვილი! არ დაგვაფიქვდეს — მათ შორის არის სულხან-საბა ორბელიანი და მალე იქნება დავით გურამიშვილი!

ახე გაეცალნენ ყველაზე დიდი მოჭირნახულინი ჭირში ჩავარდნილ ქართლს.

„უმისოდ, ქართლში ვინც დარჩა, ზის და გულმდუღრად სტირისა“, — იმდულრება პოეტი იესე ტლაშაძე.

ცხვეწებოდნენ: შენ თუ გავწირე და გავმცალდე, ერთი რომელიმე შვილი შეინც დავგუტოვე პატრონად და ნუგეშადო, იქნებ „მომშვედლის გამოჩინამდე სულ არ წავხდეთო“. მაგრამ არავის თხოვნას, შეგონებას, ცრემლსა და ვალებს არ გაუწია ანგარიში ვახტანგ მეფემ. არც თვითონ დარჩა, არც შვილი დატოვა და არც ძირი.

თავადაც მოეკეთა და თავიც მოჰკეთა საქართველოს.

დიდის ქაბანწყვეტით მიდიოდნენ. შოშიტა რაჭვის ერისთავის გულთბილი მასპინძლობა კავკასიონის მძიმე გადახასხვლელებზე შემოაღწათ, ქალებიო და „ემარწვილებიო“ მამაღალ ხიზნებს.

კავკასიონში, როგორც იქნა, გადალახეს და თვითონ მეგზურებმა „იკადრეს“ დალატი: რომელიდაც მთის ღმანარტზე, ხალხი რომ სანახევროდ გადავიდა, ზიდი აჰყარეს და ვახტანგის ამაღა აქეთ-იქით ნაპირებზე დაჰყარეს.

ვახტანგს შოშიტა ერისთავის წყალობით, მეგზურთაგან წინასწარ მძეველები ჰყავდა აყვანილი, მაგრამ ახლა მეგზურებმა თვითონ მოთხოვეს სამაგერო მძეველები და პირობადებულზე უმეტესი ფული.

მე წავალ მწველად, — სოქვა სულხან-საბას



ძმამ — დიმიტრი ორბელიანმა, — წაიღო ფული და ჩაბარდა მეტეურებს.

იმჟერას საფრთხისგან თავი დაიხსენს, მაგრამ სამშვიდობოს მინც დიდხანს ვერ გააღწიეს: „და ოდეს განვლო მეფემან მთა ესე და მიადწია ქვეყანასა ოსეთისასა, თუშცადა გვეხსენს მზევალნი მათნი, ვარნა ეგრეთცა ვერცადა მით თათთა რეფთთა ვსწამლოდით მათთა ავაწავობათაგან, და რაოდენთაცა ვაველიდით ადგილსა ანუ სოფელსა, მოვიდიან და ენუკვლიან მეფესა საბოძვარსა და არა განუტევიან. მეფემანცა, რაწომცა ძვირფასი თვალთინა მარგალიტ უზბოძის, ესრეთ უგნურ იუვენს, რამეთუ კვალად შილის ნახევისათვის ევდერებოდნენ“, — წერს ამ ამბების დამსწრე და მონაწილე ჯაბრეღვილი.

როგორც იქნა, დიგორი და ფაიქოში გაიარეს და მიადწიეს ჩერქეზებს, რუსუდან დედოფლის სამშობლოს.

აქ მოყვრები მოყვრულად შემოეგებნენ ვახტანგს — ცოლისძმანი, ჩერქეზთ ბატონები.

მეგრე ქართველებს „მოეგებნენ ჩრდილოეთისა სპაით მხედრობანი რაოდენთავე ათასნი ჩინგიზთა მხედრობათა სპანი თვალთუ ვერძინი, პირით პრეტყლნი სრულიად ქარქაშ-ხილიფოსანნი. და განვლით მდინარე მუენ და დაიბანაჟა მეფემან და ისერა. კვალად ვიხილეთ სხვა უმჯობენი, განსწავლული რუსეთისა სპაით მხედრობანი, რომელთა განსდევნეს ჩინგიზნი და თვით უწინამძღვრეს მეფესა...“

პოლოცნიკი დიმიტრი მიუძღოდა ქართველთა სპატიოდ დაწყობილ რუსულად ჯარს, რომელიც იყო „ქვეითი და ცხენოსანი, ხელმწიფისაგან განსწავლული, შვენიერნი და მხნენი ათას ორასი“.

მე ავგიტოს სოლადს მიადწიეს — წმიდა ჭირის სიმაგრეს, რუსთა ბანაკს.

დიდის ამბით შეეგება ქართველთა მოხვლას ციხიონის უფროსი, გენერალი ჯაბრეღვილი კროკოვი. მისი ბრძანებით „განახვენეს კარნი ციხისანი და მოსცენ ხმა ქუხილისანი ზღუდელთა ზედა გარდმოკედულთა ზარბაზნათგან და დაწყობილთა სპაითა ხელის თოფთაგან. ესრეთთა პატივითა შებრძანდა სახლსა ტურფასა“ ვახტანგ მეფე.

თურმე პეტრე პირველს სწორედ აქ, წმიდა ჭირის მახლობლად სურდა ვახტანგ მეფისა და მისი მახლობლების დასახლება. ეს ვახტანგს შეეტყო და ძალიანაც სწყენოდა. მას მაინცდა-მაინც პეტრესთან შეხვედრა სურდა, იქ — „პეტერბურგს“.

ამიტომ სოლადიდან ვახტანგმა „მცირე ელჩობა“ აფრინა პეტერბურგს ვახტანგ ამილახვარის მეთაურობით.

მ ნოემბერს მივიდა ამილახვარი რუსეთის სატახტოში, იმპერატორი ავიდა იყო და პირადად ვერ მიიღო ქართველი ელჩი. ამილახვარი სენატს წარუდგა და აუწყა თავისი მეფის გა-

მომგზავრებისა და პეტერბურგს ჩემოსვლის სურვილი.

ბოლოს მოახსენეს იმპერატორს: ვახტანგ მეფემ სოლადს დასახლება იუკადრისა და პეტერბურგში მოეშურებაო.

პეტრეს გარისხება ძალზე იოლი საქმე იყო და გარისხდა კიდევ, მაგრამ მალე ისევ ჩაებრა და ეს სიტუაცია დაეჭვრებოთ: ვგუჯომ უნებდურებაში ჩავარდნილა ქართველი მეფე და სიამაყეზე მიინც სწელი არ აღუღიაო..

თვითონ ვახტანგს პეტერბურგიდან პასუხისათვის არ დაუცდია, ისე გაეშურა ასტრახანი-სკენ.

ასტრახანს მ ნოემბერს მივიდა და პეტერბურგს, პეტრესთან შესახვედრად, კიდევ გაგზავნა ელჩები — სულხან-საბა ორბელიანი, მისი ძმა ზოსიმე ბერი და არქიმანდრიტი არსენი.

სანამ ეს ახალი ელჩობა მოსკოვს ჩაადწევდა, მანამ ვახტანგ ამილახვარმა ასტრახანს ჩამოაბანა.

ვახტანგს ნება ეძლეოდა წასულიყო „მისი იმპერატორობითი უმაღლესობის კარზე“, ოღონდ „მცირე ამალით“.

რაკი პეტრე პირველმა ასეთი წყალობა გამოსწორა, ვახტანგმა მამინევე არჩია ოთხმოცდაოთხი კაცი, — მათ შორის ვაჟიშვილი ბაქარი, ძმა სვიმონი და დიპლომატი ბაადურ (ბორის) თურქესტანიშვილი — და პეტერბურგს გასამგზავრებლად გაამზადა.

დანარჩენები ასტრახანს დასტოვა, ვახტანგს ბატონიშვილის მეთაურობით.

ვახტანგი და მისი „მცირე ამალი“ გეშში ჩახლდნენ და თავი მისცეს რუსეთის დედა-მდინარეს...

მიდის ვახტანგ მეფე ჩრდილოეთისკენ სასოებით თვალაპურობილ.

მიდის პეტრესთან.

რა ვუყოთ, რომ პეტრე არ მოვიდა მასთან. მთავარი ახლა ის არის, თვითონ პეტრემ რომ მიწოდა თავისთან!

და ცარიცის რომ მიადწიეს, იქ კიდევ ახალი ელდა დაახვედრეს:

მომკვდარა პეტრე პირველი! დიახ, იღვა 1725 წელი და მომკვდარიყო („ამირ სოფლით მიფარულიყო“) რუსეთის უდიდესი ხელმწიფე-იმპერატორი.

მომკვდარიყო კაცი, რომელიც ქართველ მეფეს იესო მაცხოვარისგან დღენიდავად სალოცავ ხატად ეღვა და არასოდეს პირადად თვალთ არ ენახა.

ბედისწერას ახლა „ყოვლის მსახვრალი“ სოკვილი ჩაუვლიდა ვახტანგ მეფის მოლიპულ და ჯანლიან გზაწვირილზე.

რადა გაეწყობა, — კაციშვილი სიცოცხლე-

ლიმან სენიკიძე
შპარპაშვილი ხმლები



საც ვერ იმორჩილებს თავის ნებაზე და სიკვდილს რას მოუბრუნებს!

მაინც არ დაბრუნდება ხელცარიელი უკან უკვე რუსეთის წიაღში შესული ქართველი მეფე.

იგი უნდა მივიდეს იქ, სადაც ახლა განისვენებს (თუნდაც „განისვენებს“) პეტრე დიდი.

(ზომ მიდიან ქეშმარიტი ქრისტიანები ქრისტეს საფლავზე სალოცვად? იცინ, რომ იქ ქრისტე არ დახვდებათ, მაგრამ მაინც მიდიან!).

უნდა მივიდეს ვახტანგ მეფე რუსთა სახელმწიფოს სატახტოში — „პეტერბურგში“. უნდა მივიდეს და პეტრე დიდის მემკვიდრეში უმკვიდელად დაუფასებენ „ქრისტესმიერ ერთგულებას“, „ქრისტესმიერ ძმობას“, „ქრისტესმიერ სიყვარულს“.

მიდის ვახტანგ მეფე თვალუწვედნელი რუსეთის წიაღში და, ვინ იცის, იქნებ კიდევაც ფიქრობს: ახლა თუ არა, შემდგომ, ვთქვათ, სამასი წლის გადაღმა, მაინც დაუფასებს სავარაუდებელი ბედნიერი შთამომავლობა ამ მისტიკურად გულს ამოკრილ „რუსულ წიაღსვლას“!

მოსკოვს მიატანეს ქართველებმა. ვესვიატსკოვს „ქართულ მიწას“ მიაღწენ. სიხარულის ცრემლთა ფრქვევით შემოვრებათ დარეჯან არჩილის ასული — „დედა“ და „მოდვარი“ მოსკოველი ქართველებისა.

ერთმანეთს შესვდნენ ქართველები — ახლად გადახვეწილი და გადახვეწილობაში უამშინათვენი — „და შეიტბნენ ფრიად“.

და იმ „ტკობის ფაშს“ ერთბაშად დიდი წუხილი ჩამოწვა „სენეცკელ ქართველებში“:

„გარდაცვალა სულხან-საბა ორბელიანი.“

გოსიმე ბერმა მიაწერა საბას ლექსიკონს:

„საბა მიიცვალა ქრისტეს აქეთ ჩღკე (1728), იანვარსა კმ (26), მწუხრს, დიდს მოსკოვს, სენეცკას, ბატონის არჩილ მეფის სასახლეში და იმავ საუდარს დაემარსა ბრძანებითა და მრავლის ხარჭითა და თანაწყოლობითა და დიდის პატივითა ბატონიშვილის დარეჯანისათა“.

„ფრიად მამურობი მუშაკი, მოკვდა, დაეფლა რუსთ ველსა“, — სთქვა მისმა ძმამ, დიმიტრი ორბელიანმა.

ქართულ მიწაში დამიწება არ ეღიროსა საქართველოს მამას და მომღვარს.

მაისის თვეში პეტერბურგიდან წვევა მიიღო ვახტანგ მეფემ — რუსეთის მკაშინდელი ქალი-ხელმწიფის, პეტრე დიდის ქვრივის — ეკატერინე პირველის საცან. სამასი თუმანიც „გზის ფულად“ გამოეგზავნა დედოფალს.

გაემგზავრა ვახტანგ მეფე. პეტერბურგს რომ მოუახლოვდა, რუსთა საპატიო მსუდრობა შემოეგება. მერე „შეიქნა“ სროლა ზარბაზნისა, რომე ყურთა ხმა აღარ იყო“.

სამი დღე განისვენეს ქართველებმა მათთვის საგანგებოდ მიჩინებულ „სადგომსა და საფანესა“.

მეოთხე დღეს დედოფალმა ეკატერინე II ხელში საგანგებო მეგლისზე მიიწვია ვახტანგი და მისი აშლია.

დიდის წაღმირებით შეეგება რუსეთის უმალღესი სასახლის კარი ქართველთა გამოჩენას.

მიეხალა ეკატერინეს ვახტანგ მეფე, ჭირ მუხლისა და დიდი ხელმწიფის გარდაცვალების გამო სამამართა მოახსენა, „უცხოთა რიტორიისა ენითა და მდულრისა ცრემლითა“, მერე, — მცირე შეყოვნებით — ტახტზე ამრძანება მიულოცა დედოფალს.

ყველა მოხიბლა და დაატყვევა ქართველი მეფის ქცევამ, „სიბრძნემ და სიტყვა-მჭევრობამ“.

დედოფალმაც სამაგიერო „მადლი და წყალობის სიტყვები“ მიუწუალობა ქართველ ხელმწიფს.

ერთმანეთს გადაება საზეიმო შესვედრები, მეგლისები.

ვახტანგს გულზე დაჰკიდეს ანდრია პირველწოდებულის ჭვარი, „მურასად შემკული ძვირფასისა“.

ყველაფერი იყო, მაგრამ არ იყო ის, რისთვისაც ვახტანგი რუსეთს გადმოხვეწილიყო — სამხედრო დახმარება საქართველოს დახსენისათვის...

მაგრამ მალე ქართველთა მეფე მაინც „ფრიად საჭირო“ გახდა რუსეთის ხელისუფლებისათვის. მართალია, პეტრე პირველმა სცნო ამიერკავკასიაში თურქეთის ბატონობა, მაგრამ პეტრეს მემკვიდრე პოლიტკოსებს ის კი აღარ სურდათ დაეშვათ, რომ თურქეთს ერანიც დაეპყრო. არა და, ასეთი საშიშროება ძალზე აშკარად ჩანდა იმჟამად. ერანში ისევ ორი შაჰი იჯდა — თავრიზში ყიზილბაში შაჰ თამაზი და ილაჰბაში ავღანელი შირ-შაჰმული. ერთ დროს მძღავრი ერანის მსოფლიო მონარქია შინა ომებითა და არეულობით დამაბუფებული, ისევ იოლი დასაუფლებელი იყო ყოველთა ოდნავ სერიოზული მოწინააღმდეგისათვის და გამორჩევით — გამძღავრებული ოსმალეთისათვის.

რუსეთის ხელისუფლებას ერანის მიშველება გადაეწყვიტა. უწინარესად მას ურთიერთობა უნდა გაეხა შაჰ თამაზთან, როგორც ერანის კანონიერ ხელმწიფესთან.

„სამხრეთულ საქმეთა“ ყველაზე კარგი მცოდნენი ისევ ქართველები იყვნენ და კიდევაც, ვახტანგის რჩევით და შუამდგომლობით, ზედოზედ გაიგზავნენ ერანს მისი აშლის წევრები — ჭერ, დავით ნაზარისვილი, მეორედ — ვახტანგ ამილანორი.

შაჰ თამაზმა ქართველი ელჩები ახლოსაც არ გაიკარა, შირ-შაჰმულზე გაილაშქრა, დაშარცხდა და ასტრბაღდში გაიპარა.

ეკატერინე დედოფლის ხელისუფლება მაინც არ ეღეროდა შაჰ თამაზთან მოლაპარაკების გა-



მართვისა და მასთან მტკიცე ურთიერთობის დამყარებას.

მაღლე უმედურებაში ჩავარდნილმა შაჰ თამაზმა თვითონ ვაჭვანსა მოციქული რუსთა სელსულფების წარმომადგენლობასთან გაილაშქრა.

ეს სწორედ ზედმისწრება იყო პეტერბურგის კარისათვის და მაშინვე ვახტანგ მეფეს სთხოვეს გილანს გამწვავრება და შაჰ თამაზის წარმომადგენელთან მოლაპარაკება.

ვახტანგმა თანხმობა განაცხადა, მაგრამ საზღვარი პირობების შესრულება მოითხოვა: ჯერ ერთი, ქართლის ტახტზე აღმადგინეთო, მეორე — ის „ცხოველმყოფელი სამსჯავლი“ დამიბრუნეთ, მძიმარესა არჩილმა საქართველოდან რუსეთში რომ ჩამოიტანა (მცითხველს ემახსოვრება ის „სამსჯავლის“, რომლითაც თითქოს კრიხტე იყო მიღურსმული ჭვარჭვ, გოლგოთას), მესამე — არჩილის შთელი შემკვიდრებო, დარეკან არჩილის ასულას სიკვდილის შემდგომ, ჩემს ოჯახს გადაეცესო, და კიდევ — ჩემი ძე, თოთხმეტი წლის გიორგი რუსეთის სამეფო კარზე დარჩეს და აქ აღიზარდოსო.

ვახტანგს უფელა მის თხოვნაზე თანხმობა მიცეს, თუმცა წერილობით არაფერიც არ გაუფორმეს.

მაინც წავიდა ვახტანგ მეფე, ვითარცა რუსეთის ხელისუფლების რწმუნებული ერანის შაჰთან მოსალაპარაკებლად და კავშირის დასამყარებლად.

„მეთვალყურად“ გენერალ-მაიორი დოლგოვ რუსეთი გამოატანეს ქართველ მეფეს.

1736 წლის აგვისტოში ვახტანგმა და დოლგორუჯევმა დარუბანდს ჩამოაღწიეს. სწორედ აქ, დარუბანდს მორათვეს ანდრია პირველწოდებულის ორდენი ვახტანგს.

დარუბანდიდან ვახტანგი რეშტში ჩავიდა და შაჰ თამაზის ელჩს, კორჩიბაშ მოჰამედ რეზას შეხვდა.

ვახტანგმა დაარწმუნა ყორჩიბაში, რომ რუსეთს ყოველთვის კეთილი განზრახულებანი ჰქონდა ერანის მიმართ. ყორჩიბაში რუსის ჭარხა და შაჰის ტახტზე თამაზის აუჯანას თხოვდა. ვახტანგმაც აღუთქვა, რომ უცილობლად „იმოვნინდა“ რუსის ჭარხს ერანიდან ავდანთა გასადგენად და ისეჰამაში „კანონიერი ყანის“ თამაზის გასამეფებლად.

(მართლაც უცნაური იყო შედის დაცინვა: ქართველი მეფე, რომელმაც აჰამდე თავისთვის ვერ მოახერხა რუსის ჭარხის „მოვანა“, ახლა თვითონ ხელმოცარული და გაწილებული, იგივე „უმოვნელის მოვანას“ ჰპირდებოდა მოსისხლე შამადიანურ ქვეყანას).

1727 წლის მარტში მეორე შეხვედრა შესდგა. ამჯერად მოჰამედ რეზას შეხვდნენ ვახტანგ მეფე და გენერალი დევაშოვი.

მოჰამედ რეზა გილანის, მაზანდარანისა და ასტრბადის დაბრუნებას მოითხოვდა რუსთა

ხელისაგან. გენერალი დევაშოვი კედმადლორად ეტყეოდა უანის ელჩს. ვახტანგი მწვავე გართულებათა გაქარწყლებას ცდილობდა. დევაშოვმა ვახტანგსაც ექვის თვალთ დაუწყო ცტრა. მოლაპარაკება უსაშველოდ გაქიანურდა.

1727 წელს გარდაიცვალა დედოფალი ეკატერინე პირველი და რუსეთს ტახტზე ავიდა თორმეტი წლის პეტრე მეორე.

„სამხრეთული საქმეები“ მამევე სკივრებში ჩაძინა.

ვახტანგს კი შემოუთვალეს: თქვენს საქმიანობით იმპერატორი კმაყოფილია; კვლავაც ასე უერთგუდით მას, მაგრამ ამ ზავსულს მსოფოვს მობრუნდითო.

ვახტანგიც რუსეთს გაბრუნდა.

ისევ უხანზო და უნაყოფო გამოდგა მისი „მრდილოურ-სამხრეთული მი-მო-ქადავანი“.

ვერავის ვერაფერი „არგო“ — ვერც მებრახა (ერანს) და ვერც მოუყარეს (საქართველოს).

1730 წელს კიდევ ახალი ხელმწიფე ავიდა რუსეთის ტახტზე — ანა ივანეს ასული, მწარტე ქუეის, ვართობისა და დროსტარების მოტრფილად დედოფალი.

1732 წლის 21 იანვარს რეშტში დაიღო ხელმეორელებო, რომლის ძალით გილანი, მაზანდარანი და ასტრბადი რუსეთმა ისევ ერანს დაუმართა.

იმავე წელს ნადირ შაჰი გაბატონდა ერანში.

ნადირმა თურქები ამიერკავკასიიდან ვარკია, აქაურობა თვითონ დაიყავა და ვახტანგს შემოუთვალა: მობრუნდი და შენი ქართლის ტახტი დაიჭიროო.

ვახტანგმა უარი თქვა.

მას არ სურდა ქვეშევრდომობა არც ერანისა და არც თურქეთისა.

მას მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის „მუარველობა“ უნდოდა და რუსული ზონიით მორთმული ქართული ვიცოგინი...

ისევ დიდის პატივით ეპურობოდნენ რუსები ქართველებს, ისევ იმართებოდა დიდი წვეულებანი „ქართველთა შოგან ჩარვეით“ და „ჩართვით“ მაგრამ...

მაგრამ ვახტანგ მეფის „აბეზარ თხოვნას“ ახლა უკვე მკვახე პასუხები აკადრეს.

აკადრეს, რამეთუ რუსეთის სამეფო ტახტს ახლა თავის ნებაზე ათამაშებდა უნიქო დედოფლის ფავორიტი, ვიწროშუბლიანი გერმანელი, კანცლერი ბირონი.

და „საქართველოს საქმეების“ ახალმა ვამგებლებმა, გონებაბრჯუე „ბირონოვშინის“ შმორიანი სულით ავხებულმა მოხელეებმა, ვახტანგ მეფეს კრიხტიც აღარ დააფრვეინეს, ისე

დაჟარეს „ჭაგირი-ჭაგირზე“: რაც დაგვიმართა, უველაფერი შენს თავს დააბრალდო, განჯაში რომ იმდენ ხანს უმიზნოდ იდგე და ზელი არ ვაგინძრებიაო, იქვე კახეთის მეფესთანაც კავშირი და ერთიანობა ვერ მოვადგარებიაო, ოსმალებთანაც წყაღი ამბავები, ქვეყანა იმეკლანქებში ჩააგდე და ტახტიც დამარგო! ცაცმა რომ თქვას და. პატრივი მარხვას — უველაფერი მართალი კი უთხრეს რუსებმა ვახტანგს.

იგივეს ავი ქართველებიც საუველადობდნენ თავის სათაყვანო მეფეს.

უველაფერი შენს თავს დააბრალდო
მაინც არავის უთქვამს მისთვის — ზედმეტი გსულათ თქვენი უოფნა მეტრებურგსა და მონკოშვიო.

არც ის უქადრებიათ, — ტუფილად ირჯებოთ და რასაც ითხოვთ, „საბოლოოდ“ უარს გეუბნებითო.

მაგრამ მაინც აიუარა და წამოვიდა მეფე. მოდიოდა გამწურაფი, უმწეო და მაინც ამაუი, ბოდმის ბურთით ეუღლანხუფი და ცხოვრების სისასტიკით გუღგასავებულში.

მოდიოდა და არავის იცნის, რაზე ფიქრობდა. საფიქრალი და საწუხარი კი ქვიშასავით აღუთვალავი ჩაღრენოდა იმის გონებას.

საფიქრალი და საწუხარი იყო ამაო ვაწირვა თავი საკეთისა, სიქედობა, სუფარუღისა; ერთგულდობისა, რაიც მან — ეგზეომ „მალადგონიერმა ზელმწიფემ“ — გუღწრფულად წარმართა თავისი ხამშობლოს საკეთილდღეოდ, მაგრამ ბოლოს მისი დროას საქართველოს უწინაფერი შხამად და დარღუბადად წაადგა.

საფიქრალი და საწუხარი იყო, რომ მან — საქართველოს უველაზე „დიდმა იმედმა“ — თავისი გაქცევით, სწორედ უველაზე დიდი იმედი და სასიება მოუშლდა სამშობლოს. თავისი „თავის წართმევაც“ არ აკმარა და 1400 რჩეული მამულიშვილი, ერის ქეშმარიტი მესაქენი და მესვეურნი, უკლებლივ წაჰგვარა და მათი „წაგვრილი“ და წართმევით „თავი მოჰკვეთა“ მშობელ ქვეყანას.

ბაქარი მაინც დაეტოვებინა საქართველოსთვის, უკანასკნელ იმედად და გამხნეებულად. ავი შეზღადადებდა შანშე ქსნის ერისთავი: „ბაქარ დააბრუნე, სულ ნუ დააგდებთ ამ ქვეყანას; არ გიჭობთ, დამიჭერე, არ სამჯობინარი არის. თუ თქვენი შვილი საქართველოში იქნება, ვინდა რუსეთსაც და სხვას ქვეყანასაც უფრო ძალიანობაც გამოვიჩინებუა და უფრო დიდურადაც მოგებურობინაო“.

უველა უჩრევდა, არ მიეტოვებინა სამშობლო. არავას არაფერი დაუჭერა. უველაფერი თვითონ გადაწვიტა, სასტიკად მოტუფუდა და სასტიკად დამარცხდა.

უველაზე დიდი უბედურება კი მისმა წასვლამ, ანუ ბრძოლის ველიდან „მთავარი გმირის“ გაქცევამ — უველაზე სასტიკად საქართველო დამარცხდა და დააწინა (ლაპარაკი მისი დროის საქართველოზე).

სწერდნენ, ცხვიწებოდნენ. ემუღარებოდნენ, ემპერებოდნენ — დაბრუნდი საქართველოში; არასოდეს არ სჭირებია შენს ქვეყანას შენი აქ უოფნა, როგორც ახლა სჭირდება, შენგანვე დაგდებულსა და დავრდომილს; მოდი და შენის გამოჩენისთანავე აღდგება საქართველო; განხეხე დიდი სვიმონ მეფე, რომელსაც სამშობლოს უბედურესი განსაცდელის უმასაც მხნეობა არ დაუქარგავს, ხმალი ზელიდან არ გაუგდა და უოველთვის მოუწინავეს შინა-ამაღორძინებელი ძალა თავის სათაყვანო შხობლიურ ერშიო.

არავის დაუჭერა მართო საქუთარ გულისხმის შიშვეა. ნილო, იმ გულისხმამ სასტიკად მოატუფა და დამარცხა.

დარჩა საქართველო მისგან უოფნა-არუოფნის სასწორზე დაგდებული და „არუოფნიცენ“ გადაწინილი.

მოდიოდა და ფიქრობდ შხამიანი ფიქრებით დარცხვლიდ.

მაგრამ არავის იცნის, ფიქრობდა თუ არა, რომ მისი ეს უიღბლო „ირდილოური წიაღსვლა“ თაობების შემდგომ შეფანებული იქნებოდა, ვითარცა ნაყოფიერი ნიადაგი რუსეთთან საქართველოს მომავალი შეერთებისა.

ასტრახანს მოვიდა და იქ „დაეფუძნა“.

იქ გაატარა მისი მწარე წუთისოვლის უკანასკნელი დღეები. — ჩუმი, გაუშუღავებელი მოღმეო, სულას შინაგანი თვითგვემით, შინაქვითიით, ცრემლის შინაჩქეცვით.

დადა და დაქვევდა 1787 წლის 26 მარტი. და სიკვდილმა გაიხსენა: ვატხანგ მეფიც ჩემი შვილი არისო.

და ქართველებს სიკვდილმა წართვა მათი „იმედული“ საქთმეპრობელი.

დაიკრძალა იქვე, ასტრახანს.

სამარტში ჩაჰუდა გმინა, საქართველოდან წამოუოლილი და განუურტლად „თანდაუოლილი“.

ქართლის საქესთან მივიდა 28 წლისა, ჭინთაშინიდა 9 წელიწადი, სპარსეთში გაატარა 8 წელიწადი, რუსეთში 18 წელიწადი, აღერსულა შობისაგან 62 წლასა.

აღსრულებულიყო ქართველთა უგანათლებულესი მესაქე და კულტურტრტგერი, მწიგნობარი და მწერალი, „ვეუბისტუაონისა“ და „ქართლის ცხოვრების“ უველაზე დიდი მწრუნეელი და მოქირანახული, ნიქიერი მხედართმთავარი და მამაცი მხედარი, ერის გულწრფელი მოამაგი და პატრონი.

ი მ მ ე ნ ი ნ ს ა მ ა რ ი ვ ე ლ ი !

აწახ პირველი

პატარა ქანის სივსაშუკის შავს

სიკავშილი რმევაბინსა

რაც მოვასხნე, მოვეგვარა ჩვენ ერთმანეთის ბრძოლამა

ქართლი ოსმალთს დაიპყრა, კახეთი ლეკთა მოლამა;

მით ჩვენსა სისხლმა ნაღვარმან ხეივნი სულ ამოლამა;

სუნთი მოაცვა მთაბარი ჩვენის მკვდრის მძორთა ყროლამა!

დავით ბურამიშვილი

სევბედნიერი აღმოჩნდა მისი კულტურული და შინასახელმწიფოებრივი ღვაწლმოსილება. მართლაც, მისი ათწლეუნი „ჯანიშინობა“ უო ქემშარტი „რენესანსი“, ვინა „ვერცხლის ანა“ ქართული კულტურისა — სულეგრისა ეა ნივთიერისა.

მაგრამ სევბედური აღმოჩნდა მისი „ოკტურ-რომანტიკული პოლიტიკა“, მისი მალეგრეპენობა, მისი ფანატოზი. მას წარმოადგენდა არ ჰქონდა იმ კომერაზე, რასაც ასი წლის შემდვომ ნაპოლეონმა „როსიკი ქალი“ უწოდა. პირიქით, მალაღწეობრივ ქართველ ხელმწიფეს „პოლიტიკა“ წმინდა წინეობრივი ეპეაცოზის, პირიანობის, სიტუვის გაუტენლობისა და ბოლომდე უღალატო განაწრახთა სახანარსოდ მიეჩნია. მას წარმოადგენდა არა ჰქონია, რომ პოლიტიკას სარხიელზე მელაკუდები უფრო „ბერხიანად“ და „მომგებიანად“ დანავარდობენ, ვიდრე ლომები და ვეფხვები.

ბუნებამ ერთი დიდი სისუსტე არგუნა მისვანე უხვად შემკობილ ქართველ ხელმწიფეს — სისუსტე „საპოლიტიკო“ გულისხმისა, აღლობისა და გერშანობისა.

და ეს სისუსტე საბედისწერო გამოდგა მისთვისაც და მისი სამშობლოსთვისაც. სწორედ „საპოლიტიკო ბედისწერამ“ იგი ერთხელ თავის გმირად აირჩია და „მსოფლიო პეროიკის“ გმირის გადოსწერი კერძის ხელში ჩააჩენა მაგრამ გერშა და აღლოს მოკლებულმა რჩეულმა კაცმა კვერთხი იგი კვერთხად ვერ შეიცნო და უშალეე ბელიდან გააგდო, ვითარცა სნების მომცვერი ბინძური ჩაბრი.

ორედ ამიტომ მოხდა, რომ ვახტანგ მეექვსე დაბადებული ვითარცა გმირი „მსოფლიო პეროიკისა“, მიწაში ჩაეხვენა ვითარცა თვითმოკვეთილი, თვითდასვეწილი, თვითგანრინებული და თვითდასმარებული კაცი-ამბოკარი.

რა გავწვობა! დიდი იყო ვახტანგ მეფე და, რაკი დაუშვა — დიდი იყო მისი შეცდომაც.

(ახე), — რამეთუ დიდი ცდომილება მართოდ და ავამიანს დასდევს წილხვედრად, ხოლო მცირე კაცს მხოლოდ მცირე შეცდომის ჩადენა შეუძლია და; ამდენად, მის დამცრობად ცთომილებას ისტორიისთვის არავითარი განზომილება არ გაჩნია).

ხოლო, დავით ბურამიშვილმა მაინც ახე დაიტრა თავისი საყვარელი, სევბამწარებული ხელმწიფე:

„ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!...“

იწვა წყნარად და მშვიდად უცხო, მღაშე და ღორწიოან მიწაში „ბოძი“ და მებოძირი საქართველოს...

„ოსმალობისა“ და „ლეკიანობის“ ორღესულოა გვარდენში მოქცეულიყო საქართველო.

თურქეთი უკვე ლეკებით გატენილ გარბე-ლაქანს, ანუ გალექებულ ქართულ ელისენის მხარე, ისე უუურბედა, როგორც თავის სისხლსორცეულ „ფილიალს“.

ლეკები გარბელაქანსი ქართულ მოსახლეობას ისევე ექცეოდნენ, როგორც ოსმალები ხაშცეხში. ისინი ართმევდნენ მიწას, და სმირად სიცოცხლესაც, ყველას. ვინც ქრისტიანობას არ დააგდებდა და სუნიტურ მაჰმადიანობას არ მიიღებდა.

ასეთი ნაძალადევი გზით გამაჰმადიანებული და ლეკოვან დაუხვევებელი ქართველი გლეხები დეზულთონენ შემდგომში „ანგელოცების“ სახელებს.

1727 წელს ოსმალეთის ფადიშაჰმა ისლამის წარმატებით გავრცელებისათვის ქარბელაქანი ხაგანებო ფირმანით საკუთრებად დაუშტყიცა აქაურ ლეკებს.

ასე შეიქმნა აღმოსავლეთ კახეთის მიწაზე უცხო, მუსლიმანური, ლეკაბრაგთა და ალაღართა სახელმწიფო — ავთივსიანი სიხსივე ქართულ სხეულზე.

მაგრამ გრძელდებოდა ბრძოლა, დაუმცხრალი და სისხლდამღწარი.

1724 წლის ზაფხულში თურქთა სერასკერმა რაკა ფაშამ ერევანი აიღო და მისი ბატონი ალი-ყული-ხან ციციშვილი ტყვედ აიყვანა. გამარჯვებულ თურქს დამარცხებული ქართველი მოეწონა, სიცოცხლე აჩუქა და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა. გათავრებულმა ქართველმა „სამშობლოდ“ საქართველოს სარსეთი არჩია დ სამხრეთისკენ გაქუსლა.

იმ ფაშხე ვახტანგ მეფისგან მიტოვებულმა

ლემან სანიკიძე
ქაბარძაშო სხლვაი

ქართლის პატრიოტებმა კონსტანტინე მაშად-
უული-ხანი მოხმეს და ოსმალთა წინააღმდეგ
ქართლელთა და კახელთა გაერთიანებული
ბრძოლა შესთავაზეს.

კონსტანტინე მოვიდა კასთა, თუშთა და
ფშავ-ხევსურთა გარით.

მოიწმიდას მოიყარეს თავი ქართველებმა.
ქართლებს გივი ამილახორი ედგა
სათავეში, კახელებს — თვითონ კონსტანტინე.
ქართველთა გაერთიანების ამბავი რომ შეი-
ტყვის, ოსმალებმა წინ ისევ იესე-მუსტაფა წა-
მოიშძვარეს და წამოემართინ გამოეღებულ-
ნენ.

ბრძოლა მოხდა ვუფთასთან.
ქართველები გაათურებთ „ეშვიანენ“ და
ივლადინენ ურუმინა“.

მაგრამ არ დაანება მარცხი იესე გაყოღლმა
საქართველოს მოხისხლებს. ხმლის ზანაზუბით
უკანვე შემობარუნა გამოქცეული ოსმალნი.
ერასტი უაფლანიშვილიც გაშწარებით მიერე-
კნობდა ქართველთა შემოტევით დასფრთხალ
ოსმალთა ბრძოლის ველისკენ. ზოლოს და ზო-
ლოს, მოღალატე ქართველები ამდგენს „კაიხა-
რჯენს“, რომ თურქთა მხედრობა ახალის ძალით
შეარკინენ მამულიშვილ ქართველთა დაშქარს.
ახლა კი დამარცხდნენ ქართველები.
გივი ამილახორი გაიქცა.

კონსტანტინე მაშად-უული-ხანი ტყვედ მო-
იხელთეს ოსმალებმა.

უშეთაუროდ დარჩენილ ქართველებს გამოე-
ნონენ იესეგან და უაფლანიშვილისგან გახე-
ლებულთა ოსმალები; შრავალი ამოსწვიტეს; ქა-
რთველთა წარკვეთილი თავებით დატვირთული
ურუმები ერასტი უაფლანიშვილმა ტფილისში
ძღვანელ მიართვა რაჭა ფაშას.

რაჭამ „ერთგულ გურჯს“ ოცდაათი დრაჰმანი
მისცა ორი ურუმს ქართული თავების სამაგვი-
როლ!

ოსმალებმა „დაიპურეს ყოველი ქართლი“.

1727 წელს ხონთქარმა ხერასკერობა (მთავარ-
სარდლობა) მისცა მუსტაფა ფაშას. ერევ-
ნის მბრძანებლობა რაჭა ფაშას აქმარა, ხოლო
ქართლის პატრონობა ისაყ ფაშას დაუნარ-
ჩუნა.

ხოლო, იესე-მუსტაფა იყო „ვითომ მეფე“,
თურქები მას „თუცა არა უწოდდენ მეპატრო-
ნედ, გარნა მასვე ჰკითხვიდნენ და იქმოდნენ ხა-
ქმება ქართლისასა მის მიერ“. მთავარი „ხაზ-
რუნავა“ მინც გამიდარება ჰქონია იესე რე-
ნეგატს და კოდევაც „წარმატებით ახერხებდა“
ქონების მოალაფებას: „ოგი ხვეჭდა და იღე-
ბდა ქვეყანათა ნარდად და ამით მოირკმისცა
ფრიად“.

დომენტი კათალიკოსი მკაცრად ჰკიცხვდა
გაოსმალბულთა მისი ხარბ ანგარებას.

იესემ ავი თვალის შემოუბრუნა „აბეზარ ძმას“
დომენტიმ გაცლა ამგზონია და „წარვიდა

ლორენს რამეთუ ოსმალთა ჯერ არა დაეპყ-
რათ“.

იესემ დრო დაიცა და „გაქცეული ძმის“
ადგილზე კათალიკოსად გამოაცხადა ბეხარო-
სი ორბელიანიშვილი.

დომენტი ლორედან მობრუნდა და ისაყ ფა-
შას ეახლა ტფილისში ეახლა და „ევედრა რათა
წარავლისოს წინაშე ხონთქარისა, რამეთუ ჰგო-
ნებდა მუსლიმს (სტამბოლიდან) ლხინებასა რა-
სზე ქართლისასა“.

ისაყ ფაშამ შეიხმინა დომენტის თხოვნა და
გაგზავნა იგი სტამბოლს. დომენტის თან ვამ-
უვა პოეტი იესე ტლაშაძე.

ოსმალებიც სტამბოლში მოწიწებით მიიღეს
ქართველი სამღვდელი — „მისცენ პატივი დი-
დი, უმეტეხი პატრიარქთა, და უსმინეს უოველ-
ნი“.

მაგრამ სულ მალე ისაყ ფაშამ, — უმეველად
იესე მუსტაფას შეგონებით — დომენტის მი-
მართ „სიუჟარული“ ვუელიდან ამოირეცხა და
მასზე რაღაც „დასმენა“ აფრინა ხონთქართან.
ხონთქარის ბრძანებით დომენტი შეიპყრეს და
კუნძულ აფენდოსზე გადაასახლეს, ეგეოსის
ზღვაში.

ქართლის კათალიკოსად საზოგადოდ დადგინ-
და ბეხარიონი.

1727 წელს სიკვდილმა მოიკითხა იესე ბა-
ტონიშვილი, ვახტანგ მეექვსის უდიარსი ძმა და
მომავალი ანტონ კათალიკოსის უდიარსი მამა,
„ქართველობაში“ — გამოიღველი და გაყოღლ-
ული რენეგატი. „უოზიღბაშობაში“ — ალი-უუ-
ლი-ხანი, „ოსმალბაში“ — მუსტაფა.

ერთადერთი ნათელი სხივი, რაიც მისი ბნე-
ლი და შორიანი სიციცხლის გზაზე გამოსჩანს
— არის გმირობა და რაინდობა საქართველო-
დან შორს, ავღანეთის აღმოღებულ უღანბოებ-
ში. მხოლოდ იმ ერთხელ აჯდა მხარზე ბოროტ
კაცშვილს საქართველოდან გაუოლილი ფერ-
მერთალი ანგელოზი...

შეჯივრი სპარტაკელის ძარცვა-რბევაში

დამპყრობელი ყველა დამპყრობელია, მაგრამ
ვერც რომელიღაც, ვერც არაბები, ვერც მონ-
ღოლები და ვერც სპარსელები ვერ უბედავდ-
ნენ ქართველებს იმდენ დიანაგრესი და და-
ნინებას, რამდენსაც თურქ-ოსმალონი.

იესეს შემცველელი ოსმალებს აღარ უძებ-
ნიათ.

ისაყ ფაშა დარჩა „ვითარცა მეფე“.
ხოლო ისაყ ფაშამ ქართლი „უკეთ მოხავლე-
ლად“. მესწ ნაწილად დაჰყო და „ადგილზე ხა-
მართავდა“ უკვე „მოშინაურებულ“ ქართველ
თავადებს ჩააბარა:

ზემო ქართლი — გივი ამილახორს,
ქვემო ქართლი — ერასტი უაფლანიშვილს,
მუხრანი — მამუჯა მუხრანბატონს,



მტკვრის მარჯვენა მხარე — ბაგრატი ცოცხელი,

არაგვის საერისთაო — თეიმურაზ ერისთავს, ქსნის საერისთაო — შანშე ერისთავს. ოსმალებმა ხალხი აღწერეს. და ხარკი გააწერეს: „ხოლო ვინაღვის არღარავინ ჰყვათ წინააღმდეგომი ოსმალითა აღწერეს ქართლი სრულიად და დასდევს ხარკი კაცს სულწინდ დრაჰმანი, ცხვარზედ ორი შაური, ზროსაზედ აბაჯი, კამბეჩისა და ცხენზედ ექვსი შაური, მოსავლსა ზედა ხუთის თავი ხილითურთ, და ამის გამო იქმნა ქირი დიდი“.

ქართლში ოსმალებმა დაადგინეს გადასახადი „მირი“, ანუ „მირის თეთრი“, რაც ვეღვისს. მოხდა ადგილობრივ მიწათა ოსმალების სახე-მწიფო საკუთრებად გამოცხადებას და მძიმე ფულადი გამოსაღებიტ დახარკვას.

საზღვარი არ ჰქონდა ჩაგვრას, დაქინებებს, დანჯირებას, აბუჩად ავდებებს.

უოველი დამპყროველი — ორმაელი, არაბი, თუ სპარსელი — ქართველ კაცში რაღაც სიყეთის დამნახავი და დამფახებელი იყო უოველთვის, ხოლო ბნელგონებოვანი ვეღურა თურქი არც ქართველში და არც სომეხში სიყეთის ნატამასლაც არა ჰხედავდა. ის კი არაადა, უარესად ახლებებდა და ამხეცებდა ქართველისა და სომხის მაღალი, კულტურული სული...

საქმარისი იყო ხარკის დროსად გადახდაში ქართველს მციროდნად ხელი შეუშლოდა და ან სიკვდილი არ ასცდებოდა, ან სიკვდილზე უარესი შეურაცხუოფა.

მანუჩარ უფლანიშვილსა და გიორგი ქავთარიშვილს დაპირებული ცხენების „მაღელ მსბოროლისად“ მიჰყვანა დაპყვანებოდათ. ამის გამო ოსმალებმა ცხენის აღკვეთულობით აღკვეთეს თვითონ ეს თავადნი, ზედ ამხედდნენ, პირს ლეკმა ამოსდეს და დეშენის ცეშით ფერდები ჩახუბოქეს.

იყო ჭარიმად „ვერცხლი დიდძალი“, იყო ჩამოსრჩობა („ჩამოარსვიან ანძასა“), იყო „ძელზე ვასმა“, იყო „ჩამოცმა ანძასა“.

ოსმალებმა ხარკის დროზე გადაუხდებლობისათვის დემეტრე ამილახოროს „ჩამოაცვეს ანძასა ორითა შესაბრითა“.

ქართველ თავადთა ურთიერთშური, მტრობა და „ურთიერთწახდენა“ კიდევ უარესად ათავსებდებდა ვეღურ გადათავიღებებს („შურითა ურთიერთათა ქართველთა იყო უფუფროსენი ქირნი და ართმიდიან და ძარცვიდიან ოსმალინი შესენეთა მათითა“).

მძინვარებდა უამი ოსმალური და ლეღური ურჭუკობისა.

იღვა წვიმა და თქეში სისხლისა. მაგრამ მაინც მამულიშვილობდა მამულიშვილი საქართველოში.

მაინც იბრძოდა ქართველი გლეხა ქართული

მიწაწლის დასაცავად და ქართველთა დასარჩენად.

თეიმურაზ მანაბელი ქართველ შურისმგებელთა გუნდით დაპქროდა და, სადაც მოახდენდა, უწყალოდ ვეღურდა ოსმალოებს

აჯანუდა ქსანი.

აჯანუდა არაგვი.

ლეკებმა დაასწრეს ოსმალებს. „გამოვიდა ლეკის ჭარი გულხადარა, ააოხრეს ზემო ქართლი, საცოცაისო. ანუხადა, გუჭარეთი, თრიალეთი, ჭავჭავთი, სამსრები, საბარათაშვილო თავით ბოლომდი, ქციის გაღმართი, დმანისს ქვეითი, წავიდნენ უზიანით. ამავე ქორონიკონს გამოვიდნენ კარელნი, ააოხრეს ბოლნისები და სომხითა“.

ისაუ ფაშას არ მოეწონა, „მოძმე ლეკებმა“ რომ ლამის მთლიანად ჩასასლეს ოსმალითა „ჩახასხსლავი“. მაშინვე „იახლა ჭარი ურუმთა და ქართველთა, მიეწია ბაილარში, შეიქნა ომი ფიცხელი, ბრძანებითა ლეთისათა ვაჟმარჯვა ფაშასა, ამოსუვიტეს ლეკნი“.

ისევ მძინვარებდა აჯანუებანი ქსანსა და არაგვზე.

მაგრამ ისევ ცაოცაოლე, ერთმანეთისგან „ვანლოღვილინი“, იბრძოდნენ არაგვისა და ქსნის ერისთავნი.

1731 წლის ზაფხულში ისაუ ფაშა დიდის მხედრობით შეიჭრა არაგვის ხეობაში, აიღო დარუშეთი, გააძევა თეიმურაზი და მის ნაცვლად არაგვის ბატონობა მისცა რევაზ ერისთავს.

მაგრამ იმ დღეებშივე რევაზ ერისთავიც აუჭანუდა ოსმალითა სარდალს. მაშინ ისაუ ფაშამ დასამარებლად მოუწოდა კონსტანტინე კახთა მეფეს და ახალციხის ოსმალი მხედრობას.

კახელთა და ოსმალითა ვაგრობინებულმა ჭარებმა დაამარცხეს არაგველები. ისაუმა ახლარევალი გააძევა და არაგვის ერისთავად დასვა ააბაჟა ზურაბის ძე.

არაგვიდან ქსანზე გადავიდნენ ოსმალინი. გადავიდნენ და „მრავალი სული დაატყვევეს, დასწვეს სოფლები, კლდე თუ კოშკი და მეხერი, საცხენისი და ქვაბები, დააქციეს ციხე ვანავისა“.

შანშე ერისთავმა თავი დამარცხებულად სცნო, „მისცა ქრთამი ოსმალითა“ და შეირიგებიათხოვა.

„და შეირიგეს“ თურქებმა ქსნის ერისთავი. ქსნიდან ისაუ ფაშამ კონსტანტინე მამაღ-ეულა-ხანი კახელთა ჭართი გაიყოლია და ოსმალითა მშუსგრელი თეიმურაზ მანაბელის წახადენად წარემართა. თურქებმა „აიღეს ციხე სვერისა და დაქციეს ვალმა გამოლმა ორივე ციხე, ჯარდიარეს მთა ოხეთისა, მუსხდენ კულგუთსა, კოშკი იყო მაგარი და ადგილი მთლოვანი,

ლევან სანიკიძე
შეატბაშვილი ხმლები



შექნათ სროლა, დაიხოცა თათარი არა მცირედო, იყო სროლა, დილიდამ ბინდამდო, უხსრო ღამემა“.

თეიმურაზ მარბეღლია ბრძოლა წაგებულად ცნო, თანამებრძოლებთან ერთად შუალაისას ციხიდან იღუპად გააღწია და წუკდაღში გაუჩინარდა. იგი რაჭაში გადავიდა ცოლ-შვილით.

თურქები გორამდე მოვიდნენ ძარცვა-რბევით და ნგრევა-ოხრებით. აქ იხსუ ფაშამ მუხანათური დაცემა და შეპურება გაუშვადა თავის „მოკავშირეს“ — კონსტანტინე კახთა მეფეს, რომელიც მას ახლა აღარც სჭირდებოდა და აღარც ხანდოდ მიაჩნდა.

მაგრამ კონსტანტინემ ოსმალო ფაშას მზაკვრობა შეუტყო და კახთა ჭარით დროზე გაასწრო თურქთა ბანაკიდან.

თითქოს შეგებრება დაეწესებინათ თურქებსა და ლეკებს საქართველოს სათარეშოდ და საოხრებლად.

ერთი სიტყვით, — თუ ოსმალო და თუ ლეკი! და ახლაც, როცა ოსმალებმა ნათარეშალი მუხლა მოიკეტეს, უმალვე ამოსხლტნენ თვალსაწიერზე ლეკები, ოსმალთა მოგებრე-მოთარეშენი.

„ამა ამბავთა შინა მიუხდნენ ლეკნი ჯავანთს. ააოხრეს ხეობა ზანავი, გარდავიდნენ მთასა ნუნისისასა, ააოხრეს ხარაგუელი ნუნის ქვიითი, გარდმოიარეს ქვიშეთს, წაახდინეს ციხის ძირი, ააოხრეს საციციანო. კიდევ მეორედ გარდმოიპარნეს მთას იქით, დაწვეს მზვარე და ჩრდილი, იშოვეს მრავალი. შეიპარნენ მთას იქით კაცნი საბაშო და საჩხეიძო, უყვეს წინა უკანა, შექნათ ცემა, ამოწვიტნეს ლეკნი, დააურვიანეს ნაშოვარი, ვინც მორჩა დაიფანტნენ მთაში გზახდენ უცოდინარი, რომელიც კართლში გადმოვიდნენ უვრელა დაიჭირეს და ამოსწვიტნეს“.

მერე სურამს მოუხდნენ ლეკები, აგარშემო ააოხრეს, დაწვეს ოსიური, ახალ სოფელი, სატივე, ლუბრმაცედიანი, ოძისი, წაიდეს ნაშოვარი, ტუქი, თუ პირტუტე, გავიდნენ ურისისხევის, ჩაიარეს წრომს, დაამსხვრიეს გაღავანი, შეუხდნენ“ ეკლესიას, ამოწვიტნეს მლოცველინი. იქიდან ჭაღას გადიშლიგინეს და ამილახორის სახალხელს დაეცნენ ანაზღაითად. ერთსა ამილახორი დაუხვდა მტრის ქართველთა მცირე გუნდით. „შექნათ სროლა დილიდგან ბინდამდის, მოკლეს ლეკნი ასოცა“, მაგრამ ერასტი ამილახორიც დაეცა ბრძოლაში. იმლაგრეს ლეკებმა, აიღეს ჭაღის ციხე, „წაიდეს ტუქი, თუ საქონელი“ და გაქუსლეს.

იხსუ ფაშას ვაჟი—უსუფ ფაშა გამოედენა ლეკებს ოსმალთა და ქართველთა ჭარით (ახლა ეს ორი ურთიერთმოსისხლე მისდევდა მესამე მოსისხლეს).

მუხრანთან წამოეწივნენ და გასწვიტნეს უმრავლესნი ლეკნი. სიკვდილს გადარჩენილმა ლეკებმა შიოსუბნის ციხეში შეასწრეს და ჩაიკეტნენ.

თურმე სადღაც მახლობლად ^{გაბაშის ციხის} ლეკთა სხვა ჭარი მოთქარუნობდა და საომარი ხმაური რომ შემოესხა, შიოსუბნისკენ გადამოუხვია.

გადმოუხვიეს და მიუხდნენ უსუფ ფაშას სროლით და უყინით. აღუაში მოქცეულებმა თანამომეტა მოსვლა რომ შეიტყვეს, გამხნევდნენ და ისინიც გამოიჭრნენ გარეთ ხაომრად.

ძლივს გაასწრო უსუფ ფაშამ სიკვდილს, „და ნოსრნეს ლეკთა ოსმალნი უმრავლესნი“.

მხოლოდ ქართველებს დაუშინდნენ და ბრძოლის ველს გაეცალდნენ სწრაფი სრბოლით ლეკები.

ისევ მოდიოდნენ ლეკები — „ჭარად და ჭარად“, ათას-ათასად.

მათი მორიგი „გამოსვლა“ ნადარბაზევთან მოხდა.

თურქი სარდალი მამა და ბეგი შეებრძოლა ოსმალთა და ქართველთა ჭარით. პირველნი ეკვეთნენ ქართველნი, ლეკებმა მაშინვე ზურგი აქციეს და ტისკენ გაქუსლეს. ოსმალები მიჰყვნენ კვალდაკვალ. ტუქში საფარი გაუწოთ წინასწარ ლეკებს, „და რა მივიდნენ ოსმალნი უწყეს ლეკთა ამიერ-ამიერ თოფთა ცემა, მოსწვიტნეს ოსმალნი და აოტნეს, ვითარ მცირედნი განერნენ“.

მცირე ხნის შემდგომ გორიდან მიმავალი ოსმალთა ჭარი ნიჩბისთან უტყრად გადაეურა ლეკთა ჭარს. მაშინვე დაეტაკნენ ერთმანეთს. ეკვეთნენ და „ეკვეთებახვე“ ლეკებმა გააქციეს ოსმალნი. გააქციეს და გამოედევნენ. ბევრი ოსმალო ამოსწვიტნეს დახოცილებს უკან, განსავალში ჩიხუხები ტარებით დაურქეს „ხუმარა“ ლეკებმა!

თითქოს კიდევაც „ლეკიანობამ“ დასჯახნა „ოსმალობა“. მძიმე დღეები დასდგომოდა ქართულ მიწა-წყალს „არღარა დარჩა და დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და აღვილ საბარათიანოს სომხითსაცა“. მხოლოდ სიმარგებში ცხოვრობდა ხალხი, და სამუშაოდ „პარვით-მალვით ჩამოვიდნენ“ ციხიდან და თუკი ლეკი მოთარეშენი სადმეიდან გაიღვებდნენ, უმალვე „მათი მსოფელნი ივლტოდნენ სიმარგეთა“.

მორიგი დაცემა ჯავახეთზე მოაწვეს ლეკებმა. ქართველებმა ოსმალებს შეატყობინეს, მაგრამ მათ მოსვლას არ დაელოდნენ და ლეკებს შეებნენ.

ბრძოლა მოხდა დიდგორისუელის კოშკთან. ქართველებმა დაამარცხეს და გაწვიტნეს ლეკნი. გადარჩენილებმა „დაჰპარნეს ნატყვენავი სრულად და ივლტოდნენ“. გაქცეულებს თელად-გორის ბოლოს ქართველთაგან მოხმობილი ოსმალები დახვდნენ და ახლა იმათ „მოსწვიტნეს“ ლეკნი.

მაგრამ ოსმალო ისევ გაეჭიბრა ლეკს ქართული კერის დაქცევაში.



1732 წელს ისაყ ფაშას ხონთქარი შემოსწერა, სტამბოლს გაწვია და მის სამაგვიროდ ქართლის მმართველად დანიშნა რ ო ს ტ ო მ ფ ა შ ა. მაგრამ აპრილს მოსული როსტომ ფაშა მაისში გარდაიცვალა რალაც მიძიმე ხენით.

ხონთქარმა ქართლში ახალი გამგებელი გამოგზავნა, ახალი მხედრობით—ოსმან ფაშა. სანამ ფაშები ერთმანეთს „დაცვლებოდნენ“, ლეკებმა ისევ განასრულეს „ლექიანობა“ ქართულ მიწაზე.

ჭერ ქვემო ქართლს ჩაიჭრნენ და სამშვილდეს დაეცნენ. აქ იხვე რევეგატის შვილი, სამშვილდის მეტატრონი აბდულა-ბეგი დაუბნდით. აბდულა-ბეგს საბარათაშვილო სპასპეტი ქ ა ი ხ ო ს რ ო ყ ა ფ ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი და მისი სახლიცაგები წამოეშვედნენ და სრულიად „ამოსწვითეს ლეკნი“.

ლეკებმა „ტრეერი, ბეკამი, გვერდისუბანი ააოხრეს, წავიდნენ ნაშოვრიანი, გავიდნენ წრომში“. გორის ფაშა გამოეგებათ, მაგრამ პირველ დატაკებაზე დაახიკვადლეს ლეკებმა. მეჭვრისხევეს რომ გააღწიეს, გვიც ან ი და ბ ო რ ი გამოუხტათ. გაემარჯვა გვიცის ქართველებმა „ამოსწვითეს ლეკნი და დარჩათ ნაშოვარი“.

იმავე წელს, 8 ივლისს, „მოვიდა ლეკის ჭარი დამით, ამოიარეს ბეკამი დამით, გარდიარეს წიფის მთა, ჩაუხდნენ წიფას, ზოგი ვინმე წაახდინეს, გარდმოიარეს იტრია და ჩუმათეფეთი წაახდინეს“.

მეოთხედ, 21 ივლისს, ლეკები დაეცნენ ქვიშხეთს. ერთი დამე ქვიშხეთის მეციხოვნენი — „საბაშიო კაცი“ — მედღარად ენბროდნენ მომხდურთ. მათ „მოკლეს ლეკი მცირედი და დარჩათ ლეკის ბაირახი ორი“. მეხხეთისკენ იქციეს პირი ლეკებმა, „მიუხდნენ დვირს, წაახდინეს ასპინძა, ოშორა, სხვა ბევრი სოფლები, გარდმოიარეს ციხიხვარი და შემოადგნენ სადგერს, ზეით თედიამვილის-ციხესა, თერთმეტ ოღე ადგნენ“.

სწორედ იმაჟამდ გამოჩნდა ქართლის შუაგულისკენ მომავალი ოსმან ფაშა, რომელმაც ოსმალთა ჭარი გამოუსია ლეკთა წინააღმდეგ. ა დ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ც გაჰყვნენ სამარად თურქებს. „განათადისას დაესხნენ ლეკთა, ამოსწვითეს ლეკნი, ვინც მორჩა გაიქცნენ, გარდაიარეს საციციანოზე და გავიდნენ იკორთას“. ისევ

წინ გადაეღობათ გვიც ამილახროს. ისევ ამოსწვითეს ქართველებმა მპარავ-მარბილდეს. იმავე წელს ხონთქარის ახალი მარბილდით, ოსმან ფაშა არზრუმის ბეგლარბეგად დანიშნა, ქართლს გამგებლობა ისევ ისაყ ფაშას ებოძა, სოლო მის ვაჟს სუსუფ ფაშას — ახალციხის ხევაშო-ვილიაითა.

1732 წლის 9 დეკემბერს ისევ „მოუხდნენ ლეკნი, ააოხრეს გომართის ხეობა, ჩამოიარეს გომიჯვარზე, გავიდნენ ქსოვრის წყნა წლევის ბოლოს“. დამეგერნენ ქართველები გვიც ამილახროსისა და თარხან ლუარსაბის მეთაურობით, „დიდათ გაემარჯვათ და ამოსწვითეს ლეკნი“.

„იმავე თვესა დაარბიეს ლეკთა სომხითი, მოვიდა აშბავი ქალაქსა, შეჯდა ისაყ ფაშა, ჭარი ურუმთა, ქართველთა, დახვდნენ ნიჩბისსა, მოვიდნენ ლეკნი ხეკოძის თავს წვერზე საუდართა, დიდი სიმაგრე იყო, დაიქვიითეს ქართველთა და ურუმთა ენგინართა, იყო სროლა დილითგან შუადამემდი, დაუმარცხდა ლეკთა, ამოსწვითეს ქართველებმა, გაიქცნენ ლეკნი უკანე დიდგორისკენ და ღამე კოწახურის ფონს გავიდნენ“.

ლეკთა სხვა „ათასოვანს“ ზემო ქართლი დაურბევია მაშინ. ისაყ ფაშა ქართველთა და ურუმთა ჭარით იქიდანე — ხეკოძიდან დაედევნა მოთარეშებებს. „მიეწვიენ იკორთის ბოლოს, გაიქცნენ ლეკნი, დარჩათ ნაშოვარი“ ქართველებს და ოსმალებს.

ყოველი უმხედურება ერთად მიესია ხევამწარებულ ქართულ ქვეყანას.

„განმარავლდა სიძვა-მარუშება, სოლოშია, ტყვის-ყაფვა, შური, სხვა ურთიერთთა და სხვანი ბოროტნი“.

ამოწვევებლ ნახალარებს, ნასოფლარებსა და საფუძვრებს მოედო ტუფ, ბუჩქი, სარი, ჭიძვი და ეკალი.

გამრავლდა და გათამამდა ნადირი, დაიბრიყვა ადამიანი, — „მხეციცა მოტეტენენ და სჭამდენ ურილად მრავალთა“ კაციშვილთა.

ფრინველი რომ ფრინველია, ისიც კაცის საზიანოდ გამრავლებულა, — „ეკვალად მოვიდა სირი ქივავი, რომელთა დაახნელიან მზე სიმრავლით და მოკვამა ნაშრომი სრულიად, — რომელი არა თქმულ არს საუკუნით“.

შავი ქირიცი შემოიჭრა სადღაცადან უმისოდეც ამოწვევითელ ქართულ ოჯახში, — „ეკვალად იყო სრვაცა, მომსრველი შამთა ძლიერი“.

გაგრძელება იქნება



ბრძოლის გაზეთი

ბორის ვიშინსკი

მაკედონიელი ბორის ვიშინსკი 1921 წელს დაიბადა სკოპლეში. ლიგერაგურულ მოღვაწეობას ეწევა 1953 წლიდან. მისი რომანები და მოთხრობები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის რუსულადაც. ქართულ ენაზე კი ბორის ვიშინსკის მოთხრობა პირველად ქვეყნდება.

მოლოდინი ხუთშაბათი ღვინს

მარია წყნარი და თვინიერი ხასიათის ორმოცდაათიოდე წლის ქალი ვახლდათ. დატანჯული, გაყვითლებული, ხმელი სახე ჰქონდა. მის გარეგნობაში სევდა და უღრმესი უმწეობა გამოსჭვივოდა. ბაგეები რაღაცას ჩურჩულვებდნენ ერთთავად. ჩურჩულვებდნენ მთრთოლვარე სიტყვებს დრავანზე, სალამოს ექვს საათზე... ამ დროს უნდა ამოტივტივებულყო იგი დანისლული ბინდბუნდიდან და წარსდგომოდა ქალს.

ეს ოდესღაც ლამაზი ქალი შეუბოვარი და უდრეკი იყო თავის ამო მოლოდინში, რომელსაც არ ჰქონდა არც დასაწყისი, არც დასასრული. იგი სულდგმულობდა ამ ჰემენებით, რომელთაც შეხედრა არ მოსდევდა. მარია ელოდა საქმროს ფართული მღელვარებით, წუთითაც რომ არ სტოვებდა მას.

ჩვეულებრივ სალამოს ექვს საათზე, ან რამდენიმე წუთით ადრე, — საათის შეხედვა არც კი სჭიროდა; — აჩქარებული ნაბიჯით ამაყად და გულდაჯერებით მიემართებოდა რკინის ალაყა-

ფისაკენ. აჩქარებით გამოვიდოდა თავისი ერთსართულიანი სახლიდან, თითქოს უკვე აგვიანდებოდა. მაგრამ გარეთა კარს კი დინჯად, ღირსებით აღსაქვს თავშეკავებით კეტავდა.

მუქი ფერის უკვე გამოხუნებული, დიდიხნის მოძველებული ფასონის კოსტუმში ეცვა. იღლიაში დიდი შავი პორტფელი ამოედო. ფეხსაცმელი ისე ძველი მცოცა, ვერც გამოიცნობდით, რა ფერისა უნდა ყოფილიყო თავდაპირველად. მაგრამ ამას ხომ არავითარ მნიშვნელობა არა ჰქონდა დრავანისათვის. მარიამ ეცოდა — დარწმუნებული იყო, — რომ სრულიადაც არ აცვია ძველი ტანსაცმელი, სრულიადაც არაა ხანდაზმული: მისთვის და მისი გრძნობისათვის დრო ხომ გაჩერდა და აღარ იძვროდა.

წელში გამართული მიდიოდა და აკვირდებოდა ქუჩას, არაფერზე მზერას არ აჩერებდა: ქუჩის ორივე მხარეს დარგულ ხეებს შორის საქმროს დაეძებდა. მაშინ თავლისფერ, ელვარებაჩამქრალ თვალეგში თითქოს მხიარუ-



ლი, ხალსიანი რაღაც გამოუკრთოდა.

მოსახვევამდე წელა და დინჯად, მსუბუქად და თავშეკავებით მიდიოდა, რათა დრაგანს არ შეემჩნია, რა სულწასულად ელოდა მასთან შეხვედრას.

ძვირფასი იყო ქალისთვის მათი შეხვედრების ადგილი — ვეება ცაცხვის ჩრდილი და ბინდბუნდი, დაუოკებელი მღელვარებით უახლოვდებოდა ხეს, იმედოვნებდა — უკვე მელიოდებო. ერთხანს იღვა ტროტუარზე, აფორიაქებული და აგზნებული, გაჰყურებდა ქუჩას, საიდანაც უნდა გამოჩენილიყო უღარდელად და აუჩქარებლად მომავალი დრაგანი.

ყოველ საღამოს. როდესაც გამოდიოდა თავისი სახლიდან, დრაგანთან შეხვედრის ნეტარი მოლოდინით აღსავსე, მარიას ეგონა, დღეს ხუთშაბათიაო. ცაცხვის ქვეშ ლოდინის დროსაც და შინ, ქუჩაში გამოსასვლელად მზადების დროსაც, წუთითაც ეპვი არ ეპარებოდა: დღეს სწორედ ის დღეა — ხუთშაბათი, როდესაც ისინი დილით მარტოკანი დასეირნობდნენ პარკში, ხოლო მერე ერთმანეთს გამოეთხოვნენ, რათა საღამოს ექვს საათზე კვლავ შეხვედრილიყვნენ.

მის შეგნებაში დატკმული პაემანი და მხურვალე ხელისჩამორთმევა განსახიერებდა მისი დრაგანის. უკანასკნელ სუნთქვასა და უკანასკნელ შეხებას.

ახლა მარიამ თითქოს აღარც იცოდა, რომ მაშინ, დიდი ხნის წინათ, როდესაც დრაგანმა იგი რკინის ალყაფამდე მიაცილა, შუადღეს, ქალაქის თავზე უამრავი ვერცხლისფრად მოელვარე თვითმფრინავი გამოჩნდა. მალე მზე დაბნელდა და მტკრის, კვამლისა და ნატისუსალის სუნისაგან სუნთქვა გასჭირდა სკოპლეში.

მარიას აღარც ეს ახსოვდა, რომ ცოტა მოგვიანებით, იმ არეულობაში, მტკრის ბუღსა და ადამიანთა გამწარებულ ყვირილში, იგი ჰკოცნიდა ჩატეტკილ ცივ სახეს, გაყინულ თვალებს, რომლებშიც უკვე გამჭრალყო საყვა-

რელი, გულში ჩამწვდომი მზერა განწირულად ჰკოცნიდა პირისახეს — სახებას, რომელმაც ერთიანად შეაესო მისი ცხოვრება. შემდეგ, უთვალავჯერ, რომ დაჰკოცნა ეს გაყინული სახე, თითქოს რაღაც დაემართა: თითქოს ერთბაშად დააფიყდა ის, რისი ცოდნაც არ ჰსურდა. მოხდა რაღაც ისეთი, რასაც თვითონაც ვერ აუხსნიდა საკუთარ თავს.

უეცრად ღონივრად ხელი ჰკრა სხეულსა და სახეს, რომელსაც ეს წუთი იყო ისე გამწარებით ჰკოცნიდა. ქალი ზიზღმა აიტანა, ტუჩებიდან მოიწმინდა კირის მტვერი და საზარელი, არაბუნებრივი ხმით იყვირა: „რამ გამაგიჟა? ღმერთო ჩემო, მე ხომ ამ მკვდარს არ ვიცნობ და რატომ ვკოცნი? სადაა დრაგანი? მომიძებნეთ ჩემი დრაგანი! როგორ გავებდე უცნობ კაცს რომ ვეხვევოდი? რანაირად აღმოჩნდა ჩემს მკლავებში? ჰო, რაღაცით კი წააგავს დრაგანს, მაგრამ ეს სხვა არის... დრაგანი მომიტევებს ამ შეცდომას, რაღა თქმა უნდა, მომიტევებს...“

მას აქეთ მოგონებებო, რომლებიც მისთვის არის არა ხსოვნა წარსულისა, არამედ დღევანდელი დღე, აღუდგენენ მარტოოდენ დილით შეხვედრას, როდესაც დრაგანი პივიდა მასთან და სულ ერთიანად გაციკროვნებულმა უთხრა:

— ძვირფასო, რარიგ გიხდება ეგ ცისფერი კაბა! თმაც რა ახლებურად დაგივარცხნია, თითქოს პირველად გხედავდე!

— ისევ წამოგიღია ეგ შენი აპარატი? — ჰკითხა გულაჩუყებულმა მარიამ. — რად მიღებ ამდენ სურათს?

— ყოველთვის რაღაც ახალი გაქვს ხოლმე სახეში. დღეს კი განსაკუთრებით ლამაზი ხარ.

ბედნიერები და კმაყოფილები გაემართნენ პარკისაკენ, კაფეში, სადაც ხშირად მსხდარან მარტოკანი.

— ბოლოს რომ ვადამიღე, ის სურა-

ბორის ვიზინსკი
მოლოდინი ხუთშაბათ ღვს



თები. მომიტანე? — ჰკითხა მარიამ, პარკში რომ შევიდნენ. — რამდენი სურათი გადამიღე და ჯერ კი არ გიჩვენებია.

— რამდენიმე დღეში მზად იქნება, — მიუგო დრაგანმა. — აწი მე თვითონ გავამქლავნებ ფირს. ბნელი საკუქნაო მოვაწყვე საამისოდ. ამიერიდან დედამიწის ზურგზე საუკეთესო ფოტოგრაფი მოგართმევს ახალ-ახალ სურათებს... ეს ბაწია კამერა სულ უფრო და უფრო მეტად ხდება ჩემი ცხოვრების აზრი.

— ჰო, მარტო ეგ კამერა, — უთხრა განაწყენებულმა მარიამ.

— მარტო ეს კი არა, შენც, ჩემი ძვირფასო, — მიუგო დრაგანმა და არ შეჩერებულა, ისე აეოცა. — შენ უფრო მეტად!

ბედნიერებით აღსავსე მარია ხელს უჭერდა დრაგანის თბილ ხელს.

— იქნებ ეს კაბა არ ვარგა სურათებისათვის?

— მე თუ მკითხავ, შენი ფოტოსურათებისათვის კაბას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მარიამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს გული მოუვიდაო, მაგრამ თვალეზმა გასცეს.

— რატომ დამცინი?

— შენ ჩემი ყველაზე ლამაზი მოდელი ხარ. გახსოვს ის ქრელი კაბა, სურათების გადაღება რომ არ გინდოდა იმით და რა ლამაზი ფოტოები კი გამოვიდა?

— მაშინ მზიანი, უღრუბლო დღე იდგა.

— დღე კი არა, უღრუბლო და ლამაზი იყო შენი სახე, თვალები, შუბლი და თმები, ფოტოსურათებისათვის რომ შეუქნია ღმერთს... მანდ კი ჯერ არაფერი არ გემჩნევა, — უთხრა დრაგანმა, წელზე რომ შეავლო თვალი.

— ჯერ ადრეა, — მიუგო მარიამ და მუცელზე დაიდო ხელი. — მომავალ კვირას დეკორწინდებით და კიდევ ექვსი თვე მოგვიწევს ლოდინი.

— ეგეც მალე იქნება, ხომ? როდესაც მუცელი დაგაჩნდება, მხატვ-

რულ ფოტოს გადაგიღებ და მოლოდინი: „მოლოდინი“. მე მინახავს ფეხმძიმე ქალი — რემბრანდტის რეპროდუქცია. ძალზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მიამიტი, ქორფა სახე აქვს, თავზე ყვავილების გვირგვინი ადგას. შენ უფრო ლამაზი გამოხევი, მერწმუნე!

— მეტიმეტს ნუ იტყვი, საყვარელო, სამაგისოდ მე არ გამოვდგები.

— არა, მართალს ვამბობ, ასეთი ფოტოსურათით მე შენ უკვლავყოფ. უკვე ვხედავ, რა თვალწარმატაცი იქნები: მოლოდინად ქცეული მომავალი დედა. რესტორანი ჯერ ისევ ცარიელი იყო. ისინი სულ განაპირა კუთხეში მიუსხდნენ პატარა მაგიდას.

— ზოგჯერ ვმიშობ, საყვარელო, ვაითუ დაგვეცინონ, მოუთმენლობა რომ გამოვიჩინეთ, — უთხრა მარიამ.

— ნეტავი ვინ მოყვება თვეების გამოთვლას?

— ცოტა ბოროტი ადამიანი? ზოგიერთები ახლაც ჩუმიდ შემავლებენ ხოლმე თვალს.

— თვალონ, სანამ არ მოსწყინდებათ. მერე რა? ერთ კვირაში ჩემთან გადმოხვალ და დაველოდები იმ დღეს, როდესაც შესაძლებელი იქნება გადაგიღო სურათი, მთელ მსოფლიოს რომ შემოვიღოს.

— დედაჩემმა მითხრა: შენს ადგილას მე რომ ვყოფილიყავი, ეგ არ დამემართებოდაო. მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და დაუმატა: მაგრამ არც ამით დაქცეულა ქვეყანა, რაკი ყველაფერი კეთილად დამთავრდება და რაკი ასე ძალიან გიყვართ ერთმანეთით.

— არკითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას ფიქრობენ სხვები. ჩემთვის სხვათა აზრსა და დამპალ თივას ერთი ფასი აქვს.

ოდნავ შესამჩნევმა მღელვარებამ მოიცვა ქალი და ხელზე ჩაავლო ხელი დრაგანს.

— შენ ყოველთვის ძალზე თავდაჯერებული ხარ.

— უამისობა არ შეიძლება. მთელი ცხოვრება წინაა. თუ გსურს წარმატე-

ბას მიადწიო, უნდა გჯეროდეს შენი თავისა, უნდა გადალახო მოჩვენებითი თუ ნამდვილი დაბრკოლებანი.

— შენ ისე თავდაჯერებული ხარ, ზოგჯერ მეშინია კიდევაც შენი, — თავშეკავებით უთხრა მარიამ, მერე, თითქოს შეშინდაო, დაუროთო: — ძვირფასო, ნუ გამიწყრები ამ სიტყვებისათვის. ხომ იცი, რარიგ მიყვარხარ, ამას კი მხოლოდ იმიტომ გეუბნები, რომ ცოტათი დაცხრე... გულის სიღრმეში ვგრძნობ, რომ შენს ზელში ბედნიერი ვიქნები. უშენოდ ჩემთვის ყველაფერი სისულელე და უაზრობა, არანამდვილი რაღაც იქნებოდა.

— ჩვენ ორივენი ასე ვფიქრობთ, — მიუგო დრაგანმა. — ახლა კი კარგი იქნება, თუ ცოტა ხნით თავს ასწევ... არა, ეგრევე დარჩი, თავჩაქინდრული. ამ ფოტოსურათის წარწერა იქნება: „ეული ქალიშვილი“.

— არა, არ მიყვარს ასეთი პოზა.

— რაკი ეგრეა, ასწიე თავი, იფიქრე ჩვენს ბედნიერებაზე, ასეთ დროს განსაცვიფრებლად მადლმოფენილ სახე გაქვს ხოლმე. ამ ფოტოსურათს დავარქმევ: „იმედი“.

დრაგანმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, ფოტოაპარატიდან უცქეროდა. მარიამს. ის კი იჯდა, ფიქრიანდ გაღიმებული.

„იფიქრე ჩვენს ბედნიერებაზე“, მარიამს სულ ახსოვდა ეს სიტყვები. ახსოვდა ახლაც, როდესაც მოუთმენლად დასეირნობდა ტროტუარზე და უკვიროდა, აქამდე რატომ არ მოვიდაო. „იფიქრე ჩვენს ბედნიერებაზე“, — ხშიარობს მის გონებაში.

უცებ დრაგანის ფეხის ხმა მოეჩვენა. უმალ მოტრიალდა. მაგრამ არა. ვიღაც გამვლელი იყო, აჩქარებით მიმავალი.

„უნდა მოვიდეს“, — იმეორებდა თავისთვის, ტუჩები უთრთოდა. რატომ ალოდინებს ამდენს? ავე იმ ქუჩით უნდა მოვიდეს. „რამ დააბრკოლა? მე ხომ არ მივაკითხო? ასე აჯობებს“, — ჩურჩულებს ცაცხქვეშ მდგარი მარია.

აფორიაქებული ქალი ნელა გაშორდა იქაურობას, ხოლო მუნჯი და უსიტყვო აჩრდილი ჩუმად გაჰყვა უკან.

მარია მივიდა დრაგანის სახლთან. გზადაგზა თვალჩაივებით აკვირდებოდა გამვლელებს, დრაგანს გზაში არ ავცდევო.

დრაგანის სახლი აღარ იყო. იმ ადგილას ახალი ოთხსართულიანი სახლი იდგა. მაგრამ რაღაც ინსტინქტი თითქოს ეუბნებოდა მარიამს, რომ ის სახლი მაინც აქაა. განა ამჩნევდა მალაქ შენობას, — იგი ხედავდა მესერაშემოვლებულ დაბალ სახლს, რომლის ეზოშიც ყვავილნარი იყო გაშენებული. ყვავილებს რწყავდა.

— დრაგანი შინ არის? — ჰკითხა მარიამ. მისი მისვლით გაკვირებულმა მამამ მიუგო, ეს წუთია ახლა გავიდაო.

— შემოდი, მარია, — მიიპატიცა მამამ. — რამ ჩაგაფიქრა?

ახლა არ შემიძლია, — ეუბნებოდა მარია და ნელ-ნელა შორდებოდა. — დრაგანი უნდა მენახა, მაგრამ რომ არ ვიცი, საით წავიდა... ხვალ აუცილებლად მოვალ. ნახეამდის, — ახლა უკვე ყვიროდა, თითქოს ეთხოვებოდა ვიღაცას, გაყვითლებულ სახეზე სიხარული მოჰფენოდა.

მარიამ ვერ შეამჩნია, როგორ გაიწია აჩრდილი და გზა დაუთმო. იგი ფეხაჩქარებით ბრუნდებოდა პავინის ადგილას, რადგან ფიქრობდა, დრაგანი უკვე მოვიდაო.

იქ კი, იმ კუთხეში, კვლავ არავინ იყო...

შეშფოთებული და ცოტა არ იყოს გააჯერებული მარია თავის თავს ეკითხებოდა, ნეტავ რატომ არ მოდისო. „პირველი შემთხვევაა, რომ დრაგანი არ მოვიდა პავინაზე, — ჩურჩულებდა ქალი... — სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, უნდა მოვიდეს...“ როგორც კი მისი მოთმინება საზღვარს სცილდებოდა და ჩურჩული სულ უფრო და უფრო

გოგის ვიზინაი
გილოდინი ხუთშაბათ ღმცს

ხმამაღალ ლაპარაკად იქცეოდა, მის წინ აჩრდილი აღიმართებოდა. მარიამ აცოდა, რომ ეს აჩრდილი მისი ღრმად მოხუცი დედაა, მწუხარე, მღუშარე და მასავით შემფოთებული ამ აუტანელი ბოლოდინით.

— დედა, რატომ არ მოდის? — ჰკითხა მარიამ წყნარად, საყვედურნარევი ხმით.

— ჰალტო მიახტურე, შვილო, უკვე აცივდა. დღეს საკმაოდ ელოდე. სადმე შეჩერდებოდა. მოგვიანებით თვითონ შემოივლის ჩვენსას.

— მინდა ვუთხრა, რომ ბიჭი გვეყოლება. დანამდვილებით ვიცი. არ ვიცი რატომ, მაგრამ დღეს, სადილის მერე, სულ შვილზე ვფიქრობ.

მარიამ მუცელზე დაიდო ხელი.

— სხვა დროს უთხარი. მეც ბევრს ვფიქრობ შვილიშვილზე. — ამოიოხრა დედამ, გაუმეორა ის, რასაც ერთთავად

პასუხობდა მრავალი, მრავალი წელიწადი, რომელთა მანძილზე მარია ვერ ამჩნევდა ვერც ზაფხულის თბილ საღამოებს, ვერც ზამთრის ცივი ღამეების სითერეს, ვერც შემოდგომის ფოთოლთა შრიალს, ვერც გაზაფხულის დამატრობელ სურნელებას.

მას ჰგონია, დრო გავიდა მხოლოდ შუადღიდან საღამომდე. ამიტომაც საღამოს ექვს საათზე მხიარულად და მსუბუქად გამოდის სახლიდან და წარმოიდგენს თავისი დრაგანის სახეს. დრაგანი ოდესმე დაბეჭდავს მის ფოტოსურათს — მომავალი დედის ფოტოსურათს, რომელიც მთელს ქვეყნიერებას შემოივლის.

საღამოს ექვს საათზე მარიასათვის არ არსებობს არაფერი, გარდა კუთხეში, დიდი ცაცხვის ქვეშ დათქმული პანელებისა.



მარკ ზლაბაკინი

სიბრძნე პოეტური სიმწიფისა

როცა ადამიანის თითქმის მთელი ცხოვრება შენს თვალთა წინაშე ჩაივლის, მით უფრო, თუ ამ ადამიანთან ყოველდღიური საქმიანი თუ მეგობრული კონტაქტები გაქვს შენთან, გინდა მის იერსახეში, მის შემოქმედებით პორტრეტში დაინახო რაღაც თავისებური, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და მკვეთრად გამოხატული, რითაც განისაზღვრება სხვა ყველაფერი მასში. როცა ვიგონებ გიორგი ლეონიძესთან შეგობრობისა და თანამშრომლობის წლებს, მის ამგვარ თავისებურებად მიმართა სიბრძნე, არა აფორიზმებში გამოხატული სტატიკური სიბრძნე, არამედ ჩვეულებრივი, ყოველდღიური, ცხოვრებისეული გამოცდილებას, ფართო აზროვნებასა და შემოქმედებით შთაგონებას რომ ემყარება. ეს განსაკუთრებით ვიგრძენი იმ ხანებში, როდესაც მის „ნატვრის ხეს“ გამოსაცემად ვამზადებდით. პოეტის პროზა მუდამ განსხვავებულია ამ შემოხვევაში კი თვითონ წიგნის სათაური მაგანიშნებს იმ ფესვებზე, გიორგი ლეონიძის პოეზიას რომ კვებავდა. კრიტიკოსი და ლიტერატურის მცოდნე დიმიტრი შირსკი ამბობს, გიორგი ლეონიძის პოეზია „მუსიკალური დინამიკურობით გამოირჩევა...“¹ მე კი მიმაჩნია, რომ ეს სამართლიანი შენიშვნა შეიძლება გიორგი ლეონიძის პროზაზედც გაავრცელო. დასამოწმებლად მინდა მოვიყვანო სტრიქონები პოეტის წიგნიდან „ნატვრის ხე“.

„ეს პატარა წიგნი ჩემი ყრობის მოგონებანია, მაშინდელი განცდილი, დასახული ქართულ სოფელში.“

მინდა მკითხველს გავუწოდო, როგორც სახილვე ტაბავი თუ ხახალი და მით ჩემი ბავშვობის მოგონებათა ხილი მივუწივალაო.

კი არ უნდა ვწერდო, ყვავილებით უნდა ვწნავდო, ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ვწნავდო ამ წიგნის კაბადონებს. შიგ ჩემი ცისა და მიწის ღიმილად ჩამარბული, შიგ ჩემი ყრობის სუნთქვაა!

რა ტკბილი იყო შექეღვაძე დღეა პატარა დღეში! ოქროვანი იმით მოწყობილ გაზაფხულის დღეები, როცა ჩვენც ნუშებივით ვყვავოდით, როცა ფხვქვეშ მიწა გრიალებდა, გული გვედგა ოქროს ბურთისა და თავს ოქროს წვამა გვაწვიმდა...

ეს ჩემი სიტყვა იმ გაზაფხულის დღიდან არი გამოჩნერი, იმ წყაროებიდან გამოჩნერი, რომელთა თავზე მდგარ ნიგუნართა ხევიანა გულყვიოილა „ბიჭო გოგას“ მომძახოდა. როგორც თანამოსახლესა და მეგობარს...“

ამ შესავლის დასასრულს გიორგი ლეონიძე მისთვის ჩვეული სიბრძნით დასძენს! „ხელჩქარედ მომიხდა ამ წიგნის წერა, სულ რამდენიმე თვეში.“

ღილოს უოქვამს: ნეტავი ჩემს პატრონს ათი წლის უნახავი ძმა მოუვიდეს, რომ კიდევ ვიხარშო!

მე ვინატრებდი: ნეტავი ჩემს გამომცემელს ქადაღლის მოსვლამ შეუგვიანოს ზღვითა თუ ხელებით, რომ ნება-ნება, მუედროებითა და სიტკობებით ვწერო, რათა ჩემი სიტყვა გავფურჩქნო, გავჩარხო, გავაყაშაო და ისე წაერღვი მკითხველის წინაშე, აულოთ წრფელითა და სიტყვითა ნათელითა!

ო, როგორ მივყარს მუხლადი, ბედაური, მადღარი სიტყვა!

მშვენიერი ხარ, ბოხობო, ბოლო რომ გამოგიჩნდებაო, — ამბობს ხალხი.

ვნახოთ, რა ბოლო გამოჩნდება ამ ჩემს პატარა წიგნს — ვაფურცელას“.

¹ დ. შირსკი, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, მ., 1978, გვ. 225.

* * *

გიორგი ლეონიძე წიგნის ჰუმანიტარი რაინდი იყო. სიტყვებს, სიმღერებს, წერალებს, გამოცემებს უკვე პერსპექტიულად ჰქვამდა წიგნის ფურცლებზე, ვიქტრობ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მუდამ ჩვენთან ტრიალებდა, მონაწილეობდა გამოცემების მუშაობაში, თვით საწარმოო პროცესებშიც კი ერიოდა, აი რას მწერს ავი ერთ-ერთ წერილში:

„ძვირფასო მარკ ოზრაელევიცი თქვენ, როგორც „უბირო“ გამომცემელმა, არ შემისრულეთ დაპირება, არ წააიკითხეთ აწყობამდე ავტორის მისი ლექსები, ისაც სწვის მიერ თარგმნილი.“

მაგრამ, რაკი ვიცი გამომცემლობის პანიკური მუშაობის ამბავი, დაგვიმორჩილეთ სამაგეროდ დღის ექვს საათამდე ვფხზლობო (თქვენ ეს არ აგაღდეგებთ!).

ერთხელ კიდევ გადავხვედი ტექსტს და მესწორებები შევიტანე ცრთი ღამის განმავლობაში) ძალიან გოხოვთ გაითვალისწინეთ ეს ჩემი შენიშვნები და შესწორებები. დაველოდები კორექტურას, გოხოვთ ბეჭდვა უჩემოდ არ დაიწყოთ.

ერთი სიტყვით, ახლა მინც დარწმუნდებით, რა უანგარო მუშაკი ვარ გამომცემლობისათვის, მაგრამ, როგორც საადი ამბობს:

Свободному мало охоты
В окопы дать тело свое.
თქვენი პატივისცემული
გიორგი ლეონიძე

პოეტი ასეთივე გულმსუბურით ეკადებოდა არამარტო საკუთარ, არამედ ნებისმიერ გამოცემულ წიგნს, რომელსაც, ასე თუ ისე, მის ხელში უნდა გვევლინა. მახსოვს, რამდენი დრო და ენერჯია დახარჯა უიარაღოს „მამიკულას“ გამოცემისას. მერე რა გულიმსუბურით მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნში მისეული მხოლოდ წინასიტყვაობის რამდენიმე ფურცელი იყო. უნდა გენახათ, რა გულმოდგინედ ამოწმებდა სტრაქონებს, რარიც უხაროდა და ამყობდა, რომ იპოვა და წინასიტყვაობაში შეიტანა იშვიათი საარქივო დოკუმენტი, რომელსაც ამ ისტორიული მოთხრობის შესახებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ვარდა ამისა, გიორგი ლეონიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო მოთხრობის ბოლოსიტყვაობის განხილვაში გამომცემლობის მრავალ მაგიდასთან და ეს არ იყო გამოჩინების შემთხვევა.

გიორგი ლეონიძემ ბ. ლევინციის ლექსებზე კრებულს „ქართვლური ოდებისათვის“ დაწერა „სიტყვა მეგობარზე“. მერე კი გამომცემლობას გამოსაცემი ტექსტი და ანაწყოები გამოსთხოვა, რათა პირადად შეეჩომეშებინა ისინი, უფრო მეტად, რედაქციაში წარმოადგინა ბ. ლევინციის მისდამი მოწერილი წერილები. ამასთან, გიორგი ლეონიძე, მეცნიერებათა

აკადემიის ნამდვილი წევრი, ხანგრძლივად და დაძაბულად მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ წინასიტყვაობაზე, რომელშიც შემდეგამ დასოკილებელი მეცნიერული მნიშვნელობა მოიპოვა.

გიორგი ლეონიძის საზოგადოებრივი მუშაობა არ შემოიფარგლებოდა მარტოოდენ ჩვენი გამომცემლობის საქმეებზე ზრუნვით. მას უფრო ფართო სარბილზედაც უხდებოდა გამოსვლა. ასე, მაგალითად, ერთხელ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის მოწვევა წინ იგი, როგორც დეპუტატი, მოვიდა ჩვენთან გამომცემლობაში რთა გაერკვია, რა გვიწვლიდა ხელს მუშაობაში. რა ვეფრდა, ან რა სიძინელები გვექონდა. ქველადერ ამას გულდაგულ ყველვდა და გვეკითხებოდა. თუმცა, ბეკრი რამ უამისოდაც იცოდა, რადგან მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენთან. და არ, რესპუბლიკის მოაზრობის უმაღლესი ორგანოს ტრიბუნლიდან გაისმა მისი ოპანიანი ხმა: „უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობის არც ერთი დარგი არ ჩამორჩება ისე, როგორც პოლიგრაფიული მრეწველობა. ჩვენი სტამბების სიმძლავრე აბსოლუტურად არ შეესაბამება წიგნის გამოცემის თანამედროვე მოთხოვნებს როგორც მოცულობის მიხედვით, ასევე ხარისხით. სტამბეში ძალზე განხარგრძლივებულია საწარმოო პროცესი...“ ორატორი მარტო ფაქტების მოყვანით როლი დაკმაყოფილდა, მან მოითხოვა სასტამბო დაწვების პარკის განახლება, პოლიგრაფიული მუშაკების კვალიფიციური კადრების მომზადება (მათ შორის ასობამწყობების), ქადალდის ფონდის გაზრდა და სხვ. „უხოვრ სენიას, გათვალისწინებული იქნეს ჩემი წინადადებები და შენიშვნები“, — ასე დაამოავრა მან თავისი სიტყვა. ეს მაგალითი, რომელიც პირველი და უჩანახენელი არ ყოფილა გიორგი ლეონიძისათვის, გვიჩვენებს იმას, თუ როგორ გაიზარდა მწერლის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივანდ მუშაობისას გიორგი ლეონიძე ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ლიტერატურულ ცხოვრებას და ცალკეულ შემთხვევებში ორიენტაციას აძლევდა გამომცემლობას. ასე, მაგალითად, გამომცემლობისადმი მოწერილ წერილში გამოგების სახელით ითხოვდა 1952 წლის სარედაქციო გეგმაში გაკვეთვალისწინებინა პოეტ ალიო მიტრუხლავას ერთოტოვლობის და ემერული ფიციგინის მოთხრობების გამოცემა. უწევდა რა რეკომენდაციას ამ უჩანახენელს, გლეონიძე შემდეგნაირად ახასიათებდა ე. ფიციგინის შემოქმედებას:

„ამხანაგმა ფიციგინმა სამამულო ომის წლებში დაწერა რამდენიმე ამაღლევებული მოთხრობა საბჭოთა საქართველოს სახელგანთი შეილების — ჭარისკაცების, ოფიცრების, პარტიზანების შეუპოვარ სიამაყესა და გმირობაზე.“

ზოგი ნაწარმოები, რომელმაც გაუძლია დროის გამოცდას, ავტორმა გადააშუშავა, ხელახალი რედაქცია გაუყიფო და შეიტანა თავის ახალ კრიტერიუმში. ამხანაგი ფერაინი კარგა ხანია საქართველოში ცხოვრობს, იგი აკვირდებოდა და სწავლობდა შშრომელთა ცხოვრებას ომის შემდეგმ წლებში და ამ მასალაზე ააგო რამდენიმე მოთხრობა, რომელთა დასტამბვა განზრახული აქვს ამჟამად კრებულში. ხაზგასმით უნდა დავასახელო მოთხრობა „მშვიდობის იმედი“. სადაც ნაჩვენებია რუსი და ქართველი ხალხების ურღვევი მეგობრობა, ხალხისა და არმიის ერთობლობა. აგრეთვე მოთხრობა რაგი სხვა მოთხრობებისა, სადაც ოკრეე კეთილშობილური თემაა გაშლილი. ეს შეფასება. მიუხედავად მისი ლაქონიურობისა, შორსმჭვრეტელურად ათვალისწინებდა ავტორის მიწის ზრდასა და გაღრმავებას მომავალში. მარბდაც, სულ ოცოოდ წელმა განვლო და უკვე გამოცემულია ე. ფერაინის თხზულებათა სამი ტომი.

გიორგი ლეონიძე ძალიან ხშირად გვაცნობდა თავის შემოქმედებებზე გვიგებს და იმასაც თუ არა კონტაქტები ჰქონდა პირადად მას უფრნაღგაზეთების რედაქციებთან. ასე, მაგალითად, ერთ თავის წერაღში იგი მწერდა:

„ძვირდასო მარც იზრადევინი! ეს-ეს არის წამოვდეკი საწოლიდან. ვეყავი ავად. ხვალ მიინიდან გამოვალ, ზეგ კი, მგონი, მოსკოვს გავემგზავრებო.“

ღღეს „პრაღღისაგან“ უკვე მესამედ მივიღღდეკემა, მოხოვენი ლეკსება. უკვე მესამედ შემოგოთოვღღეთ (ღღენღრბისა და სხვეების პირით) გოგოგაგზაგნათ ჩემი ლეკსების ანაბუღღღი. თუ ზეღღღეტი არა გავღღთ, მაშინ მოხოხოვეთ მიინც... ძღღღიან, ძღღღიან გოხოხოვეთ უარს ნუ მეტყვიოთ. არღღღით არ მიინღღღოდა თქვენი შეწუხებე, მაგღღღამ რაგი მოსკოვს მივღღღეივარ, იქნებ ცოტაოთ მიინცღღღ დამეხმაროთ?

ბღღღევისცემით ბ. ლღღღონიძე

P.S. იქნებ „ბეროშღღელაც“ გამოიმგზავნოთ, თუნდაც ძვეღღი ვარინატი, თუ ახალი აწყობიღღღი არ არის“.

გიორგი ლეონიძეს ფართო ნაცნობობა და კავშირი ჰქონდა მომემ რესპუბღღიკის მწერღღღებთან. მრავალ რუს პოეტთან ე წლებების განმავლობოში ახლომეგობრული ურთოვერობოთა აკავშირებდა. როღღღესაც გამოცემღღღობის წინაშე დაინსვა საკოთხი მისი ახალი ლეკსებებისა და პოემების გამოცემის თოობაზე, გამოსაცემი წიგნის რედაქტორმა თხოვა ავტორს დაგისახეღღღებინა რუსი პოეტებზე. ვისაც ანღღღობდა თოვისი ლეკსების თარგმნას... რედაქტორის თხოვნის პასუხად გიორგი ლეონიძემ ქაღღღღის ფურცღღღელზე ჩამოწერა პოეტების გვარები: მარშაკი, ტოხოხოვე, პასტერნაკი, ზაბოღღოცკი, ვეგტუშენკო, ანტოკოღღღსკი, დევიკო, მარტინოვი, ტარკოსკი,

მეფეროვი, ვინკუტროვი, სვეტღღოვი... ყვეღღღა, ვისაც კი გამოცემღღღობამ თხოვნით მიმართა, მიეღღღო მონაწილეობა გ. ლეონიძის ლეკსების ახალი წიგნის თარგმნაში (ადრე თარგმნიღღღი ლეკსების ჩათვღღღით) ხაღღღისთ გამოგვემნაურა. ნიკოლოზ ტიხოხოვი წერდა: „შემიძღღღია ვთარგმნო ორასამედ სტრღღღეონი ლეონიძის ერთტოღღღეუღღღისთვის, მეტს ვერ მოვასწრებ თუ მუშოობას ოქტომბრისთვის შევუღღღებე. გამოიმგზავნეთ პწკარეღღღები ორიგინღღღთან ერთად“. აი, სხვა, მოკლე, ლაქონური პასუხები: „თანახმა ვარ, სვეტღღოვი“; მეფეროვი დაღღღეშოთ გვაცნობა: „მოხარული ვარ. შემიძღღღია ჩამოვიღღღე სექტემბრის ბოღღღოს ორი თვიოთ“. თარგმნაზე თანხმობა განაცხადეს ვინკუტროვმა, ტარკოსკიმ, აგრეთვე, სხვეებზე. და გაიმართა მიწერ-მოწერა, არა მხოლოდ რედაქტორსა და პოეტებს შორის, არამედ უშუალოდ პოეტებისა ავტორთან. ეს მოხდა ორმოცღღღათოინი წლებების მეორე ნახევარში, მაგრამ კონტაქტები პოეტებს შორის ჭრკიღღღევე უფრო ადრე, ათოუღღღი წლის წინ იყო დამყარებული. აი, მაგალითად, რას სწერდა 1946 წლის 31 მარტს ბორის პასტერნაკი გიორგი ლეონიძეს:

„ძვირდასო გიორგი ნიკოლოზის ძე! ღღღეს მივიღღღე მ. ი. ზღღატკინისგან თქვენი წერილი და პწკარეღღღები. ღღღი მღღღობა როგორც ერთის, ისე მეორესათვის. პწკარეღღღებში თითქმის ყვეღღღლა საუკეთესო ლეკსია, ღღღმა განწყოღღღის მქოღღღღე. გმღღღლობთ. უუპვეღღღად ვისარგებღღღებ ამ პწკარეღღღით“.

მაგრამ მოდიოდა ბარათები, რომლებიც არ იყო დავაშრობებული მთარგმნეღღღობით მუშოობახოსან. არ შემიძღღღია მთღღღიანად არ მოვიყვანო კორნელი ჩუკოვსკის წერიღღღი გიორგი ლეონიძისადმი.

„ძვირდასო გიორგი ნიკოლოზის ძე! თქვენმა წერიღღღმა პერეღღღეღღღიდან საყვარელ ქართღღღღში გაღღღომისროღღღა თქვენთან ერთად გვიღღღესღღღო „ქართღღღის ცხოვრებას“. გყნოსავ ტუბახმეღღღას ვარღღღების სურღღღეს, აღღღაცეღღღაში მოვიღღღეივარ რუსთავის ჩინარით, ენაღღღღობა ფორთოხღღღას ბეღღღე და ვიმეორებ ჩემი საყვარელი ლეკსის სტრღღღეონებს:

სიკუბუკე და ლეკსი ერთია, — ერთ ჩუქუტოღღღაში გამოქღღღიღღი. დიბეღღღეღღღა თუ არა რუსეთში ეს ლეკსი („პოეტი“) იმწამვე ზეპირად დაგვისომე, დამიტყვევა მისმა გასოცარმა რიტმმა და ჭეშმარიტმა სობრწმნე.

დასანანია, რომ ქართულად არ ვიცნობ თქვენს ლეკსს. იძულებული ვარ, გემანიო ჩაწვეღღღე იმ სიღღღამაზე, რისი გაღღღოცემავც მთარგმნეღღღებს ზოგჯერ გასკირეღღღებით. განსაკუთრებით მინღღღო-

მბარ ზღღღაბაიანი
სიბრწმნე პოეტღღღერი სიწიღღღიანი

და მომსახურება „გულს ბუდე არა ჰქონია“, „მხოლოდ შენ გიტყვის შენი ქვეყანა“, „მუხრანული ბაღადა“.

თუ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, არ მოგეშვებით, ვიდრე ამ ლექსებს ქართულად არ წამოკითხავთ. ნამდვილად მხოლოდ მაშინ ვიცანით, თქვენი „ჩემს შესახებ“ რომ წავიკითხე. თქვენი მოყვარული და მადლიერი.

კორნეი ჩუკოვსკი

დროული იქნება აქვე აღვნიშნო, თუნდაც მოკლედ, თუ რა ახლო მეგობრობა აკავშირებდა ორ პოეტ გიგანტს — ნიკოლოზ ტიხონოვსა და გიორგი ლეონიძეს, რათა წარმოედგინა გეგონდეს თუ რა დიდი როლი შეასრულა ხალხთა ინტერნაციონალური სულიერებითი აღზრდის საქმეში ორი ლიტერატურის — რუსულისა და ქართულის შემოქმედებითა მეგობრობამ.

თავის დროზე, ჭარ კიდეც 1972 წელს ჩემი წიგნის პირველ გამოცემაში („როდესაც წიგნი აღამიანებს აახლოებს“) მე გამოვაქვეყნე ნიკოლოზ ტიხონოვის წერილები მიწერილი გიორგი ლეონიძისადმი; ქვემოთ გავაცნობთ ერთ-ერთ მათგანს.

„ძვირფასო მეგობარი გოგო! გულითად სალამს გიძღვნი ქართული, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის დღესასწაულს — სახელოვანი ილია ქავჭავაძის იუბილეს წინა დღეებში. კარგად იცი ალბათ, როგორ ვესწრაფოდი ამ დროისთვის და გაცდებოდა ადრეც საქართველოში ჩამოსვლას, რათა დამეხვეწა ძველ მეგობრებს შორის და განმეცადა მრავალი ახალი სიხარული.

მეგრამ წყველი რადიკულიტი ფეხში ჩამაფრინდა, ჩამიჭირა და აღარ მეშეება. ამ გაუთვალისწინებელმა გარემოებამ მეტად დამადარდინა. როცა წარმოვიდგენ, რა სახალხო ზეიმები მოეწყობა თბილისსა და კახეთში, კიდევ უფრო მემატება დარდი. წლევანდელი წალი არ მწყალობს.

ქავჭავაძის საიუბილეო კომიტეტს მადლობის წერილი მივწერე მოწვევისთვის და თან დავუერთე ილიასადმი საიუბილეოდ მიძღვნილი ლექსიც.

თუ შეიძლება, გავცანი და წაიკითხე იქ, სადაც საჭიროდ ჩათვლიან. იქნებ დაიბეჭდოს კიდევ „ზარია ვოსტოკაში“ ან „ლიტერატურულ საქართველოში“.

ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს, როცა ხელთა გაქვს ტექსტი იმ ციტატისა, რომლითაც სარგებლობ, მოვიყვან აქ ამ ციტატას, მხედველობა-

ში მაქვს ილია ქავჭავაძის სიტყვები, რომელიც გამოვიყენე ჩემი ლექსისთვის: ...კარგია გოდებდელი აღამიანი მგარამ უფრო უკეთესია აღამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-აღტყინებულს, ჩემი ლამაზი ქვეყანაც, არიან ამისთანანი შენში!“

ეს „მგზავრის წერილებიდანაა“. გამარჯვების გისურვებ, გოგო, შენც და შენს ძვირფას ფეცილსაც. ბუნდური ყოფილიყოს შენი და შენი შეილებს ოჯახები. გისურვებ კარგ დღესასწაულს და ახალ შთაგონებას. ახალ ფიქრის საქართველოში ვარ, ზეგუსტროში. ვამთავრებ პოემის სერგო ორჯონიკიძესა და 1919 წელზე ჩრდილოეთ კავკასიაში, საღამო მეგობრებს. გენ ვივი.

ბ. ტიხონოვი.

მოწერე, როგორ ჩაივლის დღესასწაული“.

იმავე წიგნში ვწერდი: შეგჩერდები დიდი შემოქმედებითი მეგობრობის კიდევ ერთ მაგალითზე — ნიკოლოზ ტიხონოვს, რომელიც გიორგი ლეონიძის მიწვევით, საგურამოში იმყოფებოდა, სხვებთან ერთად მოუწია ილია ქავჭავაძის ხახლ-მუხუშუმის აფნიდან დამტკბარყო ცისარტყელას (ქვრიო, მოულოდნელად რომ აუკმაჰდა ერწოს მათა თხემებზე. შემდგომ ნიკოლოზ ტიხონოვმა დაწერა შეხანიშნავი ლექსი „ცისარტყელა საგურამოში“ მოამაქვს ამ ლექსის პირველი და ბოლო სტროფები.

Она стояла в двух шагах,
Та радуга двойная,
Как мост на сказочных быках
Друзей содиняя.

И этот свет все рос и рос,
был радугой украшен
От сердца к сердцу строят мост
Великой дружбы нашей.

შეუძლებელია აუღივლებლად წაიკითხო ეს წერილები. უნებლიეთ გეხადება აზრი შეკრიბო და ერთ დიდ წიგნად გამოსცე ყველაფერი მნიშვნელოვანი რუსი და ქართველი მწერლების მიმოწერიდან.

კორნეი ჩუკოვსკის წერილში გიორგი ლეონიძისადმი ჩემი ყურადღება მიიპყრო სტრიქონმა „ქუშმარტი სიბრძნის“ შესახებ. სწორედ ეს გახლავთ ის სიბრძნე, ლეონიძისფული ქუშმარტი სიბრძნე, ამ პატარა წერილის დახწყისში რომ ვახსენე.



წერილები



სოსო სიგუა

„მ მ კ ა რ ი“

„მბრანმა“ გასულ წელს გამოსცა მშვენივრად გაფორმებული კრებული „ზეკარი“. ეს წიგნი მრავალმხრივ არის საინტერესო და საყურადღებო. მასში დაბეჭდილია ის პოეტები, პროზაიკოსები, მთარგმნელები, კრიტიკოსები, რომლებიც ეს-ესაა გამოსცდნენ ახალგაზრდობის წლებს, მაგრამ უკვე მოასწრეს მკითხველთა ნდობის მოპოვება. მე მინდა ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ მათ შესახებ. ეს წიგნი ამ ავტორთა პატრიოტული სულისკვეთების გამოსახულებაც არის. მათ უარი თქვეს მონორაჩუნ და ძეგლოა დაცვის სამმართველოს გადაურიცხეს მშ ათახი მანეთი. როგორც ი. ციციშვილმა განაცხადა, ამ ფულით იქნება რესტავრირებული დმანისის რაიონში მდებარე „ლაშაის საყდარი“ — თამარის ეპოქის დროინდელი ძეგლი, რომელიც ბორცტომკმედემა ჩვენს თვალწინ აფეთქეს.

ანოტაციაში ნათქვამია, რომ „ზეკარი“ სამოცდაათიან წლებში ასპარეზზე გამოსული მწერლების კრებულია.

რა თქმა უნდა, ეს არ არის სწორი. წიგნში დაბეჭდილი მწ ავტორიდან 70-იან წლებში მ-4 თუ არის „გამოსული“. არათუ ცალკეული ნაწარმოებები, პირველი წიგნებიც კი 60-იან წლებში გამოსცეს ლ. სტურუამ, თ. აბულაძემ, გრ. ჭულუხიძემ, ბ. ნარანაულმა, მ. ჭგუბურიამ, ტ. მებურიშვილმა, ნ. წიკლაურმა. მართალია, „ზეკარი“ არ არის ანთოლოგია, არ შეიცავს ავტორთა საუკეთესო ნაწარმოებებს, მაგრამ მაინც შეგვიძლია მისი მეშვეობით ერთგვარი წარმოდგენა, თუმცა ერთობ არასრული, ვიჭო-

ნით იმ ახალ ნაკაღზე, რომელიც ლიტერატურის ხაერთო პროცესს შეუერთდა.

სახურველი იქნებოდა ამ წიგნში გვეხილა კიდევ რამდენიმე პოეტი, რადგან ამით უფრო ნათელი გახდებოდა შემდგენელთა ჩანაფიქრი და თანაც მკითხველი სრულად გაეცნობოდა იმ სახელებს, რომლებიც ბოლო ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე გამოჩნდა. რასაკვირველია, ყველა პოეტი როდია თანაბარძალოვანი. ეს არც არის აუცილებელი. ადამიანს იმაზე პასუხს ვერ მოხთხოვ, რატომ ნიჭიერი არა ხარო. მაგრამ გარკვეული ცოდნის, კულტურის, ეთიკის გამოვლენა ყველას მოეხოვება. საბედნიეროდ, კრებულში წარმოდგენილი ავტორები, თავიანთი შეცდომებით, უფერული ლექსებით თუ მომხიბვლელი სამყაროთი, ჭერჭერობით მაინც, პატიოსნად ემსახურებიან პოეზიას, რადგან თვლიან, რომ არ უთქვამთ ის, რისი გამჟღავნებაც ეწვიათ. ისინი ზვალის იმედით ცოცხლობენ და არცთუ უსაფუძვლოდ.

პირველ რიგში მე მინდა შევიჩერდე ავანგარდისტ პოეტებზე, რომლებიც თავიანთი მსოფლანცდით, სტილით, პოეტური ტემპერამენტით გაბატონებულ გემოვნებას ეურჩებიან და ახალი გზებისკენ გვიხმობენ, ახალ ორიენტირს გვისახავენ მიზნად, არ ირჩევენ საშუალო ხაზ ტრადიციულსა და ავანგარდისტულს შორის. ამიტომ არაიშვიათად აუღიბოარიის ნდობასაც ჰკარგავენ. ისინი გამოდიან სალექსო ფორმისა და სტრუქტურის, მხატვრულ სახეთა ტრანსფორმაციის პაროლით. მათ ძვალსა და რბილში გამჭდარია სურვილი განუ-



დელ განცდათა მიკვლევისა, გაუცნობიერებელ ფიქრთა გამგლეჯნებისა. მათი ავანგარდული სწრაფვა უპარტისი თანადროულობითა აღბეჭდილი და საინტერესონი არიან თუნდაც თავიანთი შეცდომებით, გადაჭარბებით (ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, ჭარკი ფხოველი).

ბესიკ ხარანაული 20-იან წლებში იგივე ფუნქცია შეასრულა თავისი თაობისათვის, რაც ოთარ ჭილაძემ — 60-იან წლებში. ნელ-ნელა იგი იქცა ამ უახლეს ნაქაღში არა მხოლოდ მთავარ ფიგურად, არამედ მისი მეტყველების სტილი, ინტონაცია, ახახვის მანერა შეუმჩნევლად შეიჭრა თანამოკალმეთა სტრუქტურებში. განსაკუთრებით ეს იოქმის იმ ლექსების მიმართ („კარტოფილის ამოღება“, „მომღვანე“, „სურათები მაწანწალა ძაღლის გზაზე“), რომლებიც მაქსიმალურად ნიუახლოვდა ფაქიზ პროზას, თანამედროვე ცხოვრების რიტმსა და ინერციას, ხოლო რაც შეეხება ვერლიბრს — მან იმპულსი მისცა ამ ფორმის გავრცელებას. მაგრამ თითქმის ყველამ თავივებურად გაიანჯრა ლექსობების ეს სახე (ჩ. ფხოველი, მ. წყვლაური, რ. კალანდია, გ. აღმაშენებელი, თ. ბეიშვილი...).

ბოლო წლებში ბ. ხარანაული უჩვეულო ლექსები შემოგვთავაზა. ამ ლექსებმა შეაცდუნეს არა მხოლოდ მკითხველები, თვით პოეტებიც, სადა და ბუნებრივი მეტყველება, ფოლკლორული მოტივები, ქართული იდიომებითა და კონკრეტული სახელებით დატვირთული სიტყვა, რომელიც ყოველთვის მახლობელს, ნაცნობს, მსოფლიურ გარემოს გვიხატავს, მე ვგვიჩრობ, სრულიად ახალი პერსპექტივის მანიშნებელია. აქ უკვე აღარც დგას ვერლიბრის პრობლემა, ფორმის საკითხი. ამ შხრივ პრინციპული მნიშვნელობისა არა მხოლოდ „კარტოფილის ამოღება“, არამედ მეორე ლექსიც „სიბრწყინების შემდეგ“, რომელიც წმ. მარია-მისაგან მივიწყებული ადამიანი თავის შემპარწუნებელ მარტოობას გვაცნობს. უჩინარი, უმნიშვნელი, თითქმის ბანალური დეტალებით უჩვეულო ეფექტის მიღება — აი რა არის პოეტის მიზანი. ამ სტრუქტურებს არ ახლავს პათეტიკა. ის ისევე ყოფით და არაპრობლემატულ განწყობილებას მოიცავს, როგორც ჩვეულებრივი სასაუბრო მეტყველება. პოეტი აქ რეესოსის ემგავანება, რომელიც აქტიორებს აქცეის ფუნქციის ზუსტ შემსრულებლად და ინდივიდუალობას საერთო მიზანს უმორჩილებს. სიტყვას, სახეს ბ. ხარანაული ართმევს სუვერენულ უფლებას და მილიანი სტრუქტურის რიგით ელემენტად აქცევს მოავარიო ტექსტის მიღმა მდგარი ავტორი, რომელმაც ყოველივე რაციონალურად გაიანჯრა და იხე დაწერა ლექსი. აქ ტრადიციული შთაგონების ძაღის წილ მოქმედებს ზუსტი გათვლის პრინციპი.

ბესიკ ხარანაული ბევრს არა წერს. ამას

თითქმის შეგნებულადაც აკეთებს. ასევე მისი მომგებიანია. ჭერ ერთი, პოეტი თითქმის სავანებოდ ემსაღება მკითხველთან შესახვედრად, მეორე, გვაძლევს შესაძლებლობას, რათა მკვეთრად დავიხსოვოთ, მეხსიერება არ გადავიტვირთოთ და ლექსები ერთმანეთში არ აკვერიოს. სხვათაშორის, ზოგი ჩვენი ლირიკისი, რომელიც ურიგოდ არა წერს, ვერ ახერხებს ყურადღების მიზიდვას.

ლია სტურუამ პოეტური აზრი ცნობიერების სრუებისაკენ წარმოართა. ის რთული გარდასახვის პოეტია და ყოველ წიგნში განსხვავებული ტონალობის ლექსებს გვთავაზობს. მაგრამ მათ ერთი ნიშანი აერთიანებთ — ეს არის რთული მეტყველების მოძალბა, ხანგრძლივი პიეტროფიული წარმოსახვა:

მის სახეზე მომწიფების ამის
მკბეწ წითელი ყვავილი ამოტეხავს,
ჩემზე
მძიმე და მტკივნეული ფიქრის ნიშანი...
ხოლო მომხიბლავ და ტკვიან მოძღვარს
ხელში პატარა ცული უჭირავს
და ხორკის რომ ეპავევს მშვენი კაცები,
ისე შემოჰკრავს ხეს შუატანხე-
ყვავილის ფუძესთან.

ამიტომ მოგოვება არათანაბარი ღირსების ლექსები. იგი უწყინარი ანუ ნაცრისფერი ლექსების უარყოფელია. სულიერი ენერჯის კონცენტრაცია ყოველ ნაწარმოებში ვერ ხერხდება, ვერ ხერხდება სიცოცხლის მინიჭება მხოლოდ სუბიექტის ხელში მორიგედ ლანდების-თვის. ეს კი ბევრს აძლევს საბაზს (თუმცა სრულიად უსაფუძვლელ) ილამპრავოს მისი პოეზიის მცდარ ექსპერიმენტზე. მაგრამ ლია სტურუა ავტორთა არაერთი შესანიშნავი ლექსისა, რომელთა მიხედვითაც უნდა შევფასოთ იგი. მე მიმაჩნია, რომ მას პოემა არ გამოუვიდა რადგან დამღლეული ვრცელი პოეტური ნაწარმოების მილიანად გაუცხოებულ სამყაროში ხეტიალი, რომლის ნივთიერი საყრდენი არსად ჩანს. ლ. სტურუას პოზიცია ერთგვარად მომგებიანია. მას აქვს ძლიერი ლექსების ჭკუფა. რომელთა გამოყოფა, ცალკე წარმოდგენა ყოველთვის ძალგეჟს. ზოგი კარგი პოეტის შემოქმედების ეს გეჟიორს, რადგან ისინი საინტერესონი არიან თავიანთი მილიანი სამყაროთი და არა ცალკეული ლექსებით. სხვათაშორის, ამ ფაქტზე ჩაფიქრება არ აწყენდა ჩვენს პოეტებს.

ლია სტურუას ლექსი თვით ლექსის წერის პრობლემის წამოჭრილი აზრებისა და განცდების შეცნობაა. იგი იდუმალი და ამოუხსნელი ფსიქიკის სტრუქტურებზე ამოფენაა. მას იზიდავს არა ხანის ზუსტი სახე, არამედ მისი დეფორმირებული ხატი, თავად ავტორის თვლით დანახული და სულში არეკლილი. ის მოვლენათა მეო-

რულ განზომილებას ეძებს, იმ დეტალებს კრებს, რომლებიც ხულის სიღრმისეულ შრეში ძეგს და არაცნობიერის კუთვნილებს. ამიტომ ახლავს ერთგვარი სიძნელე ამ ლექსების აღქმას, რადგან ისინი ინსტიტუტურ და თანდაყოლილ ემოციებს ნაკლებად მასულობენ.

როცა ჭარბი ფსოველის ლექსებს ვკითხულობ, ყოველთვის მიჩნდება აზრი, რომ პოეტი თავისი რთული განცდებით, მასშტაბური წარმოსახვით ლირიკის რკალში ავარძლებს მთოლოგიების ტენდენციას. ოღონდ ეს ხდება არა უკვე არსებული სტრუქტურების ვარიანტებით, არამედ ფსიქიკური მირაჟების რეალიზებით. მისი ლექსი განმარცხდება სამკაულისაგან, ტრადიციული პოეტიკისაგან, რაც მხოლოდ რითმის როლი გულისხმობს, როგორც ხშირად გვგონია. ქ. ფსოველი ქაოსური ერთიანობის გამოსახველია სიტყვაში. იგი იბრუნებს იმ ინტუიციურ მეთოდს, რომელსაც პოეტური თქმა მიაჩნდა აღქმის დაუნაწევრებელ გაალებად. ასეთ ფიქრს აღმოჩნავს მე ლექსების ციკლი — „როცა განვიღო გზას ვაჟყურებს მგზავარი“.

ქ. ფსოველი ყოველთვის იღვას ყურადღების ცენტრში. მის ლექსებზე კამათობდნენ, უარყოფდნენ, იწონებდნენ, როგორც პრესაში, ისე „ნეპარში“ კრიტიკაში“. ბევრს ახეთი აზრთა სხვადასხვაობა შეეკროთება კიდევ, მაგრამ მას აღმოაჩნდა მტკიცე ნებისყოფა, საყოფარი თავის რწმენა, ერთგულება იმ გზისადმი, რაც განგებამ დაუსაზღვრა. თუ ერთი პერიოდის ლექსები არ იყო განრიდებული ცვიი რაციონალიზმისაგან, მთლიან წლებში მან სიტყვას მტკიცე სითბო შესძინა, გულიდან შობილი აზრებით გაანათა სავანები. ალბათ ამიტომაც იქონია ზეგავლენა იმ ახალგაზრდა პოეტებზე, რომლებიც ახლა იწყებენ ლექსების ბეჭდვას. მე ვფიქრობ, ჩვენ ცულად ვიცნობთ მის პოეზიას, რადგან ახალ წიგნში ძველ ლექსებს როდი ბეჭდავს. ხოლო ყველა კრებულს რომ თავი მოვუყაროთ და იხე შევხედოთ პოეტს — ეს რატომღაც გვეჩნდება.

ავანგარდული ნაკადის სხვა წევრებს „ნეპარში“ ვერ იხილავთ, მაგრამ ხომ არსებობენ, ქმნიან და ბეჭდავენ. თუმცა, წინამორბედთაგან განსხვავებით, უცხოობენ ექსპერტურლობას, სმარტსა და ლექსარაკობას. მათი ცხოვრების წესიც ჩვეულებრივია. ისინი აღაშინათა მასაში არაფრით ყურადღებას არ იქცევენ.

მე არ მინდა „მოდილები“ თუ „ნაკადები“ დაღვანა. ეს შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ხელთ გვაქვს ერთი კრებული, თუმცა საკმაოდ განმსწავლებელი. თანაც ჭერ მთლიან პროცესთან მიმართებით ყველა ავტორის სტილი და სახე როდია გამოკვეთილი. შეიძლება მათ ბევრი რამ აშორებთ, ბევრი რამ განასხვავებთ ერთმანეთისაგან. რაც თავის მხრივ, ალბათ ქმნის კიდევ ზიარ პრინციპებს, მაგრამ მათი ლენა ჭერ ნაადრევად მიმჩნია. დრო მომა-

ვალში უფრო ნათლად გამოავლენს მათი როვნების სტრუქტურას. ამ სტრუქტურის ფასეულობას. ამიტომ მე აღარ გავაგრძელებ პოეტთა დაჯგუფებას „ტრადიციონალიზმის“, „სტილიტარზიზმის“, „ასტრაქციონიზმის“ ცნებებზე, არც ახლ იმათ გამოყვან ცალკე, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ტრადიციის ავანგარდიზმთან ზომიერ სინთეზს, მშვიდობიან მორიგებას (გ. აღზაზიშვილი, მ. წიქლაური).

აქ ერთი რამეც უნდა შევნიშნო: მე მინდა „ნეპარში“ დაბეჭდილი ლექსების თუ მოხრობების შემოვლით აღვადგინო ავტორთა პორტრეტები, როგორც შტრახები, რადგან დეტალური, კონკრეტული განხილვა აშკრად, არა მგონია, რომ გამართლებული იქნას. მიზეზი გასაგებია: როგორც აქვს, ავტორებმა კრებულში შეიტანეს ადრე დაუბეჭდავი და არა საუკეთესო ქმნილებანი.

„ნეპარში“ დაბეჭდილი თითქმის ყველა პოეტი გადაცდა მს წელს, დაემშვიდობა სიკბამუკის ხანას. ასაკს ყველგან იდლი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პოეზიაში — ალბათ ყველაზე მეტად, რადგან პოეტი გარემოსთან მიმართებით შიფრავს თავის ფსიქიკას. ის კი არ იგონებს საშუაროს, არამედ სულიდან შობს. ცოდნა მას სჭირდება იმდენად, რამდენადაც უყვთ შველის თავისთვის გამუდმანებაში. ამიტომ ამბობენ, რომ „სიკბამუკე და ლექსი ერთიაო“: ხოლო სიკბამუკე სულსანსაბას განმარტებით ჰმოდან მშვიდამდე გრძელდება. სწორედ ამ პერიოდში შექმნილა პოეტური შედეგების უდიდესი ნაწილი, როცა შემოქმედი თითქმის არც იცნობს ცხოვრებას. გამონაკლისთათვის ხელოვნებაში მუდამ იქნება ადგილი. მაგრამ პოეტს, რომელსაც სიკბამუკეში თავი არაფრით გამოუჩინია, არც შემდეგ განუცვიფრებია ვინმე. ოღონდ ეს ყოველივე იყო ძველად. ჩვენ დღეს სულ სხვაგვარი ტრანსფორმაციის მოწმენი ვართ. პოეზიის ასაკმა საგრძნობლად გადაიწია. ალბათ ამისი ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ მშვიდი და წყნარი ატმოსფერო, რომელიც არ არის დამუხტული დრამატული ვენებებით. დღეს პოეზია თანდათან, ნახტომების გარეშე ვითარდება. პოეტებიც თანდათან, თითქოს შეუმჩნევლად იზრდებიან. ეს შეეხება არა მხოლოდ ახალთაობას, არამედ აღიარებულ ოსტატებსაც (ი. აბაშიძე, მ. ლებანიძე, შ. ნინიაიძე, ტ. ქანტურია...).

ამ წიგნში დაბეჭდილი ავტორებიც ასეთივე ევოლუციის გზას მიუყვებიან. შეიძლება ეს აზრი მთლად ზუსტი არ იყოს ბესიკ ხარანაული-სა და ლია სტურუას მიმართ, მაგრამ ძირითადად ხომ ასეა. უნდა ითქვას, რომ ახალთაობის პოეტური ევოლუციის ხაზი ზევით მიდის და მათი ყოველი ახალი წიგნი მეტი ემოციურობით, პროფესიონალიზმითა და ავტორიცი-

სოსო სიგუა
„შეპარო“



დატვირთვით გამოირჩევა. სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ ისინი სვალ და შუბ კიდევ უკეთეს ლექსებს დაგვიწერენ. ცხადია, კრიზისული სიტუაციისგან არავინაა დაზღვეული, არც ცალკეული ხელისმძივარა უნდა გავკვივრდეს. მთავარი ის არის, რომ ისინი შვედ იქნენ ქართული პოეზიის სერიოზულ ძალად. არ უნდა დაგვაფიქვადეს, რომ პოეზიის ასაკი საგრძნობლად განსხვავდება ადამიანის ბიოლოგიური ასაკისაგან. იგი სიჭაბუკესთან არის წილდაყარი. მაგრამ როგორც იცვლება ღირსკის არის და იგი ნაკლებად ლირიკული ხდება, ასევე ტრანსფორმირდება მისი გამოწვევი მოტივები. ერთი სიტყვით — ძნელია არსებულით არარსებული გასოფა და შეფასება.

არამედ ინდივიდის ძალითა და ღირსეულობითა პოეზიისათვის კოლექტივში ბევრს არაფერს ნიშნავს.

მაშუა წიკლაურის პირველი წიგნი 1968 წელს დაიბედა, მეორე კი — 1975 წელს. ასეთი ინტერვალი ჩვენი სინამდვილისათვის უნდა იყოს. მაგრამ იგი ნათლად შეტყველებს თუ რაოდენი პასუხისმგებლობით ეკიდება პოეტი სიტყვას, როგორ შეცრ მოთხოვნას უყენებს საკუთარ თავს, რადგან იოლად არაფერი მოდის პოეზიაში და გაურჩეულად არც დემოთები გვანებებენ. ეს წლები მ. წიკლაურისთვის იყო საკუთარი ინდივიდუალობის, პოეზიის მრწამსის დადგენის პერიოდი. როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად იგი ისწავფვის ქართული ვერლიბრის შესაქმნელად რასაკვირველია, ის მართო არ არის. მაგრამ პოეტის გამორჩეული ღირსება გახლავთ ის, რომ მისი მიზანია არა სტრემეობილი ფორმების დამკვიდრება, არამედ ვერლიბრის შეკრებად რეგლამენტრებულ სტრუქტურაში ახალი იერსახის აღბეჭდვა. მ. წიკლაურის ლექსების ორიგინალობას, მომხიბლველობას იწვევს არა მხოლოდ სიტყვიერი სიტყვიერება, არამედ კონკრეტული დეტალების სიუფაქივე. მშობლიური ლანდშაფტების და გარემოს ემოციური აღქმა, ხელახალი განცდა და მოგონება. მართალია, ის თითქმის ებრძვის ლირიზმს, სინატიფეს, ესთეტიზმს. მაგრამ ფაქტიურად მისი საკუთესი სტრიქონები სწორედ ლირიკოსს ამხედენ. რომელიც უფრო ტრადიციის დამცველად და გამგრძობელად გამოდგებოდა. ვიდრე დარღვევად (გამომედევისა და გამოკვედე ოცდახუთი წლის წინანდელი ბურსაჰირიდან — სიზმრიდან — თითქმის იქ მივატოვე ჩემი ბავშვობის ერთი საღამო და სასაფლაოს მანქანასავით ცარიელი დატვირთული უქანა). ამიტომ დაჯარული შვიის და ბავშვობის ნოსტალგია უფრო მსკვალავს სტრიქონებს, ვიდრე შეცდომის ინტელექტუალური სურვილი.

ჩვენ დღეს გვყავს ვერლიბრის რამდენიმე ქარგი ოსტატო. მაგრამ თავიკუფალი ლექსის მეგეშიონია არა მგონია პოეზიისთვის კარგის მომტანი იყოს. ლიტერატურას ყოველგვარი ფორმანებრდება. ნურც იმას უგუდავებულეყოფო, რომ კლასიკური ლექსი ოსტატობის სიკლადია, რომლის გუფა შედეა პოეტს ევალემა, მაგრამ არიან პოეტები, მერწილად შესიკალური ბუნებისა, ლირიკული განწყობულებისა, რომელიათვის რომთა უმოთარგისი კომპონენტია. მე მგონია, ამას ყველა არ უწევს ანგარიშს და შედეგაც ხელთა გვაქვს ჩაეროლად „რომების ამოწურვა“ შეუქმნებელია, მოთუშეტეს ქართულ ენაში. გაუქმებულად ხომ ის რითები ჩაითვლება, რომლებიც შედეგებში შედრება. შედეგები კი ცოტათა. ვერლიბრი ბოლო ათწლეულის სანტერესო და საკულისხმო მოვლენია. მაგრამ მისი დაპირისპირება თუ გაჭიბრება კლასიკურ ლექსთან, რომლითაც გენიალური ოსწულებანი და-

ახლოობის პოეტების მეტი ნაწილი კონკრეტული საგნების და განცდების მხატვარია. ისინი სიტყვაში, სიტყვის სამუაროში არ ხედავენ ქვეყნას. თუმცა მშვენივრად იციან, რომ სიტყვა არის მაგიური ძალა და საშუალება, მანც კულტად არ სახავენ მას. ფსიკიკური მღეღავარება საგნებად გადმოდის. უსიქია, საგანი, სიტყვა — ამ სამ მარადიულ ტრიადში მათთვის მთავარია პირველის მტკიცე შეუღლება მეორესთან. ამიტომ მათ შეიძლება კონკრეტისტი პოეტები ვუწოდოთ (მ. ხარანაული, თ. ბეჩქვანი, ი. ორბელიანი, მ. გუბუჩკია, მ. წიკლაური...). ხოლო კონკრეტული რეალობის პოეტურ განცდად ქცევა რომანტიზმის, მეროზმის საბიოსპირო მოდელია. მას წვეულებრივი, უბრალო აღმანი აინტერესებს, რადგან მისი ხასიათი, შეხედულება, სული მერწილ ყველასთვის მასლობელია და გასაგები.

კონკრეტული საგნებია გობი, სკამი, სახლი, ყვავილი, პეიჯი, ხე, მდინარე, მთა. მათი ზუსტი ხედვა, სწორი სიტყვიერი გაზრება ლექსს ანიჭებს ობიექტ ხილვადობას, ამარებს მიწასთან. მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვადეს, რომ ეს მიწა, ეს ცხენ, ეს მდინარე ამავე დროს კონკრეტული ერის კუთვნილებია, კონკრეტული გარემოს აღმნიშვნელი. ამიტომ საგნები თუ აბსტრაქტული დრო-ხივრცეში მოვაციოთ, სულ ერთია, მიზანი მიუღწეველი დაგვრჩება. ამას გააზრება არც უნდა, ნამდვილი პოეტები ინტუიციურად გრძნობენ საითყენ უნდა წარმართონ ფაქტობრივი.

რასაკვირველია, „ახლოობა“ პირობითი ცნება და ის სრულადაც არ ნიშნავს, რომ დღეს მოსული პოეტების ჭკუდი რაღაც ერთიან სიხტემას ამკოლბრებენ, რაღაც ხაერით ორღუნს ქმნიან. მას მნიშვნელობას აძლევს დროის მდინარება და იგივე დრო უსაგნო ტერმინად აქცევს ხოლმე. ის უბრალო ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გამომხატველი სიტყვაა. ამდენად ნაკლებად საინტერესოა, ვინ არის „სამოციანილი“ და ვინ კიდევ „სამოციდათიანილი“. დღევანდელი ლიტერატურა მომავალს ვადაცემა არა თხოზათა კავშირით და ერთობით,



იწერა, აბსურდია. ისიც უნდა შევინიშნო, რომ ამდენი მსჯელობა და კამათი ლექსის ფორმის შესახებ, მის მთავარ პრობლემად ქცევა, არ არის სასურველი. ხომ არ მიგვაინიშნებს ეს ერთგვარ „აზრობრივ შიშხილს“?

თუღო ბექიშვილი უკიდურესობათა უარყოფელი პოეტია. პირველივე ლექსებიდან იგი გაურბის ნოვაციებს და უფრო ტრადიციულ, დამკვიდრებულ თემებსა და მოტივებს ენდობა. მისთვის განსაკუთრებით მახლობელია ჩვეულებრივი ადამიანის, მასის უბრალო წევრის კონცეფცია, რადგან პიროვნული, ინდივიდუალური ყველასათვის მახლობელი და გასაკგობია. თ. ბექიშვილის ლექსების პოეტიკაც ამ კომუნიკაბელობით არის განსაზღვრული. მას ძვირად უღირს შკითხველი, პატივს სცემს და ენდობა მას. ავანგარდული ყოფიანის, ფორმალისტურ-ეთეროზების თუ ინერციული ლირიკის უკრთიეროზების მიღმა დგას მისი ნათელი და გამჭვირვალე ლექსი, როგორც პიროვნების სულში გავლილი ტრადიციის რენტგენული სხივი. ეს ლექსებიც ერთი მცირე ნაწილია პოეტის ოცნებების.

ჩვენ მებრძობად დიდ ყურადღებას ვაქცევთ ორიგინალობას. ეს ცნება რაღაც უნივერსალური, ყოვლისშემოცველი აზრით დავტვირთეთ. მაგრამ იმას კი ვივსწევთ, რომ ორიგინალობას თუ პოეტური ინერჯია არ მოსდევს, თუ შენს დამოუკიდებლობას და თავისთავადობას ძალია არ განამტკიცებს, ყოველი ცდა ვანწირულად უნდა ჩაითვალოს. აბა გადავხედოთ ჩვენს დღევანდელ პოეზიას. რამდენი ორიგინალური, მარათლაც საკუთარი ხისი პოეტი გვყავს. თითქოს არავინ არავის ზამკას, ყოველ შემთხვევაში — მიზამკა სამრახის საქმედ მიგვანჩია. მაგრამ რა ჩვენ ცოტა გვყავს კარგი, ხაინტერესო, შესანიშნავი პოეტები, მაგრამ გაცილებით ბევრი — ორიგინალური, ისეთი, რომელიც სხვაში არ შეგვეშლება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ, მართალია, პოეტმა გაამყდევნა საკუთარ სულსა გენებში ნაწერილი ინფორმაცია, მაგრამ ის იმდენად უმნიშვნელო და სუსტი აღმოჩნდა, რომ არც ამით ეშველა საქმეს რაიმე. ცხადია, უკიდურესი მასინც დადის ტალანტამდე, რომელიც ქვეცნობიერად არის მოქცეული პიროვნების ბუნებაში. მაგრამ მას ხსენს და შიფრავს ვარემო, რომელიც წარუბოკილ ნიშნებს დაატყობს ნაწარმოებს. ამით ახსნება იმ ნოქიერ პოეტთა თავისებურებანი, რომლებიც ბევრიხათვის გაუგებარია. ეს თავისებურებანი ფსიქიკასთან ერთად დრო-სივრცითაც არის გამოვლენილი.

გურამ პეტრიაშვილის ლექსებიდან აღსანიშნავია „სიხმარანი კაცი“. განსაკუთრებით კარგია პაროდული დეტალი — ბედნიერი კაცი სიხმარშიც იგივეს ხედავს, რასაც — ცხოვრებაში. გ. პეტრიაშვილი ცდილობს პროზაულის პოეზიად ქცევას, რაც ხაინტერესოა თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად მინიმალური

შედეგის მომცემია. მას უყვარს პროზაული ლირაში ლაპარაკი სხვათა მიხამართით. მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ არ შეიძლება იყო პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი, აქტიორი, რეჟისორი და თანაც პროფესიონალობის პრეტენზია გაგანდეს. ასეთი შრავალმხრივი გატაცება, საკმაოდ გვიან გამხელილი, მას ღიღუტატად წარმოაკვიდგენს და ხელს უშლის, რომ თავისი ნოქიერება სრულად გამოავლინოს. ასევე ხელს უშლის ლიტერატურულ-ესთეტიკური ერთდაციის ნაკლებობა, რომლის შევსებასაც უცნაური შეზღუდულებით ლამობს.

მურომან ქაჭუბურის ლექსი „თხმელა“ კვლავ ქაობანი მხარისაკენ შეგვახედებს, რომელაც ლაქაშებს დაუფარავს თხმელა, ქარგავლი. ცეება, ქაობი ის ლექსიკური ერთეულებია, რომელთაც ვარდასული ფაშის სურნელი მოსდევს. მაგრამ ისინი მარტო სიტყვები როდია, არამედ პოეტის შიერ განცდილი კონკრეტული საგნები, რომლებიც წარმოსახული, ოცნებით აღდგენილი სოფლის მოდელს ქმნიან. მ. ქაჭუბურის აქვს გამორჩეული თემატიკა, მასალა, მიტყვასთან დამოკიდებულება. ეს ლექსი მშვენიერი მაგალითია იმისა თუ როგორი სინათლით, სისადავითა და ემოციურობით არის განმსჭვალული პოეტის შეტყველება. „თხმელა“ ამჟღავნებს საგრძნობ სიახლოვეს ბ. ხარაჩაულის სტილთან.

შოთა ქავთარაძის ლექსები ნაკლებად ჩანს ჩვენი პრესის ფურცლებზე. ავტორი ცოტას წერს და იშვიათად ბეჭდვს. არა მგონია, ასეთი სიზარბაცე რაიმე კარგს გვიპრდებოდეს, რადგან იგი ხელს უშლის საკუთარი ინდივიდუალობის წარმონიქვას, აღუნებს განწყობილებას და საერთო ფარვატრს უშორილებს. მაგრამ იმ მცირე რაოდენობის ნაწარმოებებში, რომელთაც დროდადრო აქვეყნებს შოთა ქავთარაძე, ვლინდება პოეტის კეთილშობილი ბუნება, ადამიანისადმი რაღაც განსაკუთრებული სითბო და სიყვარული. იგი ვეახლოებს იმ ლირიკულ სულთან, რომელსაც ბევრი პოეტი თითქოს შეგნებულად ნიღბავს და რომელსაც გაურბის:

ჩვენი ღროც დადგა...
მივიხურეთ სამოთხის კარი.
აღარ წყრიალებს სასთუმლოთან
შურთხების ზარი,
აღარ გვეძახის,
გაფენილი მინდვრებზე ელდად —
მდინარის სული, ქარის სული და
მთვარის ელდა.

თეიმურაზ აბულაძე ერთობ პატიოსანი და მოკრძალებული პოეტია. იგი ერიდება ახალი გზების მოხიჩკვას და უფრო ტრადიციული წარმოსახვის რკალში მოძრაობს, მისი ყოველი ლექსის მიღმა დგას კეთილშობილი და ნათელი პი-

სოსო სიგუა
„ნოპარტი“

როვნება. დამახულობა, დრამატოში ახლავს მის საუკეთესო სტრიქონებს, რომელიც იშლება როგორც პათეტიკურ, ისე ლირიკულ ინტონაციებში (ვიგონებ შენთა ყვავილთა ცქერას— დრომ რომ მოაშთო და გადაცელა... ვაწაფხულია შენდარი ცერზე, ხვალ ია-ია აწოვა ცრემლად). თ. აბულაძე უშუალო ცხოვრებისეული წინაპირობებისა და განცდების ფიქსირებას ახდენს, პრინციპულად უარყოფს ლიტერატურულ რემინისცენციებს. მაგრამ მე მგონია, წინაწინააღმდეგობას ვერ იცავს, რადგან ზედმეტად ენდობა საკუთარ აღქმას და არ იზიარებს საერთო პოეტურ გამოცდილებას, არ ავლენს იმ ინფორმაციას, რაც მის ლექსს ჩართავდა რაღაც გარკვეული სისტემის წრეში.

ზაალ ებანოიძე ლექსთა რამდენიმე კრებულის ავტორია. მაგრამ მასზე, ისევე როგორც არაერთ პოეტსა და პროზაიკოსზე, კანტიკუნტად იწერება. უნდა შევინიშნო, რომ ზ. ებანოიძე ნამდვილი განცდების პოეტია, კარგად ფლობს სიტყვას, წერს ნათლად და ემოციურად. ის არ გვეცნობს რაიმე განსაკუთრებულ კონცეფციას, არც უჩვეულო სამყაროს ხატავს. სასიამოვნოა, რომ მის ლექსებს ეტყობა პოეტური ტანჯვის შედეგად მიღწეული სიმსუბუქე. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ აკლია სიმკვეთრე, რათა მტკიცედ აღიბეჭდოს ცნობიერებაში. მკითხველს მისი სტრიქონები მალე ავიწყდება, რადგან ისინი ჩვენი სულის ყველაზე ფაქიზ სიმებს არ ეხებოან. არ ვიცი როგორ, მაგრამ აშკარაა — პოეტმა შეიტკინა დრამატოში, სიმძაფრე, აზრობრივი სიტამამე უნდა მიანიჭოს სიტყვას.

პოეზია აგრძელებს აბსტრაქტული ფანტაზმების გამოწიერების, რეალობად გარდასახვის ხაზსაც. ასეთ დროს პოეტი სწორედ სიტყვებში ხედავს სამყაროს და სიტყვის არსში შეტყობს წადება ყოფიერების არსსაც. ბუნებრივია, ამ დროს ნაგრძნობისა და უზიდავის, ფარული სულიერი მიმოქცევის გამჟღავნებაა მთავარი ისე, რომ მნიშვნელობა არა აქვს აღქვადურ შესაბამისობას კონკრეტულ საგნებთან. აქ უკვე თავს იჩენს გ. ტაბიძის პოეზიის ძლიერი ინერცია. ასე შექმნილ ლექსებს ახლავს რაღაც დილისა და განუმეორებლის, ამაღლებულის პათოსი, წამოიწევა სიტყვის მუსიკა, სიტყვის კულტი, ლირიკული გმირი რაღაც უჩვეულოა და განსაკუთრებულ გავსუწევს. ის ლამობს ჩვეულებრივი განწყობილებისაგან გამოცალკევებას. მსგავსი ტენდენცია შენარჩუნებულია, ცხადია, სხვადასხვა ფორმით, ამ კრებულის ზოგიერთ ავტორთან (ლ. სტურუა, ჯ. ფხოველი, ტ. მეტუაშვილი, გ. ალხაიშვილი). საერთოდ არც ახეთ დაყოფას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რადგან პოეტი სულაც არაა ვალდებული ერთი სქემით თავს იზღუდავდეს. ის მუდმივად იცვლება და ეს ტრანსფორმაცია ინდივიდუალურ ელფერს იღებს.

პოეტისა და მხატვრის ესმა ონიანის ლექსე-

ბის პირველი წიგნი ამასწინათ გამოიცა. იგი რთული პოეზიის მიმდევარია, რაც, აგრეთვე სპეციფიკური ნიშნები, ხაგრძნობლად აახლოებს ღია სტურუას პოეზიასთან. განსაკუთრებით კარგა ფიროსმანისა და ტურენტი გრანელისადმი მიძღვნილი ლექსები. მაგრამ მე ვფიქრობ, ე. ონიანის სასურველი არტისტიკური ვერ ფლობს რთული მეტყველების ხელოვნებას. ამიტომ არაიშვითად გაერევა ბუნდოვანი ან ნაკლებად პოეტური ფრაზები: „განვიცდემ შოხასნი ფულუროება“, „ყველის მყარია ბიბინი“, „მუშაბა აწებებო მოწრიახენ აყვა იდაყვებს“, „დაუძებნელ, უსაფუძვლო განგაშთა ფშვიწა“ და ა. შ.

წიგნში დაბეჭდილია ნაწყვეტები ტავე მეტრიკული მხარის ლირიკული პოეზიიდან „ზოლორომელი ცხოველ არს“. საერთოდ ტ. მეტური. შვილს ჩვენ ვიცნობთ როგორც თანამედროვე თემატიკის პოეტს. მას ისტორიისათვის არასოდეს მიუშვრთავს. ამჟამად კი XVII საუკუნის ფონზე გაშალა თავისი ახალი თხზულება. ეს საისტორიოა მიმდევარია, რომ მან მოინდომა საკუთარი ლექსის სივრცის გაფართოება, მეტი დრამატისება. XVII საუკუნის გახსენება მუდამ მწუხარე ფაქტებისა და ასოციაციების აღმშრელია. პოეტის ფანტაზიასაც ამდენად აღვლევს ეს პერიოდი. იგი წარმოგვიდგინს რეალურ, ისტორიულად არსებულ პიროვნებებს (საკაძე, თეიმურაზ I და სხვ.), რათა სათქმელს ბუნებრიობა და დამატებლობა შექმნათ. პოეტს ნაწარმოებისათვის ორიგინალური ფორმა მიუცია; იგი თითქოს გარეზულადღაც წაგავს სმლით დაკუნულ და ციცილში დაფერვლულ ძველ საქართველოს. ეტრატებს, რომელთა გადარჩენილი ფურცლები მრავალწერტლებითაა ხვხვ ტ. მეტურიშვილი მეტაფორული ხატვის პოეტია. ძალდაუტყებლად იმორჩილებს სიტყვას (როცა წლის შემდეგ შემოსილი შუქთა მოვითა, ჩემი ხაზმრებას გაწაფხული ისევ მოვიდა, კი არ მოვიდა, საყვარულის ფრთებით მოცრინდა შენ წარსულის დატრებულ წუთისოდღად. რე მის მოხვედრე ჩემთან გულწითელა შვით და სამოთხით და ჩემს მარცხენა ხელს გულზე ბედს მკითხაობდი“).

საერთოდ პოემის ტანრი ძალიან არაპოეტურულია ბოლო ათწლეულში. თვით ისინიც, რომლებიც განუხრებლად ესწრაფვიან ლირიკული პოემის დამკვიდრებას, მისი ორიგინალური მოდიფიკაციების წარმოდგენას, თითქოს განზე ვადგენ, დაცრინენ და თავიანთი უნარი სხვა კუთხით წარმართეს. ახალთაობას არ მოუცია პოემის განსვავებელი მოდელი, არც დადი ენი, რეია დაუზარჯავს ამ თანრის სფეროში. თითო ორილა, თუნდაც გახმარებული ნაწარმოები, ისევ ლირიკის გავრცობაა, მისგან არის დავალდებული (მაგ. ბ. სარანაულის „ხეიბარი თოჯინა“). ახალთაობის სპეციფიკური თვისება არის ის, რომ იგი არ ცდილობს კანონიკური ფორმე-

ბის ეროვნულებას, უანრების საზღვრების დაცვას და უფრო ქაოსური მრავალგვარობის მიღწევას ლამობს, რომელშიც იშლება ლირიკის, ლექსის, პოემის, პროზაული ეტიუდის სახეები. ალბათ ამ ქაოსიდან მომავალში აღდგება წესრიგი. დღეს კი პოეტები ნაკლებად არიან ლირიკოსები, მგონსები. მათი ხმა თუ აზრი არ არის პროფესიულად დიფერენცირებული. უანრობრივი დიფუზია, ქაოსური ფორმა ინახავს სინთეზურ, მთლიან, დაუნაწევრებელ მიღრეკილებას, უხილავის წვდომის ექსტაზს.

ყოველივე ეს კი ანელებს კონკრეტული განცდების სინთეზს და გზას ხსნის სიმბოლური მტკაცულებიდან, რომელიც რთული პრობლემაა, ერთგვარი ფილოსოფიური ხაზგაბარიტი ეკიდება ცხოვრებას. ალბათ ამანაც გამოიწვია დაცობა მასებისაგან, მათი ინტერესების დაშორებაც. ეს დროებითი მოვლენა უნდა იყოს, რადგან მასა კონსერვატიულია. იგი ვერ იტანს არსებული, დამკვიდრებული ეტალონების შეცვლას, ტრადიციების რღვევას. შემცვლელსა და დამრღვევს იგი უნდობლად, მტრულად ეკიდება. შემდეგ თავად დრო სპობს ასეთ კონფლიქტს, უნებურად, მაგრამ ბუნებრივად გაჩენილს.

გრიგოლ ჭულუხიძეს ლექსების მთელი ციკლი გამოუქვეყნებია „ზეკარში“. იგი არაერთი წიგნის ავტორია. პოეტის პირველი ნაბიჯები შეუმჩნეველი დარჩა ლექსის მოყვარულთათვის. მაგრამ მან თანდათან უმატა ტემპს და ბლოდროს არაერთი კარგი ლექსი დაბეჭდა, რომლითაც თითქმის საკუთარ თავსაც აჯობა. ამ მშვენიერი ციკლიდან განსაკუთრებით მინდა გამოვეყო ორი ნაწარმოები — „ჩუმაღ უნდა მიყვარდეს“ და „მიმოზა“. ისინი ავტორის ინტიმურ განწყობილებას გვაცნობენ. თუ პირველი ლექსი მთავრული რიტმით გვხიბლავს („სიყვარული შეძახის გახლენილი წლებიდან“, „ანგელოზის პერანგში გხატავ ცისფერ ბაფთებით“), მეორე სიშორის სევდას გვაზიარებს:

ჰყვავის მიმოზა,
 ამ ლამაზ სახელს
 დღეს შეუძლია
 გამიყვანოს სახლიდან გარეთ
 და ქუჩა-ქუჩა უმიზეზოდ მახეტიალოს —
 მიმოზა ჩემი დარდიანი გაზაფხულია.

ვანო ჩხიკვაძე რამდენიმე წიგნის ავტორია. ისიც გამოსცდა ახალგაზრდობის წლებს. ამიტომ, რაც გადის დრო, ეტკობა მეტი ხულიერი და ცხოვრებისეული გამოცდილება. „ზეკარში“ მისი ზოგი ძველი ლექსიც არის გამოქვეყნებული. მაგრამ ყველა მათგანი ავტორის სტილსა და ინტონაციას ავლენს. სასიამოვნოა ამ ნაწარმოებების ლირიზმი, პოეტურობა, ავტორის დამოკიდებულება ფრაზიხადაში, მასალიხადაში:

„ნთემბერია... დეკემბერია... იანვარი... თოვლში ბერდები. რეკავს — ქარია, ისევ ქარია, ძველი ქარია — რად გახსენდები! ის ხომ ჩათავდა, მორჩა, წავიდა... ნთემბერია... დეკემბერია... წევხარ შუხსავით. შენს სასთუმლოთან მე როცა ვტირი — სხვები მღერია...“

ვანო ჩხიკვაძეს კარგი ხალექსო ტექნიკა აქვს, წერს პოეტურად და პოეტურ თემებზე. სათქმელი — ნააუღია და გასაგები, ენა — ხატოვანი. თითქმის ყველა ნიმუში მისი ნაწარმოები მოხაწონია და ეს ასეც არის. მაგრამ პოეტმა ჭრჭრობით ვერ მოაკვლია აზრის და განცდის ისეთ სახეს, რომელიც თავისი ორიგინალობით, სიმძაფრით, დრამატიზმით გვაძლავს მას ყურადღება შეტი მოაქციოთ. საღისუფლო პრობლემათა წრეში უფრო თამამად შევითანოთ.

ახლოობის პოეტების ნაკლია თემატური შეზღუდულობა, ერთნაირი მასალით ვარირება, ყველასათვის საერთო ბავშვობის შთაბეჭდილება ალბათ აღდგენა და იმ კუთხის ქება, საიდანაც გამოვიდნენ. ეს თავისთავად ეუღლი როლად, მაგრამ საკმარისი არ გახლავთ. პოეტები ერთგვარი „ყოფითი ავტონომიისაგან“ მისწრაფვიან, მხოლოდ იმ გარემოს აჩვენებენ, რომელშიც აღიზარდნენ. მე მგონია, ფანტაზიის სიღარიბით უნდა აიხსნას, რომ მეგრელი სულ ხამეგრელოს ლანდშაფტებს ხატავს, ხევსური ან ფშაველი მოეხსა და ნისლებზე გაუთავებელი გვესაუბრება, კახელი — დღეღამ ცივგომორსა და ალავერდს იფიცებს და ა. შ. მსგავსი „პარტიკულარისტული გადახრა“ პროზაშიც ხაგრნობია. ახლოობის პოეტები მოვალენი არიან გამოხატონ ქართული ყოფა, ქართული სული, ქართული გარემო. მთა და ზღვა, ნისლი და კამკამა, ზეცა, მდინარე და ტბა ისევე უნდა თანაბრად იყოს შეჭრილი პოეტის ცნობიერებაში, როგორც ოშკი, იდორი, შატალი თუ ნინოწმინდა. მაგრამ ესეც ცოტაა. ქართულ ნიღაღზე მტკიცედ მდგარი პოეტი უნდა შეეცადოს „უცხო“ თემატიკის გაქართულებასაც, მიმართებათა განსაზღვრას მისი ქვეყნის მიღმა მდგარ საყენებთან და მიმდინარე მოვლენებთან, რათა პოეტურ სიტყვას ვრცელი სარბიელი გადღეშალოს.

ამ წიგნში არაერთი კარგი და საინტერესო ლექსი არის დაბეჭდილი. ყველა მათგანს ვერ შევხები. ცალკე ვერ გამოვეყოფ, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო ავთანოლი ყურაშვილის ვრცელი ლექსი „სოფელში გლტებთან“. ხაწუხაროდ, ამ ნაწარმოებში ორი უკედღურესობა შეიმჩნევა — ავტორი ერთდროულ-

სოსო სიგუა
 „შეპარნი“

ლად გატაცებულია იმერიზმებით („ყოფილი“, „გავაჟი“, „კარქა“...) და ძველქართული ლექსებით („ოღდეს“, „მოცე“, „კანი“...). მათი მორჩევა პოეტმა ვერ შეძლო და ალბათ ვერც სხვა მოახერხებდა. საერთოდ ა. ყურაშვილი რთულ ასოციაციური ხედვის პოეტია („მაგრამ ყაღღზე, რაც მჩატე თავთავის ჩრდილი დაეცემა და გადავლის ბასრი ცელივით, გლენის შუბლიდან საშინელი ამოდის ჭრილი, თითქოს ევლია ღრმა ხსუნდებით გადანერვილი“), კარგად გრძნობს სიტყვის ფერსა და უღერადობას. მაგრამ მე მივიჩნევს მისი ერთგვარი თემატური დაზნეულობა, ეს დაუშლეველი ეკლექტიზმი, რაც ალბათ არასაკმარისი პროფესიონალიზმიდან იღებს სათავეს.

გივი აღზაზიშვილი ფაქიზი განცდების მხატვარია. იგი მიდიდარი ხალექსო კულტურის პოეტი. მისთვის სიტყვა, მისი ფერი, სურნელი და უღერადობა ბევრის დამტვეი ცნებაა, რომელიც მუსიკალური ასოციაციებით თანავს ნაწარმოების სტრუქტურას. აქ სტიქიური ვნებები არ ვლინდება. ისინი წარმოსახვის ლოგიკას ემორჩილება. პოეტი ისე უბრუნდ მემორათვს ნიუნსებს, ნახევარტონებს, ფარულ სიმბოლოებს, ისე ფრთხილად განაღვებებს სიტყვებს, რომ მკითხველისგანაც ფაქიზ გემოვნებას, სულიერ სინატიფეს მოითხოვს. მისი ლექსი ავლენს სინალოგებს სიმბოლისტიკის მიერ დამკვიდრებულ პოეტოკასთან. ამ წიგნში განსაკუთრებით კარგია „დაილოგი ფიქში“. ასეთ ნაწარმოებს ჩვენ პოემას ვეძებთ, თუმცა, ვგონებ, სულ ტყუილდებარდოდ, რადგან მას თუ პოემის მოთხოვნა წაფუყენეთ — ფერმკრთალებმა, ხოლო, როგორც ლირიკული ლექსი, ფრიად რთული და ძნელი აღსაქმელია. ამიტომ სჯობს ისევ იტრქველი ლექსის“ ცნებას მოვსახმოთ. ეს ზოგადად კონკრეტულია კი „დაილოგი ფიქში“ აღბეჭდილია ნამდვილი პოეტური მგრძნობილობით, პროფესიული ოსტატობით, რაც სულს აბსტრაქტულ მირაჟებს აქცევს ხილულ და მასწავლებელ საგნებად:

მღუმარებაში როგორც აკორდი,
სეკუნდარეკი და შორეული,
ისე გაისმა შენი სახელი
და უეცარი შუქით შეავსო
შემოდგომის დღე —
სიმარტოების კვამლში დანთქმული
დაეშორდი,
ფიქშიში მიინც დაგშორდი,
შენც მიგატოვი,
ჩემი სიციცხლი, წმინდა სტუმარი,
შენ ვარსკვლავების საბანი გხურავს,
გინთია მთავრის თავსასთუმალი.

ახალთაობის პოეტებმა თითქმის უარყვეს როგორც სანტრიალო, ისე მოქალაქეობრივი მოტივები. მათ არაღე შეუღლეღური ხაზის მოძებნა არჩევს ამ ორ განსხვავებულ გრძნობას

შორის. ქალი თითქმის გააძვეეს რომელიც მუდამ იყო სობების ან განხვის საგანი. დღეს ლირიკის დეფინიზაცია საერთო მოვლენაა. შეფთავა თუ ცისფერთავა ქალთათვის ლექსების რკალში ადგილი არ აღმოჩნდა. ამ ტენდენციას ავლენენ უფროსი თაობის პოეტებიც, ოღონდ უფრო ნაკლებ, ისე რომ შენაშინევი თითქმის არა ყოფილა. ისინიც ეპოქის უხილავი ანერციით მოქმედებდნენ. უხერხულიც კი მოგვეჩვენება, რომელიმე მათგანმა ღრმა განცდებით აღსავსე სანტრიალო ლექსი რომ გამოაქვეყნოს, რომელიც მოთხოვს ლირიზმს, ესთეტიზმს, სინატიფეს, მუსიკალობას, რასაც ახლა ნაკლებად სწყალობენ. მაგრამ არც სამოქალაქო თემატკაა პოპულარული. ისიც უნდა ითქვას, ქართველ პოეტთათვის იგი არც არასდროს ყოფილა მთავარი და განსახვდერილი. ამგვამდ კი ეტყობა, სამოქალაქო პოეზიის სახობო ლოზუნგებამ კვლავ გარდაქვევამ ახალთაობას მისადმი ინტერესი გაუჭრო. რაც შეეხება პატრიოტიკას — იგი არის საწყისი პოეტური ძალა, მაგრამ სტრიქონებს მიღმა იგულისხმება და არ გარდაქმნილა ესთეტიკურ პრობლემატიკად, როგორც ეს დაკეთა, ვთქვათ, გრიგორ აბაშიძემ, ან თუნდაც უფროსი თაობის რამდენიმე თვალსაჩინო პოეტმა (მ. მაკავარიანი, მ. ლებანიძე, ტ. ჭანტურია, ო. კილაძე, შ. ნიშნაიძე...).

წიგნში მხოლოდ ორი პროზაიკოსია დაბეჭდილი (ნუგვარ შატაიძე, ჯემალ ქარჩხაძე). უკვე ეს ფაქტიც მიგვანიშნებს, რომ ახალთაობა პროზას დიდი სიყვარულით არ ეცილება. მისი დიდი ნაწილი ლირიკით არის გატაცებული. ცხადია, ეს ერთი მცირე ფაქტი თითქოს არაფერს ნიშნავს, მისი არც განწოვადება შეიძლება. მაგრამ თუ სიტუაციას მოლიანად გადავხრებით, საკვალლო სურათი გადაგვეშლება. მიუხედავად ზოგიერთი ყურანლისტიკის ოპტიმიზმისა, მე მინანია, რომ ახალთაობის პოეტები გაცილებით ხინტერგონი არიან, ვიდრე პროზაიკოსები. არადა სწორედ პროზა. კერძოდ — რომანი არის თანამედროვეობის მთავარი ტანრი. არც ისაა შემთხვევითი, რომ მკითხველი მეტი ინტერესით ხედება რომანს. ამაზე ტირაყევიც მეტყველებენ. ქართული რომანი სწრაფად იყვლება. თუნდაც მდარე ხარისხისა. ხოლო ზოგი კარგი პოეტის წიგნი უნუფემოდ დიდხანს თვლემს თაროზე. მე მგონია, არც ყურანლ-გაზეთების რედაქციები, არც გამომცემლობები ხალისით არ დებულობენ ახალგაზრდა პროზაიკოსს, განსაკუთრებით თუ მას ვრცელი ეპოქური ტანრი-ხეცენ უპირავს თვალი. ალბათ იმიტომ, რომ ლექსისგან განსხვავებით, მას სჭირდება მეტი ქვალდი, თაბახთა მოცულობა. ახალგაზრდა, მისი შიშით, რომ არ დაიბეჭდება, თავიდანვე რეპრესირებულია და წერს მანასატებს, პატარა-პატარა მოთხრობებს, ნარკვევებს. მისი ნიქი იშვია და იზუღდება.



ერთადერთი, ვინც ლიტერატურაში შემოსვლა რომანით გახდა, ჭემალ ქირია ვახლავა. მაგრამ რა იგი მარტინ იდენვიით ეწაშა ერთიც უნდა ითქვას — ნაწარმოებს, რომლის დაბეჭდვა გაჭიანურდა. გამოქვეყნების შემდეგ სენსაციია არ მოჰყოლია.

„...გა“ ჭემალ ქარჩხაძის ახალი მოთხრობა და არა მგავს ნწერლის იმ ნაწარმოებთ, რომელთაც კარგად იცნობს და აფასებს მკითხველი. ჯ. ქარჩხაძე ნოველის ოსტატია. მან რომანიც გამოაქვეყნა. მაგრამ ჭერჭერობით მაინც ნოველები რჩება მის საუკეთესო ნაწარმოებებად. ისიც უნდა ითქვას, რომ ნოველის ტრადიცია თანდათან დავიწყებას ეძლევა. მის ადგილს შეუქმნიელად იკავებენ ეტაუდი, მოთხრობა და პოვეტი. ამიტან განსხვავებით ნოველას სჭირდება მკაცრი კომპოზიცია, სიუჟეტის განსაკუთრებული გრძნობა, დეტალების ზუსტი ხატვა. ის ვერ იტანს გაჭიანურებულ მსჯელობას, ე. წ. ინტელექტუალური ნაკადის მოძალდებას. ჯ. ქარჩხაძე თანამედროვე ადამიანის ფიქრისა და ოცნების მხატვარია. ამიტომ ერთგვარად შემოიკუმშებოდა მისი მიზარუნება პრინციპული ეპოქისაკენ. ახალ მოთხრობაში არა მხოლოდ მასალა განსხვავებულია. არამედ — სიუჟეტის სტრუქტურაც, მეტყველების რიტმიც. ფრაზის აგებულებაც. ჯ. ქარჩხაძე გვიჩვენებს ეელურ ადამიანსა ცნობიერების გაღვიძების სურათს, რომელიც თხზვას, შექმნას უკავშირდება. კლანი და მისი ბელადი უცხოობის იღის (სხე ჭემალ შთავარ პერსონაჟს), რადგან ის ტრადიციის დამრღვევაა, სტევისავე გამოჩენილია. იგი ვილფამის მსგავსი ადამიანია. ვინც წუხილს, ტკივილს, სევდას ეზიარა. ეს ყველითვე იო განჯისა და წყაღების ფასად იძლევა იმპულსს არასტეულის შესაქმნელად. რაც მას განაშორებს კლანისაკენ. შედეგი — ძლიერი მამაკაცი, იგის სიკვდილს მიუხედავს, რომელსაც მასთან შეშვის თავი არა აქვს.

ჯ. ქარჩხაძე წერს იქსპრესიული, ოდნავ ხელმოკლე სტილით. რაჟა უძველესი უამის სურნელი და კოლორიტი გეგარსომბინოს. მაგრამ ავტორის შიშაია აზრობრივი კონცეფციის გაშლა უძველესი მასალაზე და არა ველფრობის, ზარზაროსული ყოფის ელვოტიკური გამოსატყა. ამიტომ ექცევა მეტი ყურადღება იგის სულიერ ცვალებადობას. ვიდრე კლანის ცხოვრების წესს. ნადირობას. ბრძოლას. საერთოდ პრების. ტრიაული უამი და მითოსურია მასალა მწერალს აძლევს საშუალებას თავისუფლად წარმოგვიდგინოს თავისი ნაზარკვი. ერთგვარი ფილოსოფიური განხრა მისცეს ნაწარმოებს, რადგან აქ მუდმივად განმეორებადი მოვლენები მიიკვლევა (მოვადგინოთ თ. მანის მოთხრობა „შეცვლილი თავები“). ჯ. ქარჩხაძე არ არის მხოლოდ ხაინ. ტერესო სიუჟეტის მოხვედელი მწერალი. მას აქვს სათქმელი და ამასთან ერთად ძალუქს ამ სათქმელს მოუძებნოს ორიგინალური ფორმა,

დაგვიხატოს პერსონაჟები, რომლებიც ემსხვერპლი რბაში შევეთრად აღიბეჭდება (დეიდ... სსსრ კავშირის 'საბჭოთა საქართველო').

ღემალ ქარჩხაძის ხახელი არ ხმაურობს პრინს ფორტლებზე, არ გავსის ცისფერი ეტრანინი. და, არ ვდრებს მაღალ ტრიალუნებზე. ის თავად ცდილობს შეუქმნილად და წყნარად ცდილობს. ასეთ მოკრძალებულ პიროვნებას მიუთქმეტეს სჭირდება კრიტიკოს განამხმენევეტი სიტუების წაშველება, მასის წინაშე წარდგენა. სუზმარ შატაიძე სხვაგვარი ყალიბი მწერალია. იგი ავლენს საგრძნობ ხახლოვებს რ. ინანიშვილთან. დაქტიურად იგი ეტიუდების ავტორია და მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება მის ნაწარმოებებს მოთხრობები ვუწოდოთ. ნ. შატაიძე შესანიშნავად ელვობს ქართულ ენას, იცნობს იმ მასალას, რომელზეც წერს. რამდენიმე წლის წინათ მან ერთბაშად დაბეჭდა ცხრა ეტაუდი და მამხივე მიქცია მკითხველთა ყურადღება. მაგრამ, ხამწუხაროდ, ავტორი თითქმის ერთი თვის განუწყვეტილ ვარიაციას შერჩა. მასი სტალი, თეშატაი; განწყობილება უცვლელად ვადიდს ეტიუდიდან ეტაუდში. ნ. შატაიძე არ არის მხატვარი. მოაზროვნე. მშვენიერია და მომხიბლელი მისი ყოველი ეტიუდი, მაგრამ არა როგორც დანართლებული ნაწარმოები, არამედ როგორც ნაწარმოების დეტალი. იგი ფრაგმენტების ავტორია. „სიკვდილი“ და „სურათი“, რომლებიც აქერად წარმოვიდგინა, ამ ნაკლსაც ინაწილებენ და ღირსებას აქვს. შატაიძე უნდა შეძლოს ინდივიდუალური პერსონაჟების ხატვა და სიუჟეტების თხზვა. მხოლოდ პოეტური მეტყველება, ენობრივი სიმშვენიერე, დეტალების ხილვებე ძლიერი პროზისთვის არ კარა. მწერალი უღმობოდ უნდა შეიქრას ფსიქიკისა და ხინამდილის შრებში და მკითხველი აქციოს დრამატული პრობლემების მონაწილედ. შეძლოს და გარდაქმნას მისი ინდივიტენტული სული.

რასაკვირველია, ლიტერატურის ხახს ვანა. ზღვრავს პოეზია და პროზა. ლიტერატორი, კრიტიკოსი მის მდინარებას ტონს ვერ მისცემს. ის იმდენად სჭირდება მხატვრული აზროვნების განვითარებას, რამდენადაც — ენას, ხალხის მეტყველებას — გრამატიკოსი. მაინც კრიტიკოსი ლიტერატურაში საჭირო კაცია, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგს აქეზებს. ზოგსაც ვულს უკლავს, თუმცა სჭირად მოსყიდულ მასჯს მკავს. ახალითების კრიტიკოსებს ეტაუდი, ვეტირობ, არასასიამოვნო ტენდენცია გვხახიათებებს; ეს არის აკადემიკოსისკენ სწრაფვა, ზედმეტი რაციონალიზმი. ცნებებითა და ტერმინებით გტაცება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს საერთო ტენდენციაც არის. ლიტერატურისმყოდნების ახალი ახალი სკოლები საშუსტის პრეტენსიით გამო-

სოსო სიმუა
„შეპარი“



დოან. ვერ ვიტყვი, ჩვენ კარგად ვერცვალდეთ ამ თეორიებში, მაგრამ რაღაც საერთო ვაწყობი-
 ლდება, ატმოსფერულ მოვლენათა დარად, უნე-
 ბლით ჩვენზედაც ვრცელდება. ამასწინათ გა-
 მოქვეყნებულ წერილში პ. ვამარა შენიშნავდა,
 რომ ფრანგულ ლიტერატურაში გაბატონდა
 „ლაზარატორული, პროფესორული“ კრიტიკა-
 უფრო ადრე ა. სტილი წერდა „სტრუქტურალი-
 სტურ სნობიზმზე“. ასევე სწუხან ამერიკელი
 მწერლები და ა. შ. ასეთი ფიქრები აღმეძვრება
 ხოლმე, როცა ვკითხულობთ დოიაშვილის წე-
 რილებს. მე მათში ვხედავ ჩვენს ახალთაობის
 ლიტერატორთა კარგ თუ ცუდ ტენდენციებს.
 მე მგონია, ყურნალისტურ წერებობასთან და
 ესეისტურ სიმსუბუქესთან ბრძოლამ, უარყო-
 ფის პათოსმა ჩვენ თეორიულ ლიტერატურის-
 მცოდნეობაში გადაგვყვანა, რომელსაც ნაკლებ-
 ბად აქვს შემოქმედებითი ხასიათი. ეტყობა,
 დადგა დრო, რომ კრიტიკაში აღვადგინოთ ფი-
 ქიბიოგრაფიული მეთოდი, ესეისტური სტილი,
 გავაყვანოთ ფორმალისტული ცნებები და ტე-
 რმინები, მაგრამ დავამყიდროთ ანტიფიქრის
 რაციონალური სტრუქტურა. რაც შეეხება კონ-
 კრეტულად თ. დოიაშვილის წერილს — „მეტ-
 ყველი ბგერა პოეზიისა“, რომელიც ე. ტაბიძის
 პოეტისაგან ეძღვნება, იგი საინტერესოა მიკრო-
 დეტალების ანალიზით, ნიუანსების კვლივით, და
 ზოგადი მიმოხილვებით ქანცაკალილი მკით-
 ხველი სიყვარულით წაიკითხავს.

ჯანსუღ ღვინჯილია ბუბლიცისტური მიმარ-
 თების ლიტერატორია. მას ემარჯვება აქტუ-
 ალური, სადისკუსიო საკითხებს წამოჭრა,
 რომლებიც მხოლოდ ლიტერატურის სფეროში
 როდი ქეც. ამჭერადაც მან მნიშვნელოვან საკი-
 თის მიაპყრო ზურა — ეს გახლავთ ნაციონალურ
 ხასიათის პრობლემა. ასეთი და მსგავსი სა-
 კითხების განსილვას ჩვენ რატომღაც ვაფურბი-
 ვართ, თავს ვარიდებთ. ამან კიდევ უფრო გა-
 ზარდა ჩემი ინტერესი ამ სტატიისადმი, რომე-
 ლიც მძაფრად და ენერგიულად არის დაწერილი.
 მაგრამ, ვფიქრობ, ამ წერილში იგი მეტისმეტად
 დანდობია ალღოს, თვითდაკვირვებას და არ
 გაუთვალისწინებია ის კონკრეტულები, რომლებიც
 გვაცნობს ნაციონალური ფსიქიკის, ტემპერამენ-
 ტისა და ხასიათის როგორც გამოვლენის ფორ-
 მებს, ისე ჩამოყალიბების არაცილობერ გუნებას
 და თავისებურებას.

ღვინჯი ბრგამის ეტაული „პერსონაჟები
 ზედმედიან ერთმანეთს“ აჩვენებს, რომ თ. მანის
 „მარია და ჯალაქარისა“ და ა. ბელიაშვილის
 „ქემეტ ქალღანის“ საფუძველია ერთნაირი სი-
 უფიქრობი. ასევე შენიშნულია თითქოს იდენტური
 მსგავსება ლ. ქიაჩელიის ნოველისა „შეურაცხ-
 უფილი“ გოეთეს ლექსთან „ილუზია“. მაგრამ,
 ხაზგასმარად, ავტორი ფაქტის აღნიშვნით კა-

ყოფილდება და არაფერი დასკვნა არ გამოდის.
 საინტერესოა კი სწორედ დასკვნა, ^{გვანისწილსა}
 გახლავთ, რადგან მსგავსი პარალელების მოტანა
 უსასრულოდ შეიძლება.

ღენეზა ზუმბაძის ესეი „რუსთაველის უმაღ-
 ლესი წოდება და პოეტის მუზა“ შენიშნავდა
 არის დაწერილი. საგულეხისა არა მხოლოდ
 ის მდიდარი მასალა, რომელიც ამ სტრიქონთა
 მიღმა იგულისხმება, არამედ ავტორის მსგე-
 ლობა, დაკვირვება, და რაც ყველაზე მთავარი
 და საშუალოდ ჩვენი ლიტერატურისმცოდნეო-
 ბისათვის — სტილი, წერის მანერა. დ. ზუმბა-
 ძის სტატია პოეტური სინტაქსით არის დაწე-
 რილი და იგი თითქოს ეტოქება სიტყვის ოს-
 ტატებს.

„ზეკარში“ მკითხველი საინტერესო ყურნალი-
 სტურ მასალასაც ვაძინობა: ეს არის კრიტიკოს
 ზაზა აბზიანძის საუბარი კულტურის ძველთა
 დაცვის სამმართველოს უფროსთან, პროფესორ
 ირაკლი ციციშვილთან და ჯუმბერ თითმერაის
 სიყვარულით დაწერილი ნარკვევი „საქუდი-
 დო ხელისაგულზე“. იგი ეძღვნება გივი ელიავას
 — კეთილშობილ მოქალაქესა და მკვლევარს.

წიგნში ორი მთარგმნელია წარმოდგენილი —
 ჯემალ აჯიშვილი და ზეზა მედელაშვილი. ჯ.
 აჯიშვილი ძველბარული პოეზიის შესანიშნავი
 მთარგმნელია. მისმა გარჯამ პირვა ხანია ყურა-
 დდება მიიპყრო. როცა ვკითხულობთ მოშე-
 იბნ ეზრას თუ სხვათა ლექსებს, ჩვენ გვექმნება
 ილუზია, თითქოს ეს ყოველივე ქართულად შე-
 ითხზა, იმდენად ბუნებრივია მთარგმნელის მე-
 ტყველება, ისე კარგად ფლობს იგი ენასა და
 ლექსს. მაგრამ აქვე ჩნდება ერთი საფრთხეც:
 ავტორი, ეტყობა, საგრძნობლად სცილდება დე-
 დანს, რადგან ყველა ლექსი ერთი სტილით,
 ერთნაირი ქართულით არის აუღერებული. ეს
 კი იწვევს ერთფეროვნებას. როცა მთელ წიგნს
 წაიკითხავთ, გვეჩვენება, რომ თითქოს ეს კონ-
 კრეტული ლექსები ერთი ზოგადი, არარსებუ-
 ლი ლექსის ვარიანტები იყოს.

ზ. მედელაშვილი, ავტოვერ, მშვენიერი მთა-
 რგმნელია. ისიც ბუნებრივი, ლალი ქართულით
 თარგმნის. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რატომ
 ხარჯავს იგი თავის ნიჭსა და ძალს საინტერეს-
 სათარგმნელად? მე მგონია, მან ყურადღება
 არ უნდა სწამართოს აშუალები პოეზიისაკენ,
 რომელსაც ქართველები კარგად ვიცნობთ, არა-
 მედ წარმოგვიდგინოს ისეთი ასპექტები, რომ-
 ლებიც რაიმე ახალს შემოატეხს ქართულ პოე-
 ზიას და ამასთან ერთად გავინათებს ჩვენთვის
 უცნობ სფეროს მოქმე ერების ლიტერატურის
 რეკავზე. მე მგონია, აშუალოდ ნაკადს ქართულ
 ხელოვნებაში ვადაქარბებული პროპაგანდა ეწე-
 ვა, და მისი კიდევ წაშველება ხასურველად არ
 მიმაჩნია.



კვლევი-სიბრძნე!

1.

1977 წლის 11 მაისს ხარკოვიდან 40 კილომეტრზე მდებარე ქალაქ ჩუგუევის მხარეთმცოდნეობის ისტორიულ მუზეუმში ფერად-სათვლიანი გამზდარი, შავგვრემანი მამაკაცი შევიდა და იკითხა დირექტორი, უკრაინის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ჩუგუევის რაიონგანიზაციის თავმჯდომარე, თადარიგის კაპიტანი ზინჩენკო.

— მე კორესპონდენტი ვარ, საქართველოდან... ამა წლის 21 აპრილს ქართულ გზით „კომუნისტის“ ფურცლებზე თქვენ გამოქვეყნებულ წერილს სათაურით „ვის ახსოვს გმირი ტურძელაძე?“.

— დიახ, გამოვაგზავნე შეკითხვა იმ კაცზე, ვინც გმირის სიკვდილით დაეცა დიდ სამამულო ომში და ვისი საბუთებითაც გვსურს გავამდიდროთ ჩვენი მუზეუმის საბრძოლო დიდების ექსპოზიცია. თქვენ დაგვეზარებთ?

— მე თვითონ მაინტერესებს ამ კაცის ვინაობა. მითხრეს, ადგილობრივ პრესაშიც დაგვიწერიათ მასზე. საიდან აიღებთ მასალები?

— საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ცენტრალური არქივიდან.

— დამატებით თუ იცით კიდევ რაიმე?

— არაფერი.

— გაინტერესებთ?

— რასაკვირველია.

მოსულმა ჩანთა გახსნა:

— აი მისი სურათები... ოჯახში... პირველი ბრძოლის წინ.

დირექტორმა თავი მაღლა ასწია:

— საიდან ვაქვთ ყოველივე ეს?

— ტურძელაძე თვითონ მე ვარ.

მეორე დღეს საქართველოდან ჩამოსულ სტუმარს მუზეუმში უკვე სამოქალაქოში გამოწყობილი ხამი უცნობა მამაკაცი ელოდა.

— მოკლედ გაიმეორებთ ის, რაც გუშინ უამბებთ ამხანაგ ზინჩენკოს.

სტუმარმა მოკლედ გაიმეორა ის, რაც გუშინ თქვა.

— თუ გახსოვთ, რა გვარის იყო ის კაცი, სიკვდილს რომ გადაგარჩინათ?

— ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ... მაღალი ან ზაიცივი უნდა იყოს.

სამოქალაქოში გამოწყობილებმა გაიცინეს.

უტრადსათვლიანმა შავგვრემანმა მამაკაცმა კი განაგრძო:

— ორი ქალიშვილი ჰყავდა, კლავა და კატია. ერთი თორმეტი წლისა იყო, მეორე თოთხმეტისა.

შავგვრემანი მამაკაცი მუზეუმის შენობიდან გამოიყვანეს და ავტომობილში ჩახსდნენ.

— საით მივდივართ? — დაინტერესდა სტუმარი.

— მალე შეიტყობთ.

მანქანამ გაიბრინა გალაღებული ქალაქის ქუჩები და ერთ ისეთ კვარტალთან შეჩერდა, ძველი შენობით რომ სუნთქავდა. გადმოვიდნენ. მიუთითეს შენობების მწკრივზე:

— გვიჩვენეთ, რომელ ბინაში იმაღლებოდათ. გამზდარმა მამაკაცმა მოავლო თვალი. შევიდა ერთ ეზოში... მეორეში. მესამეში... რამდენი ხანი გავიდა მას მეტრე. თანაც ამ წერტილებიდან აქაურობისთვის არასოდეს შეუზღებავს. მას მალავდნენ. მაგრამ მაინც:

— მგონი ეს უნდა იყოს. — წარმოთქვა ნელა, დაფიქრებით, დამბურთან მიმდგარმა. ხომ არ ცდებთ? არა, აგერ, ერთსართულიანი სახლი, სარდაფში ჩახსვლელი, გაცვეთილი სრილა საფეხურები, საიდანაც გესტაპომ ამოიყვანა. ნამდვილად ეს ადგილია. ახლა, თურმე აქ უკვე ხამი ოჯახი ცხოვრობს. რომელ კარს დაუფაკუნოს? პირველს, შესასვლელშივე!



კაუუნე კარი მოხუცმა თავსაფრიანმა ქალმა გააღო.

— გამარჯობათ. თქვენთან შემოსვლა შეიძლება?

შესვლისთანავე იცნო ოთახი. „აი, ზუსტად ამ ადგილას ვიდევო მაშინ“ — გაუფლვა. თანმხლებმა მამაკაცებმა აქეთ-იქიდან ანოუდგნენ: — ამ სახლში რამდენი, ხანია ცხოვრობთ? — ჰკითხეს მოხუცს.

— რაშია საქმე?

— გეკითხებით, ომის დროს სად იმყოფებოდით?

— აქ, მხოლოდ აქ!... ფეხიც არსად მოგვიცვლია. დაღუპვას სასწაულად გადაურჩით.

— გაიხსენეთ, იყო თუ არა თქვენთან ომის დროს ვინმე ქართველი ოფიცერი? დაფიქრდით და გაიხსენეთ.

— იყო, როგორ არა.. კარგად მახსოვს.

— რა ერქვა?

— ლევანი... თუ არ ვცდები... დიას, ლევანს ეძახდნენ.

— ფოტოსურათი რომ გიჩვენოთ, იცნობთ?

— ეეჰ... თვალი უკვე მღალატობს... მოვხუცდი, მაგრამ კიდევ შემძლია ამოვიცნო... უჩვენეს.

მოხუცმა დახედა, დიას, კიდევ ერთხელ კარგად დახედა, სურათი ჩაიხუტა და გულდაწყვეტილმა წარმოთქვა:

— საწყალო... ცოცხალი ჯარ არის. ფერადსათვლიანმა გამხდარმა, შავგვრემანმა მამაკაცმა ვეღარ მოითმინა, სათვალე მოიხსნა და გადაეხვია მოხუცს.

ქალი საკუთარ თვალებს არ უჩეროდა. აი სასწაული!

კვლავ მანქანა, გზა, საავადმყოფო, ის ექიმი ქალი, რომელიც აუცილებლად სანახავია, და ადგილზე კი არ აღმოჩნდა. მანამდე კი მიიღია სკოლაში, უხმობენ მასწავლებელ ქალს და აცნობენ ფერადსათვლიანს, როგორც საქართველოდან ჩამოსულ კორესპონდენტს. იქნებ ასოვს პატივცემულ მასწავლებელს რაიმე ვინმე ტურქელაძეზე, და თუ ასოვს, საიდან, ვისი ვადმოცემით?

როგორ თუ „საიდან და ვისი ვადმოცემით“. ისინი ერთად ისხდნენ გესტაპოს დილეკში. სამაგალითო ვუყავი იყო. სურათზე იცნობს თუ არა? რასაკვირველია, სწორედ ის ქართველია აღბეჭდილი ამ ფოტოსურათზე. იმისმა სიმტკიცემ სხვასაც გააძლიერა. მეერ გესტაპოდან იგი საშხედრო ტყვეთა ბანაკში გადაიყვანეს. მეტი აღარაფერი იცის. უთხარით ომგადახდილ მასწავლებელს, ცოცხალია თუ არა ეს ქართველი?

ურადსათვლიანმა სათვალე მოიხსნა. და ერთი კი შეჰკივლა მასწავლებელსა...

მოულოდნელობით ფულმელონებული ქალი აახლამდე მიაცილეს.

სალამოს ექვს საათზე ისევ მთავრობის წავლელელს, ვის ბინაზეც გამოძახებული უნდა ყოფილიყო ექიმიც. ოთახში შესვლისთანავე კარის მოპირდაპირედ სვარქელში მჭდომმა მანდილოსანმა მიმართა ფერადსათვლიან მამაკაცს:

— მოიხსენით სათვალე და პირზე ხელი აიფარეთ.

მამაკაცმა მოიხსნა სათვალე და აიფარა ხელი პირზე. მანდილოსანი იმავ წამს ზე წამოიჭრა და გადაეხვია. მეერ, ერთბაშად უკან დაიწია:

— მითითებულ ყვავილებზე ოფიცერ ტურქელაძეს... დღეს 10 მაისია, მისი დაბადების დღე. მომილოცინა!!!

საქართველოდან ჩამოსული სტუმარი იდეა აღელვებული ხალხის წრეში, შესცქეროდა: ქალს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ენახა, ისიც გესტაპოს დილეკის ვიწრო სარკმლიდან. და გრძნობდა თუ როგორ ერთმეოდა ხელ-ფეხი.

10 მაისი, მისი დაბადების დღე! საიდან ახსოვდოთ, საიდან?

2.

გაზეთი „პრავდა“, 1941 წლის 21 დეკემბრის მოწინავე:

„ექვი არ არის, რომ საყვარელი სამშობლოს დაცვის იდეა, რა გუნებთაც ჩენი ხალხი იბრძვის, ნამდვილად აჩენს გმირებს, წითელ არმიას რომ ადულაბებენ, — ამზობდა ამხანაგი სტალინი მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს 6 ნომერის საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ მოხსენებაში. — ეს გმირები ერთთან მოხილვითურ კოლექტივად რაზმავნენ სამშობლოს დამცველებს, ალაფროვანებენ მათ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის სულსიკვთებისა. უნერგავენ მათ უშიშარი მეომრის ძვირფას თვისებებს. მიუძღვებიან ასობით და ათასობით სხვა მებრძოლს.“

მეთაური ტურქელაძე 12 წითელარმიელთურთ 2 საათის განმავლობაში აკავებდა გერმანელთა იერიშებს. რომლებიც ცდილობდნენ გადმოეღახათ მდინარე ჩრდილოეთ დონეცი...“

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივი, №6 არმიის ფონდი: „...სამხედრო ექთან ტურქელაძის მეთაურობით მებრძოლთა ჯგუფი ჩუგუვეის რაიონში ორი საათის განმავლობაში აკავებდა მტრის 2 ქვეით ბატალიონს, ცამეტჯერ მანჯი მებრძოლი გმირთა სიკვდილით დაეცა“.

მეც არმიის გზითი „სტალინსკე ზნამია“, № 37, 1942 წლის 8 თებერვალი:

„ქაბუე ტურქელაძისთვის პროფესიის არჩე-

ვის უამბა რომ დაჰკრა, მას დიღბანს არ უფიქრია. უწყინარი სახის მქონე კაბუჯის მქერდში აღდგომის და თანამგვარობის კაცის გული ძვერდა. მას ანციფერებდა როსტოველი ქირურგ ბოგორაზის საკვირველი ექსპერიმენტში, ასე უფროდ რომ მკურნავდა კოჭლით და ხეობათ, აღტაცებული იყო კადემიკოს ფადეევის მსოფლიო მიღწევებით, ხასწაულდებრავად რომ უბრუნებდა მხედველობას ადამიანს, ტურქულაქმე ვადწყვიტა ვამხდარიყო ექიმში, მაგრამ სწავლის შეწყვეტა ვიფიქრა. დიდ სამამულო ომში ავი სამხედრო ექთანის ხელნაწილი ჩეხა, მებრძოლებთან ერთად ვასვლო შავშიწინადაგანის უკრაინის მამიე გზებში, სოფელ მთაწილის მისი ქვეგანყოფი მტერს წააწედა. სამ დღეს ვაგრძელებდა სისხლისმღვრელი შეტაკება — ტურქულაქმის პირველი ბრძოლა, დღე და დამე წელიწადი ვამართულა. ცეცხლს მნ მებრძოლი ვამოსტაცა. ბრძოლის ვათავებინახს სანიტარულ ნაწილში უკანასკნელი მანქანით დიქრიდი ექთანის მოაუყვანეს, ხუთი დღის მერე კვლავ თავის ნაწილს დამბრუნდა.

— ამხანაგო კომისარო, — მიმართა მან კომისარ პეტროვს, — მზად ვარ სამხრეთდევლად.

— ხელი როგორ გქვს?
— უკვე მომირჩა.

წვიმიანი შემოდგომა იდგა. უკუნი ღამის ცივ ნისლში მიიწვიდა ქვეგანყოფი და მისი ექთანი. სამხრეთლო პოზიცია სოფელ რთან დაიკავს და ერთი მუჭა დამცველები შეიბნენ მტრის ბერად ჭარბ ძალებში.

ბრძოლის გრაღში ექთანს დაქრილ ლეიტენანტ ბარანოვის კენება შემოესმა. ძლივზ მოაწრო ასეულის მეთაურისთვის ქრილობის შეხებვა, რომ სასიკვდილოდ დაიჭრა პოლიტ. ხელი კორჭუნი. ცოცხლად ვადარჩენილი ერთულელებიდა ვანავრამდენენ ბრძოლას, მაგრამ აი, ჩაიკცა მტრევიამტრქვევე და უცერად ჩამოვარდნილ ავ სიჩუმეში ფაშისტები ღრიან. ცელით წამოიშალენ მალლობისკენ. ექთანმა დაავლო ხელი ტყვიამტრქვევს და ზუსტი ცეცხლით მტერს გზა ვადაულობა. მწ ფაშისტი ჩააწინა მალლობის ხერზე. ვაფთრებთ იხროდა. ვახნები ვალთავდა უკანასკნელი სამი ხელმუშებარაც სტყორცნა. მტერმა უკან დაიხია.

ღამის საფარქვეშ სამხედრო ექთანმა თავი მოუყარა და ქრილობები შეუხვია ამხანაგებს, დამარხა დადუპულები, მხარზე აიკიდა ტყვიამტრქვევი და რვა დაქრილი მებრძოლი თავისიანებთან სამშვიდობოს ვაიყვანა.

ახე ვამოიხოვა სამხედრო ექთანის ხელნაწილს, მეორე დღეს უკვე მსროლელთა ასეულს მეთაურობდა.

...მ საღამოს სისხლისფრად ჩამავალ მზის შექვე თოვლი მქრქალ აისფერ ლაქებად ბრწყინავდა. ხელმარჭრევი პოზიციიდან მთავ-

რი ბრძოლის ხმაური ისინდა. პოლკის კომისარის ბლინდავში საველე ტელეფონის ზარი აძაგავდა:

— გვიტეხს რიცხობრივად მ ბატალიონამდე ქვეითი ჭარი. ჭერჭერილი ვაყვინდა, ვებრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე!

10 წუთის მერე:

— ალუა შემოგავატყვეს. ვახნები გვაქვს. პოლომდე ვავუშლებთ!

კომისარმა მწვერავთა ოცეფელს, თავის უკანასკნელ ტრეტერგს უხმო:

— ტურქულაქმე ალუაში! — მიმართა კომისარმა უმცროს ლეიტენანტ ვალიცის. — რადაც უნდა დაგიქდეს, ვადაწიე და უშველე!

მტერი-ხნის მერე კიდევ ერთი ზარი ვაისმა, ამჭერად უკანასკნელი:

— ტყვია-წამლი დანიშნულეობისამებრ ვამოვლიეთ, მაგრამ ცოცხლად არ ჩავბარდებით!... მშვიდობით!

შუალამით რამდენიმე მწვერავმა შეაღწა ბრძოლის ადგილს. მქ ვეველფერა ვაავებულა იყო. ტურქულაქმის ქვეგანყოფის თავდევცის წინა ხაზზე მტრის ასობით გვამი ევდო. მალლობის დამცველებს ერთიანად თავი ვაეწინათ, მაგრამ მამაცი მეთაური დასოცილთა შორის არ აღმოჩნდა. იგი უკვალოდ ვაქტრა, და მხოლოდ რამდენიმე დღის მერე ვაირკვა ვეველფერა.

შვილგან ხიშტით დარჩვეტილი, სისხლისგან დაცლილი ტურქულაქმე ფაშისტებმა ქალიაქში მოიყვანეს და ერთ-ერთ ქურჩზე მხეცურად აწამეს საბჭოთა ხალხს ერთგული შვილი. ხელ-ფეხი და თავი მოჭკვეთეს, შემდეგ კი მისი ნეშტი აკურწეს. ეს საზარელი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო დივიზიის ქვეგანყოფებს. მტრისადმი არანახულა სიძულვილით ადვავსო მებრძოლები. ისინი იეროშზე ვადამდენენ მოწოდებით — „შურს ვძვიებთ ტურქულაქმისთვის!“ — სოფელ პერენგეთან წამოეწინენ მტერს და 1,500 ჭარისკაცი და ოჯაცერი დაატოვებინეს ბრძოლის ველზე. ძვირად დაუჯდა მტერს ტურქულაქმის სიკვდილი“.

3.

„მომილოცავს, დღეს თქვენი დაბადების დღეა!“

საიდან ახსოვთ, საიდან?

მე, კაცი ისე იბადება ამქვეყნად, თითონაც არ იცის, თუ რა ხდება მის თავს. მაგრამ, როგორ კვდება კი, ამის არცოდნა არ ებატებმა. ნუთუ ადამიანი ნამდვილად მხოლოდ ერთხელ იბადება და ერთხელეფე მკვდება?!

ღერონიდე სიმონის ძე ტურქულაქმე — ქართული, დაბადებული საქართველოში 1920 წლის

უბნის მკვლელი

სიბული — სიცივისაში

10 მაისს. მათა — შუშაკაცო, დედო — დიხახ-
ლიხი, ორი დოქო და ერთი ძმა, თავის დრო-
ზე ყველაში თითხტოლები არიან. ცხოვრება
მერე ზრდის და აყალიბებს ადამიანს. და კი-
დეც — სწრაფვა მძაფრის სიცოცხლისაკენ.

1938 წელს ბათუმის აეროკლუბის დამთავ-
რება, სამოქალაქო ავიაცია და „უზ“, სამხედ-
რო-სავაიციო სასწავლებლის პერსპექტივაება,
მშობლების (როგორც წესი) უარი, ხოლო
შვილის (როგორც ურყევი კანონი) — გაპარ-
ვა სახლიდან.

1939 წლის 31 დეკემბერს კიევის სამხედრო-
სამედიცინო სასწავლებელში ჩარიცხვა. ომი
ფინეთთან და წახვლა ფრონტზე მებრძოლ სა-
ნინტარუქტორად.

1940 წელი — კიევის ჰოსპიტალი, ქვეითი
კარი, ბრძოლა ვიბორგის მიმართულებით. არ-
მიის შტაბი გატინიწოში. შემდეგ, თურქეთის
საზღვარი. სიმაგრეები, დოტები, ძოტები... დ.
ტურქეთში — პოლკის ექთანი.

საზღვარზე სიმშვიდე.

და აი...

1941 წლის 14 აგვისტოს მთავარსარდლობაში
დაკავაყოფილა სამხრეთ საქართველოში მყოფ
მებრძოლთა თხოვნა ფრონტზე გასაშვებად, და
28-ე სამთო-მხროლელი დივიზიაც დაიძარა ად-
ვილიდან. ცხენებზე დატვირთული აღჭურვი-
ლობით და ფორსირებული მარშით ჩამოვიდა
პორტოში, იქიდან რკინიგზით გადავიდა დონ-
ბასში სადგურ სლავიანსკთან, მოიხსნა ეშე-
ლიონიდან და ისევ შეუჩერებლად გასწია ან-
დანდელი ვოროშილოვგრადისკენ, ხაიდასაც
პირდაპირ პოლტავისაკენ დაეშვა. 16 დღე და
16 ღამე მიიწევდა დივიზია ქარ-ცეცხლის შე-
სახვედრად, უცხით 800 კილომეტრი გაიარა
და 28 სექტემბერს მიიღო საბრძოლო ნათლო-
ბა. დაღლილ-დაქანცული მებრძოლები დასას-
ვენებლად მოეწყვნენ უღელტეხილზე და რო-
გორც მკვდრებს, ისე ჩამძინათ. მძინარეთ ფა-
შისტების შექაინებულნი რეგულარული ნაწი-
ლი თავს აღებსა და ორი საათის განმავლობა-
ში თითქმის მთლიანად განადგურდა დივიზია.
სახოწარკვეთილება, არეულობა, სისხლი და
გაურკვეველობა. დივიზიის ვადარჩენის თავვა-
ნწირული ცდა. საშინლად ცუდი სიტუაცია.
მეორე დღეს გადარჩენილი უმცირესობის შე-
ძლებისდაგვარად წესრიგში მოყვანა. მეთაუ-
რისა და კომისიის დახვერტა ადგილზევე.

ღევან ტურქეთში — დაჭრილია შორის.
პოლკის საბრძოლო თავდაცვითი ზოლი.
100-500 მეტრზე ჩასანგრულები მტერს პირვე-
ლნი ხედებიან, და პირველი ეგებება მტრის
იერიშს პოლკის ექთანიც. პატრიოტულ სული-
სკვეთებაზე ლაპარაკი ზედმეტია. შაშანები,
ხელფეშბარები, „მაქსიმი“, დემტარიაოვის
ტყვიანფრქვევი, ნაოსმ-ტყორცნები... პსტო-
ლუტი და „ნაგანი“ მეთაურთა შემადგენლო-

ბას. მებრძოლი კაცი შაშანას ხარკოვიდან
უშიშესი ხელნართული ბრძოლა ხარკოვიდან
70 კილომეტრზე უკანდახვევა ბრძოლით: ქ. ვა-
ლკო, ნოვოე ვადლაგა, სტანიცა ლიალდკი, სა-
დგური ოპიტსაია, ქუჩის ბრძოლები ხარკოვში,
და ქალაქის დათმობა. მარეფის რაიონული ცე-
ნტრა. მალეობის დაცვა. ფაშისტთა იერიში
და ექთან ტურქეთისკენ გმირობა.

მარტოდმარტო დარჩენილი, იგი დაბინდე
ბამდე აკავებდა მტერს. მერე, ღამის საფარ-
ქვეშ მხარზე „მაქსიმი“ გაიღო და 8 დაჭრილი
მებრძოლი თავისიანებთან გაიყვანა.

— მიიღე ასეული, — უბრძანა პოლკის მე-
თაურმა მაიორმა ვოროშუხომ. მედეკოსი არ
შეპასუხებია. იცოდა, რომ მეთაურთა შემად-
გენლობიდან მწუხარში აღარავინ დარჩენილი-
ყო.

— მესმის, — უპასუხა ექთანმა.

ახე განდა იგი მსროლელთა მეთაური.

მერე იყო ჩუგუფევი. ხიღის აფეთქება. ისევ
უკანდახვევა, პოლკის გახვლა საშიში ზონიდან.
არჩერგარდის უკიდურეს დაცვაში. ტურქეთლა-
ძის ასეულის დატოვება და ფაშისტების იერი-
ში.

4.

გონს რომ მოვიდა, თავს უცნობი რუსი მამა-
კაცი აღვა.

სად არის მისი ასეული? ვინ არის ეს კაცი
ან რა უნდა ამ სარდაფში? რა რიცხვია დღეს?
ჩუგუფევი იმყოფება?!.. უკვე რამდენიმე კვი-
რაა ეს კაცი და მისი ცოლი უფლის? კი მაგ-
რამ, ფაშისტები?!.. ნოთუ ვერაფერ მიაკვლია
მის ადგილსამყოფელს, რად იგდებენ თავს სა-
ფრთხეში ეს კეთილი ადამიანები, როდესაც
წითელარმიელების დამალვისათვის სიკვდილით
სჯიან?

ოთხი თვის მანძილზე ივან მალცევი და მისი
მეუღლე მარია თავს ევლებოდნენ დაჭირდეს,
არ აკლებდნენ კარტოფილს, ჭარხალს, მხალე-
ულს. და კიდევ — სიმშვიდეს მთელი ოთხი
თვის მანძილზე! მაგრამ „სიკეთე არ იმართება“.

მალცევის სახლის გვერდით გერმანელთა
გარნიზონი იდგა, სადაც მეფორნებლად დასა-
ვლეთულ ყოფილ სამხედრო ტყვეებს ამშუშავებ-
დნენ. იმათ როგორღაც დაყნოსეს, სარდაფში
წითელი მეთაური იმალებაო, და გასცეს ივა-
ნეც და ლევანეც.

შიშშილი. ცენა დაკითხვაზე. წამება.

— როგორ აღმოჩნდი ჩუგუფევიში?

— კომუნისტი ხარ? — ვინახატურის საყ-
ლოზე ვარსკვლავს ავლევენ.

— თქვი!!!

ერთხელ საქანში 18-19 წლის ყმაწვილი ქა-
ლი შემოიყვანეს. ვიდაცას ეჩივლა, პარტიზ-
ნების შეკრუ შტაბი... დაკითხვიდან დიღის
ოთხ სათზე დაპარულეს მთლად სისხლში აშო-

სწრაფი, თავზარდაცემული, აკანკალებული, ღევანმა შინელი მოახურა, გული გაუმარა. ის ქალი მეორე დღეს სრულიად მოულოდნელად გაუშვეს. რა მოტივით — ეს კი არავინ იცოდა. საკანთან გასულმა ქალმა იმავე დღეს მოპირდაპირე ტროტუართან გამოატარა მეორე ახალგაზრდა ქალი, და ღევანი დანახა, როგორ მიიღო ხარისხიანი სარკმლიდან იტირებოდა. მალე ღევანს საკანში სამი ცალი მონარშული კარტოფილი, ნახევარი ქარხალი და მთელი კოლოდი „მახორკა“ შეუგზავნეს. ამის მერე მან კიდევ ორჯერ მიიღო მაცოცხლებელი ნობათი, და შესძლო, როგორც იქნა, რადიოს დაზუსტება: იმ პირველი ქალის მამა ექიმი ყოფილა, ადგილობრივი მოხახლეობა დიდ პატივს სცემდა მის იკახობას და სწორედ ამგვარი ურთიერთობის წყალობით დაუბნინათ კიდევ მისი ქალიშვილი.

რამდენიმე დღეში ყოფილი სამხედრო ექთანის გეტაპოდან ჩუგუევის სამხედრო ტუყთა ბანაკში გადაიყვანეს, საიდანაც მოახერხა გაქცევა ერთ სისხამ დღის, დაუსხლტა გუმბაგებს, გადაჭრა მავთულხლართები და დაემკა მდინარე დონეცისკენ, რამდენიმე თვის წინააღმდეგ თავაწირვით რომ იცავდა. ქაობიანი ადგილი შეხვდა, პირდაპირ შევიდა, გააღწია მდინარის ტოტამდე და აღნემოკრებლმა დიქების საწინააღმდეგოდ გადაცურა. დღისით ტუყსა და ქაობში იმალებოდა, აღმამობით მიიარებოდა იქითენ, სადაც თავისიანები ეჭურებოდა. აქაიქ ჭარისკაცული ჩანთების წიგათისთ იკვებებოდა. არ თავილობდა ბალახს, ნაჟის გახსიპულ მერქანს და წიწვებსაც მიაცრებოდა ხოლმე, რათა ცინვას არ შეეცია. ტუქდრე უზხტად ოცი დღე იარა განწამებმა. 75 კილომეტრი მოდუნა. საღგურ ღაზგავაიპდე მიადწრა. წინა ხაზზე უცნობმა წითლებმა დაპატომრეს და წარუდგინეს პოლკის მეთაურს, რომელმაც თავის მხრივ დივიზიის ხაგანგებო ნაწილს გადასცა.

ისვე დავითვა — ხანგრძლივი და მოურიდებელი. მტკიცე პასუხების მიუხედავად მაინც არ ასცდებოდა დასახკელ ბატალიონში ჩარიცხვა. რისი იმედილა უნდა ჰქონოდა? და მოულოდნელად, დაპატომრების მეთუთმეტდე დღეს დაპარუნეს ლიტენანტის წოდება, აღადგინეს მეთაურის უფლებებში და მსროლულთა ასეული ჩაბარეს. და აღმოჩნდა ყოფილი სამხედრო ექთანის, ყოფილი სამხედრო ტუყი, მოიერაშე გვარდიული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში.

1948 წლის 27 თებერვლის გაზეთი „იხვესტია“ წერდა:

„წითელი არმიის ჩაწილები განაგრძობენ გერმანულ-ფაშისტთა ჭარების შევიწროებას. განდევნეს რა პიტლერელები რამდენიმე მსოფელღოვანი დასახლებული პუნქტიდან, ჩვენი

მეომრები კვლავ წინ დაიძრნენ. განსაკუთრებით შეუპოვარი ხასიათი მიიღეს ბრძოლებში ერთ-ერთ უბანზე, სადაც მტერი უკიდურესად გაფთრებულ კონტრშეტევებზე გადავიდა. სურს უყუბი მოიკიდოს დაკავებულ ზღვარზე და ამიტომაც შემოაქვას ახალ-ახალი შენაერთები. მოქმედებაში აბამს ავიაციის მნიშვნელოვან ძალებს. ჩვენი ქვეგანყოფილების საბრძოლო განლაგებათა თავზე თითქმის ვანუწვევტილვ ღაღრინავს მტრის ერთდროულად 15-20 თვითმფრინავი.

ურთავს გერმანელებმა იერიშზე ვადმოიყვანეს მსროლელთა ორი ბატალიონი, ბოლო მომენტმდე მათი მითავარსარღლიობის რეზერვში რომ იმყოფებოდა. გამაგრებული პუნქტის აღებისათვის გამართულ ბრძოლაში თავა გამოიჩინა ტურამპლმის ქვეგანყოფემა. მასობობმა მეავტობატემ ფარულად ზურგიდან მოუარა გერმანელთა რაზმს და მოულოდნელი ცეცხლით მუსრი გაავლო პიტლერელებს. უკან დაბრუნებისას მამაცური მოქმედებით ჭგუფმა დიდი დახმარება გაუწია ქვეგანყოფის შეტრილყო გამაგრებულ პუნქტში და ამოეწვტიტა მთელი მისი ვარნიზი. ბრძოლის ველზე რამდენიმე ასეული გერმანელი ჭარისკაცისა და ოფიცრის გვამი დარჩა.“

ყოფილი სამოქალაქო მფრინავი, ყოფილი სამხედრო ექთანი, პოლკის უკიდურეს თავდაცვაში დარჩენილი ყოფილი ასმეთაური, გეტაპოგამოვლილი და ბანაკის მავთულხლართებს გამოქცეული ყოფილი ექვმიტანილი, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. უმძიმს სამშობლოს და რამდენი სიკვდილიც არ უნდა შეგზვედს პირისპირ, იმდენჯერ უნდა შეება კიდევ მას, რადგან შენ, როგორც შენი მიწის შვილს, მხოლოდ ერთი მოწოდება გადუღს სულში — სახელოვანი სიკვდილი მამულისათვის!

იყო დრო, როდესაც ვანწირულების სუნი ტრიალებდა ბრძოლის ველზე, და ამ ვანწირულებამ მრავალთა სულში თავგანწირვის კოცონი დაწყო.

იყო დრო, თავგანწირვამ რომ შეიპყრო ყოველი ჩვენგანი და ამან შვა კიდევ ჩვენი ყოფიერების უმაღლესი ფორმა, გამოშხატეული სიცოცხლისა და ადამიანობისა — გმირული სიკვდილი.

კაცის გაჩენას მისი დაბადების მოწმობით აფორმებენ.

მშვილობიან პერიოდში გარდაცვალებას — გარდაცვალების საპუთით.

ბრძოლაში ნამუსიან სიკვდილს — შინ გამოგზავნილი შეუბრალებელი უწყევით.

მასნილ ვეაღლიუმილი
მბზლი — სიციცხლი



ქობულეთში მცხოვრებმა ტურქულაქების ოჯახმა 1941 წელს მიიღო შვილის გმირულად დაღუპვის უწყება. ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა დატრიალდებოდა მაშინ იმ ოჯახში: გმირობა — გმირობად, სიცოცხლე — სიცოცხლედ!

არის სიცოცხლე, ტრადიციულად თანდათანობით რომ უსტოვდება სიკვდილის გადაკვეთის წერტილს, მაგრამ არსებობს ისეთი სიკვდილიც, რომელსაც სიცოცხლედ თანდათანობით შთანთქავს ხოლმე.

აბა როგორია ყოფა იმ ადამიანისა, ვინც მშობლებში, ახლოლებში, თავის პირველ სამხრეთლო ნაწილშივე დაღუპულად დარჩა, თვითონ კი შუშხანამოპარკებული მარჯვნივ და მარცხნივ მჭერადაწურულ თანამებრძოლებთან ერთად გაუთავებლად იგერიებდა ბარბაროსთა შემოტევას და წინსვლის ნადარბი დაღუფუნებისას ნათელი მიზნის შესახებდრად მიიწეოდა მომავდინებელ ტყვიის წუთიში.

კაპიტანის წოდებით შეხვდა 1944 წლის გაზაფხულს, მაგრამ მთელი ამ გრიგაღისებური წლების განმავლობაში შინ ერთი წერილიც კი არ გაუცხავინა. და იცოტ რატომ? იმიტომ, რომ სიცოცხლე, შესაძლოა, რამდენჯერმე დაგებრუნდეს კაცს, მაგრამ სიკვდილი, მაინც ერთია. არ ღირდა მშობლების მოულოდნელი სიხარულის ჩაკვლა ხელმეორედ.

როგორ იბრძოდნენ? ყველანი ერთად. და მასაც განსაკუთრებული ისეთი არაფერი გაუკეთებია. ჰქონდა ჭილღოები: მედლები მამაცობისათვის, საბრძოლო დამახურებისათვის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენები, წითელი ვარსკვლავის, ზოგან ხმელნიციხის... რამდენი ფაშისტი ეყოლება დამიწებულთა? ამაზეც არასოდეს უფიქრია. ყველანი ერთად იყვნენ იმ განსაცდელის ფაშს, ერთი ოცნებითა და რწმუნებით გულანთებულნი უშეცდენ ტყვიას შემოსეულ მტერს. მხარდამხარ მიჰყებოდნენ ერთმანეთს შეტევაზე. როცა იარაღი არ ჰყოფნიდათ, ხელთ მორალური სიმტკიცე, უმაღლესი რწმენა ჩაებლუჭათ და ისე იბრძოდნენ. არ იბრძოდნენ სიმბოლური ჩამორჩენილთ, ფიცის ერთგულნი იყვნენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და იღვწენ დიადი, ახალი ისტორიის უმაღლეს ზღურბლთან.

ყველა გამოცდილი მებრძოლი ნერვიულობს ბრძოლის წინ.

ყველა გამოცდილმა მებრძოლმა იცის, რომ მტერი ახლოს უნდა მოუშვას. იცის, მოედოს და შინაგან, დაუძლეველ დაძაბულობას შეუპყრია. არავითარი ფიქრი რაიმე ისეთზე, როგორც წერენ ხოლმე წიგნებში, თვალწინ წამით მთელმა ცხოვრებამ გაურბინაო! წარსულში, მომავალი — ყველაფერი ამ ერთ მომენტზე, ბრძანების გაცემის წაწევა დამყარებულა:

„ცეცხლო!“ და მთლად ყოფილად იწერებოდა თქოს მდღეა რე გადაგახსენო. ბრძოლის აზრტი სანგარში ვერ გაჩერებს. მერე კი... მერე, ორისამი საათის განმავლობაში სადღაც ბურუსში დაცურავ. ცდილობ ადაღანო, თუ სად აყავი, რა მოხდა, ნელ-ნელა გამოდიხარ მდგომარეობიდან ნათთან ერთად, ვინც ეს კოშმარი გადაიტანა.

„ცეცხლი.. ცეცხლი..“ მეთაურის გამოცდილება ბრძოლის მერეც ჩანს — ცდილობს შეცარი სიმფერი, ოზუნ. ჭოხით მებრძოლთა გამოყვანას ტრანსიდან. ახეთ დროს სიკვდილზე, დაჭრაზე არავის ფიქრობს. მაგრამ გადის დრო და ისევ დგება უმაღლესი მომენტები. და ისევ თავიდან იწყება ყველაფერი.

1944 წლის აგვისტოს ერთ ავ დღეს კურსკის მიმართულებით გაჩაღებულ ხელმართულ ბრძოლაშიც თითქოს ყველაფერი რიგზე იყო ჭრი ახლოს მოუშვეს ფაშისტივით, საშინელი ცეცხლით შეხვდნენ. მერე ყველანი ერთად ამოიშალნენ სანგრებიდან და პირისპირ შეებნენ. ელაფდა სიმტე, დანა, კონდახი, გინება და შეძახილები ჭანუნსა და კვენსაში აირია. ხელმართულში ჩამხისას დარწმუნებული ხარ, რომ მარჯვნივ და მარცხნივ აშხანავი მოგუყვება, ამიტომაც ყურადღებას მხოლოდ წინ, შენს მოპირდაპირედ ამახულებ. და როგორც ჩანს, დიარღვა კავშირის ოცეულებს შორის, რადგან ლევანს უცებ სრულიად- მარტოდ- მარტო აღმოჩნდა ფაშისტთა გარემოცვაში

II

სამხრეთ საფრანგეთი. კასტრეს ბანაკი. მეორე ფრონტი რომ ვაიხსნა და გერმანელებმაც მოუხვეს, გენერალ-პოლკოვნიკ ვოლოკოვის სპეციალური ბრძანების თანახმად შეუდგნენ ყოფილ სამხედრო ტყვეთა და გარეკალი მოსახლეობას რეპატრაციის მიზნით ჭგუფების დარაზმვას სამშობლოში დასაბრუნებლად. ლ. ტურქულაქე დაუკავშირდა სამხედრო მისიას პარიზში და კასტრესში მყოფ ყოფილ ტყვეთაგან შეპქმნა ახალი ბანაკი, გააერთიანა 8,500 კაცი და ხომალდ „ამფორათი“ მარსელიდან დაიძრა. ნეპოლოში ინგლისელები შეეცადნენ სამშობლოსკენ მომავალთა ძალთ გადაყვანას ავსტრალიაში. მაგრამ ტყვედუყოფილები მტკიცედ დაუდგნენ ინგლისელთა შემოტევას, მოახერხეს ოტალიაში მოქმედი საბჭოთა ჯარების მიხიის უფროსთან, მაიორ იაკოვლევიან კავშირის დამყარება, გენი არ დაცალეს და ერთი თვის „იტალიური შეჩერების“ შემდეგ კვლავ სამშობლოსკენ გამოსწიეს.

პორტ-საიდი. სუეცი. აღენი. ზასრი. შემდეგ, მატარებლით — თერანო, ბენდერშახი.



და 1945 წლის 1 იანვარს ბაქოს რკინიგზის ბაქანიც გამოჩნდა.

„თქვენი შვილი ცოცხალია...“ და ჩანს, რომ დედე შეატყობინა.

... 1955 წლის აპრილს კრახნოაჩისკის სამხარეთო სასამართლომ გამართდა უფიქრო კაპიტანი ტურქმელაძე საშრობლოს წინაშე შეტანილი ეჭვებისაგან.

ჩამოვდა თუ არა შემადგენლობა ბათუმის ვაგზალზე, უფიქრო მფრინავს, ექონს, ასეთაურს, მარეფისა და ჩუკუევის, კურსისა და ნეპოლის გმირს გულმა ვეღარ გაუმლო და... იგი დაიშალა. დიხა... იგი დაეშალა განვლილ ხანობებში, თავის ბავშვობას, სიკაბუჯეს, ნაცოცხელს, მივიწყებულ სიხარულს. ბოლო ევანგილიდან ჩამოიპარა და განსხვავებისაგან უფიქროვით გასწია. ნაცნობთაგან ვერაფერი იხილა. თუმცა, ავტო, ტელეგრაფის სვეტთან უფიქროვრადლიანი ტანშიაღი ახალგაზრდა კაცი შემოხვდა. რაღაცნაირად შინაურული ნაღველი შეეპოტინა ჩამოსულის სულს. პატარა ჩემოდანი ძირს დადგა შეათვალიერა ახალგაზრდა. ნამდვილად რაღაც ძლიერ ახლომდებარე მხრებზე მოსხმული, თვალბში ჩამდგარი, დგომში გამოკვეთილი.

„მოგხსნას სასამართლოება...“
„თქვენ თავისუფალი ხართ...“
„გამოუძებნეთ ტანსაცმელი...“

გამოუძებნეს ტანსაცმელი გამზდარ, შავვარგმას მამაკაცს, რომელიც ცამეტო წლის წინათ რამდენიმე მებრძოლთან ერთად ორ ბატალიონსამდე მტრის კომარაშულ შტურმს იტვირთდა.

— რას მიუბრძვით, ვერ მიცანი? — უხეზად შეუტია ახალგაზრდამ და გასცილდა ჩამოსულიც, ამ უტყვრად გაღმოსანებულს. „ოც წელია საქართველოში არ ვუყოფილვარ... ასე უხეზად რომ მივადგე ჩვენებს, ვათუ ცუდად გამიხდენს“, — არ ახვეწებდა შოკოთიერი წინაგარძნობა.

უველა გამოცდილია მებრძოლი ნერვიულობის ბრძოლის წინ.

უველა გამოცდილია მებრძოლმა იცის, რომ მტერი ახლოს უნდა მოეშვას. იცის, მოვლის, შინაგან დაუძლიველ დაბნულობას შეუპურია. არავითარა ფიქრი რაიმე ისეთზე, როგორც წერეს ხოლმე. თვალწინ წამით მთელმა ცხოვრებამ გაურბინაო. წარსული, მომავალი — უველაფერი ამ ერთ მომენტზე, ბრძანების მიღების უმალდეს წამზე უფიქრო და მუარებულო.

უღვაშა მძლილი: „საით მივლივართ?“
სადმე იქით, მცირე ხნით, რათა ამღერული სული ოდნავ გაინდოს.

„თქვენ თავისუფალი ხართ!“
და სახლიდან გაპარვის დღიდან პირველად ამ მთელი 18 წლის მანძილზე, მხოლოდ იმ წამს აემღერა სული.

მანქანა ქობულეთისკენ აიჭრა.
„მანც იქით მიდის... იქით!“
სახლობა რომ აიარეს, გაჩერებინა მანქანა. გამოხსნილი ფანტერებიდან ხანატრული ღედის ხმა ტყვიასავით მოხვდა გულში:

ნუთუ აღამიანი მხოლოდ ერთხელ იბადება და კვდება?

მან ერთხელ გასწია რისკი და საფრანგეთიდან რეპატრირებულმა მოსწერა მშობლებს, ცოცხალი ვარო. ფოსტალიონის მიერ ვაღმოდებული კონვერტის მიხედვარე დედა გაოგნდდა: „ჩემი შვილი ხომ დაიღუპა და ნეტა ვის უნდა მოეწერა?“ მამამ იცნო ბიჭის ხელი. დედა იქით ჩაეყვდა ადგილზე. მამას აქეთ წაუვიდა ვული გონს რომ მოეგნენ, დედა სწვდა ბნელ ფარდებს და ჩამოგლიჯა მკვდარი ქსოვილი — პირველი უწყების მიღებისას ჩამოკიდებული. სარქაროდ შეიქერა წითელი, ხახხახა კაბა და ქურჩაში გაიარ-გამოიარა. მეზობლები შესცქეროდნენ, ვაგუფდა საბრადო ქალიო. დედა კი გაიძახოდა უველას გასაგონად: — ხალხო... ჩემი შვილი ცოცხალია, გესმით?... ცოცხალი!

— აი... ხომ ხედავთ... არ ჩამოვიდა, ვილაცა არის!!!... ხედავთ, უვერ მერამდენედ გავაუმებს ფე არამზადა!!!

ლევანს კანკალმა აიტანა და მძლიოს სთხოვა სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას. ვის მიეკედლოს მცირე ხნით, ვის? მამის მეგობრის ოჯახი ვაისხენა, უახლოესი აღამიანები — ქირსა და ლხინში მუდამ ვეყრდით მუოფნი, და ახლა იმათკენ ვასწია.

არ გაუმართლა მამინ არც წერილის გამოგზავნის და არც მის ღვიძლთ. ვერ ჩამოაღწია ოჯახამდე. მაგრამ ეს უველაფერი ძალიან გვიან, უფრო სხვა დროს შეიტყო. ავტო ახლა კი:

კარი სამო ვარგნობის ახალგაზრდა ქალმა გაუღო. უმალ შეიცნო მამის მეგობრის ქალი-შვილი. რამხელა ვაზრდილა. შესცქერის:

„თქვენ თავისუფალი ხართ!!!“
და მან, კიდევ ერთხელ სცადა ზედი ატრინა ქალღვლი ბათუმისკენ:

— შეიძლება ჩემოდანი აქ დავდგა?
— მანაკეთ, მაგრამ ვინ ბრძანდებით?
— ლევანი ვარ...

ქალის შეკვივლებზე შეორე ოთახიდან მაისურანი ახოვანი მამაკაცი გამოვარდა. ხედავს, მისი ცოლი უტრნობს ეხვევა და კოცნის. იფიქრა, აღზათ ომში დეკარგული მამა ან მამა თუ ჩამოუფიქრო... მაგრამ, უველივე ცოტა

მასილ ვამდღერშივილი
ქალღი — სიციცხალი!



მოგვიანებით გაირკვა. მანამდე კი ცხოვრებით ნაჩიჭგენ-ნაიარევმა სტუმარმა შეიტყო, რომ თვითონ მისი მამა უკვე მეორე წელია გარდაცვლილი უოფლია, ხაქმად წამოჩრტული დიშვილები ჰყოლია, დედამისი კი ცეცხლს აფრქვევდა გაწვილებული, რად მატყუბენ ისრდაც გაწიარებულ ქალსი და მან, ჰყვდრეთით აღმდგარმა, არაჟი მოითხოვა.

ერთი ჩაის ჭიქა დალია.

მეორე.

— წადით... უთხარით... ჩემი ძმა აქ მოვიდეს.

თვითონ თანჯარას მიადგა.

ორი წუთიც არ გასულა, სადგურზე ხილულმა უყვისფერპალტოიანმა ახალგაზრდამ შემოანგრია ეზოს ჭიშკარი... და თანჯარასთან მდგომიც ადგილზევე ჩაიკცა.

დღემისი მთელი კვირის განმავლობაში გონს არ მოხუღა. მერე მთელი თვე ღოგინში ფეხებთან ექდა დაბრუნებულ შეილს, გაუწუვტლივ ეფერებოდა და სულ თვლებში შესცქეროდა — ნუთუ ეს სინამდვილეა?!..

ქნებ ზღაპარია და ეწვეება უყვალაფერი?

სინამდვილე ზოგჯერ ზღაპარსა ჰგავს.

და დედის გულმაც ვეღარ გადაიჩანა იგი.

მ.

მან გრძელი, ძარღვიანი თითებით გახსნა სიგარეტის კოლოფი და გამოიწიოდა. თამბაქოს ევამლის მიღმა, როგორც ღამის მდინარების საბურველში გახვეულს, ისე შევცქერი ხახვს კაცისას, რომლის სიცოცხლემაც ამ ჩვენს სტრატონებში გაირბინა. მისი სახე დენთის ევამლსა და ქუხილში იწრთო.

— „კომუნისტის“ აპრილის ნომერი რომ წავიკითხე, უმალ აქარის სამხედრო კომისარიატს მივაკითხე, ესა და ეს კაცი ქობულეთის ერთ-ერთ კომუნალურ დაწესებულებაში ვმუშაობ და გთხოვთ შეატყობინოთ-მითქვი რედაქციას. მაისში ქალიშვილთან ერთად გაფრინდეს ხარკოვს და იქიდან ჩუგუევში ჩავდი. მუზეუმის დირექტორი ზინჩენკო, თურმე, წიგნს წერდა ჩუგუველ მებრძოლებზე... შარშან თებერვალში ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული მახალის მერე მიუღია ორი უცნობი ქალის წერილი, რომლებიც ეკითხებოდნენ, კი მაგრამ, მავანი და მავანი კაცის სახელს და მამის სახელს რატომ არ წერთ, რატომ აქამდე ვერ დააზუსტეთო. (მხედველო-

ბაში მე ვყავდი). და ზინჩენკოსაც მარტო მხოლოდ წიგნი შეეცოხვა რედაქციაში.

— ვინ იყვნენ ის ქალები?

— თქვენივეს უკვე კარგად ცნობილი მასწავლებელი, რომელიც გესტაპომ ჩემს საქანში შემოგადო — ელენე კონსტანტინეს ასული ანდრეევა, და ექიმი — ირინა კოშხას ასული ცეზმისტროვა, დაბადების დღე რომ მომილოცა მან წლის შემდეგ. იმანად ჩვენი იატაკვეშეთის ფასდაუღებელი მუშაკები უოფილან. მათ მისნეს გესტაპოდან. მათი ხელშეწყობით გავიქციე ტყვეთა ბანაკიდან. მათივე უშუალო ჩარევით გადავურჩი, თურმე, დასახეულ ბატალიონს გაქცევის მერე და დავიბრუნე წოდებაც და ასეულიც. თქვენ წარმოიდგინეთ, ნამდვილად არ ვიციდი, თუ ვინ იყო ის მალცივი, სიკვდილს რომ გამოშტაცა და საკუთარი თავი კი საფრთხეში ჩაივდო. მეკავშირედ დავტოვებინათ პარტიზანებს და მორჩინის მერე რაშში უნდა გადავეყვანე. დაუმსახურებელი სასჯელის ვადაც მათმა ენერჯულიმა ჩარევამ შემიშვირა და როგორც ოქნა, დამაბრუნა ჩემს სამშობლოში. უყვალაფერი მხოლოდ ებლა შევიტყვე, ეხლად განბა ნათელი ჩემთვის, თუ როგორი მფარველები მყოლია ამ დიდებული ადამიანების სახით.

ამ ხალხის კეთილშობილებამ იხსნა კაცის სახელი დავიწყებისაგან, ხოლო მისი სიცოცხლე — სიკვდილისაგან.

„საიდან ახსოვთ ჩემი დაბადების დღე, საიდან?“

უკვირდა ქალაქ ჩუგუვეის საბატო მოქალაქს, საკუთარი საფლავის მხილველს გმირთა სამუდამო განსახევენებში, ძლიერ უკვირდა, თუ საიდან ახსოვდათ ის დღე, რომელიც მას კარგა ხანია დავიწყებული ქონდა. თუმცა, დღეს ამ სტრატონების ავტორსაც სიკეთისა და კეთილშობილებისა სულაც აღარ გაუკვირდება, რადგან უძნელეს ფასს ღირსეულ ქალთა ერთგულება სიმართლისადმი ახშობს, თრგუნავს და იმარჯებებს ექვე, უნდობლობაზე, ვაურკვევლობასა და სიკვდილზე. ღირსეულ ქალთა სიხშილე მაშაკაცი და დიდკაცი სიცოცხლის დაწინადარი უოფილა, სიცოცხლისა, რომელმაც ჩვენს სინამდვილეში სამშობლოს სიყვარულს და იდეალების ერთგულებას, რწმენის სიმტკიცეს, უღალატო შეგობრობას და „არდავიწყებას მოყვრისას“ კლასიკური ძეგლი აუგო.

ძეგლი — სიცოცხლე!!!



«მუშანიკის წამების» ტექსტის ისტორიისათვის

იაკობ ცურტაველის თხზულებას „მუშანიკის წამება“ ჩვენამდე მოუღწევია II ხელნაწერში. მათ შორის უძველესია პარსლის მრავალთავი, რომელიც X საუკუნის მიწურულშია გადაწერილი, ხოლო სხვა ნუსხები XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება. პარსლის მრავალთავში „მუშანიკის წამების“ ტექსტი, სამწუხაროდ, სრულად არ შემონახულა. აქ თხზულების თითქმის ორი მესამედია წარმოდგენილი — დასაწყისიდან ვიდრე XII თავამდე, XVIII-XIX საუკუნეთა ხელნაწერებში კი „მუშანიკის წამების“ სრული ტექსტია დაცული.

იაკობ ხუცესის თხზულება პირველად მ. საბინინმა გამოცა 1882 წელს პეტერბურგში და მან, როგორც ჩანს, გამოიყენა 1748 წელს გადაწერილი H—2121 ხელნაწერი (ამაზე თავის დროზე მიუთითა ილია აბულაძემ). 1917 წელს თხზულების კრიტიკული ტექსტი ოთხი ხელნაწერის მიხედვით ქუთაისში გამოაქვეყნა ს. გორგაძემ, მან ნაწარმოებს საფუძვლად დაუდო უძველესი, პარსლურ მრავალთავში წარმოდგენილი ტექსტი, ოღონდ იმ ნაწილისათვის, რაც აკლია ამ ხელნაწერში „მუშანიკის წამებას“, მან გამოიყენა XVIII საუკუნის ნუსხები (A—130, 1713 წლისა, A—170, 1738 წლისა, A—176, 1748 წლისა). შედგომა ხანის ყველა კრიტიკული გამოცემა ს. გორგაძის მიერ სათავედადებული ტრადიციის აგრძელებს — საფუძვლად აღებულია X საუკუნის ხელნაწერი და ნაკლები ტექსტი შეესებულება ხოლმე XVIII-XIX საუკუნეთა ხელნაწერებში დაცული ტექსტით. 1988 წელს ილია აბულაძემ ვრცელი ფილოლოგიურ-ისტორიული ნარკვევითურამ გამოაქვეყნა იაკობ ხუცესის ეს თხზულება. ტექსტი დადგენილია 8 ნუსხის მიხედვით. 1968 წელს „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ I ტომში გამოაქვეყნდა ც. ქურციკიძის მიერ მოწოდებული

ლი ტექსტი II ხელნაწერის მიხედვით. 1979 წელს იგივე ტექსტი მცირეოდენი ცვლილებებით დახატაზა გამოცემილია „საბჭოთა საქართველო“.

თაობათა მიერ „მუშანიკის წამების“, ძველი ქართული მწერლობის ამ შედევრის, სათანადოდ გამოცემისა და შესწავლისათვის დიდი შრომა გაწეული. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ თხზულებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა საბოლოოდ იყოს გადაწყვეტილი. წინამდებარე წერილში ერთ-ერთ ამგვარ საკითხზე გვექნება საუბარი. კერძოდ, როგორც ირაკვევა, ს. გორგაძის და მომდევნო ხანის ყველა მკვლევარს მხედველობიდან გამოჩნათ ერთი გარემოება, სახელდობრ, მათ ვერ გაითვალისწინეს ის, რომ პარსლის მრავალთავში შემონახული „მუშანიკის წამების“ ტექსტი და ის ტექსტი, რომელიც დაცულია XVIII-XIX საუკუნეთა ხელნაწერებში, ორ სხვადასხვა რედაქციას ქმნიან. ამასთან, უძველეს პარსლის მრავალთავში დაცულია თხზულების ა რედაქცია, ხოლო უკვე დაწარჩენ ნუსხებში კი — ბ რედაქცია.

ჩვენ დაწვრილებით შევადარეთ ამ ორი რედაქციის ტექსტები I-XII თავების ფარგლებში (რაკი ბ რედაქციის ტექსტს სხვა თავები აკლია) და აღმოჩნდა, რომ მათ შორის 411 კითხვა-სხვაობაა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ ავინუსხავს ორთოგრაფიული ან, ჩვენი აზრით, სხვა უმნიშვნელო სხვაობანი. ეს სხვაობები მ ჩვეუფს ქმნიან: I. ბ რედაქციაში ტექსტი მეტია ბ რედაქციის ტექსტთან შედარებით (შევვიდა წინაშე მუშანიკისა, ბ რედაქცია (I თ.); შდრ.; შევიდა წინაშე წმიდისა, ბ რედაქცია (I თ.); შდრ.; დუაწლსა დიდსა შესვლად ხარ, დეოფალო, ბ რედაქცია (III თ.), შდრ.; დუაწლსა დიდსა შესვლად, დეოფალო ჩამო, ბ რედაქცია;



თრევით მოვითრიო, ბ რედაქცია (V თ.); შდრ.: თრევით მოვითრიოთ ბაბ უშუალოდ, ბ რედაქცია და სხვ. ამ რიგის 60 შემთხვევა გვაქვს); II. ბ. რედაქციის ტექსტს აკლია ბ რედაქციასთან შედარებით (ცვალა იგი ღმერთთან, ბ რედაქცია (I თ.); შდრ.: ცვალა იგი, ბ რედაქცია; მისრულ იყო კითხვად რაბანში სინქსის, ბ რედაქცია (III თ.), შდრ.: მისრულ იყო კითხვად, ბ რედაქცია; ჩუენ ალკიპსანნი მწუხარბანიშა და დილითა ტირილითა ვტიროდეთ, ბ რედაქცია (III თ.), შდრ.: ჩუენ დილითა ტირილითა ვტიროდეთ, ბ რედაქცია და მისთ. სულ დღავატურე-ბულია ამგვარი 127 ნიმუში). III. ბ და ბ რედაქციეში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიტყვათა რიგით (ბ რედაქციაშია: შუბარშაინს და სანგზის სანშალკოვალისა შარაშაინის ვითარმე ვინ თქუას (I თ.), ბ რედაქციაში იკითხება: შუბარშაინს ვასანინს და სანგზის სანშალკოვალისა ვითარმედ ვინ თქუას; ბ რედაქციაშია: არა დაჰდა იქი თუხსს მას ბალიპას (V თ.), ბ რედაქციაში გვაქვს: არა თუხსს მას ბალიპას დაჰდა და სხვა, სულ 84 შემთხვევა); IV. სიტყვა შეცვლილია სხვა სიტყვით (რათა აუშროს, ბ რედაქცია (II თ.); შდრ.: უწოდოს, ბ რედაქცია; სინბარშულით შეგუებუნა, ბ რედაქცია; სიუარულით შეგებუნა, ბ რედაქცია, ნუ წარსწყემდ ხახლსა ამას სამედროშლოს, ბ რედაქცია (V თ.), შდრ.: სანშალოს, ბ რედაქცია და მისთ. სულ 87 შემთხვევა); V. ერთი და იგივე სიტყვა ბ და ბ რედაქციათა ტექსტებში სხვადასხვა ფორმითა წარმოდგენილი (იგნა მუშინსაბან სარსთახსა, ბ რედაქცია (II თ.), შდრ.: მუშინს მისგან, ბ რედაქცია; სოფლად შვიმღას, ბ რედაქცია (II თ.), შდრ.: სოფლად შვიმღამს, ბ რედაქცია, სახელი პრპუნ ცურბაბ, ბ რედაქცია (II თ.), შდრ.: სახელი პრპუნ ცურბაბით და მისთ. სულ 102 შემთხვევა); VI. მთელი ფრაზა ან გამოქმევა შეცვლილი (მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანავაჰვანდი თანისკო-პოსს მას, ბ რედაქცია (III თ.), შდრ.: მეცა ხუცესი დედოფლისა შინ, მის თანავ ვიყუ, ბ რედაქცია, მონიწი რუანდა დიაკონი შინამთ და ბეთსრბ რუან მას უკოვლი, ბ რედაქცია (III თ.), შდრ.: დიაკონი მონიწი შინამთ და ბეთსრბ მას უკოვლი, ბ რედაქცია; მუ შინწაფიდი ბამოსლვად, ბ რედაქცია (VII თ.), შდრ.: მუ სწარბიტი ბამოსლვად, ბ რედაქცია და სხვ. სულ 24 შემთხვევა).

როგორც ზემოთ დამოწმებული მახალიდან ჩანს, ა და ბ რედაქციებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია. სულ, როგორც ვთქვით, I-XII თავების მანძილზე 411 კითხვა-სხვაობაა. მათი დიდი ნაწილი მკაფიოდ გამოხატული რედაქტორული მუშაობის შედეგია. მაგალითად, ბ რედაქციაში ნათქვამია: დედათა ბუნება იწრო არს (IV თ.). ბ რედაქციის ხელნაწერებში ვკი-

თხულობთ: დედათა ბუნება იწროა. აქ ნათლად ჩანს ამ ადგილის ბ რედაქციის რედაქტორისეული გავება. რომ ეს გავება სწორია, ამას მოწმობს ერთი ადგილი პარიზის (XI ს.) ხელნაწერიდან: იწროა მსმ გო-ნებადა ჩემი, დედოფალი, ბანბარცმ, რომელმან შუბარშინს უყოფელ მანქანეანი ეშაქინა. ნი და იწროასს მის ბუხისა მუად-მუად, რათა სეგრცესა ცხოვრებისა მის საუყურს-ასასა შევიდეთ. პარიზ, მარტენი 109 V, გვ-87.

VI თ. ინებს მართლდ პურისა ქაბად, ბ რედაქცია; ბ რედაქციაში იკითხება. ინებს ვარშულად პურისს ქაბად. აქ არ არის შემთხვევითი შეცვლა ერთი სიტყვისა მეორეთი. აქი პიტანშანს მცველს უბრძანა: „სუსთა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსვლად“.

ვარსკენის შესახებ ბ რედაქციის ტექსტში ნათქვამია: „მორბობდა და იტყოდა“ (VIII თ.); ხოლო ბ რედაქციის ტექსტში ვკითხულობთ: სინბროდა და იტყოდა. სინბ-ი, აკლია ანუღანის განწარტებით, არის „მელომ“. ეს სიტყვა გვაქვს მცხეთურ ბიბლიაში „ყოფს თუ ვისიმე შეილი ურან და სინბ“, II შექულია 23,15, შდრ.: უავეთუ ვისიმე მე ურან იყოს და მელომ, გაულათს ბიბლია.

სინბ-ი სასტიკს, უხეშს უნდა ნიშნავდეს. სინბ-ი ზნა სხვაგან არ არის ქრტილობით დადასტურებული.

ძალზე ხაინტერესოა V თავის ერთი ადგილი. შუშანიკის შესახებ ვიგებთ, რომ მან „თანაწარტანა ევანგელმ თუხი და წმიდანი იბი წინგნი მოწანამთანი“. ანუ ბ რედაქციაში, ხოლო ბ რედაქციაში ამ ადგილას ნათქვამია: „თანაწარტანა ევანგელმ და წმიდანი იბი ნაწილი მოწანამთანი“. ბ რედაქციის შემშუშავებელმა წინგნი შეცვალა ნაწილი სიტყვით. არ თქმა უნდა, უფრო სწორი ბ რედაქციის წაკითხვა, ოღონდ ბ რედაქციაში ცვლილება შემთხვევითი ხასიათის კი არაა, არამედ რედაქტორის შეგნებული ჩარევის შედეგია. ამას გვაპარადებინებს ის, რომ ავოგრაფულ თხზულებებში არაერთგზის გვხვდება ადგილები, როცა მარტენს, ან როელიმე სხვა წმიდანს, მოწამეთა წმიდა ნაწილები აქვს ხოლმე. მაგალითად: „იოანე ზედაძნელის ცხოვრებაში“ იკითხება: „ხოლო ღირსსა იოანეს აქუნდეს თავისა თუხისა თანა ნაწილი წმიდათა მოწამეთანი, რომელნი წარმოცანდეს ქუეყანით თუხით, და რაჟამს წარავლენდა მოწა-

1. შდრ.: მ. რობაქიძე, შუშანიკის წამების ერთი ადგილის გავებისათვის, კრებულში, „შუშანიკის წამები“, 1978, გვ. 128-140; ც. ქურციკიძის მიერ გამოცემული „შუშანიკის წამების“ (თბილისი, 1978 წ.) ლექსიკონი, გვ. 73.

2 ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 563 (მაგალითები დამოწმებულია ამ ლექსიკონიდან).



ფეთა თვსა, მისცემდა თითოეულსა მათსა ნაწილთა მათგან წმიდათასა, რათა აქუნდეს მათ მცველად უოველსა ცხოვრებასა შინა საეშაქოთა სიყვარულთა მიმართ“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III ტ., გვ. 95, 20-24). ასევე აშკარად რედაქტორის მიერ გადაშუშავებული შაბიეჭილენების ტოვებს ისეთი ადგილები, როგორცაა: **იზინიცა მსრამე მოშაქცინე უნეს შუჯულსა**, ვითარცა ესე მე (ბ რედაქცია I თ.), შდრ.: **იზინიცა ვინარსმანს მე**, უნესამე მამას მსხსრამებსა მოშაქცინე (ბ რედაქცია). ან კიდევ: **ბლუშამე ქვბა და ვტირღლე** (ბ რედაქცია VII თ.), შდრ.: **ქმბ ბანმარბ ტირილით** (ბ რედაქცია) და მისთ.

ასევე შეგნებულადა შეცვლილი ხოლმე სიტყვის ფორმა სხვა ფორმით: ბ რედაქციის ტექსტში იკითხება: რომლისათვის-ესე მიწვერბ თქუნდა (I თ.). მიეწერი წარსული დროის, წყვეტილის ფორმა, ბ რედაქციაში აქ ახლანდელი დროის, აწმყოს მწკრივის ფორმა: რომლისათვის-ესე მიწვერბ თქუნდა.

ბ რედაქციის ტექსტში გვაქვს: „უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რადა წარნიშანონ წმიდადა შუშანიკ ციხედ და საპურობლესა ბნელსა შაბაქინონ იგი, და მოკუდეს“ (VIII თ.). ბ რედაქციის ტექსტში ვკითხულობთ: უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რადაა წარნიშანონ წმიდადა შუშანიკ ციხედ და საპურობილესა ბნელსა შაბაქინონ, და მოკუდეს მუნ შინა“ ამ შემთხვევაში ბ რედაქციის რედატორმა საზგანსულო წმნები იმტომ დასვა მხოლოდით რიცხვში, რომ მოქმედების უშუალო შემსრულებლად (სუნიექტად) მიიჩნია სენაკაპანი.

ასევე საინტერესოა შემდეგი ადგილი. ბ რედაქციის ტექსტში ნათქვამია: „მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო“ (V თ.). ესე იგი, შუშანიკი თვითონ ცდილობდა (ფიქრობდა) ვარსკენის მოქცევას. ბ რედაქციის მიხედვით კი ისე გამოდის, რომ, შუშანიკს ეგონა, ვარსკენის მოაქცევდნენ ჭოგითა, მისი ცლია და ენისკოპოსი: „მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქცინო“¹. ამ რიცის შეგალითების რიცხვის გაზრდა ადვილად შეიძლება.

არის ზოგი ისეთი სხვაობაც, რაც მთელი ტექსტის მანძილზე განარჩევს ამ ორ რედაქციას. მაგალითად, ბ რედაქციაში საკუთარი სახელი **პარსქინე/პარსქანე** ფორმით გვხვდება, ხოლო ბ რედაქციაში მხოლოდ **პსქანე** ფორმით.

როდის უნდა ჩამოყალიბებულიყო ბ რედაქცია? ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს ვაძლევს ეპისტოლის ერთი ციტატა. (I კორ. 7,15). ბ რედაქციაში ვკითხულობთ: **ბრბ ღამონმბულ ბრს ძმბა, ვინბ ღბა. ხოლო ბ რედაქციაში ეს**

ციტატა ასეა მოცემული: **არა ღამონმბულ ბრს — ძმბა იზნი, გინა ღბა იზნი**.

საქმე ისაა, რომ ძმბა იზნი, გინა ღბა იზნი გვხვდება პავლეტა გიორგისეულ და ეფრემოსეულ რედაქციებში. მაშინ როცა პავლეტა უძველეს რედაქციებში ძმბა, გინა ღბა იკითხება.

ვფიქრობთ, ბ რედაქციის ტექსტი ვერ ჩამოყალიბდებოდა XI საუკუნემდე. დიდად საინტერესოა, რომ პარსლურ მრავალთავში ნაწარმოების სათაურია: „წამება წმიდისა შუშანიკისა დედოფლისა (წმინდა), ბ რედაქციის ხელნაწერებში ნაწარმოების სათაურში ემატება „მოწამისა“ სიტყვა: წამება წმიდისა მოწამისა შუშანიკ დედოფლისა (A—130 99v). A—97—XI საუკუნის ხელნაწერში, რომელიც სენაკაპარს შეიცავს, გადაწერის ხელითვე ამაზე არის მიწვენილი ნაწარმოების სათაურში ემატება „მოწამისა“ სიტყვა: წამება წმიდისა მოწამისა შუშანიკისა, რომელი იწამა ქართლსა ქმრისა მისისა ვსქანინსბან“ (279v). აქ ყურადღებას იქცევს ორი გარემოება: პირველი, ნაწარმოების დასახელებისას გვაქვს მოწამისა, რაც მხოლოდ ბ რედაქციის ტექსტის სათაურში დასტურდება; მეორე, საკუთარი სახელი ვსქანინ ფორმით არცერთხელ არ გვხვდება ბ რედაქციის ტექსტში და მხოლოდ ამ ფორმით ბანოქლინდებბ ბ რედაქციის ტექსტში. აქედან გამომდინარე, A—97 ხელნაწერში ზემოთ მოტანილი წინაწერის გამოეთებულ ხელთ ჰქონია სწორედ ბ რედაქციის ტექსტი.

დამატებით უნდა მივუთითოთ იმაზე, რომ ბ რედაქციის ტექსტში თავს იჩენს აღმოსავლური ქართულისათვის დამახასიათებელი დიალექტიზმები. იგი ნაღმირობას წარვიდა (VII თ.), შდრ. თუთ ნაღმირობად წარვიდა (ბ რედაქცია), ჰე, ჰე, განისუენე მამბ (IX თ. ბ რედაქცია), შდრ.: ჰე, ჰე, განისუენე (ა რედაქცია). აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფორმები გამოვლინდება სწორედ XI-XII საუკუნეებში-და-ს!

ყოველივე ეს ვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ „შუშანიკის წამების“ ბ რედაქცია უკვე იყო ჩამოყალიბებული XI საუკუნეში იგი შეიტანა თავის კრებულში დომენტი კათალიკოსმა. ეს კრებული ჩვენამდე მოღწეულია 1718 წელს გადაწერილი ნუსხით (A—130). სწორედ

¹ ამის შესახებ იხ. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემთა მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის: მრავალთავი, VIII, თბ., 1980.

მ. მიშნაშვილი, ზ. სარჯველაძე
„შუშანიკის წამების“ ტექსტის
ისტორიისათვის

¹ პავლენი, გამოსცეს ქ. ძიწენიძემ და კ. დანელიამ, თბ., 1974 წ.



მას თითქმის უცვლელად მისდევს A—176, რომელიც გადაწერილია 1748 წელს.¹

როგორც ირკვევა, დომენტი კათალიკოსი იღებდა ძველ ტექსტს და გადაუმუშავებლად შემქონდა თავის კრებულში (მხედველობაში არ ვიდრით ორიოგრაფიულ და ზოგ მცირე სხვაობას). ეს ჩანს „ეხტათი მცხეთელის წამების“, „აბოს წამების“, „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“, „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ და სხვა ძეგლების ძველ ხელნაწერებში დაცულ და დომენტის კრებულში შეტანილ ტექსტთა შედარებიდან.

ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ დომენტი კათალიკოსს არ უხარგბლდა პარხლურ მრავალთაგანში შემონახული „შუშანიკის წამების“ ტექსტით. იცნობდა თუ არა იგი პარხლურ მრავალთაგან, რომელშიც დაცულია „შუშანიკის წამების“ არქაქციის ტექსტი?

როგორც ვჩინვეთ „აბოს წამების“ პარხლური ხელნაწერის ტექსტის შედარება დომენტისეული კრებულის ტექსტთან, დომენტი კათალიკოსი იცნობდა პარხლის მრავალთაგან და „აბოს წამების“ ტექსტი სწორედ აქედან აქვს აღებული. ამაზე მიუთითებს მრავალი საერთო წაკითხვა, რაც თავს იჩენს პარხლური მრავალთაგანსა და დომენტისეული კრებულის ტექსტში. დავასახელებთ ორიოდე, ჩვენი აზრით, მრავლისმთქმელ ნიმუშს: საპრობილეხა შეგადო მან ნერსე ერისთავი აწუხანისა აშის ქართლისაჲ, A—95 (II თ.) ეს „აოტამეტი“ ფორმა შეორდება A—180-შიც. დაჯდა მის წილ... მალდი, A—95 (II თ.). მალდი მომდინარეობს მბაღდი

ფორმისაგან მ და ლ ნუსხურ ასობს... შედგება მალდი გვაქვს A—180-სა და უველია იმ ხელნაწერში, რომლებიც მას ემყარებიან. განუტევა იგი კუალად მარსტაპობიტი, A—95 (II თ.) ასევე A—180-სა და სხვა გვიანდელ ნუსხეში, მაშინ, როცა ამ ადგილას აღჩინდელ ხელნაწერებში (უდაბნოს მრავალთაგი, სვანური მრავალთაგი, ათონური მრავალთაგი) მარსტაპობიტი იკითხება. ამგვარ ნიმუშთა დასახელება მრავლად შეიძლება, მაგრამ აქედანაც კარგად ჩანს, რომ დომენტი პარხლურ მრავალთაგან იცნობდა. რატომ არ გამოიყენა მან ამავე ხელნაწერში დაცული „შუშანიკის წამება“ ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ის დავასახელოთ, რომ „შუშანიკის წამების“ ტექსტი უკვე XVIII საუკუნის დასაწყისში ნაკლები იყო. სანტერენსო მარია დედოფლის, ამ ხელნაწერის გამოცხნების, მიხედვით: „ჩემს კლემწიფემა პატრონმა დადიანისა ასულმა დედოფალთ-დედოფალმან მარიაჲ ესე წიგნი ურუმის ქუეყნიდან გამოვიხსენ და გავანდრე და შლილი და წამქ და რი“ (ნ 2 V). დომენტიმ თავის კრებულში „შუშანიკის წამების“ სრული ტექსტი შეიტანა.

ამრიგად, ირკვევა, რომ „შუშანიკის წამებას“ ჩვენამდე მოუღწევია ორი რედაქციით: ბ რედაქცია შემონახულია პარხლის მრავალთაგანში (X ს.). ტექსტი, სამწუხაროდ, ნაკლებია. ბ რედაქცია, როგორც ჩანს, შემუშავებულია XI საუკუნეში. იგი შეუტანია აგიოგრაფიულ კრებულში დომენტი კათალიკოსს 1713 წელს. ივარაუდება, რომ ბ და ბ რედაქციები ერთი საერთო არქეტიპიდან მომდინარეობენ. აქვე უნდა დავხსნიოთ, რომ A—170, H—2077, H—1672, H—2121 ხელნაწერებში წარმოდგენილი ბ რედაქციის ტექსტი გვიჩვენებს, რომ შემდგომშიც ჩაუტარებიათ ვარკვეული რედაქტორული მუშაობა (ამის შესახებ სხვაგან).

ეს ფაქტი მნიშვნელოვანია „შუშანიკის წამების“ მეცნიერული ტექსტის დადგენისთვისაც.

¹ ამ კრებულის შესახებ იხ. ელ. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი: ჰუმანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, გვ. 415—420.



საინჟინერო წიგნი საპარტილიანობის გვერდებზე აქვეყნდება

ბასსულ წელს მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ საწინაო ეთარებაში აღნიშნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავი.

ამ წეიშის დაგვირგვინება იყო მოსკოვში გამართული საღამო, სადაც შთამაგონებლად აღნიშნა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავყაცის დიადი ცხოვრება და შემოქმედება.

ამ თარიღისადმი მიძღვნილი ვახტანგ უვანიას წიგნი „სამართლიანობის და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პრობლემები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, მისასაღმებელია, რომ წიგნი გამოიცა რუსულად და მას გაეცნობა უფრო ფართო საზოგადოება.

სწორად არის შენიშნული, რომ ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთიკურ და სხვა შეხედულებებს მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა, მის სამართლებრივ შეხედულებებზე კი შედარებით ცოტაა დაწერილი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გ. სოსელიას შრომას „ილია ჭავჭავაძის სამართლებრივი შეხედულებები“, ნ. კეკელიძის წიგნს „ილია ჭავჭავაძე — იურისტი“ და ვ. ნეტრეველის გამოკვლევას „ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფო-სა და სამართალზე“. თვით ვახტანგ უვანიამ ამ საკითხზე 1974 წელს გამოაქვეყნა შრომა „მართლმსაჯულების და პუბლიცისტიკის საკითხები ი. გ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში“.

სარეცენზიო წიგნი მიზნად ისახავს ვაარკვიოს სამართლიანობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, სახელდობრ კი, თუ როგორ ესმოდა სამართლიანი საზოგადოებრივი ურთი-

ერთობა მისი თანამედროვე ეკონომიკური, პოლიტიკური, სახელმწიფო-სამართლებრივი და კულტურული ცხოვრების პირობებში.

გამოკვლევის ავტორი საცხებით სამართლიანად მიგვანისნებს იმ ფაქტზე, რომ ილია ჭავჭავაძემ მუდამ დაჩაგრულის ქონაგად და მშრომელი, პატოსანი ადამიანების ინტერესების დამცველად გამოდიოდა, როგორც დიდი ჰუმანისტი, ერისათვის უსაზღვროდ თავდადებული, იგი საზოგადოების დიდ მაგრამ ჩაგრულ უმრავლესობაზე წრუნავდა და სამართლიანობის საკითხების გადაწყვეტისას იმ მაღალი წინდობრივი პრინციპებით ხელმძღვანელობდა, რომლებიც კაცობრიობამ საუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავა.

ი. ჭავჭავაძემ ისწრაფვოდა თავისი თეორიული დებულებები საკუთარი პრაქტიკული მოღვაწეობით დაემტკიცებინა, განსაკუთრებით მართლმსაჯულების ორგანოებში თანამშრომლობის პერიოდში. „მაგრამ თუ ილიამ ეს ისე, როგორც მას სურდა ვერ შესძლო, დასჯენის ვახტანგ უვანიას, ამის მიზეზი და ხელშემშლელი იყო მანდელი შემბოქველი ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა და იმდროინდელი უსამართლო კანონების არსებობა, სანაგვიროდ, სამართლიანობისათვის მისი შეუწელებელი ბრძოლის უდაო გამოხატულება მის დიდ მხატვრულ შემოქმედებაში გამოვლინდა გაბროსადმი და პეპიასადმი, მუშისა თუ სიმართლის მიმხნედი ოთარანთ ქვივისადმი აშკარა დიდი სიმპათიის გამოსახვით“.

წიგნს შესავალში ისტორიული ექსკურსი აქვს წამდვარებული სამართლიანობის პრობ-

საინსურანსო წიგნი საპარტიო-საინსურანსო პრობლემაზე

ბასშე წელს მთელმა ჩვენმა საზოგადოებრივობამ სახეივო ვითარებაში აღნიშნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავი.

ამ წიგნის დაგვირგვინება იყო მოსკოვში გამართული საღამო, სადაც შინაგონებლად აღინიშნა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავიანთი დიდი ცხოვრება და შემოქმედება.

ამ თარიღისადმი მიძღვნილი ვახტანგ უვანიას წიგნი „სამართლიანობის და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პრობლემები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, მისასალმებელია, რომ წიგნი გამოიცა რუსულად და მას გაეცნობა უფრო ფართო საზოგადოება.

სწორად არის შენიშნული, რომ ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთიკურ და სხვა შეხედულებებს მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა, მის სამართლებრივ შეხედულებებზე კი შედარებით ცოტაა დაწერილი, თუ არ მივიღებთ შეხედულოებაში გ. სოსელიას შრომას „ილია ჭავჭავაძის სამართლებრივი შეხედულება“, ნ. კვეციანიძის წიგნს „ილია ჭავჭავაძე — იურისტი“ და ვ. ნეტრეველის გამოკვლევას „ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე“. თვით ვახტანგ უვანიამ ამ საკითხზე 1974 წელს გამოაქვეყნა შრომა „მართლმსაჯულების და პუბლიცისტიკის საკითხები ი. ჭ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში“.

სარეცენზიო წიგნი მოწინად იხახავს გარკვიოს სამართლიანობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, სახელდობრ კი, თუ როგორ ესმოდა სამართლიანი საზოგადოებრივი ურთი-

ერთობა მისი თანამედროვე ეკონომიკური, პოლიტიკური, სახელმწიფო-სამართლებრივი და კულტურული ცხოვრების პირობებში.

გამოკვლევის ავტორი ხავებით სამართლიანად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ილია ჭავჭავაძე მუდამ დაჩაგრულის ქომავალ და მშრომელი, პატიოსანი ადამიანების ინტერესების დამცველად გამოდიოდა. როგორც დიდი ჰუმანისტი, ერისათვის უსაზღვროდ თავდადებული, იგი საზოგადოების დიდ მაგრამ ჩაგრულ უმრავლესობაზე წარუხავდა და სამართლიანობის საკითხების გადაწყვეტისას იმ ნაღალი წინებორავი პრინციპებით ზღვრდებოდა, რომლებიც კაცობრიობამ საუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავა.

ი. ჭავჭავაძე ისწავებდა თავისი თეორიული დებულებები საკუთარი პრაქტიკული მოღვაწეობით დამტკიცებანა, განსაკუთრებით მართლმსაჯულების ორგანოებში თანამშრომლობის პერიოდში. „მაგრამ თუ ილიამ ეს ისე, როგორც მას სურდა ვერ შესძლო, დასკვნის ვახტანგ უვანია, ამის მიზეზი და ხელშემშლელი იყო მაშინდელი შემოკლები ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა და იმდროინდელი უსამართლო კანონების არსებობა, სინაგიგროდ, სამართლიანობისათვის მისი შეუწინებელი ბრძოლის უდაო გამოხატულება მის დიდ მხატვრულ შემოქმედებაში გამოვლინდა გაბრუნებულ და პეიზაჟადმი, მუშისა თუ სიმართლის მძებნელ ოთარანთ ვერცხლისადმი აშკარა დიდი სიმბატის გამოხატვით“.

წიგნს შესავალში ისტორიული ექსკურსი აქვს წამდვარებული სამართლიანობის პრობ-

ლემასთან დაკავშირებული თეორიული საკითხებისა, რუსეთის XIX საუკუნის ბურჟუაზიული იურისტების, ეკონომისტების და ფილოსოფოსების (პეტრაჟიცი, მურომცევი, ტაგანცევი, კოვალევი და სხვ.) შენედეულებიდან დაწყებული, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების და მათი მიმდევრების (ლათურა, დიკგინი, ბენელი, შერნაგი, პლენანოვა და სხვ.) ნაზრეთის დამთავრებული შრომის ავტორი ამასთანავე სამართლიანად მიუთითებს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა თეორიულად დამტკიცეს, რომ საზოგადოების (მშრომელების) უმრავლეს წევრთათვის სამართლიანობა არ შეიძლება ევრდინოსოდეს ადამიანთა ცალკეულ ან მცირე ჯგუფების შენედეულებებს და მით უმეტეს მათ მისწრაფებას, რამდენადაც სოციალური სამართლიანობის პრობლემის მეცნიერული თეორია ემყარება საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს.

წიგნში მეკვთრად და დამაჩერებლად არის გაკრიტიკებული გ. სოსელიას ზემოხსენებული შრომა, რომლის მიხედვითაც ილია ქვეჭავაძე ამოშლილია დემოკრატიულად განწყობილ მწერალთა და მოაზროვნეთა სიიდან. საკუთარ დასაბუთებასთან ერთად ვ. ფანია მოტანილი აქვს „ლიტერატურული გაზეთის“ 1956 წლის 4 მაისის მოწინავე სტატია, რომელშიც გ. სოსელიას ეს შრომა ვულგარული სოციალოგოზმის ავტორი რეცედივად არის მონათლული, ამ სტატიაში გაკრიტიკებულია გ. სოსელიას შრომის ყოვლად მცდარი და ნიჰილისტური დასკვნა, რომლის თანახმადაც დიდი ქართველი მწერალი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხალხის ტოვებული და სოციალური უფლებებისათვის, თვითმმართველობისათვის და დემოკრატიისათვის იბრძოდა, გამოყვანილია არა როგორც რესპუბლიკის მომხრე, არამედ როგორც მოხარბიული წყობის მოტრფილი. „გამოდის ისე, (წერდა ეს გაზეთი), რომ „არჩილში“ და „კაკო უჩაღში“ გამოხატული იდეა კლასთა შერიგებისა და შეთანხმების იდეა, რომ პარიზის კომუნის მებრძოლებსა და პარიზადლის მისამართთა დაწერილი მშვენიერი ლექსები კლასების შერიგების იმავტ პათოსითაა გაუღენილი“. აქვეა მოტანილი აწ გარდაცვლილი ცნობილი კრიტიკოსის ბესარიონ ქლენტიის რეცენზიის ის ადგილიც, რომლის მიხედვითაც გ. სოსელიას შრომაში მოცემულ დასკვნებს „განსაცვიფრებელ, დაუშტაკიებელ და გაუმართლებელ ნილიზმამდე და აბსურდულად ვულგარიზატორობამდე მიყვარათ“.

3. ფანია ყოვლად მიუღებლად სთვლის გ. სოსელიას მტკიცებებს, თითქოს ი. ქვეჭავაძისათვის „სამართლიანობის“ ცნება გაიგებებულია არა მარტო „სამართლის“, არამედ „სამართლის“ ცნების გაგებასთან. თუ რამდენად დაუშტაკიებელია გ. სოსელიას ასეთი დასკვნა, ამაში დევილად დერწმუნდებით, როცა გავიკოვებით **ე.**

ქვეჭავაძის შრომებს, რომლებშიც კანონის, სამართლის, სამართლებრივი ურთიერთობების საკითხებს და საზოგადოებრივი განვითარების დიალექტიკურ პროცესებს.

ეთანხმება რა ვ. მეტრეველს, რომლის შრომაშიც საქმაო სახრულით არის განახილებული ი. ქვეჭავაძის შენედეულებები საზოგადოებასა და სამართალზე. ვ. ფანია ამასთანავე, სადაოდ მიიწინებს აზრს იმის შესახებ, თითქოს ი. ქვეჭავაძე, ისე როგორც ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლები, სამართლის საფუძვლად მიიწინებდა სამართლიანობას, მაგრამ რას წარმოადგენდა ეს ანტრატული სამართლი, რით განსოვებინდა იგი, ი. ქვეჭავაძის თითქოს ისევე არასწორად ესმოდა, როგორც ბუნებითი სკოლის წარმომადგენლებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ აზრი იმის შესახებ, თითქოს ი. ქვეჭავაძე სამართლიანობას აფიციებდა სამართალთან, გამოთქმული აქვს ვ. მეტრეველსაც, რომელიც ზემოხსენებული შიხი შრომის 78-ე გვერდზე წერდა: „იგი ძალიან ხშირად აფიციებს კიდევაც სამართალს სამართლიანობასთან და სისამართლესთან. მაშასადამე ილიასათვის ზოგჯერ „სისამართლე“ სამართლის სინონიმაა. რაც შეეძლება, და რასაც ანგარიშს უნდა გაეწიოს სამართლის არსზე ილიას თვალხარისის გამორკვევისას“. ვფიქრობთ, საქირო იყო ვ. ფანიას ამ შეხედულებაზეც ეტყვა ამ წიგნში თავისი სიტყვა.

3. ფანია შრომაში მოტანილია საქმაო მასალა იმაზე, თუ როგორ ებრძოდა წლებების განმავლობაში ი. ქვეჭავაძე ისეთ უსამართლობას, როგორიც იყო გლეხთა განთავსულება უმიწოდებულობაში ვერ უზრუნველყო გლეხობა არსებობისათვის აუცილებელი საშუალებებით.

წიგნის მომდევნო თავში განხილულია ი. ქვეჭავაძის მრავალი საინტერესო ნაზრეტი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წიგნში წარმოდგენილი მასალა ი. ქვეჭავაძის ჰუმანიზმის შესახებ, რომელსაც წიგნის ავტორი განიხილავს ი. ქვეჭავაძის სამართლიანობის პრობლემებიდან გამომდინარე მსოფლმშედეგლობის პროცესების გათვალისწინებით.

არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხოს კაცმა სარკეტეზიო წიგნში მოტანილი ი. ქვეჭავაძის წერილიც, რომელიც მან 1897 წლის აპრილში პასუხად გაუგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს, რომლებიც თხოვდნენ იქნა მათთვის ილიას — წასულიყვენ თუ არა მოხალისებად სამხრეთის დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ წერილში დიდი ილია მისთვის ჩვეული დამარწმუნებლობით სწერს, თუ რა კეთილშობილურია, ბრწყინვალე და მაღალი მათი სწრაფვა, რომლის წინაშე ყველა პატრიარქის მოქალაქემ მუხლი უნდა მოიდრიკოს და მხარდასაჭერად ხელი კი არა, გული გაუშვიროს. მაგრამ მას მიაჩნია, რომ ჩვენ პირველ ყოვლი-



სა უფრო ჩვენს მშობლიურ ქვეყანაზე უნდა ვინარუნოთ. ბედმა ჩაგვაყენა ჩვენ ახეთ მდგომარეობაში, რომ არ შეგვიძლია ჩვენი სიყვით სხვას შევსწიროთ. ჩვენი ქვეყანა ილიას სიტყვით სუსტა არა იმით, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მას არა მყავს მცოდნე, გონიერი და განათლებული შვილები. ამასთანავე ილია ქვეყანაზე ღრმა რწმენას გამოთქვამდა, რომ დადგენბა დრო და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელითაც ბერძენები გამოდიან, დასძლევენ სამხედრო ძალას და გაიმარჯვებნენ.

წიგნი იმის დასტურად, თუ როგორ იბრძოდა ი. ჭავჭავაძე მუშაინების მადლი პრინციპების, მადლი წინაპრობის და ღირსების დასაცავად. მის არქივში ისეთი საქმეებაც ინახება, სადაც მკაფიოდ გამოსჭვივის ქალთა ღირსებისა და თავისუფლების დაცვის აშკარა სიმშატებები. ამ საქმეების მიხედვით ი. ჭავჭავაძე წარმოჩენილია, როგორც ადამიანის ბუნების ღრმა მცოდნე და იმ კანონებისა თუ ჩვევების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, რომელიც დამკვიდრებული იყო ფეოდალიზმისა და ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობის პირობებში. ქალის ღირსებას და უფლებებს რომ ამცირებდნენ, ამ მხრივ საინტერესოა წიგნში მოტანილი და აღწერილი საქმე ვინმე გაბო რუბაშვილის სარჩელზე, რომელიც ბრალს სდებდა მის მეუღლეს დანაშაულში, რაც სასტილად წასვლაში გამოიხატა. ი. ჭავჭავაძის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ ცოლის წახვლა ქმრის ოჯახიდან, თუ მას ამ ოჯახში ცხოვრება აღარ შეუძლია, არ ითვლება დანაშაულად.

წიგნი საკმაო ადგილი აქვს დათმობილი სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულებას.

სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ ბრძოლაში ილია ჭავჭავაძეს უდაოდ დიდი როლი აქვს განუთქონილი, იგი ყოველთვის თანმძღვრულად იბრძოდა ამ კანონის წინააღმდეგ და არც არასოდეს შეუცვლია თავისი დამოკიდებულება მისი აუცილებელი გაუქმებისადმი. მაგრამ ვ. ფვანია ამასთანავე შეცდომად სთვლის ჩვენს ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, თითქოს ი. ჭავჭავაძე ამ კანონის გაუქმების წინააღმდეგ სიტყვიერ გამოხსულობას სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე 1907 წლის 17 აპრილს და 2 მაისს. როგორც ცნობილია, ეს აზრი პირველად გამოქვეყნდა ცნობილმა მეცნიერმა ბავლე ინგოროვამ ვ. ფვანიას მტკიცებით ი. ჭავჭავაძე შედიოდა მემარცხენეთა იმ წრეში, რომელსაც გამოჩენილი რუსი მეცნიერები ნ. ტაგანცევი და მ. კოვალევსკი მეთაურობდნენ. ამ წრეს ი. ჭავჭავაძე თავის „წრედ“ აღიარებდა. პროფესორმა ნ.

ტაგანცევაშა შეადგინა და სახელმწიფო სათათბიროში წარადგინა პროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, ამ შეხედულებებს ავითარებდა იგი თავის ლექციების ციკლში და სისხლის სამართლის სახელმძღვანელო კურსში, რომელიც სამოცდაათიან წლებში ერთადერთ სახელმძღვანელოს წარმოადგინდა, როგორც სტუდენტებისათვის, ისე იურიტიკატატიკოსებისათვის. ი. ჭავჭავაძე ამ აკადემიური ჭკუის დავალებით ემზადებოდა დაეცვა სახელმწიფო სათათბიროში კანონპროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. მისი შეხედულებანი, სიკვდილით დასჯის შესახებ, განხილულია თეზისებში, რომელშიც ჩვენამდე ავტოგრაფის სახით მოაღწია და რომელიც მისი თხზულებების სრულ კრებულში გამოქვეყნდა (ტომი X, გვ 167), მაგრამ ილია ჭავჭავაძე, რომ სახელმწიფო სათათბიროში, არ გამოხსუდა, რადან ეს საკითხი რეაქციული დაწოლით მოიხსნა ამ სათათბიროს დღის წესრიგიდან. ამის შესახებ ვ. ფვანია წერდა, ჭერ კიდე 1970 წელს — უფრნალ „მნათობის“ ავეისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში, „ი. ჭავჭავაძის ბრძოლა სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ“.

წიგნი მოიცავს სხვა მრავლისმეტყველ მასალას ი. ჭავჭავაძის სამართლიანობისა და მუშაინიშმისადმი დამოკიდებულების შესახებ, რაც საერთაშორისო ურთიერთობათა მშვიდობისა და ომის საკითხებისადმი მის განსაკუთრებულ დანიტერესებაში გამოიხატებოდა უფრნალ „საქართველოს მოამბე“-ში და „ივერიაში“ იგა სისტემატურად აქვეყნება სტატიებს საერთაშორისო საკითხთა შესახებ. ამ სტატიების უმრავლესობა გამოხატულება მპოვა მისი თხზულებების სრული კრებულის მეცხრე ტომში. ამ სტატიების ძირითადი მიმართულება განხილულია ვ. ფვანიას ხსენებულ წიგნში.

ნარკვევის ბოლო ნაწილში აღწერილია ი. ჭავჭავაძის ნაზრევი სამართლიან თვითმმართველობისა და მართლმსაქულების შესახებ. ხაზგასმულია, რომ მას სახელმწიფოებრივი წყობის თანამედროვე ფორმად მიაჩნდა პარლამენტური რესპუბლიკა, რაც შეეხება მართლმსაქულების სამართლიანობის პრინციპებს, მათი უზადო განზორციელება ილიას აზრით შეეძლო მხოლოდ ისეთ სახამართლოს, რომელიც ხალხთან არის ახლოს, რომელსაც ხალხი იცნობს და ენდობა.

ავტორის დასკვნები ილია ჭავჭავაძის შესახებ მასალის ღრმა და კეთილხინდიხიერი შესწავლის შედეგია. ამ მასალის, კერძოდ მისი მსატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური წერილების, საჯარო გამოსვლების და გამოკვლევა-

ნიკოლოზ წერეთელი
საინტერესო წიგნი სამართლიანობის
მზუნებარე აპოლოგებზე



ბის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვახტანგ შვანია დამატებულად ასახულებს, რომ ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა ცხოვრების დალიქტოკა და საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერება, რასაც იგი მატერიალისტური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან განიხილავდა და რომ იგი ცხოვრებისეული, ნამდვილი ფაქტებით ამტკიცებდა, რომ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში საერთო ბედნიერება, სამართლიანობა და ზნეობრივი სიწმინდე მოჩვენებითია.

ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში ილია ჭავჭავაძეს მონუმენტურმა ფიგურამ სათავე დაუდო ახალ, ჰუმანარტად პროგრესულ იდეათა დამკვიდრებას.

სამართლიანად და შთამაგონებლად წერდა კიდევ ჩვენი პრესა, რომ ჩვენი ერის წინაპართა შორის, სრულად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი კლასიკურ რეალისტური მწერლობის ფუძემდებელს, ახალი ქართული ხალი-

ტრატურო ენის რეფორმატორსა და მდებრელს ილია ჭავჭავაძეს. იგი იყო ჩვენი ხალხის გონებრივი, სულიერი და ზნეობრივი გამოღვივების, შემართების დიდი მაცნე, მისი სასიცოცხლო ენერჯის ყველაზე სრული გამოვლინება. მის უმშვენიერეს ნაწარმოებთა მთავარი გმირია სიმართლე — დაუფარავი, დაუნდობელი, ყოველი პვისა და ბოროტის დამორგუნველი სიმართლე“ (გაზ. „კომუნისტი“ — 1978 წლის 28 მაისი).

ამ შთაგონებით არის დაწერილი ვახტანგ შვანიას ეს საინტერესო წიგნი. ამიტომ არის მის ყოველმხრივ დასაბუთებულ შრომაში მოტანილი გენიალური ლენინის სიტყვები: „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“



უცნაური კომემა

„უცნაური პოემა დაწერა ვაჟამ“

ბრ. კიკნაძე

სამშენი ჩახედული მკითხველისათვის, ეპიგრაფის წაითვის შემდეგ, ძნელი მოსახვედრი არ იქნება, თუ ვაჟას რომელ პოემაზე გვეუბნება საუბარი — დიახ, ეს არის ვეა-ფშაველას პოემა „გველის მკამელა“, რომლის უცნაურობაც ჩვენ თავისთავად შეიძლება არ ვიზიარებდეთ, მაგრამ ამ პოემის ბედი ვფიქრობთ მხოლოდ ამ განსაზღვრებით გამოიხატება.

როცა ნაწარმოების ბედზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ რაღაც განსაკუთრებული შემთხვევები, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მისი შექმნის ამ მკითხველადე მიტანის პროცესში. მხატვრი კამ „გველის-მკამელაზე“ ცნობილი არ არის, მაგრამ მისი უცნაური ბედი სწორედ გამოქვეყნების შემდეგ იწყება, მას შემდეგ, რაც დაიწერა პირველი კრიტიკული წერილი ამ პოემაზე.

საერთოდ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ვთქვათ ერთ კრიტიკოსს ნაწარმოების სტილი არ მოსწონდეს, მეორეს — ლექსიკა ერთხანისა თემა იყოს ნაკლებინტერესანი, მესამესათვის — იდეის ღირებულება, ერთს მსატკრული მხარე არ აქვსოფიფიფიფიფიფი, მეორეს — კომპოზიციური მთლიანობა; ყოველი კრიტიკოსი ინდივიდია, ზოგადიდან გამომდინარე, მაგრამ მაინც ინდივიდუალური კრიტიკისუმებოთ. „გველის-მკამელის“ კრიტიკაში დავა ამ დონეზე რომ მიმდინარეობდეს მხოლოდ, მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელ კანონზომიერებად მიეინფედით, რადგან, ბოლოსდაბოლოს, კრიტიკული წერილი არა მარტო ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანებაზე გვეუბნება, არამედ თვით ავტორის ინდივიდუალობასაც უსვამს ხაზს. სხვა შემთხვევაში მათი საჭიროება ფრიალ საევეო იქნებოდა.

საქმე ის არის, რომ შემოთმომყვანილი შესაძ-

ლებელი უთანხმოებანი კრიტიკოსთა შორის „გველის მკამელის“ შემთხვევაში არა თუ მეორე, არამედ მესამე ადგილზე ინაცვლებენ, რადგან „არ აღმოჩნდა ორი ისეთი კრიტიკოსი, რომ ერთნაირი აზრი ჰქონოდათ „გველის-მკამელის“ ძირითადი საკითხების შესახებ“ (გ. არაბული „შენიშვნები“ „გველის მკამელისა“ და მისი კრიტიკის გამო“, „ციხეკარი“, 1961 წ. №7, გვ. 109).

ამ სიტყვების ავტორი ძირითადი საკითხების ქვეშ ნაწარმოების თემასა და იდეას გულსხმობს, იქვე მოჰყავს მანამდე გამოცემული ყველა კრიტიკული წერილის თვალსაზრისი ამის თაობაზე და სრულიად საფუძვლიანად ასკვნის, რომ „პოემის ძირითადი საკითხების გაგებაში ერთულოვანება არასოდეს ყოფილა. თითოეულ მკვლევარს თავისებურად ესმის ნაწარმოების თემა და იდეა“ (გ. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ. 105).

თ. ჩხენკელი რატომღაც უფიფიფიფიფიფიფიფი ამ მოსაზრებას, საკითხი იდეის შესახებ მას ამოწურულად მიანჩია. მისი აზრით, „დავას იწყება და იწყებს ამ იდეის ფონზე გაშლილი ცალკეული ეპიზოდებისა და აზრობრივი ასპექტების ურთიერთშემპირისპირებისას გამოვლენილი შეუსაბამოებანი“ (თ. ჩხენკელი „ტრაგიკული ნიღბები“, 1971, გვ. 254), რაც კვლავ სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს და, ამგვარად, „გველის მკამელის“ კრიტიკაში აზრთა თითქმის ფანტასტიკური სხვადასხვაობა არა მარტო პოემის ძირითადი თემისა და იდეის შესახებ, არამედ თითოეული ეპიზოდის შეფასებისას, ამიტომაც პოემის ღირსება-ნაკლოვანებაზე ლაპარაკი ნადრევედ მიგვანჩია, მაგრამ, ხანამ შევეჩებოდეთ წერილის ძირითად თემას, საჭიროდ ვთვლით, მოვიტანოთ ჩვენი თვალსაზრისი იმ მიზეზთა შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს ასეთი უთანხმოე-



ბა კრიტიკოსთა შორის, რადგან ჩვენც „გვინდ-
მხოლოდ შევახსენოთ მკვლევარებს, რომ დღეი-
სათვის აღარ უნდა არსებობდეს ასეთი მრავალ-
აზრიანობა“ (გ. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ.
109).

ერთ-ერთი მიზეზი მრავალაზრიანობისა ისაა,
რომ მკვლევართა ნაწილს პოემის იდეის განსაზღ-
ვრისას, ამოსავალ წერტილად აღდრ გამოთქმულ
მოსაზრებათა კრიტიკა აქვთ მიღებული. ამ
მხრივ საყურადღებოა თუნდაც გ. არაბულის
ზემოაღნიშნული ნაშრომი, უარყოფს რა ა. გა-
ჩეჩილაძისა და აღ. ჩავლეიშვილის მიერ გამოთ-
ქმულ მოსაზრებას პოემის ოქახური და საზო-
გადოებრივი ინტერესების შეუთავსებლობის შე-
სახებ, ავტორი ამბობს: „მინდახე წინაშე არ დამ-
დვარა ასეთი არჩევანი, ოქახის კეთილდღეობა
ან საზოგადოებისთვის სამსახური. ეს ორი სხვა-
დასხვა ინტერესი არ გამორიცხავდა ერთმანეთს
(გ. არაბული, დასახელებული ნაშრომი, გვ. 113).
თავისთავად ხერხი, რომელსაც ავტორი პი-
მათავს, არაფრით არ არის სხვაზე ნაკლები.
მით უმეტეს, თვით წერტილის სათაური და ში-
ლიანი ცხადყოფს მისი გამოყენების აუცილებ-
ლობას და ჩვენ, საწინააღმდეგო არ გვექნებო-
და თუ, არა ერთი გარემოება.

გ. არაბულის ყურადღება აღნიშნულ მკვლევ-
ართა ნაშრომში იმან მიიქცია, რომ — „ოქახ-
სა და საზოგადოებას არ შეიძლება ჰქონდეთ
ასეთი საპირისპირო მისწრაფებები და მოთხოვ-
ნილებები, რომ შეუძლებელი იყოს მათი შერა-
გება, შეთავსება. პირიქით, ისინი ერთმანეთს
გარეშე ვერ იარსებებენ. ამ ზოგად დებულებას
აგრ „გველის მქამულში“ მოცემული ოქახისა
და საზოგადოების ურთიერთობა ეწინააღმდეგე-
ბა“ (ხაზი ჩვენია — მ. შ.). შეუძლებელია, არ
დავეთანშობთ ავტორს, ზოგადად, ოქახსა და
საზოგადოებას არ. შეიძლება ჰქონდეთ ასეთი
საპირისპირო მისწრაფებები, მაგრამ აქ ლაპარაკი
არა ზოგად დებულებაზე, არამედ კონკრეტულ
სიტუაციებს გათვალისწინებით შეიძლე-
ბა მხოლოდ. ეს სიტუაციები კი, ჩვენის აზრით,
სწორედ გაკრიტიკებულ მკვლევართა შესარგებ-
ლოდ ლაპარაკობენ. ავტორი ცდილობს, ზოგა-
დად დებულებების არეში მოაქციოს განსახილვე-
ლი ეპიზოდი, მაგრამ მის მიერ მოტანილი მირი-
აჟი არაფერმეტო მეთად საიქცია: „მინდა ზის
მოჭრისა და ხორცეული საკვების გარეშე წყე-
ბის მანძილზე ინახავდა ცალ-შვილს და მათი
არსებობა არასოდეს სათუო არ ყოფილა. ესეც
არ იყოს პოემაში ზის მოჭრა და ნადირის ხორ-
ციო უზრუნველყოფა შეიძლება გალატანიო
მნიშვნელობით გავიგოთ, როგორც ოქახის ყო-
ველგვარი მოთხოვნების მოქონალურად დაკ-
მაყოფილების სიმბოლო...“ (ხაზი ჩვენია —
მ. შ.), რა თქმა უნდა, ამგვარი მოსაზრება დასა-
შვებია, მაგრამ ავტორის მსჯელობაში ეს მხო-
ლოდ ვარაუდად რჩება და ვფიქრობთ, იგი არგუ-
შენტად არ გამოდგება, რაც შეეხება იმას, რომ

მინდია წლების მანძილზე ინახავდა მხოლოდ
და საკმაოდ ადვილადაც, პატ. მკვლევარს მხედ-
ველობიდან გამორჩა ბანშუშპეტლინი და
ცოდ-ქმარს შორის მას შემდეგ, რაც ბავშვები
განდენენ და ისიც, რომ, რამდენადაც ადვილია
მზიასათვის „უფუფუნების საგანთა“ მოთხოვნა,
იმდენადვე ძნელია მინდიასათვის იმ აქტის შეს-
რულება, რომელსაც უბრალოდ „ხის მოჭრა და
ნადირის ხორცის“ მქცია.

ავტორის ცდამ, დაექვემდებარებინა ზოგადი
დებულებისათვის პოემის აღნიშნული ეპიზოდი-
ის შედეგი გამოიქცა, რომ ა. გაჩეჩილაძისა და
აღ. ჩავლეიშვილის მოსაზრებებიდან სწორედ ის
დებულებები იქნა უარყოფილი, რაც ჩვენის
აზრით, კუშმარბიტებს წარმოადგენდა. ხადიო ის
იყო, თუ როგორ განავითარეს მკვლევარებმა ეს
აზრი შემდგომში.

მას შემდეგ, რაც გ. არაბულმა პოემაში სა-
ზოგადოებრივი და კერძო ინტერესები ადვილ-
შესთავსებლად წარმოადგინა და თქვა, რომ
„მინდამ თვითონ დააგვიანა თავი ასეთი არჩე-
ვანის წინაშე“, ეს საკითხი, როგორც პრობლემა,
პოემის დღის წესრიგად თავისთავად იხსნება:
ნაკლებად ხარწმუნოა ის აზრი, თითქმის ვე-
რცაზემაც ცალკე-კარგად უძღვნა პრობლემას,
რომელიც „გავეცნოებრებულმა გლეხმა“ საყოთა-
რი თითქმის გამოსწოვა. ყოველივე ამის გა-
მო მეთად არაღოგაყური ჩანს მკვლევარის და-
ყვანა: „გველისმქამულის“ თემად უნდა ჩათვა-
ლიოს საზოგადოებრივ და კერძო ინტერესთა ურ-
თიერთობის, მათი შეთავსების საკითხი“.

მეორე მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: „ვა-
ცის რომელიმე თხზულება ერთ გარკვეულ მო-
ტივზე აგებული კი აღარ არის, არამედ მანში
მოტივთა პარალელური დინებაა“ (გრა. კიკაძე-
და რომ პოემაში „ცალკეული ეპიზოდები და
სურათები შესრულებულია დიდებულად“ (ხ. და-
ნელია).

ცალკეულ ეპიზოდთა დიდებულება, მოტანილ
საკითხთა პრობლემურობა (ხორბდენ, სიკეთე,
სიყვარული, სიბრალული, ადამიანისა და ბუნე-
ბის ურთიერთობა, თავდადება, ცხოვრების არ-
სი და სხვადასხვა) არის მეორე მიზეზი იმისა,
რომ, რამდენი კრიტიკოსიც მიადგა „გველის-
მქამულს“, იმდენივე ძირითადი თემა და იდეა
აღმოჩნდა პოემაში, იმისდა მიხედვით, თუ რო-
მელზე რომელმა ეპიზოდმა მოახდინა მეთი შოა-
ბეუდილება და არც პოეტის შემოქმედებაში გა-
ძნელებულია ამითუმი პრობლემით ვყავს დანი-
ტერესების მტკიცება. შემდეგ კი ვხედავთ თუ
იხ ეპიზოდი, ზომბადი მსჯელობის ხარჯზე, პო-
ემის ძირითად საკითხადეა აუვანილი და სრ-
ულიად სამართლიანად ითქვა, რომ „პოემაში და-
სმული პრობლემების განაღდებისას ხშირად
სათანადო ანგარიში არ ეწევა ამა თუ იმ პოე-
ტურ ხენტიციისა თუ პასახს შორის აზრობრივი
ურთიერთმიმართების პარამონიუმულებს, კო-
ემის მთლიან სტრუქტურაში მათი მნიშვნე-
ბა



ლორის "ნიკარაგის" (ხაზი ავტორისა)

(თ. ჩხენკელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 254).

მაგალითისათვის ავიღოთ ალ. ქუთელიას „მინდიას ტრაგედია“ პოემა „გველის მკამელში“ ცაფა-ფუშეგანა მიზნად ისახავს გვიჩვენოს, თუ რა სიმანხველედ შეიძლება მივიღეს სწორი და სახარკებლო აზრი, უპირველესად ბანკო-ტარბაშული, თუ რა ზიანსა და სიფრთხილეებს იბრძამ მხრის კაცობრიობას (ხაზი ჩვენია — მ. შ.). ავტორის თქმით, ესა პოემის დედლაზრი. „მინდიას დუბავს ურადურისობამდე გაფაჭიერებული, ყოველგვარ სხვლმპარბაშკინ-ლეშული და ამიტომ მანედ ქვეული გრძნობა სიბრძნეულისა“ (ხაზი ჩვენია — მ. შ.). ამ დასკვნად შევღვივარ მას შედეგე მივიღო, რაც მოიშველია ვიკას ერთი პუბლიცისტური წერილი მოტილი საიტიხებზე, მაგრამ თვით ამ წერილამდე იგი პოემისაგან დამოუკიდებელი მსჯელობით იკლავს გზას და ამიტომაც ვერ ამჩნევს იმ წინააღმდეგობას, რომელშიაც იგი ვარდება. „ისისა და ცხოველებსადმი სიბრძნეულის გრძნობას, მინდიას გულში გამძღვარს, და უპირისპირდა სიბრძნეულის გრძნობა ცოლისა და ეტვის გარეშე, თავისი შევილებსადმი, ამ შეკახებაში ერთმა უნდა მოსპოს მეორე, ვინაოდან მათ შორის სამკვდრო-სახიცოცხლო წინააღმდეგობა აღმართული. ერთს შეუძლია იარსებობს მხოლოდ მეორის მოსპობის შედეგად. მინდია აღმანიდა და ამიტომ გახაგებია, რომ მის გულში და ცხოველებში სიბრძნეულის ბრძნობა თავისი უპირებისა და ცოლის მიმართ, სძლევს სიბრძნეულის ბრძნობას ხისბ და ცხოველების მიმართ. მს რომ სპე არ ვიღიწოდ, მინდია არ იქნებოდა წორმალური აღმანი“ (ხაზი ჩვენია — მ. შ.).

ამრიგად, პოემაში მინდიას სიბრძნეულის გრძნობა დიფერენცირებულია ორ ნაწილად. სიბრძნეული ბუნების მიმართ და სიბრძნეული ოჯახისა, მაგრამ გახარკვევია, რომელიც მათგანა „მინდიაშიმდე მისხული“ და „საქმედების ბრძნობა ბანკოტარბაშული“. რადგან მინდია „წორმალური აღმანიდა“, ოჯახის სიბრძნეული კი ამ „წორმალურობაში“ შედის, ცხადია, „მინდიაშიმდე მისული“ ბუნების სიბრძნეული ყოფილა. და თუმცა ავტორი აქ, ამ ზოგად მსჯელობაშიაც წინააღმდეგობაში ვარდება, რადგან სიბრძნეულის „სამკვდრო-სახიცოცხლოდ“ შევიღებულ გრძნობათა შორის გამარკვევული ის გამოდის, რომელიც გატყუებით სუსტია, ვინაოდან „საზღვარშიმინდია“, არც ჩვენ და აღბათ ავტორი მას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ჩვენ იმას საფუძველზე, რომ მისი უფრო მეტს ვხედავთ. ავტორი კი იმის გამო, რომ ეს ვიკას წემოთ დასახებულ წერილამდე არ მიმართულებით დევს. უმოკერის შეუსახებაშია აქ იმაში მდგომარეობს, რომ მკვლევარს, რომელსაც მინდიას დაღუბვა ხევი აუცოლებლად მიაჩნია, როგორც „საკლთარი შეხედუ-

ლების მიმართ ლაღაკა“ რადგან ეს წერილი კაცობრიობისათვის ზიანის მოტიანია, მხედველობიდან გამოჩნა, რომ პოემაში კაცობრიობის ნიშნის მტარებელი ის „მთიელი ერია“, რომლის ბელადიც მინდია იყო და რომლის დაღუბნაც სწორედ იმ „გადაპარბებული გრძნობის“ უარყოფამ გამოიწვია, რომელსაც კაცობრიობისათვის ასე საზიანოდ და ხიფათის მოტიანად თვლის ავტორი. ჩვენ როდეს უარყოფით სიბრძნეულის საიტიხის არსებობას პოემაში, მაგრამ მიგვანჩია, რომ ალ. ქუთელიამ პოემის მთლიანობის გაუთვალისწინებლად განიხილა იგი და ამიტომაც მისი მნიშვნელობა გაზვიადებულია. ხოლო „მნიშვნელობის იერარქია“ არანაფარადა შევსახებული.

ჩვენს მიერ მოტიანილი მაგალითებით ამგვარ შემთხვევათა რაოდენობა არ ამოიწურება, რადგან „მრავალაზრიანობის“ მიწეწთა მიწეწი რომელსაც აქ ვაიარებთ საუბარს, უტყუებლივ თითქმის ყველა ნაშრომს შეეხება. მისი მაგალითის მოშველიება საჭიროდ არ ჩავთვალეთ.

რასა მდგომარეობს „მრავალაზრიანობის“ მიწეწთა მიწეწი? თ. ჩხენკელი წემოთ დასახებულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ „გველის-მკამელში“ პირველი მნიშვნელოვანი წერილი ვიკას სიცოცხლეშივე, 1911 წელს დაიბედა. პირველად ამ წერილში იყო ბანკოტარბაშული მთელი სიღრმით ამ ტარბაშული კომიკის შინაბრძნობა... ამბობს ავტორი (ხაზი ჩვენია — მ. შ.). და შემდეგ იქვე მოჰყავს ვრცელი ამონაწერი ამ წერილიდან მთლიანად მისი გაღმოცევა ჩვენ საჭიროდ არ მიგვანჩია, რადგან მხოლოდ ერთ ეპოზოდზე ვინდა სიგანგებოდ ვავამახვილოთ მითხვევის უტრადეგია: „და, აი, სწორედ ამ დროს, რადგან მინდია დაჯარვა გველური სიბრძნე, უნდა გამართოს მტერთან ბრძოლა. მასტანს ხალხის სახალდით მიღის ხმისხმირი ბრძნობა. ეს უთანახელო ხედება მას გვიან ღამით ხაზმის ხატთან და სიხოვს მისცდა რჩება, თუ რა პრკალას დახმდმინ მტარს. მინდია დიდი ბულისტიკივლით უმძღბეშებს მას თავისი სიღმეშლიტებას და რჩევის მიცემაზე უარს ეუზუნება. მოხუცი ხევისბერი განცვიტრებულია“ (ხაზი ჩვენია — მ. შ.). (თ. ჩხენკელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 257-258), ხევისბერი განცვიტრებულია, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლებად განცვიტრებული, რადგან არაფერი მსგავსი არც თვით პოემაში და არც მის ეპიკატებში არ სწერია. ბევრი ვიტიტრეთ ამ დაფსუსის მიწეწეზე და ბალოს იმ მოსახრებაზე შევტრდიოთ, რომ ავტორმა ეს წერილი ოდებაც წაიკითხულის შთაბეჭდილებით დაწერა.

ზოგჯერ კრიტიკულად წერილის ავტორის მსხმელობა სრულიად გამოიციხავს პოემის შინაარსს,

მზია შენგელია
 უცნაური კომედა



როცა თითქმის ყოველი წინადადება მის ხაწინააღმდეგო აზრს გადმოგვიცემს.
 ასეთ მსჯელობას საკმაოდ სწორად ვხვდებით და ბენაშვილის წინაშე „ვაფა-ფშაველია“. ანალოგიებს რა პოემის მეოთხე თავში აღწერილ ეპიზოდს, ავტორი ამბობს: „ქვეტექსტის ხაშუალებით ვფა გვანიშნებს, რომ მინდია ჩიტების ბედს კი არ დასტიროდა, არამედ საკუთარ უბედურებას“ (დ. ბენაშვილი, „ვაფა-ფშაველია“, 1961 წ., გვ. 185). ქვეტექსტის მოშველიება ბენარის თქმის ხაშუალებას აძლევს ავტორს, მაგრამ რის ხაფხუფელზე ასკვნის იგი, რომ მინდია ამ ეტაპზე თავს უბედურად თვლის; მინდიას ტყუობიდან დაბრუნების შემდეგადროინდელი ცხოვრების აღწერა პოემის მეორე თავში ასეთი სიტყვებით იწყება:

როცა კი გაზაფხულდება,
 გამოიღვიძებს ქვეყანა.
 სილაღე, სიმხიარულე
 დასერიბობენ ყველანა.

მინდიაც ამ სილაღითა და სიმხიარულით „სულ მიმოვიღის ბოა-ველსა, ყველა მცენარეს და მლიღსა ის ეგებება ხალხითა, ბუნებაც „ვაშას უძახის“, მართალია, ერთმა ვარემოებამ შეაბუნა იგი, თურმე ზის მოჭრა არ შესძლებია, მაგრამ გამოსავალი ადვილად იპოვნა და ამით დიდად არ შეწუხებულა: „მიინც ღმერთს მივლობს, მიინცა, ხალაშოსა და ღილასა“. ამის შემდეგ პოემის მეათე თავის ჩათვლით მის უბედურებაზე არაფერი თქმულა, ხოლო მომდევნო მესამე თავში მინდია იმ აღმანიდანაა წარმოდგენილი, რომლის ბედნიერებას თვით ვაფა-ფშაველი უწინააღმდეგობა უნაჩივრებს:

ნეტავი იმას, ვისაც კი
 მადლიერი ჰყავს ქვეყანა.

მაშ, რაში ხედავს ავტორი მინდიას უბედურებას?

მომდევნო წინადადება ასეთია: „პირველად აქ შეეპარა ეჭვი მინდიას თავის სიბრძნეში“ — მხგავსი რამ არც მანამდე და არც შემდეგ არ თქმულა და არც იგულისხმება პოემაში. მინდიას არათუ ეჭვი არ შეპარვია თავის სიბრძნეში, არამედ ხალხიც დაწყმუნდა მის გუშაობაში, რის შესახებაც პოემის იმავე მეოთხე თავში ითქვა:

ღარწმუნდნენ იმის ცოდნაში,
 საქმე წინ ედგა ყველასა.

მაშ, რით ამტკიცებს მკვლევარი, რომ მინდიას თავის სიბრძნეში ეჭვი შეეპარა? „შეეკვება ხაკმარისი იყო, რომ გვიღისხავან მიღებულ სიბრძნეს დაპყარგადა თავისი გრძნეული ძალა, უსულად მუხებების ენა მინდიას აღარ ეხმოდა“, ავტორს სიბრძნის დაკარგვის მიწვევად შეეძებება მიანიჩა და სრულიად უპაულებელყოფს ამის

თავიანზე თვით პოემის მთავარი მიქმედებების აზრს, მინდიას სიტყვებით, ბუნებასთან ურთიერების განწყობა ბუნების საგანთა ხელყოფანი გამოიწვია:

მეც მიეყვანესოცე ნადირი,
 გასუქ-გალაღით ლეშითა,
 თავის ბალეწითი ჰხარობლი,
 მე ღადრნი ძაგის ტენითა.

აზნაცი აქ მთავრდება და ჩვენც აქ შევიჩრდებოთ, თორემ მხგავსი ადგილების მოყვანა კიდევ შეიძლება. გინდა შევნიშნოთ მხოლოდ, მკვლევარს მთლიანად აქვს ამოკლებული პოემის V თავი უამთავრესი თვალსაზრისით და დროის მიხედვით შეიქვამს თავის მეოთხის უშუალო გაგრძელებად მიანიჩა. ამიტომაც ხატოაში „და-მარცხებულნი“ მინდია უკვე ცოდნადაკარგული წარუდგება იჭახს.

ამრიგად, ყველა წემოთმოყვანილი მაგალითის ხაფხუფელზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „მრავალაზრობის“ მიწვევა მიწვევა იხსია, რომ თითქმის არცერთი მკვლევარი პოემის ტექსტს სასურველ ყურადღებას არ აქცევს. გამოხატონი, რა თქმა უნდა, გვაქვს. ასეთად ვთვლით თ. ჩხენკელის წემოთდასახელებულ ნაშრომს, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა ფაქტორი მოქმედებს, რომელიც ერთობ მტკიცებულ საკითხად მიგვაჩინა ვაფას შემოქმედებაში და ამიტომაც ცალკე წერილის თემად ჩავთვალეთ იგი.

ჩვენი მიზანია, შეითხველს გავცნოთ ჩვენი თვალსაზრისი პოემის ერთი ეპიზოდის შესახებ და შემოთდასახელებული მაგალითები მხოლოდ და მხოლოდ მიწვევა მიწვევის დასადაგინად მოვიტანეთ, თორემ ის ეპიზოდი, რომელზედაც აქ გვინდა ვილაპარაკოთ, „მრავალაზრობისაგან“ განსხვავებით, ერთადერთ ფუნქციონს წარმოადგენს „გველის-მგაშელის“ კრიტიკაში, როცა მკვლევართა აზრი ერთმანეთს ემთხვევა.

უპლებლივ ყველა ავტორს, ვისაც კი ამის აღნიშვნა საჭიროდ ჩაუთვლია, მიანიჩა, რომ სიბრძნე დაკარგული მინდია ვედრებაში ხედავს გამოსავალს და ღმერთსაგან ცოდნის დაბრუნებას მოელოებს. ეს აზრი კრიტიკაში აქსიომის სახითაა გავრცელებული. არავის ჩაუთვლია საჭიროდ, დაეშკიციებინა ან უარყოფი მისი სისწორე, რადგან პოემის ტექსტის მიხედვით, მინდია:

ლოცულობს თვალერმლიანი
 აზრი არ ისმის ლოცვისა...

ამ მოსაზრების სახარვეზოდ მხოლოდ ის შეიძლება ვთქვათ, რომ ალბათ მინდია ღვთისაგან იმას გამოითხოვს, რაც დაჰყარგა. ლოცვიკურია, მაგრამ ნაყოფიანადმეგრებელი, „აღლბათ“ ვერ არის მიანიჩადამინც სასურველი სიტყვა რამის დასამტკიცებლად. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ვაფა-ფშაველის არც ეს საკითხი დაუტოვებია ვარაუდის აშარა. მართლაც, პოემის VI თავში



ცოლ-ქმარს შორის გამართულ დიალოგში, მინ-
და ეუბნება მზიას:

იმადვე ყოფნის, რაც ვიყავ,
ნეტავ წამალი ვიცოდე.

შეითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ მინდა
სწორედ ხატისაგან მოვლის ამ ნატვრის ასრუ-
ლებას — ესეც ლოგიკურია, მაგრამ ამჯერადაც
არასწორი, რადგან თვით მინდას მიერ იმავე
ეპიზოდში აღინიშნა ამ ნატვრის უნადავაობა —
იგი უიმედო ნატვრია:

დაკარგულს ვეღარ მოვხედავ
ვერა რომელის ხერხითაო, — ამბობს
იგი და აშკარაა, დაკარგულს (ცოდნის, ბუნებას-
თან ურთიერთობის) დაბრუნება მას შეუძლებ-
ლად მიანია. თუ გავითვალისწინებთ მინდას
ნატვრას, მან არ იცის გზა-საშუალება „იმადვე
ყოფნის, რაც იყო“, სამაგიეროდ, კარგად იცის
დაკარგულის დაბრუნების შეუძლებლობა და,
ამდენად, არ შეიძლება იგი ვედრების საგანი
იყოს, რადგან, თუ, ერთის მხრით, ცოდნადაკა-
რგული გველისშემამეღისათვის ღმერთთან „ურ-
თიერთობის“ ერთადერთი ფორმა არსებობს —
ხევსურთა სალოცავები და თუ იგი გამოსავალია
მდგომარეობიდან, შეუძლებელია, მინდას და-
ვიწყნოდა ეს გარემოება. მეორეს მხრივ, ლოც-
ვის მიზნად ის დაესახა, რის შეუძლებლობაში
თვითონვე ღრმადაა დარწმუნებული.

მაშ, რას სთხოვს მინდა ხატს?

ხატის წინ დამოკიდ მლოცველს ფრიალ გაუ-
კვირვებია ხევისბერი:

ასე მხურვალედ მლოცველი
ვერ ნახა ვერა როდისა
წინად ბერდიამ, — ეს უკვირს
უფრო ტანჯვაა გლოვისა...

ვის გლოვობს მინდა? მზიას თქმით, „თავს
და ხალხსა ტიროდის“ ადრეც, აგრამ „ახე მხუ-
რვადედ მლოცველი“ ადრე არ უნახავს იგი
ბერდიას დღეს ბანსბაჰშირბაშულია მისი ვი-
ღრმებ და დაინტერესებული ხევისბერიც ეკო-
თხება:

რას ეხვეწები მაგდენსა,
რა გაჭვის შანაცოდები?
ხვალ, ხვალ — ზეგავ ვაიკებთ,
მაინე რო შივა მთისასა,

მასუხობს მინდა, ხოლო მაცნე მოსულია უკ-
ვე და ხევისბერმაც იცის, თუ რა ელით:

ხვალ თუ ხვალ — ზეგ უციოდ
ომი ვეკუნება მტერთანა,
მანამ ცოცხალი გვეყვებიარ
რას გახდებიან ჩვეთთანა?!

„ხვალ, ხვალე ზეგავ“ ოშია მტერთან ხეგუ-
რთა აქამდე დაუმარცხებელი ბელადის წინააღმდეგ
ნადაკარგული და მისი დაბრუნების იმედგადა-
წურული ხატის წინ დამოხილია და რას უნდა
სთხოვდეს იგი ღმერთს ასე მხურვალედ, კარს-
მომღგარი უბედურების უამს, თუ არა თავისი
ხალხისა და ქვეყნის გადარჩენას. ზემოთდენს-
ნული დიალოგი ცოლ-ქმარს შორის თავისი ში-
ნარსით სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ: 1.
ბრალდება ოჯახის მიმართ; 2. რა მოხდა და რა-
ტომ; 3. რა შეიძლება მოხდეს.

პირველი — სრული კრახით ელდნაცემი კა-
ცის სისუსტის მაჩვენებელია მხოლოდ — მინ-
დაა არაუბრის მომცემ „განტყვევის კაცს“ ეძებს.
მეორე — „მიზეზ-უდევთა გუნჯა“ — რა
დაიკარგა, რატომ დაიკარგა და რომ დაკარგუ-
ლის დაბრუნება შეუძლებელია.

მესამე — რა შეიძლება მოხდეს; მინდას სი-
ტყვეობა:

დღენამდე მტრები შინაით
ვერა ძვრებოდნენ კარგია
შეშით, და ეს რომ გაიგონ...

შეიძლება ვერ გაიგონ (ცხადია, ღვთის წყალო-
ბით), მისი განუწყვეტელი ვედრება ღვთის მი-
მართ — „მგონია შეათე დაჰკალ. წელსა გასწყ-
ვტე ძროხები“, მზიას მიერ მინდას მოქმედე-
ბის შეფასება — ალბათ ჭერ იმედო მქონდა, ხა-
ტებს ეხვეწა, იბრომა“, მხოლოდ იმას ვკვლუნე-
ბა, რომ მინდას ერთადერთი იმედი დარჩენია
— იქნებ გასჭრას ვედრებამ და მისი ცოდვა ქვე-
ყანასა და ხალხს არ აზღვევინოს უფალმა. იმე-
დი არის და სწორედ ამიტომ ვერ იმეტებს მინ-
დაა მოსაკლავად ცოლ-შვილს, რომელთა გამოც,
თავის მხრივ, ქვეყანა გასწირა, ამიტომ არ უ-
ლავეს თავს ცოდნის დაკარგვისთანავე — ხალხი-
სათვის გამოუხადეგარი — ოჯახისთვისაც და-
კარგული აღმოჩნდება და იქნებ... კვლავ ამით-
ვე აიხსნება მლოცველის მდგომარეობა დღეს:

დაემხო საჯარის წინა,
როგორც მოჭრილი ცულითა
ჯოყარი რამა, თუ ფიხი,
შასაკონავი წნელითა.
ლოცულობს თვალცრემლიანი,
აზრი არ ისმის ლოცვისა.
ასე მხურვალედ მლოცველი
ვერ ნახა ვერა როდისა
წინად ბერდიამ, — ეს უკვირს
უფრო ტანჯვაა გლოვისა,
ვიღრე გულ-დაწყნარებული
წყალობის გამოთხოვისა.

გუშინ თუ გუშინწინ მოხლოდნელი უბედუ-
რება ვარაუდის ფარგლებს არ ხცილდებოდა

მზინა შენგალია
შენგაური პიშაშ

დღის იმედი ჰქონდა მინდიას და მისი ვედრებად „გულდაწყნარებული“ იყო. დღეს კი, დღეს ვარაუდი ვარდაუფაო სინამდვილედ იქცა, იმედი — ხაპნის ბუშტად, ხოლო „წყალობის გამოთხოვა“ — „ჩაბჭვად გლოვისა“.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თავს უფლებას ვაძლევო. მინდიას ვედრება კვლავ ვაუხსიტყვებით ვაუწყვით მკითხველს.

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
ტანჯულ ქაოფელი ერთო!
(„ბაბუდი რასაცა ვხედავდი“).

ესაა მინდიას ლოცვის აზრი, მისი თავიცა და ბოლოც.

ამ მოხაზრებამდე ჩვენ გამოიცხების მეთოდით მივდით გამოყრცხვით ადრე გამოთქმული აზრის სისწორის შესაძლებლობა პოემის ტექსტზე დაყრდნობით და თუმცა იგი ამ წერილის ფარგლებშიც უდაოდ მიგვანჩნია, სამაგიეროდ შეიძლება მკითხველი სწორედ შეორეში შემკვედაოს „პირდაპირი სამხილის“ უქონლობის გამო, ან, უფრო მეტიც, ხერხთოდ არ მიიჩნეოს

იგი ასეთი ყურადღების ღირსად, ეპიზოდურობის გამო.

პოემა „გველის მკამელში“ „არც ერთი სურათი არ არის ზედმეტი“ (ბ. დობორჯგინიძე, „პუწეხება და ადამიანი ვაჟ-ფშაველას შემოქმედებაში“ 1962 წელი, გვ. 128), ხოლო რაც შეეხება „პირდაპირ სამხილს“, იგი მხოლოდ პოემის მთლიან სტრუქტურაში აღიქმება სრულად და „იერარქიულ კიბზე“ კუთვნილი ხაფხური უკავია. ამ კიბეს პოემის ძირითადი იდეისკენ აბუავს მკითხველი. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა არც ერთი ხაფხური არ აკლია და ყველას მიჩნეული ადგილი უჭირავს.

ამრიგად, გამოვლევით რა ჩვენი თვალსაზრისი ამ ეპიზოდის თაობაზე. იგი გამოწყლისიდან „კანონზომიერების“ ფარგლებში გადავიყვანეთ, რადგან დღეოდან ამ ხაყობზეც არ არსებობს ერთიანი შეხედულება. მაგრამ აქამდე არსებული ერთაზრისაობის მიზეზი, როგორც მკითხველმა ალბათ შენიშნა უკვე, იგივეა, რაც მრავალაზრისაობის ღრისა და ანტიკომ მარტებულად მიგვანჩნია, მიზეზთა მიზეზი რომ ვუწოდეთ მას.



საბჭოთა შრომელთა

კათილი მკვლარი

ერსკინ კოლდუელი — მოთხრობეში, თარგმანი ინგლისურიდან მალკოლმ ჰელაშმილისა, ბარონეტმა ლოპა „მერანი“, რედაქტორი ლილი ჯადვინიძე, 1977 წელი.

სხმაზე რა მოგახსენოთ და მე კი მყოფელების აბუჩად ავლებთ მგონია, კარგი მწერლის უხეიროდ თარგმნილ ნაწარმოებებს რომ გვთავაზობენ. იტყვი, ალბათ, თუ მართლა ასეა, რა ძალა გადგას, შენც წუ წაიკითხავო. კეთილი და კატოხანის მგარამ იმ უხეიროდ თარგმნილს მაინც ეტყობა მწერლის ნიჭიერება, სიდიდე: ალლო მიგიყვანს იქამდე, გაიგო, დაუფიქრებლად თუ უფოდინრობის მიზეზით ჩახშული სიტყვის ნაცვლად რა უნდა ყოფილიყო. თანაც სწორად დიდი ტვინის ქულები არ სჭირდება, მიხვდე, „ვაშლის ჩითილის“ ნაცვლად „ვაშლის ნერგი“ რომ უნდა ეწეროს. კიდევ — ძაღლის საყელოს... მერე სტილი?.. ზოგი მთარგმნელის უნიათობით, ზოგიც რედაქტორისა და, ნაცოდვილარი შეგერჩა ხელში. ესეც არ იყო, ზოგჯერ ერთი მთარგმნელის ორი წიგნი ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, ლამის თვალს არ დაუჭერო, აქ რადაც შეეცდომავო. და როცა გაიგებ, არავითარი შეცდომა არ ყოფილა, მაშინ ისღა დაგარჩენია, კარგად თარგმნილი წიგნის რედაქტორის უთხრა მადლობა... საზოგადოებასა თუ ქუჩაში ვინმე აბუჩად რომ აიგდო, სისხლის სამართლის კოდექსი გავებინებებს პასუხს, უხეირო მთარგმნელის პასუხისგებაში მიცემა კი, აიღე და დაიღე, გაკრიტიკება მხოლოდ — სულ ეს არის მაგრამ ასეთი რამ, სამწუხაროდ, იშვიათი ხილია. დაგუშვით და ბღღვირი აღინეს. შენ რომ გგონია, თავმოყვარეობის ამბავია და თარგმანს სათოფედ აღარ ვაქაერებო, გაიხედავ და, თითქოს ჭიბრზე, უფრო დიდი წიგნი არ უთარგმნია? როგორც ეტყობა, თავს ზეით მართლა არ არის ძალა!

მგარამ მაშინვე თუ შემდეგ ფიქრში მიდგებ. მოდგები და ვამშვიდებს გახსენება იმისა, რომ ბრწყინვალე მთარგმნელები არასოდეს მოკვ-

კლებია. ამ მხრივ, ნამდვილად, განებვიერებული ვართ — მოვღვართ და მოვკვდევს ეს დიდებული ტრადიცია. უნიათო მთარგმნელები უკვე ფონად გერქვინება და მათგან მოყენებული წყნა დროზე თუ არ გადაიგდე გულიდან, გამორიცხული არ არის, დიდსულოვნად ჩამოართვა ხელი — ღმერთმა გიშველოთ, თქვენ რომ არ იყოთ, მათი ფასიც არ გვეცოდინებოდაო.

რას იზამ — სადაც სინათლეა, იქ ჩრდილიც არის ყოველთვის...!

მეხსიერება თუ არ მღალატობს, ერსკინ კოლდუელის მხოლოდ ორი თუ სამი მოთხრობის თარგმანი დაიბეჭდა ქართულ ენაზე. სამწუხაროდ, მათი მთარგმნელი არ მახსოვს. ვერც იმ თარგმანების ღირსებაზე ვიტყვი რამეს. მერე მალიკო ხელაშვილმა მოჰკიდა ხელი ამ სახელგანთქმული ამერიკელი მწერლის შემოქმედების ქართველი მკითხველისათვის გაცნობას და, გადაუჭარბებლად ვამბობ — ბრწყინვალედაც თარგმნა. მალიკო ხელაშვილის ინგლისურიდან თარგმნილი ლექსებიც წამიკითხავს. მართალი გიხარათ, ისეთი შთაბეჭდილება არ დამჩრენია, რაც კოლდუელის მოთხრობის ამ თოთხმეტ თაბახანმა წიგნმა დამიტოვა. ჩემთვის მალიკო ხელაშვილი, როგორც პროზის მთარგმნელი, ახალი სახელი იყო და ამიტომაც კითხულობდი ინტერესით, ინტერესითა და შიშით.

ერსკინ კოლდუელი იმხელა მწერალია, ჩემი სიტყვის წაშველება არ სჭირდება, გარდა ამისა, მის ყურამდეც ვერ მიაღწევს — მე მხოლოდ თარგმანი მაინტერესებს. თარგმანზე კი იმდენი საქებარი სიტყვა დამიგროვდა, ყველა რომ ვთქვა, მეშინია, ვაითუ, ვინმეს გულქართლი, მოსიყვარულე მახანძლის საამებლად წარმოთქმული ხალღგრძელო ეგონოს, არადა, საამისო საბაბი ბევრია.

უკვე ორი წელია, რაც ეს სარტყენი წიგნი გამოვიდა და აქამდე არავის შეუფასებია არც ტრბიუნოდან, არც პრესით. სავალალოა, რომ ამ უნიჭიერესი მთარგმნელის დაბადებას ქების ნაცვლად დუმილით შეგვხვით.

ძალიან ხშირად წავგიკითხავს, ესა და ეს წიგნი მავანმა და მავანმა ამა და ამ ენიდან თარგმნა — ვითომ დედინადნო, რუსულიდან კი



არის თარგმნილი. ამის დადგენას დიდი ლაბრი და ხაზი არ უნდა — ერთი გვერდის შედარებითაც კი გამოააშკარავებ. მალიკო ხელაშვილს კი ნამდვილად დედნიდან უთარგმნია და თანაკისებ, წუნს ვერაფერში დასდებ, იმდენად კარგად არის თარგმნილი, კოლდუედის სიდიდეც იგრძნობა და მთარგმნელის ნიჭიერებაც. მთელ წიგნში ორიოდ კორექტურული შეცდომის მტრი ისეთი ვერაფერი ვნახე, გაული დამწყვეტოდა. ის, ასე ვთქვათ — მსუბუქი თხრობა, რასაც მთარგმნელმა მიაღწია, ეტყობა, დიდი გარჯის შედეგია; ბუნებრივია, სხვაინორად შედგენილი წარმეტყველები ფიქრი. მთარგმნელმა მშვენივრად იცის ქართული ენის ბუნება, აქვს ლექსიკის დიდი მარაგი და, რაც მთავარია, არც სიტყვის ფერ-ხორცი ეშლება.

კრებულში, რომელსაც „გორჯიელი ბიჭი“ ხსნის, ოცდაათი მოთხრობაა. „გორჯიელი ბიჭი“

კი, საბავშვოა, დანარჩენის უმეტესობა კი ისეთი ნაწარმოებებია, ბავშვებს რთულად შეუძლიათ კითხვა. ამიტომ, ვფიქრობ, „გორჯიელი ბიჭი“ ნაკადულს უნდა გამოეცა. ამით თავიდან ავიცილდით იმ უხერხულობას, როგორც მშობლებს, ჩემი არ იყოს, ალბათ, სხვასაც რომ დემართა — შეილებს წავაკითხე ეს მოთხრობა, მერე კი გადავშალე წიგნი. როცა დამპირდა, ვეღარ მივაგნინე და ისევ მათ ვთხოვე დახმარება. მაშინვე მიპოვნეს. ბავშვებს რას გამოაპარებ — დიდებზე უკეთ იციან აქრძალული ხილის სიტყვოს ამბავი.

მალიკო ხელაშვილი კეთილ შეგზურად გამოუჩნდა ერსაკი კოლდუედს, თამამად მოიყვანა ჩვენს ქვეყნში.

ღმერთმა ასეთი სტუმარი გვიმრავლოს.

პასი მემკრიშვილი

პირველი წიგნის სისარული

ბ. მებგრელიშვილი, „ხელს ალბარ ვახლებ იასა“, გამომცემლობა „ნაბადული“, რედაქტორი ნ. ჩინაძე, 1979 წ.

ავთანდილ მებგრელიშვილის საბავშვო ლექსები ამ ბოლო წლებში სისტემატურად იბეჭდება საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მისმა არაერთმა ლექსმა თავიდანვე დამტკიცა სიცოცხლისუნარიანობა. ბუნებრივია, საბავშვო ლიტერატურის მკითხველს და ქაჩავეთა დიდი ნაწილი უკვე ელოდა პოეტის პირველ წიგნს.

წიგნის პირველივე ფურცლებიდანვე თვალში გიცემათ გაზაფხულის ფერები, თანამედროვე სოფლის ცხოვრების ნიშნული სურათები. მთელ რიგ ლექსებში ერთმანეთს ერწყმის მშობლიური ბუნების ხანაებები, შრომა, სიკეთე, სიყვარული მამულისხაღმ. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „სათობი“

„უფუფუნა წვიმამ სათობი გაზარდა ააფოფინა, შემდეგ მზემ გამოსათა, მთაბარს სხივები მობჟინა. ზღვახავით ღელავს სათობი... მთიბავმა ცელი აღესა და თივის სუნი მოედო ჩვენს ლამაზ არე-მარესა“

მეტად ხატოვანი, ფიქრიანი და ლირიული განწყობილების სურათია დახატული პაწია, ერთსტროფიან ლექსში „ბოჩოლა“: „საღამოა, ცოლში ძროხას წველის ბებია. ბოჩოლა კი ნაწყენი თვლით მისჩერებია“.

ბ. მებგრელიშვილის ზოგიერთ ლექსში ცხადად ჩანს პოეტის ცდა, შეაყვაროს ბავშვებს შრომა („გოგოტა“, „ტარიელი“, „წყაროზე“).

ამ კრებულში ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია „უცნობი ბებო“. ბებრი ლექსი დაწერილი იმა-

ზე, თუ როგორ უნდა ემზარებოდეს პატარა უფროსს, სუსტს, მოხუცს. ამ ლექსის დაწერის მიზანიც იყო. ავტორმა ამ მიზანს მიაღწია მტად უბრალო და დამაჭარებელი სიტუაციის ჩვენებით, ადამიანური სიკეთის ერთმანეთისაღმდეგ უკუგების წარმოსახვით: პატარები ყვებიან, როგორ დებმარნენ უცნობ ბებოს, შემდეგ კი სოფლის გადასახვევამდე მიაცილებს. მოხუცმა ქალმა დალოცა ბავშვები, „გაეზარდეთ დედათქვენებს სასახლო, ხანაქებო“... პატარები იკონებენ ამ ამბავს და დანანებით ამბობენ: „ისე კარგი ბებო იყო, ვანშობება დაგვენანო“.

ლაღად და ხატოვანად აგვიწერს პოეტი თიბვას სოფლად. ამიტომაც რომ ეს ლექსი „მთიბავები“ კეთილ შემოქმედებას ახდენს მკითხველზე.

ბ. მებგრელიშვილის ლექსი — „ფისუნამ უთხრა ფისოს“ უკვე შეიყვარა ნორჩმა მკითხველმა. იგი გამოქვეყნებისთანავე ფეხბედნიერი გამოდგა. აი, ისიც: „ფისუნამ უთხრა ფისოს: — არ გრცხვნი, ძაიო, სათაგურით დაქერილი თავი შეგაქაჩაიო“

ამგვარი ლექსების რიგს მიეკუთვნება — ძუნწი ზღაპრი: „წლარბუნისა ნემსი ვთხოვე, იყუყუნა დიდხანს... გოგო, წარმოგიდგენია? — არა მქვესო, მითხრა“.

მშვენიერი ლექსებია აგრეთვე „ფისოს“, „მამზელბო“, „ბატი და მეღია“... ავტორს უთუოდ ეხერხება ლამაზად დაკვისურათხატოს ბავშვის ფიქრი და განცდა, ბუნებრივი სიტუაციები: თითქმის ყველა ლექსშია გადამღები, ხალისიანი, ზომიერი იუმორი, ამასთან ავტორი არ ივიწყება ლექსის აღმზრდელიობით ფუნქციას, რომელიც ბუნებრივად აისახა ლექსებში „ხელს აღარ ვახდებ იასა“, „რთველი“, „მურია“, „დედულუთში“:



„თამუნია როგორც ქარი, დედუღეთში მიიქ-
ქარის, უნდა ნახოს ხაყვარელი ბაბუა და ბე-
ნია; თურქ გუშინ, წამოვლისას, კოცნა დავი-
წყებოა“.

პოეტის ეს პირველი წიგნი ხარვეზებისგან
არაა დაზღვეული. ზოგი ლექსი ერთფეროვანია,
ზოგი მოკლებულია შინაგან სიბოროს და სინა-
თლეს. ამგვარ ლექსებად მიმანია „გაზაფხუ-
ლი“, „საკადული“, „მწყემსი ვარ“. ამ ლექსებში
თითქოს ყველაფერი ნაცნობია, შინაარსიც და
საკმაოდ გაცვეთილი რითმებიც.

ლექსი „ცხრა გუდა ზღაპარი“: „ეინ უინ
ზღაპრების ცოდნაში ზებო ოლიასი ჭერ ერთი
გუდა მომყვა, რა გუდა მოსაყოლი აქვს“.

ავტორსაც აღზნა ზვერად მეტი ფარჩა ბავ-
შეებისათვის მისაყოლი და სლოქმული, ამის
შტაციე გარანტიას იძლევა პატარა, მაგრამ
მშვენიერი ლექსების წიგნი, რომლისგანაც ნა-
თელ შუქად გაიხსებვის პოეტის გულწრფელი
სიყვარული და ერთგულემა პატარებისადმი.

პეტრანდელ გურგენიძე

მალარმეს ფიგნის გამო

ქუთაისში შეაყვარა მალარმე. ჭერ კიდევ ამ
სამოცდერთი წლის წინ — 1919 წელს — ამ
პროვანციალ ქალაქში „ნიციენებე ნიამორების“
მარკოთ ცისფერყანწელებმა გამოხატეს მალარ-
მეს რამდენიმე წერილი ლექსი, ეკლოგა —
„ფანის შუადღე“ და ლექსები პროზად ეს
გახლდათ სტეფან მალარმეს პოეზიით გაცეც-
ებული ევროპული სიმბოლიზმის გამოძახილი,
რაც — როგორც ქართული ლიტერატურის გან-
ვითარების შემდეგდროინდელმა პერსპექტივამ
დაგვანახა — უდავოდ კეთილნაყოფიერი აღ-
მოჩნდა. ეს იყო მალარმეს პირველი გაეღვება
ქართულ ლიტერატურაში...

რომ ამოა მშვენიერი ჩვენი თამაში. ჩვენ და-
ვაშვენეთ სიყვარული იღუშალებით. და ჩვენ
დავცირით სიბნელეში ჩუმი თვალეებით იმ ბარ-
ძაყების მოჩვენებას, ზურგთა ზამანებს; ჩვენ ამ
სიზმრების დაფარულ და ბნელ ნობრძანებას
გრძელ ჰანგად ვაქვეთ გაუგებარ სიმწყხა-
რეში“...

იმ წიგნში, შემდგომ ბიბლიოგრაფიულ იშ-
ვითობად რომ იქცა, გამოიკვეთა მასწინ ჭერ
კიდევ ახალგაზრდა პოეტების ვადერიან გაფ-
რინდაშვილის, შალვა აფხაიძის, კოლაუ ნადირა-
ძის და სანდრო ცირციძის მცდელობა და სურ-
ვილი — ქართული ენის წიაღში გაეცხადებინათ
ევროპული პოეზიის უახლესი და ურთულესი
მონაპოვარი.

ეს გახლდათ პოეტური ინტუაციის წინასწარ-
მეტყველური გამოხატებით აღბეჭდილი სიტყ-
ვები „მომავლის ფენომენისა“... „შემოღვამის
ჩივილის“ მარტოსული გმირის აღსარებანი.

ეს იყო სიმბოლიზმის კლასიკად ქცეული მა-
ლარმეს ლექსები — დაბინდულ ველთა იღუ-
შალებში ჩაძირული ყოფის იდილია, მიანდვრე-
ბისა და ტყეების მფარველი ღვთაების — ავნის
ზინოლოგში რომ ილანდება... განაყოფიერების,
მარადიული სიყვარულის, სორციელ ზრახვათა
ასრულებების ეს მიმნი — შედეგები ბუნებითი,
თანდაყოლილი იღუშალებით გვიმხებს და გვი-
ჩვენებს ამქვეყნიური არსებობის საძირკვე-
ლის — სიყვარულის კონტურებს, მისი არის
სიცხადება და გაურკვევლობას.

„მას შემდეგ, რაც მარიამ მე აღბეჭდა, რომ
წახულიყო სხვა ვარსკვლავზე — ორიონ, აღ-
ტარი ან შენზე, მწვანე ვენერავ — მას შემ-
დეგ მე ვეფერები მარტოობას... ყოველ ნივ-
თიერ არსებას მოკლებული, მარტოობაში ვუ-
ცდი სულს და კატა ჩემი მისტიური ამხანავი.
შემიძლია ვთქვა, რომ გრძელი დღეები ურ-
თმა გავატარე მარტო კატასთან და ლათინური
დეკადანის უკანასკნელ მწერლებთან, რადგან
მას შემდეგ, რაც აღარაა თეთრი არსება, სა-
ოცრად და განსაუთრებოთ შევიყვარე ყველა-
ფერი, რაც ატარებს სიმქენარის ნიშანს“...

„მარტო ვარ. ზემოთ მზე ელვარებს — ალით
ნახავს, და ფეხზე ვდგები, ო. ზამბახო, შენი-
ღე მხგავს. და ჩეს მაგარ მკერდს ამჩნევია
რადღა კვალა — უცხო ნაბენის — ეს არ არის
ნაალერსალი. მოარულ კოცნის ეს არ არის ნე-
ტარი დალი. ქალღმერთის ბაგემ მე მაჩუქა ეს
კოცნა ლადი. იღუშალებმა იზადება უსბეტაკესი.
ცელქი ლერწამის დაუდალავ, სმოვან ბაგეზე.
მას მგონია, რომ გავცურავთ ჩვენ სიამეში,

„მას შემდეგ, რაც აღარაა თეთრი არსება, სა-
ოცრად და განსაუთრებოთ შევიყვარე ყველა-
ფერი, რაც ატარებს სიმქენარის ნიშანს“...

ახლანახნ ქუთაისურმა გამომცემლობამ
კვლავ დასტამა მალარმე. წიგნში უცვლელადაა
წარმოდგენილი 1919 წელს გამოსული კრებული.
თან ერთვის მალარმეს ლექსებისა და ესეე-
ბის ახალი თარგმანები და გასტონ ბუაჩიძის შე-
ხანიწნავი ნარკვევი „თეთრი მალარმე“.

„მარტო ვარ. ზემოთ მზე ელვარებს — ალით
ნახავს, და ფეხზე ვდგები, ო. ზამბახო, შენი-
ღე მხგავს. და ჩეს მაგარ მკერდს ამჩნევია
რადღა კვალა — უცხო ნაბენის — ეს არ არის
ნაალერსალი. მოარულ კოცნის ეს არ არის ნე-
ტარი დალი. ქალღმერთის ბაგემ მე მაჩუქა ეს
კოცნა ლადი. იღუშალებმა იზადება უსბეტაკესი.
ცელქი ლერწამის დაუდალავ, სმოვან ბაგეზე.
მას მგონია, რომ გავცურავთ ჩვენ სიამეში,

წიგნში დასტამებული ლექსების ახალი თარ-
გმანები (გ. ვეგიტორისა და სხვების) უტყუა-
რი დასტურია იმისა, რომ ფრანგული პოეზიის
მთარგმნელთა ძველი თაობის (გ. ვაფრინდაშ-
ვილი, ს. ცირციძე, ჯ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, მ.
პატარაძე...) დაწყებულ საქმეს დღეს ნიჭიერი
გამგრძელებლები მყავს.

მალარმეს „ლექსებისა და პროზის“ ძირითად
ნაკლად ესეეების სუსტი თარგმანები მიმანია
ჩემი აზრით, ზელახლა უნდა ითარგმნოს „მა-
ლტი“, „ეტიუდი ცეკვაზე“ ფონი ბაღდტიშა“.



საქართველოს
წიგნების კავშირი

„გლოვა“, „ვაგერი“, „მუსიკა და მწერლობა“.
„ედუარდ მანე“ —

აღბათ, მომავალში მაღარმეს ქართულად
თარგმნის საქმე უფრო წინ წაიწევს და ის ხა-
რველები, რაც ამ წიგნს ახლავს, გახწორდება.
მანამდე კი ქართველი მკითხველის ცნობიერგ-
ბაში იკავებენ ამ წიგნიდან გამომკრთალო წა-

თება პოეზიის შორეული და ძლიერი მემკვიდრე-
სა; იკავებენ და თანდათან ეღვარებენ მოიპა-
ტებს, უფრო და უფრო დიდ სივრცეებს დაე-
უფლებება და გადასწვდება, რადგან ესაა უკვე პო-
ეზიის თვისება.

ზ. ბარბი წმკრძალი

უხანი უმწვერვალისი

მედი სტუმარ სტამბინაპი — „პიპის
საბათი“, კოლონურიდან თარგმნა
ჯამალ ზედიში, ზამოცემოქმედ-
„საბათოთა სპარტომელო“, რედაქ-
ტორი მ. თუშკინი, 1980 წელი.

ჩემი მკითხველი კარგად იცნობს თანამედ-
როვე პოლონეთის ერთ-ერთი გამოჩენილი პრო-
ზაიკოსისა და სტენარისტის, „პოლონური კი-
ნოს მამის“ ეტი სტუფან სტავინსკის შემოქმედ-
ებას. მრავალ ენაზეა თარგმნილი მწერლის რე-
მანები და მოთხრობები: „ხინათლე წყვილია-
ში“, „კატაფინა“, „გაქცევა“, „ადამის კვლავ-
კვალ“, „იან პიშიკის ექვსი გარდასახვა“ და
სხვ. აი, სულ ახლახანს 1979 წელს თურნალ
„ინოსტრანანია ლიტერატურას“ „მე-8 ნომერში
გამოქვეყნდა სტავინსკის უახლესი რომანი „ახ-
აღგაზრდა ვარშაველის ჩინაწერები“. ამ ნაწარ-
მოებისთვის მწერალს კულტურისა და ხელოვ-
ნების მინისტრის პირველი სარისხის პრემია
მიენიჭა.

მეუბრებელს არასოდეს დაევიწყებდა სტა-
ვინსკის სტენარების მიხედვით გადაღებული კი-
ნოსურათები: „არხი“, „ეროიკა“, „დეზერტო-
რი“, „თავდასხმა“, „ქვარსონები“ და სხვა, რო-
მელთა რეჟისორებიც სხვათა შორის იყვნენ კი-
ნოს სახელგანთქმული ოსტატები ანჭეი ვაილა
და ანჭეი მუნკი.

ჭაბუკმა ეტი სტუფან სტავინსკიმ თავის
მხრებზე გადაიტანა მეორე მსოფლიო ომის
მთელი ხაზინელება, ამდენად ავტობიოგრაფიუ-
ლია მიხი პროზაული ნაწარმოებები და კინო-
სტენარები. მომავალი მწერალი მოწმე გახდა
ფაშისტური ფაშინაობის თავწარდამცემი დანა-
შაულოებისა, დიდი ადამიანური სიყვანისა თუ
ხომდაბლისა, წამიერი სისუსტის გამოვლინებისა
და ქემზარტი დიდუნებოვნებისა, ქედმოუდ-
რეულობისა თუ გამყოფეულობისა. კაცმა რომ
თქვას, სწორედ ადამიანის შინაგან სამკაროს შე-
ცნობა-გაცნობიერების თემს უტრიალებს მწე-
რალი თოქმის ყველა თავის ნაწერში, მოთ-
ხრობა იქნება ის თუ რომანი, სტენარი თუ ინ-
ტერვიუ. ამწევა დაწერილია მიხი ვარკოლი მოთხ-
რობაც „პიკის“ სათითა“, რომლის ქართული თარ-
გმანი სულ ახლახანს გამოუშვა გამომცემლო-
ბა „საბუკოთა საქართველომ“.

ამ მოთხრობაში გამორჩეული მწერლური
ოსტატობითა და შეუმცდარი ფსიქოლოგიზმით
არის დახატული მთავარი გმირის, კმოტოვ
მაქსიმოვიჩის სულიერი მდგომარეობა, როცა მის
ხელიდან გამოვიდა ყველა ცხოვრებისეული
საყრდენი (დამკარგა სამსახური, დაიდა და შევი-
ლი), გადაეწურა ყველა იმედი და სიკვდილს
ელოდება) მგონია კიბო სვირის და ოპერაციას
შერ გადაიტანს). მართლაც უმწვერვალეობა თვით
— კულმინაციური წერტილი, პიკის საათი აი,
ამ გადასახედიდან შეგყურებს ახლა მოთხრობის
მთავარი გმირი ქვეყანას, გამოწვლილვით აან-
ალიზებს განვლილ ცხოვრებას, ურთიერთ-და-
მოკიდებულებას ცოლსა და ქალიშვილთან,
უფროსებთან, მეგობარ-ამხანაგებთან. იხსენებს
ომის წლებს, იმ ფარსაც დღეს, როცა ვეუკაცო-
ბა აღარ ეყო და ადამიანისთვის უღირსი საქ-
ციელი ჩაიღინა. არაფერი რჩება შეუფასებელი
მის გამაფრებულ გონებას, სულ ერთია, ბედ-
სწერას მაინც ვერსად წაუთა. ერთადერთი იმე-
დის სხივი უჭიატებს მხოლოდ — ელვებტას
გამოსათხოვარი ღმომილი, ვინც დასახსვენებელ
სახლში გაიცილა.

მართლაც შეუფრადებელი და თავწარდამ-
ცემია ფიზიკლი თვალთ დაწახული ქვეყანა,
მაცრამ სიმართლეს ავალი უნდა გაუხწვრო.

„პიკის საათი“. ცხადია, ყოველმხრივ ხანტე-
რისი ნაწარმოებია და თუ ის მოგვიანებით, მა-
გრამ მაინც მშობლიურ ენაზე წაიკითხა ქარ-
თელმა მკითხველმა, ეს უბრველეს ყოველისა,
ქემად ქედლის დამსახურებაა

ჭ. ჭედლიძე, როგორც მეცნიერი, კარგა ხა-
ნია, სწავლობს ქართულ-პოლონურ კულტურ-
რულ ურთიერთობას, ამავე დროს წარმატებით
თარგმნის ქართულად პოლონელ მოეტებსა და
პროზაიკოსებს — გაიხსენოთ თუნდაც თადე-
უს რუჟევიში. იგი პირველად ხომ მან ააქტერა
ქართულ ენაზე. ჭ. ჭედლიძე ახლა საქართვე-
ლოში ერთი იმ ოთხ-სულ კაცთაგანია, ვინც
უშუალოდ პოლონურიდან თარგმნის. ეს კი
მრავლისმეტყველო ფაქტია. სახიამოვნო ამბავია
ისიც, რომ ჭ. ჭედლიძე ეტი სტუფან სტავინსკის
ერთგული რჩება და განაგრძობს მიხი აღღინ-
დელი და უახლესი ნაწარმოებების თარგმნას.

ზიორკი მამუტაძე.

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ალექსანდრე კუშკინი

ნარილები

68. ლ. კუშკინის 1824 წელი

იანვარი (12-ის შემდეგ) — თებერვლის
დასაწყისი.

ოლესიდან პეტერბურგში

რადღა შემთხვევა მაქვს, წერილი სხვისი ხელით გამოვიგზავნო, თავისუფლად გწერ. ნ. რავესკი აქ არის. შენზე არასაკმარისი ცნობები ჩამოიბრუნა; რად გაიპრანქე და არ ჩამოუყევი ჩემს სანახავად? ფული არ გქონდა? შერე გავასწორებდით ანგარიშს — თორემ, ღმერთმა უწყის, როდის შევხვდებით ერთმანეთს. შენც ხომ იცი, ორჯერ ვთხოვე ივან ივანოვიჩს²⁷ მისი მინისტრების მეოხებით შევხულება — და ორჯერვე ყოვლადუმოწყალესი უარი მტკიცა. ესღა დამარჩენია, პირდაპირ მის სახელზე გავგზავნო წერილი — მავანს და მავანს, ზამთრის სასახლე, პეტრე-პავლეს ციხის პირდაპირ, არაღა, ჩუმად ავიღო ზღაჯოხი, ქუდი და კონსტანტინოპოლის სანახავად გავსწიო. წმინდა რუსეთი ყელში ამოვივიდა, *Vbi bene ibi patria*.²⁸ მე კი *bene*²⁹ იქა ვარ, სადაც დარდი არაფრისა მაქვს, ძმანო. ნეტა ფული მქონდეს, მაგრამ საღა? დიდებს რაც შეეხება, რუსეთში ის საქმარისი არაა. რუსული დიდება რომელიმე ვ. კოშლოვს თუ მოუფინავს გულს, ვისაც პეტერბურგელი ნაცნობობაც სიამაყეს ჰგვრის, რაჯაან კაცი კი იმათ თუ ამით რად მიიჩნევს. *Mais pourquoi chantais-tu*?³⁰ ღამარტინის ამ კითხვას ასე ვპასუხობ — ის მამდერებდა, რისი ხათრით მეფუნთუშე ფუნთუშებს აცხობს, თერძი კერავს, კოშლოვი წერს, მკურნალი ხოცავს — ფული, ფული და ფული — აი, რაცა ვარ, ჩემს ცინიშს თუ არ დავფარავ. პლეტენევი მწერს, ბახჩისარაის შადრევანი ყველას ხელთ უპყრიაო. დიდად ვმადლობთ, შეგობრებო, ასე

მოწყალედ რომ ზრუნავთ ჩემს დიდებაზე! განსაკუთრებით ტურგენევის ვმადლობ, ჩემს მწყალობელს. ვმადლობ ვოიკოვს, ჩემს დიდ მფარველსა და სახელმორჭმულ მეგობარს! ოლნდ ის მინდა ვიცოდე, რომელი მათგანი იუდიის დაბეჭდილის თუნდაც ერთ ცალს, ვისაც ზელნაწერი გააჩნია; მაგრამ ეს წერილმანებია — პოეტს არ მართებს ლუკმაპურზე ფიქრი, მისი საქმეა კონსილოვიჩივით იმიტომ წეროს, ღამაშთა სქესს ღიმილი მოწყვიტოს. ჩემო სულისდგამ, სიბრაზისაგან ღამის გული ამერიოს — საითაც არ გავიხედავ, ყველგან ისეთი სიბილწე და უმსგავსობაა, ისეთი უტკინობა — ნეტა როდემდის გასტანს ასე? ბარემ სიბილწეზე ვეტყვი — წავიკოთ ლობანოვის ფედრა — მინდოდა კრიტიკა დამეწერა ლობანოვის კი არა, მარკივ რასინის ხათრით — მაგრამ კალამი ხელიდან გამოვიარდა. თქვენთან მაგის თაობაზე ერთი ამბავია ატეხილი. მაგას ამასთან თქვენი ჟურნალისტები ბ. რასინის ცნობილი ტრაგედიის დიდებულ თარგმანს *Voulez-vous découvrir la trace de ses pas*?³¹ — იმედოვნებთ მიაგნოთ თეზევის ცხელ კვალსა თუ გზას ბნელსა — მაგისი რითმის დედაც. აი, როგორაა ყველაფერი თარგმნილი. არაღა, სხვა რითი გააქვს ივან ივანოვიჩ რასინს, თუ არ აზრის სიზუსტით და მარწმინით სავხე ლექსებით! ფედრას გეგმა თუ ხასიათები სისულელისა და არარაობის მწვერვალია გამოგონების მხრივ — თეზევი სხვა არაფერია, თუ არ მოლიერის პირველი რქებლადგმული ქმარი? იპოლიტე, *le superbe, le fier Hypolite-et même un peu farouche*.³² იპოლიტე, გორგოზი სკიოთელი. ... — სხვა რაა, თუ არ კარგად აღწარმოებ ბიტი, თავაზიანი და მოწინებული.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 7.

*D'un mensonge si noir*³³... და სხვა. წაიკითხე



ეს ნაქებ-ნადიდები ტირადა და დარწმუნ-
დები, რომ რასინს წარმოდგენა არ ჰქონია
ტრაგიკული სახის შექმნაზე. შეუდარე ბაირო-
ნისეულ პარიზიანში ყმაწვილი მიჭნურის სიტ-
ყავს, ხანავ გონებობს სხვაობას. აბატი ტრერ-
მანი და მაქანჯალი — Vous même ou seriez vous
exc...³⁴—ამაზე დიდი სისულელე იქნება! რილე-
ევს შევუბრავდი — ვინაზროვს³⁵ სიცოცხლით
სახედა. კუხლია რასა იქმს? დედოფლს მივწერ,
მაგრამ თუ ვერ მოვასწარ, უთხარი, რომ ტუ-
რგენეს ბრძენი ოლგვი გამიართვის და და-
ბეჭდოს. იქნებ ონგინის ნაწვევები გამოვუგზავ-
ნო; ეს ჩემი საუკეთესო ქმნილებაა. ნ. რაევს-
კის ნუ დაუჭერებ, რომელიც აგინებს — ეგ
ჩემგან რომანტიკოსს მოელოდა, ხატირა და ცი-
ნეში კი შერჩა და ხეივანიდან ვერ გაერკვია.

79. ვ. მ. შტაინბერგის

24-25 ივნისი, ოდესიდან მოსკოვში

ტრუბეცკოს გამომგზავრებას ველოდი, შენ-
თვის რომ თავისუფლად მომეწერა. მოკვებები
იქიდან, რაც ყველაზე მეტად მეტება. ვორონ-
ცოვს წავეჩხუბე, პოლემიკური მიწერ-მოწერა
გავუმართე, რომელიც ჩემი მხრივ სამსახური-
დან განთავისუფლების თხოვნით დამთავრდა,
მაგრამ ხელისუფლება რით დაამთავრებს, კა-
ცმა არ იცის. ტიბერიუსის³⁶ მიხარული იქნება
შარი მომდოს, ხოლო გავრცელებული ხმა
გრავ სენიანის³⁷ ეგრობულ აზროვნებაზე.
მთელ პასუხისმგებლობას მე დამაციხრებს.
ჭრჭერობით ნურავის ეტყვი ამ ამბებს. მე კი
თავი მისკვება. შენი წერილებიდან, კნენია
ვერასთვის³⁸ რომ მოგინერია, ვატყობ. შენც
კოულმბეკერობ და უგუნებობ. დარდობ ბაი-
რონს. მე კი მისი სიკვდილი იმდენად მიხარია,
რამდენადაც პოეზიისათვის ზენარ საგანს შეად-
გენს. ბაირონის გენია მის ახალგაზრდობასთან
ერთად ფერს ჰკარგავდა. თავის ტრაგედიაში.
კანის ჩათვლით. უკვე ის მგზნებარე დემონი
აღარაა, ვინაც ვიკორი და ჩაილდ-მაროლდი
შექმნა. დონ-ჟუანის პირველი ორი სიმღერა
ყველა დანარჩენზე მაღლა დგას. მისი პოეზია,
მტკუნა, უკვე ფერნაცვლობდა. იგი პირველ
გახლდათ შექმნილი, თანამიმდევრული არა-
ფერი ეტხო, ერთბაშად მიმოვიფიდა და დავაუ-
კაცდა — ამოიღერა და დადუმდა; პირვანდე-
ლი ხმა აღარც დაბრუნებია — Chaid-Harold-
ის მე-4 სიმღერის შემდეგ ბაირონი ჩვენ აღარ
გვხმენია, სწერდა ვიღაც სხვა პოეტი, დიდი
აღმთაწერი ნიუის მქონე. შენი აზრი, მის სიყ-
ვდილს ხოტბა შევასაბთ მე-ნ სიმღერაში³⁹ —
ხალცხოოა — მაგრამ მე კი ძალია არ შემწევს
— ხაბრძნეთმა ყველაფერი წაიხილწვა. ბერ-
ძენა ბელზე ჩვენში მიღებულია ისე ვიმსჯე-
ლოთ, ვითარც ჩემი ძმების ზანგების ბელზე.
შეგვიძლია იმათაც და ამათაც მოწოდება გან-
თავისუფლება ვუსურვოთ. მაგრამ მთელი ევ-

როპის განათლებულმა ხალხებმა ტრუბეცკო-
ნეთზე აბოლონ — მიუტევებელს⁴⁰ ხელს⁴¹;
ფემისტოკლესა და პერკლესე იეზუიტთა ჩი-
ჩინის წყალობით ყაჩაღებისა და მედუნეების
გან შემდგარი ეს მურღალი ხალხი მათ კანო-
ნიერ შთამომავლედ და მათი სასკოლო დღე-
ების შემვიკიდრედ წარმოვიდგინეთ. შენ მეტყვი,
აზრი შეგიცვლიაო. ჩამოსულიყავი ამ ჩვენს
ოღდაში, გენახა ერთი მილტიადეს ეს თანამე-
მამულენი და მაშინ დამთანხმდებოდი. წაიკი-
თხეთონ ბაირონი ჩაილდ-მაროლდის შენიშ-
ნებში — იქ, სადაც, მგონი, სმირნაში შუოფი
ფრანგი კონსული ფოველის აზრი მოჰყავს. —
თუმცა შაირებს მისი აღმატებულების სიკვდი-
ლზე მაინც გპირდები.

მინდოდა შენთან დაბარაკი სამინისტროს
შეცვლაზე. რას ფიქრობ ამაზე? მიხარია კი-
დეც და არც მიხარია. კარგა ხანია ყოველი
რუსი დევიზად იქცა: რაც უარესად წავა ხაჯ-
მე — მიუ უყეთხი. რუსული ოპოზიცია, რუ-
სი ღმერთის მიწვევით ჩვენი ავი თუ კარგი
მწერლებისგან შემდგარი, უკვე მოუთმენლო-
ბას აეტანა, რასაც ჩუმ-ჩუმად მეც ვუჩინებო-
ბობდი რაღაც ამბების მოლოდინში. ახლა კი,
რა წამს ფიკა გლინის⁴² ნებას დართავენ ოა-
ვის საყვარელ უთხარს, რა ღვთაებრივი ვინმე
ხარ, რა ციური თვალეები გაქვს, სიყვარული
წმილათაშიდა გრძობააო,⁴³ ეს ნაძირალები
ისევ და მოშინდებიან, უფრანალები თავის
ხსნივ ტყუილებს ჩმახვას მოჰყვებიან, ასევე
ჩინოსნებიც, ასევე რუსეთიც — როგორც ში-
შკოვი მთელ წირვას... მეორე მხრივ, ფულე-
ბი, ონგინი, ყურანის წმინდა აღთქმა — საე-
რთოდ ჩემი ეგოიზმი, კიდეც სიტყვა: ჩემს ძმას
ნება მივიცი კავკასიის ტყვის მეორე გამოცემა
გაეყოლა. ფული დამპირდა — ხოლო (როგორც
ვთქვი) მე-მ გამოცემა არასდ წაგვივა. თუმცა
შენ ცუდ სამსახურს მიწევ: მახაჟურებ და
ემშაჟმა იცის, ვის უკავშირდები. შარიანი გა-
მოცემული ბრძანებები — გნელიჩი კი თუმც
მეგობრად ღმერთს არ უწინა, ხამაგიროლ
კაპაც არავის ჩუქნის და თავისთვის წყნარად
ზის, არც კანკონოესკის ბენკლაგება და არც
ღმირტივეს.

შენც გამომიგზავნე ლექსება.

59. ვ. შტაინბერგის

ოქტომბრის მიწურული, მხაილოვსკოდან
პეტერბურგში

არ ვიცი, მიიღე თუ არა ჩემი ფრიალ ხაჟი-
რო წერილი; ყოველი შემთხვევისათვის მოკ-
ლედ გაგიმეორებ იმ ამავეს, რაიც ასე მაღელ-
ვებს, მ წლის როდოეს საფიანოსი, სკულოანის
ბრძოლაში დაღუპული ბერძენი გმირის ასუ-
ლი, კიშინოვი იზრდება ბესარაბიის ყოფილი

ვიცე-გუბერნატორის მიუღწევე კატერინა ბრა-
ტოფოროვნა კრუპენსკაისთან. ზომ არ შეიძ-
ლება ობოლს სადმე მოუხერხო თავშესაფარი?
იგი რუსი პოლიციის დისწულია, მამასადა-
მე, ანაურის წოდების. გული აურჩარლენ მამ-
რასაჲ, პოეტო! და გავამართლოთ განგების ძა-
ლი. ჩემს თავზე არაფერს გეტყვი, გულგრილად
ამ ბებუზე ვერ მიუჭირა; ვინ იცის, გეწყვი-
ნოს კიდევ, გულის ნადები რომ გადმოგიშა-
ლო. ძმა ჩამოგიტანს ჩემს ლექსებს, ნუგეშად
ველი შენსას. გეხვევი მსურვალედ, თუმცა კი
გულდარდიანი ვარ. შემიყვანე კარმონის
ოჯახში, ასე უთხარი, მათთვის ისევ ისა ვარ.
ჩემ მავგირად გადავხედი, ვისი ხვეწნაც შეიძ-
ლება: სხვებს — მთელი ჩემი სული მიუძღვეს.

24. 8. შუპონსკის

31 ოქტომბერი, მიხაილოვსკოედან
პეტერბურგში

შენს რჩევას ვხაჟირობ, ჩემო კარგო. თა-
ვად განსაჯე ჩემი აზრები, აჲ ჩამოსვლისას უკე-
თისი არ იქნება, ყველანი ისე შემხედნენ, მაგ-
რამ მაღელ ყველაფერი შეიცვალა. ჩემი გადასა-
ხლებით დაფრთხალი მამა წამდაუწყებ გაიძა-
ხოდა, მეც იგივე ბედი მიეღოსო. ჩემს ზედამ-
ხედვლად მიჩენილმა პეშუროვმა ურცხვად
შესთავაზა მამას, ჩემი წერილები გაეხსნა —
მოკლედ, გაშუშად ქცეულიყო; მამის ფიცხი
და ბლიზანი ხახითის გამო მასთან ღაპარა-
კი ვერ შევძელი; დუმილი ვარჩიე. მამამ ძმას
დაუწყო საყვიღურები, ვითომდა მე უღმერ-
თობას გასწავლიდი. მაინც ხმა არ გამიღია.
მოვიდა ქალიძი, მე რომ შემეხებოდა. და-
ბოლოს, ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის და-
ხადწევად, მამას ვეპაღდე, ვთხოვე, გულმხდ-
ლად გველაპარაკა... მამა გაჯარდა. მე თავი
დავუკარ, ცხენს მოვახტი და წავიდე. მამამ ძმა
იხმო და უბრძანა avec se monstre, ce fils dén-
aturé²² არ გაეკარო... (აბა განსაჯე, უუკაცსკი,
რა დღეში ვიქნებოდი). თავში სისხლმა ამახსა.
მიველ მამასთან, დედასთან ერთად იყო, და
რაც იგი სამი თვე გულში დამაროვებოდა, ყვე-
ლაფერი გადმოვუღავე. იმით დავამთავრე, რომ
უკანასკნელად გელაპარაკები-მოქოე, ვუთხარი,
მამაჩემმა იხარებოდა რა, მოწყებები რომ არ
იყვნენ, გავარდა და მთელ სახლს მოჰფინა, თი-
შოქს მე ვცემე, ცნა მოვუნდომე, ხელი ავუ-
ქნეი, შეიძლება მეცემა... შენთან თავს არ ვიმა-
რთლებ. მაგრამ რას მიიპრებს ამ სისხლის სა-
მართლის ბრალდებით? ციხის ბაღაროებში
მიკრან თავი თუ პატივი ამხადონ? მისხენი რო-
გორმე, გინდ ციხეში წავად, გინდ სოლოვც-
ის მონასტერში. იმაზე აღარას ვიტყვი, რა დღე-
ში არიან ჩემ გამო ძმა და დეა — კიდევ ერ-
თხელ ვთხოვ მიშველო.

ა. პ.

იჩქარე: მამის ბრალდება მთელმა სახლმა
იცის. არავის სჯერა, მაგრამ ყველანი კი იმე-
ორებენ. შეიტყვეს მეზობლებმაც. მათ არ მინ-
და ველაპარაკო — ვითუ მავრობამდე მივი-
დეს, აბა იფიქრე, რა იქნება. სახამართლოთი
დავაპტივო, მამა ცილს მწამებს-მეთქი, საში-
ნელია. თუმცა ჩემთვის სამართალიც არ არ-
სებობს, მე hors la loi.⁴⁴

უნდა ვიხსნა, რომ უკვე მივწერი გუბერნა-
ტორს, ციხეში გამგზავნოს, ოღონდ მიწერს არ
ვხახებლბე. ა. ა. ოსიპოვამ, ვისთანაც ამ სტრი-
ქონებს ვწერ, მირჩია ესეც გამენდო შენთვის.
გამოგიტყუებები, და ცოტა ბრაზი მომდის ჩემს
თავზე, ჰო, ჰო, ჩემო სულისდგამე, თავი ღამის
გამიხედეს.

1825 წელი

121. ა; ბესტუჟევი

24 მარტი, მიხაილოვსკოედან
პეტერბურგში.

უპირველესად შენი მისამართი გამომიგზა-
ვენ, ბულგარინს რომ გული აღარ გავუწყა-
ლო. რილევს აღარ ვწერ. ჭერ ვონსაროვსკის
ველოდები. გაღაეცა, რომ ბაირონზე მართა-
ლი იყო. არაგულწრფელობა მოვიდლომე, მაგ-
რამ არ გამომივიდა, Bowles და Byron⁴⁵.
მაც თავიანთ დავისას მეტისმეტად შეტოპეს,
მე ამაზე ფრიალ საქმიანი და საწინააღმდეგო
აზრი მაქვს. გინდა გადმოგიგზავნო? გადაწერა
მეწარება. საიდან მოიტანე, რომ რილევს ვა-
ქებ? მე ხმაშაღლა და გარკვევით ვთქვი, რა აზ-
რისაც ვარ მაგის ფიქრებზე და აგრეთვე პოე-
მებზე. დიახაც ვიცი, რომ ლექსში მისი მას-
წავლებელი ვარ, მაგრამ ეგ თავისი გზით მი-
დის. სული პოეტისა აქვს, მართლა მეშინია მი-
სი და ძალიანაც ვნანობ. ტყვია რატომ არ ვე-
სროლი, როცა საამისო შემთხვევა მქონდა —
თუმცა რა ვიციოდი. მოუთმენლად მოველი ვოი-
ნაროვსკის და ჩემს შენიშვნებს გავუგზავნი,
ღმერთი იწამოს და წეროს — რაც შეიძლება
მეტი წეროს!

შენი წერილი ძალიან ჰქვიანურია, მაგრამ
მაინც ცდებდი, მაინც იმ თვალსაზრისით არ
უუჭრებდ ონგინს, ის მაინც ჩემი საუკეთესო
ქმნილებაა. შენ პირველ თავს დონ-ჟუანს უდა-
რებ. — ჩემზე მეტად არავინ აფახებს დონ-
ჟუანს (პირველ ხუთ სიმღერას, დანარჩენი
არ წამიკითხავს), მაგრამ ონგინთან საერთო
არაღერტი აქვს. შენ ინვალისელი ბაირონის სა-
ტირაზე ღაპარაკობ, ჩემსას უდარებ — და
იგავესა მთხოვ! არა, სულო ჩემო, მეტისმეტხა
მთხოვ. სატირას სად ზედავ? ევგენი ონგინში

ალექსანდრე პუშკინი

წერილები



მისი ხსენებაც არაა. ხომ დაინტერესდა ხანაპირი, სატირას რომ შეეხებოდა. წინასიტყვაობაში სიტყვა სბტირნიკუმდნი არ უნდა ყოფილიყო. სხვა თავებს დაელოდე... ექვს ნეტა მიხაილოვ-სკოეში შემომატყუებინა შენი თავი... მაშინ ნახადი, თუ მაინცადამაინც დონ-ჟუანისა და რნეგანის ერთადრება შეიძლება, მხოლოდ და მხოლოდ იმ რამეში: ვინ უფრო სათნო და მშვენიერია (gracieuse), ტატანა თუ იულია? I სიმღერა უბრალოდ სწრაფი შესავალია და ემაყოფილიც ვარ მისი (რაც ჩემთვის იშვიათია). ამაზე ვამთავრებ ჩვენს დავას... ველი პოლიარნაია ზეუნდას, აქ გამოგზავნე, წინდაწინ ვიცი, რომ შენს ლიტერატურულ შეხედულებებს დავეთანხმები. იმედია, ბოლო-ბოლო კატინის სამართლიანად შეაფასებ. ეს შენგან დროული, კეთილშობილური და საყდარისი საქციელი იქნება, შეტდომის ჩადენა და მერე სრულქმნა საკუთარი შეხედულებებისა მოაზროვნე არსებას დახაც მოსდევას. ამის უანგარო აღიარებას დიდი სულიერი ძალა უნდა, თუმც მე უფრო კატინის გამო მისაზრია, შენგან კი მოთხოვნებს ველი; რომანს მოკიდე ხელი — ნეტა ვინ გოშლის. აბა იფიქრე: ჩვენში პირველი იქნები ამ სიტყვის ყველა გაგებით; ევროპაშიც დაგაფასებენ — ჯერ ერთი, ვით ჭეშმარიტ ნიუს, მეორეც საგნის სახალის, ფერების გამო და etc... კარგად დაფიქრდი მოცილილობის უამს ამაზე, ძმობო... მაგრამ შენ, მგონი, როტმისტრობა მოგნატრებია!

137. ა. ბატუმშვიძის

მარის მიწურული — იენისის დამდეგი, მიხაილოვსკოედან პეტერბურგში

პასუსს გაძლევ შენი შეხედულებების პირველ პარაგრაფზე — რომაელებთან საშუალო ნიჭთა საუკუნე წინ უძლიოდაო გენიოსებისას — ცოდვა იქნება ეს წოდება ისეთ ხალხს წავართვათ, როგორცაა ვირგილიუსი, შორაციუსი, ტიბულუსი, ოვიდიუსი და ლუკრეციუსი, თუმცადა ისინი.* ორი უჩანასწოლის გამოკლებით. მიბაძვის დიდ გზაზე მიიბიჭებდნენ. ბერძენთა კრიტიკა ჩვენ არა გვაქვს. იტალიაში Dante და Petrarca წინ უძლიოდნენ ტაოსა და არიოსტოს. ესენია Acellerius და Foscolo-სი* ინკლუიდებთან მოტანდი და შექსპირი ადისონისა და პოპზე ადრე წერდნენ, რომელთა შემოგომ გამოჩნდნენ Southey, Walter scott, Moor და Byron! — აქედან იშვიათია რამე დასკვნა ან წესი გამოიტანო. შენი სიტყვაზე შეიძლება მხოლოდ ფრანგულ ლიტერატურას მიუხადავო.

ჩვენში კრიტიკა არსებობს. ლიტერატურა არაა. ეს ხიდიან მოიტანე. სწორედაც კრიტიკა გვაკლია. აქედან მოდის ლომონოსოვის* და ხერასკოვის სახელი, ხალხი თუ ეს უჩანასწოლი ყველას თვალში დაეცა, აღ-

ბათ მერზლიაკოვის კრიტიკის გამო არა დაეკვიდრის კერპი 1/4 ოქრო, 3/4 ტყეა — აქანდე არაა შეუასებული. ფელაეცხადმი მიძღვნილი ოდა დიდაკის ოდას არ ჩამოუყარდება, ოდა ღმერთი — მუშერსკის სიკვდილზე დაწერილი. ზუბოვისადმი მიძღვნილი ოდა აქანდა აღმოაჩინეს. სწიავინი არხიანად სარგებლობს თვისი დიდებით, ბოგდანოვინი დიდ პოეტთა დასს მიეუფუნა, დმიტრიევიც ახვეე: ჩვენ არ გვახალია არა კომენტარები, არა კრიტიკული წიგნი. ჩვენ არ ვიცით, რას წარმოადგენს კრიტიკა, რომელიც ისევე მაღლა დგას ლფონტენზე, როგორც დერჟავინი უან ბ. რუსოზე. შენ რას ეძახი კრიტიკას? ვესტნიკ ევროპის და ბლაგონამერენის? გრეჩისა და ბულგარინის ბიბლიოგრაფიულ ცნობებს? შენს წერილებებს? მაგრამ გამოკვდი, რომ ეს ყველაფერი ვერ ჩამოაყალიბებს საზოგადოებაში რაიმე აზრს. ვერ ჩაითვლება გემოვნების დებულებად. კარნოვსკი გონებაბრჭკუ და მოსაწყენია. შენ და გრეჩი ენამახვილი და შესაქცევნი — აი, რისი თქმა შეიძლება თქვენზე — მაგრამ კრიტიკა სადაა? არა, შენი წინადადება უკუღმა უნდა შეტრიალდე: რაღაც ლიტერატურა კი გვაქვს, ოღონდ კრიტიკა არა. თუმცა ცოტა ქვემოთ თვითონვე ეთანხმება ამა.

მხოლოდ ერთადერთ ხალხის ლიტერატურას წინ უძღვის კრიტიკა — ეს გერმანელები ვახლავთ.

ჩვენ რად არა გვყავს გენიოსები და ასეთ ცოტა გაგვარჩიანა ტალანტიანი და? ჯერ ერთი, დერჟავინი და კრილივი გვყავს, მეორეც, ბერია ტალანტი ნეტა სად ნახე.

ჩვენში წაქეზება არავის ჰქონია და მაღლობა ღმერთს, რომ არა ჰქონია ოი რატომაც არ ჰქონათ? დერჟავინი და დმიტრივი წააქეზებლად მისხტრებულდანიშნეს. ეკატერინეს მეფობის ხანი წაქეზების ხანი იყო; მაგრამ ამის გამო სხვებს როდი ჩამოუყარდება კარაშინს, მგონი, წაქეზება არ აკლია; არც უკუეკის დაერჩილება ამაზე. კრილოვსაც ახვეე გენდარი თავის კაბინეტში მყოფოდ ეწვეო თავის გპირობას; ენახთო, მისი პომეროსი რომ გამოვა წაქეზების გარეშე მარტო მე და ბარატინსკი დაერჩით — ღმერთს კი მაღლობას სულაც არ ეწირავ! წაქეზება მხოლოდ ჩვეულებრივ ნიჭს ახსნამს ფრთველი. ავგუსტუსის საუკუნეზე რომ არაფერი ვთქვა, ტაოსა და არიოსტოს პოეტებს მოეწონა წაქეზების კეთილ ანისა. შექსპირსა ყველაზე საუკეთესო პოეტი ილიავეტას შეეკვითი დასწერა. მოლიერი ლუდოვიკოს კამერდინარი იყო; უკუდავი ტარტიუფი, კომიკური გენიოსი ეს ყველაზე დიდი ძალისხმევის ნაყოფი, თავის არსებობას მეფის ქომაგობას უნდა უმაღლოდეს; ვოლტერმა თვისი საუკეთესო პოემა ფრანკოეკს მფარველობით დასწერა. დერჟავინს სამი მეფე სწყალობდა —

შენ იმას არ ამბობ, რისი თქმაც გინდა; შენ მა-
გვირად შე ვიტყვი.

ასე და ამგვარად! ჩვენ შეგვიძლია ალაღვი
გულთი ვიამაყოთ: ჩვენი სიტყვიერება თუ
სხვებს ნიქთა სიმოდირით ჩამორჩება, იმით მა-
ინც გამოირჩევა. რომ მოწერი თავმოღვრების
დალი არ სცნია. ჩვენი ტალანტები უფოლუზო-
ბილინი, დამოუკიდებელი ვახლავთ. დერე-ვინთან
ერთად დადუმდა ლიქნის ხმა — შერცდა რუ-
გორი ლიქნისა?

О. вспомни, как в том восхищени
Пророка, я тебя хвалил:
Смотри, я рек, триумф минуто,
А добродетель век живет.

წაიკითხე ალექსანდრესადმი მიძღვნილი ლექ-
სი (ჟუკოვისკისა 1815 წელს). აი, როგორ ელა-
პარაკება რუსი პოეტი რუს შეფეს. ვადახედე
ჩვენს ურუნალებს, მაედ ჩვენს მიმდინარე ლი-
ტერატურას... ჩვენს ლირაზე იგივე შეიძლება
იოქვას, რაც პირაბომ სიესზე თქვა. *San
silence est une calamite publique.*⁴⁵ უცხოე-
ლები განცვიფრებულნი არიან ჩვენით — ისე-
ნი ღირსეულად გვაფასებენ — ვერ ვაუვიათ.
ეს როგორ მოხდა. მიზეზი კი ნათელია. ჩვენა
მწერლები ხაზოგადობის მაღალი ფენიდან
არიან. არისტოკრატიული მწვაობრიობა შაო
ბუნებაში ავტორისეულ თავმოყვარეობას შეე-
ნავებია. ჩვენ არა ვესურს ჩვენმა ტალმა და
სწორმა გვიშარედლოს. აი, რა ვერ ვაუვიათ იმ
არამწადა ვორონცოვს. მაგს ჰგონია, რუსი პოე-
ტი მისაღებში ეახლება მისადმი მიძღვნილი ლექ-
სითა თუ ოდით, ის კი, ექვსასი წლის აზნაურის
პირობაზე, მიდის და პატრივისცემას თხოვს, —
განსხვავება ვეებერთელაა!

რასაც შენ ამბობ ჩვენს აღზრდაზე, ვარე თუ
შინა (საუცხოო!) მიშამკველებზე — ყველა-
ფერი მშენიერია, ძლიერად და გულიანი მკვერ-
მეტყველებით გამოთქმული. ხათთოდ აზრები
მოგვარებია. ონგინზე ყველაფერი არ გიოქ-
ვანს, რაც გულში გიდევის; ვგრძნობ, რატომაც,
და მაღლიერი ვარ. მაგრამ ხაკუთარ აზრს ნათ-
ლად რად არ აცხადებ? ვიგრძნოდ პირადი და-
პოკიდებულებით ვიწინამძღვრებთ, კრიტიკა
ჩვენში არ იარსებებს — შენ კი ღერხი ხარ იგი
შეკმნა.

შენი ტურნირი⁴⁶ W. Scott-ის ტურნირებს
მაგონებს. ზურგი აქციე მაგ გერმანელებსა და
მაროლმადიდებლებს. მოგვიბრუნდი; გვეოვა
მართლა სხარტი მოთხრობების წერა რომანტი-
კული ვადანსებებით — ეს ბაირონული პოემი-
სათვის ვარჯა მხოლოდ. რომანი ბევრ ლაილიან
თხოვს; ყველაფერი პირდაპირ თქვი. შენი
ვლადიმირი გერმანული დრამის ენით ლაპარა-
კობს, მშენ შეგყურებს შუალამისას და etc.
მაგრამ ლიტვანთა ხანაის აღწერა, ხურის ხაუ-
პარი გუშავთა ხალხისოა. იგივე იოქმის დასას-

რულზე. თუმცა ყველაფერს შენი გასაოცარი
სისხარტე ეტყობა.

რილვეი, ცხადია, ჩემს შენიშვნებს ვაჩვენებს
ვინმაროვსკიზე. შენ კი შენი პასუხი გამოვიგ-
შავნე. ჭერჭერობით კი ვუღლია ვესვევი.

ერაი სიტუაცი ედღე: 1822 წელს პეტრუს
უწილია ჩვენს სიტუაციებში — წიქს კი მაღ-
ლიბაც არ უტანარ ბუბერ შაშოვს. მის ვარდა
ვის უნდა ვუშალოდეთ გამოცოცხლებს?

133. ა. ბ. დელვიზს

ენისის პირველი რიცხები (არაუგვიანეს
მისა), მისილოესკოდან პეტერბურგში.

რა ხანია შენს წერაღს ედღე — და ვეღარ
ვეღირსე — ცხონებული ნიქთა ხომ არ დაიუ-
ნე ვეღავა მსახურად — ან იქნებ შემთხვევას
ელი, წერელი ვისმე გამოატანო? — წაუღიმიც
იყოს ეს შემთხვევა! დღისი გულიხსათვის, რამე
მოწყდეს; ხომ იცი, რა მწუხარება შეგმთხვა,
ბენია ჩიჩრინა და შია პეტრ ლევიჩი დევიარე
— ეს ამბები შეუშავებლად მაქნობეს და ასლა
ხაშინელ გუნებაზე ვარ — ამიტომ უნდა მანუ-
გეშო. ეს ხომ შეგაბრბობის წმინდა ვალია (ამ
წმიდათაწმიდა ვრძნობის).

რასა იქმს ჩემი სხვადასხვა ლექსები? ნახე
ბირჟოვ მრასხნა? ძღვეტევისგან ერთი სტრი-
ქონი არ მომხვლია; ჩემი ონგინი რას შვრება?
იყიდება კია? ჰო, ხარემ: ძღვეტევის გადვიცი,
ღვეს ჩემი ფულიდან მისცეს საკმილი და არა
საკომისიოდ, თორემ აზრი არა აქვს. ეგეთი
უხინდის კომისიონერი მეორე არ ყოფილა და
არც იქნება. შენი ვამწავრების შემდეგ მთელი
დერევაინი გადავიციეთ, და აი, ჩემი სახლოლი
აზრი. მაგ ობროდა არც რუსული წერა-კითხვა
იცოდა, არც რუსული ენის სურნელი ვაეგებო-
და (ამიტომაც დავს ლომონოსოვზე დაბლა).
წარმოღვივა არ ვცინდა არც სტილზე, არც პარ-
ზონიაზე — ასე განხაზე, არც ლექსთწყობის წე-
სებზე. ამიტომაც ვაეცოფებს ყველა ფაქიზი
სმენის მქონეს. ის არათუ ოდას, სტროფსაც ვერ
ძლევს (შენი იცი, რისი ვამოკლებით). მაშ, რა
გარჩია? კრეშარტის პოეტური აზრები, სურა-
თები, მოძრაობანი; რომ ჰკითხულობ, ასე ჰგო-
ნია, რომლილაც მშენიერი დედნის უხიერი,
თავისულად თარგმანს ჰკითხულობ. ღმერთმანი,
მაგისი გენია თარეულად აზროვნება — რუსუ-
ლი წერა-კითხვა კი მოუღველებით ვერ ისწავ-
ლა. დროთა განმავლობაში ვადათარგმნილი დე-
რევაინი ვეროას ვანციფერებს, ჩვენ კი ჩვენი
სიამაყით არ გავამუხლოთ, რაც მასზე ვიცით
(რომ არაფერი ეთქვათ მის მინისტრობაზე).
დერევაინს ასე რვა ოდა და რამდენიმე ნაწევრთ
უნდა შეუნახო, დანარჩენი კი დაწვა. მისი გენია
სუვოროვის გენიას შეიძლება შეუდარო —

ალექსანდრე პუშკინი
წარიღობი



აფსუს, რომ ჩვენი პოეტი გალობის ნაცვლად სწრაფ ნისაოდა — თუმცა კმარა დერეფანზე. უყოვსი რას აკეთებს? — მომწერე, რას ამბობს ონდენის მე-2 თავზე და იმაზეც, რაც ქარგანში მიდევს. რა ოპერაა ია დადიანის კრილოვმა? ღმერთმა დიდი ხანი მისცეს! — მისი „მეწიქვილე“ ისევე კარგია, როგორც დემაინი და ფოკა. ნიკოლაი მინაილოვიჩი იყო ნაზე? წინ მიღის თუ არა ისტორია? სად გაიწერებდა? რომანოვებს არჩევანზე სომ არა? უმადურები! ექვსმა პუშკინმა მოაწერა ხელი საარჩევნო გუჯარს ორმა კი ჭვარი დასვა, რამეთუ წერა არ იცოდნენ! მე კი, იმათი წიგნიერი შთამომავალი, რა დღეში ვყავართ? სად ვიმყოფებით...

139. 3. მიკამბისი და ლ. პუშკინი

21 მაისი და დაახლ. ივნისი შუა რიცხვები, მისაილოვსკოდან პეტერბურგში

შენ მეკითხები, კმაყოფილი ვარ თუ არა, რაც ტელეგრაფში ჩემზე დაბეჭდე. ვგა საკითხავია? ვეროპული ყაიღის წერილები ჩვენს უფრონალებში გვანახებოდა? შენს კომპანს კი ვე მოვინება და მეგობრობის მიკერძოებული ვრძნობა ამოძრავებდა. მაგრამ შენ ძალზე მშოგავ უყოვსისთან დაკავშირებით. მე შედეგი კი არა, სწორედაც მისი შევირდი ვარ და თუ გამაქვს, მხოლოდ იმით გამაქვს, მის გზაზე ვახვლა ვერ გამიბედავს და შუა-შუა მივხეტები. მისებრ ძარღვიანი და მრავალდეროვანი ენა ჩვენში არავისა აქვს და არც ექნება. სიმედესთან ჰიდილი-ნი საოცარი გოლიათია. თარგმანებმა გაანებივრებს და ვახარმაცებს. საუთარი არ უნდა შექმნას, მაგრამ Voss-ივით⁵² თარგმანის გენიოსია. თანაც სასაცილოა მასზე თქვა, ნიჭი დაუტყნაო, მაშინ როცა მისი სტილი უფრო და უფრო ვაქცადება. წარსული კლავავც ასრულდებნა, მე კი სულ მჯარეთათ აღდგომის მიღიათ ვარ. წავიკითხე შენი წერილი ბერნე⁴, მოგიხდია ვალი შენი გულის წინაშე. ეს პოემა, რა თქმა უნდა, ვრძნობებთათა სავსე და ვინააროვსკიზე ჰქვიანურია, მაგრამ რიღეებს მეტა გაქანება აქვს სტილისა თუ მეტი გაბედულება. მაგას იქ ერთი ვიღაც ჯალათი ჰყავს ხელმედაკაიწებული, რაშიაც, არ ვიცი, რას ვაფილებდი. სამაგიეროდ უჭირბიო საძაღობაა, ეს სახელი გერმანული dumm-იდან⁵⁵ მოდის და არა პოლონურიდან, როგორც ერთი შეხედვით ნანს. ნეველოვის ლექსები საუცხოოა, ტყუილად კი არ ვუწოდებ ოდესხდაც le chantre de la merde!⁵⁶ (ეს ჩვენსა და შთამომავლობას შორის დარჩეს). შალიკოვის ლექსები და წერილები არ წაიკითხავს. ნუთუ ჩემი ლექსები იქნება? აქ კი კრავი ვით უსოდველი ვარ! ჩემს ძამია ღიღის ჰიუსხე: თვითონ გეტყვი, როცა თავადი შალიკოვის სახელი წაიკითხა, მირჩია, ბატონუკოვით შეცვალო — ჯერ დაუჭირე, მაგრამ შემეცოდა et j'ai remis bravement chaikof.¹⁵⁷ ეს შემეძლია

შვად ნაწერიოც დაეამტიკო. შენს წერილები ჩინებულია — აქაურ დიაცებს ძალიან მოსწონთ. მაგრამ მაინც ველი შენს წერილს ბაიროზე. მადლობელი ვარ Casimir-ისათვის⁵⁸ (როგორ უნდა გამოიქრას აქედან calabour⁵⁹ ანა გამოიკანა). შენ, მგონი, ვიყვარს კაზიმირი, მე კი არა. რა თქმა უნდა, პოეტია, მაგრამ მაინც არც ვოლტერია და არც გოეთე... სად ლაღა და სად არწივი მანდ მარველა გენიოსი რომანტიკოსი ექნება და ფრანგების მგზნებარე თავს. ღმერთმა უწყის, სად გაიტაცებს. პო, ბარემ: მე შეგნიშნე, რომ ყველას (შენც კი) რომანტიზმზე ყოვლად გაურკვეველი წარმოდგენა გაქვთ. ამაზე მოცალეობის ფაშს ვინახათ, ანლა არა: სიქა გამეცალა. ყველას მივწერე — ბულგარინსაც კ.

25 მაისი.

შენ გინდა პოლეტიკი გამირიგო. ხაქმე ისაა, რომ თუმცა კი მიხდა დავებმარო, პირობებს აღბათ ვერ შევსრულებ — მაშახადამე, არც მაგისი უფლი შვირდება. თვალი გეპიროს მაგაზე — დვითს გულისათვის მაგანაც იცის ტყუილებში შეტოვა. შავალათად დონ კიხობა მოსპო ვეროპანი მოხეტიალედ რაინდებო!!! იტალიაში, Dante-ს ვარდა, რომანტიზმი არ ყოფილაო. ის კი იტალიაში წარმოიშვა. მაშ ვან არის არიოსტო? ან მისი წინამორბედნი, დაწყებული Buovo d'Antona⁶⁰ გათავებული Orlando innamorato⁶¹ როგორ შეიძლება ასე ალაღბულზე წერას? შენ ნუ უფულდელყოფ უფრნაღის წერილმანებს: ნაპოლეონი დიდ უფრადლებას აქცევდა ამას და პარისის საუკეთესო ტურნაღისტიც იყო (როგორც შენიშნა, ვგონებ ფუშემ).

144. ანა ვილფსენი

21 ივლისი, მისაილოვსკოდან რიგაში

ავ გუნებაზე, გამომთვრალი გწერთ ამ წერილს; სომ ხედავთ, სიტყვის კაცი ვარ. მაშ უკვე რიგაში ბრძანდებით? წარმატება გაქვთ თუ არა? შალე ვაგეთოსოდებით? ულანები თუ დაგხვდნენ მანდა? წერილად მაცნობოთ ეს ყველაფერი, სომ იცო, ჩემი ღვარძლიანი ხუმრობების მიუხედავად თქვენი უველაფერი გულთან ახლოს მიწაქვს. — მინდოდა გამომეთათხეთ, მაგრამ შორსა ხართ და დაგინდეთ. ბილო ჰქუის დარჩებებსა და რჩევებს არ მოგაყლებთ. ანა, კარგად დამიხედეთ ყურის: 1) ღვთის გულისათვის, სიეტრეტებ მხოლოდ მეგობრებთან გამოიჩინეთ (ახიე მამრ. სქენთან), ისანი ამას მარტოდენ თვის სასიკეთოდ გამოიყენებენ, მაშინ როცა მეგობარი ქალები ვიბტობენ, რამეთუ — ეს კარგად დაისხომეთ — ისეთივე ცერტყდა და ენტარტარანი აიანა, როგორც თქვენ. 2) ჩაიკითხო მოკლე კაბები, ვინაიდან კონტა ფენები გაქვთ და ნურც თმას აბუღელებთ. გინდაც მოდარე იყო, იმეტომ, რომ სამწუხარ-

13 და 14 აგვისტო, მისილიოვსკოდან რიგაში

როდ, პირმგვალი ბრძანდებით. 3) ეს რამდენ-
ნიმე ხანია ფრიად გათვითცნობიერებული გახ-
დით, მაგრამ ამის ნუ გააძღვდნენ. ხოლო თუ
რომელიმე უღანმა გითხრათ (. . .), არც ვაი-
ცინოთ და არც ვაინალოთ, ნუ შეიმჩნევთ, რომ
კმაყოფილი ხართ; ცუბერი მოიხილეთ, პირი იხ-
რუნეთ და სხვა რამეზე გადაიტანეთ სიტყვა
4) არ დგავიწყდეთ ბაირონის ბოლო გამოცემა.
იცით თუ არა, რად უნდა გამომეთათხეთ?
არა? ცუდო დიაცო, გრძნობისა და... გარემზე
და ა. შ. — შეასრულეთ თუ არა თქვენი აღთქ-
მანი? კარგი, კარგი, აღარას ვიტყვი ამაზე და
შემიხსენია, მეტადრე რომ თავადაც მხოლოდ
თქვენი გამგზავრების შემდეგ გამახსენდა. სო-
ციალიზმი — სად მქონდა ქუა? ახლა კი სხვაზე
ვილაპარაკოთ.

მთელი ტრიგორსკოე ვალობს (. . .) და ამის
გამო გული მიკვნესას. გუშინ მე და ალექსეიშვილი
4 საათი ზედინზედ ვიშუასიყვით. ამდენი ჯერ არა-
სადროს გვისაუბრია, გამოიცანით, ასე უცბად
რამ დავაახლოვა. მოწუნებ? გრძნობების ნათე-
საობაში? არ ვიცი. ყოველდამ ბაღში დავგვირნობ
და ჩემთვის ვიმოკრებ: იგინი აქ იყო — ჭვა,
რომიელსაც ფეხი წამოქრა, მაგალაზე მიდევს,
დამტყნარი პელიოტროფის ტოტის გვერდზე
ბლოხად ვჭერ ლექსებს — ეს ყველაფერი, თუ
გნებავთ იცოდეთ, სიყვარულს ფრიად ჩამოგავს,
მაგრამ, ვიცავარ, ასე არაა. შეყვარებული რომ
ვიყო, კერას სიბრახისა და ექვებისაგან ბნედა
მომივლიდა, მაშინ როცა მხოლოდ გული დამწყ-
და — და მაინც ის ლიქრი, რომ მისთვის არა-
ფერს წარმოვადგენ, ის ამბავი, წარმოისახვა
რომ გავუღვიძე, ამით მხოლოდ ცნობისმოყუ-
არობა დაუკმაყოფიერე, რომ ჩემი მოგონება
წუთითაც არ ჩააფიქრებს სხვებთან კელაქცი-
ბის უამს, ხოლო ნაღვლიან დღეებში უფრო მე-
ტად არ დააღონებს, რომ მისი მშვენიერი თვა-
ლები რომელიმე რაკელ კობტარუწას ისეთივე
დამკოდველ, ვნებიან მწერას ესერის — ამაზე
ფიქრი ქუაზე მშლის; უთხარით, რომ დარღმა
შეიძლება ვადამიყოლოს, არა, ნუ ეტყვი, თო-
რემ ეგ მომიხილავი არსება დამცინებს და სხვა
არაფერი, მაგრამ ის კი ვადეცი, უკეთუ გუ-
ლში ფარულ სინაზეს, იღუშად და მელანქოლი-
ურ ლტოლვას ჩემდამი არ იგრძნობს. მე მას
შევიზიზღებ, მიუხედავად იმ გაციებისა, რასაც
მისთვის ეგვომ უჩვეულო გრძნობა აღუძრავს.

მშვიდობით, ბარონესა, მიიღეთ მოწინებული
საღამო თქვენი პროზული თავყანისმცემლისა-
განი

21 ივნისი.

P. წ. გამომიგზავნეთ დაპირებული რეცეპტი,
იმდენი სისულელიე ზავიდინე — ძალა აღარაფ-
რის შემწევს. წყუღიმიც იყოს ჩამოსვლა, წყე-
ულიმიც იყოს წახვლა!

ვეითხულობ თქვენს წერილს სიგრძივ თუ გა-
ნის და ვიძახი: კარგო ტურფავ! დვთაბრიოო..
მერე კი: (ამ, საბაგელო!) — უკაცრავად, მშვე-
ნიერო და ნაწო, მაგრამ ასეა. დვთაბრიოო რომ
ხართ, ექვეგარეშეა, მაგრამ ზოგჯერ თქვენს საქ-
ციელს ჭკუას არ ატანთ. კიდევ და კიდევ უკაც-
რავად და თავი იმით დინუფეშეთ, რომ ეს უფ-
რო მშვენიერსა გხდით. მაგალითად, რის თქმა
გინდათ, როცა ამბობთ, ზეგედი უნდა მომეწო-
ნოსო (მშურს ამ ბეგდისა!) და მთხოვთ, მისი
მნიშვნელობა ახსენათ? თუ სხვა არაფერს გუ-
ლისხმობთ, ვერ გამიგია, რა გნებავთ. ან იქნებ
დევნი გინდათ მე ნოგაციონო? დმერთმანი,
ძველი დევნი შეინარჩუნეთ („გვიან და კარ-
გად“), თუკი ამას ტრიგორსკოეში ჩამოსვლის
დევნიად არ აქციეთ — ახლა კი სხვაზე ვალო-
პარაკოთ. მარწმუნებთ, ჩემი ხასიათი არ იციოთ,
კი მაგრამ რა მესაქმება მასთან? ან რაში მენა-
ღვლებთა იგი — განა ღამაჲ ქალს ხასიათი სტი-
რდება? თავიდათვა — თვალი, კბილი, ხელი
და ფეხია — (დაუშობებო — გულიც, თქვენს
კუწინასნ რომ ეს სიტყვა არ გუცვიოთ). ამ-
ბობთ, ჩემი გამოცნობა ადვილიაო, ანუ შეყვა-
რება, ამის თქმა გნებავთ? მთელი გულით გე-
თანმებით და საბუთი თავად ვახვავართ: თქვე-
ნთან თითბმეტი წლის ბიჭივთ ვიცეოთ. —
განა აღმაფოთებელი არ არის. მაგრამ მას აქეთ,
რაც ვედარ გხედავთ, ნელინელ ვიბრუნებ და-
კარგულ უპირატესობას და კიდევ ვხარებულაო
ამით, რომ გამოგათახოთ. თუკი ოდესმე ისევ
შეგვდით ერთმანეთს. უნდა დამიჩადეთ... არა,
თქვენი დაპირებები მე არ მინდა: თანაც წერი-
ლი — ისე აცივებს ყველაფერს, ფოსტით ვადა-
ცემული თხოვნას ძალაც ეკარგება და მდღეა-
რე კილოც, უარს კი — არც სინატიფე გააჩნა
და არც ვნება. ასე რომ შეხვედრამდე დავიცა-
ლოთ — და სხვაზე ვილაპარაკოთ. რახა იქმს
თქვენი ქმრის ნიკრისი? იმედია, თქვენი ჩახვ-
ლის მეორე დღეს კარგა მაგარი შეტევა მქონდა
(ახიც არის!). რომ იცოდეთ, რა ზიზხა ვგრძნობ
მოწინებთან ერთად მაგ კაცისადმი! დვთაბ-
რიოო, დმერთი იწამეთ, შეეცადეთ, ბანქო ითა-
მამოს და ნიკრისმა ისევ შემოუტოოს, დიას,
დიას, შემოუტოოს! ეს იმედიდა მასულდგმუ-
ლებს!

თქვენი წერილის ბელახლა ვადაკითხვისას აღ-
მოვაჩინე ეს საშინელი თუკი, თავიდან ვერ კი
შევაპჩინე: თუკი ჩემი კუწინა და-
რჩა, მაშინ შემოღვომაზე ჩამო-
ვალო და ა. შ. დვთის გულისათვის, დარჩენი
შეეცადეთ გაერთოს, ამაზე იოლი რაა; თქვენი
გარნიზონის რომელიმე ოფიცერს დაავადეთ გა-

ალექსანდრე პუშკინი
წერილობა



უმიჯნურდეს, ხოლო წამოსვლისას თავანისმცემელი წართვითა და გააწმარეთ. თქვენ არც ეს გავიძნელებდებო. ოღონდ არ მივიხვედით: თორემ თავისი სიკეთით სწორედ პირველ მოიქცევიან რას უპირებთ თქვენს კუწუნს? მის მომწერეთ ამ ამბებზე, ოღონდ გულახდით. ჩქარა გააგზავნეთ უნივერსიტეტში; არ ვიცი, რატომ და, ბანი კერძის არ იყო, ეს სტუდენტები არც მე შეხატუბა გულზე. ბანი კერძი დიანაც დარბახივლა, ჰკვიანი და ა. შ. კაცი ბრძანდება; მართო ერთი ნაკლი აქვს — თქვენი ქმარია. როგორ შეიძლება თქვენი ქმარობა? ამახ ისევე ვერ წარმოვიდგენ ჩემთვის, როგორც სამართებს.

ეს უველთფერი გუშინ დავეწერე. დღეს ფოსტის დღეა და რატომღაც ავიკვირებ, რომ წერილი მომივა იქვენა. ეს არ მოხდა. ისე რომ ძაღლის გუნებაზე ვარ, თუმცა მთლად სწორი არ უნდა ვიყო; ვიცი, წინანდელისთვის მადლობა მმართებს, მაგრამ რას იზამ? გეგებობთ, ღვთაებრივო, მომითვით ეს სისუსტე, მომწერეთ სოფელ წერძნელები, სიუჟარული არ მომეძლიეთ და შაშინ მეც შევეცდები თავაზიანი ვიყო. მშვიდდებით. (. . .)

161. 3. შუბოვსკის

17 აგვისტო, მიხაილესკოდან პეტერბურგში.

მამაე ჩენო, შენ ჯაბარბე სულხა ჩემსა. მართლა მრცხვინია, ამ ჩემი ძარღვების ამბავმა რომ უველანი ასე შეგაწუხათ. — ანერგოზის ოპერაცია არაფერიც არ უყოფილ; დემრთმანი, ფსკოვის პირველი შემსვედრი ცხენის ექიმიც მოერევა. ფსკოვი შუაგულ შემოდგომამდე ვერ ჩაუღ, იქიდან მოგწერე, სულო ნათელი. — ამ დღეებში პეშუროვი შემხვდა ვიღაც ექიმ — ამბატორთან⁵⁷ ერთად: იმან უფრო მეტად დამამხვიდა — ოღონდაც აქ კიუხლებეკრის გუნებაზე ვარ. კი, გეთანხმებით, რომ ჩემი ცხოვრება ზოგჯერ ეპიგრაზის წაგავდა, მაგრამ საერთოდ კი ელგებია უფრო იყო, კონშინის მსგავსად. პო, ელგებების გახსენებაზე, ჩემი ტრაგედია წინ მიდის, ზამთრისთვის, ფეიქრობ, დავამთავრო; ამიტომაც მხოლოდ კარამზინსა და მათიანებებს ვკითხულობ. რა ხაოცრებაა კარამზინის ეს ორი უკანასკნელი ტომი! რა სიცოცხლით ხვსენ c'est palpitant comme la garette d'hier,⁵⁸ მივწერე რაევსის. ერთი სათხოვარი მაქვს, ჩემო კარგო; ხომ ვერ მიშვივით რკინის ჩანს⁵⁹ ან რამელიმე ხალოსის ცხავრებას. ამაოდ ვძებნე ვახილი ნეტარი უამნში — არადა, როგორ მშეროდა.

გებვფი მთელი გულით. გაზეთებიდან ვიცი, პეროვსკი თქვენთანაა. ბედნიერი კაცი რომი და ვეუფვი ნახა.

3.

თქვენ მე ხასოს წარნიკვეთთ; ის იყო ვაპირებდი რამდენიმე სისულელის მოწერას, სიცლით რომ მომეკალით, უფროვე თქვენი წერილი მივიღე და, ზეშთაგონებულს, სევდა მომგვარა. შეეცადეთ კრუნჩხვება ადარ მოგზაროთ. მერე რა რომ ვამშვევებთ, მერეწმუნეთ, არაფრად ვარვარა რომ მიძულეობთ გაეჩავრდეთ? თუ ხელი შეხვეული გქონდათ, წერილი არ უნდა დაგწერათ. ასეთი სიგვიე შეიძლება!

ნაინც მითხარო, რა დავიზავთ მაგ ხაცოდანა ქმარზე? ან იქნებ ეკვიანოს? ფეიქვარ, ვერ გავამტუენებ; თქვენ არ შეგიძლიათ ან (უფრო უარესი) არ გსურთ დანდოთ ადამიანი. ლამაზ ქალს, ცხადია, ვერავინ აუკრძალავს... თავისინება იყოს. ღმერთო ჩემო, სულაც არ ვაპირებ ქადაგება წავგიკოხოთ, მაგრამ ქმარს პატივისცემა უნდა — თორემ ქმარობას აღარავინ იკისრებს. შეტისმეტად ნუ დააკინებთ ამ ხელობას, რამეთუ აუცილებელია ამქვეყნად. მართლა, გულწრფელად გეუბნებით. 400 ვერის სიშორიდან თუ მაინც ახერხებთ მექვიანოთ. 4

ნაბიჯზე რადა იქნება? (N B, ნეტა მაცოდინა, თქვენი კუწენი მხოლოდ ამა თვის 15-ში რად გემგზავრა რიგიდან და ჩემდამი მოწერილ წერილში მისი სახელი სამწერ რად დასცდა თქვენს კალამზე? იქნებ ამისხნათ, თუ შეტისმეტად კადნიერებად არ ჩამითვლით?) მპატიეთ, ღვთაებრივო, ასე გულახდით რომ გეუბნებით, რასაც ვფიქრობ, ეს დასტურია ჩემი თქვენდამი ჰუმარობით თანაგრძობისა; მე უფრო მეტად მიყვარხართ, ვინცე გოჩნიათ. სცადეთ და ცოტა მაინც მოავარეთ თქვენი ურთიერთობა მაგ წყურულ ბნ კერთან. კარვად მესმის, რომ გენოსი არაა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მთლად რეგენიც არ იქნება. მეტი სილბო, მეტი სიკუალუცე (რაც მთავარია; ღვთის გულისათვის, უარი და უარი) — და იგი თქვენს ფერხთა ქვეშე იქნება — ადგილი, რისიც მართლა გულით მშურს, მაგრამ რა გეწუხება? ანეტას გამოგზავრებამ იმედი გადამიწურა; რაც უნდა იყოს, შემოდგომამდე ან აქ, ან ფსკოვი უნდა ჩამოხვიდეთ აუცილებლად. იქნებ ანეტას ავადმყოფობა მოიმიწეოთ. რას იტყვით ამაზე? მიახსენით, გემუდარებით.

ოღონდ აღუქსენი გულგონს სიტყვა არ დაეცდეთ. ჩამოხვადო? ხომ კი? — ხოლო მანამდე ნურადერის გადამწვეთ თქვენი ქმრის თხოვაზე. ახალგაზრდა ხარ, მთელი ცხოვრება ჭერ წინა ექვთ, ეს კი... დაბოლოს მერწმუნეთ, მე იმათ რიცხვს როდი ვეუთვნი, ვინც ვადამწვეთ ზომებს არ გარჩევთ — ზოგჯერ ამახ ვერ აცდები, მაგრამ მანამდე დიდი დაფიქრება გმართებოდა, თუ აუცილებლობამ არ მოითხოვა, აურზაური არ უნდა შექმნათ.

მშვიდობითი ახლა დამეა და თვალწინ მიდგას თქვენი სახე, სევდით სახეც და ვენებანი; თით



ქონდა თქვენს თვალს ვხედავ, თქვენს ოდნავ გაპოზილ ბაგეთ.

მშვიდობით — ახე მგონია, თქვენს ფერხაა ქვეშ ვარ. თქვენს ფეხთ ვეხვევო, მუხლებს ვეხუბი, — სიცოცხლეს არ დავიშურებდი, წამით მაინც სინამდვილედ ჰქცეულიყო. მშვიდობით და გწამდეთ ჩემი სასაცილო, მაგრამ გულწრფელი პოედებისა!

164. ა. რილმეზს

იენისის მეორე ნახევარი — ავვისტო,
მიხაილოვსკოედან პეტერბურგში.

მწყინს, რილმეზმა რომ ვერ გამიგო — რაში იყო საქმე. ჩვენში ლიტერატურას არ მფარველობენ და მადლობა ღმერთს, რომ არ მფარველობენ? რატომ უნდა ვილაპარაკოთ ამაზე? pour réveiller le chat qui dort? ამაოდ. მთავრობის გულგრილობა და ცენზორისგან შევიწროება ამ ჩვენი ახლანდელი სიტუაციების სულისკვეთებით გვიკირს. შეტი რაღა გინდა? ჩახედე ფურნალებს, ნახე მ წლის მანძილზე რამდენჯერ ვარ ნახსენები, რამდენჯერ შემავსებ დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად — ჩვენს ნაცონზე? კი კინტი არ დამარულა, თითქოს ამქვეყნად არ უფილიყო. რატომ? განა რომელიმე ფურნალების სიამაყითა თუ რადიკალიზმით, არა. — ყველამ უწყის, რომ რამდენიც არ უნდა იფილიოს, მადლობას არავინ ეტყვის, ხუთ მანეთსაც არავინ მისცემს — მუქთად კი ისევ კეთილშობილად დარჩენა სჯობია. შენ ბრა-ნი მოგდის, მშმ წლის აწნაურობას რომ ვიკვებენი (N B ჩემი აწნაურობა უფრო ძველია) როგორ ვერ ხედავ, რომ ჩვენი სიტუაციების სული და განწყობა ნაწილობრივ მწერლების მდგომარეობაზეა დამოკიდებული? ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ნაწარმოებები დიდკაცებს ვუძღუნათ, რამეთუ წარმოსობით მათ ტოლად და სწორად მივაგანიათ თავი. აქედან სიამაყე და etc. რუს მწერლებს უცხოელების სასოებით ვერ განსჯი. იქ ფულის გამო სწერენ, ჩვენში (ჩემ გარდა) — დიდენისათვის. იქ ლექსებით ცხოვრობენ, ჩვენში კი გრაფი ხვოსტოვი თავისმა ლექსებმა გააკოტრა. იქ თუ ხარჩო არა გაქვს, წიგნი სწერდ, ჩვენში ხარჩო არ გაბადია, იმსახურე, არ კი წერო. ჩემო კარგო, შენც პოეტი ხარ და

მეც. მაგრამ მე უფრო პროზაულად ვსაუბრობ და ამიტომაც თითქოს მართალი უფრო ვარ.

მშვიდობით, ჩემო კარგო, რას სწერ ამჟამად?

173. 3. ვიპაშენსკის

დასლ. 7 ნოემბერი, მიხაილოვსკოედან მოსკოვში

მადლობელი ვარ, სულო ჩემო, გოცინი პოეტურ... რაც მიხაილოვსკოეში ვარ, ოქტბრ ვაციენ გულისანად; ერთი იგავ-არაკების ახალი პიტიკის გარჩევისას და შენი... მოძღვნისას. აბა როგორ არ მიუფარდე? როგორ არ ეცუდიდო — ფილოზოფე თანხმა ვარ, მაგრამ გადაწერიო, როგორც გენებოს, და არ გადაწერ — რომც მომკლა.

მიმილოცინა, ჩემო სიხარულო, რომანტიკული ტრაგედია, პირველი პირი იქ ბორის გოდუნოვი გახლავს! ტრაგედია დავამთარგ, ხმაილდა გადავთარგე მართლმ, ტაშს ვუტრავდი და ჰაი და, პუშკინს ჰაი და, შე არამაშადვი ვავიასლოი — ჩემი ხალისი ფრიალ ხახალალო ჩველი ბრძანდებ; მარინას — რასეთუ პოლონელია და შესხედვადავ ფრიალ სასიერი (კატერინა ორლოვსკაიო, გითხარი თუ არა?). სხევიც კარგები არიან, კამიტან მარეტეტის გარდა, რომელიც სულ დღვას იღინება: ცენზურა არ გაუშვებს, უსკოესი შეუბნება, მუე შეგინდობსო შავ ტრაველიის ხათრიო — არა მგონია, ჩემო საყვარელო, თუმცა კარგი სულისკვეთებითა დაწერილი, სალოსის ჩანმა უფრები მინც ვერ დამიმადა! მაინც მინანს სიცილით მოკლავ კაცს, კრილოვს ისე აკრიტიკებ; განა არ ვიცი, რა ვირთხაც გახლავს, მაგრამ რა უქნა, რომ ნათლიად მომღვინამ?2. შავს მე რუსი ხაღზის სულის გამომხატველი ვუწოდე — მაგრამ თავდებად ვერ დავუდგები, რომ ნაწილობრივ არა შეარს. — ძველად ჩვენი ხაღზი უქმად იწოდებოდა (იხ. ბატონი კარაშინი). საქმე იმაშია, რომ კრილოვი ფრიალ ორგინალური ხორცის გროვია, ვრათ ორლოვი ბრიყვი, ჩვენ დოულაპიები და ა. შ.

უსკოვიდან მალევე სასაცილო წერილი მოგწერე — მაგრამ დავწვი. იქაურმა არკილმია მამა ევგენიმ ისე მიმიღო; ვითარც ევგენის მამა, გუბერნატორსაც არ დაუკლია წუალობა. თავისი ლექსებელ გამაწორებინა, ჩემო ბატონო! როგორ მოგწონს ნახვამდის, ჩემო კარგო.

შენი შენიღობი:

- 27. ასე უწოდებდა დაცინვით პუშკინი ალექსანდრე 1-ს.
- 28. სადაც კარგად ვართ, სამშობლოც ისაა (ლათ).
- 29. კარგად (ლათ).
- 30. აბა რა გამღერებდა? (ფრანგ).
- 31. 'გნებავთ მომებნოთ ნაკვალევი მისი ფენისა (ფრანგ).

- 32. მედიტური, ამაყი იპოლიტე, კიდეც რამდენადმე ველური (ფრანგ).
- 33. ეგზომ ბოროტი სიტრუე... (ფრანგ).
- 34. სადაც თქვენ თავად იქნებოდით და ა. შ. (ფრანგ).

ალექსანდრე პუშკინი
წერილები



- 35. რილევის პოემა.
- 36. იგულისხმება ალექსანდრე I.
- 37. იგულისხმება ერონოკოვი. სვიანი ტიბერისის დაახლოებული კაცი იყო.
- 38. პ. ვიაზემსკის მეუღლე.
- 39. ვიაზემსკი ამბობდა „ჩაილდ-ჰაროლდის“ გაგრძელების დაწერას.
- 40. ანუ პოეტი ფედორ გლინკა
- 41. ასეთ ეპითეტებს ცენსურა ხშირად კრძალავდა.
- 42. იგულისხმება დედოფალი მარია, ალექსანდრე I-ის მეუღლე.
- 43. ამ ურჩხულს, ამ გადაგვარებულს (ფრანგ.)
- 44. კანონგარეშე ვარ (ფრანგ.).
- 45. ბოულსი... ბაირონი (ინგლ.).
- * უკაცრავად! ჰორაციუსი (მიმბამძველი არაა.
- * პატევს ვცემ მას, როგორც დიდ ადამიანს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა როგორც დიდ პოეტს. იგი მიხვდა, რა შეადგენს რუსული ენის შემართ წყაროს და სილამაზეს. ესაა მისი ყველაზე დიდი დამსახურება.
- 46 ალფიერი და ფოსკალო (იტალ.).
- 47 სოუტი, ვალტერ სკოტი, მური და ბაირონი (ინგლ.).
- 48 მისი დეჟილი — საზოგადოებრივი უბედურებაა (ფრანგ.).
- 49 ბესტუჟევის ისტორიული რომანი.
- 50 იგულისხმება „ბორის გოდუნოვი“.
- 51 ნ. კარამზინი.
- 52 ფოსი (გერმ.).

- 53 სტროფი ეუკოესკის ლექსიდან „ბერი“.
- 54 ი. კოზლოვის პოემა „ბერი“.
- 55 სულელი (გერმ.).
- 56 ნეხვის პოეტი (ფრანგ.).
- 57 და გაბედულად აღვადგინე შალიკოვი (ფრანგ.).
- 58 ფრანგი პოეტი კაზიმირ დელავინი.
- 59 კლამბური (ფრანგ.).
- 60 ბუგოვ დ. ანტონი (იტალ.).
- 61 შეყვარებული როლანდი (იტალ.).
- 62 პუშკინის ნაცნობი ქალი ტრიგორსკოედამ, სადაც პოეტი ვაეცნო მის ბიძაშვილ ანა კერნს, ვისზედაც დაწერა «Я помню чудное мгновение».
- 63 ანა ვულფის ძმა.
- 64 იგულისხმება ა. კერნი.
- 65 ანა ვულფი.
- 66 ალექსეი ვულფი.
- 67 მოყვარული (ფრანგ.).
- 68 ისეთივე საჰიბროტო, როგორც ახალი გაზეთი (ფრანგ.).
- 69 „ცხოვრება იოანე სალოსისა“ (XVI საუკ.).
- 70 ტომარაში მძინარე კატა არ გავადვიდით? (ფრანგ.).
- 71 იგულისხმება ალექსანდრე I.
- 72 სტროფი კრილოვის იგავ-არაკიდან „თაგვეზის ბეობა“.
- 73. სიტყვების თამაშია — смерд — ყმა, მღაბიო, смердь — ყროლი, სიმყრალე.

თარგმნა რუსუდან მამაშვილამ

დასასრული იქნება





რედაქციის მისამართი

კომპიუტერული რედაქტირება

— კომპიუტერული რედაქტირება, არა? —
 იქნებ სახეუბრუნებელი რედაქტირება, როცა
 ახალგაზრდა კომპიუტერმა ახალი ნაწარმოებები
 მაგიდაზე კარტონით გაუშალა.
 — კი ბატონო, ახალი სიმღერების ტექ-
 სტები მოგიტანეთ.
 — ვინაა?
 — ზედ აწერია.
 — ზედ რომ აწერია ვიცი. რა კაცია ავ-
 ტორი?
 — როგორ გითხრათ, ჩვეულებრივი კაცია.
 — ჩანს ხადმე?
 — ბექდავს ხანდახან. ახალგაზრდა პოეტია,
 — ნათესავი იქნება შენი.
 — არა, ბატონო, უბრალოდ, ლექსი მომე-
 წონა მისი და დავწერე სიმღერა.
 — სად ცხოვრობს?
 — სოფელში.
 — პროვინციაში? — იყვირა რედაქტორმა.
 — რა მოხდა, ბატონო, მერე, იქაც ხომ არ-
 იან ნიჭიერებები?
 — კი ერთი, არ გამოცინო.
 — როგორ, ბატონო, რა დაშავა იმ ხალხმა?
 — ჩვენში დარჩეს და ბრმა ყოფილხარ. აჰ,
 ბიჭო, ხალხს ტვინი უსკდება და შენ სოფელ-
 ში რამ გაგაქცია?
 — სოფელში ვინდა ცხოვრობს? გაოცდა
 კომპიუტერი.
 — აგრონომები, მღვდლები, მეჩაიები,
 მეკარტოფილეები და მემწვანელები, კარგი
 მწერალი და კარგი პოეტი სოფელში არ გა-
 ჩირდება.
 — ესე იგი, თქვენ თუ დავიჭერათ კაცმა,
 მანალი ქანდაკაზე თუ არ შეჯდა, ისე ვერ
 იყიდებხ? გაიხსენეთ ვაჟა.

— ვაჟა სხვა იყო.
 — ეგნატე გაიხსენეთ.
 — რომელი ეგნატეა მაგი?
 — ნინოშვილი.
 — კაი, თუ კაცია ხარ, ყრუობის დროს მან-
 სენებ?
 — ოტიაზე რას იტყვი? ცოცხალია ის კა-
 ცი და სოფელში წერს.
 — ოტია? რომელი ოტიაა მაგი, კალანდა-
 ძე? ორსართულიან შენობაში რომ მუშაობს,
 პირველ სართულზე ხელფასს რომ იღებს და
 მეორეზე პენსიას?
 — არა, ბატონო, მე ოტია იოსელიანზე გე-
 ლაპარაკებით.
 — ოტია იოსელიანი ღმერთმა დიდხანს აც-
 ცხლოსი კი წერს სოფელში, მართალია, მარა
 ბინა აგერ აქვს თბილისში, ახლა, ნოდარ დუმ-
 ბაძეც კია ეგერ გულრიფშეში, ბარე ოთხი თუ
 ხუთი თვეა და ახალ ნაწარმოებებს წერს, მა-
 რა სოფელშია? რა გვარია ის შენი პოეტი, რა
 თქვა, არგაბედო თუ აგაბედო?
 — არგაბედო გაბედვა, ბატონო.
 — ხომ ვითხარბი. — ჩაიწყო ჭიბეებში ხე-
 ლები რედაქტორმა და ოთხში გაიარ-გამო-
 იარა. — არგაბედო გაბედვაა ნახე, რა უცნა-
 ურად ხვდება ყურს მისი გვარი და სახელი,
 არგაბედო რაზე გაბედვა, თვარა ვაი შენს
 დღესო, მარა ალბათ ეტუობა მაინც ბედავს...
 ა, ნახე, „პირველი სიყვარული“, რა დროს
 პირველი სიყვარულია, ბიჭო, მოსულდა მსოფ-
 ლიოს. „ერთმანეთს ჩაცვივართ და ვერ
 ვხვდებით, ამ ქვეყნად თუ არსებობს სხვაო...
 აალიან მარად კი უვარდობათ ერთმანეთი, მაგ-
 რამ როცა ორი ან მეტი ადამიანი ისე არიან
 გაბრუნებული, რომ თავიანთი თავის მეტ-



ვერავის ზედადენ, მე მგონია, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხონი უნდა იყვნენ ისინი. „ნეტავ რაღის აღელდება ზღვაო,“ ამაში რას გულისხმობს?

— ეს ლირიკული ლექსია, ბატონო.

— მასწავლელ ახლა მე შენ, რაა ლირიკა და რაა ზღაპარი... მოიცა შენ, მოიცა „ზღაპარიყო გრძელია გზაო“, რა სწიხაა, ბიჭო. ეს ხალხი? არა, ძნაო ვერ ვაფუშებ, ხასლაფორთო თავი არ მაქვს შე! მაგ შენს ლირიკულ ლექსს რააღაც აპოლიტიკური სუნი ასდის. მაგის ცხრა თავი ვის აქვს? მერე, მე შენ გეტყვი, მომხსნიან და ჩემს შემცვლელს ვერ იშოვნიან თუ რა? მოათრევენ ვიღაცა უტვინოს, შტერს, დებნერატს, დაჯდება და ყველა ნაგავზე მოაწერს ხელს. მაჩვენე მერე ლექსი... რაო? „ჭიკა არაუი მადას გამიხსნიისო“ ვინაა ეს ბრადიავა! არაუი ჩვენ ავკრძალეთ და სამუშაო საათებში ახლა მას აღარავინ ხვამს. როგორ ვერ გაიგეთ თქვენ ეს ამდენხანს?

— რას ამბობთ, ბატონო, ეს ხომ ფიროსმანუა დაწერილი? ლაღო ასათიანის ლექსია.

— შენ თუ გგონია, ლაღო ასათიანის ლექსი შედევრი იყო, ძალიან ცდები. კოეტების ამბავს შენ მასწავლი? კაი ლოზუნგავით წამოისვრიან ერთ ან ორ ლექსს, დაარქმევენ „პარიავოზს“ და მერე უველაფერ ხლამს მიაკოლებენ ზედ ასეა ეს. შემდეგი ლექსი მაჩვენე... ა, კოლეე „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის“. კაცო, შენ შემოჩენილი ხომ არ ხარ? რა ამბავია ამდენი „ქარი ქრის“? იქცევა ქვეყანა?

— მაგი ლექსი ვალაქტიონისა...

— არ შემაშინო ახლა ერთბაშად! მე მასთან ნაქეთვარი ვარ, რომ იცოდე შენ. სხვა ქარზე უნდა დაეწერა.

— მაინც რომელ ქარზე?

— რომელიც არ ქრის... მო მართლად ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარის, ასეა შემდეგ, ხომ?

— დიახ, ასეა. და მე ვნახავ, რომ ამ ქარს, ფოთლების ნაცვლად ვიღაც ვიღაცეებს გაატანენ. — გული მოუვიდა კომპოზიტორს, აიღო თავისი ტექსტები და უტექსტო გინგებით გაიხურა კარი.

ქარი ქრის...

გარეკანის მეორე გვერდზე — გიორგი ლომიძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პროზის — 72-26-80, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-82, „ციხეკრახ“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-42-75.

გადაეცა ასაწყობად 18. 6. 80 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად 8. 8. 80 წ., ქალალის ზომა 70x108, ფ. ზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობითი ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საჯ. თაბახი/15.85. — შუკე. № 1790. უე 07564. ტირაჟი 37.900.

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის სტაბა. თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

Նոր ծրագրի

Լայն շնորհիվ ստեղծելի,
ստեղծած ճիշտ շնորհիվ,-
Հիմն, հարմարեց,
սրբ, ստեղծած Բ. Առաջ!

Կան 144 Բ և 1 կմ
Նշան թե քանակությամբ;
Ու այլ թիվ թե թիվը-
Լայն շնորհիվ շնորհիվ!

Կան թիվեր, 10, 20,
Ե թիվեր, կան թիվեր,
Ե թիվեր,
Կան թիվեր և թիվեր
Կան թիվեր և թիվեր

Կան թիվեր
Կան թիվեր

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ